

ଓ. K ৩৪৭৪
৩

ଦେଖାଇନ୍ତି ହୁଏ

ମାତ୍ରାନ୍ତରିକ ପାତ୍ରଙ୍କାରୀ ଲପନାଗାନ

ମାତ୍ରାନ୍ତରିକ ପାତ୍ରଙ୍କାରୀ ଲପନାଗାନ

CSY-୩୩୩୩୩

სსრპ მეცნიერებათა აკადემიის სამართველოს ფილიალი
ენის, ისტორიისა და გიტორ. კულტურის ინსტიტუტი აკად. 6. განის ხაზ.

ა. 3. 2016 - 48238


ღ ღ კ უ მ ე ნ ტ ე ბ ი

საქართველოს სოციალური ისტორიიდან

ე ა ფ რ ნ ე შ ა რ ი უ რ ი თ ი მ ა რ ი დ ა

(XV—XVIII ს.ს.)

6. გერმანიული ლენაჭილი



სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამართველოს ფილიალის გამოგველობა

თბილისი

1940



94(479.22)(093)+94(479.22) 14/IV

დაიბეჭდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის
საქართველოს ფილიალის განკარგულებით
თავმჯდომარე აკად. ნ. მუსხელიშვილი.

შე 2241
ტირაჟი 1000
სტ. შეკვ. № 507
სასტ. თაბაზი 41

ანაწყ. ზომა 7×11
ქაღ. ზომა 75×100
გადაეცა წარმ. 13/XI—38
ხელმოწ. დასაბეჭ. 9/XII—40

სტალინის სახელობის თბილისის ჭახ. უნივ. გამომც. სტამბა, მარის ქ., № 1.

საკავშირო სამეცნიერო აკადემიის საქ. ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ისტორიის განყოფილებას საქართველოს ისტორიის წყაროთა გამოცემა თავისი ხუთწლიანი გეგმით აქვს გათვალისწინებული. წინამდებარე ტომი ამ გეგმითი სამუშაოს ნაწილია. ის, უმთავრესად, ბატონიშვილ ურთიერთობას შეეხება და უკანასკნელის გარკვეულს პერიოდს—XV—XVIII ს. ს.—ითვალისწინებს. საბუთები დალაგებულია მხარეების მიხედვით და ქრონოლოგიურად XVIII საუკუნის შუა წლებამდის აღწევს. უკანასკნელი ქრონოლოგიური საზღვრის აღება ტექნიკური გარემოებით არის გამოწვეული. შემდეგი, XVIII ს-ნის მეორე ნახევრის შესახები ამავე ხასიათის მასალები აგრეთვე დამზადებულია და, იმედია, ახლო მომავალში დაიბეჭდება;

აქ წარმოდგენილი საბუთებით აღნიშვნული დროის ბატონიშვილი ურთიერთობის შესახები წყაროები არ ამოიწურება. ბატონისა და ყმა-გლეხის ურთიერთობის შესახებ მრავალი ძეირფასი ცნობა მოიპოვება სხვა ხასიათის საბუთებშიაც (საშემოსავლო თუ ხალხის აღწერის დავთრებში, პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის სხვადასხვა საბუთებში, საკანონმდებლო ძეგლებში, კერძო წერილებში და სხვ.), მაგრამ ასეთი საბუთების აქ შემოტანა მიზანშეწონილი არ იქნებოდა: საბუთების ყოველგვარი კლასიფიკაცია, მართალია, მეტ-ნაკლებად ყოველთვის ხელოვნურია, მაგრამ მათი გამოცემისას ასეთი ხერხი აუცილებელია, მით უფრო მაშინ, როცა გამოსაცემი საბუთები ერთობ მრავალია.

წინამდებარე საბუთები ამოკრეფილია საქ. სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ფონდებიდან (A, H, S, Q) და საქართველოს ცენტრალური არქივის ძველ საბუთთა განყოფილებიდან.

გამოცემისას ვხელმძღვანელობდათ შემდეგი წესებით: საბუთების ენა უცვლელადაა დაცული; რედაქცია ასწორებდა მხოლოდ აშკარა შეცდომებს (მათი აღნიშვნით სქოლიოში); არ იცავდა ზედმეტ ანებს ე. წ. „ანშეტ“ საბუთებში; არ იცავდა დედნისეულ განკვეთილობის ნიშნებს (ამ ნიშნების შესახებ ცნობა ყოველთვის მოყვანილია საბუთის ლეგენდაში); არ იცავდა ქარაგმებს და ხსნიდა დაქარაგმებულ სიტყვებს (ქარაგმის გასწინისას რედაქცია კვადრატულ ფჩხილებში ათავსებდა მის მეორ შემოტანილ ასოებს). ტექსტზე რედაქციის სხვა ნასაქმევი ფჩხილებშია მოთავსებული: ჩვეულებრივს ფჩხილებში მოთავსებულია ის, რაც ტექსტს მექანიკური დაზიანების გამო ან სხვა მიზეზით აქლია,

ქვადრატულ ფჩხილებში მოთავსებულია რედაქციის მიერ ჩანართი. დედნის ნაკლული აღგილები აღნიშნულია მრავალ წერტილით. ამ წერტილების რიცხვი დაახლოებით იმდენია, რამდენი ასოც აკლია.

ყოველ საბუთს წინ უძლეის ლეგენდა. მისი შესრულებულობის კმაყოფილი ყოველთვის რედაქციაც ვერაა. ზოგჯერ ლეგენდაში საბუთის შინაარსის გადმოცემის ცდაც არის მოცემული. რედაქციის აზრით ეს ზედმეტია: ერთი თუ ორი მოკლე წინადადებით (ხოლო მეტის საშუალებას ლეგენდის მოცულობა არ იძლევა) საბუთის შინაარსის ზუსტად გაღმოცემა ყოველთვის არ ხერხდება, ხოლო ნაკლული ცდით შეიძლება დაარტერესებული პირი მისთვის ძვირფას ცნობას უნდა აღიაროს. ამიტომ სჯობს ლეგენდაში საბუთის რაობის აღნიშვნით დაკმაყოფილება („წყალობის“, „ნასყიდობის“, „სითარხნის“, „გაცვლილობის“ თუ სხვა „წიგნი“ ან კიდევ „გუჯარი“, „ოქმი“, „ნუხსა“ თუ სხვა...). რაც შეეხება საბუთის შინაარსს, ის, სჯობს, მკითხველმა თვით უშუალოდ გაიცნოს.

საბუთს ხშირად ახლავს ბეჭედი (ზოვჯერ არაერთი). ჩვენს გამოცემაში ბეჭედის აღგილი ყოველთვისაა აღნიშნული ოთხუთხედით. ბეჭედის წარწერა კი ყოველთვის მოყვანილი არაა. ეს იმ შემთხვევებში, როცა ამ წარწერების ამოკითხვა მათი გადასულობის თუ სხვა მიზნების გამო ძნელი იყო. თუმცა, ცოდვა გამხელილი სჯობს, საგანგებო ჩაჯდომა-დაჯინებით არაერთი ასეთის გარკვევა ამოკითხვა შეიძლებოდა. ეს ნაკლი განსაკუთრებით საგრძნობია იმ შემთხვევებში, როცა ბეჭედის წარწერას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საბუთის გარკვევისათვის (მაგალითად, საბუთები №№ 146, 189, 41, 469, 574, 589).

ჩვენი საბუთები, როგორც აღვნიშნეთ დალაგებულია მხარეების მიხედვით. საბუთების გამოცემის ასეთი წესი სასურველია: მსგავსებასთან ერთად სოციალური ურთიერთობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ერთი მეორისაგან. საქმაოდ განსხვავდებოდა და ეს არა მარტო მთისა და ბარის მიხედვით... სამწუხაროდ, ამ დანაწილებაშიაც რამოდენიმე შეცდომაა გაპარული. ასე რომ ქართლის საბუთები №№ 510, 530, 531, 532, 547, 549, 577, 578, 588 აქ „კახეთშია“ შეტანილი, ხოლო №№ 609 და 662 — „იმერეთში“; ასევე კახური საბუთები №№ 8, 10, 13, 57, 134, 290, 319 შეცომით „ქართლშია“ შეტანილი. ამას გარდა ერთი საბუთი № 295 ამ კრებულში სრულიად ზედმეტია: ის ბატონისა და ყმა-გლეხის ურთიერთობას არ შეეხება.

რამოდენიმე საბუთის თარიღიც საეჭვოა. მაგალითად, საბუთი № 145, თუ ნატყუარი არაა, „ოსმალობის“ ხანისა ჩანს ე. ი. 1724—1725 წლებისა. ასევე საეჭვოა № 575-ის თარიღიც...

ეხლა ჩვენი გამოცემის მართლწერის შესახებ. როგორც აეღნიშნეთ, გამოცემის მართლწერა ძირითადათ დედნისეულია (იხ. ზემორე). განსხვავება უმთავრესად ე. წ. რთულ სიტყვებს შეეხება. ხელნაწერში ასეთი სიტყვები ყოველთვის ერთნაირად არაა წარმოდგენილი. ზოგიერთ ხელნაწერში ისინი ერთადაა დაწერილი, ზოგში კი დაყოფით. ჩვენც სხვადასხვანაირად გვაქვს ისინი დაბეჭდილი, მაგრამ ხშირად ხელნაწერისაგან განსხვავებულად. მაგალითად,

ხელნაწერით:
 არა დარჩარა
 რარიგად
 თანთის წყარო
 ზემო ქართლი
 ზემოქართლი
 ქვემობოლნისი
 ქვემო ბოლნისი
 მიზეზ შემოუღებელი
 მეფეთ მეფე
 კოდის პური
 პირის თავი
 ნახირის თავი
 ესიტასშვილი
 და ა. შ.

დაბეჭდილია:
 არა დარჩა რა
 რა რიგად
 თანთის-წყარო
 ზემო-ქართლი
 ”
 ქვემო-ბოლნისი
 მიზეზშემოუღებელი
 მეფეთ-მეფე
 კოდისპური
 პირისთავი
 ნახირისთავი
 ესიტას-შვილი

კერძოდ, გვარების მართლწერის შესახებ. ხელნაწერებში ყოველთვის ერთად იწერება გვარიც (თუმანიშვილი) და მამისშვილობაც (პატარკაცისშვილი). რაიმე მტკიცედ დაცული ნიშანი გვარისა და მამისშვილობის ურთიერთისაგან განსასხვავებლად ხელნაწერებს არ გააჩნია. პირველ შეხედვით ადამიანს თვალში ეკვემდება ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტის ხმარება ზოგჯერ ს-ან შეუკვეცელად (შამფურისშვილი), ზოგჯერ კი შეკვეცით (თუმანიშვილი). თითქო საფიქრებელი იყო, რომ პირველ შემთხვევაში საბუთის დამწერი პირს მამისშვილობით გვაცნობს, ხოლო მეორე შემთხვევაში გვარით. მაგრამ ეს დაკვირვება დადასტურებას ყოველთვის ვერ ჰპოულობს და ზოგიერთ შემთხვევაში (თუმცა იშვიათად) სრულიად საწინააღმდეგო მაგალითებსაც კი ვხვდებით. მაგალითად, „ჩვენ... თურქისტანისშვილებმა პაპაშვილმა გიორგიმ და ძმამა ჩემა ბეჭან“ (გვ. 300). აქ თურქისტანისშვილი უეპველად გვარია, ხოლო პაპა გიორგის და ბეჭანის მამა უფრო ჩანს. იწერება კი სრულიად წინააღმდეგ იმისა, რასაც ჩვენ მოვლოდით. ან კიდევ: ესიტა მიქიაშვილის (გვ. 38) შვილები დათუნა, ზაალ, და სხვები მოხსენებული არიან ესიტაშვილებად (გვ. 3-8). აქ ესიტაშვილი უშუალოდ მამისშვილობის აღმნიშენელია და უ-ს-ანოდ კია წარმოდგენილი. ამავე დროს უდავო გვარს (მაგ. ჯავახიშვილს) ჩვენ ხშირად ს-ანის შეუკვეცელადაც ვხვდებით (ჯავახისშვილი როინ...). ასევე ორივე სახით (ს-ა-ნით და უ-ს-ანოდ) ვხვდებით ჩვენ მრავალ სხვა გვარებსაც: აბაშისშვილი, აბაშიშვილი, ავალის-შვილი, ავალიშვილი, ბარათასშვილი, ბარათაშვილი, გედევანისშვილი, გედევანიშვილი, გერმანოზიშვილი, გურამისშვილი, გურამიშვილი, თუმანისშვილი, თუმნიშვილი, თარხნისშვილი, თარხნიშვილი და სხვა მრავალი. (იხ. საძიებელი).

ზოგჯერ ისეც გვხვდება, რომ გვარიცა და მამისშვილობაც ორივე უ-ს-ანოდ არიან წარმოდგენილი. მაგალითად ყუროლლაშვილი, მერაბაშვილი ფარემუზა (გვ. 409). აქ თითქოს ყუროლლაშვილი გვარია, მერაბა კიდევ ფარემუზას მამა. საბუთის დამწერი კი ორივეს ერთნაირადა სწერს.

ამის საწინააღმდეგო მაგალითებიც ბევრია: გვარიცა: და მამისშვილობაც ორივე ს-ან შეუკვეცელად იწერება. მაგალითად, ბებურისშვილი, ზურაბისშვილი ბებურ (გვ. 409). ბებურისშვილი აქ გვარია, ზურაბი კი თითქო ბებურის მამაა. საბუთის დამწერი კი ორივეს ერთნაირადა სწერს. ყველა ასეთი მაგალითების გამრავლება იღვილად შეიძლებოდა.

მიუხედავად ყველა ამისა, ან უკეთ, ყველა ამის გამო, ჩვენს გამოცემაში გვარ-მამისშვილობის გაღმოსაცემად შემდეგი წესი მივიღეთ: ს-ანის შეუკვეცელად წარმოდგენილი სიტყვები დიფიზით ორად გავყავით, ხოლო ს-ან შეკვეცილები ერთ სიტყვად დავტოვეთ. ასეთი ოპერაციისას ჩვენ გვართა მამისშვილობით წარმოშობისა და ასეთი სიტყვების შემდეგი ევოლუციის თვალსაზრისით ვხელმძღვანელობდით ე. ი. რომ გურამისშვილი პირველად მამის (გურამის) შეილობას აღნიშნავდა; შემდეგ გვარის აღმნიშვნელ სიტყვად (ზედგინისებთა ერთერთი შტოსი) იქცა; ეს გვარის აღმნიშვნელი სიტყვა შემდეგ ან უცვლელად დარჩა (გურამისშვილი ითამ), ან ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტის ს-ანი მოეკვეცა (გურამისშვილი დავით). პროცესი მართლაც ასე იყო (სადაც კი იყო) და არა პირუკუ. მართალია, ჩვენ მიერ მიღებულ მართლწერასაც ახლავს უხერხულობა: დიფიზით დაყოფილი სიტყვები ყოველთვის მამისშვილობას არ აღნიშნავენ (მაგალითად, ჯავახის-შვილი როინ), ხოლო ერთად დაწერილი ყოველთვის გვარს არ აღნიშნავს, (მაგალითად, მერაბაშვილი), მაგრამ პრინციპულად ჩვენი ხერხი ხომ სწორია, ხოლო პრაქტიკულად გაუგებრობანი უფრო ნაკლებია, ვიდრე იმ შემთხვევაში გვექნებოდა, ხელნაწერებას მართლწერა რომ უცვლელად დაგვეტოვება. რათქმაუნდა, ყველას აჯობებდა, რომ ჩვენ თითოეულ კერძო შემთხვევაში გაგვერკვადა, თუ რას აღნიშნავს ესა თუ ის სიტყვა, გვარს თუ მამისშვილობას. მაგრამ ასეთი რამ სპეციალური მუშაობის შემდეგ შეიძლებოდა მხოლოდ და არც თუ აღვილად გადასაწყვეტი (თუმცა მეტად საინტერესო) საკითხების წინასწარ შესწავლას მოითხოვდა...

ჩვენს გამოცემას გეოგრაფიული სახელებისა და პირთა საძიებლები ახლავს. პირთა საძიებლის შედეგნა მოულოდნელ სტრუქტურა წააწყდა: როგორ უნდა გაიწყოს საძიებელი, სახელის თუ გვარის მიხედვით? პირთა დასახელებისას რამე გარკვეულს, უდავო წესს ჩვენი წყაროები არ მისდევენ. ხან გვარი უსწრებს სახელს, ხან სახელი გვარს; ზოგჯერ მხოლოდ გვარითა ესა თუ ის პირი მოხსენებული, ზოგჯერ მხოლოდ სახელით. სურათის ეს სხვადასხვაობა დამოკიდებული ჩანს არა მხოლოდ ტექნიკური ხასიათის გარემოებებზე, ის უფრო ღრმა და მნიშვნელოვან მიზეზებსაც ემყარება. სურათი სხვადასხვაა საჭართველოს სხვადასხვა კუთხებში, მთასა თუ ბარში, ამერეთსა თუ იმერეთში. იმერეულ საბუთებში პირთა სახელებით დაწყება სჭარბობს, კართლურში პირიკით. ძველი კახური საბუთები სრულიად თავისებურ სურათს წარმოგვიდგენენ. აგრეთვე სავსებით განსხვავებულია თბილელების და გორელების დასახელების წესი. ამას გარდა პირთა დასახელების განსხვავება წოდებათა მიხედვითაც შესამჩნევია.

ყველაფერი ეს გასაგებია და მეტად საინტერესო (ეს მოვლენა სპეციალური შესწავლის ღირსია)...

ჩვენ საძიებელი, სადაც კი ეს შესაძლებელი იყო, სახელებზე გავაწყვეთ. ამის გამო გვარით დასახელებაც და შემდეგ მათი შებრუნება დაგვჭირდა. თუმცა ასეთ ოპერაციას იმ შემთხვევაშიაც ვერ ავცდებოდით, რომ საძიებელი არა სახელებზე, არამედ გვარებზე გაგვეწყო... ამით, რათქმაუნდა, ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ პირთა საძიებელი სახელებზე უნდა გაიწყოს, მაგრამ არც გვარებზე გაწყობას გააჩნია თითქოს მეტი უფლებები (საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ იყო საქმე ისტორიულად, სპეციალური კვლევა გადაწყვეტს. მაგრამ სპეციალურიდ გასარკვევია აგრეთვე ისიც, თუ როგორი სურათია დღეს. მხოლოდ ასეთი ცოდნის ნიაღაგზე იქნება შესაძლებელი ამ პრაქტიკული საკითხის მართებულად გადაწყვეტა).

ჩვენ განზრახული გვქონდა გამოცემისათვის საგანთა საძიებელიც დაგვერთო. სხვადასხვა მიზეზების გამო ამ განზრახვაზე ხელი ავიღეთ. მაინც ამის ნაკვალევი საძიებელში მრავლად ჩანს და ზედმეტად ამძიმებს მას.

წინამდებარე გამოცემაში მოთავსებული საბუთების ერთი ნაწილი (საქ. მუზეუმის H და Q ფონდები) ამ სტრიქონების ავტორმა გამოავლინა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ის საქ. სახ. მუზეუმის თანამშრომელი იყო. დანარჩენი საბუთები ენიმკის ისტორიის განყოფილების თაოსნობით დამზადდა.

6. გერმანიული

30/X 40 წ.

1. 1412 წ. სითარხნის წიგნი, მიცემული შოთა, სიაოშ და მირიან ზევდგინიძეთა შიერ გიორგი დედაბრის-შვილისადმი; აქვე — სიმტკიცის წიგნი პირველთა უკანასკნელის შვილებისადმი. შენახულია დედანი. 45,7×17,8 სმ, დაწერილი სტელ ეტრატზე მხედ- რული ხელით. განკვეთოლობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო, ორ-ორი, ან სამ-სამი წერტილი — საქ. მუჩ., № 143 ს. დ.

ქ. ჩუენ, პატრონთა შოთამან და სიაოშ და მირიან, ესე უკუნისამდინ ჟამთა გასათავებელი წიგნი და სიგელი გიბოძეთ თქუენ, მღვიმის ჟმათა, დედაბრის-შვილთა: მოძლუარსა გი[ორ]გის და თქუენთა შვილთა: მღდელ- სა მახ[ა]რებელსა და ნაცვალ[ა]სა და ყოველთავე გუარისა თქუენისა მომავალ- თა; — დიდად ნამსახურნი იყვენ[ი]თ უდაბნოსახი და კიდევე. მნე-მოსამსახურენი- თქუენვე ხართ და არცა-რა ჩუენი საყალნო და სამსახურო თქუენ ინდომეთ: თქუენგან ნასყიდის მეტი და იმაზედ ჩუენც განთავისუფლებით გამყოფენით ას- რე და ამა პირსა ზედა, რომე არაფრი სათხოვარი და გამოსალები არა გეთ- ხოებოდეს რა უდაბნოს სამსახურის მეტი. — არა სამსახური, არა გაგზ[ა]ვნა და მუჯირობა, არა ზურის მუშ[ა]ობა, არასთანა სათხოვარი და გამოსალები არა- გეთხოებოდეს უდაბნოს სამსახურის მეტი. ქ[ორონი]კ[ონ]ს რ.

+ კელი შოთასი¹.

+ კელი შიაოშისი.

+ კელი მირიანისი.

ამა პატრონთა ბძანებისაი მოწამე ვარ მ[ა] ხ[ა]რებელი კაიბერაშვილი.

ამა პატრონთა ბძანებისა მოწამე ვარ თეგ[ა]სძე² გულია.

ქ. ესე სიგელი და ნიშანი ამისად ნიშნად გიბოძეთ ჩუენ, ზევდგინიძებან შოთამან, სიაოშ და მირიან და ჩუენთა შვილთა და მომავალ- თა სახლისა ჩუენისათა თქუენ, დედაბრის-შვილსა გიორგის შვილთა: დეკანოს მარკოზს, ნაცვალასა³, გრიგოლს და შენთა ძმათა; — ასრე და ამა პირსა ზედა, რაცა ჩუენგან მოცემული სიგლები და ნიშნები გაქუს, ჩუენც ისრევე დაგიმტ- კიცეთ და არაოდეს მოგიშალოთ. ასრე ბზობასა დღესა რანიცა მწირველი იყოთ, მამისა ჩუენისა სულისაოვის — გოსტომისთვის ეამს სწირევდით; აგრევე, თუ შიო და მისი შვილი მოვიდეს, ჟამსა ისიცა უწირევდეს, თუ არა მოვიდეს, არა სამი- ზეზოდ დაგიდვათ. თუ კინმე თქუენი თავი შემოგვაბეზლოს, გაუკითხავად არა გაგიწყრეთ, სიმართლე აგართვათ . . . + + +

¹ უკანასკნელი ორი სიტყვა ტექსტში სწერია: კელაი შოთასაი.

² უკანასკნელი სიტყვა ტექსტში სწერია: თაეგსძე.

³ სწერია: ნაცვალასა, ასე რომ შეიძლება ის საკუთარი სახელიც იყოს.

2. 1453 წ. აგვისტოს 6-ს. სითარხნის წყალობის წიგნი. მიცემული გიორგი VIII მეერ ფილიპე ერებაძისადმი; დედანი გახეულია ორად. ზომა ორივე ნახევისა — 43,4X19,8 სმ, დაწერილი ეტრატზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი — საჭ. № 1055 ჩd.

ქ. წ.. ნებითა ღ[უ]თ[ისა]თა, ორისავე ტახტისა და სამეფოსა ლიხო-იმე-
რისა და ლიხო-ამერისა, შა[ა]ნშე და შარვანშე და ყოვლისა დასავლეთისა და
[ა]ლმოს[ა]ვლეთისა და ჩრდილოვეთისა თვით-ფლობით მტკიცეთ მქონებელ-
მცყრობელმან პატრიონმან მეფეთ-მეფემან გი[ორ]გი და თანამეცხდრემან ჩუენმან
პატრიონმან დედოფალთა-დედლოფალმან თამარ ესე წყალობისა და შეწყალე-
ბისა მტკიცე (და) შეგეცვალებელი სიგელი (გიბ)[ოძეთ შენ] ერემაძეს ფილი-
პე მღრდელსა, დავითს და გიორგის და¹ შეილ-
თა და მომავალთა სახლისა შენისა ყოველთავე; შეგიწყალეთ და განგათავისუფ-
ლეთ ყოვლისა ფერისა და სათხოვარისისაგან ასრე და ამა პირთა ზედა, რომე
დღეს დღესითვან წალმა არა გეთხოვებოდეს ერთისა ლაშქრობის მეტი არა
გეთხოვებოდეს და თორმეტთა საუფლოთა დღეთა ჩუენის სულისათუის და მე-
ფობისა ჩუენისა წარსამართებელად გვიწირევდით და ჩუენგან არა გეთხოვებო-
დეს არა (პური), არა ლვინო, არა ზროხა-საკლავი, არა გოჭ-ქათამი, არა მუ-
შაობა, არა ულუფა, არა საჯინიბო, არა სახორსალაღო, არა საბალახე და სა-
თესავი და სამჟალი და სალეწი და [პა]მისანადი², არ საყველიარო, — ერ-
თისაა ლაშქრობისაგან მეტი არა გეთხოვებოდეს. იყვენით საყდრის-შეილნი
და დეკანოზნი საუფლოთა დღეთა გუიწირევდით. სხუა ამას გარეთ არა გეთხო-
ვებოდეს, არა ჩუენგან და (ა)რა³ შემდგომად ჩუენსა უკიანის მომავალთა მეფე-
თა და დედოფალთაგან. და[ა]რცა⁴ შეგეცვალოს და არც ვინ გუიბძანებია მშლელ
და მქცევარი ბრძანებულისა ამის ჩუენისა დ გე[წი]ფებოდეს. დაი-
წერა წიგნი და ბ[ძანე]ბა ესე ქიორნი[კიონ]ს რმა, აგუსტოსა ვ., ინდიკდიონსა
მეფობისა ჩუენისასა მეცექუსესა კელითა კარისა ხუცისა ჩუენისა რის-
ძისა გაბრიელისა და შათა დღეთა საუფლო წირვასა თუ დაგუ[ა]კლებდეთ და[ა]
არა გუიწირევდეთ ჩუენთუისმცა განიკითხვით მას მეორედ მოსლასა.

[ქ]. ჩუენ, (პატრიონმან მეფეთა)-მეფემან გიორგი ესე წყალობისა და შე-
წყალების წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და გიბოძეთ თქუენ, მღდელ-
სა, დავითს და გი[ორგი]ს შეილთა და მომავალთა ყოველთა-
ვე შეგიწყალეთ | და გიბოძეთ

ბ

გქონდეს სამქუიდროდ და სამამულოდ, როგორც ჩუენგნით ნაბოძებსა-
ჰმართებს

¹ უკანასკნელი სიტყვის ადგილის სხვა ხელით ჩაწერილია: ელიაზარს.

² სწერია: მითანადი.

³ სწერია: დარა.

⁴ სწერია: დარცა.

3. 1465 წ. სითარხნის წიგნი. მიცემული „პატრონის“ ატენის მოურავის საგია თურმანიდან მიერ ატენის ნაცვალთა ძაგან და სხვა ვიგრიაშვილებისადმი. დედანა. 34,5×12,5 სმ. დაწერილი ეტრატზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი — საქ. მუხ. № 1301 ჩd.

ქ. სახელითა ღმთისათა, ესე შეწყალებისა წიგნი და ნიშანი მოგეცით ჩუენ, პატრონმან საგიამან და ჩემთა შვილთა ზაქარია, სიაოშ და შალვა თქუენ, ჩემთა ერდგულთა ყმათა, ატენის ნაცვალთა ვიგრი[ი]აშვილთა ძაგანსა, ვიგრი[ია]სა, შიომა და ანდრი[ია]სა,— შვილთა და მამავალთა სახლისა თქუნისათა ყოველთავე,— მას უამსა, ოდეს შეგიწყალეთ და გათარხნეთ ყოვლი-სა]!¹ სათხოვარისაგან და გამოსალებისა, სამუშაოსაგანა; მოკითხული ვქენით და ძულადგანაც თარხანი და შეუვალნი ყოფილიყვენით, აწ ჩუენცა წიგნითა ამით გათარხნეთ ასრე და ამა პირსა ზედა, რომე ერთის სამსახურის მეტი თქუნენ კარსა ზედა არა მოდგებოდეს რა, არა ჩუენგან და არა შვილთა და მა-შავალთა ჩუენთაგან. ქონდეს და გიბედნიაროს ღმ[ერ]თ[მ]ინ, ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შიგა გაქმაროს. ესე არაოდეს მოგვშალოს, არა ჩუენგან და არა შვილთა და მამავალთა ჩუენთაგან. ერთის სამსახურის მეტი თქუნენ კარსა ზედა არა მოდგებოდეს რა, არაფერი სათხოვარი და გამოსალები და სამუშაო. არას უამსა შიგა ესე არ შევიცვალოთ. მე ავთანდილიშვილს უამიარას (?) და-მიწერია, მოწამეცა ვარ. დაიწერა ქ[ორო]ნ[ი]კონ[ი]სა რნგ. + + +²

4. 1477 წ. ივლისის 4-ს. მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ნიკოლოზ და სხვა პალატის-შვილთა მიერ გოგიტა არდაშერას-შვილისადმი. აქვე — დაგის გარდაწყვეტი-ლობის წიგნი მიცემული შავერდა არდაშელაშვილის მიერ ამირასლან და ბერინა მექვაბ. შვილისადმი 1638 წ. დედანი.³

ქ. სახელითა ღ[უ]თისად[თ]ა,.. ესე მტკიცე ნასყიდობისა სიგელი დაგიწერე-თა და მოგეცით ჩუენ, პალატის-შვილთა: ნიკოლოზ, ზაქალ, ავთანდილ, ბეჭ-ჭენ, დემეტრე და შვილთა ჩუენთა; რამინ, ერანგი, და ჯანგიშერ, და ზავრან და შვილისშვილთა და მომავალთა გუარისა ჩუენისათა ყოველთავე თქუნენ, არდა-შერას-შვილსა გოგიტა[ს] და შენთა შვილთა ლაგაურს და პაპიასა და შენთა შვილისშვილთა: მამულასა, შალვას და მამაგულსა⁴, მოგყიდეთ ჩუენი მქუიდრი მამული კრწანის ვენაკი, შენგანვე აშენებული, ყოვლისა კაცისაგან მოუდევარი და მოუსარჩელელი მისითა წყლითა, რა გუარაცა ამას წინათ ჰქო-

¹ სწერია: ყოველი:

² სათაური: (ქ ეს) სითარხნის წიგნი არის.

³ საბუთი ეკუთვნის ტფილისის მკვიდრს ნ. კვე ზე რელ - კოპა ძე ს.

⁴ აქ საბუთის დაწერისას ცალიერი ადგილია დატოვებული და უკანასკნელი სამი სიტყვა მას შემდეგ, ძველადვე, სხვა ხელით არის ჩაწერილი (სტრიქონში).

ნებია¹, მისითა გზითა და მისითა სამზღვრითა გოსალას-შეილისა და გრიგოლასა და ლიტრასა ვენაკასა შუა, გზასა ქუეთ; და ავილეთ ფასი სრული და უკლები, რათაცა გული ჩუენი შესჯერდებოდა და მისი ფასი საყდარსა მოვახმარეთ. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან; როგორაცა თქუენგან მკუიდრსა ნასყიდსა მამულსა მართებს, აგრე ვერავინ დაგეცილოს; და, თუ ვინმე მცილე და მოსარჩელე გამოჩნდეს, პირისა და პასუხის გამცემი ჩუენ ერთობით პალატის-შეილი ვიყუნეთ. ვინცა და რამანცა გუარისა კაცმან, ანუ ჩუენისა გუარისა კაცმან, ანუ სხეულისა გუარისა კაცმან შეგიცვალოს, რისხავსმცა დაუსაბამო ღმერთი... დამამტკიცებელნი და გამთავებელნი ღ[მერ]თმან აკურთხენს. ამინ. დაიწერა ეამ-სა მეფეთ-მეფისა ბაგრატისა, და ქ[ო]რ[ო]ნ[ი]კ[ო]ნსა რნიე, თვესა ივლის[ს]ა დ.—კელითა მიწა იოვანე ხუცისათა.

+ + + ჩუენ, ავთანდილ, ბეშენ, დემეტრე ამისნი გამთავებელნი ვართ.

მე, ფილიპე ხუცესი მოწამე ვარ. +

ჩუენ, დარჩიბეგის-შეილი² დავით და მათეს - შვილი მახარებელი და თევდორეს-შეილი ბასილი ამა მამულის[ს] დამფასებელნი ვიყუენით და მოწამენიცა ვართ.—|—|—|—

—+— ჩუენ, გოსალას-შეილი ნიკოლოზა და ბადრისა-შეილი გრიგოლა და ლიტრას სიძე გიორგი მოწამენი ვართ.

+ მე, თუმანბეგას-შეილი საღათიერ ამის მოწამე ვარ.

და არც კულუხი გეთხოვებოდეს³.

ძმასა შენსა შავერდასა და შუილსა ნ[ა]ლდიასა⁴.

ქ⁵ მე, არდაშელაშუილი შავერდ[ა] შემოგეცილე დილარეთის-შუილის-გან⁶ ჩუენზედ მოსყიდულთ და ჩუენგან თქუენ მექუაბის-შუილს ამირასლანასა

¹ სიტყვის წინ ასო 3 წაშლილი უნდა იყოს.

² ეს გვარი, დარჩიბეგის-შეილი, მოხსენებულია 1445 წლის საბუთში; სახელდობრადიმიტრი მეფე ადლევს ნასყიდობის წიგნს დარჩიბეგის-შეილებს ზაქარიას და დავითს და მის შეილს ბასილს (არქ ფ. 230, დაგთ. 1, № 292, ფურც. 69).

³ ეს სტრიქონი დაწერილია სხვა ლამაზი ხელით.

⁴ ეს სტრიქონი დაწერილია წინა სტრიქონის ქვემოთ სხვა ხელით, იგი დამატებაა პირველი საბუთისა და ადგილი უნდა ეჭიროს საბუთის მიმღების არდაშერას-შუილის გოგი-ტას შემდეგ.

⁵ აქედან იწყება მეორე საბუთი, განაჩენი, რომელიც სულ სხვა ხელით არის დაწერილი.

⁶ ქსევე გვარი, დილარეთის-შეილი, მოხსენებულია 1703 წლის საბუთში ნაზარალიხანის მიერ.

+ მე, ნიკოლოვოზ ამისა გ[ა]მთ[ა]ვე-ბ[ე]ლი ვარ.

+ ეს ჯუარი ზა[ა]ლისი და გამთავებელი ვარ.

მე, ამბრის-შეილი იოვანე ამის მოწამე ვარ +

ჩუენ, ზა[ა]ლის ყმანი: ჯანიბეგა, სუჯა და ნუქრადინ — ივანე მოწამენი ვართ + + +

—+— ჩუენ, გოგიტას მეზობელნი—
—+— ულუბეგა, ანტონე, ჯანბაზა, გრიგოლ, ლარიბზა, მახარებელი მოწამენი ვართ.

+ მე, მეუნაგრე ხატისა და გუჭუნას-შეილი.... მურალა აბისი მოწამენი ვართ. +

და ბერინასა, აღმურაშვილს ოოსტომასა და ბაისულსა .(?) ზედ მოსყი-
დულს [მა]მულს შეწოვესაჩჩლენით და სქა]დივხოთ შეგვექნა საქმე; მოვედით
კელმწიფის კარზედა; კელმწიფის ბრძანებით მდივანბეგი ოოინ ბრჭეთ დაგუ-
იჯდა] და ქალაქის მამასახლისი აშირა . . . ბაშვილი. სუფრაჩი გურგენი;
ლიმერ|თმ|ა|ნ და სამართალმან და ლივანბეგმან თქუნივ ნასყიდი მამული თქუნენ-
ვე დაგ[ა]ნარჩუენა (sic). არის ამ საქმის დამხედომი და გარდა|მწყველი დივან-
ბეგი ჯავახიშვილი ბ[ა]ტონი ოოინ და ქალაქის მამასახლისი აშირა და სუფრაჩი
გურგენ, კრწანისის მამასახლისი ბერინა, ჯანუაშვილი [მკო|ტიჩი, ხუდალ|ა]-
შვილი არაქელა. მე კელმწიფის კარის მდივანს ყორლანაშვილს მერქა|ის და-
შიწერია და მოწამეც ვარ ამ საქმისა და სიგლის მოცემისა. ქ[ორონი]კ[ონ]სა
ტკვ, მარტსა კ. + + +

5. 1518 წ. წყალობის წიგნი, მიცემული შიოშ ფალავანდის-შვილის მიერ გიორგი
გულიყაშვილისადმი. დედანი. პალიმესტრის (ასომთავრული). 34,5×22,5 სმ, დაწერი-
ლი ეტატუ მხედლული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ.
ნახმარის სამ-სამი წერტილი — საქ. ც. არქ., ფ. — № 2612.

ქ შეგიწყალეთ და გიბოძეთ ესე წყალობის წიგნი და სიგელი
უკუნისამდე უამთა გასათავებელი ჩოენ, ფალავანდის-შვილმა პატრონმა შიოშ
და შეილმა ჩუენმა ბატრონმა ვარდან და ძეთა ჩუენთა: პატრონმა ფეშანგი და
მზეჭაბუკ თქუენ, ჩუენსა ერთგულსა ყმასა გულიკაშვილსა გიორგის და შენსა
შეილსა ამოანს, გიორგის, იოთაშს, დავითს, ბეჟანს და შომბავალთა სახლისა
თქუნისათა; —ასრე და ამა პირსა ზედა, რომე მოგვიღევით კარსა და მამულის
თხოვნასა გვიაჯენით და ჩუენ ვისმინეთ იჯა და მოკენება თქუენი და გიბოძეთ
ჩერქეზაული მამული მისის კურმარითა, მიწითა. წყლითა, წისქეილითა, ჭალითა,
ჭათიბითა, სასაფლაოთა, შესაელითა და გასასლითა მისი სამძლურითა. გქონ.
დეს და გიბელნიეროს ღმერთმან ჩუენს ერთგულობაში. ასრე გვითარხნებიხარ
და მოგვიცემისა სითარჩენ, არა გეთხოვებადეს რა არა პური, არა ღვინო, არა
საკლავი, არცა მუშაობა, არასდერისთანა არა თვინიურ ერთის აღაპის მეტი.
შიოშო]ბას დღესა ჩენთვის აღაპს გარდაიდიდით (sic), ორს ზურგიელს მი[ი]ტან-
დით (sic), სამ კოკას ლვინოსა, მის პურსა და ჩუენს აღაპს ნუ დაგვაკლებთ.
ესე ასრე გავითავდეს და არა მოგვშალოს არა ჩუენგან და არცა ჩუენთა ნათე-
შავთაგან და არცა სხვათა პატრონთავან . . არიან ამისი მოწამენი: სახლის-
უხუცესი ნაგლაძე ზალ, შალბალიქიშვილი გივი, ნაგორი შალბალიქიშვილი,

ქვათახევის მონასტრისაღმი მიცემულ შეწირულ. და სლაპ. განახლების წიგნში, სადაც ვკით-
ხლოთა: „ეძეს აღაპი პახაშვიდით ფილიქეს-შვილა, დილარჯეთის-შვილის დავითისა და
შეილთა მისთა ლომისა, გოშპარისა, გოდერისა, ლუაქისა და შაითალმანისა, ეითა მათ სი-
ჭელში ჰსწერია (არც., ფ. 230, დაგვ. 1. ფურც. 896).

¹ აქ ნაწერი გადასულია და აღარ მოჩანს 8 — 9 ასო.

ისპან სამალალნიშვილი, გარსევან სამალანიშვილი, ჯაზდან შალბალიქიშვილი¹ აკთანდილ სამალანიშვილი, გიორგი სამალანიშვილი, ბეჟან ლუჩიძე, გიორგი სირაძე, გოდერძი სირაძე, გიორგი მაკრახიძე. დაიწერა კელითა თევდორე გო-გატიშვილისათა ქ[ორონი]ქ[ონ]ს სვ + + + + +

ფეშანგის	⋮ ⋮ ⋮	⋮ ⋮ ⋮	⋮ ⋮ ⋮	+	⋮ ⋮ ⋮	ფალავეადი
						შვილი

ქ. ეს წიგნი ჩვენც, ბატონს ერეკლეს, ბეჟანსა და სვიმონსა, შიოშა და ფალავეანდისა ასრე გაგვითარნებია, როგორც პაპის ჩვენისგან არის და მამის ჩვენის ფეშანგისაგან არის.

6. 1546 წ. ახალქალაქის გამოსალების წიგნი. საბუთი მცხეთის ტყელესისა.. დედანი 17X15,6 სმ, დაწერილი ოთორ ქალალზე მხედრული ხელით; განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი — საქ. მუზ., № 623 ad.

ქ. . . . ქ[ორონი]ქ[ო]ნსა სლდ. გამოილებს ახალქალაქელი. თავი კაცი ორი მოყალნენი ერთს ფურბერწა და ერთს ცხუარს. რასთენიცა ღლის ყანა. უთქს, დოიურზედა ოთხი კოდი ლალა, ფურის თავსა ერთი ჩარექი ერბო, ამას გარეთ საყველიერო ერთი ლიტრა ყველი და ოცი კვერცხი. რიგისად გოჭი და ქათამი, მალი, საური, ულაყი, სალდგომო ძროხა, ცხურისა სათვალავი ათის თავი, მალის თავსა თანგა ოდა ორი. ქ[ათოლიკო]ზი.

ქ.¹ ნადვალევს დოიურზედ ღალა სამი კოდი, თვისისა (?) ათისთავი, ცხვ-რისა და ღორის სამეგოსი (?) რასაც ერმიართლებოდეს, იმ წესითა, ისე მოგ-ვართონ. ქ[ათოლიკო]ზი.²

7. 1566 წ. სექტემბრის 25-ს. ყმისა და მამულის ნახყიდობის წიგნი, მიცემული ელისბაზ³ სოლალაშვილის მიერ პაპუნა მალალაძისადმი. დედანი. 85,7X22,4 სმ, მაწერილია სხვა საბუთის მეორე ცალიერ გვერდზე ხუცური ხელით. განკვეთილობის ნიშნად რამდე-ნიმე ადგილს ნახმარია წერტილი ან მძიმე — საქ. ც. — აუქ., ფ. — № 5087.

შ. . . ესე წიგნი მოგეც მე, ელისბ[ა]რ სოლალაშვლმ[ა]ნ და ჩ[ე]მია შვილ-მ[ა]ნ შალვამ და გიორგიმ შ[ე]ნ, მედარევეზ ხუცეს (ს) ⁴ პაპუნას მალალაძესა და შ[ე]ნთ[ა] შვილთა და მომავალთა; —ასე, რომე დამეჭირა და მოგყიდე კავთისკევს

¹ სხვა ხელით.

² სათაური: ახალქალაქურის გამოსალებისა.

³ უკანასკნელი ორი სიტყვა ჩაწერილია სტრიქონს ზევიდან. იმავე ხელით და იმავე მელნით.

გლეხი დემეტრე თავისის მამულშოთ, ვენაკითა, მიწითა, წყლითა, წისქლითა და გზითა, — ერთი საკომლო ვენაკი და ჩემი ზეარი და ორი ხვადაბუნი, ერთი დამპალაში, ერთი თვალით-უბნის ბოლოს, — ორივ ცცდა ათის დღისა და ჩემი სასახლე და გარეშემო ქუევრი და მარანი და ქოთაკევს, რაც ჩემი წილი იყო, ყოვლით უნაკლულოდ ან მთაში ნასოფლარი და საძოვარი, ყოვლით უნაკლულო სრულად შენორცს მოგვცემია. მოგყიდეთ და ავიღეთ ფასი სრული და უკლებლივ ბატონიშვლის გიორგის ბძანებით, ზოგი ქალაქს მამული გამოვართვი და ზოგი ფასი ღირებული. ჩუენში სალაპარაკო საქმე არა დარჩომილა რა. ასე გარდა-სწყდა. არის ამის მოწამე და შუადამშდური ბარათაშვლი ბოქაულთ-ხუცეს საჩინო, ჯავახიშვილი ბერუჯა, თურმანიძე სულხან, ქავთარაძე შალვა, მიწობლიძე გიორგი, ელიონხიძე გელავან და სრულად ერთობილნი კავთისკევის მოსაქმენი და მოსახლენი. მე ქოთაკევის წინამდევას იოვანეს დამიწერია და მოწამეც ვარ. დაიწერა ნასყიდობის წიგნი და სიგელი ესე ქვეს სმიგ, სეკციდენბრი/ის კე. ამაში სალაპარაკო და მისადევარი არა დარჩომილა რა. ასე გარდა-სწყდა. რაც მამული მოგვეცით, წიგნი ჩუენც აგვლია ოქუენგარი და ჩუენც ეს წიგნი თქუენგოც მოგვცემია. ლმერომა/ნ მშვდლობით გაემაროსთ ჩუენი ალალი მამული სამკუდრო თქუენგა და თქუენგი მამული და ფასი ჩვენა. დამამტკიცებელნი ამისნი ლმერომა/ნ აკურთქენს. ა/მი/ნ ა/მი/ნ. + +
ი/ოვა/ნ]ი, +
+ + +

8. 1569 წ. ყმების შეწირულობის წიგნი, მიცემული კახთა მეფის ლეონ 11-ის მიერ მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიაზე, საბუთი აღნაშენული ეკლესია, №№ ტმ, 46. დედანი. დაკერებული თავში. ზომა დენისა 71,2×22,7 სმ, ზომა საკერებლითვე 82,2×22,7 სმ, დაწერილი თეთრი ქალალის ორ ერთმანეთზე დაკერებულ კაფჲე ლამაზი ხელით. განკუტილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი ან ორ-ორი წერტილი მძიმით. წერტილები მრგვალ მცირე წრეებს წარმოადგენს — საქ. ც. — არქ. ფონდი 226, № 5529.

ქ ჩუენ ლუ]თივ გუირგუინოსანმან მეფემან, პატრინმან ლეონ ესე უკუნისამდე უამთა გასათავებელი სიმტკიცისა სიველი გადარეთ და მოგაკენეთ თქუენ, ცათა მობაძაქსა საყდარსა და მას შინა სუეტსა ლუ]თივ-ალ-მართებულსა კუართსა სიულოსა და მირონსა ლ/მერ/თ - მყოფელსა და თქუენსა საჭეთმცყრობელსა ქართლისა კათოლიკო/ხ — პატრიაქსა ნიკუალაოზს; — მას ქაშსა, ოდეს სოფელი ჯიმითი ძუელითვან სუეტის-ცხოვლისა ყოფილიყო და უანთა ვითარებისაგან ჯიმითი გაცემულიყო და მისად სანუქფორდ ვიგულვეთ და ვიგულსმოღინვეო (sic) კითხვითა და თანადგომითა და ნებადართვითა ქართლისა კუ-პატრიაქისა ნიკოლოზისითა მოგახსენეთ და შემოგწირეთ ზემოღანუეით თექუსმეტი კუამლი კაცი: ქეეხა სულთანა, ბეგია, მოლა, მანაველა, ესაია, ქემა, მერაბა, იმარინდო, სანჯა, ჯანა, სომლულა, ნაღირა

ნასყიდა, ხულია, ბალა, ცურა ასრე და ამა წესითა, რომე რაც მათი გამოსა-
ვალი იყოს, ანუ საბატონო, ანუ სამოურაო, ანუ კარის სამოკულეო, ყველა
უკლებლად და უნაკლულოდ სუეტის-ცხოვლის საყდარსა და მაჟედან მჯდომაშა
ქართლისა ქათოლიკოზ-პატრიაქესა მიებარებოდეს და ლაშქარ-ნაღირობისა,
ბეგრისა და საურდოვოს მეტი ჩუენგან და შემდგომად ჩუენსა სხუათა მეპატ-
რინეთაგან არაფერი სათხოვარი და გამოსავალი არა ეთხოვებოდეს და, რა-
რიგადცა სხვა ცათა მობაძისისა კათოლიკე ეკლესიისა სოფელი და ყმა განთა-
ვისუფლებით და მეუღლებრად შეწირული იყოს, ისრევე მეუღლრად და სამამულებ-
შეგუიწირავს და სასოებით მოგუიყსენებია სულისა ჩუენისა სახსრად და სალხი-
ნებლად და მეფობისა ჩუენისა წარსამართებელად. აწ ვინცა და რამანცა გუარ-
მან კაცმან ანუ დედაკაცმან, მეფემან ანუ დედოფალმან კელყოს ამისად შლად
და გამოუყებად რისხაცსმცა მამა, ძე და სული წმიდა. . . ამისნი დამამტკი-
ცებელნი ლმერთმან აკურთხენეს. დაიწერა მტკიცე სიგელი ესე ინდიგტიონსა მე-
ფობისა ჩუენისასა ნგ, ქორონიქონსა სწ. ლეონ,¹ ნებითა ლუთისათა.

9. 1673 წ. აპრილის 23-ს. შეწირულების წიგნი, მიცემული ვიღაც პირის მიერ ნი-
ჭიშის ეკლესიისადმი. ამონაწერი ხსენებული ეკლესის საბუთიდან, შესრულებული
სინდის კანტორის ბრძანებით XIX საუკ. პირველ მეოთხედში. დაწერილი ამო-
ნაწერების დავთარში მხედრული ხელით — საქ. ც. — არქ. რეგ. დავთ. 3, ფურც.
94—95, № 22.

№	ქ-ს	წელი	თთუე	რომელთა გამთავან მი- ცემულ არს	პახრი წერილთა გამოცხადებითა ეკლესიის შესახედრთათა სახელის დებით
22	სწია	აპრი- ლის 23	თავი აკლია შემწირებული არა ჰქიანს		დაიწყება ესრეთ: მათითა კერძითა მა- შულითა, მიწითა, ველითა, ვენახითა, წყლითა, წისქვილითა და ყ[ოვლ]ითა მათითა სამართლიანითა. და გარდაიხ- დიდენ ალაპსა. კ[ვალა]დ შეუწირავს ზე- მონიქოზს მირზაული მამული მისითა სა- მართლიანითა და ვინც იყოს მამულსა მას ზედა, გარდაახდიდეს (sic) ალაპსა; კ[ვალა]დ შეუწირავს რხვითს მარტუ- ლოზას-შვილის მამული, ორთავე განაყო- ფთა მამული; იქვე რხუითის უფლისუ- რისა შემწირებელისა კერძი ნახევარი მა-

¹ სვეულად.

² წარწერები საბუთის მეორე გვერდზე სხვადასხვა ხელით: გამოიწერა ჭუჯარი ესე
განსაპილებლად (sic) ქორონიქონს სწ. დაწერილი.

³ სიგელი ლანუკისა

მული და განუთავისუფლებია სათხოვ-
რისა თვისისაგან და დოკუმენტსა მას
შეინა მოხსენებულსა შეწირულნი უნდა
აღასრულებდეს საძახურა და განწესე-
ბასა აღაპისასა. კელ ჩართულია და ძნე-
ლად წასაცითხია. ზის ჯვარი და დამ-
წერისიგან კელის მოწერით დამწ-
მებულ არს. კ[ვალა]დ მოწერილია ცუდ
ხელად და გამაქრქალებულია და არა საჩან
და ვისგან არის არ იცხადება. სხვა
კელი და სხვა მელაზია და ესე ჰსჩანს:
კულუხი და ბეგარა მიართვინ, იახლოს
მსახური, მზარეული, მეჯინიბე მიართვან,
გამოიყვანოს ვისიც ენებოს, მიქაულს
სამეხრეო, შობას ძე ვენი და სასუქი, ახალ-
წის (sic) ძლვენი, ნათლისლების ძლვენი,
სანთლისა უმის სანთელი მიქაჭულმა უნ-
და მისცეს საყდრის ყმას; საყველიარო
საკომლოზე ლიტრა ერბო, თორმეტი კვერ-
ცხი საკომლომა უნდა მიართვინ, ალდგო-
მის ძლვენი და სასუქი, რომელიც სხვა
ექლესის ყმათ აძევსთ; სამსახური, საქ-
ერიო, საჩექმე, შესამყრელო, გასამყ-
რელო და სხვა, შეშის ზიდვა, სა-
ბალახე, ნახირის თავი, ყველა საყდრისა
არის. კელმოუწერელია, დოკუმენტსა
ამას ზედა თავს გადაწებებული ყოფი-
ლი ქალალდი და დაწერილი მას ზე-
და, მაგრამ მოგლეჯილია და აღარ
არის.

10. 1579 წ. ყმისა და მამულის შეწირულობის წიგნი, მიცემული კახთა მეფის ალექ-
სანდრე II მიერ მცხეთის სეკტიცხოვლის ეკლესიისადმი. საბუთი აღნიშნული ექლე-
სიის №№ ტიკ, 19. დედანი. დახეული თავში. I გ 27,2X22,3 სმ. დაწერილი თეთ-
რი ქალალდის თას ერთმანეთზე გადაბმულ კეფზე მხედრული ხელით. განკვეთილ-
ბის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარისა სამ-სამი წერტილი — საქ. ც. — არქ.,
ფონდი 226, № 5530.

ეპა, საყდარო კათოლიკე ექლესიაო მე, მინდო-
ბილმან და მოქენემან შეწერნათა და ცვა-ფარვათა თქუნთამან, თქუნ ძლით
მპყრობელმან მეფობისამან, ისე-დავით-სოლომონ-ბაგრატიონიანმან
ათხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომხთა, შარვანშე და შანშე და ყოვ-

ლისა აღმოსავლეთისა და ჩრდილოვეეთისა სამანთა კედართა თუით-
 ფლობით კელმწიფედ შპტრობელ - მქონებელმან მეფეთ - მეფემან პატრონ-
 მან აღექსანდრე, თანამეცხელრემან ჩუენმან დედოფალთა-დედოფალმან პატ-
 რონმა თინათინ და ძეთა ჩუენთა: პატრონმა ერაკლე, დავით, გიორგი, კოსტან-
 ტინე და ოოსტომ და სახლისა ჩუენისა მომავალთა ყოველთავე, — კალვიაჭ
 და გულს-მოდგინედ ვიწყე ძიებად, რათამცა მცირედითა რაომე და უნივორთა
 ნაღვაწითა მემსახურა ჩუენისა განმაძლიერებელისა და მცველ-მფარველისა
 დიდისა და ცათა მობაძავისა მეორედ იერუსალემისა დედა-ქალაქისა მცხეთისა.
 წმიდისა სამოციქულოსა, საპატრიაქოსა ეკლესისა და მას შინა ღ-თივ აღმარ-
 თებულისა სუეტისა ცხოველისა, კუართისა სამეუფოსა და მირონისა ღ-თ მყო-
 ფელისათუის. შევსწირეთ და მოვახსნეთ ჩუენდა სადლეგრძელოდ და მეფო-
 ბისა ჩუენისა წარსამართებლად ბარაუნთათ ორმოცდა ორი კუამლი კაცი და
 პატრონსა ჩუენსა ძმასა რაც შემოეწირა, ისიცა ასრე და ამა პირსა ზედა: მათითა
 მამულითა, მთითა, ბარითა, წყლითა, წისქუილითა, ველითა, ვენაკითა, ნასყიდითა
 და უსყიდლითა, საძებრითა და უძებრითა მისითა სამართლიანითა უნაკლულოდ
 და შემოვუიწირავს სუეტისა ცხოველისათუის მკუიდრად, თარხნად და შეუვა-
 ლად და, ვითა ვერვინ მკადრე არს, ეგრე უცილებლად ყოვლის ადამის მონა-
 თესავის კაცისაგან. სხვა ჩუენგან არა ეთხოვებოდეს რა, არა პური, არა ღუინო,
 არა ყალანი, არა შესაწევარი, არა მალი, არა ბეგარი, არა ულაყი, არა საჯინი-
 ბო, არა საბაზიარო, რაც მდივნისაგან მოიგონების და დაიწერების, არაფერი
 არა ეთხოვებოდეს რა სათათროს საურის შეტი. არას უამის გამოცულილობი-
 სათუის არა შეიცუალოს არა ჩუენგან და არა შემდგომად ჩუენსა მომავალთა
 მეფეთა და დედოფალთაგან და არას ნათესავისა კაცისაგან და დედაკაცისაგან.
 ვინრა და რამანცა კაცმან, ანუ მძლავრმან მძლავრობით, ანუ უქუედაესმან რჩო-
 მისათუის შეცვალოს და კელყოს ამისად შლად, ცევად და გამოკუებად, ანუ ვინ იურ-
 ვოს, ანუ მოციქულად შეეჭნას, ანუ რასაცა მიზეზისა შემოლებითა გამოსწიროს და
 გამოაკოს ცათა მობაძავსა კათოლიკე ეკლესიასა მცხეთისა საყდარსა ესე ბარაუნ-
 თათ მონასტერი ხატისკარი მისით შესავლითა და ორმოცდაორი კუამლი კაცი
 და, რაც ბატონს ჩუენს ძმას გიორგის შემოეწირა, ისიცა ჩუიდმეტი კუამლი
 კაცი იანდერასძენი, ჯანაანი, ყუერწითელაანი, ცუგანი, ბაზიერნი, გენგასძენი,
 ჩხუპიანი, მთავარაანი, ალაზანზედ საჭისქუილე, საკანე და საფიცხულე — ასრუ-
 რომე ბუეთანს ზედათ და ინაბოტის წყალს ქუეშეთ წინ ვერავინ პკადროს და
 გარდაუდგას და რაცა პატრონს კ-ზს ნეკრესლისათუის და მის ძმათათუის კაც-
 ნი ებოძნეს თორმეტი კუამლი კაცი და რანიც ამაშივან სწერიან, გამოსწიროს
 და მოუშალოს, — რისხავსმცა დაუსაბამო ღ[მერ]თი . . . და ვინცა დაამტ-
 კიცოს, ღ[მერ]თ[მა]ნ ყოველივე მისი გაგებული მტკიცე ყოს. დაიწერა სიგელი-
 ესე, ერთის ლაშქარ-ნაღირობის კიდე არა ეთხოვებოდეს, ქ[ორონი]კ[ონ]სა სნიზ-
 კელითა იოვაკიმისითა.

ალექსანდრე ვამტკიცებ ნებითა ლმრთისათა. თინათინ, ერეკლე, დავით^{1*}.

¹ ამის ქვემოთ ჩვა სიტყვა დაწერილია ხვეულად.

* მინაწერი საბუთის შეორე გვერდზე სხვა ხელით: ქ. სიგელი ბარაუნთა და ალაზნი-კონისა.

11. 1581 წ. აგვისტოს 8-ს. სითარხნის წიგნი, მიცემული სვიმონ. I მიერ დავით ბერაძისა და სხვებისადმი. დედანი. 26,7×15,3 სმ, დაწერილი თეოზ ქალალდზე მხედარული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი — საქ. ც. — არქ. ფონდი 226, № 5510.

ქ. ჩუენ, ღ[უ]თივ გუირგუინოსანმან მეფეთ-მეფემან სუიმეონ, ესე წყალობისა და სათარხნო წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერთგულთა ყმათა კავთისკეველთა, ჯილავის მეთოფეთა ბერაძეს დავითს, იმნასძეს ზურაბს, და მირიანისძეს იოვანეს; — მას უამსა, ოდეს მოგუიდევით კარსა და სათარხნისა წყალობისა წიგნისა გუეაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, წიგნითა ამითა გათარხნეთ და განგათავისუფლეთ ასრე და ამა პირსა ზედან, რომე არათერი საჩუენო სათხოვარი და გამოსალები არა გეთხოვებოდეს რა. არა ბაშმალი, არა ღალა, არა კულუხი, არა ულაყი, არა სხუა სათხოვარი თუნინერ კარისა ჩუენისა მსახურობისა და სათარხოსა საურისაგან კიდე. გქონდეს თქუენ, ერთობილთა ჯილავის მეთოფეთა და გიბედნიეროს ღ[უ]თმან ჩუენსა ერთგულად სამსახურსა ქუეშე. გიბ[ძანე]ბთ კავთისკევისა მოურავ(ნ)ო და სხუანო მოკელენო და კარისა ჩუენისაგან წარკელენილნო მოსაქმენო, ბ[ძანე]ბა და ნიშანი ესე თქუენცა ასრე გაუთავეთ და ნურას შეუცულით. დაიწერა წიგნი და ნიშანი ესე ქ[ორონი]ქ[ონ]ს სთ, თუესა აგუისტოსსა (sic) რვას, კელითა. თუმანისშვილის შაჰველისითა. სვიმონ¹.

(აქ მისდევს სპარსული ჭარ წერა 15 სტ. რიქონად).

12. 1582 წ. მაისის 10-ს. სითარხნის წიგნი, მიცემული სვიმონ I მიერ ნათანელ ერემას-ძისადმი. დედანი გახეული სამად: ორი ნახვი (ერთი დიდი, მეორე მ:კირე) შენასულია, მესამე (მცირევე) დაკურგული. 29×15,3 სმ, დაწერილი თეოზ ქალალდზე მხედრული ხელით. გაკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი — საქ. მუზ., № 1050 ჩბ.

[ქ] წყალობითა ღ[უ]თისათა] . . . ჩუენ, ღ[უ]თივ გუირგუინოსანმან მეფეთ-მეფემან სვიმეონ, ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ღილმელს ერემასძეს—წმიდის გიორგის დეკანზს—ნათანელს და შეილსა შენისა უეშთელს, მას უამსა, ოდეს მოგუიდევით კარსა და თარხნიბისა წიგნისა წყალობასა გუიაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და გათარხნეთ და განგათავისუფლეთ წიგნითა ამითა ასრე, რომე არა საჩუენო ბეგარა და გამოსალები არა გეთხებოდეს რა, არა ბაშმალი, არა ღალა და არა კულუხი ერთისა წმიდის გიორგის სამსახურისა და სათარხოს საურისა მეტი. გქონდეს და გიბედნიაროს ღ[მერ]თმან. ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შიგან და აროდეს არ მოგეშალოს მტკიცე წიგნი და ნიშანი ესე ჩუენგან ნაწყალობევი. აწე გიბ[ძანე]ბთ დილმის ტარულანო, მელიქნო და სხვანნო კარისა

¹ ხვეულად.

ჩუენისაგან წარვლენილო თაპსილდა[რო]

თქუენცა ასრე გაუთავეთ რა რიკაცა ამ ფარვანაში ეწეროს და ნურას შეუშლით და ნურცარას შეცილებით. დაიწერა ნიშანი და ბ[ძანე]ბა ესე ქ[ორონ]იკ[ონ]სა სო, მაისს ი. []

ქ. მეფე-მეფეთა სუმეონ გიბ[ძანე]ბთ

ვინგინდავინ კარიო ჩუენით წარვლინებულნი მოსაქმენი იყუნეთ, მერმე ამ დაიმის დეკანზეს ნათანელს, რარიგადაც ამ ფარვანაშიგ ეწეროს, იმრიგად გაუთავეთ და ნურასა სთხოვთ. ქ[ორონი]ქ[ონ]ს სოზ, ღვინობისთვეს იდ.

(ა.ქ მისდევს სპარსული წარწერა 9 სტრიქონად).

13. 1601 წ. მამულისა და ყმის შეწირულობის წიგნი, მიცემული ალექსანდრე მეფის მიერ მცხეთის სვეტცებოვლის ეკლესიისადმი. საბუთი აღნიშნული ეკლესიისა, №№ ტ. 18. დედანი. დახეული ადგილ-ადგილ და დაკერებული. 3 მ, 38.3×19.7 სმ. დაწერილი მოთვერია-მოყვითალო ქალალის სუთ ერთ-ერთ დაკრულ კეფზე ლამაზი მხედრული ხელთ. ზოგიერთი ადგილი წითურითა ნაწერი. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი — საქ. ც. — არქ., ფონდი 226, № 5526.

კადრეთ და მოგახსენეთ გუჯარი ესე თქუენ, სუეტსა ლ-თივ-ალმართებულსა, კუართსა საუფლოსა და მირონსა ლმერთ-მყოფელსა და კათოლიკე სამოციქულოსა ეკლესიისა . . . ჩუენ, შენ მიწრ მოერთა ზე-და და წინააღმდეგო მთა ძლიერებან, იესიან-დავითიან-სო-ლომონიან-პანკრატიონიანმან, შანშა და შარვანშა, ყოვლისა ალმოსად-ლეთისა მპყრობელ-მქონებელმან მეფეთ-მეუემან ალექსანდრე და პირმშოთა და სასურველ-საჭადელთა ძეთა ჩუენთა პატრონმან დავით, პატრონმან გიორგი და პატრონმან კოსტანტინე, შემოგწირე მცირე ესე შემოსაწირავი სოფელი ჯ(ი)მითი და ღანუეით კუამლი კაცი რვა. ხოლო სოფელი ესე ჯ(ი)მითი ძულით-განვე თქუენისა კათოლიკე ეკლესიისა ყოფილიყო და ძულინი გუჯარნიცა ირჩიდეს თქუენი. ხოლო მძლავრთა მიერ კაცთაგან კუალად მოელოთ და სიგელ-ნიცა უქმ-ექმნეს. ჩუენ დაჯერებითა ლ-თისათა და შეწევნითა და ონადგომითა თქუენითა ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ და მოუხუენით სოფელნი ესენი ანდრონიკეს - შეილსა ბეჟანის შეილთა გარსევანს და ტომთა და სახლეულთა მისთა და შემოგწირეთ თქუენ, სუეტსა ლუქთივ-ალმართებულსა, კუართსა საუფლოსა და მირონსა ლმერთ-მყოფელსა და კათოლიკე სამოციქულოსა საყდარსა, უაშსა მას, ოდეს გუირგუინი დავდევით ეკლესიისა ალვერდისასა მოწა-მეთა შორის უძლეველისა გიორგისსა, ესე სოფელი ჯიმითი და ღანუკას კუამლი კაცი რ[გა]¹ ამისად დასაურვებლად დაუდევით. შენ, ხატო ყოვლად ძლიერო და სამოციქულეო ეკლესიავო, შეიწირე მცირე ესე შესაწირავი და ნაცუ-

¹ უკანასწერელი ორი ასო ამოფხეკილია დედანში.

ლად გუაგენ წყალობანი შენი ყოველივე განსაცდელი და ზედა მოსულანი ეშმაკისა მიერნი თანაწარგუადენ, ბრძოლათა მიმართ თანამბრძოლ მექმენ. და მცუელ და მფარველ და უჯამოსა სიკუდილისაგან მიკენ და წარმართე მეფობა და შარავანდე (sic) ჩემი. ხოლო დღესა მას, რაუმ განვლიდე წუთსა ამას სოფელსა, დაუსჯელად წარმიქელუ და ჰაერისმცველთაგან განმარინე და შემრთე მტყობრთა მათ წმიდათა შენთასა საუკუნეთა საუკუნეთასა. ამინ. ვკად რე თ. და მოვახ სენე ცათა მობაძავს ა კათოლიკე სამოციქულოსა საყდარსა შენსა ჯიმითით: ბზაკალაშვილი ბაინდურა და მისი სახლი, შოთა და მისი სახლი, გოგია და მისი სახლი, იანქო და მისი სახლი, დახიელა და მისი სახლი, ყაფლანა და მისი სახლი, მაზია და მისი სახლი, ლუინიაშვილი ნადირა და მისი სახლი, უსტია და მისი სახლი, ქექუარა (?) და მისი სახლი, როსტევანა და მისი სახლი, ფერიაშვილი ბადია და მისი სახლი, პაპა და მისი სახლი, ჯან და მისი სახლი, ხარება და მისი სახლი, კუირიკა და მისი სახლი, შავერდი და მისი სახლი, ნადირა და მისი სახლი, ბელუკა და მისი სახლი, ხუცესი მახარებელი და მისი სახლი, ბრუტის! ¹ - შუილი სოზნია, ქობელაშვილი ჯაფა და მისი სახლი, ირემა და მისი სახლი, ვეფხია და მისი სახლი, კოპის-შუილი ლუინობა და მისი სახლი, ჯაფა და მისი სახლი, მირო და მისი სახლი. ღანუკია: გიორგი და მისი სახლი, სურამელი და მისი სახლი, დანიელა და მისი სახლი, ნატრო და მისი სახლი, დარჩა და მისი სახლი; შავერდა და მისი სახლი მათითა მთითა, ბარითა, წყლითა, წისქუილითა, სათიბითა, ველითა, ვენაკითა, რიოაცა ბერანის-შუილის ყმობაშიგან ეჭმოს. და ჰქონებოდეს მით ყოვლითურთ შემოკუწირიავს და საჩუნოსა გამოსალებისა-გან ყოვლისაგან გაგუითარებებია. ასრე რომე არაფერი ჩენი გამოსალებისა-გან არა ეთხებოდეს რა: არა ყალანი, არა პური, არა ლუინო, არა ტიქ-ტო-მარა, არა გოჭ-ქათამი, არა საბაზიერო, არა სააპონისალლო (sic), არა შესა-წევარი. ჩუენგან ჩუენის კარის ვაზირთაგან და სახლის-უხუცესთაგან და გამ-გეთაგან არა ეთხებოდეს რა თუნინერ ლაშქარ-ნადირობისა და სათათრეს საუ-რისაგან კიდე. ესე ასრე დაგიმტკიციდეს თქუნ, სუეტსა ლ-თივ აღმართებულსა, კუართსა საუფლოსა და მირონსა ლმერთ-მყოფელსა. და სამოციქულოსა ეკლე-სიასა საჭეთმცყრობელი კათალიქოზი იყოს. აწე ვინცა და რამანცა ძემან ადამის მონათესავემან კაცმან, მეფემან, ანუ დედოფალმან, ანუ კარისა გამრი-გეთა და უხუცესთა მათთა იყადრონ ჩუენგან სურვილით და სასოფებით მცირე-თა ამათ ნალუაწოა შლად და არა დიმტკიციებად, ლ-თმან ყოველივე კეთილი გაგებული მისი დაუმტკიციცებელ ყოს, ჩუენთამცა ცოდვათათუის იგი განიკითხვის დღესა მას დიდსა განკითხვისასა . . . დამამტკიციცებელი ამისნი ლ-თმან აკურ-თხნეს . . . დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ქიორონიკენისა სპთ, ინდიკდიონსა მეფობისა ჩუენისასა კშ. კელმწიფე ალექსანდრე ვამტკიცებ ნებითა ლმრთისაითა. ამინ. დავით. გიორგი. ² | |

¹ ამის ქვემოთ რვა სიტყვა დწერილია ხვეულად.

² სათაურები სხვადასხვა ხელით:

ქ. ჯიმითის გუჯარი მეფის ალექსანდრესი.

ქ. სიგელი ჯიმითისა.

ქ. სიკელი ჯიმითისა და ღანუკისა, ალავერდელს რომ გვირგვინი დაბურა ბატონმა-ალექსანდრემ.

1601 წ. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული მისტანა შალიკაშვილის მიერ სულ-ნანა და მგელია გუდაძეთადმი. საბუთი მცხეთის ეკლესიისა, № 461. დედანი. 40.2×10 სმ. დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ხშირა დნახმარია თითო, ორ-ორი, ან სამ-სამი წერტილი — საქ. ც. — არქ., ვ. —, № 1493.

ქ . . . ესე ამიერით უკუნისამდის უამთა და ხანთა მტკიცედ შეუცვა-ლებელი ნასყიდობის წიგნი და პირი მოგეც მე, შალიკაშვილმა მისტანამა შენ, გუდაძესა სულხანასა და მგელიასა და მავაგალსა სიახლისა შენისა-თა ყოველთავე; —ასე რომე მოგყიდე ჩემი მემკვიდრე კუა გოლიათიძე ელია და მოგვიცით ფასი სრული და ლირებული. [გ] ჟივანდეს და გიბედნიეროს ო[მერ]-თმა. არის ამის მოწამე თავ[ა]თ ღმერთი . . . კაცთაგან: ბლიაძე ოქროპირი და ბიბია, ყავხა(?)შვილი დათვია, ვარდიაშვილი ალგომელი, ჩხუტაშვილი შალუტა, მათიაშვილი მამუკა . . . მე მამუკას დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. კიდევ ამის მოწამე ბლიაძე ბესია და ბლიაძე მიხუა. ქორონიკონისა სპო. ++

15. 1605 წ. ავესტოს დამდეგს. ობოლიშვილის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ნადი-რა ლომიტას-შვილის მიერ რევაზ ნამურაძისადმი. საბუთი მანგლისის ეკლესიისა, № 64. დედანი. 43,3×15 სმ. დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით. განკვე-თილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი — საქ. ც. — არქ.: ფონდი 226, № 4826.

ქ . . . ესე დროდაუდებელი და მიზეზშემოულებელი ყოვლის ჩხუბისა და ილეთისაგან გამოსული უამთა და ხანთა და ადამიან[ი]ს ნ[ა]თესავისა კაცთაგ[ა]ნ უცილებელი ნ[ა]სყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, გლდანური ლომიტას-შვილმ[ა]ნ ნ[ა]დირ[ა]მ და სახლისმ[ა]ნ ჩემ[მა]ნ მომავალ-მ[ა]ნ თქვენ, ნამურაძეს¹ შალვას შვილს რევაზსა და სახლისა თქვენ[ი]სა მამა-ვალსა; —ასრე და ამა პირსა ზედან, რომე ჩემის ნებაყოფლობითა მოვიყეანეთ, ჩვენი შვილის დედა მოკუდა და პატარა ორის წლის ობოლი იყო და პ[ა]ტრო-ნ[ი] არ მყონდა, მოვიყვანე, შენ მოგეც ჩემი შვილი რამაზა და, რითაც ჩემს გულს შეჯერდებოდა, გამოგართვით ფასი. [გ] ქონდეს და გიბედნიეროს, რო-გორც სხვას ნ[ა]სყიდს მართებდეს. არავინ იყოს თქვენი მცილე და მოდავე ერ-თი თუინიერის მღ[უ]თისა მეტი. თუ ვინმე წამოგედავოს, დიდმან და ან პ[ა]ტ-ტარ[ა]მ[ა]ნ, ან ჩვენმ[ა]ნ ბატონშ[ა]ნ, პირისა და პასუხის გამცემი ჩვენ ვი-ყოთ . . . არის ამისი შუადამხდომი და მოწამე თავად ღმერთი . . . კაცთა-გ[ა]ნ: ბაგურიძიანთ ნიკოლოზა, მეყონდახია[ნ]თ ყმა სეხნია; მე ყალოანთ სუთი-

¹ დედანში პირველი ორი ასო სიტყვისა სხვა ხელით და სხვა მელნით გადასწორებუ-ლია „ქ“-დ.

შვილს მწერალს მელქუას დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა ესე წაგნი მარიამობის დამდექსა, ქორონიკონს ტუგ. + მოგე და გამოგართვით თქვენგან ფასი, რითაც ჩემს გულს შეჯერდებოდა. აღარა დარჩარა თქვენზე და არც ერთი იოტის ფასი¹. ქონდეს და გიბედინიერონს]. თუ ვინმე მოდავე გა-შოჩილეს, თვეში ერთი მარჩილი მოგცეს შესანახი ფასი. +

16. 1609 წ. ახლო. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული შანშე ჯავახიშვილის მიერ გიორგი ცალქალამანიძისადმი. პირი XX საუკ. 22X17 სმ, გადაწერილი რვეულის ორ ფურცელზე მხედრული ხელით. თარიღი არ უზის: შანშე ჯავახიშვილი გვეცდება სა-ბუთში 1609 წელს (საქ. სიდ., II, № 40 — 51). საქ. მუზ., № 7567 ჩ. 1.

ქ. . . . ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგეცით ჩვენ, ჯავახიშვილმან პატრონმან შანშე, შვილთა ჩვენთა შალვა და ქაიხოსრო, თქვენ, ცალქა-ლამნიძეს გიორგის, შვილთა თქვენთა იოთამს და სეხნიას, მას უამსა, ოდეს ქალაქშა და გორში ვალის გარდამილენი შევიქენით, დიდად დაგუეჭირა და მოგყიდვთ სკრას ჩვენი მკვიდრი და ყოვლის ადამის² მონათესავეს კაცისაგან აუცილებელი გლეხი ბესალიაშვილი პაატა, მისი ძმა გიორგი და მისი შვილი შოშია და ძმის-წული ზუბია და სკიმონ მათის ორის ვენაკითა და მრთელის მამულითა ყოველითურ, რისაც მქონებელი იყოს, მთითა, ბარითა, წყლითა, წის-ქვილითა, ველითა, ვენაკითა, სახლ-კარითა, ჭურ-მარნითა, კალო-საბზლით, საცნავითა და უკანავითა და ყოვლის მისის სამართლიანის სამძღვრითა და საქ-მითა და ავილეთ თქვენგან ფასი მარჩილი ორას ოთხმოცი და შეგვჯერდა ჩვენი კული. მოგუებარა უკლებად და აღარა დარჩა რა ჩვენი თქვენს კელთა მეგობ-რობისა და მოსამართლობის მეტი. გქონდეს და გიბედინეროს ღმერთი|მან| სამკვიდროდ და სამამულოდ რა რიგაცა სხვას ნასყიდსა მართებდეს დღეს და სა-ზოლო|ო|დ უკუნისამდი ყოვლის [ა]დამის მონათესავეს კაცისაგან უცილობლად არიან ამისნა მოწამენი და გადამშეცვეტი გოგობაშვილი გოგიბი, მარ-ტიროზიშვილი ავთანდილი და მისი ძმა ბეჟან, გოდაბრელიძე იესე, ბეჟანიშვილი ადოლა და ჩვენი ყმა ბერუა და გოგია + +

17. 1609 წ. ახლო. წყალობის წიგნი. მიცემული შანშე ჯავახის-შვილის მიერ გებან მა-მუკასადმი. პირი XX ს-სა 22X17,8 სმ. გადაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. თარიღი არ უზის: შანშე და შერმაზან ჯავახიშვილები გვხვდება საბუთში 1609 წელს (საქ. სიდ., II, № 40 — 51). საქ. მუზ., № 7322 ჩ.

ქ. მოგეცი ესე წყალობის წიგნი ჯავახის-შვილმა შანშე, ბატონმა შერმა-ზან—მოგეცით შენ, გებან მამუკასა, ამოგიუდე³ არა გეთხოებოდეს რა, ორი დღე მეა, ორი დღე ბარვა. დაგვიდებია. მოგვიმატებია ზეს სავენახე ფლიმანა-⁴ დელანში ორი უკანასკნელი სიტყვა სსვა მელნით წაშლილია.
⁵ უკანასკნელი სიტყვა აქაც და ქვემოთაც შეცომით სწერია: და მის.
³ ამოგიუდეთე?

ური, საყავრეს ჭილინა მიწა კოშაური. არის ამის მოწამე ხიმშია ინაშვილი, ზალუტა. ესე ვერავინ შეგიშალოს, ვინც შესგირისხაც მა ძე (sic) + + +¹.

18. 1616 (?) წ. მამულის წყალობის წიგნი, მიცემული კათალიკოზის ზაქარიას მიერ და-
ვით და სხვა გედავანის-შვილებისადმი. დედანი. 33,3×21(2 სმ, დაწერილი ოეთრ ქა-
ლალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნა-
ხმარია ორ-ორი წერტილი. თარიღის ადგილას უწერია: ტად; შუა ასო ზედმეტი უნდა
იყოს და საბუთი დაწერილი იქნება 1616 წელს. — საქ. მუზ., № 2510 hd.

ქ. ჩუენ, ქრისტეს ღწევითისა მიერ კურთხეულმან ქართლისა კათალიკოზმან
პატრიარქიან ზაქარია, ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ თქუენ, გედავანის-შვილ-
თა დავითს, გაბრიელს, როსებს, პეტრეს, გიორგის, აბიათარს და პაპუნასა,
ასრე და ამა პირსა ზედა, რომე მოხუედიო კარსა დარბაზისა ჩუენისათა და მა-
მულის წყალობასა გუვაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და გიბო-
ძეთ ქორდს მამული კუამლი კაცი ათი: ირემა ბექნიაშვილი, გამეხარდი . . .
უჭაური, შალ(ულაძე?) დათი, არჩვაძე მამუკა, კიდევ არჩვაძე მამუკა,
კიდევ არჩვაძე გიორგი. არლუნაშვილი გიორგი, აფხაზაშვილი ნადირა, კვესუ-
რი საგინა, . . . (შვილი)

ჩუბინაშვილი ფრიდონა. გუიბოძებია მჯუილრად და მოუშლელად, უთუ-
ოდ და უთუმცაოდ და უკუნისამდე მოუშლელად,—მთითა, ბარითა, წყლითა,
წისქუილითა, ზურითა, საკავითა, შესავალითა, გამოსავალითა, ჭურითა, მარ-
ნითა, უძებრითა და საძებრითა, ნასყიდითა და უსყიდითა, ყოვლითურო უნაკ-
ლულოდ და მოუკლებლად; გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან და სვეტმან
ცხოველმან ჩუენსა ერთგულსა და ერთგულად სამსახურსა ქუეშე. ამისად გასა-
თავებლად იყოს ღმერთი და სვეტი ცხოველი და ყოველნი წმიდანი ღთისანი
ზეცისანი და ქუენისანი, რომელნი საუკუნითგან სათხო ეყუნეს ღმერთსა
ჩუენსა ესოს ქრისტესა. აწე ვინცა და რამანცა ბონათესავემან კათალიკოზმან
შემოდგომად ჩემსა მოგიშალოს, მეუემან ანუ დედოფალმან, რჯულიერმან ანუ
ურჯულომან, რისხავსმცა ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანი და ცხოველს
ყოფელი პატიოსანი ჯუარი, რომელსა ზედა განიპყრნა ქრისტემან ღმერთმან
ჩუენმან უხრწენელი მკლავნი თუისნი კსნისათუის ჩუენისა,—მოციქულნი, წინას-
წარმეტყველნი, მღუდელომოძლუარნი, მოწამენი და ნეტარნი მამანი, მასზე-
დამცა დაესრულების მეასერგასისა ფსალმუნისა წყევა, შიშთვილი იუდასი, მეხ-
დატეხილობა დიოსკორესი, ძრწოლა კაინისი, კეთრი გეზისი, მატლით განლევა

¹ საბუთის მეორე გვერდზე სხვა ხელით: გავატანე მზითევი ერთი ყველაწმინდის ზატე
მოქედილი, დავითნი ერთი, უძნი ერთი, დაუჯდომელი ერთი, ერთი მოახლე.

² უკანასკნელი სამი სიტყვა ამოფხეკილია.

ეროდესი, დანთქბა დათან და აბირონისი და ნურათაცა იქმნების კსნა სულისა. მისისა ჯოჯოხეთით; — ბოლო დამატკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხნებს და წმიდამან ღულისძმობელმან. დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ქორონიჭკონისა ტად¹. ქათალიკოზი] ზაქარია² +

19. 1616 — 1619 წ. ოქმი ბაგრატ მეფისა ქალაქის მელიქსადმი. საბუთი მცხეთის № 242. დედანი. 6,8×14,7 სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილითარილი არ უჩის, ეკუთვნის ბაგრატ VII დროს — 1616 — 1619 წლ. საქ. ც. — არქ. ფ. — № 1261.

ზანებიზითა ლუთისა]თა და წყ[ალო]ბ[ი]თა შაჰბასისა]თა

ქ. მეფე ბაგრატ გ[ი]ბ[ძანე]ბ[თ]⁴ იმედო, ქალაქის მელიქო და მამასახლისო! მერმე, რაც ქალაქს სუეტისცხოვლის ყმა იყოს, ბაშმალს ნუ სთხოვთ. რარიგადაც სუეტისცხოვლისათვს ემსახუროს, ისევე მსახურონ და იმრიგადვე თარხანი იყუნენ. ბაგრატ⁵.

20. 1618 წ. პრილის 4-ს. სითარხნის წყალობის წიგნი, მიცემული ბაგრატ მეფის მიერ ციხოველ და იმედა იმნაძეთადმი. დედანი. დაკრებული. ზომა დედნისა 25,7×17,2 სმ; საკრებლითვე — 31,7×17,2 სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. — საქ. ც. — არქ., ფონდი 226, № 252.

წყ[ალო]ბ[ი]თა შაჰბასისა]თა!

ქ. ჩუენ, მეფემან პატრონმან ბაგრატ, ესე წყალობისა და სითარხნის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, კავთისკეველს იმნაძეს ციხოველსა, იმედასა და თქუენთა ძმათა; — მას უამსა ღდეს დაგაყენეთ მეჯინიბეთ, მოგუიდეგით კარსა და სითარხნის წყალობას დაგუეჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი. გათარხნეთ და განგათავისუფლეთ ასრე, რომე არაფერი საჩუენო სათხოვარი არა გეთხოვებოდეს რა: არა ღარა, არა კულუხი, არა საბალახე, არა მალი, არა ფურის ერბო, ერთის სათათროს საურისაგან

¹ ქორონიკონის შუა ასო ზედმეტი უნდა იყოს.

² ხვეულად.

³ სათარური სხვა ხელით:

მეფის ბაგრატის წიგნი მოქალაქეთ მალის გამოურთმევლობისათვის.

⁴ საზგამული დედანში წითელი მელნითაა ნაწერი.

⁵ ხვეულად.

2. დოკუმენტები.

კიდე ჩუენი სათხოვარი და გამოსალები სხუა არა გეთხოვებოდეს რა. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთშინ ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შეიგა. კავთისკევის მოურა და სხუანო მოსაქმენო ვინგინდავინ იყუნეთ, ანუ ვინგინდავინ იქნებოდეთ, მერმე თქუენცა ასრე გაუთავეთ, რარიგადაც ამა ჩუენგან ნაწყალობევს სიგელში ეწეროს, ნურცარას თქუენ შეშლით და შეცემილებით. დაიწერა ნიშანი და ბრძანება ესე ქორონიკონსა ტვ, აპრილის დ, კელითა კარისა ჩუენისა მწიგნობრისა თუმანის-შვილის ნასრისითა. ბაგრატ¹.

21. 1610 წ. მაისის 4-ს. სახელოსა. და ყმის წყალობის წიგნი, მიცემული კათალ. ქრის-ტეოდორეს მიერ გიორგი მიწოდლიძისადმი. დედანი. 38×14,7 სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. ასო — მეტანაკლები. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი — საქ. ც. — არქ., ფონდი 226, № 5068,

ქ. ჩვენ, ქრისტეს ღმერთისა მიერ კურთხეულმან ქართლისა კათალიკოზ-გან პატრონმან ქრისტეფორე, ესე უკუნისამდე უამთა გასათავებელი წყალობისა წიგნი და სიგელი შეგიწყალე და გიბოძე თქვენ, მიწოდლიძეს² გიორგის;— ასრე და ამა პირსა ზედა, გიბოძე გომნი სამოურავოდ და ერთი კვამლი კაცი ოქროპირის-შვილი დათუნა ყმად მიბოძებია. ესე ასრე გაგითავდეს. არა მოგეშალოს არა ჩვენგან და არა შემდგომად სხვათა მექატრონეთა და კათალიკოზთაგან. რამანც კათალიკოზმან ეს ჩვენგან წყალობა სიგელი მოშალოს და არ გაგითავოს, ლმერთმან და სვეტმან³ ცხოველმან⁴ მისი გაგებული საქმე მოშალოს. დამთამტერიცელნი ღმერთმან⁵ აუროხოს. [გ]ქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან⁶ კათოლიკე საყდრისა და კათალიკოზის ერთგულად სამსახურსა ქვეშე. დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ქორონიკონს ტჭ. თვესა მაის[ს]ი თოხსა.

კ[ათ]ა[ლიკო]ზი⁷ +

22. 1610 წ. წყალობის წიგნი, მიცემული სვიმონ II მიერ მანგლელ მთავ.-ეპისკოპოს ათანასე ტატიშვილისადმი. დედანი. მცირედ დაზიანებული. 32,2×14,1 სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ფრ-ორი. წერტილი — საქ. მუზ., № 14.422 hd.

ქ. ნებითა და შეწევნითა ლუკითისათა ჩუენ, ლუკითივუირგუინოსანმან მეფე-მეფემან პატრონმან სვიმონ, ესე წყალობისა წიგნი. შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა ერდგულსა და თავდადებით ნამსახურს ყმასა ტატიშვილს

¹ ხვეულად.

² უკანასკნელი სიტყვა სხვა ხელით და სხვა მელნით გადასწორებულია: „ბალლაძეს“-ად.

³ ხვეულად.

⁴ სათატრი: გომთა ბოძების წიგნი.

მანგლელ მთავარეპისკოპოზს ათანასეს და ძმასა თქუენსა თამაზს და შვილსა შენსა ოთარსა, ბეჭანს, ელიზბარს და იოთაშს და მომავალთა თქუენთა ყოველ-თავე; — ასრე რომე აწყურის ციხის იარიშში შალიკაშვილის მასტანას შეილი თა-მაზ მოქლეს და თქუენს მეტი პატრონი აღარა დარჩა რა და, ვითაც იმ მასტანას ქალი შენ, ტატრშვილს თამაზს გედგა, მისი საბრალოოდ ოკერი მამა და დედაც თქუენ მოგაბარეთ და, სხლითს რაც იმათ ბოგანოები იყო ფალავანდი-შვილის ვარდანის მამულში, ავჭყარეთ და თქუენ გიბოძეთ სამკუიდროოდ და სა-ბოლოოდ, რომე ამასთან კელი არავის ჰქონდეს, არც ფალავანდიშვილსა, არც მესხსა, არცავის ქართველსა და არას კაცს არა. ვინემდისი საწყალი მისი მამა და დედა ცოცხალ იყოს, ამსახურე და სამკუიდროოდ და საბოლოოდ თქუ-ენი არის და ვერავინ გეცილების ამად, ვითაც მოკითხული ვპერენით და თქუენს მეტს არავის ეკელყოდათ იმისი ბოგანოები და არცავინ პატრონი ჰქონდათ. გქონდეს და გიბედნიეროს ღ[მერ]თ[მა]ნ ჩუენსა ერდგულად სამსახუ[რსა შიგან] . . . დაიწერა წიგნი ესე ქ[ორონი]კ[ონ]სა ტზ, აელითა კარისა ჩუენისა მდიონ-მწიგნობარისა იქრუაშვილის შერმაზანისითა. სვიმონ.¹

ქ. რაც ამაში სწერია, ჩუენც ასრე გაგუითავებია. ქ[ორონი]კ[ონ]სა ტლ,² როსტომ,³ მარიამ.

304.

23. 1624 (?) წ. მამულისა და ყმის შეწირულობის წიგნი, მიცემული პატრონის მარების შიერ წმ. ევსტათის ეკლესიისადმი. დედანი. დახული თავში, 41,2×14,5 სმ, დაწე-რილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთოლობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი — საქ. ც. — არქ. ფონდი 226, № 4258.

ქ. ეიგულვეთ და ეიგულსმოდგინეთ ჩვენ, პატრონმან მარებ და პირმშომან ძემან ჩვენმან პატრონმან ავთანდილ და შემოგწირეთ თქვენ, ჩვენსა სულისა და კორცისა მეოხსა და „დამთრგუნველსა ყოველთა ხილულთა და არა-ხილულთა მტერთა და წინააღმდეგომთა ჩვენთასა. და მოგახსენეთ ჩვენი მკვიდ-რი მამული ერთაწმინდას ერთი კვამლი გლეხი ელისაბედაშვილი მამისაი და იშისი ძმები ბაატია და ნადირია და შვილნი და მომავალნი სახლისა მათისანი, მათისა მამულითა, მთითა, ბარითა, ველითა და ვენაკითა და წყლითა და ყოვ-ლისა მისისა სამართლიანისა სამდღვრისა და საქმითა, რისაცა მქონებელნი ყო-ფილიყვნენ კვალათა თქვენთვის და ოქვენისა საყდრისათვის შემოგვიწირავს. შეიწირე მენეო, წმიდაო ევსტათი, მცირე ესე შესაწირავი საკსრად და საკურ-ნებელად მონისა შენისა, პატრონისა მარებისთვის და მსწრაფლ კურნება მოანიჭე და მშევიდობით დაიცევ-წელნი ცხოვრებისა მათისანი. ამინ, უფალო. დაიწერა ბრძანებაი და შესაწირავი ესე ქ[ორონი]კ[ონ]სა ტიბ. . . . | მარებ⁴.

¹ ხეეულად.

² ხეეულად.

³ ხეეულად.

⁴ ხეეულად.

სათაურები საბუთის მეორე მხარეს სხვადასხვა ხელით: ელისაბედას-შვილისა.

ქ. ელისაბედაანთ ძველი შეწირულობის წიგნი წმინდის ევსტათისა.

24. 1626 — 1650 წლ. სითარხნის წყალობის წიგნი, მიცემული რევაზ ერისთავის მიერ თა-
მაზა ბუჩაშვილისადმი. დედანი დაზიანებული თავში. 28,5×22,2 სმ, დაწერილი თეთრი
ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სოტყვის შემდეგ ნაბ-
მარია არ-ორი წერტილი. თარიღი არ უზის, ეკუთვნის რევაზ და ზაალ არაგვის-
ერისთავთა დროს — 1626 — 1650 წლ. (ქრონიკები, II, 532) — საქ. ც. არქ., ფ. — , № 1546.

ქ ესე უკუნისამდე ხანთა და უამთა გასათავებელი წყალო-
ბა და სიგელი გიბოძეთ ჩვენ, ერისთავებან რევაზ¹ და ძმამა ჩვენმა პატრიონმა
ზა[ა]ლ და ძმისწულმა ჩვენთა პატრიონმა ზურაბ და ბ[ა]ტრიონმა ლოარსაბ და
ბ[ა]ტრიონმა ოთარ და ედიშერ, პაპუამ შენ, ჩვენს ერთგულად თავდადებით ნამს[ა]-
ხურს ყმას, ბუჩაშვილს თამაზას და ძმასა შენსა ფოცხვერსა, შემაზას, დათუნას,
შვილთა და მომავალთა ს[ა]ქლისა შენისთა; — ასე რომე გაგათ[ა]რხნეთ და წყა-
ლობა გიყავით: არა ჩვენი, არა სახემწიფო სათხოვარი, არა კოდის პური, არა
ლალი, არა კოლუხი(?), არა ჩვენი ხვნა, არა მკა, არა ლეწვა, არა ზეარში მუ-
შაომბა, არა ქქვერის რეცხა, არც, შენის სახლისა რომ ვინმე — ან სძალი, ან
შვილი გათხოვდეს, არც იმისი საქვრიო გეთხოვებოდეს; არც, ჩემის ყმისა შენ
რომ წაიყანო, იმის საქვრიო, არც საჩემ; არაფერი ღ[უ]თის განაჩენი და
ხორციელის კაცის სარჩო და გამოსალები არა გეთხოვებოდეს ლაშქრისა და ნა-
დირობის მეტი და მსახურობა და ძღვენი. სხვა შენს კარზე არა მოდგეს რა
მზისა და წვიმის მეტი. ჩემი ტომარა რომ კარზე ჩამოგივარდეს, არც იმას სა-
ბელი არ ათხუო . . . დაიწერა წიგნი ესე ჩვენის კარის დეკანოზის აბრამის
ხელითა. რევაზ², ზაალ³, ზურაბ⁴, ედიშერ⁵.

ოთარი

ლუა-
[რსაბ]

ქ ბ[ა]ინდურ
ერისთავი

25. 1628 წ. თებერვლის 19-ს. ბატონიშვილის წიგნი, მიცემული გიორგი ვარამაშვილის
მიერ სახლის-უხუცესი ქახოსრო (ბარათაშვილისადმი). პირი XIX ს. დასწყისისა,
გადაწერილი მხედრული ხელით. — საქ. ც. — არქ., ფ. — , № 12/117.

ესე უთუო და უთუმცაო, დრომილუდებელი და მიზეზშემოულებელი,
ყოვლის ჩხუბისა და ილეთისაგან გამოსული, უამთა გასათავებელი ფიცი და
პირობა მოგეცით ჩვენ, ვარამაშვილმა გიორგიმა და მამა ჩემ[ქა] წამილამა და

¹ ხვეულად.

² ხვეულად.

³ ხვეულად.

⁴ ხვეულად.

ქმამა ჩემ[მ]ა ორემამა და ჩემ[მ]ა განაყოფმა ნადირამა და მამუკამა და ქიტიამა და გოგიამა და შეილთა და მამავალთა სახლისა ჩვენისათა ყოველთავე თქვენ, სახლის-უხუცეს ბატონს ქაიხოსროს და შეილს თქვენს გუგუნას და ნიკოლოზს და ბარათას და შეილს და მამავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე; — მას ჟამსა, როდეს დაგვეჭირა და სიღარიბემა და შიმშილმა მიგუაჭირვა და ვეღარა ურჩებოდით და მოვედით და თქვენ გეყმევით, თქვენ დაივალევით და ჩენ მოგუეცით და პურტკბილობაჩიგა შეგვი[ნა]ხეთ და ჩენი თავი და შვილები ასრე გაყმევით, რომ ერთის ლეთის მეტი ჩენს თავს არაკაცი არა გეცილებოდეს. ზოგვიცემია ამისად გასათავებელად პირველად ლმერთი და ყოველნი მისნი წმინდანი . . . მე ყორლანაშვილს პარტას დამიწერია და მოწამეცა ვარამ საქმისა. დაიწერა ნიშანი [ესე] ქ[ორონი]ქ[ონ]ს ტივ, თებერვალს ით + + +¹.

26. 1680 წ. სექტემბრის 9-ს. ოქმი თეიმურაზ I-ისა მანგლისის ეკლესიის ყმათაღმი. საბუთი მანგლისის ეკლესიის № 26. დედანი. დაკრებული. ზომა მარტო საბუთისა — 17,5×14,8 სმ, საკერძლით — 18,8×15 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი — საქ. ც. — არქ., ფონდი 226, № 3260.

ქ. მეფე თეიმურაზ გ[ი]ბ[ძანე]ბ[თ] ერთობილნო მანგლისის მღ[უ]თის-შ]ობლის ყმანო და სამწყსონო! მერმე რარიგადცა ამას წინათ ამ ბატონის მანგლელისათვის გემშახუროს, მოუდევით და ისრევ მსახურეთ. რაც ამას წინათ პელინერის ბატონებისაგან შეწირული ყოფილხართ ანუ მთასა და ანუ ბარსა, ისრევ უნაკრულოდ ჩუენ შეგუიწირავს. რაც კაცი ამ საყდრის მამულს შემოეცილების, ჩუენად შეცოდებად მოვჭითხავთ, იცოდენ. ქ[ორონი]ქ[ონ]სა ტიტ, ენკენისთვეს თ. თეიმურაზ².

27. 1680 წ. მამულის წყალობის წიგნი, მიცემული სეიმონ მეფის მიერ ნასყიდა შეშაბერიძისადმი. დედანი. 15,8×14,7 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი, ან სამ-სამი წერტილი — საქ. ც. — არქ., ფონდი 226, № 5431.

ქ. ჩუენ, მეფემან პატრონმან სუიმონ, ესე უკუნისამდე უამთა გასათავებელი მტკიცე და უცვალებელი წყალობისა წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, კავთისკეველს შეშაბერიძეს მზარეულს ნასყიდასა და შენსა ძმასა სორაზანს; — მას ჟამსა ლდეს მოგუიდევით კარსა და მამულის წყალობას გუიაჯენით და ჩუენცა შეგიწყალეთ და გიბოძეთ კავთისკევს ფოციაური

¹ მინაწერები:

ასლთან თანასწორე არის. სოვეტნიკი თაქტდი¹ თარხანოვი.
ასლი სიგელი მივიღე. დიმიტრი ბარათოვი.

² ხვეულად.

მინაწერები: თეიმურაზ. მეფის სიგელი ყმათ სამსახურისა.

დიასახლისის ნაოკარი მამული მისის მართლის სამართლიანის საქმითა და საგძლურითა, მთითა, ბარითა და, რისაც მქონებელი ყოფილიყოს, უკლებრივ და ამისი ღალაც აგუიკუთია. სამეურიდროდ თქუენთვნ და თქუენთა შვილთათვის გუიბოძებია ყოვლის კავისაგან უცილებრად. გქონდეს და გიბედნიეროს ღრან ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შინა და არაოდეს. არ მოგეშალოს არ ჩუენგან და არა სხუათა მეპატრონეთაგან. აწე გიბანებთ კარისა ჩუენისა ვეჭილ-ვეზირნო და კავთისკევის მოურავნო, თქუენცა ასრე გაუთავეთ და ნურის მოუშლით. დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე ქორონიქონისა ტიტ. კელითა კარისა ჩუენისა მდივან-მწიგნობრის თუმანიშვილის ბირთუელისათა. სვიმონ¹.

28. 1630 წ. დეკემბრის 25-ს. ბატონყმობის (?) წიგნი, მიცემული გიორგი და ხუცია ალაიანელების მიერ შერმაზან და სხვა სუმბულიძეთადმი. დედანი. 42×16,6 სმ, დაწერილი თეთრ ქათალი მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი — საქ. ც. არქ. ფონდი —, № 1060.

ქ . . . ესე წიგნი 'მოგეცით ჩვენ, ალაიანელმა. გიორგამა და ხუციამა და მომავალმა სახლისა ჩემისამა თქვენ, სუმბულიძეს შერმაზანს და ფარემუზს და გიუნას. ასე რომე ქათალიკოზს მემზურეთა ვყუანდით და კახეთს წავედით და ავთ, დრო შეიქნა და ცოლშვილი დამიტყვევდა. ალაიანელი მემკვიდრე ვიყავ, მოვედით და კათალიკოზს შემოვეხვეწენით, რომ ცოლშვილი დამისხენო. ისეს ჭარმეული და კანდელაკი მიუგზავნე და ასე მიბძანა კათალიკოზმა: მე ახალი მოსული და ღარიბი ვარო და საყდრისა არა მაქს რაო და ვინც დაგიხსნასო, იმასვე ეყმევიო. ავდექ და ვალი. ავიღე და ცოლშვილი დავიხსენ. მანამდი ქმა მივეცი გირაოთ, სანამდი იმის ვალს გარდავწყვეტდი. მოველ და შემოგეხვეწე და ჩემი სამკვიდრო გამული თქვენ გქონიდათ ორი კვამლი კაცი გესახლათ ჩემს მამულზე. ავდექ და შემოგეხვეწე: „მევე მემკვიდრე გირჩევნივარ“. სულაშვილი შუა შემოვიყვანე, რომ ის კაცები აჲყარეო და მევე დამისახლეო. რადგან თქვენი ყმა შევიქნე, პური ორმოთი მამეცი სამოცი კოლი, ფეტვი მოსამკალი მოგვეც, ვენაკი მოსაკრეფი — ცხრა საპალნე ტებილი გამამივიდა. ამ შენის მამულითა ძმაც გამოვიხსენ და შენი საქონელი მოგვეც: ცხრამეტი სული მაკე ცხვარი, ცხრა თოხლი, ორი ერკემელი, ჭედილი ერთი, თხა ცხრა. ესები ასე მოგვეც და დაგვასახლე და ნასყიდათ დაგრჩით. ამ თქვენის წყალობით ცოლშვილიც დავიხსენით და ჩვენც დავრჩით. არის ამისი მოწამე თავათ ღმერთი დაუსაბამი და სვეტი-ცხოველი. კაცთაგან ჭარმეული ისეს და სვეტიცხოვლის კანდელაკი და თამაზა სულუაშვილი და ერთობლივ ალაიანელნი. დაიწერა წიგნი ესე ქორონიქონის ტიტ, დეკემბერს კე. + + +².

¹ ხვეულად.

² სათალრი:

ქ. ყმისაგან მირთმეული შატონთან.

29. 1633 წ. მაისის 6-ს. ძმისწულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ხუციას მიერ გურ-
გან ყორლანაშვილისადმი. პირი გადაწერილი უზენაეს მართებლობის ბრძანებით
XIX საუკ. დასაწყისს მხედრული ხელით — საქ. ც. — არქ., ფ. — , № 1/53.

ესე ნასყიდობის წიგნი მოგვეც მე, ხუციამა თქვენ, ყორლანაშვილს
გურგენს, შენთა ძმათა ღალუტაშა და ავთანდილს, შვილთა თქვენთა; — მას
უამსა, ოდეს მოვედით თქვენთანა და ჩუენი ძმისწული სხუას კაცა ჰყვანდა
და იმას აღარ მივყიდეთ და თქუენ მოგყიდეთ ასრე, რომე ავილევთ თქუენ-
გან ფასი სრული და უნაკლულო, რითაც რომე ჩუენი გული შეგჯერდებოდა და
ჩუენი თქუენზე აღარა დარჩა ო. აწე ღმერთმან გიბელნიეროს ასრე, რომე
ხელგეწიულდეს გასასყიდლად, გასაზითავად, რადაც ფერად რომე გინდოდეს.
ასრე მოგვიყიდია, რომე არავინ შემოგაცილოთ და, ოუ ვინმე შემოგეცილოს,
პასუბის გამცემნი ჩვენ ვიყოთ. არის ამისი მოწამე და შუა-დამხდომი ბეჭან სა-
გინაშვილი, სავანელი თამაზა, სავინაშვილი ვიუნა, კუმისის მამასახლისი როსაბა
და მე ხელმწიფის მდივანს ბირთველს დამიწერია და მოწამეცა ვარ. ქორონი-
ქორნის ტკა, მაის[ს] ვ¹.

321

30. 1634 წ. ივნისის 27-ს. მამულის თარხნობის წიგნი, მიცემული როსტომ მეფის
მიერ მერაბ ყორლანაშვილისადმი. დედნი. დახეულ-დაკერებული. 57,1×24,2 სმ, და-
წერილი თეთრ ქალალდნე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი
სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი, ან სამ-სამი წერტილი — საქ. ც.—არქ., ფონდი 226
№ 3265.

ქ. . . . ჩუენ, მეფემან პატრონმან როსტომ, ესე ამიერთ უკუნისამდე
ქამთა და ხანთა გასათავებელი, მტკაცე და შეუცვალებელი, სამჯუიდრო და
საბოლოო გასათავებელი წყალობისა და სითარხნისა წიგნი და სიგელი შე-
გიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა და ყოველთა სახლისა ჩამომა-
ვალთა მეფეთა ერთგულსა და მრავალფერად თავდადებით ნამსახურთა ყმათა
ყორლანაშვილთა, კარისა ჩუენისა მდივან-მწივნობარსა მერაბს და ძმათა თქუ-
ენთა და შეილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე; — მას უამსა,
ოდეს მოგუიდევით კარსა და ნაკურის ნასოფლარის ზემოშავთ თარხნობის
წყალობას გუიჯენით და ჩუენცა ვიგულეთ და ვიგულსმოდებით და ვისპინეთ
აჯა და მოხსენება თქუენი და მოკითხული ვქენით და არას კაცს არც შენად
ენახა და არც გაგონებოდა] იმა ალაგის შენობა. ნაკური, გატუე[]ბული
ზემოშავნი ბარათაშვილის კოსტაშაბისაგან გეყიდა და მონასყიდობის სიგელი
გაქონდა და ჩვენს ძმისწულს მეფეს, პატრონს სუიმონსაც წყალობა ექნა და

¹ მინაწერები:

ასლიდამ თანასწორ არს ჩაწერილი. სოფერნიკი თავადი თემისურას ბაგრატოვანი.
ასლი სიგელი მივიღე. სოლომონ ყორლანვი, სიმონ ყორლანვი.

შავთა, ფიცხისისა და მოქრისის წიგნი და სიგელი, რარიგადაც არდაზიანდეს ჰქონებოდა, თქუენოუინაც იმრიგად მთით ბარამდი ებოძებინათ და ჩუენცა სიგ-ლები გინახეთ ნაწყალობევისა და ნასყიდობისა და სიგლითა ამითა დაგიმკუიდ-რეთ და დაგიმტკიცეთ ყოვლის კაცისაგა[ნ] მოუღევრად და შემოუსარჩლელად¹, სამკუიდროდ და საბოლოო[ო]დ თარხნობისა წიგნი გიბოძეთ ასრე და ამა პირსა ზედან, რომე რაზედენ ერთიცა გლეხი ზემოშავთ მერაბ ყორლანაშეილმან დაასახ-ლოს, არასფერისთანა საჩუენო სათხოვარი და გამოსალები არა ეთხოებოდეს რა: არა კოდის პური, არა საბალახე, არა საჯინიბო, არა საბაზიერო ქათამი, არა საური, არა მკა და თიბეა, არა ციხისა და ქალაქის მუშაობა და შეშის ზიუვა თუნიერ ერთის ლაშქარ-ნადირობისა და წელიწადში ერთხელ დიდ-გორჩე სამასპინძლოს მორთმევისაგან კიდე; რისაც შემძლებელნი² იქნებოდენ, იმ წესით სამასპინძლო უნდა რომე მოგუაროონ. სხუა ამის მეტი საჩუენო სათხოვარი და გამოსალები არა ეთხოებოდეს რა ზემოშავთ მსახლო-ბელთ გლეხსა. აწე გქონდეს და გიბედნიეროს ლ[მერ]თ[მა]ნ ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შენა და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არა შემდგომად სხუათა მეფეთა და მეპატრიონეთავან და თუ სხუა ამისთანა წიგნი და ნიშანი ან ნაწყალობევი და ან მონასპინძლისა გამოჩნდეს, იგი ყოველივე სიგლითა ამი-თა გაგუიცუდებია და მტკიცე ესე ოდენი რის;— აწე გიბ[ძანე]ბრ კარისა ჩუე-ნისა ვექილ-ვეზირნო, მდივანო და სხუანო მოს ქმენო, ვინგინდავინ იყუნეთ და ანუ დღეის წალმა იქნებოდეთ, მერმე ესე ჩუენგან ნაწყალობევი მტკიცე და უცალებელი სიგელი ასრე ვაჟთავეთ და ნურას მოუშლით და შე[ე]ცილებით თუნიერ თანადგომისა და შეწევნისაგან კიდე. დაიწერა ბ[ძანე]ბა და ნიშანი ესე ქ[ორონი]ქ[ონ]სა ტკბ, თიბათუეს კზ, კელითა კარისა ჩუენისა მდივან-მწიგ-ნობრის თუმანის-შეილის ბირთუელისათა.

ქ. ეს სიგელი, ნასყიდობა და თარხნობა ჩუენცა ასრე ვამტკიცეთ ქ[ორო-ნი]ქ[ონ]სა ტკივ, მარტის კთ. გიორგი³, ლევან⁴, სულეიმან⁵.

ქ. ესე ბ[ძანე]ბა ასრე უნდა გათავდეს.

საბლის ბუცე-
სი ციცი

ქ. ესე ბ[ძანე]ბა ასრე უნდა გათავდეს.

ქაიხოსრო

(აქ მიპყვება სარსული მინაწერი ექვს სტრიქნად).

¹ სწერია: შემუსარჩლელად.

² უკანასკნელი სიტყვა ტექსტში სწერია: შემძლებელებელნი.

³ ხვეულად.

⁴ ხვეულად.

⁵ ხვეულად.

მინაწერები: ქ. როსტომ მეფის სითარხნის წიგნი (არის) შავთისა.

ქ. ესე წიგნი შავთის სითარხნის (არის)

31. 1634 წ. ყმისა და მატულის წყალობის წიგნი, მიცემული მარიამ დედოფლის მიერ ზემბოად ლარაძისადმი. პირი, გადაწერილი უზენაეს მართებლობის ბრძანებით XIX საუკ. დასაწყისს მხედრული ხელით საქ. ც. — არქ. ფ. — № 10-131.

ნებითა და შეწევნითა ღმთისათა ჩვენ, დედოფალთა-დედოფალმა პატ-რონმა მარიამ, ესე წყალობისა წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ლარაძეს ზემბოადს და შეილთა შენთა ელისბარს, ოთარსა და მამავალ-თა სახლისა თქვენისათა; -მას უამსა, ოდეს მოგვიდეგით კარსა და მამულისა წყალობასა დაგვიაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ რუის[ს] ალიყულიბეგის ნაქონი ოთხი კომლი კაცი: ყუჭამარაშვილი კომლი ერთი, სარილანაშვილი კომლი ერთი და ბოგანო კომლი ორი მათისა ნასყიდითა მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ვენაკითა, ყოვლითურთ სრულიად და უნაკლულოდ თქვენთვის და თქვენთა შეილთათვის გვიბოძებია ყოვლის კაცისაგან უცალებელად. [გ]ქონდეს და გიბედნიეროს ლმ[ერ]თ[მა]ნ ჩვენსა ერდგულად სამსახურსა შრიან. ქ[ორონი]ქ[ონ]ს ტებ. დაიწერა წიგნი და ბძ[ა]ნე-ბ[ა] ესე კელითა კარისა ჩვენისა [მდივან-მწიგნობრის] მარტირუზიშვილის შალ-გასითა. მარიამ¹.

32. 1634 — 1643 წლ. წიგნი მიცემული თეიმურაზ ხერხულიძის მიერ კათალიკოს (ვ-დემიზ დიასამიდისადმი?) საბუთი მცხეთის ეკლესიის № 281. დედანი. 13.5×14.3 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარისა თითო, ორ-ორი, ან სამ-სამი წერტილი. თარილი არ უზის. დაწერილი როსტომ მეფისა და ევდემოზ კათალიკოზის დროს, — სახელდობრ—1634-1643 წლებში — საქ. ც. — არქ. ფ. — № 1250.

ქ . . ესე წიგნი მოგართვით თქვენ, ბატონს კათალიკოზს ჩუენ, ხერ-ხელიძემა ბატონმა თეიმურაზ ასრე და ამა პირსა ზედან, რომე ჩუენის მემკვიდ-რის ყმის შვილი შეიხვეწა გორიჯვარს და ჩუენის მემკვიდრის ყმის შვილი ისრე-ვე გვიბოძეთ და ჩუენ ეს წიგნი მოგართვით, რომე ჩუენის კალისაგან და [ა]რც² ჩუენის სიტყუის მოსმინოს კაცისგან იმას არც გასყიდვითა, არც გახეიბრებითა, არც სხვარიგად ავად მიპყრობით, თუ იმას რამე დაუმარცხდეს, თავად როს-ტომ [მ]ეფის³ შემცოდე ვიყო და მერჩე სვეტის - ცხოვლისა და თქუენის ჯვა-რის და ხატის დამლეწი.

თეიმურაზ

¹ მინაწერები: ასლანთან თანასწორი არის. სოვეტნიკი თავადი დიმიტრი. თარხანოვი. ამინი ასლი დოკუმენტი მივიღე. კეთილშობილი ოსებ ლარაძე.

² უკანასკნელი ორი სიტყვა ტექსტში სწერია: დარც.

³ უკანასკნელი ორი სიტყვა ტექსტში სწერია: როსტომეფის.

33. 1640 წ. პპრილის 23-ს. წყალობის წიგნი, მიცემული მარიამ დედოფლის მიერ ჩენბად ლარაძის ცოლის მარიამისადმი. პირი გადაწერილი უზენაეს მართებლობის ბრძანებით XIX ს. დასაწყისს მხედრული ხელით. — არქ. ც. — № 10-122

ჩვენ, დედოფალმან პატრიონმან მარიამ, ეს წყალობის წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ლარაძის კურთხეულის ზენბადის ცოლს, ბატონს მარიას და შვილსა თქვენსა ელიშარსა და ოთარსა; მას უამსა ოდეს მეფის, ბატონის ლუარსაბისაგან თქვენს გ[ვ]ართა (1) ჯილდოდ ირგის ხევზედ სოფელი ირგი ებოძებინა. უამთა ვითარებისაგან ის სოფელი აოხრებული ყოფილი [ყო]. ჩვენ ეს წყალობა გიყავით, რომე, რაც კაცი იქ მოიყავონ და და[ა]სახლო ან იქაური მემკვიდრე და [ა]ნ სხვა თქვენი მემკვიდრე, ჩვენგან იმათ შეიძლს წლამდის არა ეთხოვებოდეს რა, არა საბალახე, არა კოდის პური, არც არა სხვა სათხოვარი და არც სხვა შემოგეცილოთ. აწე გი[ბძანე]ბთ კარისა ჩვენის მოსაქმენო, მერმე ეს ჩვენი ბძანება თქვენც ასრე გა[ა]თავეთ და ნურავინ შე[ე]ცილებით. ქ[ორონი]-ქ[ონ]ეს ტკ, პპრილის გკ. როსტომ. მარიამ!¹

325

34. 1641 წ. მარტის 23-ს. ყმის წყალობის წიგნი, მიცემული როსტომ მეფის მიერ პაპუნა ბარათაშვილისადმი. პირი, გადაწერილი უზენაეს მართებლობის ბრძანებით XIX საუკ. დასაწყისს მხედრული ხელით — საქ. ც. — არქ. ც. — № 34-39.

ნებითა და შეწევნითა ლ[უ]თისათა ჩუენ, მეფეთ-მეფემან პატრიონმან როსტომ და თანამეცხედრემ[ა]ნ ჩუენმან დედოფალთ-დედოფალმან პატრიონ-მ[ა]ნ მარიამ, ეს საბოლოო[ო]დ გასათავებელი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენს ერდგულსა და წესისებრივ ნამსახურსა ყმასა ბარათაშვილს, გოსტაშაბის შუილს პაპუნას და შუილთა და ჩამომავალთა სახლისა თქუენისათა კოველთავე; — მას უამსა, ოდეს მჭედლის მგელის წყალობას გუიაჯენით. ჩუენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და მოკითხული ვქენით და მჭედელი მგელია დიდს შიმშილობაში აგუდ[ა]ნეთს ყმ[ა]დ დაგს[ა]ნ-ლებოდა, შეგენახა. მოურავის-შუილი შემოგეს[ა]რჩელა და თექუსმეტი წელიწადი თქუენს მამულში დაეყო და წვიმეტიძის ბიძის[ა]გან[ა]ც დაგეხსნათ და მოურავის-შუილი არ[ა]ს [გ]ემართლებოდა. სამართალმან ზენ მოგცა და ჩუენცა ყოვლის კაცის[ა]გან უცილებლათ სამჯუიღროთ და საბოლოვოთ თქუენთუის გვიბოძებია. ასრე რომ არას კაცს მგელის სახლისა და სახლის კაცთან ხელი არავის ქონდეს. ქ[ორონი]-ქ[ონ]ეს ტკ, მარტის კგ. როსტომ. მარიამ.²

¹ მიწაწერები:

ამსი ასლი დოკუმენტი მივიღე. კეთილშობილი იოსებ ლარაძე.

² მინაწერები: ასლთან სწორ არს სოვეტნიკი რატივი.

ასლთან თანასწორი არის. სოვეტნიკი თავადი დიმიტრი თარხანოვი.

ამის ნამდვილი წერილი მივიღე თავადი დავით ბარათოვი.

35. 1643 წ. ახლო. ბატონიშვილის წიგნი, მიცემული დათუნა და ქიტია მთიულის-შეი-ლების მიერ თარხან იორამ მოურავის-შვილისადმი. დედანი. 21.6×15.5 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემ-ტეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უზის: მასში მოხსენებულია როსტომ მეფე; თარხანი იორამ მოურავის-შვილი. გვხვდება საბუთებში 1643 წელს და მის ახლოს დროს. — ჰაქ. მუზ., № 2545 სრ.

ქ. ესე წიგნი, ფიცი და პირი მოგარსენეთ და მოგართვით ჩუენ, მთიულის-შვილთა დათუნამა და ქიტიამა თქუ[ე]ნ, მოურ[ა]ვის-შვილთა თარხანს ბატონს იორამს და შვილთა შენთ[ა] გიორგის და ავთ[ა]ნდილს, — ასრე რომე თქუ[ე]ნ მეტყ[ვი]დრე ყმა ვიყვენით და როსტომ მეფ[ე]მ ჩუენი თავი თქუ[ე]ნ გიბოძა. და ამავ ჩუენის ნახყიდის მამულიდამ ალარ აგუარე და აქავ თვალზე დაგვ[ა]-სახლე და აქიდამ ვიყ[ვ]ნეთ შენი ყმანი. რაც ჩუენის კელიდამ გამოვიდეს ყმის პირობაზე გმსახუროთ. სანამდი ამა ქვეყანას ვიყოთ და, ვინიცის, ეს ქვეყანა აიშალოს, უთქუ[ე]ნ[ო]ს კაცს არ ვეყმოთ. ამისდა თ[ა]ვდებათ მოგვიცემია ლმ[ე]რ-თი. . . არის ამისი მოწამე სულხანას-შვილი პაპუნა, როსტიას-შვილი ზუ-ბიტა, ცალქ[ა]ლ[ა]მანიდე ხოსიტა. მე კარგარეთელს იონ[ა]თ[ა]მს დამიწერია და მოწ[ა]მეცა ვარ + + +

36. 1643 წ. თებერვლის 22-ს. ყმისა და მამულის საჯილდაოდ წყალობის წიგნი, მიცე-მული როსტომ მეფის მიერ ფარსადან და სხვა ბარათაშვილთადმი. პირი, გადაწე-რილი უზენაეს მართებლობის ბრძანებით XIX საუკ. დასაწყისს მხედრული ხელით — საქ. ც. — არქ. ფ. — , № 2-151.

ნებითა და შეწევნითა. ღ[უ]თისათა ჩუენ, მეფეთ-მეფემან ხელმწიფემან-პატრიომან როსტომ და თანმეცხედრემან ჩუენმან დელოფალთ - დელოფალმან-პატრიონმან მარიამ, ესე უკუნისამდი უამთა და ხანთა გასათავებელი წყალობისა-წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერთგულთა და წე-სისაებრ მრავალფერად თავდადებით ნამსახურთა ყმათა, ბარათაშვილს ფარსა-დანს და ძმისა თქუენსა გიორგის და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველ-თავე; — მას უამსა თდეს მოგვიდეგით კარსა და მამულის წყალობას გვიაჯენით, ჩვენც ეიმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი მოკითხული ვქენით და ენაგეთს: ხუციშვილი და ფირუზაშვილი მათის მამულითა და ნახყიდითა თავად თქუენი-სამეუიდრო ყმანი ყოფილიყუნეს და მერმე სახლისუხუცის ჩხეიძის ბეჟიას შვილი-ოტია ხელთ დაგრჩომოდა. და ხელ-შეკრული ჩუენს წინაშე მოიყუანეთ და ამი-

* სათაურები: მთიულიშვილის..
სათავდებოა.

სად საჯილდაოდ გიბოძეთ ენაგეთს ხუკიშვილი და ფირუზაშვილი მათის სამართლიანის მატერიალითა დღეს რისაც მქონებელი იყენებს ყოვლითურ შენითა და ოხრითა, სახმრითა და უხმრითა, საძებრითა და უძებრითა, მთით ბარემდი ყოვლის კაცისაგან უცილებრად თქუენთვის და თქუენთა შვილთათვის გვიბოძებია სამკუიდროდ და საბოლოოდ; გქონდეს და გიბედნიეროს ღ[მერ]თ[მა]ნ ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შინა და აროდეს არ მოგეშალოს, არა ჩუენგან და არა შემდგომად სხუათა მეპატრონეთაგან. აწე გიბ[ძანე]ბთ კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო და სხუანო მოსაქმენო, ვინცა ვინ იყუნეთ და ანუ დღეს წალშა იქნებოდეთ, თქუენცა ასე დაუმტკიცეთ და ნურაოდეს ნუ მოუშლით და შე[ე]ცილებით თუინიერ შეწევნისა და თანადგომისაგან კიდე. დაიწერა ბ[ძანე]-შა და ნიშანი ესე ქ[ორონი]კ[ონ]ს ტლა, თებერვლის კბ. ხელით კარისა ჩუენისა მღიერმწიკნობრის თუშანიშვილის ბირთველისათა.

37. 1644 წ. სააღაპო წიგნი, მიცემული ერთობილთ წეროვნელთა მიერ გაბრიელ ელიონისე გედავანის-შვილისადმი. დედანი. დაზიანებული (თავი მოხეულია და დაკარგული). 37X15.5 სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშან ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარის ორ-ორი წერტილი — საქ. ც. — არქ. ფორდი 226, № 5102.

[ქ. ესე უტყუარი და დრო-ქამთაგან] მოუ[შუელი სააღაპო წიგნი მოგეცით] (თქუენ), ელიოზის(ქეთა გედავანის-შვილთა ბატონს) გაბრიელს და დავითს და პაპნასა და ხოსიტასა და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე, ჩუენ, ერთობილთ წეროვნელთა და შეიოლთა და მომავალთა სახლისა ჩვენისათა ყოველთავე; — ასრე და ამა პირსა ზედან, რომე ვენაკი არ იყო ჩუენს ალაგს და ჩუენებურს რუსედ დაუწყეთ შენება. თქუენ შემოგეხვეწენით და ბატონს კათალიკოზთაგან მოვცემარენით და ჩუენის კულუხის დაუდებლობისათვის ქრთამად თეთრი თქუენ გამოიღეთ და კულუხის დაუდებლობის სიგელი აგვართვით. მისად სამუქურად კურთხეულის თქუენის ძმის, ბატონის დავითის, სულის მოსახ-შენებლად ალაპი დავიდევით. ასრე რომე კორციელის შაბათს ერთს მღდელსა და ერთს შთავარს ბატონის დავითისათვის უაშს ვაწირუინებდეთ, — კორცა, პურსა და ლვინოს ჩუენსა დაეხარჯევდეთ და რანიც ამ სოფლის კაცი, დედაკაცი, ყმაწვილი, ღიღი და ანუ მცირენი ვიყუნეთ, მისთვის მოსახსენებელს ალაპს გარდავიყდიდეთ და, რაც კაცი ამ სოფელს მსახლობელნი ვიყუნეთ, არ დაგაკალდებოდეთ. ცოცხალს დღეგრძელობით მოვისხენებდეთ და მიცვალებულს საშულიოროდ. ამისად გასათავებლად მოგვიცემია ღ[მერ]თი და ეს

* მინაწერი:

ასლთან თანასწორი არს. სოვეტნიკი თავადი დიმიტრი თარხანოვი.

წმიდა სამება და ერთარსება. ვინცა და რამანცა ამ ალაგს მყოფიან კაცმან ანუ ჩვენ და ანუ შვილთა და მომავალთა ჩვენთა მოშალოს წიგნსა ამას შინა დაწერილი აღაპი და მოსახსენებელი, ლთმან... ჩვენი კეთილად განგებული მი. სის რისხვითა და გულისწყრომით მოშალოს. და არიან ამისნი მოწამენი¹ ქადაგი ნიკოლაოზ, მისი შვილი სახლის-უხუცესი პაპუა, დეკანოზი იქსე, კანდელაკი: შიო, ჭარმაული იქსე, გაბრიელიშვილი თანია, ქარსიძე² თამაზია და დათუნა და სრულიად ერთობილნი მცხეთელნი. მე მეტებთ დეკანოზს დემეტრეს დამიწერია და მოწამეუა ვარ. დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ქ[ორონი]ქ[ონ]სა ტლბ. კზი ქრისტეფორე³. +

38. 1845 წ. აწყურიდან ლოლეთს ჩამოსული ყმების შეწირულობის წიგნი, მიცემული როსტომ მეფის მიერ სვეტიცხოვლის ეკლესიისადმი. საბუთი აღნაშნული ეკლესისა №№ რკე, 197. დედანი. 49X17,5 სმ; დაწერილი თეთრ ქალალზე შხედრული ხელით განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარის ორ-ორი, ან სამ-სამი ტერტილი — საქ. ც. — არქ. ფ. — , № 1035.

ქ. ჩუენ, მეფეთ-მეფემან კელმწიფემან პატრონმან როსტომ და თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან მარიამ და ქეთა ჩუენთა პატრონმან ლუარსაბ ვიგულეთ და ვიგულს მოდგინე, [გ]კადრეთ და მოგახსენეთ თქუენ, ცათა-მობაძავასა საყდარსა სუეტისა-ცხოველსა, კუართსა საუფლოსა, მირონსა ღმერთ-მყოფელსა; —მას უამსა, ოდეს უამთა ვითარებისაგან სამცხიდამე აწყურისა მღ[უ]თისმშობლის საყმო აზნაურიშვილი და გლეხი ჩუენს საბატონოში ჩამოსულიყუნეს და ლოლეთს დაესახლებინათ და, რაც ხატი და ჯვარი ყოფილიყო, თქუენს ტაზარში დაესვენებინათ და სამაწყურლოს კაცს თქუენთუის ემსახურათ და სხუას კაცს, არც ამირეჯიბის ნათესავადა არც აგრე რიგს ვისმე, ღალის მეტს საქმეზედ ლოლეთს კელი ჰქონდეს და ამ წესით ემსახუროს. ვინ იცის, და სოფლის საქმე ასრუ მოკდეს, რომე სა[ა]-თაბაგიშვილოს ქრისტიან მეპატრონე ვაუჩჩდეს და აწყურისა მღ[უ]თისმშობლის ჯუარი და ხატი თავის სამკუიდროზედ მიასვენონ და მათი ყმა ასაყრელად მოინდომონ, ვერავინ დაუჭიროს, თუ არა და სხუას კაცს კელი არა ჰქონდეს-რუსიშვილი რუსი, სხუანი აზნაურიშვილნი და გლეხნი თქუენთუის სასამახუროდ მოგუისხენებია. ამას გარდაისად, რაც აგრე რიგი საყორის ყმას გარეთ ანუ აზნაურიშვილი და გლეხი ესახლოს. ისინიც ისრევ მოუშლელად იყუნენ და ნურცა სად დაიფანტვიან. ვითაც თქუენთუის ბეითალმნად დადებული იყო და სხუას

¹ აქ ტექსტის დამწერისავე ხელით დაწერილია და წაშლილი: მცხეთის.

² უკანასკნელი სიტყვა ტექსტში სწერია: ქართძე; მე-4 ასოს თ-ს თავზე იმავე ხელით აწერია: სი.

³ ხვეულად.

სათაური შემდეგი დროის დაკერებულ ქაღალდზე: წოდორელთ სააღაპო.

ერისკაცს არას ეხელუოდა, ისრევ თქუენ [გ]კადრეთ და მოგახსენეთ მოუშლე-ლად დაიწერა ნიშანი და ბ[ძანე]ბა ესე ქ[ორონი]კ[ონ]ესა ტლგ, აელითა კარისა ჩუენისა მდიგან-მწიგნობრის თუმანიშუილის ბირთუელი-მითა. ოოსტომ¹, მარიამ².

39. 1646 წ. აპრილის 3-ს. სამი წლით სითარხნის წყალობის წიგნი, მიცემული როსტომ მეფის მიერ დონმაზასადმი. პირი, გადაწერილი უზენაეს მართებლობის ბრძანებით XIX საუკ. დასაწყისს მხედრული ხელით — საქ. ც. — არქ. ფ. — , № 6-55.

ესე წყალობისა და სამის წლის სითარხნის წიგნი და ნიშანი გიბოძეთ ჩვენ, მეფეთ-მეფებან პატრონმან როსტომ, შენ, ჩუენის კარის ყაფიჩბაშს³ დონმაზას; —ასრე და ამა პირსა ზედან, რომე თქვენი სოფელი ზიკრუტი ერთს ავს ხაშმს ალაგს ესახლა და იქიდამე აყრა მოინდომეთ და მალალს ალაგს დასახლება და, ვითაც სახლის აშენებასა და მოწყობაზე ბევრს⁴ გარეჯებოდენ, სამი წელი-წადს სითარხნეს დაგვიაჯენით და ამ წესით ვათარხნეთ, რომე ერთის ლაშქრო-ბისა და სათათროს საურის მეტი არა ეთხოებოდეს რა და ჩვენის კარის ვე-ჭილ-ვეზირთა და მოსაქმეთ ასრე გაურიგეთ და ნურას აქნევინებთ. ქ[ორონი]-ქ[ონ]ს ტლდ. აპრილის გ | როსტომ | . ესე ბძანება მეფისა ასრე უნდა რომე გა-

თავდეს.



40. 1646 წ. ივნისის 10-ს. ბატონყმობის წიგნი, მიცემული შანაზარა და სხვა მურაჩა-შვილების მიერ ქალაქის მოურავ მანუჩარისადმი. პირი, გადაწერილი უზენაეს მარ-თებლობის ბრძანებით XIX საუკ. დასაწყისს. მხედრული ხელით — საქ. ც. — არქ. ფ. — , № 53-97.

ესე წიგნი მოგართვით ჩვენ, ხოუორნელმა მურაჩაშვილებმა შანაზარამ, დავითამა, იეგანმარ და კიდევა დავითამა თქვენ, ბატონს ქალ[ა]ქის მოურავს მანუჩარს და შეილთა თქვენთა ბაირამყულის, იმამყულისა და პატასა; —ასე რომე შემოგეხვეწენით, თეთრი გთხოეთ, გამოგართვით თექ[ე]სმეტი თუმანი. ჩვენი თავი ჩვენის ბატონისაგან დავიხსენით და ჩვენი თ[ა]ვი და ჩვენის ბატო-

¹ ხვეულად.

² სათაური სხვა ხელით:

როსტომ მეფისაგან.


სიგელი ლოლეთისა.

რკ.

³ სწერია: ყაფიჩბაშის.

⁴ სწერია: ბევრის.

ნისკ მოცემული აზ[ა]ტობის წიგნიც მოგეცით. არავის. თქვენთან ხელი არა ქონდეს. თუ ვინმე წამოგედაოს, თქვენის თეთრის პ[ა]სუხი ჩვენ მურაჩას-შვილებმა გაგცეთ. ქონდეს და ო[მერ]თ[მან] გიბედნიეროს. არის ა[მისი] მოწამე სომხითის მე-ლიქი ბატონი ყორხმაზ [] , გურჯი რევაზ [] , ქ[ა]ლ[ა]ქის



მელიქი ენალა [] , მამასახლისი ასლამაზა [] , ნაცვალი []

შარმაზანა [] , ზარაფი ხოჯა ბებუთა [] , ჩითახაშვილი []

სულინა [] . მე ყორლანაშვილს მდივანს მერაბს ღამიწერია, მოწამე-

ცა ვარ. ქ[ორონი]ქ[ონ]ს ტლდ, თიბათვის ი.

(ოთხ ალაგას თითით დასმული „შეპელი“).¹

41. 1646 წ. ყმების ნასყიდობის წიგნი, მიცემული გივი ამილახორის მიერ ქალაქის მო-ურავი მანუჩარისადმი. დედანი დაზიანებული. — სმ, დაწერილი თეთრ ქა-ლდჟე მხელული ხელით. ანძეტი. განკეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემ-დევ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღად აქვს 1646 წ.—საქ. მუხ., № 14911 ჩ.д.

ქ ესე უ[თ]უო, უთუმცაო, ღროდაუდებელი, მიზეზშემოულე-შელი, ყოვლის ჩხუბისა და ილეთისაგან გამოსული ფრცი და პირი და ნასყიდო-ბის წიგნი და ნიშანი მოგეცით ჩვენ, ამილახორმა ბატონმა გივმა, ძმამა ჩემ[მ]ან ყორჩიბაშმა პა[ა]ტამა თქვენ, ქალაქის მოურავს ბატონს მანუჩარს, შვილსა შენ-სა სუფრაჩს იმამყულის და პა[ა]ტასა და სახლისა თქვენისა მამავალსა ყოველ-თავე; — მას უამსა ოდეს ჩემი დასხნილი თათრისაგან ყმა ნერსუა, აკოფა, პასრა-თა, დათინა თავიანთის ცოლითა და შვილითა, სახლითა, კარითა ყოვლის კა-ცისაგან უცილებელი მოგყიდეთ და ავიღეთ ფასი სრული, რითაც ჩვენი გული შეჯერდებოდა და ალარა დაჩა რა თქვენს ჩვენსა შუა ერთის იოტის დანატა-სევი. გქონდეს და გიბედნიაროს ლ'თ, რარივათაც სხვას მონასყიდეს მოეხმა-რებინოს, შენც ისე მოგახმაროს და ვინცავინ წამოგედაოს, ან დიდი, ან პატარა,

¹ მინაწერები:

ასლთან თანასწორ არს. სოვეტნიკი თავადი აფხაზოვი.
ასლი წერილი მოვიდე. თავადი სოლომონ სუმბატოვი.

ან ჩემი სახლის კაცი, პირისა და პასუხის გამცემი ჩვენ ვიყნეთ... ქ[ორონი]-
ქ[ონ]სა ტლდ. არიან ამათი დამზღვრი-გარდამწყვეტელი სარდალი ბატონი ზა-
ზა [], ციციშვილი ბატონი ციცი [], თარხანი იორამ [], აბაშიძე პა[ა]-
ტა [], ფალავანდის-შვილი ბიძინა [], ამირეჯიბი ქ[ა]იხოსრო, ჩხეიძე ბე-
რუნ, ფავნელი-შვილი პაპუნა, სოლად[ა]შვილი იორამ, თურქისტანიშვილი ბერუ-
ნა, თულაშვილი ოთარი, ქალაქის მელიქი ენალა, მამასახლისი ზარაფი ბეპბუთა-
მე ბირთველს დამიწერია, მოწამეცა ვართ ამისი. [] []

42. 1846 წ. ყმისა და მამულის წყალობის წიგნი, მიცემული მარიამ დედოფლის მეორ-
მანგლელი ათანასე ტატიშვილისადმი. დედანი. 30X18 სმ, დაწერილი ეტრატზე მხედ-
რული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარისა სამ-სამი
წერტილი — საჭ. მუჭ., № 1548 ბდ.

ქ . ნებითა და შეწევნითა ღმთისათა. ჩუენ, დედოფალთა დოდოფალმა.
პატრონმა მარიამ, ესე საბოლოდ გასათავებელი მტკიცე და შეუცვალებელი
წყალობისა წიგნი და სიგრძი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერთ-
გულთა და მრავალფერად თავდადებით ნამსახურსა ყმასა, კარისა ჩუენისა ეპის-
კოპონსა, ტატიშვილს მანგლისელს ბატონს ათანასეს, ძმისწულსა თქუენსა.
ოთარს, ბერანს, ელისბარს, პაპუასა, შეილთა, შეილიშვილთა და ჩაბამავალთა სახ-
ლისა თქუენისათა ყოველთავე; — მას უამსა, ოდეს ბოგუილეგით კარსა და ჩუენს
სახასოს სოფელში, რაღაც მამულისა წყალობასა და შესაჯენით, ჩუენცა ვის-
მინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ არადეთს მოლო-
ზანიძე ბერუს შეილები ამბრია და მისი ძმა შათის სამართლიანის მამულითა, რისაც
მქონებელი ყოფილიყოს, ნასყიდითა და უსყიდითა, შესაელითა და გამოსაელითა, მი-
სის შემატებულის ვენაკითა, მისის ყოვლის ფერით, მითით ბარამდის უნაკლულოდ
სამკვიდროდ და საბოლო[ოდ] თქუენთვინ გუიბოძებია ყოვლის კაცის უცილებ-
ლად. [გ]ქონდეს და გიბედნიაროს ღმ[ერ]ი[მა]ნ ჩვენსა ერთდგულად სამსახურსა
შიგან. აწე გიბ[ძანე]ბთ კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირო, არადეთის მოურაო
და მამასახლისო, ვინგინდავინ იყოთ და ანუ დღეის წარმა ვინგინდავინ იქნებო-
დეთ, მერმე, ბძანება და ნიშანი ესე ჩუენი თქვენცა ასრე გაუთავეთ და [დ]აუმ-
კვიდრეთ, რარიგადაც ამა ჩუენგან ნაბოძებსა სიგელსა შიგა ეწეროს. ნურას
მოუშლით და შექ[ც]ილებით თვინიერ თანადგომისა და შეწევნისაგან კიდე-
დაიწერა ბ[ძანე]ბა და სიველი ესე ქ[ორონი]ქ[ონ]სა ტლდ, კელითა კარისა ჩუე-
ნისა მდივანმწიგნობრის მარტიროზიშვილის შალვასითა. მარიამ.¹

¹ ხვეულად.

43. 1647 წ. დეკემბრის 1-ს. ყმების ნასყიდობის წიგნი, მიცემული ბეჭან თაყას-შვილის მიერ თავის ძმისწულ მამასახლის ალიბეგისადმი. დედანი. ფაზიანებული თავში: 50,7×18,8 სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნოუ-ნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი — საქ. ც. — ორქ., ფონდი 226, № 273.

ქ ესე უკუო და უთუმცაო, ღროდაუდებელი, მიზეზშემოუღებელი, ყოვლის ჩხებისა და ილეოისაგან გამოსრული ნასყიდობის სიგელი დაგი-შერეთ და მოგეცით ჩვენ, თაყ ს-შეილმან ბეჭან და შვალმან ჩეშმან ყორჩმაზ თქუენ, ჩემსა ძმისწულსა მამასახლის ალიბეგს და ძმათა თქუენსა თუმანს, გო-დერძის, თაყასა, დავითსა და სახლისა ჩამამავალსა თქუენისათავე; — ასე და ამა პირსა ზედან, რომე დაგვეირდა და მოგყიდეთ ჩუენი თეთრით ნასყიდი, თქუენ-განვე წილში მერგო, ნაცვლიშვილი ხახუტა, მისი შვილი მამუკა, ოთია, ერ-თობით შისის ცოლშვილითა, — ავილეთ თქუენგან ფასა სრული, რომლითაც ჩუენი გული შეჯერდებოდა. აღარა დარჩა რა ჩუენი თქუენს კელთ ძმობისა და მოყურობის მეტი. კელთგეწიფოდეს გასყიდვათ გა[მ]ზითვათ, რათაც ფერათ მოსახმარისათ გინდოდეს. ორვინ იყოს შენი მცილე და ვერცავინ შემოგეცილოს თვინ[იერ] ერთის მღ[უ]თის მ[ე]ტი . . . არიან ამათნი მოწამენი და შეადამე-დომი: კაცთაგან აღორქანასშვილი მირიან, ფირალი, მისი ძმა ამირა, ამირა-ლას-შვილი თამაზა, თუთუნა-შვილი სანასარა, ჯაშინა, ხითარას - შვილი გოდერძი, თუმანის-შვილი გიორგი, მისი ძმა ნასყიდა, ბეჭან, შე გიორგიჯა-ნის-შვილს ფარსადან დამიწერია და მოწამეცა ვარ. ქ[ორონი]ქ[ონ]ს ტლე, თვესა ა. ქრისტიშმობისასა.

++¹.

44. 1649 წ. ყმების წყალობის წიგნი, მიცემული როსტომ მეფის მიერ როსტომა ხითა-რაშვილისადმი. პირი, გადაწერილი უზენაეს მართებლობის ბრძანებით XIX საუკ. და-საწყისს მხედრული ხელით — საქ. ც. ორქ., ფ. — , № 53-107.

ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ, მეფეთ-მეფემან კელმწიფემან პატრონმან როსტომ, ოქვენ, გორელს ხითარაშვილს როს-ტომასა, ძმასა შენთა ასატურსა, გოდერძის, გივსა, შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე; — მას უამსა, ოდეს ორმოცის წლით უწინ, შიმშილობის დროსა, ქვენასტკოცელი ოვათელა, მისი ძმა სა[ა]კა, აბულა და მათი შვილი საქია გეყიდათ და ხასყიდობის წიგნიც კელთ გეჭირათ და მას აქეთ ვერა მთავარებისკოპოზი ვერ დაგსარჩლებოდა და ახლა ბატონიშვილი

¹ სათაურები დაწერილი სხვა ხელით:

ა. ხახუტა ჯანიაშვილის არის ნასყიდობის წიგნი.

ბ. ნაცვლიშვილის სიგელი.

მთავარებისკოპზე შემოგეცილა, რომე „ერთის ძმის მეტი თქვენი ნაყიდი არ არისო და სხუანი უნდა რომე ამიყაროთ“. ჩვენ ამის საქმეზედ მდივანბეგი ჯავახიშვილი პატრონი როინ, თურმანიძე პატრონი თურმან, მდივანი თუმანიშვილი ბირთველი სასამართლოდ გიჩინეთ და თქვენზედ ფიცი შემოეგდოთ. ინდრონიკაშვილი მირიანა, ჯუტარაქელაშვილი როსტევნა მოფიცრად თან მიგეტანათ და ოქონისა ღუთისმშობელზედ ამ ორის ამჟას¹ კაცით შეგეფიცათ. თავად ნასყიდი იყო თქვენგან და ახლა კიდევ მეორედ ფიციდ (sic) გაიტანეთ. ამაზედ აღარას მთავარებისკოპზე სხუას ადამიანს თქუენთან ხელი აღარა ჰქონდეს. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ამ წესითა, რომე არას დროსა და ეას არ მოგეშალოს ეს თქვენი ნასყიდი გლეხი და ვერცავინ დაგესარჩლოს. დაიწერა ბძანება და ნიშანი ესე ქიორონიკონის ტლზ როსტომ² (ჩართული).

45. 1650 წ. აპრილის 10-ს. სოფლის სითარხნის წიგნი, მიცემული როსტომ მეფის მიერ ჯვარის მამისადმი. პირი. გადაწერილი უზენაეს მართებლობის ბრძანებით XIX საუკ. დასაწყისს მხედრული ხელით — საქ. ც. — არქ. ფ. — № 51-192.

სახელითა ღმთისათა ჩვენ, მეფეთ-მეფემან ხელმწიფემან პატრონმან როსტომ და თანამეცხედრემა ჩუენმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან მარიამ, პირმშომან და სასურეელმან ძემან პატრონმან ლუარსაბ, ესე წიგნი და-გიმევიდრეთ და მოგახსენეთ ყ[ოვლა]დ პატიოსნის და ჯუარის ძელის ცხორებისა, რომელსა ზედან განიცყრა უხრწენელნი მკლავნი თვსნი ქრისტემან ღმერთ-მან ჩუენმან ხსნისათვის ჩუენისა, მათის მკუიდრის მამულის თარხნობისათვის და შეუალობისთვის წიგნი, თქუენ, დიდებანო და პატიონ აღმამკობელნო და განმაბრწყინვებელნო მის განმაცხოველებელისა და მისთა წმინდათა და ყ[ოვლა]დ პატიოსნითა სისხლითა მრწყუელთა აღგილთანო, საღვურნო სულის წმინდისანო და თანამერაბამენი წმინდათა მღრდელმოძღვართანო, პატრონო ჯუარის მამაო, მოძლუარ-კანდელაკო ერთსულობით. სამლრთო კრებულნო მტკიცე და უქცეველი, უთუო და უთუმრკაო, დროდაუდებელი და მიზეზშემოუღებელი და ვიღრე გებადმდე უამთა მიუკუნისამდი გულმართლად საქმით გათავებული, გასათავებელი, — მას უამსა ოდის (sic) იელუსარიმის შეწირულობის ძუელნი სიგელნი გავსინჯეთ, ვითაც ძელთაგან ჩუენს ჩამამაგალთ მეფეთაგან დირბის ქუე[ყ]ანა გათარხნებულიყო და სიგელიც გუაჩუენს, ჩუენცა ვიგულეთ და ვიგულის-მოდგინეთ, მოკითხული ვექნით და არაოდეს არასტერისთანა სათხოვარი და გამოსალები არა სთხოებოდა რა, ვიგულეთ სასოებითა და სიყვარულითა და ახლად ამა სიგლითა გაგიახლეთ და ჩუენცა გათარხნეთ სოფელი დირბი და გავათავისუფლეთ ყოვლის სათხოვრისა და გამოსაღებისაგან.

¹ უკანასკნელი სიტყვა ტექსტში სწერია: ამ ფას

² მინაწერები: ასლთან თანასწორ არს. სოვეტნიეთი თ-ი თარხანოვი. ასლი წერილი მივიღე იაკობ ხითარმა. (sic).

არა ეთხოებოდეს და არა ეჯრებოდეს არა დიდი სათათრო ულუფა, არა წურილი საელჩო ულუფა, არა კალოს კაბიწი, არა ვენახთა კულუკი, არა ზროხა-საკლავი, არა ქათამი და ერბო, კუერცხი, არა ულაყი, არა თეთრი, არა საჯინიბო და არა სასახლაო, არა წურილ-წურილი სამუშაო, არა დიდი საწერი და არა ცოტა, რასაცა სათხოვარი ჰქუიან, მიზგან ყოვლისაგანვე გვიაზატებია ქვეყანა დირბი, ასრე რომე ექუსი ათასი თეთრი საელუსარემ[ოდ] გამოიღონ და ყრველთა წელიწადთა მიართუებდენ და სხუა საჩუენო სათხოვარი ერთის ნადირობისა და ლაშქრობისაგან კიდე არა ეთხოენოს. ნუმცა კაღრებულ არს ცხენისათვის საჭმლის თხოვნა და ქორისათვის სამღებიოს გამოღება. თუ კიდეცა მოკუდეს, ვერავინ მკაღრეს იქმნას თხოვად რასა გინდამე. თქუენს მამულსა გუერდის არავის რა საქმე უც თქუენგან მეტსა. ესე ჩუენგან გულის მოდგინებით ნაღუაწიდამ.¹ ვიგულისმოღინეთ, რომე ყოველთა წელიწადთა ალექსანდრეს დედის დედოფლისათუის კარგაღებული აღაპი გარდაიხდებოდეს ყოვლად წმინდის ღრთისმშობლის მიცვალების დღესა. ჩუენ მიერი სამსახური ესრეთ მიიღოთვალეთ, ვითარცა ქრისტემა[ნ] ორნი მწულილნი იგი. აწე გიბძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო და სხვანო მოსაქმენო, ვინცავინ ი[ყუ]ნე[თ] და ანუ დღეის წალმა იქნებოდეთ, თქვენცა ასრე ღაუმტკიცეთ და ნურასოდეს ნუ მოშლით და შე[ე]ცილებით თვინიერ შეწევნისა და თანადგომისაგან კიდე. და-იწერა ბ[ა]ნე[ბ]ა და ნიშანი ესე ქორონი კონც[ტ] ტლტ, აპრილის² ხელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის თუმანის-შვილის ბირთველისითა.

როსტომ

მარიამ

ჩვენ, მეფე სრულიად საქართველოსა და სხუათა მეორე ირაკლი, სიოთარხნის სიგელსა ამას. ამგვარად ვამტკიცებთ. თებერვალს ზ, ქ[ორონი]ქ[ონ]ს უოგ.

მეფე ერეკლე

46. 1651 — 1680 წ. თავდასნილობის წიგნი, მიცემული თაზიშვილების მიერ ბერია ვარამაშვილისადმი დედანი 34,2×12,8 სმ. დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველ სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი, ან სამსამი წერტილი. თარიღი არ უზის, დამწერლობით ის XVII ს-ისა არის; მასში მოხსენებული მოწამე პაპუა მალალაშვილი, იგივე მალალაძე, ცნობილი პირია: იგი ცხოვრის 1623 — 1681 წლებში (საქ. მუხ. მოამბე, IX (I), 53) და საბუთიც მის დროს, დაახლ. 1651 — 1680 წლებს, უნდა ეკუთვნოდეს — საქ. მუხ., № 4480

ქ. მოგეცით ესე წიგნი ჩვენ, თაზიშვილებმა შენ, ვარამაშვილსა ბერია კასა და შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა; — ასრე რომე ჩვენი ყმა იყავ და წაგვიცველ და [ა]ღარცა ჩვენ მოგდივეთ და მერმე თავი დაიხსენ და შვილი

¹ სწერია: ნაღუაწადამ.

² მინაწერი:

ასლთან თანასწორ არს. სოფეტნიკი თავადი პფხაზი.

მოგვართვი. ახლა შენთანა კელი არავის ქონდეს, არცა ჩვენ, არცა სხვასა კაც-
სა . . . არის ამისი მოწამე აღაპის-შვილი¹ ბერიკა, იძნაძე ზურაბი . . .

+++

ქ. პაპუა მაღალაშვილი მოწამე.

ქ. ნახუცრისშვილი ბერებ მოწამე.

წოდორელის ძულიასი არის[ს] თავზიშვილის მოცემული თავდახსნილობისა-

47. 1658 წ. ყმისის 25-ს. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული უსუფ-ბეჭ-
ასანდეგის-შვილის მიერ პაპუა გოსტაშაბის-შვილისადმი. პირი XIX ს-ის დასწყისისა-
გადაწერილი სხვა საბუთთან (10.026 ა) ერთად ერთ ქაღალდზე (34,7X21,5 სმ) მხედ-
რული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის — საქ. მუზ., № 10.026 ბ ჩან-

ქ. ნებითა და შეწევნითა ლუთისათა . . . მოგყიდეთ ჩვენი სამკ-
ვიდრო მამული ჯანიკას-შვილები: სარქისაი, პაპიაი და მიტიჩაი მათის ცოლ-
შვილითა, მათის მამულითა, მიწითა, წყლითა და ვენახითა, შესავლითა და გა-
მოსავლითა და ყოვლის მისის სამართლიანის საქმითა მომიყიდია მე, ასანდეგის-
შვილს უსუფბეგს და შვილსა ჩემსა პაატას თქვენ, გოსტაშაბის-შვილის პაპუნა-
სათვინ და შვილთა თქვენთათვის: გოსტაშაბისათვინ და ნიკოლაოზისათვინ დ
თამაზისათვინ, და ავიღე ფასი სრული და უკლებელი, არა დარჩომილა რა ჩემი-
თქვენზედა ძმობისა და მოყრობის მეტი. არის ამისი მოწამე პირველად ლ[მერ]-
თი, მერე ყოველი მისნი წმინდანი. კაცთაგან არის ამისი მოწამე სულხან ბარა-
თას-შვილი და შიომბეგის-შვილი ყარაბუდან, და მისი ძმა იესე, საგინაშვილი.
სეხნია; გლეხთაგან მოწამე ამისი აბრამიძე ლასურა და მამაგულაშვილი გიორგი-
მე დამიწერია თევზორეს და მოწამეცა ვარ ამისი . . . დაიწერა ქ[ორონი]-
ქ[ონ]ს ტმა და თვესა მაისსა კი



48. 1654 წ. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ზაალ და სხვა ბარათაშვილების მიერ-
კ-ზე ქრისტეფორესადმი. დედანი. 39,7X18,2 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედ-
რული ხელით. გნკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი-
წერტილი. თარიღია აქვს 1654 წ. — საქ. მუზ., № 1874 ad.

ქ . . . ესე უკუნისამდე უამთა გასათავებელი, მტკიცე და შეუცუა-
ლებელი სიგელი გკადრეთ და მოგახსენეთ ჩუენ, ბარათაშვილმა პატრონმა ზაალ,
თაყამ, ზურაბ და ლურმიშხან და მომავალთა სახლისა ჩუენისათა ყოველთავშ
თქუენ, ჩუენსა სასოებასა და სიქადულსა სვეტს ლ-თივ-ალმართებულსა და

ქ უკანასკნელი სიტყვის მეოთხე ასოს ლ-ს მაგიერ ტექსტში შეცომით სწერია: „შ“.

თქუენთა საჭეთმბყრობელსა ქართლისა კზს ქრისტეფორეს;—ასრე და ამა პირსა ზედა, რომე ჩუენი მემკუიღრე ყმა თქუენს საყდარს მოვიდა. შევქენით ლაპარაკი და, ურთაც რომე იმ კაცსაც სვეტისცხოვლის ყმობა უნდოდა, ავიღეთ თქუენგან ფეშქაში, რითაც ჩუენი გული შეგაერდებოდა და შამოგწირეთ თქუენ, სვეტს ცხოველს ჩუენი მემკუიღრე ყმა ფუტრეველი გოგიჯანაშვილი გულისსადები მისის შვილებითა სადღეგრძელოდ და საოხად სულთა ჩუენთავის ყოვლის კაცის უცილებლად. შეიწირე შენ, სვეტო მღთივ აღმართებულო და ნაცუალ ჭუაგე დღესა მას დიღსა განკითხუისასა. არის ამისი მოწამე და ბატონი თბილელი, ბატონი ბოლნელი და ჩაჩიკაშვილი ასლამაზ . . . დაიწერა წიგნი და წიშანი ესე ქ[ორონი]კონის ტმბ, კელითა ბატონის დედოფლის კარის ხუცესის დათუნასითა [] +¹

49. 1656 წ. მარტის 21-ს. ყმობის წიგნი, მიცემული ველია და ასან მუსტაფაშვილების მიერ ბაინდურა და სხვა ტერტერაშვილებისადმი. პირი, გადაწერილი უზენას მართებლობის ბრძანებით XIX საუკ. დასაწყისს მხედრული ხელით — საქ. ც. — არქ. ფ. — , № 34-232.

ესე წიგნი და პირობა მოგეცი მე, მუსტაფაშვილმა ველიამ, ასანმა და ჩვენმა შვილებმა თქვენ, ტერტერაშვილს ბაინდურასა და ყულიჯანასა და გრიგოლსა, შლისბარს;—ასრე რომე ბევრგვარად ცუდა[დ] ვიარე და ვერსად ჩემი საქმე ვერ გავაკეთე, ბევრი ღარიბობა შეწყინა და ღონე და ადგილი მის მეტი აღარა მქონდა, მოველ და თქვენ გეყმევ და მამულიც გამიჩი[ც]ნეთ და კიდეც დამართინეთ. და ასე გეყმე, რომ, მანამდინ ქვეყნა შენად იყოს, თქვენი ყმა ვიყოთ, არც გაგეყაროთ. თუ ეს პირობა არ გავითაოთ, ან მე და ან ჩემა შვილმა, კიდეც ჩემი თავი ასე გაყმე, რომ არავინ იყოს ჩვენი მცილე. რამანც კაც[ც]მა ესე პირობა და ყმობა არ გავითაოს, მასამც რისხამს მალალთა შუა ღ[მერ]თი . . . არის ამისი მოწამე გოგიბაშვილი ხოსია და ბეჟია და ქანანაშვილი ქაიხოსროვ, ველაშვილი ზალია. მე ედიშერს დამიწერია, მოწამეც ვარ. მარტის კა, ქ[ორონი]კონის ტმბ. + + +

50. 1659 წ. მარტის 5-ს. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული იასე ბარათაშვილის მიერ ჯანმ ენდრონიკას-შვილისადმი. საბუთი მცხოვრის ეკლესისა, № 477. დედანი. დაკერებული. ზომა დედნისა 21,6×22,3 სმ, საკერძლიოთვე — 30×22,8 სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყველი სიტყვის შემდევ ნახმარია ორ-ორი, ან სამ-სამი ჭერტირლი — საქ. ც. — არქ. ფ. — , № 2340.

ესე ნასყიდობის წიგნი მოგეცით ჩვენ, ბარათაშვილიან იასემ და დავით შენ, ენდრონიკას-შვილს ჯანს, შვილთა შენთა ოთარს და გოშტასაბს;—ასე და ამა პირსა ზედან, რომე მოწყიდეთ ჩვენი მემკვიდრე ყმა ღონიაშვილი პარატა და მისი ძმა მახარა, კიდემ მისი ძმა დათუნა, მისის შვილე-

* სათაური: ქ. ჩეკურაშვილის (?) ნასყიდობის წიგნი. მონასტერს ერწოს დავისახლე.

ბითა ყოვლის კაცის მოუდევრად და უცილებლად. მოგართვით ფასად ოქროს
ხანჯალი და [ა]რა ოდეს არ შამოგეცილნეთ არა ჩევნ და არა შემდგომად ჩვე-
ნი სახლის კაცი. ღ[მერ]თ[მა]ნ გიბედნიაროს და მოგაქმაროს. არის ამისი მო-
წამე აგათოშვილი ბეჭან. მე არსენს წინ[ა]მძღ[ვა]რს დამიშერია და მოწამეცა
ვარ. დაიწერა წიგნი ესე ქ[ორონი]ქ[ო]ნს ტმზ, თვე[ე]სა მარტსა ხუთსა. + + *

51. 1665 წ. აპრილის დამდეგს. ყმობის წიგნი, მიცემული მახარე გამაზიდაშვილის მიერ
ქალაქის მელიქ ენალასადმი. პირი, გადაწერილი უზენაეს მართებლობის ბრძანებით
XIX საუკ. დასაწყისს მხედრული ხელით. — საქ. ც. — არქ. ც. — № 5/117.

სახელითა ღმრთისათა, ესე ეამთა და ღროთა გასათავებელი წიგნი და ნიშანი
ნასყიდობისა დაგიწერინეთ და მოგეცით ჩევნ, გამზიდაშვილმან მახარემან და
ჩემ(მ)ან შვილმან გიორგიმა და პატამან, სახლისა მომავალმან ჩემ(მ)ან თქვენ,
ქალაქის მელიქს ენალას და შვილთა თქვენთა: თაყინას, საფარას, როსტომს,
ქაიხოსროს და ბეჭანს, სახლისა მომავალთა თქვენთა; — ასრე და ამა პირსა ზე-
და, რომე იმერეთით მოველ, ამ ქვეყანას ცოლი შევირთვე, ცოლი მამიკულა,
ეული კაცი ვიყავ, უმამულო. ვერა გავაწყე რა, ვალჩი ჩავარდი, მოვალეთ დიალ
დამაწუხეს, სხვა ვერა მოვიგონე რა და თქვენ მოგმართეთ, შემოგეხვეწე. ჩემი
ხვეწნაც იყაბულე და მოველ, გეყმევ. მანამდისინ ცოცხალი ვიყო შენ გმსახუ-
რო. ჩემს უკან ჩემნან შვილებმან თქვენს შვილებს მსახუროს; აწე აზდეგ,
თქვენც თურმე ვალი გქონდა, ის მიეც და სარჩო გამიჩინეთ, სახლკარზედ და-
მასახლეთ; უსიკვდილოთ არც მე გაგეყარო და არც ჩემ(მ)ან შვილის შვილებმან.
არავინ არის ჩემნი მოცილე, არცა მოდავე თვინიერ ერთისა უტყუ[უ]ვარის ღ
ღმრთის მეტი. თუ ვინმე ჩემნი მოცილე-მოდავე გამოჩნდეს, თქვენიც შემცო-
დავი ვიყვნეთ და თქვენის შვილებისაც. არის ამისი დამხვედრი მოწამე თავათ
ღ[მერ]თი . . . კაცთაგან წყნეთელი მუქაფაშვილი მახარა და კუზიკაშვილი
დავითა, ულურალუშვილი შავერდა. მე ზაქარაშვილს შერშაზანას დამიშერია,
მოწამეცა ვარ. დაიწერა ესე წიგნი აპრილის დამდექს, ქ[ორონი]ქ[ო]ნს ტნგ. *

+ + +

* სათაური სხვა ხელით:

ქ. კახურია. ეს წიგნ ბარათაშვილისაგან მოსყიდულის კაცისა.

² უკანასკნელი სიტყვა ტექსტში სწერია: გამაზიდა.

³ უკანასკნელი სიტყვა ტექსტში სწერია: უტყეებრის.

⁴ მინაწერები: ასლთან თანასწორ არს. სოვეტნიკი თავადი დიმიტრი თარხანოვი-
ასლი დოკუმენტი მივიღე. თავადი იოსებ შელიქოვი.

52. 1661 წ. თებერვლის 12-ს. ყმისა და მამულის მოცვლილობის წიგნი, მიცემული პა-
პუნა გოსტაბაშის-შვილის მიერ თაყა ასანბეგის-შვილისადმი. დედანი. 16,6X16 სმ, და-
წერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტ-
უის შემდეგ ნახმარიდა ორ-ორი, ან სამ-სამი წერტილი — საქ. მუზ., № 2236 hd.

[ქ] ნებითა და შეწევნითა ლეგითისათა მოგეცით ესე წიგნი ჩვენ, გოსტა-
შაბის-შვილმა პაპუნამ და შვილმა ჩვენმა გოსტაშიაბ, ყაფ[ა]რბეგ, ნიკოლოზ
და თამაზ თქვენ, ას[ა]ნბეგის-შვილს თაყას, ასლამაზს და. შვილთა თქვენთა
გიორგის, ასლ[ა]ნს და იოსებს; —ასე და ამა პირსა ზედან, რომე მოგიცა[ა]ლეთ
ენ[ა]გვეთს ჯანიქას-შვილები ს[ა]მთ[ა]ვ კომლი მისის მამულითა და შეს[ა]ვ[ა]ლ-
გას[ა]ვლითა, პაპისგორში ხუთის დღის მიწა; კიდევ ვ[ა]ლი გემართათ და
ც[ა]მეტი თუმ[ა]ნი თეთრი მოგეცით და ვ[ა]ლი გარზაგიშვილ[ო]ტე ამის სანუქო-
ფო გამოგარჟვა ტაბისში რისაც მქონებელი იყავ. ასე გამიღებით ტაბისიდამე,
რომ ერთმანეთ[თ]ან კელი ალარა გვქონდეს ძმობისა და ამხან[ა]გობის მეტი.
ამისათ გასათავებლათ მამიცემია თავ[ა]დ ლ[მერ]თი . . . არის ამისი მოწამე
მეჯინიბეთუცესი პა[ა]ტა, მისი ძმა ოთარი, სულხ[ა]ნ ბარათასშვილი, მისი ძმა
იონ[ა]თამ, რევაზის-შვილი შერმაზ[ა]ნ, თამაზის-შვილი იესე და დათუნა,
აბადარბაში გიორგი, ჩვენი ყმები: არეშის-შვილი ფრიდონა და გურგენა, ჩი-
ტიას-შვილები მახარა და მისი შვილები. მე მოლარე ბეჭანს დამიწერია და
მოწ[ა]მეც ვარ. ქ[ორონი]კუნ[ს] ტნთ, თებერვლის თორმეტს დაიწერა

პაპუნა

53. 1661 წ. მაისის 27-ს. მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ბერუკა ბუულულაშვი-
ლის მიერ პაპუნა (გოსტაშაბის-შვილისადმი). პირი XIX ს-ის დასაწყისისა. 34, X 21,5 სმ,
გადაწერილი ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი
სიტუაციის შემდეგ ნახმარია სწმ-სამი წერტილი — საქ. მუზ., № 10.026-ა hd.

ქ ესე უთუო, უთუმცო, დრომოუდებელი და მიზეზშემოულე-
ბელი ფიცი, პირი და ნასყიდობის წიგნი მოგართვით ჩვენ, ბუულულაშვილმა ბე-
რუკამ და შვილმა ჩემა სეხნიამა და იასემ თქუენ, ბატონს პაპუნას და შვილთა
და შვილის-შვილთა სახლისა თქუენისთა ყოველთავე; — მას უამსა, ოდეს და-
გულებირა და მოგყიდეთ ჩენი მამული ალგეთზედ თქვენს წისქვილთან ჭალა
ალგეთსა და წისქვილის რუს შუა, ზედათ საკირემდისინ და ქვეშეთ წისქვილის
გარდასავდებამდისინ; და ავიღეთ ფასი სრული, რასაც ჩენი გული შეგვერ-
დებოდა. ლ[მერ]ომან მოგახმაროს და ხელი გეწიფოდეს გასყიდვათ, გაზითვათ
და რითაც ფერით მოსახმარისათ გინდოდეს. არის ამისი მოწამე და დამხდომი
ჩემი ბატონი თაყა, მისი ძმა დურმიშხან და მათივ ბიძაშვილი იორია, ჩემი გა-
ნაყოფი ოტია, დემეტრა და პაპია. ბატონის ჩემის მსახური + მალრიბა-
შვილი გიორგი და ერთობით მისნი ყმანი. თვითონ მე ყორდანაშვილს შაუელის
დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა ქ[ორონი]კუნ[ს] ტმთ, მაისის ქ[ა].

54. 1668 წ. ახლო. ბატონიშვილის წიგნი, მიცემული ყანდარალას მიერ თარხან გიორგი და სხვა მოურავის-შვილებისადმი. დედანი. 21×15,7 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სახა წერტილი. თარიღი არ უზის; მიმღები თარხანი გიორგი, ავთანდილ, შიომ და სხვა მოურავის-შვილები გეხვდება საბუთებში 1663 წელს (საქ. სიდ., II, № 64—89) და ეს საბუთოც ამ 1663 წლის ახლო დროს უნდა ეკუთნოდეს. — საქ. მუხ., № 2589 ჩd.

ქ . . . ესე | წიგნი მოგეც მე, ყ[ა]ნ. დურალ[ა]მ[ა]ნ, შვილმ[ა]ნ ჩემ[მა]ნ ფარს[ა]ლ[ა]ნ თქვენ, ბ[ა]ტონს მოურალების შვილს ბ[ა]ტონს თ[ა]რხ[ა]ნს გი-ორგის, ბ[ა]ტონს მეჯინებეთუხუცეს ბ[ა]ტონს ავთ[ა]ნდილს, ღ[ა]ვითს, შიომ და ზურ[ა]ბს; — ასე რომე მე მოველ ახ[ა]ლქ[ა]ლ[ა]ქს და თქვენ გეყმე და ჩემი ცოლ-შვილი ახ[ა]ლციხეს არის და, თუ ჩ[ა]მოვიყვ[ა]ნე ჩემი ცოლშვილი დ[ა] ქ[ა]რთლ-ჩ[ი] ჩ[ა]მოველ, თქვენს უკეთესი ბ[ა]ტონი თუ მინდოდე[ს], ბ[ა]ტონმ[ა]ნ ნეფემ[ა]ნ თ[ა]ვის შეცოლებ[ა]თ მკითხოს. არ ას ამისი მოშ[ა]მე კ[ა]ცთ[ა]გ[ა]ნ ნ[ა]ს[ა]-ხის¹ ხ[ა]სუკრის-შვილი ნიკოლოზ, თუხ[ა]რლის-შვილი ბერი. მე იოვ[ა]ნეს დ[ა]-მიწერია დ[ა] მოშ[ა]მეც ვარ ამისი. + + ²

55. 1663 წ. დეკემბრის. 18-ს. ყმების ნასყიდობის წიგნი, მიცემული ხოხონა ჯიშვარიანის მიერ თავის ძმა ხახუტასადმი. საბუთი მცხეთის ეკლესიის, №№ ჩნივ. 440. დედანი. დახული თავში. 35×30,2 სმ. დაწერილი მოთვარი ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი — საქ. ც. — არქ., ფ. — , № 2945.

ნიშანი შეგოწყვალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენსა ყმასა კავთისკეველს იმნაძეს ზურაბასა, ციხოელსა, გოგიასა, ესტატესა, იმედასა, პეტრესა, დემეტრესა, ოთარსა, პაპუნასა, ბასილასა, გოდერძისა, ბერიასა, ლათუნასა და მომავალთა სახლისა თქვენისოთა; მას უამსა ოდეს სითარხნის წყალობას გვიაჯენით ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი მოკითხული გიყავით და ძელათ კელმწიფეთაგან[ა]ც თარხანი ყოფილიყვენით და წიგნები აქ ჩვენს კარზედ დაგევარგათ. შეგიწყალეთ და გაგიახლეთ და სიგლითა ამით დაგიმტკიცეთ და ასე გათარხენეთ და გათავისუფლეთ, რომე არაფერი საჩვენო სათხოვარი და გამოსალები არ გეთხოვებოდესთ, არა ღალა, არა კულუხი, არა საბალახე და პირისთავი, არა ნახირისთავი, არა შიშლიგი, არა ხვნა და თესვა, არა მკა და ლეწვა, არაფერი ბეგარი და საჩვენო სათხოვარი არ გეთხოვებოდეს ერთის სათათრო საურისა და ლაშქარ-ნალირობისა, და ჩვენს კარზედ მეჯინიბობის მეტი. აწე გიბანებთ, კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო და სხვანო გამრიგენო, ბძანება და ნიშანი ესე ჩვენი თქვენცა ასრე გაუთავეთ. დაიწერა ბძანება და ნიშანი ესე კელითა კარისა ჩვენის მდივან-მწიგნობარის თუმნიშვილის გივისითა. ქ[ორონი]კ[ონ]სა ტოც

მეფე ნ. არალიხან

ქ . ჩვენ, ცხებით მეფეთ-მეფემა¹ თვით კემწიფემ პ[ა]ტრონმა თეიმურაზ ესე წყ[ა]ლობის ფ[ი]რმანი ჩვენცა ასრევ დ[ა]ვ[ა]მტკიცებთ თიბ[ა]თვის ივ გ[ა]-სულს, ქ[ორონი]კ[ონ]ს ულ.

მეფე თეიმურაზ

ქ . ჩვენ, მეფე ირაკლი ვამტკიცებთ სიგელსა ამას. როგორათაც ნეტარ-ჭენებულს ბატონს მამა ჩვენს დაუმტკიცებია ფარვანი ეს, ჩვენც ამრიგად დაგვიმტკიცებია ფარვანი ესე. თიბათვის კგ, ქ[ორონი]კ[ონ]ს უნგ.



ქ . ჩვენ, საქართველოსა და კახეთისა დედოფალთ-დედოფალი დადიანის ასული პატრონი დარეჯან ვამტკიცებთ სიგელსა ამას. თიბათვის იგ, ქ[ორონი]-კ[ონ]ს უნზ.

დ[ა]დოჭ[ა]ლი
დარეჯან

ქ . ჩვენ, საქართველოს უფლისწული ბატონისშვილი პატრონი გიორგი, ააგვარადაც ნეტარსენებულს ბატონს პაპას ჩვენს და ბეღნიერს ბატონს მამა ჩვენს ეს ფარმანი დაუმტკიცებიათ, ჩვენც იმგვარად ვამტკიცებთ ფარმანსა ამას. მკათათვის ბ. ქ[ორონი]კ[ონ]ს უნბ.

გიორგიბა
ტონისშვილი

¹ ბეჭედს შუაში აქვს ასომთავრული წარწერა: ერეკლე.

ქ. ჩვენ, ქართლისა და კახეთის მეფის ირაკლის ძემ პატრონმან ლეონ ქს
ნეტარად კსენებულის პაპის ჩვენისა და მისის უმაღლესობის პატრონის მამის
ჩვენისაგან დამტკიცებული სიგელი ჩვენც დავამტკიცეთ უცვალებელად. სეკ-
დემბერს ლ, ქორონიკონ]ს უდე

მრჩობლთა მეფეთა ძესა
ლეონ სახელად მძესა

ქ. ჩვენ, ქართლისა და კახეთის მეფის ირაკლის ძემ პატრონმაზ იულონ.
ეს ნეტარად კსენებულის პაპის ჩვენის და მისის უმაღლესობის პატრონის მამის
ჩვენისაგან დამტკიცებული სიგელი ჩვენც დავამტკიცეთ უცვალებელად. ნოემ-
ბერს იზ, ქორონიკონ]ს უობ.

ქ. ღ-თისმშობლის სასოიანი
იულონ დავითიანი

121. 1690 წ. ყმების ნასყიდობის წიგნი, მიცემული ფარსადან და სხვა ციცის-შვილების
მიერ ნიკოლოზ მაღალაძისაღმი. დედანი. დაზიანებული (თავი მოხეულია და დაკარ-
გული. ტექსტის დასაწყისში აკლია რმდენიმე სტრიქონი). 29X13.8 სმ. დაწერილი მო-
თეთრო-მოყვითალო თხელ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად
ყოველი სიტყვის შემდევ ნახმარია ორ-ორი წერტილი. — საქ. მუზ., № 1883 ad.

ქ. ესე ნასყიდობის წიგნი მოგეცით ჩვენ, ციცის-შვილმა პატრონმა
ფარსადან, ძმამან ჩემმან ვახტანგ, პაატამ, ამილაბარ და ნოღარ, შვილმან
ჩემმან ზაზამ და მომავალთა სახლისა ჩუენისათა ყოველთავე თქუენ, მაღალაძეს
ქაღაგს მლდელ-მონაზონს ნიკოლოზს, ძმასა შენსა სახლთუხუცეს რევაზს,
ადამს, ზურაბს და დემეტრეს და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთა-
ვე; — ასე რომე მოგყიდეთ დოელი ხუდუაშვილები ორნი ძმანი და ორი შათო
ძმისწული გამოყუა. ახლა ის ობლები ისევ თავის მამულზე მოვიდენ. იმათ სა-
ნაცლოდ ჩუენი მემკუიდრე კაცი დოელი მეკრის გოგის შეილი თამაზა და მისი
ძმა რამაზა იყო თქუენს მამულში და ის მოგეცით ყოვლის კაცის უცილებლად,
არას ადამის მონათესავეს კაცს იმასთან კელი არა აქუს. თუ ვინმე გედეოს და
გესარჩლოს, პირისა და პასუხის გამცემი ჩუენ ვიყუნეთ. . . არიან ამისი მო-
წამენი სახლთუხუცესი ალაბეგიშვილი ბერუკა, მოურავი კლიმიაშვილი იესე-
ტერტერაშვილი პაპუა და ჩაჩიკაშვილი ბერი ელისე. მე კელმწიფის კარის დეკა-
ნოზიშვილს აბელს დამიწერია და მოწამეცა ვარ, ქორონიკონ]ს ტოტ.

[ბარძი]მ მღავანბეგის ბრძანებით გარიგდა ეს ნასყიდობა ამ თამაზასი და
რამაზასი

- 122.** 1690 წ. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ფარსადან და სხვა ციციშვილების მიერ რევაზ და სხვა მაღალაძეთა დამი. დედანი. დაზიანებული თავში (დახეული). $19,2 \times 15,8$ სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაზმარია ორ-ორი წერტილი. თარიღია აქვს 1790 წ. — საქ. მუზ., № 1781 ad.

ქ. ესე ნასყიდობის წიგნი მოგეცით ჩუენ, ციცის-შვილმან პატრონშან ფარსადან და ძმამან ჩუენმან ვახტანგ, პაატამა, ამილლაბარ და ნოდარ და შვილმან ჩაზამა და მომავალთა თქუენ, მაღალაძეთ სახლის შვიცეს რევაზს, ნიკოლოზს, ადამს, ზურაბს, დემეტრეს, ამილბარს, სოლომონს და სარიდანს; — ასე და ამა პირსა ზედან, რომე თქუენი თეთრი ემართა ნინიას ჩემს ყმასა; ბევრი იყო და მოცემა ალარ ზაეძლო. ჩემი ყმა ჩუენ დავისხენით და მოგეცით ჩუენი მემკვიდრე დოელი ხუდუაშვილი როსტომი და დათუნა და იმისი ძმისწულები. ასე რომე არას კაცს თქუენთან ხელი და პასუხი არა ჰქონდეს ამ როსტომასა და დათუნასა და მის ძმისწულებთანა. თუ ვინმე ამისი მოდევე და მოლაპარაკე გამოჩნდეს, პირისა და პასუხის მამცემი ჩუენ ვიყუნეთ. არის ამისი მოწამე ტერტერაშვილი პაპუა, მუჩაიძე ფილიძე, მაღალაშვილი და მოურავი კლიმიას-შვილი იქს. ასრუ ნასყიდათ და ვალში მოგვიცემია. ქ'კნა ტოტ. ამ ხუდუაშვილთან არც ჩუენ და არც ჩუენის სახლის კაცს ხელი არა ჰქონდეს და არცავინ შემოგეცილოს



- 123.** 1690 წ. მამულისა და ყმის წყალობის წიგნი, მიცემული გიორგი მეფის მიერ ფე-შანგი ფინეზას-შვილისაგმი. დედანი. დახეული, ნაწილობრივ დაკერებული. $39,2 \times 19,1$ სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაზმარია სამ-სამი წერტილი — საქ. ც. — არქ. ც. — , № 1776.



ქ. ესე ამიერ უამთა და ხანთა მტკიცე და უცვალებელი წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიმოძეთ ჩუენ, მეფეთ-მეფემან პატრონშა გიორგიმ თქუენ, ჩუენსა ერდგულთა და თავდადებით ერდგულობით მრავალ-ფერუდ ნამსახურთა ყმათა ჩუენთა ფინეზას-შვილს ფეხანგის, ძმასა შენსა გიორგის, შვილთა და მამავალთა სახლისა თქენისათა ყოველთავე; — მას უამსა, ოდეს მოგვიდექით კარსა ჩუენსა დარბაზისასა და თქენის განაყოფის აღიბეგაშვილის მამულისა და გლეხების წყალობას გვიაჯნით. რაღვან ჩუენს სილარიბის ღროს გვიახელით და მრავალი გუმბათურეთ, ვითაც თქუენსავ ერთათ ყოფაში ამოვარ-დნილიყო და თქუენის განაყოფის მამული კიდეც თქუენ გეხელყოდათ, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და გიბოძეთ იქივ შვა-ბოლნისს | ბაიდრის-უბანს თქუენის განაყოფის ამოვარდნილის აღიბეგაშვილის მამული და გლეხი, რისაც მქონე-

¹ სათაური: ხუდუაშვილის ნასყიდობისა.

ბელი ყოფილიყოს, მისის სახლ-კარითა, ჭურ-მარნითა, ველითა, ვენახითა წყლითა, წისქვილითა, მთითა და ბარითა, სასაძოვროთა და სასაფლაოთა ყოვლითურ უნაკლულოთ თქუენთვის და თქუენთა შეილთატვი გვიბოძებია. გაქონდეს და ვიბედნიაროს ღმერთ მესან ჩვენსა ერდგულად სამსახურსა შიგან. არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა შემდგომად სხვათა მეპატრონე-თაგან თვინიერ თანადგომისა და შეწევნისაგან. დაიწერა ბძანება და ნიშანი ესე ქორონიკონეს ტომ. გორგი. ¹

124. 1690 — 1716 წლ. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ზაქუმბეგ ალი-ყულიშვილის მიერ ავთანდილ დიასამიძისადმი. დედანი. $30,6 \times 16,5$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემ-დეგ ნახმარის ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უზის: ზაქუმბეგ ალიყულიშვილი გვხდება საბუთში 1690 წელს; ავთანდილ დიასამიძე — 1710, 1712 წლებში, მდივანი გვივი (თუმანიშვილი) — 1703, 1709, 1716 წლებში (ხაქ. სიდ. III, №№ 429 — 406, 423 — 407, 428 — 411). ამისდა მიხედვით, საბუთი ეკუთვნის 1690—1716 ახლო წლებს — ხაქ. ც. — არქ., ფ. — , № 130.

ქ. ესე წიგნი მოგართვით ჩვენ, ალიყულიშვილმან ზაქუმბეგ თქვენ, დიასა-მიძეს ბატონს ავთანდილს და ბიძინას და სახლისკაცთა თქვენთა; — ასრე და ამა პირსა ზედან, რომე ქვემო-ბოლნის ჩვენი კერძი გლეხნი: დოვლათაშვილის მამული, თურგანდაშვილის მამული, ამირაიზაშვილის მამული, წატურას მამული, ზაზაშვილის მამული, ესენი თავეთის სახლკარითა, მიწაწყლითა, ველითა, ვენა-ხითა, სახნავითა, სათიბითა, საწისევილოთა, მთითა და ბარითა, საძებრითა და უძებრითა, რისაც მქონებელი ქვემო-ბოლნის ვიყვენით, ყველა თქვენ მოგყიდეთ და ფასი სრული ავილევით. თუ ვინმე ან ჩემი ნათესავი, ან სხვა განაყოფი და რაც რჯული კაცი ამას შემრგეცილოს, ან კელმწიფე წამოგედაოს, პირისა და პასუხის [ს] გამცემი ჩვენ ვიყვნეთ. ამასდა გარდაისად იქ ბოლნისში უამთა ვითა-რებით ვისაც ჩემი მამული ან დაეჭიროს, ან სამძღვარი გაეტეხოს, იმაზედ კიდეც შოგყვე, კიდეც ველაპარაკო, მართლის საქმითა და მონდომებით იმის გამოხს-ნას ვეცადო. იქ ჩემგან ჩემის ბეჭდით ერთის დღის მიწა არი[ს]. გასყიდული, ნაზარის უჭირავს. სხვა ჩემის ბეჭდით არავის რა აქვს და, თუ ვძსმე ნაძალა-დევად დაუჭერია, კიდეც ველაპარაკო და გამოხსნასაც ვეცადო. არის ამისი. მოწამე ნაზირი ზა[ა]ლ. მე მდივანს გივს დამიწერია და მოწამეცავარ.



¹ ხველად.

² სათაური სხვა ხელით:

ქ დიასამიძის ბოლნის მამულების ნასყიდობა....

125. 1691 წ. სითარხნის წყალობის წიგნი, მიცემული გიორგი მეფის მიერ ბაინდურა და სხვა თოფქიშვილთადმი. დედანი. თავი მოხეულია და დაკარგული. $25,8 \times 21,8$ სმ. დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი, ან სამ-სამი წერტილი — საქ. ც. — არქ., ფ. — , № 2284.


ქ. . . ჩვენ, მღ[უ]თ[ი]ვ ამაღლებულმა]ნ და მღ[უ]თ[ი]ვ დამყ[ა]რებულ-
მ[ა]ნ, მღ[უ]თ[ი]ვ გუირგუინოსანმ[ა]ნ [იესეა]ნ - დავითიან - სოლომონ[იან]-
პ[ა]ნკრატიონ[მან] მეფეთ-მეფემ[ა]ნ და კელმწიფემ[ა]ნ პატრონმ[ა]ნ გიორგიმ[ა]ნ,
თანამეცხელრემ[ა]ნ ჩვენმ[ა]ნ დელოფ[ა]ლთ-დელოფალმ[ა]ნ ბატონმ[ა]ნ ხორა-
შან, პირმშ[ო]მ[ა]ნ და სასურველმ[ა]ნ ძემ[ა]ნ ჩვენმ[ა]ნ ბაგრატ, ესე ამიერ[ი]თ
უამთა და ხანთა გას[ა]თ[ა]ვებელი მტკიცე და უცვ[ა]ლებელი წყალობის წიგნი
და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, თოფქიაშვილს ბ[ა]ინდურასა,
დათუნასა და ძმასა თქვენსა მამუკასა, გიორგისა, პაპუნასა, თანიასა, ხოსიასა,
იასესა, შაბურსა, დემეტრესა, ბერუესა, ჯანშიასა მომ[ა]ვე[ა]ლსა სახლისა თქვე-
ნისათა; — მოგვადექ[ი]თ კარსა და სით[ა]რხნის წყალობას დაგვიაჯენით, ჩვენცა
ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, წყალობა გიყ[ა]ვით, არაფერი საჩვენო
ს[ა]თხოვგ[ა]რი არა გეთხოვებოდეს რა, არა კოდისბური, არა საბალახე, არა
შიშლიგი, არა პირისთ[ა]ვი, არა სამეჯინიბო, არა ნახ[ი]რისთ[ა]ვი, არა საური,
არა სატყვეო, არა საციხისთაო; არა გეთხოვებოდეს რა ერთი ლაშქარ-ნადი-
შობის შეტი. [გ]ქონდეს და გიბელინეროს ლმერთმ[ა]ნ ჩვენსა ერდგულობას[ა] სამს[ა]ხურსა შინა. აგრევე გიბძ[ა]ნებ[გ]თ კარისა ჩვენისა გამრიგენო და ვექილ-
ვეზირნო და სხვანო მოსაქმენო, რა რიგადაც ამ ჩვენს ნაწყალობევს ფარმ[ა]ნსა
შიგ[ა]ნ ეწეროს, თქვენც ასე დაუშტესი[უ]ცე. დაიწერა ბძ[ა]ნება და ნიშანი
ესე კელითა თუმ[ა]ნიშვილის ლიპარიტის[ა]თა. ქ[ორონი]კ[ონ]ს[ა] ტოთ. გი-
ორგი¹.

ქ. ესე ბძანება ჩვენც ასე დაგუიმტკიცებია ქ[ორონი]კ[ონ]ს ტუ, თიბათვის
№8.

• . .
.. ბატონი
შვილი სვიმონ

• . .
ბატო-
ნიშვილი
თემურას

ქ. ეს ბძანება ჩვენც ასე დაგუიმტკიცებია. ერქვლე².



¹ ხვეულად.

² ხვეულად.

126. 1692 წ. ახლო. საფქვავის ამოკვეთის წიგნი, მიცემული სეხნია ტატის-შვილის მიერ შოშიტა მიქელაშვილისადმი. დედანი. 31,5×15,4 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უზის, მაგრამ მოიპოვება საბუთი, მიცემული იმავე პირის შეირ იმავე პირთადმი, დაწერილი 1692 წელს (საქ. სიდ., II, № 133—161). საქ. მუზ., № 732 ჩ.

ქ. . . ესე ამიერ უკუნისამდე უამთა და ხანთა გასათავებელი, მიზეზშე-შოულებელი, ღროდაუცემელი და ყოველის ილეთისაგან გამოსული მტკიცე-და პირუეცეველი წყალობისა წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ, ტატის-შვილმა ბევანის შვილმა ბატონმა სეხნიამ და შვილმა ჩვენმა ბევან და შვილმა და მამავალმა სახლისა ჩვენისამა თქუნ, ჩვენს ერთგულსა და ერთგულად თავ-დადებით ნამსახურსა ყმასა მიქელაშვილსა შოშიტასა და მღდელსა იოვანესა, სეხნიასა, გიორგისა და შვილთა და მომავალთა სახლისა თქუნისათა ყოველთავე;—ასრე და ამა პირსა ზედან, რომე საფქუავი ამოგირვეთოთ. ვერამ ჩვენმან მონა-თესავემ კაცმან თქუნ საფქუავი ვერ დაგათქვევინოს და არაოდეს არ მოგეშა-ლოს ეს ჩვენგან ნაბოძები წიგნი არცა ჩვენგან და არცა შემდგომთა ჩვენთა-სხუათა მეპატრონეთაგან. თქუნც ჩვენთვინ მოგირთმევიათ ქრთამი, რითაც ჩვე-ნი გული შეგუჯერდებოდა . . . კაცთაგან არის ამისი მოწამე დეკანოზის-შვილი ელიზბარ და პეტრე და ინდუს-შვილი ბერა და ფალავანდის-შვილის ყმა მემარნის-შვილი ლაზარე და დეკანოზის-შვილის ყმა მახარობელი და ჩვენი მსახური მექეაბიძე მაღუა და მარკოზის-შვილის დემეტრეს შვილი ბერი.... და მე მერაბას დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. + + +¹

127. 1692 წ. იენისის „დამდეგს“. მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ფიფინაშვილე-ბის მიერ ბერძნიშვილებისადმი, 28,2×20,2 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრუ-ლი ხელით; განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი, ან სამ-სამი წერტილი; თარიღი აქვს 1692 წ.—საქ. მუზ., № 53 სდ.

ქ. . . ესე ამიერ უკუნისამდე უამთა და ხანთა გასათავებელი წიგნი ნას-ყიდობისა მოგეც მე, ფიფინაშვილებმა ზაქარიემა და ჩემა ძმისწულმან გიორგიმა მამუკამა და ბერძანა, შვილმან და მამავალმან სახლისა ჩვენისამან ყოველთავე თქვენ, ბერძნიშვილს არდაშელს, ძმასა შენსა ნასყიდასა და ბევანსა, შვილთა და მამავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე;—მას ეამსა ოდეს ლიალა დიდი ძა-ლი და უდიარი მაღგა და შვილიც გავყიდე, თავი ვერ გამოვისენ, მოველ და შამოგეხვეწენით. სულს იქით გზა ალარსათ გვქონდა, მოგყიდეთ ჩვენი ალალი ნასყიდი მიწა დედოფლის რუზე, მიწა შლაპიშვილისეული და ავილეთ თქვენგან ფასი სრული და უკლებელი, რითაც რომ ჩვენი გული შეგჯერდებოდათ. ჩვენი

¹ სხვა ხელით: ქ. მიქელაშვილის ნასყიდობა (sic)..

თქვენზედა აღარა დარჩომილა რა. გქონდეს და გიბედნიეროს ლ[მერ]თ[მა]ნ-
აწე არის ამისი მოწამე ჯერ ლ-თი და კაცთაგან შინდისის მოურავი სიდამონი,
მურსა-ყულიშვილი ბექან, მამასახლისი აბრამ, ნაცვალი დათუნა, თათრიშვილი
ელიზარა, სამნიაშვილი გოგია და სულ ერთობით შინდელნი არის ამისი დაამხ-
დომნ და მოწამენი . . . ესე მიწა ზეით თავს ნერგითა, რუთა ბოლომდი გვერ-
დი კახიშვილის მაწის მიღმამდი. მე პარკაძეს დათუნას დამიწერია და მოწამე-
ცა ვარ ამისი. დაიწერა ესე წიგნი თიბათვეს დამდეგსა ქორონიკონ]ს ტპ. + +
+ +¹

128. 1693 წ. ივლისის 27-ს. ყმისა და მაშულის წყალობის წიგნი, მიცემული გიორგი
ერისთავის მიერ ელისბარ კობიას-შვილისადმი. დედანი. დაკერძობული თავში. ზომი
დედნისა 47,2X19,4 სმ, საკერძლოთვე — 56,4X19,4 სმ. დაწერილი თეთრ ქალალზე
მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-
სამი წერტილი — საქ. ც. — არქ. ც. № 5701.

ქ ნებითა და შეწევნითა ლ[უ]თის[ა]თა . . . ესე უკუნისამდე ქ[ა]მთა
გას[ა]თ[ა]ვებელი მტკიცე და შეუცვალებელი წყალობის წიგნი და სიგელი გიბო-
ძეთ დწა] შეგიწყალეთ ჩვენ, ერისთ[ა]ვმ[ა]ნ პატრონმ[ა]ნ გიორგიმ, ბიძამ[ა]ნ
ჩვენმ[ა]ნ დავით, ბოქოულთ-უხუცესმა ზურ[ა]ბ, თეიმურ[ა]ზ, ავთანდილ, ვამიყ,
ხ[ა]რჭ[ა]შნელმა გრიგოლ, თბილელმან ონოფრემ, ოთარმა და რევაზ, ედიშერ
თქვენ, ჩვენსა ერთგულსა და თ[ა]ვდადებით ნ[ა]მს[ა]ხურს ყმ[ა]ს კობიას-
შვილს ელისბ[ა]რს და შვილთა თქვენთა გივსა, ავთ[ა]ნდილს და ამირ[ა]ნს; —
ასე რომე მამულის წყალობგ[ა]ს გვეაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი,
შეგიწყალეთ და გიბოძეთ დუშეთს გორგ[ა]მის-შვილი თ[ა]ნდილა, დემეტრე და
გიორგი მისის ს[ა]მ[ა]რთლიანის მამულითა დღეს რის[ა]ც მქონებელი იყოს,
ს[ა]ხლითა, კარითა, ველით, ვენაჟით, მთითა, ბარითა, წყლითა და წისქვილი-
თა, ს[ა]კნ[ა]ვითა და ს[ა]თიბითა, ქვევრითა და მ[ა]რნითა, ყოველის მისის
ს[ა]მ[ა]რთლიანის ს[ა]მმღერით. [გ]ქონდეს და გიბედნიეროს ლ[მერ]თ[მა]ნ-
ჩვენს ერთგულ[ა]თ ს[ა]მს[ა]ხურსა შინა. და ასე გაგით[ა]ვდეს და არ მოგეშა-
ლოს არა ჩვენგ[ა]ნ და არა სხვათა მეპატრონეთ[ა]გ[ა]ნ. ვინც ეს ჩვენი წყალო-
ბა მოგიშალოს, რის[ა]ვმც ლ[მერ]თი . . . დაიწერა წიგნი და სიგელი ესე
მყათათვეს კზ, ქორონიკონ]ს ტპა.

მონა ლ[ვ]თისა ერის
თავი გიორგი

მონა ლ[ვ]თისა ეზი-
კადაბაში ზურაბ

ერისთვიშვილი
თემურაზ

* სათაური სხვა ხელით: ქ. დელოფალის (რუსუდანის).

129. 1693 წ. ოქტომბრის 25-ს. ყმისა და მამულის წყალობის წიგნი, მიცემული ნაზარ-ალიხანის მიერ ვახტანგ ბარათაშვილისადმი. პირი, ვადაწერილი უზენაეს მართებლობის ბრძანებით XIX საუკ. დასაწყისს მხედრული ხელით — საქ ც. — არქ., ფ. — , № 2/141.

ნებითა და შეწევნითა ღმთისითა ჩენ, ღმთივ ზეჯ აღმართებულმან იქსი-ან-დავითიან-სოლომონიან მღვთავ ზეცით ვეირგვინოსან ბაგრატიანმან მე-ფეთ-მეფემან და თვით ხელმწიფემან პატრიონმან ნაზარალიხან, დედოფალთ-დედოფალმან დედამან ჩენმან პატრიონმან ელენემ, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩენმან პატრიონმან იმამყულიძ და პატრიონმან კოსტანტინემ ესე ამიერით უუნისამდე უამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და მოუშლელი წყალობის წიგნი და ნიშანი გიბოძეთ თქვენ, ჩენსა ერდგულსა და წესისაებრ თავდადებით ნამსახურსა ბარათაშვილს გიორგის-შვილს ვახტანგსა, თაყასა და ზურაბსა, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისასა ყოველთავე; — მას უამსა როდესაც მოვეიდებით კართა დარბაზისა ჩენისასა და წყალობას დაგვიაჯენით, ჩენც ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გიბოძეთ ციხის ყორლონაშვილის როინას გლეხი აქა და მოხსენება თქვენი და იქივ იმავ ყორლონაშვილის გურგენის-შვილის გლეხი მახია შავდავითაშვილი და იქივ ციხის ყორლანას გლეხი ბაინდურას-შვილები. ესეს მათის მამულითა, მთითა, ბარითა, ველითა, ვენახითა, მიწა-წყლითა, სახწავებითა¹ და ყოვლისა მათის სამართლიანის საქმითა და სამღლერითა ყოვლითურთ თქვენთვის და შეილთა თქვენთათვის გვიბოძებია ყოვლის კაცისაგან მოუსარჩელად. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩენსა ერთგულობასა შინა. არ მოგეშალოს ჩენგან და არც სხვათა მეფეთა შემდგომთა ჩენთაგან. აწე გიბძანებთ კარისა ჩენისა ვექილ-ვეზირნო და სხვანო მოსაქმენო, ბძანება და ნიშანი ჩენი თქვენც ასე გაუთავეთ, რა რიგადაც ამა ჩენგან ნაბოძებსა ფარვანსა შინა ეწეროს [და ნუ მოუშლით და შეეცილებით თვინიერ] შეწევნისა და თანადგომისაგან კიდე. დაიწერა ბძანება და ნიშანი ესე ხელითა კარისა ჩენისა მდივან-მწიგნობრის დავითისითა, ქლორო-

ნი]ქლონ]ს ტპა, ლვინობისთვის კე:



¹ უკანასკნელი სიტყვა პირში-სწერია: სახლერძთა;

² მინაწერები:

ასლთან თანასწორ არს. სოვეტნიკი თ-ი დიმიტრი თარხანვი.

ასლი სიგელი მივიღე. ვახტანგ ბარათოვი.

130. 1693 წ. მამულის ნაცყვდობის წერტილი, მიცემული ხორუა და სხვა ასლურშვილების მიერ დოლარზა განვითარებისადმი. პირი XIX ს-ის დასაწყისისა (?). 33,4×22,7 სმ,
გადაწერილი ერთ თაბაზ მუქ თეთრი ქალალდზე მხედრული ხელით. განკვეთილების
ნიშანად ადგილ-ადგილ ნაშმარია თითო წერტილი — საქ. მუხ., № 10.250 ბდ.

ხელჩართული

100

ესე ამიერ უკუნისამდი უაშო
და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და მიზეზშემოულებელი, ხამ; ვიდრო და საბო-
ლოო ნასყიღობის წიგნი მოგეცით ჩვენ, ასლუაშვილის ზურაბას შვილებმა ხო-
რუამ, მანდენამ და არუთინამ, შვილთა და მაშვალთა სახლისა ჩვენისათა თქვენ;
შანშიაშვილს დოლმაზას, შვილთა თქვენთა ნასყიდას, როსტომას, ხოსროას,
დათუნას, ავთანდილას, მანდენას, შვილთა და მამავალთა სახლისა თქვენისათა
ყოველთავე; — ასე და ამა პირსა ზედა, რომ ჩვენ თქვენი ვალი გვემართა და
დიალ გამრავლდა, რომ სხვა რიგად მოცემას ვერას თავს გაუვიდოდით, ჩემი
ქვემო ვენახი თქვენს მამულზედა მეარე იყო და, რადგან ჩემი ვენახი თქვენ
გემირობათ, თქვენც იმავ ჩემის ვენახის სანუფქო თქვენი სამკიდრო ზემო ვე-
ნახი საყდარს დაუდევით და მე ეს ჩემი კერძი ახალშენი თქვენ მოგეცით ბატო-
ნის ჩემის ბატონის ბოვნელ ეფისკოპოზის ივანეს ბძანებით და მისის დასტუ-
რით. ასე შევრიგდით და გარდავწყიოტეთ, რომ ჩვენ ერთმანერთთან კელი აღარა
გვქონდეს და გიბედნიეროს ლ[მერ]თ[მა]ნ, რა რიგათაც გეპრინანებოდეს, ყოვლით
გეხელყავსთ, მოიხმარეთ. აწე ვინცა და რამანც ადამის მონათესავებ კაცმა
დიდმა ანუ მცირემა ამისად შლად და ცილებად კალყოს, მასმაც რისხავს და-
უსაბამო-დაუსრულებელი მამა, ეჯ და სული წმინდა და იუდასთანამაც იქნება
ნაწილი და სამკიდრებელი მისი. გამთავენი და დამამტკიციუბელნი ამისნი
ლ[მერ]თ[მა]ნ აქურთხოს. ამინ. არიან ამისნი დამზღვურნი და მოწამენი თავად
ლ[მერ]თი და ყოველი შისნი წმინდანი ხორციელნი და უხსორცონი. კაცთაგან:
ბატონის ბოვნელის ძმები გოდერად და ბეჭონ, ნაზირი გაიძლენა, შისი ძმა ბე-
ჭან, ზვარაშვილი ბეჭანა, იაგულაშვილი ვახუშტა, ფარსადან, ურქმაზაშვილი პა-
პუა, მემანდარბაში ალავერდა, თუმბალი შავერდა, მამაულაშვილი ბეროა,
ზემობოვნელი მოურავი დუშია, ეჯუბაშვილი ვართანა და სულ ამ ხეობის კაც-
ნი ამისი მოწამენი არიან. მე დეკანოზს ოქროპირს, დამიწერია და მოწამეცა
ვარ ამისი.

დაიწერა ქ[ორონი]კ[ონ]ს ტა. ამისი სამძლვარი ზეითი ისიც თქვენი

ვენახი და ქვეით მირაჭას კერძამდი თავის გასწორ მიშით. + + + +

- 131.** 1695 წ. მარტის „ნახევარსა“. ბატონყმობის წიგნი, მიცემული ელიზბარა ჯანიას-შვილის მიერ ხითარაანთ ზურაბასადმი. დედანი. დაზიანებული მარცხენა გვერდზე. 59.7×22.8 სმ. დაწერილი თერ ქალალდზე შედრული ხელით. ასო — მეტ-ნაკლები: განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი — საქ. ც. — არქ., ფონდი 226, №274.

ქ. . . ეს უთო[ო] და უთუმცა[ო], დროდ[ა] უდებელი და მიზეზშემოუ-
ლებელი, ყოვლის ჩხუბის და ილეთის[ა]გან გამოსული ნიასყიდობის და ბატონ-
ყმობის სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, მეჯურისხეველმა ჯანიას-შვილ-
მა ელიზბარამა თქვენ, ხითარა[ა]ნთ როსტომ[ა]ს შვილქ ზურაბასა და ძმასა
თქვენსა ქაიხოსროვსა და¹ და შვილსა თქვენსა გიორგისა
და სახლისა მამ[ა]გალს[ა] თქვენისასა ყოველთ[ა]ვე; — ასე რომე მამა ჩემ[შ]ე
დიაკუნის-შვილს მიმყიდა და დიაკუნის-შვილმა ზუბალ[ა]ს-შვილს მიმყიდა. აწყა
(sic) თქვენ დამიხსენით და თქვენი ნიასყიდი მოახლე მე ცოლათ მო-
მეცით და მე თქვენ ეს ნასყიდობის სიგელი დავიწერე და მოგეცი:
არც საღამე წაგივიდე და ერთგული ყორბაც გიყო და, თუ საღამე წაგი-
ვიდე, შენის მოახლის ფასიც მოგცე და შენის ვალის პასუხიც მოგცე და ლ[მერ]:
თმან მოგახმაროს ჩემი თ[ა]ვი რათაც ფერით მოსახმარის[ა]თ გინდოლეს: გას-
ყიდვათ თუ გაზითვათ, ვერვინ შემოგეცილოს ჩემს თ[ა]ვსა, პირის და პასუხის
გამცემი მე ელიზბარა ვიყო. ვინცა და რამ[ა]ნც გუარმ[ა]ნ კაცმ[ა]ნ ამის[ა]დ
შლ[ა]თ ხელი ჰყოს, თ[ა]ვადამცა რისხ[ა]ეს ლ[მერ]თი. . . არიან ამისი დამხ-
დური და მოწამე თ[ა]ვათ ლ[თ]ი . . . და კაცო[ა]გე[ა]ნ ამირალ[ა]ს-შვილი სა-
ღ[ა]თიარა და გივინ[ა]ს-შვილი ას[ა]ტურა და სარავა[ა]ნთ საღათიარა და ში-
ნინ[ა]ს-შვილი ბეჭან და ალიხან[ა]ნთ ფ[ა]სუა და ცისკარას-შვილი გიორგი
და დიაკუნიანთ ყმა დათუნა და მე უსტა დათუას-შვილს შ[ა]ყულ[ა]ს დამიწე-
რია და მოწამეცა ვარ ამისი. დ[ა]იწერა მარტის ნიახევარსა, ქ[ორონი]ქ[ონ]ს
ტბგ +².

¹ აქ ერთი სიტყვა ამოცხეკილია და ადგილი გათხუნულია.

² სათაური სხვა ხელით:

ქ: მეჯურისხეველი ჯანიას-შვილი ელიზბარას ნასყიდობის სიგელი არის ბუტაყიანეთი.

132. 1695 წ. ყმისა და მამულის წყალობის წიგნი, მიცემული გიორგი მეფის მიერ ბეჭან ჩივაძისადმი. დედანი. დაზიანებული (დახული). 40X19 სმ, დაწერილი თერზ ქალალდან მხედრული ხელით. ას — მეტ-ნაკლები. განკვეთილობის ნიშად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი — საქ. ც. — არქ., ფონდი 226, № 3271.

ქ. ესე უკურისამდე უამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და უცვალებელი, სამკეიდრო და საბოლოო | წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენს, მღწეულითისა მიერ გვირგვინონსანმან იქსიან-დავითიან-სოლომონიან-პანქრატონიანმან, მღწეულითისაგან ამალლებულმან და მისგნვე დამყარებულმან კელმწიფემ მეფეთ-მეფემან პატრონმან გიორგიმ და უხუცესმან მამან ჩვენს-მან პატრონმან არჩილ შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენს, ჩვენთა ერდგულთა და წესისაებრ მრავალგვარათ თავდადებით ნამსახურთა და მრავალის გზით ჩვენს სამსახურზე თავგაწირვით დიდათ გარჯილს და ნამსახურსა ჩივაძე ბეჭანს და მმასა შენსა სენიას და შეილთა და მამავალთა სახლისა თქვენისათა | თქვენის, ვითა წესი და რიგი არს ერთგულის ყმისაგან, იმ გარჯილობის მაგიარათ ძველთაგანც კელმწიფეთაგან და როსტომ მეფისაგან და კურთხეულის ბატონის მამის ჩვენისაგანც მამულის სითარხნის წიგნი გქონდათ, რომ არა საჩვენო საკელმწიფო სათხოვარი. არა ეთხოვებოდათ რა და ჩვენც ბძენება არ გაესტეხეთ და ახლა ეს მამული კიდავ ჩვენს შემოგიმარტეთ და გიბოძეთ კავთისკევს თელათუბანს ჯავახი მექანარიშეილი და დათუნენა-შეილები თევდორა, მისი ძმა პატრა და კურთხეულის მამის ჩვენისაგან ნაწყაყალობენი ღვარის¹ ხოდაბუნი მისის შეს[ა]ვლითა და გას[ა]ვლითა, საკავითა და უკანავითა, წყლითა და წისქვილითა, ტყითა, ველითა, ვენაკითა, სათიბითა და უთიბითა და ყოვლით მათის სამართლიანის სამდღრითა. ეს ჩვენი ნაწყაყალობენი მამული და გლეხები, შენი სამკეიდრო მამული ასრე, განგვითავისულებია და გვითარხნებია, არაფერისთანა საჩვენო სათხოვარი და გამოსალები არა ეთხოვებოდეს რა: არა საბალახე, არა კოდისპური, არა ნახირის-თავი, არა პირის-თავი, არა სამეჯინობო, არა სამასპინძლო, თვინიერ სათათროს შაურის მეტი და ლაშქარ-ნადირობის მეტი არას დაჭირებით არა ეთხოვებოდეს რა კიდე. გქონდეს და გიბედნიაროს ღმერთმან ჩვენსა სამსახურსა და ერთგულობასა შინა. აწე გიბძანებთ კარისა ჩერინისა ვექილ-ვეზირნო და კვალად სხვანო მოსაქმენო; თქვენც ასრე დაუმტკიცეთ და გაუთავეთ, როგორც ამ ჩერინს ნაწყალობენს სიგელსა შინა ეწეროს და ნურას ნიგოს ნუ მოუშლით თვინიერ თანა დგომისა და შეწევნისა კიდე დაიწერა ბრძანება და ნიშანი ეს კელითა ჩვენის მამა პაპათ მრავალ გვარად ნამსახურის გოსტაშაბის - შვილის მლრდელ მონაზნის ნიკოლოზისათა. დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხნეს. ქორონიქონს ტბგ. გიორგი² არჩილ³.

¹ სწერია: ლავარის.

² ხეეულად.

³ მინაწერები:

1. ქ. გიორგი მეფისა და არჩილ შეფის წყალობის წიგნი.

2. ჩივაძეებისა არის ესე კავთიხევს მცხოვრებელ(თა).

133. 1695 — 1703 წლ. სითარების წყალობის წიგნი, მიცემული ერეკლე ას მიერ დურ-მიშხან ალიხანაშვილისადმი. პირი XIX ს-ის დასაწყისისა, გადაწერილი უზენაეს მარ-თებლობის ბრძანებით. თარიღი არ უზის: დურმიშხან ალიხანაშვილი გვხვდება საბუ-თებში 1700 და 1704 წლებში, საბოთი ეკუთვნის ერეკლე I-ის მეფობის 1695 — 1703 წლებს — საქ. ც. — არქ., ფ. — , № 9/90.

ჩვენ, მეფეთ-მეფემან თვით კელმწიფემან პატრონმან ერეკლემ ეს წყალო-ბის წიგნი გიბოძეთ თქვენ, ჩვენს ყმას ალიხანაშვილს დურმიშხანს; — ას რომ თეთრისოფლის მიწაში ბოშაშვილის შულავრელის ვენახი გეყიდა. იმისი კუ-ლუხის სითარენე გიბოძეთ. არათერი არა გეთხოვებოდეს რა, არც სამოურაო, არცა რა სამოხელო, — არათერისთანა.



134. 1695 — 1703 წლ. სამართალი, შიცემული ნაზარალიხანის მიერ ქსნის ერისთავისა და დავითა მჭედლიძისადმი. დედანი. დაზიანებული, დაკერებული. 16,4X14,14 სმ, და-წერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით, განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტ-ყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უზის: ეკუთვნის ნაზარალი-ხანის მეფობის 1695 — 1703 წლებს — საქ. შუზ., № 14.906 հ.Ը.

ქ. პაპუნა ფავნელიშვილს ერთი ბიჭი თამაზ მჭედლიძე მანუჩარ შეითრი-სათვის მიეყიდა და ის თამაზ მომჯვდარიყო და იმას შვილი დარჩომიყო დავი-თა. ეს დავით მეითრიშვილებს შემოსწყარ და ქსნის ერისთავთან მივიდა, რომ შენი ყმა ვარო და მეითრის-შვილებს ჩემთან კალ არა აქვს რაო. ახლა ჩვენ პაპუნა მოვაყვანინეთ და იმას ვკითხეთ, რომ ეს თამაზ თუ ერისთვის ყმა იყო, შენ რატომ მიყიდეო მეითარსათ. პაპუნამ! ას მოგვახსენა, რომ „მართალია ერისვის ყმაც არის და იმის ყმიშვილი აცა“ მართალი თქვა. თუ ტყვილი, იმისმა-სულმა იცის. ახლა ჩვენთან ილპარაკებს და რადლან ის თამაზ და შისი შვილი ქსნის ერისთავს დარჩენ და დიდი ხანი იყო, რომ მეითრის მანუჩარისა და იმის-შვილების ყმანი ყოფილიყვნენ, ერთი ტლიკი ბიჭი ეყიდა და ამათ სახლში კარგ მორქმულიყო და ამათის წყალობით დუქნებით და ქონებით მორქმულიყო, რომ თავის სარჩიო ყოვლის ნივთით ჰქონდა და ახლა, რაღაც ეს კაცი ერისთავს დარჩა, რაც რომ ამათ კელში მოევოს მამული თუ ქულბაჭი, თეთრი თუ სარ-ჩო, ცხვარი თუ ძროხა, თუ რაც რამ ფერი, — ნახევარი მეითრის-შვილებს და ნახევარი თამაზაშვილს დავითას და ერისთავმა ის კაცი აყაროს და სადაც უნდოდეს იქ დაასახლოს. ეს გაგვირიგებია და გარდაგვიწყვეტია.

მეფე ნაზარ
ალიხან

* მინაწერები:

ასლთან სწორე არის. სოვეტნიკი თ-ი დიმიტრი თარხანვი.

ასლი სიგელი მივიღე მე სტეფანე ავთანდილოვი..

135. 1695 — 1703 წლ. აზატობის წიგნი, მიცემული დედოფლის ანას მიერ ესტატე იყანებს-შვილისადმი. საბუთი სიონის კალესიისა, № 134. დედანი ძაბიანებული, გადაქრული ქალალდება. ზომა საბუთის ნაშთისა — 16,8X15 სმ. ლაწერილი თეთრ ქალალდება მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნარხმარის ორ-ორი, ან სამ-სამი წერტილი. თარიღი არ უზის: მისი მიმცემი არის ან, დედოფლალი, ერეკლე I-ის მეუღლე; ეკუთვნის მისი დედოფლობის 1695 — 1703 წლებს. საჭ. ც. — არქ., ფ. — , № 2290.

ქ. ჩვენ, ლევითისა მიერ სამართლად მონიკე[ბულმან] დედოფლალთ-დედოფლალან და თვით კელმწიფემან პატრონმან ანამ ეს ივანეს-შვილი ესტატე დავიხსენით ყოვლის კაცისაგან მოუდევარი . . . დაუდებელი და დრო-უცემელი, არას კაცს ამასთან კელი არა ჰქონდეს, არცა კელმწიფეთა, არცა სხვათა დედოფლალთა თვინიერ ღვთის მეტს. აზადი უყავით და ჩვენის (ძის) თეომურაზის სადღეგძელოთ ჩვენ კელი ავიღევით. ვისთანაც უნდოდეს მივიღეს.

დედოფლალი
[ა]ნა

ქ. ჩერქეზთ ბაზონის ასულს დედოფლალთ-დედოფლალს პატრონს რუსულანს . . . ასე დაგვიძრკიცებია. ამ[ას] სათხოველი არა . . . დაიწერა კელითა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის თა სულბანი . . . რუსულან¹.

136. 1695 — 1703 წლ. საზღაურის მიცემულობის წიგნი, მიცემული გარაზა გერმანიზი-შვილის მეტ შერმაზან ყორრუნაშვილისადმი. პირი, გაფარგვილი უზენაეს მართებლობის ბრძანებით XIX ს-ის დასწყის. თარიღი არ უზის: მასში მოხსენებული მეფე ერეკლე უნდა, რყოს ერეკლე I: მიმღებ-შემცემ ვარაზა გერმანიზებილი და შერმაზან ყორრუნაშვილი ერთდ გახვდებინ საბუთში წ1696 წელს (ც. — არქ., ფ. — № 16/92). საბუთი ეკუთვნის ხსნებული მეტის ერეკლე I-ის მეფობის 1695 — 1703 წლებს — საჭ. ც. — არქ., ფ. — , № 16/126.

ქ. ნებითა და შეწევნითა ლევითისათა, ესი ფიცი პირი და წიგნი მოგეცმე, გერმანიზის-შვილმა ვარაზამ და ჩემა შვილმა ლუარსაბ შენ, ყორრანა-შვილს შერმაზანს და მანგჩარს; — ასრე და ამა პირსა ხედან, რომე ამას წინათ შენი მემკვიდრე კაცის კირაკოზას-შვილი ევანეზას და გრიგოლას შვილი ზუბუა ირივ დაგვარჯე: ერთი პაპუნაშვილებს მივეც და ერთი ხოსროველას. შენ მეფე ერეკლესთან გეჩივლა და იქ აღარ წავედით და აქ ყორრანიანთ შეგვარიგეს. შვილის დღის მიწა მოგეცით და მამუკაშვილის სასახლე თავის შეევრებითა და შესავალ-კასავლით, მიწა ლამის ხევში ორის დღისა, სიონში ერთის დღისა, ზურის თავში ერთის დღისა, ზურისაკენ გოჩაშვილის ნასყიდთან მამუკას-შვილისა მიწა ერთის დღისა, პაპის გორში მამუკაშვილისა ორის დღისა; — ეს მიწა

¹ ხველლად:

შვილის დღისა და სახელდობით დამიწერია და მამიცია. ამას გარეთ სასახლეს და მარანი მამუკაშვილისა თავის გარეშემითა მოგვიცია, შენი ბიჭები რომ დავხარჯვ, იმაში. სხვა შენთან¹ და ბეჭედი არა მქონდა დაშებეჭდა და ხელი ჩამირთავს + +²

137. 1696 წ. ყმისა და მამულის წყალობის წიგნი, მიცემული ნაზარალიხანის მიერ პსლან მანუქარ მეფითოს შვილის-შვილისადმი. პირი, გადაწერილი უზენაეს მართებლობის ბრძანებით XIX საუკ. დასაწყისს მხედრული ხელით — საქ. ც. — არქ., ფ. — , № 21/5

ნებითა და შეწენითა ღმთისითა ჩვენ, ღმთივ ზეპ აღმართებულმან იქსიან დავითიან სოლომონიან ბაგრატონმან, ღმთივ ზეცით გვირგვინონსანმან მეფეთ-მეფემან და თვით კელმწიფემან პატრიონმან ნაზარალიხან, თანამეცხედრემან ჩვენ-მან დედოფალთ-დედოფალმან პატრიონმან ანამა, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან პატრიონმა იმამყულიმ, პატრიონმან კოსტანტინებმ და პატრიონმან გიორგიმ თქვენ, ჩვენსა ერთგულათ და თავდადებით მრავალუერად წესისაებრ ნამსახურთ ყმათ მანუქარ მეფითოს შვილიშვილს ასლანს, ავთანდილს, ქაიხოს-როს და ბიძა თქვენს სეფიოულის ესე სამკვიდროდ და საბოლოო[ო]დ გამოსაღე-გი წყალობის წიგნი და ნიშანი გიბოძეთ; — მას უამსა, როდესაც პაპის თქვენის ნაქონი ღვევს გლეხები და ზრბითს ზვარი ცოტას ხანს თულაშვილებს უბოძეთ. რადგან ორიანობაში ერდგულად მოგვიდებით და ციხით გარემოისინ გვემსახუ-რენით, ჩვენც შეგიწყალეთ და გიბოძეთ ისევ პაპის თქვენის ნაქონი ღვევს გლე-ხები და ზრბითს ვენახი, რისაც მქონებელი მეფითარი მანუქარ ყოფილიყოს, ან გლეხისა, ან ვენახისა და ან წისქვილისა ღვევსა თუ ზრბითსა³, ყველა უკლებ-რი[ც] თქვენთვის და შვილთა თქვენთათვინს. სამკვიდროდ და საბოლოო[ო]დ გვი-ბოძებია და ასეც გვითარხებია, რომე არც ეთხოებოდეს კოდის პური, არა საბალახე ცხვრისა და ლორისა, არა პირის თავი და ნახირისთავი, არა სეფე-ობა და ბეგარი, არა ბზე და შეშა და წურილმანი სათხოვარი ერთის საურისა და ლაშვარ-ნადირობისგან კიდე. გქონდეს და გიბელნიეროს ღ[მერ]თ[მა]ნ ჩვენ-სა ერდგულად სამსახურსა შინა, არა მოგვშალოს ჩვენებან და არცა სხვათა შემ-დგომთა ჩვენთა ნათესავთა მეფეთა და შეპატრიონეთაგან. აწე გიბძანებთ, კარი-სა ჩვენის ვეკილ-ვეზირნო და სხვანო მოხელენო, ბძანება და ნიშანი თქვენც ასე გაუთავეთ და ნუ მოუშლით თვინიარ შეწევნისა და თანადგომისგან კიდე. დაიწერა ბძანება ესე ინდიკტიონსა შეფობისა ჩვენისას ცხრასა, ქ[ორონი-კონ]ს ტპდ. ხელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის დაუთაშვილის დავი-თისითა

¹ აქ. ჩანს, გადამწერს გამოუტოვებია რამდენიმდაც აღგილი.

² მანაწერები:

მანიდამ თანასწორ უჩს ჩაწერილი. სოვეტნივა თავადი თეიშურაშ ბაგრატოვანი ასლი დოკუმენტი მიეიღო. აღა ყორანოვი.

³ ცწერია: „ზირბითსა“.

⁴ მინაწერი: ასლთან სწორე არის. სოვეტნივა თავადი თარხანოვი.

138. ჩემი წ. საალაპო წიგნი, მიცემული ქადაგის არქ. ნიკოლოზ მაღალაძის მიერ ქობულაშვილისადმი. დედანი დაზიანებული (პირველი კეფის თავი მოხეულია და დაკარგული). $80 \times 15,4$ სმ, დაწერილი თეთრი ქალალდის ორ ერთიერთმანეთზე დაკერებულ კეფზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარის ორ-ორი წერტილი. საქ. ც.— არქ., ფონდი 226, № 5060.

ქ. . . მე ყოველთა (ადამის ტომთა) უნარჩევესმან [სუეტიცხოვლის ქადაგ არქი] მანდრი იტმან მაღალაძე ნიკოლაოზ ეს საალაპო წიგნი მოგეცი შენ [ქობულაშვილს] . . .
[მცხეთის] მემკვიდრე (ყმა) იყავ, მეცა ამის [თვის თავს ვიდე] და ავიღე ჩემი ალალი საქონელი და დაგიკავენ შენის ცოლითა და შვილითა და შენსა ალაგსა და მამულზე დაგაყენე პატრონობასა მეფის ერეკლესასა და კუზობასა პატრონის იოვანესასა. ასე რომე, რადგან ამდენი გარჯილობა და ჭირნახულობა ჩვენი შენზედ იყო, ჩვენცა დაგდევით ჩენის სულისათვის ალაპი. დეკმბრის ექვსსა წმიდის ნიკოლოზის დღესა-სწაულსა ალაპს მოიტანდე. მცხეთას ხუ ჩემი სახლის კაცი ან მღდელ-მონაზონი იყოს, ან ერის კაცი და ან მონაზონი იყოს, იმასთან მოილებდე და ის გაყოფდეს, და თუ არავინ იყოს, დეკანოზსა და კანდელაქს წინ მიიღებდეთ ალაპსა და ისინი განუყოფდენ მცხეთას მყოფთ მღდელთა და მონაზონთა. როგორც მართებული იყოს მოილებდე პურსა გამამცხვარსა ასა ასეთს, რომე ერთი ერთს კაცს ეყოფოდეს, ლვინოს ლიტრას თორმეტსა თვის სტილიანითა, თევზს ორს კარგს ზურგიელსა, მკერდასა ორსა და ორსა. ჩარექს ხიზალალასა. თუ კელი თევზი არ იშოებოდეს, ან ოცს გელაქურსა და ან სხვა რაც თევზი იშოებოდეს ამის ლიტრებულის ფასით, იმას მოიღებდეთ; სანთელსა სტილსა ორსა თავისის საყოფის პატრუქითა და საქმელსა სტილსა ერთსა. დეკანოზს მიართვებდე საწირავად შაურსა ორსა და კანდელაქს შაურ-სა ერთსა ამა წესითა. ყოველს წელიწადს ნიკოლოზობასა ჩემის ცოდვილის სულისათვის მამის ჩემის პაპუასა და დედის ჩემის ელენებათვის შენდობას ათქმე-ვინებდეთ. აწე ვინც ეს ჩვენგან გარიგებული ალაპი მოშალოს, ანუ დიღმან ანუ მცირემან, ან შენ და ან შენმა შვილმა, მომავალმა სახლისა შენისამან დააკლოს და მოშალოს, ჩემისამც ცოდვისა და ჩემის მამისა და დედისა და ჩემის სახლის მომავალთა და ნათესავთა ცოდვისა სანუქფოდ იგიმცა განიკითხება მას დღესა დიღსა განკითხვისასა. ოდეს ენანი დუმხენ და საქმენი ყოველნი განცხადებულად დაღადებდენ. მშლელი ამისი კრულმცა არს ცათა შინა და ქუეყანასა ზედა, მას ზედამცა აღესრულების წყევა იგი მეასდარვე ფსალმუნისა. იქმნენ ცოლნი მისი ქვრივ და შვილნი მისი ობოლ და ნურარათამცა სინანულითა ნუ იქმნების კსნა სულისა მისისა, ხოლო დამამტკიცებელნი ამისი ღრთნ აკურთხნეს. ამ ალაპის წამოლებაზე ერთს ფირიაშვილს დაისწრებდეთ და გაასინჯვებდე და კი-დეც ასმევდე და აჭმევდე. არის ამისი მოწამე და გამგებელი პირველად დამბა-დებელი და მოწყალე ღრთი, კაცთაგან: დავითგარეჯის წინამდლვარი ონოფრე, ჯვარის წინამდლვარი ნიკოლოზ, გელავანიშვილი სარდალი გიორგი, სვეტის-ცხოვლის დეკანოზი ზაქარია, კანდელაქა გრიგოლ, გარაყანიძე ლუარსაბ, დილ-

მის შემასახლისი ნიკოლოზ, დილმელი დეკანოზიშვილი ოთარა, ზანდარაშვილი მღდელი დავით, გასურაშვილი მღდელი დავით, ფირიაშვილი პაპუა, კოპაძე ეს-ტატე და სულ ერთობილი მცხეთელნი და ღ[ი]ლმელნი და მგალობელი იორამ. მე დედოფლის კარის დეკანოზის პეტრეს შვილს მიქელს დამიწერია და მოწამე ცა ვარ იმისი. ქუროს ტპდ. ქობულაშვილო, ყოველს წელიწადს ამას ნუ დაგვაკელებ, თვარემ ლთი ყოველს კეთილს შენ მოგაკლებს. სხვა ჩვენგან და ჩვენის სახლის კაცისაგან არაფერისთანა არა გეთხოებოდეს რა. თუ კაც-მრავლად იყო ჩემს სახლის კაცს ერთს ბიჭს ამსახურებდეთ. ვინც ნახოთ ღიღმან ანუ მცირებან პატრიონმან თუ ანუ კემწიფეთ მოსაქმემან, ქრისტიანმან თუ სხვამან მაჰმადის რჯულისაზან, დამბადებელის ლთის მაღლისა, ამ ჩვენგან გარიგებულსა და რიგსა ნურავინ მოშლით და ოქუნც ასე ღაამტკიცეთ. ვინც ღაამტკიცოთ, ლმერ]თ[მა]ნ ყოველი თქუენი გაგებული ღაამტკიცოს და აკურთხოს. სხვა ჩვენგან სვეტს, ცხოველზედ მუშაობის თარხნობა არ იქნებოდა და სხვა რიგად სათხოვარი კი არა გეთხოვებოდეს რა. ამ აღას ხახუტის სახლში მოიტანდე და იქ დადგებოდე. სამარხოსაც რასმე მოიტანდე. ამის დამხდური და მოწამე მცხეთის კალატოზი გიორგი.

ქ მონა ლთისა ქადაგი
არქიმანდრიტი მალალაძე
ნიკა ქა-ს ტოთ

139. 1686 — 1718 წლ. ნასყილობის წიგნი. მიცემული ბერი ქიქაშვილის მიერ ვივი (თუ-მანიშვილისადმი). პირი, გადაწერილი უზენაას მართებლობის ბრძანებით XIX ს-ის დასწყისს. თარიღი არ უზის; ვივი (თუმანიშვილი) გვხდება საბუთებში 1696 — 1737 წლებში. ხოლო დაწმერი დემეტრე საკაძე — 1693 და 1713 წლებში. ამის მიხედვით საბუთიც დაწერილი უნდა იყოს 1696 — 1713 წლების ახლო. — საქ. ც. — ირქ. ფ. — №. 4/183.

ნებითა და შეწევნითა შლთისათა ესე ნასყილობის წიგნი და სიგელი მოგეცით ჩვენ, ქიქაშვილმა ბერმა და ჩემ[ა] შვილმა შერმაზან თქვენ, მღივანს გრძეს და შვილთა თქვენთა დავითს და ზურაბს; — ასე რომ ვალი დაგვემართა და გარდაგვიზადეთ და მოგყილეთ ჩვენი თავი ჩემის შვილითა და ცოლითა; რაც ხიზანი მყენდეს, უფელა თქვენთვის ნასყიდათ მოგვიცია და თქვენც ავლაბარში თქვენი ნასყიდით სახლ-კარი გვიბოძეთ. თქვენ ჩვენს თავს არავინ გეცილებოდეს, თუ ვინც წამოგედაოს, პირისა და პასუხის გამცემი მე ვიყო. არის ამისი დამხდური და მოწამე ელიარაშვილი დელუფარდაში, ავლაბრის ხასადარი მათიაშვილი ოტია, ებიტაშვილი ზურაბა, მე სა[ა]კაძეს დემეტრეს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა მაისის დამდეგს ქორონი]-კონს¹ + + ამისი მოწამე მდივანი გიორგი, ამის მოწამე სა[ა]კაძე მერაბ, ასისთავი იაკობ²

¹ ადგილი ცალიერია, ტარილი არ სწერია.

² მინაწერები: ასლიდამ თანასწორ არს ჩაწერილი. სოვეტნიკი თ-ი თემურაზ ბაგრატოვანი.

140. 1697 წ. იანვრის 1-ს. ყმის ნასყიდობის წიგნი, მჩუმეტლი თამაზა გოშფარიშვილის მიერ ნიკოლოზ მალალაძისადმი. დედანი დახული, ჭადაკრული ქალალდზე. $18,7 \times 13,2$ სმ. დაწერილი ყვითელ ქალალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველა სიტყვის შემდეგ ნახმარისა ორ-ორი წერტილი. რარილად აქვს 1697 წ. — საქ. მუხ., № 1614 ad.

ქ. . . ესე ნასყიდობის წიგნი მოგეცით ჩვენ გოშფარიშვილმან თამაზმა თქვენ, მალალაძეს ნიკოლოზს, ძმასა შენსა რევაზს, აღამს, ზურაბს, ძმისწულსა დემეტრეს, ამილაბარს და ყოველთავე; — ასრუ და ამა პირსა ზედან, რომე მოგყი-დეთ ჩვენი მემკვიდრე ყმა ფეიქარი პაატა შეილითა ყოვლის კაცის. უცილებელი და მოუდევარი. ავილეთ ფასი სრული, რითაც ჩვენი გული შესჯერდებოდა. თუ ვინმე ამისი მაცილებელი გამოჩნდეს, პასუხის გამცემი მე ვიყო. არის ამისი მო-წამე დილმის მამასახლისი ნიკოლოზ, გლურჯიძე ამოან, ფირიას-შეილი პაპუა. მე მდივანს გივს დამიწერია და მოწამეცა ვარ. იანვრის ა, ქ[ორონი]კ[ონ]სა ტკე +¹

141. 1697 წ. მარტის 20-ს. სამართალი იოთამ ამილახორისა უიცი თუმანის-შეილისა და ავთანდილ კაჭკაჭაშეილის საქმეზე. დედანი. $31,5 \times 17,5$ სმ; დაწერილი თეთრ ქალალ-ზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარისა ორ-ორი წერტილი — საქ. მუხ., № 2268 სდ.

ქ. ჩვენ, ამილახორმა ბატონმა იოთამ თუმანის-შეილის გივის და მათის სახლის ქაცებისა და კაჭკაჭაშეილისა ავთანდილასი ლაპარაკი ორთავესი გავიგონეთ. გივს თავისი ყმა გორელი წატურაშეილი გაპაროდა, ინდოეთს მიმავლებულიყო. დაეჭი-რა და მერჩე აშებას უკან კიდევ გაპაროდა და ინდოეთს წასულიყო. მიმავალს განჯას კაჭკაჭაშეილი დახდომოდა, ფასი მიეცა და გორს ორთვალი წისქვილი წატურაშეილისაგან ეყიდა და აქ გივი მიედავებოდა: „ყიზილბაშის ქვეყანას აქ[ა]-ურის წასულის კაცის[ა]გ[ა]ნ მამული არ გ[ა] ისყიდებოს“. ჩვენ გაესინჯეთ და, ვინცავინ დარბაისელი ამ სამართალში იქ ბძანდებოდენ, იმათის დამოწმებითა ეს სამართალი ვერით: თუ ყიზილბაშის ქვეყანას და ინდოეთში წასულის კაცის-თვის მამული გაგვესყიდვინა, მრავალი ბედოვლათ და წასული მოქალაქე და გორელი კაცი იყო დაკარგული და იქ ისინიც დაუწყებდენ სყიდვასა და ეს არ იქნებოდა და მერჩე არც კვლავ ქნილიყო, რომე იქ გასყიდული მამული აქ და-ნებოდა ვისმე. მეორე ესე: იმ წატურაშეილს ძმა და შეილი და სახლისკაცი არა ყვანდა. ერთი მარტი კაცი თავის ბატონ გაწყორმილი ინდოეთს მიმავა-ლი იყო და ყიზილბაშ[შ]ი იმისგ[ა]ნ მამულის სყიდვა კაჭკაჭაშეილს ავად ექნა. წისქვილები ისევ თუმ[ა]ნიშეილებს დავინებეთ და სამართალმა და [ა]ნარჩუნა და კაჭკაჭაშეილმა თავისი თეთრი ვისოვისაც მიუკია იმასა სოხოვოს. ქ[ორონი-კ[ონ]]ს ტკე, მარტის ოცსა.

.
ამილახორი
იოთამ

¹ სათაური:

დილმელის ფეიქრის პაატასი გოშფარის-შეილის თამაზისაგან ეყიდვე ქინდა თელია.

ქ. მე, ჩხეიძე ქაიხოსრო დამხდური და მოწამე ვარ.

ქაიხოსრო
ჩხეიძე

ქ. მე, ხერხეულიძე რევაზ ვიყავ ამათი იას[ა]ული და დამსწრე და მდივანს დარჩება.

ხერხეულიძე
რევაზ

ქ. მე, მდივანს ფარემუშს დამიწერია და მოწამეც ვარ.

მდივანი
ფარემუშ

ქ. მე, ავთანდილ ამისი მოწამე ვარ.

.....

ქ. მე, ეშიკალასპაში ავთანდილ ამ სამართლის დამხდური ვარ.

მომა ლვთისა ეში-
კალასპაში ავთან-
დილ

ქ. მე, ამირეჭიბი ქაიხოსრო ამისი მოწამე ვარ.

ქაიხოსრო მეღვინეო
ხუცესი

ქ. მე, სუფრაჯი ავთანდილ მოწამე.

ავთანდილ

ყორჩიბაში
პარატა

მე, ნიკოლოზ მალალაძე ამისი მოწამე. ასე არის.

ნიკოლოზ
მალალაძე

ქ. ეს გარიგება ჩეენც ასე დაგუიმტკიცებია.

მეფე ნაზარა-
ლიხან

142. 1697 წ. აპრილის 23-ს. წყალობის წიგნი, მიცემული კ-ზის იოვანე დიასამიძის მიერ ერთობლივ თრიალელთადმი. დედანი. 43×17 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედ-
რული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორა
წერტილი — საქ. ც. — აჩქ., ფონდი 226, № 5066.

ქ. . . ესე წყალობის წიგნი და სიგელი გიბოძეთ ჩვენ, ქართლისა კა-
თალიკოზმან დიასამიძემ პატრონმა იოვანემ თქუნენ, ჩვენს ყმათ თრიალელთ
ერთობილთა: ბეჭედნაშენელთა, ქიტებელთა, ბარათელთა, კლონეთელთა, საბ-
როწლელთა, გოგასგვერდელთა და ახალშენელთა²; — ასრე რომე საბალახის დროს

¹ სათაური სხვა ხელით:

გორს წატურაშვილის წისქვილების განაჩენი კაჭკაჭაშვილი რომ გვეცილებოდა:
ქორონიკონს ტპე. მანუჩარ (?).

² უკანასკნელი ორი სიტყვა წაშლილია მელნით.

ადამ მოეიდოდეს, სულა ჩვენს მამულს თრიალეთზედ ჩვენს მოკელებსა: იორაშ მგალობელი¹, სენია ელიოზიშვილი, თაზიშვილი გიორგი შალავათითა და წება მყოფლობითა საბალახეს აიღებდენ, რომ არას ჩვენს ყმასა და მსახლობელს კაცს ძალი და უსამართლო არ დაემართოს და ვერცარა უყონ. რაც საჩვენო სამსახური იყოს და გამოსაღები, ეს თქუენი მოურავები და მოკელეები აიღებდენ და მოგ[ვ]აროთმევდენ, სხვას კაცს თქუენთან კელი არა აქვს. თქვენ ერდგულად გვემსახურენით და ჩვენ მწყალობელი ვიქნებით. გქონდეს და გიბედნიეროს ღრთ სვეტის ცხველისა და ჩვენსა ერდგულობასა და სამსახურსა შინა, არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა შემდგომთა სხვათა კათალიკოზთა და მეპატრონეთაგან. ვინცა და რამანცა კათალიკოზმან ეს ჩვენგან ნაწყალობენი წიგნი და სიგელი მოგიშალოს, ჩვენსამც წყვევასა ქვეშ არის, ხოლო დამამტკიცებელი ამისნი ღრთ აკურთხენს. არიან ამისნი მოწამენი და დამხდურნი მაღალაძე არქიმანდრიტი ნიკოლოზ, დეკანოზი ზაქარია, სახლისუხუცისი რევაზ, გელვანიშვილი გიორგი და როსეფ, კანდელაკი გრიგოლ, ჭარმეული პატა, ქარსიძე ზურაბ, თაზიშვილი ავთანდილ და სრულად ერთობილი მცხეთელნი. დაიწერა წიგნი ესე კელითა იშხნელის ელისესითა ქუსა ტბე, აპრილს კვ. ასრე უნდა: ას სულს ცხვარზედ მოგვაროთმევდენ საბალახესა ერთს კრავიანს ცხვარსა, ერთს თიკნიანს თხასა, ერთს მშრალს ცხვარსა და ერთს მშრალს თხასა. ვისაც ცოტა პყუანდეს, იმავ წესით მოგვაროთმევდეს. ამავე წესით ღორის საბალახეს მოგვაროთმევდეთ. მატყლისა და უველის ჩამოსატანად თქვენ ულაყი არა გთხოთ.²

143. 1697 წ. სითარენის წყალობის წიგნი, მიცემული ნაზარალიხანის მიერ ფარემუზ ჯავახის-შვილისადმი. დედანი. დაზიანებული (დახეული ადგილ-ადგილ). 31X20 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარისა ორ-ორი წერტილი — საქ. მუზ., № 2521 ჩd.

ქ. წებითა და შეწევნითა მღვევითისათა ჩვენ, მეფეთ-მეფემან და კელმწიფემან პატრონმან ნაზარალიხან და თანამეცხედრემან ჩვენმან დელოფალთ-დელოფალმან პატრონმან ანნამ და ძემან ჩვენმან სასურველმან პატრონმან იმანყულიმ, პატრონმან კოსტანდილებ და გურგასლან ესე ამიერით უკუნისამდინ უამთა და ხანთა გასათავებელი წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა ერთგულთა ჯავახიშვილს ფარემუზს, შვილსა შენსა როინს და ავთანდილს; — მას უამსა ოდეს თქვენი კერძის ჭვარების სითარხეს გვიაჯენით, ვისმინეთ აჯა თქვენი და წყალობა გიყავეთ ასე, რომე, თუ შენი წილი ჭვარები ააშენო, კაცნი მოიყვანო და და[ა]სახლო, ჩვენც ასრე გვითა-

¹ უკანასკნელი ორი სიტყვა დაწერტილია სტრიქონს ზევით.

² სათაური: თრიალეთის საბალახისა.

ზნებია, რომე არაფერი ჩვენი გამოსალები და სათხოვარი არ ეთხოებოდეს: არა საბალახე, არა პირისთავი, არა ნახირისთავი, არა სამეჯინიბო თვინიერ ერთის სათა-თროს საურისა და ლაშქარ-ნადირობისგან კიდე არა სხვათა მეპატრონეთაგან. აწე გიბძანებთ კარისა ჩვენის ვეჭილ-ვეზირნო ბძანება ესე ასრე დაუმტკიცეთ. დაიწე-რა ფარმანი ესე კელითა ბწიგნობრის თუმანიშვილის გივისითა ქ[ორონი]-კ[ონ]სა

ტპე.

მეფენაზა რალიზან	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
---------------------	--------------------------	--------------------------	--------------------------

144. 1697 წ. ყმის წყალობის წიგნი. მიცემული ქაიხოსრო ამირეჯიბის მფერ ისე გამ-ცემრიშვილისადმი, $32,2 \times 16,8$ სმ, დაწერილი თეორ ქალალზე მხედრული ხელითაგან-კვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარის ორ-ორი წერტილის მარილად აქვს 1697 წ. — საქ. მუხ., № 2644 lid.

ქ . . . ესე ამიერით უკუნისამდი უაშთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და უცვალებელი წყალობის წიგნი და სიგელი გიბოძეთ 1 ჩვენ, ამირეჯიბშია ქაიხოსრომ, ძმისწულმა ჩემა კაციამ, შვილმა ჩემმან ასპან და გაბელ, კიდევ ძმისწულშია ჩვენმა ზახამ; ვახუშტიმ და ავთანდილ თქვენ, ჩვენს აზნეურის-შვილს ისეს გამცემრიშველსა; — მას უამსა, ოდეს მოგვიდეგით კარსა და მამუ-ლის წყალობას გვიაჯენით, ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და იბოძეთ თქვენი მიმკიდრე გლეხი მუმლაძე დათუნა და მახარა და მისი ძმები გდა მისის მამულითა დღეს რისაც მქონებელი იყოს. არ მოგვშალოს ჩვენგან და არა შემდგომად ჩვენის სახლის კაცისა და მეპატრონეთაგან. გქონდეს და გი-ბედნიეროს ლ-თნ ჩვენსა ერთგულათ სამსახურსა შიგან. დაიწერა წიგნი და სიგელი ესე მეათავეის დამდეგქს კულითა საკაძის დემეტრესითა. ქ[ორონი]-კ[ონ]ს ტპე. ○

145. 1698 წ. მაისის „დამდეგს“. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ვახუშტი როჭიკაშვილის მიერ დავით ქადაგიშვილისადმი. დედანი. $39,7 \times 15,6$ სმ, დაწერილი ეტრატის კეფზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ აჩის — საქ. ც. — არქ., ფონდი 226, № 5392.

ქ . . . ეს ამიერით უკუნისამდე უაშთა და ხანთა გასათავებელი ნასყიდო-ბისა წიგნი და სიგელი მოგეცით ჩვენ, როჭიკაშვილმა დიდმა როჭიკმა ვახუს-ტიმ მომავალთა შეიღლთა ჩვენთა შენ, კათალიკოზის მეგოდრებულეს ქადაგი-შვილს დავითსა, ძმასა შენსა პარატასა და მომავალთა სახლისა შენისათა; — ასე

სწერია: გიბძოთ.

რომე საქშე შეგვეჭირდა, თათრები გვალონებდენ: მირის თეთრს სოფელსა სოფო-
დენ. სხვა ლონე არ იყო, ავიღე და მოყვიდე სკრას მკვიდრობელი შვიდობაძე
თავისის მამულითა, რისაც მქონებელი იყოს მთითა, ბარითა, ვენახითა; სახა-
ვითა, უხნავითა], წყლითა და წისქვილითა, შესავლითა და გასავლითა, თავი-
სი სასაფლაოთი. ავიღე ფასი სრული და უკლებელი, რითაც ჩვენი გული შეს-
ჯერდებოდა. არა დარჩომილა რა სალაპარაკო ძმობისა და მუსაიბობის მეტი.
ვინც ეს ნასყიდობა შოგიშალოს, ანუ წამოგედა] კოს დიღვან ანუ მცირებან,
ანუ ჩვენმა ნათესავმან, რისხამს თავათ ღმერთი . . . არის ამისი მოწამე თა-
ვად ღმერთი და კაცთავან ამისი მოწამე: ფუჭიშვილი გიორგი, მამულაშვილი
ბერი, დაისაჩი თამაზაშვილი ბაბაგულა (?). მე ოქრომქედლას-შვილს სვიმონს
დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა ეს წიგნი მაისის] დამდეგს:
ქ[ორონი]კონის ტკ. + + + +

ქ . მე როჭიყაშვილი დიდი (როჭიყი ვახუსტი ვა)მტკიცებ [წიგნსა ამას]

146., 1698 წ. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ზურაბ ერისთავის-შვეილის მიერ საამ კონძალშვილისადმი. პირი, გადაწერილი უზრნეას მართველობის პრქანებით **XIX** ს-ის დასაწყისს — საქ. ც. — აღქ., ფ. — , № 45/90.

ესე ამიერ უკუნისამდე ქამთა და ხანთა გასათავებელი წიგნი და პირი მოგეცით ჩვენ, ერისთვის-შვილმა ბატონმა ზურაბ და ბიძაშვილმა ჩემან თეი-შურაზ, ძმამან ჩვენი ვაძიყ და კიღევ ბიძაშვილმან ჩემქან ედიშერ, შვილთა და მომავალთა სახლისა ჩვენისათა ყოველთავე შენ, ჩვენს ერდგულად და თავ-დალებით ნამსახურს ყმას კობიაშვილს საქაშს, ძმასა შენსა როსტომს, იორამს, დემეტრეს, შვილთა თქვენთა ზურაბს, ნასყიდას, დავითს, იოსებს, გიორგის და მომავალთა სახლისა შენისათა; —ასე რომე რომოცდა, ორ[ი]ს მარჩილის ფეშ-ქვეში მოგვართვი და გიბოძეთ¹ ლაბაური იანვარა მისის ცოლ[ი]თა და შეი-ლებითა უმამულოდ, ყოვლის კაცის უცილებელი. ვინც ამაზე წმოგედაოს, პასუ-ხის გამცემი, ჩვენ ვიყენეთ². ამისად გასათავებლად მოგვიცემია ღრ-თი და ყო-ველი მას[ი] წვრდანი . . . არის ამისი მოწამე თამაზა, ჩვენი ძა. დაიწერა წიგნი ესე ქრ-ს ტავე.



[ე] რ(ასთ)ავს (?) შენთვის ლაბ[ა]ური მოეყიდნა და ჩვენც ბეჭდის დასმას დაგვიაჯენით და ჩვენც ბეჭედი დაგვისომს. 13



¹ უკანასკნელი შეიდი სიტყვა წვრილი ხელით არის ჩაწერილი ტექსტში.

² უკანასკნელი სიტყვა ტექსტში სწერია: „ვიყვნედ”.

³ მინაწერები: ასლთან თანასწორ არს. სოფეტნიკი თავადი თარხანოვი.

წერილი მივიღე. სოლომონ და ზაქარია კობიომან.

147. 1698 წ. დეკემბრის 26-ს. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ვალის დაფარვის მიზანთ ზურაბ ყარჩხისაშვილის მიერ ელისე ღმანელისადმი. დედანი. 41,3×19,7 სმ, დაწერილი ოთხ ქაღალდზე მხედრული ხელით; განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი; თარიღად აქვს 1698 წ.—საქ. მუხ., № 1075 ad.

ქ. . . ესე ამიერ უკუნისამდე უამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცუ და უცვალებელი ნასყიდობის წიგნი მოგართვით ჩუენ, ყარჩხისაშვილმა ზურაბ, ძმამან ჩემმან და მომავალმან სახლისა ჩემისამან თქუენ, ღმანისისა მოთისმშობელსა და ბატონს ღმანელს ელისეს;—ასე ორმე ღმანისისა ღუ[უ]თისშობლის ვალი გვემართა ბეგაშვილის ღმანელის ქრისტეფორესაგან მოცემული. აწე ვეღარ შევიძელით იმ ვალის გარდაცდა. სხვა ღონე და აღგილი არა გუქონდა და ჩუენი მეტკვიდრე ყმა გალუსტაშვილი ნაზარ და ერაპეტა მათის შვილითა და მომავალითა მათის მამულითა, ნასყიდითა და უსყიდითა, საკავითა და უკავითა, მისის საფოიჩელოთა, მისის ვენაკითა, დღეს რისაც მქონებელი იყოს, მოგართვით ჩუენს ვალში ოცდა რვას თუმანში ყოვლის კაცისაგან უცილებელი და მაუდევარი. აწე ვინც ამ ჩვენს მოცემულსა კაცსა და მამულს ცილება დაგიწყოსთ, პირისა და პასუხის გამცემი ჩუენ ვიყუნეთ. არიან ამისნი დამხდურნი და მოწამენა: გილაქიშვილი პაპუნა, სახლოუბუცესი რობამ, ღრეული კაცია, კირაკიზაშვილი შავერდა. მე, ფიტარეთისა ღუ[უ]თის მშობლის წინამდლვარს იობს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა თვესა ქრისტეშობას ოცდა ექვს, ქორონი კონი სტკვ. +¹

148. 1698 — 1712 წლ. ვენახის წყალობის წიგნი, მიცემული დიდი მოურავის შვილის ავთანდილის მიერ არუთენა მანველაშვილისადმი. დედანი. 23,5×17,8 სმ, დაწერილი ოთხ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი. თარიღი არ უზის: მიცემი ავთანდილ უნდა იყოს დიდი მოურავის შვილის შვილის შვილი და არა შვილის შვილის შვილი, როგორც ეს საბუთში არის. ეს ავთანდილ გვეცდება საბუთებში ერთხელ თავის მამასთან ერთად. 1663 წელს (საქ. სიდ., II, № 64 — 89), ორჯერ კი თვითონ საკუთრივ 1708 და 1712 წლებში. დამწერი ზურაბ გოგიაშვილი გვეცდება 1698 წელს, ამიტომ საბუთიც 1698 — 1712 წლების ახლო დროს უნდა ეკუთვნოდეს — საქ. მუხ., № 2908 ჩ.д.

ქ. . ესე წყალობის წიგნი და პირი შევიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ, დიდის მოურავის შვილიშვილი შვ[ი]ლთა ბატონმა ავთ[ა]ნდილ და ძმამან ჩემ[მ]ან ზურაბ და შვილმან ჩემ[შ]ან პატამა, ბა[ა]ღურ და მამუქამ და მომავ[ა]ლთა ჩვენთა თქვენ, ჩვენსა ერთგულსა და თავდაცებით ნამსახურსა ახ[ა]ლქალაქელს ჩვენს ვაჭარს მანველაშვილს არუთენას და ნარიბეგასა და დავითასა და შვილთა თქვენთა მამაჯანასა და ესტატასა და მომავ[ა]ლთა თქვენთა; — ასრე და ამა

¹ სათაური სხვა ხელით. ნასყიდობის წიგნი, რომელსაც აძლევს ღმანისის ღუთისმშობელს და ღმანელ ეპისკოპოსს ელისეს ყარჩხისაშვილი ზურაბ.

პირსა ზედან, რომე თოთაშვილს მახარას ვენახის ბოლო მოეყიდა და ფასიც სრული მიგეცათ და წიგნიც გამოგერთმევ ა. ემო ნიგოზიც მოეყიდა. იმის გასწორ, რასაც ნიგოზი გაიტანდეს, ატ[ა]მს ქვევით ნინიკას ვენაჯის მიჯნამდის. თქვენის ნასყიდის მამულისა ჩვენც წყალობა გვიქნია და თქვენთვის გვიბოძებია. გქონდეს და გიბელნიეროს ლმერთმან არა ჩვენგან და არა ჩვენის ნათესავის კაცისაგან არა ოდეს არ მოგეშალოს. არის ამისი მოწმე თავ[ა]დ ღ[მერ]თი. და ყოველი მისი წმინდანი ზეცისანი და ქვეყნისანი. კაცთაგან:—გიორგი ცალქალამანიძე, ელიკა ჯაშიაშვილი, დემეტრე კარგალეთელი. მე გოგიბაშვილს ზურქა]ბს დამიწერია და მოწამეცა ვ[ა]რ.



149. 1699 წ. სექტემბრის 27-ს. მამულის გაცვლილობის წიგნი, მიცემული ხოსუა და სხვა. ასლუაშვილების მიერ ნასყიდა და სხვა ლოლმაზაშვილებისადმი. პირი XIX ს-ის და-საწყისის 33,5×23 სმ, გადაწერილი ერთ თაბაზ მოთეთრო ქაღალდზე მხედრული. ხელით. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია თითო, ან ორ-ორი წერტილი—საჭ. მუზ., № 10257 ჩი.

ქ. . . ესე ამიერ უკუნისამდი ქამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და მიზეზშემოუღებელი სამკვიდრო და საბოლოო წიგნი და ნიშანი მოგეცით ჩვენ, ასლუაშვილებმა ხოსუამ, ბანდუამ და ფეხანგამ, ჩემმა ბიძაშვილმა დავრიზამ, შეილთა და მამავალთა სახლისა ჩვენისათა თქვენ, ლოლმაზაშვილებს ნასყიდას, როსტომას, დავითას, მანდენას, ავთანდილას; შეილთა და მამავალთა სახლისა თქვენისათა;—ასე და ამა პირსა ზედა, რომ ჩვენი ქვემო ახალშენი ზოგიუწინ მამა ჩვენს მამის თქვენისათვინ გაეცვალა მამულზედა და ცოტა რამ კიდევა ჩვენ გვეჭირა. თქვენ გემბრობოდათ და ჩვენზედა უმხროო იყო ჩვენ ჩვენისატონის ბძანებითა და ჩემის მოხელეების შეკითხულობით მისი ორი ზომა-მიწა ავიღეთ, რაგვარათაც ჩვენი გული შესჯერდებოდა, იმ უგარად შევრიგდით და გარდავწვეიტეთ და ის ვენახი თქვენ დაგანებეთ, რომ მისი მოცილე და მო-დავე არავინ იყოს. ვინ იცის, ჩემი ბიძაშვილები მოვიდნენ და წამოგედაონ, მისი პასუხის მიმცემი ჩვენ ვიყვნეთ. არიან ამისნი დამბდურნი და მოწამენი თავად ღ[მერ]თი და ყოველნი მისნი წმინდანი ზეცისანი და ქვეყანისა, კარცო-ელნი და უხორცონი. კაცთაგან—თუმანიშვილი ბახტა [] , ნაცვალი კაცია, დოლანელიშვილი წმიდის დიდის ზაფლავზედა მყოფი ბერი არსენ, ყორ-დანაშვილი ბერუა, ქვემო ბოლნისის მამასახლისი პაპუა +, მთავარი მარკოზა, ზემო ბოლნელი მოურავი მახარობელი, მამასახლისი ვართანა +, ალექსერდა-შვილი პეტრუზა +, ტერტერაშვილი აეთანდილა +, მახარაშვილი +, ზალახო-თელი მამასახლისი თამაზა და სულ ერთობილნი საყდრის ყმანი ამისი დამხდურ-

¹ სათაური სხვა ხელით: ქ. ვენახისა ბატონის. მოცემული წიგნია.

ჩი და მოწამენი არიან. ვინცა და რამანც ადამის მონათესავებ კაცმა დიდმა ანუ მცირემა ამისად შლად კელჲყოს, მასამც რისხავს დაუსაბამი დაუსრულებელი. მამა ეს და სული წმინდა. ნურას სინანულითამც ნუ იქნების კსნა სულისა მისისა, იუდის თანამც იქნების ნაწილი და სამკვიდრებელი მისი, ხოლო გამთავენი და დამამტკიცებელნი ამისნი ლმერთმა აკურთხეს. დაიწერა ენკენისთვის კზ გასულს, ქ[ორონი]ქ[ონ]ს ტპ. მე სიონთა ღ[ვ]თისშობლის დეკანოზს ოქროპირს დამიწერია და მოწამეცა ვარ. + + +

ჩვენ, ბატონი ასლან ამისი მოწამე ვარ.

ჩვენ, ბატონი სარდალი ლუარსაბ ამისი მოწამე ვარ.

ყიორგიშვილი პაპა.

ყაფლანიშვილი ერასტი.

სულხან მდივანბეგიშვილი ამისი მოწამე ვარ.

ასლოა და დოლმაზაშვილს ერთმანერთისათვის ვენახი და მიწა გაეცვალა და ჩვენს ყმას ცოტა კიდეც გამოერთმია და მოვიდენ ჩვენ ბოვნელს მაქსიმეს მოგვახსენა და ჩვენ დაგვიმტკიცებია, ერთმანერთში სადათ საქმე არა არი რა. ჯერ დოლმაზაშვილი სთხოვს ლალას და არც ვენახს ეთხოება კულუხი. ჩვენ, ბოვნელს რევისშვილს ითანეს ჩვენც ასე დაგვიმტკიცებია, რაგვარადაც ეს სიგელი არის ჩართული.

ნაზირი ედიშერ ამისი მოწამე, ალავერდაშვილი ლურმიშვანა, თუშმალიშვილი ბერან, თუშმანიშვილი მდივანი ოთარ, შანშიაშვილი ბერან, არყუთაშვილი, ფარსადანა +, მდივანი შიომი. ამისი მოწამე მდივანი თუშმანიშვილი გივი.

150. 1700 წ. ახლო. სითარხნის წიგნი, მიცემული დიდის მოურავის შეილისშვილის თარხან, ბერანისა და სხვების მიერ ტერასატურა ტერმარქარაშვილისადმი. დედანა. 27,8×18,6 სმ. დაწერილი თეთრ ჭალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარილი არ უზრის. საბუთი 1700 წლებს უნდა ეყუთვნოდეს — საქ. ც. — არქ. ფ. — , № 4988.

ქ. . ესე წყალობისა და სითარხნის წიგნი გიბოძე ჩვენ, დიდის მოურალაშვილის შეილისშვილმან ბატონმან თარხანმან ბერან და ჩემ[მ]ა ძმამან დემეტრემ და ლუარსაბ და ჩემ[მ]ა შეილმან ოთარ შენ, ახალქალაქელს ტერმარქარალაშვილს ტერსატურალაშვილი (?) და ძმასა შენსა დავითსა, შეილთა და მამავალთა სახლისა შენისათა; — ასე და ამა პირსა ზედა: კურთხეული ბატონის მამის ჩვენისაგან[ა]ც გათარხნებული იყავით, ახლა ჩვენც ასე გათარხნეთ და გათ[ა]ვისუფლეთ, არ[ა]ღერი საჩვენო სათხოვარი და გ[ა]მოსალები არ გეთხოვებოდეს რა არა მალი, არა ულაყი, არა ხარჯი და გამოსალები ძლვენს გარდა ერთი ამის მეტი: ბატონის მამის ჩვენის და ბატონის დედი-ჩემის სასაფლაოზედა ყოველს [ვ]წების კვირ[ა]ში ნ[ა]ხევ[არ] ლიტრ[ა]ს სანთელსა და ერთს [ს]ტილს საქმელს მიწიტანდე და ჩვენს დეკანოზს მიაბარებდეთ. არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა ჩვენისა სახლის კაცისაგ[ა]ნ . . .

151. 1700 წ. მაისის 28-ს, ნაციონალის წიგნი, მიცემული იასე და ედიშერ დიასამიძეთა-
მიერ პაატაბეგ და ავთანდილ მაჩაბლებისადმი. დედანი. 38, X 27 სმ, დაწერილი ეტ-
რატზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია
ორ-ორი წერტილი. თარიღად აქვს 1700 წ.—საჭ. მუზ., № 1532 ჩა.

ქ . . . ესე ამიერით უკუნისამდინ უამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე
და მოუშლელი, სამკვიდროდ და საბოლოოდ გამოსადეგი, ყოვლის კაცისაგან
მოუდევარ-მოუსაორჩლებელი ნაციონალის ფიცი და სიგელი დაგიწერეთ და მოგე-
ცით ჩვენ, დიასამიძემ სეხნიაშვილმან იასემ, ძმაშან ჩემმან ეზიშერ და მომავალ-
მან ჩემმან თქვენ, მაჩაბელს ბატონს პაატაბეგს, ძმასა თქვენსა ავთანდილს,
შვილთა და მომავალთა თქვენთა;—მაშინ ოდეს დაგვეჭირა და მოგყიდეთ
ჩვენი ყმა ქვემონიქოზს ერთი კომლი კაცი ოქრუაშვილი ბერი მისის
ცოლშეილითა, მისის მამულითა, სასაფლაოთი, სახლკარითა, იქით ბატია-
შვილის სამძღვრამდინ, აქათ ჭილიკაძის სამძღვრამდინ, უკან ნაფუზარი და
ბალი ჭილიკაშვილის სამძღვრამდინ, წინ თავის საბოსტნით და კალ-
საბძლით; ვეხაკი მისის სამძღვრით, ბოლოს ოქრუაშვილის ვენაკი უძეს,
იქით ჭილიკაშვილის ნაფუზრამდინ; ქვემონიქოზის ბოლოს მინდვრის მიწა-
თავი ბრძოს მიწის მიღმამდინ, ერთი გვერდი კიდე ბრძოს მიწის მიღმამდინ,
მეორე მხარე კიდევ ბრძოს მიწის მიღმამდინ, ბოლო ფხვენელის კაცის
მიწის მიღმამდინ; მიჯნებზედ სამნები უსხედს. ესე ასრე თავის წილის წის-
ქვილითა, მიწითა, წყლითა, მთითა, ბარითა, საკავითა, სათიბითა მოგყიდეთ და
დაგიმკვიდრეთ დღეს რისაც მქონებელი იყოს ყოვლის მისის სამართლიანის
მზღვრითა და ავილეთ თქვენგან ფასი სრული და უნაკლულო, რითაც ჩვენი
გული შეგაერდებოდა. ალარა დარჩარა ჩვენი თქვენზედ არცა ერთი იოტის-
ფასი. (გ)ქონდეს და გაემარნეს ღწ. რარიგდ სხვას ალალს მოხასიდეს მარ-
თებან, უგრეთ თქვენ აელგეწიფოდეს გასყიდვად, გაზითვად, რათაც ფერად
საკმარ. სად. არავინ არის მცილე და მოდავე და, რუ გამოჩნდეს ვინმე, პირისა
და პასუბის გამცემი ჩვენ ვიყვეთ. [] არიან ამისი დამხდურნი და მოწამენი
ბატონი მროველი [], ნიქოზელი, ეშიკალსბაში ქაიხოსრო, მოლარეთ უხუცე-
სი მანუჩარ [], ნაზირი ოთარი [], მდივანი შიომშ [], ნა-
ზირი ედიშერ [], ფავნელიშვილი იოთამ, ფავნელიშვილი გიორგი, თაქ-
თაქიძე დავით; მე თუმანიშვილს მდივანს გივს დამიწერია და მოწამეცა ვარ.
ქორონიქონის ტკც. მაისის კც. . . [] +.

ქ. ჩვენ, მცფეთ მცფე პატრონი ვახტანგ ამ ნაციონალს ასრე ვამტკიცებთ
და არავინ გვიგმანებია მშლელი და მაცილებელი თვინიერ თანადგომისაგან
კიდე. ვახტანგ¹.

¹ ხელულად.

152. 1700 წ. აგვისტოს 27-ს. წყალობის წიგნი, მიცემული იოსებ ურბნელის ჯავახის-შვილის მიერ რევაზ უსუოლაძისადმი. დედანი. დაზიანებული, დახეული თავსა და მარცხნა ნაპირზე. 39,1×24,7 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედლული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი — საქ. ც. — არქ., ფონდი — , № 1193.

... ესე უკუნისამდე უამთა და ხანთა გასათავებელი, მიზეზშემოულებელი, სამკუიდრო და საბოლოო, მტკიცე და უცვალებელი წყალობისა წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ, ურბნელ ეფისკოპოზმან ჯავახის-შვილმან პატრიონმან იოსებ შენ, უოფლაძეს პაპუნას-შვილს რევაზასა, შვილსა შენსა და მომავალსა სახლისა შენისასა; — ასე რომე თაობითაც ბატონის-შვილის ლევა-ნისაგანაც შემოწირული იყავ და იმისი წიგნიცა გქონდა და ჩვენც წყალობა გიყავით და გა[თარხნ]ეთ და გათავისუფლეთ, ვითაც ობოლი და ოკერი იყავ, საყდრის წმინდის სტეფანისათვინ დაგაყენეთ. დაგ[დ]ევით წმინდის სტეფანისა-თვის წელიწადში ნახევ[არ] ლიტრა სანთელი, ნახევარ ქსანი საკმელი, ყუელიერში წმინდის სტეფანის დეკანოს აწა[ე]ბს მოაბარებდეთ. არა ჩვენი გამოსაღები არა გეთხოებრდეს რა არც პური, არც ლეინო, არც კვნა, არც თესვა, არა . ლა, არა საბალახე, არა კოდის პური, არას ჩვენს მოკელეს შენთან კელი არა ჰქონ-დეს. უ . . . შეი ერთი დღე მეა, ერთი ბარევაში წამოხვიდოდე. სხვა შენთან ხელი არავის რა ჰქონდეს. არის ამისი მოწამე თავათ ლ[მ]ერთ[ი] და კაცთაგან მოწამე დეკანოზი გიორგი, ხუციანიძე მლუდელი ი[ა]კობ, კაკას-შვილი ზაქუტა, ინდუას-შვილი ბერიკა, კოკოზას-შვილი პაპუნა, პაპუნას-შვილი ზუბიტა, კილვ კაკას-შვილი გიორგი, სულა ერთობილი საყდრის ყმანი ურბისელნი, რუ[ი]სე-ლნი მახახრას-(sic) შვილი ბასილა, ხანის-შვილი თევდორა, მუჯირი შოშია . . მე ბალდადელიძეს გიორგის მლუდელს დამიწერია და მოწამეცა ვარ. ქ[ორონი]-ქ[ონ]სა ტპც, თვესა აგვისტონსა თცდაშვილსა. ურბნელი იოსებ¹. +

153. 1700 — 1713 წლ. თუმანიანთ ყმების მამულების ნუსხა. პირი გივი მდივნის ნუს-ხისა. 44,5×17,1 სმ, გადაწერილი ორად გაცეცილ ლურჯ ქაღალდზე მხედლული ხე-ლით. 1780 წლ. აბლო (ჭვირნიშის მიხედვით). განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ად-გილ ნახმარია თითო წერტილი. თარილი არ უზის. გივი თუმანიშვილი ცნობილი პი-რია. ის გვეცდება საბუთებში 1688, 1689, 1700, 1703, 1705, 1707, 1709, 1712, 1713, 1714, 1715, 1716(1717 და 1719 წლებშიც (ც. — არქ., ვ. , №№ 254 (?), 1177, 1505, 1540, 771, 197, 94; საქ. სიძ., III, №№: 4 — 4, 420 — 406, 423 — 407, 424 — 408, 428 — 411 და სხვა). საბუთი ამ 1688 — 1719 წლების მეორე ნახევარს, სახელდობრ 1701 — 1719 წლებს უნდა ეკუთვნოდეს — საქ. მუზ., № 11.101 hd.

თუმანიშვილის გივი¹ მდივნისაგან დაწერილის სიის პირი არის.

ქ. კევთუბანს ტერ-მამველის ვენახი და თავისი სახლები, ზედ რომ სახ-ლობს, ოთხის დღისა. ამისი სათივის მიწა იქნება თხუთმეტის დღისა.

დ ქ. გრძელა ოთხის დღისა.

¹ ხვეულად.

- ა. ქ. გორს მიწა დღე-ნახევრისა.
 ა. ქ. ნაფუზარი დღე-ნახევრისა.
 გ. ქ. ფშატის მიწა სამის დღისა.
 ა. ქ. საყდრის მიწა ერთის დღისა. სულ შეიქმნა ოცდა თორმეტის
 დღისა შეიქმნა სახლით და ვენახით.
 გ. ქ. კალო საბძელი ვენახი და შიგ რომ სახლობს სამის დღისა.
 გ. ქ. თორტიზის გვერდზედ სახნავი სამის დღისა.
 ბ. ქ. გვერდზედ ორის დღისა.
 ბ. ქ. რუს ზეით ორის დღისა.
 ბ. ქ. ხოდაბუნი რომ გამიჭრია და მიმიცია ორის დღისა-ი ბ. იქმნა სულ
 თორმეტის დღისა.
 გ. ქ. გლეხისა სახლკარით კალო და საბძლით ვენახით სამის დღისა.
 ე. ქ. ფაშტის მიწა ხუთის დღისა.
 ჩ. ქ. სათივის მიწა ოთხის დღისა.
 ჩ. ქ. თორტიზის გვერდზედ ოთხის დღისა.
 ჩ. ქ. ჩალის მიწა ოთხის დღისა—კ. სულ იქმნა ოცის დღისა.
 ბ. ქ. გლეხი სახლკარით და ნასყიდის ვენახით ორი დღისა.
 დ. ქ. ჩვენი ნასყიდი ყანჩიელის მიწა რვა დღისა, ოთხისა ზაქარიასა აქვს
 და ოთხისა ამას მივეცით.
 ბ. ქ. ჭურქში ბეთლემურს ქვასთან ორის დღისა.
 დ. ქ. ჩვენი ნასყიდი პარკიამკიდე ოთხის დღისა,—
 იბ. იქმნა სულ თორმეტის დღისა.
 ა. ქ. მეგრელი-შვილის ცარიელი სახლი კალო-საბძლითა ჩვენგან ნასყი-
 დი ერთის დღისა.
 ა. ქ. ჩვენგან ნასყიდი ბიჭიკაშვილსა ვენახი ერთის დღისა სასახლით.
 გ. ქ. საყდართან ამ ბიჭიკაშვილს მიწა ნასყიდი სამის დღისა.
 ბ. ქ. კიდევ ნასყიდი ბაჭიკაშვილისა მიწა ფშატისა ორის დღისა.
 ა. ქ. ერთის დღისა გოხაზედ.
 ბ. ქ. ჩვენი ნასყიდი ჩალაში ორის დღისა.
 ბ. ქ. ჩემი ხოდაბუნი გაუჭრია ორის დღისა,—
 იბ. ეს ამას უჭირავს იქმნა სულ თორმეტის დღისა
 ვ. ქ. ელისბარას-შვილისა ვენახი, სახლკარი და კალო-ცაბძელი ექვსინ
 დღისა.
 ვ. ქ. საყდართან სახნავი მიწა რვა დღისა.
 გ. ქ. ამისი ვენახის თავში სამის დღისა.
 ბ. ქ. ნაიონჯარი ორის დღისა..
 დ. ქ. გორასთან გრძელ თოხის დღისა.
 ჩ. ქ. სათივე ჩვენგან ნასყიდი ოთხის დღისა,—
 ქ. იქმნა ოცდაშვიდის დღისა, ნასყიდი ათის დღისა.
 გ. ქ. ჭუმსის მამული სახლკარი და ვენახი სამის დღისა.
 ზ. ქ. გორს მიწა ზეით და გზის ქვეით შვიდის დღისა.
 გ. ქ. გოხის მიწა სამის დღისა.
 ა. ქ. ნაფუზარი ერთის დღისა.

9. ქ. გომარულის მიწა.
 ქ. ჭურექის წყაროსთან სამის დღისა.
 8. ქ. ბალის გვერდზედ თავიანთ სამის დღისა,—
 ლ. იქმნა სულ ოცდა ათის დღისა. ორი კომლნი არიან.

 9. ქ. იესონას შვილის ვენახი, სახლკარი ერთის დღისა.
 9. ქ. ბოლონაფუზარი ერთის დღისა.
 10. ქ. გოხაზე თოხის დღისა.
 8. ქ. სათივეში ორისა დღისა,—
 ლ. იქმნა სულ რვა დღისა.

 9. ქ. გოჩიაშვილის ქიტია ამისი ვენახი და სახლ-კარი ერთის დღისა.
 9. ქ. ბოლს ნაფუზარი ერთის დღისა.
 8. ქ. თავთის წყაროზედ ორის დღისა.
 8. ქ. პარკიამპიდეში ექვსრს დღისა,—
 ი. იქმნა სულ ათის დღისა

 8. ქ. მახარობლის შვილის ვენახი სახლკარი სამი დღისა.
 8. ქ. ზეიანში ორის დღისა.
 8. ქ. სათივის მიწა ორის დღისა.
 8. ქ. ჭურექში მიწა ორის დღისა.
 8. ქ. ჭურექის მიწა სამის დღისა.
 9. ქ. თავის ნასყიდი მიწა ხუთის დღისა,—
 იზ. იქმნა სულ ჩვიდმეტის დღისა.

 8. ქ. დალაქიშვილის სახლკარი, კალო-საბძელი და ვენახი ორის დღისა.
 8. ქ. ჩვენი ნასყიდი ხოდაბუნის მიწა ორის დღისა.
 8. ქ. გრძელა სამის დღისა.
 8. ქ. გოხაზედ თოხის დღისა.
 8. ქ. ზეიანში ჩვენი ხოდაბუნისა ორის დღისა.
 8. ქ. თანის წყაროს ქვეით ნასყიდი ორის დღისა.
 9. ქ. თავის ნასყიდი მიწა ეშმაკის წყაროზედ ხუთის დღისა.
 9. სამის დღისა ამას ქვეით.
 9. ქ. ბეთლემის ქუპათან ერთისა დღისა.
 8. ქ. მამუკელაშვილისა ორის დღისა.
 3. ქ. ხახანაშვილისაგან ნასყიდი ექვსის დღისა.
 8. ქ. ბეთლემის ქუპა იქით გარდიგარდმო სამის დღისა,—
 ლდ. იქმნა ოცდა თოთხმეტის დღისა.

 8. ქ. ნასყიდას სახლკარი ნახევარ დღისა ბაგა.
 8. ქ. მარლიშვილის სახლკარი კალო-საბძელი და ვენახი ორის დღისა.
 ქ. ბოლოთის ვენახი.
 8. ქ. თავის მიწა სამის დღისა.
 8. ქ. ლართანა შვიდის დღისა.
 8. ქ. ჭურექში სამის დღისა.

- 8 ქ. თავის ნასყიდი საყდართან ორის დღისა.
 დ ქ. თანთის-წყაროს რეს ქვეით ოთხის დღისა,—
 კგ. იქმნა სულ თცდასამის დღისა.
 8 ქ. ნავროზას-შვილის ვენახი და სახლკარი და ბოლოს ვენახის მიწა სამის.
დღისა.
 8 ქ. ოთარის მიწა სამის დღისა.
 8 ქ. რეს ზევით ორის დღისა.
 8 ქ. გარდიგარდმო სამის დღისა.
 8 ქ. თორტიზის გზაზედ შვილის დღისა,—
 იბ. იქმნა სულ თორმეტი დღისა.
 კურტანიძე ბოგანო, ერთი კვალი ჩვენი ნასყიდი ვენახი უჭირავს.
 8 ქ. მეგრელი ბოგანო, სამის დღის მიწა აქვს.
 ქ. რეხას ებიაშვილი ბაინდურა, მურაჩაშვილი კირაკოზა, პაპაშვილი
ზურაბა.
 8 ქ. ამათი სახლკარი და ვენახი სამის დღისა.
 დ ქ. სახნავი მიწა გრძელაში ოთხის დღისა.
 8 ქ. გარდიგარდმო ორის დღისა.
 დ ქ. ვენახის თავში ოთხის დღისა.
 8 ქ. ამას ზეით გარდიგარდმო ორის დღისა.
 8 ქ. სალუქაურში დუბის მიწა სამის დღისა.
 8 ქ. ჩვენგან მიცემული ბიბლიანთ[თ] უბანში ორის დღისა.
 8 ქ. ნაფუზარი ერთის დღისა.
 დ ქ. თავიანთგან სასყიდი ოთხის დღისა ეშმაკის წყაროსთან.
 ე ქ. ბაინდურასი ამას ქვეით ხუთის დღისა.
 ბ ქ. ვენახის თავში ორის დღისა.
 გ ქ. მურაჩაშვილის ნასყიდი ეშმაკის-წყაროსთან სამის დღისა.
 ბ ქ. ორის დღისა იმის ბოლოს.
 ბ ქ. ორის დღისა საბძელ ზეითა.
 ბ ქ. და ქვეით ასაფაშვილის ბეთლემის ქუასთან ორის დღისა,—
 მთ. იქმნა ორმოცდა ცხრა დღისა სამის კომლისა.
 დ ქალის გზასთან ოთხის დღისა¹.

154. 1701 წ. ნოემბრის „ნახევარს გასულს“. შვილის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ბერია მამულაშვილის მეტ როტინანთ ბეჭუასადმი. საბუთი მცხეთის ეკლესიისა, № 445. დეანი. 30,8×24,3 სმ, დაწერდილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნაშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარი არ-ორი წერტილი — საქ. ც. — არქ. ფონდი —, № 1457.

ქ. . . ესე ნასყიდობის სიგელი დაგიწერე და მოკეცი მე, მამულაშვილ-
 მა ბერიამ შენ, მოქალაქეს როტინანთ ბეჭუასა; — ასე რომ ჩემის ნება წალი-
 ლით მოვედი და შემოგეხვეწე, ამიტომ რომ ჩემი მერჯულე იყალე. შენც შენად

¹ სათაური სხვა ხელით: ხევთუბნის მამულების სია არის საერთო.

შვილად მაინდოშე, მოგეცი ჩემი შვილი ნადირა. რითაც ჩემი გული შესჯერდებოდა, შენგან ავიღევ მისი ფასი. ამასთან არას ჩემს მონათესავეს ხელი არავის არ აქვს ერთს მღვითის მეტს . . . არის ამისი მოწამე თავად ღმერთი. . . კაცისაგან ფეხთხანის ხუცესი ტერ-სარქისა +, საფნიშანის (sic) ხუცესი ტერ-ხეჩატურა +, მე ამირალაშვილს ასლამაზას დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი, რომ მამულას-შვილის ბერიას პირიდამ გამიგონია. დაიწერა ესე სიგელი ვიორგობის ნახევარს გასულს, ქორონიკონ] ს ტპთ +.

ქ. მე ფარნაცა] ნო მამაჯანა ამას მოწამე ვარ. +

ქ. მე ხუციანთ ორეშტამ ამისი მოწამე ვარ. +

ქ. მე შარუანთა გასპარამ ამისი მოწამე ვარ. +



155. 1701 წ. დეკემბრის „დაშვექსა“. ქალის ნასყიდობის წიგნი, მიცემული არაქელას-შვილის მიერ ასატურა ჯაშინას-შვილისადმი დედანი. ძლიერ დაზიანებული, დამპალი. 44,2X23,5-სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო, ან ორ-ორი წერტილი — საქ. მუწ., № 9784 ჩ.დ.

ქ. . . ესე წიგნი მოგეც უამთა (და) ხანთა მტკიცედ მოუშლელი, ყოვლის ჩეუბისა [და] ილეთისაგან გამოსული მე, გარეჯვრელმან არაქელ [ა]ს-შვილმან მარქარამა და ჩემ[გ]ა შეიღმა ბერამ[ა]ნ¹ და გიორგიმ[ა]ნ სახლისა მამავალმა ყოველთავ ჩვენისმა თქვენ, ჯაშინ[ა]ს² - შვილსა ასატურასა და შვილსა თქვენსა ხოსინ[ა]სა, როსტომასა და ბერან[ა]სა, პაპუასა და ავთანდილ[ა]სა, სახლისა მომავალთა თქვენთა, — დამეჭირა და, შიმშილობა იყო; მოვიყვანე ჩემი ქალი თანდარა, თქვენ მოგყიდე, ფასიც სრული უკლებელი გამოგართვი. აღარა დარჩარა ჩვენს შუა მოყრობისა და დედაშვილობის შეტი. რათაც ფერათ მოსახმარათ გინდოდეს: გაზითითა (sic), საწინდრათა, სასყიდლათა, ვერავინ შემოგეცილოს თვინიერ ერთი ღ[უ]თის მეტი. თუ ვინმე შემოგეცილოს, პირისა და პასუხის გამცემი ჩვენ ვიყოთ . . . არის ამისი მოწამ[ე] აავათ ზეციერი ღმერთი . . . კაცოაგ[ა]ნ ყან[დი]ნ[ა]ს-შვილი ფარსადანა, ქაც[ა]ზა[ა]ნ[ა]ნ პაპუას-შვილი კარაპეტა, მისი სიძე არუთენა, მე მკერლის-შვილს დათუნ[ა]ს დამიწერია, მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა ესე წიგნი ქრისტიშობის დამდექსა, ქორონიკონს ტპთ,³ (აშის სჭმი ჯვარი).

¹ უკანასკნელი სიტყვა ტექსტში სწერია: ბაერამნა.

² უკანასკნელი სიტყვა ტექსტში სწერია: ჯაშიანსა.

³ სათაური სხვა სელით: ქ. თუმანიანთ ნასყიდობის წიგნი.

156. 1701 წ. ყმის შეწირულობის წიგნი, მიცემული ოთარ არაგვის ერისთვის ასულის და ვახტანგ ციციშვილის მეუღლის თინათინის მიერ წმ. ნიკოლოზის ეკლესიისადმი. დეანი. დაზიანებული (თავი აკლია, ნაწერი ბევრგან მოტილებულია). $17,8 \times 16,7$ სმ, დაწერილი ოთრ ქალადზე მხედრული ხელით; განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი; თარიღად აქვს 1701 წ.— საქ. მუზ., № 107 ad.

ეს შეწირულობის წიგნი მოგაროვით ჩვენ, არაგვის ერისთვის ოთარის ასულმან პატრონქან თინათინ და თანამეცხედრემან ჩვენმან ციციშვილმან პატრონმან ვახტანგ და ძემა ჩვენმან ედიშერ შენ, ჩვენს სასოებასა და დიღბას სიქადულსა ჩვენს სალოცავსა და სასაფლაოსა, დიღს მღდელთმდღვარ წმიდას ნიკოლაოზ და შემოგწირეთ მცირე და უნდო შესაწირავი ჩვენის ზითვით თათრის ეკლისაგან გამოქსნილი მაზიაშვილი პა[ა]ტა მისის ცოლითა და შეიღებითა. შეიწირე მცირე ეს შესაწირავი, წმიდაო მღდელთ-მოძღვარო ნიკოლოზ, და კვალად მომაგე მოსაგებელი დღესა მას დიღსა განკითხვისასა, ოდეს მართლმსაჯული ჯდეს განკითხვად საყდართა შთა საშინელთა, კაცალ-კაცალთა საქმეთაებრ მიაგებდეს, ცოდვათა ჩვენთა შესანდობლათ და ძეთა და ასულთა ჩვენთა საღლევრძელოდ . . . დაწერა. წიგნი ეს თვე[სა] (მარ)ტ(სა) ერთსა, ქე-სა ტპთ თინათინ¹.

ქ. ჩვენ, ციცის-შვილმან ფარსადანის ძემან წინამძღვარმან გრიგოლ, რაც ჩვენის ცოდვილის პირით სამისხური იქნებოდა, კმიანურე, მიგაროვი და თათრის კელით დაიხსნა და წმიდას ნიკოლაოზს შემოსწირა ეს კაცი. ვინცავინ მიემთხვიოთ, ჩვენ ცოდვილთათვის შენდობას ყოფდეთ. გრიგოლ².

157. 1701 — 1730 წლ. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ქაიხოსრო აბაზაძის მიერ თავის განაყოფ დავით აბაზაძისადმი. დედანი. დაზიანებული (თავმოხეული). $16,6 \times 15$ სმ, დაწერილი მოყვითალო ქალადზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უზის: დამწერლობით ას XCVIII ს-ის დასწყისისაა. მიმცემი ქაიხისრო აბაზაძე მიმღებ დაიკით აბაზაძესთან ერთად მოხსენებული არის ნაზარალიხანის მიერ უკანასკნელის (დავითის) მამა ზალისადმი ბოძებულ წიგნში 1693 წელს (საქ. სიდ., II, № 134 — 162). საბუთი 1701 — 1701 — 1730 წლებს უნდა ეკუთვნოდეს — საქ. მუზ., № 2071 sd.

ეს პირი, ფიცი და წიგნი მოგეცით ჩუენ, აბაზაძე ქაიხოსრომ თქუენ, ჩუენს განაყოფს დავითს, ძმათა თქუენთა და შეილთა და მომავალთა შახლისა თქუენსათა; — მას ეამსა, ოდეს დაგუჭირდა და მოყვიდეთ ჩუენი მემკუიდრე ყმა ნიქოზელი ბერუა მის მამულს გარდაისად, ცარიელი კაცი მისის ცოლ-შვილითა და ძმითა ყოვლის. კაცისაგან უცილებთად. არის ამისი, მოწამე ამირეჯიბი გიორგი. +

¹ ხვეულად.

² ხვეულად.

158. 1702 წ. იერისის 12. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ყარაბუდახის ქმის იესეს მიერ ზაალ დოლინჯის-შვილისადმი. დაზიანებული თავში. 39,6X19 სმ, დაწერილი მოთეთრო-მოყვითალო ქალადზე მხედრული ხელით. ასო — მეტ-ნაკლები. განკვე-თიღლიბის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი. — საქ. მუზ., № 8571 ჩd.

ქ. . . ესე უთუო¹ და უთუმც[ა]ო, დროდაუბელი, მიზეზშემოულებელი, ყოვლის ჩხუბისა² და ილეთისაგან გამოსული მტკიცე ნასყიდობის წიგნი და- სიგელი დაგიმტეკიცე და მოგეცით ჩვენ, ყარაბუდახის ქმაშ იესემ და შვილშა- ჩემ[მ]ა პ.პუამ და თამაზამ თქვენ, დოლინჯის-შვილს ზა[ა]ლს; — ასე და ამა პირსა ზედან. როდეს დამჭირდა და მოვინდომე ჩემის ყმი-შვილის გასყიდვა. მოვედი ჩემის ნებაყოფლობითა, მოგყიდე ჩემის ყმის იძერლის შვილი ბერია- ვიღე ფასი, რითაც ჩემი გული შესჯერდებოდა. გქონდეს და გიბედნიეროს ლმერთმ[ა]ნ, როგორც მრავალს ალალს ნასყიდს გასთავებოდეს ყოვლის ადამი- ანისაგან უცილებელი. თუ ვინმე წამოგედაოს, პირისა და პასუნის გამცემი მე იესე ვიყო. შენსა და ჩვენს შვა აღარი დარჩა-რა სალაპარაკო არც ერთი იოტის დანაფასები. არის ამის მოწამე თავად ღმერთი და მისნი ყოველნი წმინდანი. კაცთაგან მდივანი ნაზირი ოთარ [] , მდივანი გივი [] , და რო- კიკას-შვილი უზბაში როსტომ [] , და ფარემუზ მდივანს დამიწერია და- მოწამეცა ვარ. დაიწერა ესე წიგნი თიბათვის იბ, ქ[ორონი]ქ[ონ]ს ტჟ. + + + ქ. მე მდივანი შერმადინ ამის მოწამე ვარ. []

159. 1702 წ. აგვისტოს 27-ს. ნასყიდობის წიგნი, მიცემული გიორგი და სხვა ხეჩუა- შვილების მიერ სოლრუანთ ფასუასადმი დედანი. 65,7X24 სმ, დაწერილი თეთრ ქა- ლადზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაშმა- რია ორ-ორი წერტილი — საქ. ც. — არქ., ფონდი 226, № 288.

ქ. . . ესე უკუნისამდე უამთა და ხანთა გასათავებელი, მიზეზმოულებელი, ყოვლის ჩხუბისა და ილეთისაგან გამოსული ესე (bis) ნასყიდობის სიგელი დაგი- წერინეთ და მოგეცით ჩვენ, ხეჩუა-შვილებმა გიორგიმ, ქმაშა ჩემმა ზურაბამა, შვილმა ჩემმა არუთინამ და ავთანდილ ორის ჩემის ქალით³ შენ სოლრუანთ მაძაჯანას-შვილს ფასუას, შვილსა შენსა ოსეფასა და გრიქორასა, შვილთა შვილს-შვილთა შენთა და მომავალთა სახლისა შენისათა; — ასე რომე

¹ უკანასკნელი სიტყვა ტექსტში სწერია: უთაო.

² უკანასკნელი სიტყვა ტექსტში სწერია: ჩხუბისა.

³ აქ ორი სიტყვის აღილია ლიად დატოვებული.

შე სეჩუას-შვილმა გიორგიმ, ჩემ[მ]ა ძხამ ზურაბამ ჩვენის ორის შვილით არუთინათი და ავთანდილათი და ჩემის ცოლით და ორის ქალითა თცდარვა წელი-წადი ჯავახეთს ვიყავით თათრის კელისაგან და ხარაჯისაგან ძალა დაგვემართა, მოვედით ერთობილათ, დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენი თავი, რითაც ჩვენი გული შეიჯერიეთ, ავილვით ფასი სრული და უნაკლულო. ჩვენში არა დარჩობილა რა ერთის იოტის ფასი. გყვანდეთ და გიბედნიეროს ლმერთმან. არას კაცი არც დიდ-სა და არც მცრეს შენთან კელი არავის პქონდეს თვინიერ მღრთის მეტა. თუ ვინმე წამოგედავოს, პირისა და პასუხის მიმცემი ჩვენ ვიყუნეთ სიუდილ-სიცოცხლით. სანამდის ქვეყანა არის, მეორედ მოსულამდის ჩვენი თავი შენი არის. ლმერთმან ეს ჩვენი თავი შენის ალალის ნასყიდით ასე გაემაროს, როგორც სხვას ალალს მონასყიდეს მოკმარებოდეს. მოგვიცია ამისად თავდებად თავად ლმერთი . . . არიან ამისი მოწამენი კაცთაგან ქალაქის ტფილისის მელიქი ზურაბ, მიტუანა ხატუა +, ებიტას-შვილი ბალდასარა +, იეზაანთ ასლამაზას-შვილი დავითა [] , ავლაბარში როვანას-შვილი ლოინა, მისი ძმა მოქალა-

ქ ბუჟინა [] , მისი ძმა ასატურა [] , ავლაბარში წაკუაშვილი

ქიტება +, ჯავახიშვილი ქიტუა, კოთხეას-შვილი თამაზა. დსენი მლვთის მოწამეთ მომიცია . . . დაიწერა სიგელი ესე მარიამობის ქზ გასულს აელითა სიონთა მღთისმშობლის კანდელაკის მღ[ვ]დლის გრიგოლისათა ქ[ო-რონი]ქ[ონ]სა ტჟ+ + + +.

კანდელაკი
სიონსა
გრიგოლ

ქ. ამისი მოწამე ტფილისის ქალაქის მელიქი ზურაბ¹.

მელიქი
ზურაბ

ქ. მამასახლისი აშხარბეგ [] . ამანი მოწამე ხუდინას-შვილი

მამასახლისი
აშხარბეგ

ოსინა [] . ამსუანთ ესტატეს შვილი მელქუა. +

კიდევ ავლაბრის წინამძღვარი ბერძენი პაპა სარაფიშ: მისი მღ[ვ]დელი გრიგოლ.

კიდე[ე]ვ ამისი მოწამე მამასახლისი აშხალბეგ.¹

ამისი მოწამე ფეფინათ სტეფანას-შვილი ბაინდურა + ხუდაშაშვილი გიგა.²

¹ ეს სტრიქონი ალნიშნული პირის ხელის მოწერამდე იქნებოდა დაწერილი, რადგანაც იგი ზემოთ მოწმობს ბეჭდის დასმით.

² სათაური სხვა ხელით: ყმის ნასყიდობის წიგნი.

* მოწმობები აშიებზე გაბნეულია.

160. 1702 წ. ოქტომბრის „დამდეგსა“. ცენახის ნასყილობის წიგნი, მიცემული გოგია და სხვა შაქარის-შეილების მიერ ზაზა და სხვა ჩივაძეთაღმი. დედანი. დახეული თავში. 29,2×19,6 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით. განკვეთილების ნიშანად ყოველი სიტყვის შედეგ ნახმარის თეთო, ორ-ორი, ან სამ-სამი წერტილი — საქ. მუზ., № 2849 ხდ.

ქ . . . ესე ქამთა და ხანოა გას[ა]თავებელი და მიზეზდ[ა]უდებელი და ყოვლის კაცისგან მოუდევარი ნასყილობის წიგნი და პირი და პასუხი მოგვცით ჩვენ, შაქ[ა]რ[ა]ს შეილებმ[ა]ნ გოგიამ[ა]ნ და ძმამ[ა]ნ ჩემ[ა]ნ პაპუამ[ა]ნ და ბატარამ[ა]ნ, ჩენმან შეილმ[ა]ნ და მამავალმ[ა]ნ სახლისამ[ა]ნ თქუენ, ჩივაძე ზაზას და ძმასა თქუენს[ა] სეხნიას და ბატას და ხოსიას და ლუარს[ა]ბსა, თქუენთა შვილთა და მამავალთა სახლისასა; —ასრე რომე დაგვეჭირა და მოგყიდე თეძამშე ჩვენი ვენ[ა]ხი ბატონის ჩემის მახვილ[ა]ძე ზაზ[ა]ს შეკითხულობითა და დ[ა]სტურითა. ავილეთ ფასი სრული და ღ[ა]უკლებელი, რითაც ჩვენი გული შეგჯერდებოდა. აქეთი გვერდი ტერტერ[ა]ს-შვილის მიწის სამზღვრამდი, ზეითი გვერდი ბატონის თ[ა]რხნის მიჯნ[ა]მდი, ზეითა დიბემდი, წინა რუმდი, მისია საწისქვილოთა, მისის შეს[ა]ვლით და გას[ა]ვლითა და მისის გზითა. ღმერთმ[ა]ნ მშვიდობმ[ა]ში მოგახმი[ა]როს. თუ ვინშე წამოგედაოს, პასუხი მე, მასვილაძე ზაზამა და ჩემა ყმამა შ[ა]ქ[ა]რ[ა]ს-შვილმან გავცე. ვინცა ეს ჩვენი ნ[ა]სყილობა მოგიშალოს, მასამცა რისხ[ა]ვს მამა ძე და სული წმინდა და ჩვენისმცა ცოდვისათვინა გ[ა]იკითხეისა და ისიმცა შეიშლება რჯულის ქრისტიანობიდამა ვინცა ესა მოგიშალოს. არის ამისი მოწამე თავათ ღ[მერ]თი მერმე მისი წმინდა[ა]ნი. კაცთა მოწმობითა აწე არიას ამისი მოწმენი და დამხდური და გარდამწყვეტი ბასილიშვილი ივანე და ჟყვაპის-შვილი გოგია, შეტეხელი ბოჭორაძე ბერი, მჭედლი-თევზორი, სპ[ა]ნილიერას-შვილი ნარიბეგა, ჩიხორელი გოორგი, ურუნბეგას-შვილი თამაზა, ხუცის-შვილი გიქუა. მე, გალუსტაან[თ] ნარინ-დავით[ის] შვილს პაპ[ა]სა დამიწერია, მოწამეც ვარ ამისი. ღ[ა]იწერა ესე ნასყილობის სიკელი, ღვინობისთვესა დამდეგსა, ქორონი]ქ[ონ]ს ტე. ¹ (აზის ოთხი ჯვარი).

161. 1702 — 1720 წლ. ბიჭის მიცემულობის წიგნი, მიცემული ბევრ ყანჩელის მიერ. პატა ყანჩელისადმი. დედანი დაზიანებული (ქვედა ნაწილში მარცხნა კუთხე მოგლევილია და დაკარგული). 50×10,6 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით. ყანჩელისადმი. დედანი. დაზიანებული (ქვედა ნაწილში მარცხნა კუთხე მოგლევილია არ უზის: პატა ყანჩელი გვხვდება საბუთებში 1702 — 1730 წლებში და ეს საბუთიც ამიტომ ხსნებულ წლებს შეიძლება ეკუთვნოდეს — საქ. ც. — არქ. ფ. — № 4160.

ქ . ესე წიგნი მოგეც მე, შენმან ბიძაშვილმან ყანჩელმან ბექ[ა]ნ თქვენ ბიძა ჩემს პა[ა]ტას და შენს შეილებს; —ასე რომე ერთი ჩემი ბიჭი, შენი მხებლიშვილი მე შენ მოგეც; არც ბატონს ჩემს, არც ჩემს ნათეს[ა]ვს ამ ბიჭის საქ-

¹ სათაური სხვა ხელით: ქ. ჩივაძისა ნასყილობისა.

შეზე შენთან ხელი არ[ა] აქვს. ვინც ეს ჩემი ბიჭი შენ გთხო[ო]ს და გუც[ი]ლოს, ლმერთან ჩემის ცოდვის[ა]თვის პ[ა]სუხი იმან გასცეს. რადგ[ა]ნ ჩემი ბიჭი გიორგი ჩემის ნებით შენ მოგ[ი]ც, სხვას კაცს ამასთან ხელი არ[ა] აქვს. ამის მოწ[ა]მე ქრუ ბ პაპუნა იმედაშ-ვილი [ფა]რსალანა, მე გიორგის დამიწე[რია]-და მოწამეც ვარ. დაიწერა მ [გასუ]ლს? ქ[ორონი]ქ[ონ]ს . . .
მე თეიმურაზა ამისი მოწ[ა]მე.

162. 1708 წ. ნოემბრის „დამდეგს“. მაშულის წყალობის წიგნი, მიცემული დათუნა შატ-ბერას-შვილის მიერ ბერი ბერის-შვილისალმი. დედანი. 47,7×22,8 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხეტრული ხელით. ასო — მეტ-ნაკლები. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახშარია სამ-სამი წერტილი — საქ. ც. — არქ., ფონდი 226, № 155.

ქ. ესე წიგნი დაგიწერეთ ჩეენ, თქვენმ[ა]ნ შატბერას-შვილმან გიორგის შვილმ[ა] დათუნამ და პაპუნმ[ა]ს-შვილმ[ა]ნ გიორგიმა, შვილმ[ა]ნ ჩემ[მა]ნ გ[ა]რსევან და პაპუნამ[ა]ნ, სახლის[ა] ჩემ[მ]ან ჩვენი-სამ[ა]ნ თქვენ[ა]ნ, ბერიკას-შვილს[ა] ბერსა და ძმას[ა] შენსა გ[ა]ბრიელსი და ბე-სიას, მუჩიასა, შვილს[ა] თქვენ[ნ]სა ბერიკ[ა]სა და გიორგისა და ნ[ა]სყიდასა და სახლისა მომავალსა თქვენისასა; — ასე რომა ქ[ა]რთლის კელმწიფემა საყე[ე]ნო-თა ისპ[ა]ნსა ლაშკარს გვეპ[ა]ტიუებოდენ და ჩენ[ა]თ ს[ი]ნ[ა]ც[ვ]ლოთ თქვენ გაგ[გ]ზ[ა]ვნე. მისათ ს[ა]ნ[ა]ც[ვ]ლოთ წყ[ა]ლობა გიყავით ხარებ[ა]ული ჩვენი სამკ-ვიდრო ჩვენგ[ა]ნ. გამოფიცული მამელი მისი სახლითა და შეს[ა]ვლითა, გასავ-ლითა [გ]ქონდეს და გიბედნიაროს ლმერთმ[ა] ჩვენსა ერთგულობაში. თუ ვინ-მე წამოვედ[ა]ოსს, ანა მე ანა ჩემი სახლის კაცი, ანა ჩემი ნ[ა]თეს[ა]ვი, ანა სხვა გ[ა]რეშე კაცი, პირისა და პ[ა]სუხის გამცემი ჩეენ ვიყ[ვ]ნეთ . . . არის ამისი მოწ[ა]მე თავათ ლმერთი, კაცთაგან არის ამისი მოწ[ა]მე ბერუას-შვილი სუხიტა, ნ[ა]რიბეგ[ა]ს-შვილი ბერი, შოშიას-შვილი გიორგი, ხახ[ა]ნას-შვილი შლრდელი საბა. მე ყანდინას-შვილს ფარსაღ[ა]ნს დამიწერია, მოწ[ა]მეც ვარ ამისი. და-იწერა ესე წიგნი გიორგობისაჲის დამდეგს, ქ[ორონი]ქ[ონ]ს ტეა. + + +
ქ. მე ყანდინ[ა]ს-შვილი როსტომა ამის დამხდური და მოწამე ვარ. +
ქ. მე გურგენის-შვილი ავთინდილ ამისი მოწამე ვარ. 2

¹ ეს ადგილი ამოგხეკილია (ერთი სიტყვა) და სხვა ხელით ჩაწერილი: საყვარელმ(ა).
² სათაური სხვა ხელით: ქ. შატბერაანთაგან ნაწყალობევი ხარებაულის წიგნია.

163. 1703 წ. ნოემბრის 5-ს(?) სითარხნის წიგნი, მიცემული ვივი თუმანიშვილის მიერ თავის ყმა ჩამინასაღმი. დედანი. დახული ჩამდენიმე ადგილას. 28,5×23,7 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი — საქ. მუზ., № 2737 ჩდ.

ქ. ნებითა და შეწევნითა ლ[გ]თისითა, ესე წყალობისა და სითარხნის წიგნი გიბოძეთ ჩვენ, მდივანმა ბატონმა გივმან, ლიპარიტ, მანუჩარ და ქარიმშა თქვენ, ბერლიკელს ყმასა ჩვენსა რამინასა, შვილსა შენსა ღვინიასა, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა; — მას უამსა ოდეს სითარხნის წყალობას დაგვეჯენთ. ასე გითარხნეთ, რომე არაფერი საჩვენო სათხოვარი და გამოსალები არა გეთხოებოდეს რა, არა ღალა, არა კულუხი, არა გეთხოებოდეს რა. ერთს დღეს მამაცობით ვენახში უნდა [გ]ვიმუშაოთ. ერთი მიწა სარწყავისა სამწყერისის პირდაპირ ისიც თქვენთვის საკუთრ[აღ] გვიბოძებია. ამ მიწას-დან შენს ძმებს კელი არა ქონდეს. გვინდეს და გიბედნიეროს ღ[მერ]თ[მა]ნ; არ-ოდეს არ მოგვშალოს არა ჩვენგან და არცა სხვას ჩვენის სახლის-კაცისაგან. ამისად გასათავებლად და თავდებად მოგვიცა თავად ღ[მერ]თი და ყოველნი მისნი წმინდანი. ვინცა და ჩამანც ჩვენის სახლის-კაცმან ეს ჩვენგან მოცემული სითარხნე და წყალობა მოვიშალოს ჯერ რისხავს ღ[მერ]თი და მერმე ყოველნი მისნი წმინდანი კორციელნი და უხორცონი, ხოლო დამიტკეცებელნი ამისნი ღ[მერთმა]ნ აკურთხოს. არის ამისი მოწამე სა[ა]კაძე ზურაბ. მე თუ-მანიშვილს ზა[ა]ლს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა ესე წიგნა გიო[რგო-ბის]თვის (ე) ქ[ორონი]ქ[ონ]ს ტექ [გიგიმდ ივან] + + +¹

164. 1703 წ. დეკემბრის 9-ს. სააღაბო წიგნი. მიცემული ვახტანგ VI-ის მიერ ივანა ყან-დუშვილისაღმი. დედანი. 23,7×21,1 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხე-ლით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტი-ლი — საქ. ც. — არქ., ფონდი 226, № 201.

ქ. . . . ესე ამიერით უკუნის ფემთა და ხანთა გასათავებელი წყალობი-სა წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ, ბატონის-შუილმა პატრონმა ვახტანგ, ძმამა ჩვენმა პატრონმა იქსემ, სუიმონ და თემურაზ თქვენ, ჩვენს ყმას გომი-ჯურელს ყანდუშვილს ივანასა, შეკლთა შენთა დათუნასა, მომავალთა სახლისა თქვენისათა; — მას უამთა, ოდეს დაგაცყ (სიც) სულურითხეულის ბატონის პიძის ჩვენის სულეიმანის შეაღაპეთ. ხორციელის შაბათს დღეს ერთს ხუცეს[ს] და ერთს მთავარსა უამს აწირვინებდეთ, ორს თოხლსა, ერთს კოკა ღუინოსა, ერ-თის კოდის ნამცხვარსა და მის სანთელ-საკერძოსა, ყოველს წელიწადს ამგვარად ჟამს აწირვინებდეთ. ამისად სამუქმოდ ასე გათარხნეთ, რომ არაფერი საჩვენო სათხოვარი არა გეთხოვებოდეს რა: არა ღალა, არა კოდისპური, არა საბალახე

¹ სათაური სხვა ხელით: გივი თუმანიშვილისაგან თავის ყმის ბერდიკელის რამინის-შვილის გათარხნებისა.

და პირისთავი, არა ნახირისთავი, ურა კულუხი და ბეგარა, არა სამასპინძლო, არა ქეშიე¹ არა მუშაობა ზურისა,² არა წურიმალი გამოსაღები და სათხოვა-რი არა გეთხოვებოდეს რა. გქონდეს და გიბელნიეროს ღ[მერ]თ[მა]ნ ჩვენსა ერდ-გულად სამსახურსა შინა. დაიწერა ბძანება და ნიშანი ეს ქ[ორონი]კ[ონ]ს ტუა კელითა კარის ჩვენისა მდივნის ზურაბასითა ქრისტიშობისთვის თ. ვახტანგ³.

ქ. ჩვენ, ბატონშა შამოქმედელმ[ა] მალაქიამ ასე გ[ა]ვათ[ა]უ[ი]სუფლეთ, როგორათაც ბ[ა]ტონს ჩემს დისწულებს უბოძებია ეს სიგელი, ისრე ჩვენ გა-გ[ვი]თ[ა]ვისუფლებია.

ქ. ესე ბატონის მამის ჩვენის ნაწყალობეუი სიგელი ჩვენ ბატონის-შვილს ბატონს ვახუშტის ასე დაგვიმტკიცებია*.

165. 1703 წ. მამულის წყალობის წიგნი, მიცემული გივი. ლიპარიტ, მანუჩარ და ქარიმშა (თუმანიშვილების) მიერ თავითო ყმების რამინა, მამულა, შერმაზან და გორგისაძმი. დედანი. 31,8X14 სმ, დაწერილი მოთეთრო ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთი-ლობის ნაშად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი — საჭ. მუზ., № 976 ad.

ქ. ესე წყალობისა წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ, მდივნამა პატრონმან გივმან, მდივნმა შიოშ, ლიპარიტ, მანუჩარ და ქარიმშამ თქვენ, ყმასა ჩვენსა ბერდიკელს რამინას, მამულას, შერმაზანს, გიორგის შვილსა შენსა ნინიას, პაპუას, შეილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა; — მოხველით და ობოლას ნაქონს მმეულს დაგვეჯენით. შეგიწყალეთ და გიბოძეთ ობოლას ნაქონი ვენახი, მიწა-წყალი, სახლ-კარი, რისაც მქონებელი ის ყოფილიყოს თქვენთვის⁴ გვიბოძებია ყოვლის კაცისაგან უცილებლად. გქონდეს და გიბედ-ნიეროს ღ-თნ. არაოფეს არ მოგვშალოს არა ჩვენვან და არცა ჩვენის სახლის კაცისაგან. ერთი მიწა სარწყავისა სამწევრისის პირდაპირ, ის მიწა რამინასა და მისის შეილებისათვის საკუთრივ მიგვიცია. ძმებს კელი არა [პ]ქონდეს. ამ მიწას გარდა სხვა ობოლას მამული ძმათ სწორათ გაიყონ. მამულია რამინას-თან არის, როსცა გაეყაროს, ობოლას მამულთან კელი არა აქვს. სანამდის ერ-თათ იყუნენ, ერთათ ჭამონ. დაიწერა ქ[ორონი]კ[ონ]ს ტუა

გივი მდ
ივანი

* არ ვიცი მალაქია წინ უნდა მოთავსდეს თუ ვახუშტი, ვგონებ მალაქია. სიგელს ვიღაცას ხელით აწერია ყალბიაო (ფანქრით). არა მგონია. ვახტანგის ხელის-მოწერაც კარგია. შემოქმედელი ბეჭედიც აზის და ვახუშტისაც.

ვახუშტის ხელისმოწერის ტექსტი მშვენ. მრავალი ხელია.

¹ უკანასკნელი ორი სიტყვა დაწერილია სტრიქონს ზევით იმავე (?) ხელით.

² უკანასკნელი სიტყვა დაწერილია სტრიქონს ზევით იმავე (?) ხელით.

³ სხეულად.

⁴ უკანასკნელი სიტყვა ტექსტში შეცთომით ზედმეტად არის განმეორებული.

⁵ ბეჭედს წარწერა აქვს ქართულად და სპარსულად.

166. 1703 წ. მამულის წყალობის წიგნი, მიცემული და მდივანბეჭი ლევანის მიერ ნასყიდა დოლ-მასაშვილისადმი. პირი XIX ს-ის დასაწყისისა. 33,4×22,5 სმ, გადაწერილი ერთ თაბაზ თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთოლობის ნიშნად ზოგგან ნახშარია თითო ან ორ-ორი წერტილი.—საქ. მუჭ., № 10.244 ჩd.

ქ. ნებითა და შეწევნითა და ღვე]თისათა ჩვენ, ერანის მდივანბეჭმან და სა-ქართველოს ჯანიშინმა პატრონმან შაჰყულიხან, პირმშომან და სასურველმან ჩვენმა პატრონმა ქაიხოსრომ, პატრონმა ვახტანგ, პატრონმა იესემ, სვიმონ, ოუ-იმურაზ ესე ამიერ ქამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და უცვალებელი წყალობის და მამულის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენს აზნაურშვილს დოლმაზაშვილს ჩვენ მეგოდრეთხუცეს ნასყიდას, როსტომას, და-ვითას, მანდენას და ავტანდილას;—მას ქამთა ოდეს მოგვიდეგრთ ჭარსა დარ-ბაზისა ჩვენისასა და ქვემო-ბოლნის ერთს კუამლს გლეხს. დაფუიაჯენით და ჩვენც ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და შეგიწყალეთ და გიბოძეთ ქვემო-ბოლნის ჩვენი სახასო გლეხი ალიხანა, მისი შვილი ყარახანა და მურადა. ეს ერთი კუამლი გლეხი თავისის სამართლიანის მამულით, დღეს რისაც მექონებე-ლი არის, თქვენთვის და შვილთა თქვენთათვის გვიბოძებია. გქონდეს და გიბელნიეროს ღმერთმან ჩვენსა ერლგულად სამსახურსა შიგან და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა შემდგომთა სხვათა მეფე მეპატრონეთაგან. აწე გიბძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო და სხვანო მოხელენო, ბძა-ნება და ფარვანა ესე თქვენც ასე დაუმტკიცეთ და ნურაოდეს ნუ მოუშლით თვინიერ თანადგომისა და შეწევნისაგან კიდე. დაიწერა ქ[ორონი]ქ[ონ]ს ტუა კე-ლითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის თუმანიშვილის ოთარისითა. შაყუ-ლიხან.¹



167. 1703—1709 წლ. ოქმი ვახტანგ VI-ისა იასაულისადმი. დედანი. 10,6×14,4 სმ; დაწერი-ლი თეთრ ქაღალდზე მხედრულ ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტრგის შემ-დევ ნახშარია ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უზის, მაგრამ ვახტანგის ბეჭედი—„მეფის ძეობით“ ვაფიქრებინება, რომ საბუთი ეუფრენის ვახტანგის ჯანიშინობის და ლევანის სიცოცხლის დროს ე. ი. 1703—1709 წ. საქ. ც.—არქ. ც.—№ 2345.

ქ. ჩვენი ბძანება არის. ატენს ჩვენი სახასო გლეხი გიორგაშვილი თავის მამულით მდივნის გივისათვის გვიბოძებია და იასაულო, კელი აუმართე და მდივანს დაანებენ.

რტოდ ვარ და- ვითის მბელ-ლო- მად ვით ის ვახ- ტანგ ვამტკიცებ მეფის ძეობით

¹ ხვეულად.

168. 1703—1712 წლ. ოქმი ვახტანგ VI-ისა. დედანი. 19,5×13,3 სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. ან-შეტი. განკვეთილი. ბის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდევ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უზის. უნდა ეკუთვნოდეს ვახტანგის გამგებლობის 1703—1712 წლებს. საქ. ც.—არქ., ფ.—№ 706.

ქ. ჩვენი ბძანება არის. მერმე თუმანიშვილი ფირან და მანუჩარ რომ გაყრილიყვნენ, ახალდაბას გოგებაშვილი თამაზას შვილები ფირანს რგებოდა და ბარათიცა ქონდა. მანუჩარ იმ გლეხს მიედევებოდა და იმ ვლეხზედ ერთის ბარათიც ლაპარაკობდა. ჩვენ ამის მოკითხული ვქვენით. მანუჩარის ბარათიც ტყუილი გამოდგა. ის გლეხი ისევ ფირანს დარჩა. როგორც ის გლეხი აქნობამდის ფირანს სჭეროდეს, ისევ ფირანს დარჩეს და არც მანუჩარს კელი აქვს. ის ბარათი ბათილი შეიქნა. ნურც იმის ბიძაშვილს ოთიას თავის სახლისკაცს ძალად გაყრიან. ვახტანგ¹.

169: 1721 წ. თუმანიშვილების საქომლოების ნუსხა, ამოწერილი 1817 წელს ვახტანგ VI-ის დავ-თორიდან; 33,5×21 სმ, დაწერილი მოლურჯო ქალალზე მხედრული ხელით; განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი და ორწერტილი. „ვახტანგის დავთარი,“ ეს 1721 წლის აღწერის ნუსხა უნდა იგულისხმებოდეს—საქ. მუზ., № 3122 ხდ.

საქართულოს მეფის ვახტანგის ნამდვილის აღწერილის დაფთრიდამ გადმოწერილი. ჩვენ თავადთ თუმანვთ რაც მოლნისის ხეობაზედ საკომლოები გვაძეს და ანუ სოფლები:

სოფელსა ბერდიქს თავადის გივი მდივნისა:	
ქ. ბერდიქს პაპალაშვილი სამანა კომლი	5
ქ. ხეჩიკა ნახევარი	0
ქ. შათირი	0
ქ. ბაქრაძე მოლაშვირე	5
ქ. დარბაზს გოდერმაშვილი კომლი	5

თავადის მანუჩარისა:

ქ. ბერდიქს ყადიშვილი ელისბარა კომლი	5
ქ. ჯავარაშვილი დათუნა კომლი	5
ქ. სიხარულაშვილი რამაზა კომლი	5

თავადის ქიშვარისა:

ქ. ბერდიქს შიხის-შვილი შარმაზანა კომლი	5
ქ. იორამაშვილი შავერდა კომლი	5
ქ. მახარაშვილი თანდილა კომლი	5
ბოგანო კაცია მოლაშვირე	
ბოგანო სამებისა მოლაშვირე	

¹ ხვეულად.

თავადის მდივნის ოთარისა:

- ქ. ბერდიქს დემეტრე ქიტუა კომლი
ბოგანო მამუკა მოლაშქრე
ნარიმანა მოლაშქრე

თავადის მდივნის ბირთველისა:

- ქ. ბერდიქს იმედა კომლი

თავადის ბეჭანიშვილის ფირმანისა:

- ქ. ბერდიქს მირიანაშვილი აბრამა მენახევრე ხოსროვა.
ამათი კოდისპური ა, ლაშქარი ბ.

თავადის იესესი:

- ქ. ბერდიქს ელიარაშვილი ხუცესი კომლი

- ქ. გარაყანაშვილი ივანე კომლი
ბოგანო ივანე მოლაშქრე

თავადის თაყაშვილის ზაალისა:

- ქ. ბერდიქს ამრუმელაშვილი სეხნია კომლი

- ქ. დარბაზს დათუნა კომლი

თავადის მამუკასი:

- ქ. ბერდიქს მირიანაშვილი ბოგანო მოლაშქრე

- ქ. სოფელსა ვანქსა ელალა კომლი

აქავ ქვემო ბოლნის თავადის თაყაშვილის ზაალისა:

- ქ. აკოფაშვილი თამაზა კომლი ა, თავი ა

- ქ. აკოფაშვილი მამაჯანა კომლი ა, თავი ა

- ქ. კახაბერიშვილი ამეკა კომლი ა, თავი ა

- ქ. მექერის-შვილი ხეჩუა კომლი ა, თავი ა

- ქ. ზალუა კომლი ა, თავი ა

აქავ ქვემო ბოლნის თავადის ბირთველ თუმანოვისა:

- ქ. დოვლათაშვილები კომლი

- ქ. აქავ თარხანაშვილები კომლი

- ქ. პოლოსაშვილი ალავერდა კომლი

- ქ. დავითაშვილი ქიტესა კომლი

- ქ. შანიბეგაშვილი პაპია კომლი¹

¹ საბუთის გადამწერის მინაწერი:

ივნისის ა-სა დღესა,

ჩყის წელსა.

170. 1703—1724 წლ. ოქმი ვახტანგ VI-ისა კილაც ფაჩუასადმი. პირი XVIII ს-ის დამლევისა. 20×16 სმ, გადაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაშმარია თითო წერტილი. თარიღი არ უზის; ეკუთვნის ვახტანგ VI-ის დროს—1703—1724 წლებს—საქ. მუზ., № 2511 hd.

ქ. ჩეენი ბძანება არის. მეტრე ზ[ა]ზ[ა]ს ბასილიშვილის მამული ფაჩუასა-თვის გვიბოძებია. სხვას კაცს ხელი არ აქვს. იასაულო, მიაბარე. მეტის ვახტანგისა.

171. 1703—1724 წლ. ოქმი ვახტანგ VI-ისა საციციანოს მებალახეთადმი. დედანი. $14,7 \times 14,4$ სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაშმარია ორ-ორი წერტილი, თარიღი არ უზის; ეკუთვნის ვახტანგ VI-ის დროს—1703—1724 წლებს—საქ. მუზ., № 799 hd..

ქ. ჩეენი ბძანება არის საციციანოს მებალახენო, მერმე ნიჩოის (სიც) სარდლის-შვილების ყმანი თარხანია და სითარხნის წიგნიც აქვს და, როგორც იმ წიგნში ეწეროს, ისრე გვითარხნებია. საპალახეს ნუ სთხოვთ. ვახტანგ¹.

მონა ლ[უ]თისა
. . . ლ . .
. . . ეს 3
ახტანგ

172. 1703—1724 წლ. სამართალი, მიცემული ვახტანგ VI-ის მიერ ნაზირი ბაინდურის-შვილებისადმი. დედანი. ადაბინებული (ალაგ-ალაგ ჭიისაგან არის შეკმული). $12,7 \times 13,7$ სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაშმარია თითო წერტილი. თარიღი არ უზის. ეკუთვნის ვახტანგ VI-ის დროს—1703—1724 წლებს—საქ. მუზ., № 5149 hd..

ქ. ამას წინათ ნაზირის ბაინდურის-შვილები გაყრილიყვნენ. მაშინ თაყას-თვინ საუფროსო სწორად აელო და მერმე ეშილთახებინათ და ერთი გლეხი ნინიკაშვილი წაერთმიათ და სამათ გაეყოთ. ახლა ჩეენთან ილაპარაკეს და თაყას არას (ე)მართლებოდენ. ნინიკაშვილს ან სახლი ჰქონდეს, ან რამთონიც დღის მიწა ჰქონდეს, ან რამთონი აღლი² იყოს, იმთონი და იმის ზომა შეუძამ თაყასკენ მისცენ. რამთონი სული კაცი იყოს, იმთონი სული ზისცენ.

ვახტანგ

¹ ხვეულად.

² აქ დაწერილია და ჩაზის გასმით წაშლილია: მიწა..

173. 1704 წ. იანვრის 27-ს. ყმების ნასყიდობის წიგნი, მიცემული იოსებ და ფარსადან რატის-შვილების მიერ იქსე და სხვა რატის-შვილებისადმი. ღედნი დაკერებული თავში (საკრებელი წარმოადგენს 1799 წ. საბუთის ნაშტს). $55,8 \times 21,5$ სმ, დაწერილი თეთრ. ქადალდჟე მხედრული ხელით. განკუთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაშმარია ორ-ორი წერტილი. თარიღად აქვს 1704 წ.—საქ. მუზ., № 5245 hd.

ქ. . . ესე მტკიცე, შეუცვალებელი, დროდაუდებელი, არას დროსა და ბატონობასა შინა მოუშელელი, უტყუარი, უფერკო და უმიზეზო, ყოვლისა ჩხუბისა ტყუვილისა და ილათის ნივთისაგან გამოსულ, საშვილიეროდ გამოსადეგი და საბოლოოდ გასათავებელი ფიცი, პირი და ნასყიდობისა წიგნი მოგართვით ჩენ, რატის-შვილმან იოსებ, ძმამან ჩემმან ფარსადან, შვილმან თამაზ თქვენ, ჩენს ბიძასშვილს რატის-შვერლს იქსეს, ბეჭანს და ზურაბს, შვილთა და მომავალთა თქუნენთა ყოველთავე; — ასე და ამას პირსა ზედან, რომე მოგყიდეთ ჩენის ბარათში ნარგები მკვიდრი ყმა ყანჩაეთს გაგაძე გამიხარდი, ციხელი გოჩა-შვილი თავის ცოლითა, შვილითა, სახლეარითა და მომავალითა, წყლითა, მიწითა, საკანავ-სათესითა, ტყითა, ველითა, შინდრითა, საწისქვილოთა, ვენაკითა, სათიბითა, საძოვრითა, მთითა საშეშოთა, საცილებელ-უცილებლითა, გასავალ - გამოსავლითა და, რისიცა მქონებელი იყოს, მისის ყოვლითავე სარჩოთი მოგვიყიდნია. გქონდესთ და გიბედნიეროს ლთმან ვითაც სხვათ ალალთა მონასყიდეს ფერობდეს. ფასიცა სრული, აგვილია, რითაც ჩენი გული შეგჯერდებოდათ, რომე ერთის იოტის ფასი არა დარჩომილა-რა, ისე გარდა-გვიწყვეტია და გავრიგებულვართ. არის ამისი მოწამე სუფრაჩი დავით [], ბოქაულთუხუცესი საგინაშვილი დურმიშხან [], ბოქაულთუხუცესი თურქისტანიშვილი თურქისტან, მუხრანის ბატონის ბოქაულთუხუცესი ზედგინისძე ზედგინ +, ბურდიაშვილი სულხან, ზედგინისძე შანშე []. მე ბეჟანს მდივანს და მიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა იანვრის კზ, ქ[ორონი]ქ[ონ]სა ტებ. + + +

174. 1704 წ. აპრილის 18. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული მაუჩარ ციცის შვილის მიერ გივი თუმანიშვილისადმი. დაზანგბული (თავში). $25,2 \times 12,7$ სმ, დაწერილი მოყვითალო ქალალდჟე მხედრული ხელით. ასო—მეტ-ნაგლები. განკუთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაშმარია თოთო წერტილი—საქ. მუზ., № 79 sd.

ქ. ესე წიგნი მოგეცით ჩენ, ქვემო ციცის-შვილმან მ[ა]ნუჩარ და ძმამ[ა]ნ ჩემმან ყიამა თქვენ, თუმ[ა]ნიშვილს გივს¹ მდივანსა; — ასე და ამა პირსა ზედა: ჩენენ და მრავალს გ[ა]ისარჯენით და მრავალი სიკეთეც ჰქენით. ახლა ამისდა ნუქ-ფათ მოგეცით ჩენი ყმა დალელი ხურო ოსია წატურჩას-შვილი თავისის ცოლ-შვილითა. ცოტა რამ კიდეც ფასი გამოგართვით . . . თუ ვანმე შემოგეცი-

¹ უკანასკნელი სიტყვა ტექსტში სწერია: „გივას“.

ლოს, პირისა და პასუხის გამცემი ჩვენ ვიყოთ. არის ამისი მოწამე ყაფიჩი ედი-შერაშვილი პაპუნა,¹ ზურაბა ს[ა]კაქაძე,² გორელი ფარემუზ[ა]ს-შვილი ზურაბა,³ მე გორელის გორგიჯ[ა]ნ[ა]ნთ მირიჯ[ა]ნ[ა]შვილს ავთ[ა]ნდილს დამიწერია და⁴ მოწამეცვარ: ქ[ორონი]კ[ონ]ს ტუბ, პპრილის თვის იც გასულს.



ქ . არის ამისი მოწამე ბარათაშვილი ორბელი.



175. 1704 წ. აპრილის 28-ს. ი თარხის წიგნი, მიცემული შაპყულიჩანის მიერ ერთობლივ ხა-ტის თელეფელებისადმი. ფედანი დასიანებული გვერდებზე. $37,2 \times 21,6$ სმ, დაწერი-ლი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით; განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი; თარიღიად აქვს 1704 წ.—საქ. მუხ. № 1045 Ad.

ქ . . . ჩვენ, ერანის მდივანბეგმა და საქართველოს ჯანიშინმან პატრონ-მან შაპყულიჩან და ძემან ჩვენმან პატრონმან ქაიხოსრომ, პატრონმან ვახტანგ, იასემ, სვიმონ და თაიმურაზ ესე უამთა და ხანთა გასათავებელი სითარხნის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ერთობილთ ხატის-თელე-თელთა;—მას ესმა ოდეს სითარხნის წყალობას გვიაჯენით მოკითხული ვქე-ნით და ძეველითგანაც თარხანი ყოფილიყვენით და ჩვენც შეგიწყალეთ და ასრე გათარხნეთ, რომე არაფერი საჩერენ-სათხოვარი და გამოსაღები არ გეოხო-ებოდეს, არა კოდის-პური, არა საბალახე, არა პირისთავი და სამეჯინიბო, არა ნახირისთავი, არც ღორის საბალახე, არა ხენა და მუშაობა თვინიერ ერ-თის სათათროს საურისა და ლაშქარ-ნადირობის მეტი არა გეითხოებოდესთ რა. არაოდეს არ მოეგშალოსთ არა ჩვენგან და არა სხვათა ჩვენთა ნათესავთა შე-პატრონეთაგან. აწე გიბძანებთ ქარისა ჩვენის ვექილ-ვეზირნო, ბძანება ჩვენი ასრე დაუმტკიცეთ. დაიწერა ბძანება ესე ქ[ორონი]კ[ონ]სა ტუბ, პპრილას კლ, აკლითა კარისა ჩვენის მდივან-მწიგნობრის თუმანიშვილის გივისითა⁵. შაპყუ-ლიჩან | | |⁶.

176. 1704 წ. ავგვისტოს 2-ს. ყმების წყალობის წიგნი, მიცემული ანდუქაუარ ამილახორისა და შის სახლის კაფა მიერ გარსევან ქარუშიმისადმი. დედანი. $30,2 \times 21,2$ სმ დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთ ლობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმა-რია ორ-ორი წერტილი. თარიღიად აქვს 1704 წ.—საქ. მუხ. № 913 Ad.

ქ . . . ესე ამიერითგან და ვიღრე უკუნისამდე უამთა და ხანთა სამკედ-რობ და საბოლოობ გასათავებელი წყალობის წიგნი გიბოძეთ ჩვენ, ამილახორ-მან პატრონმან ანდუქაუარ და ბიძაშვილთა ჩვენთა პატრონმან ავთანდილ და

¹ აქ ბეჭდის ადგილი ცარიელია დატოვებული.

² აქ ბეჭდის ადგილი ცარიელია დატოვებული.

³ აქ ბეჭდის ადგილი ცარიელია დატოვებული.

⁴ აქ ბეჭდის ადგილი ცარიელია დატოვებული.

⁵ ხელულად.

⁶ სათაური სხვა ხელით: ქ . თელეფეთის სითარხნისა.

ეშიკალათბაშმან პატრონმან რევაზ და ბოქაულთუხუცესმან პატრონმან ბეჟან და ყორჩიბაშმან პატრონმან ბარძიმ, პატრონმან თაყამ და ფარემუზ და მმამან ჩვენმან პატრონმან ქრისტეფორე და ვახტანგ და ძემან ჩვენმან პატრონმან ვიუმან და იოთამ და სახლისა მომავალთა ჩვენთა ყოველთავე თქვენ, ჩვენთა ერთგულთა და წესისაებრ შრავალგვარად თავდადებით ნამსახურს ყმას გორის ნაცვალს ქარუმიძეს გარსევანს და შეილსა შენსა ბააღურს, ალათანგის¹ და შალვას და სახლისა თქვენისა მომავალთა ყოველთავე; — მას ეამსა, ოდეს კურთხეულს პატრონს მამა ჩემს ჩვენის ორგულის გოჩიაშვილებისა თორტიზას გლეხები და საკუამლო ებოძებინა და მასუკან უამთა ვითარებისაგან ჩვენ რომ იმერეთს გარდავსცვივდით და ის მამის ჩვენისაგან ნაწყალობევი მამული შენთვის ისრევ გამოერთმევინა. მასუკან, ჩოდეს ჩვენ ისრევ ჩვენს სამკვიდროს მამულზედ მოვედით, თქვენ მოგუიდეგით კარსა და იმავე ჩვენგან ნაწყალობევს გოჩიაშვილის გლეხებს დაგვეაჯენით. ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ თორტიზას თქვენი ნაქონი შიუკაშვილი პაპუნა და მისი ძმის-წული მასურა და შიუკა, კიდევე ბოგონ ნალირაშვილი გიორგი და კიდევ თუშიაშვილის ბერის ნაქონი მამული. ეს ოთხი კომლი გლეხი და საბოგანოო, ჩისაც ფერის მამულის მქონებელი ყოფილიყუნენ, მათის სახლკარითა მამულითა, სასაფლაოთა, ველითა, ვენაკითა, წყლითა, საკუნავითა, მთითა, ბარითა, საძებრითა და უძებრითა, გზითა, შესავლითა და გასავლითა და ყოვლითავე სამართლიანითა სამზღვრითა და საქმითა თქვენთვის და შეილთა თქვენთათვის გვიბოძებია. გქონდეს და გიბედნიეროს ლ[მერ]ი[მა]ნ ჩვენსა ერთგულობასა და სამსახურსა შინა. არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა შეძლებომთა ჩვენთა სხვათა მებატრონეთაგან. დაიწერა წიგნი ესე თვესა აგვისტოსა ბ კელითა კარისა ჩვენისა მდიგან-მწიგნობარისა ჯავახაშვილის პაპუნასითა ქ[ორონ]იკ[ონ]სა ტებ. |

177. 1705 წ. აზლ. ყმებრ ს წყალობის წიგნი, მიცემული გიორგი არაგვის ერისთავის მიერ სენია კობიაშვილ ისაღმი. დედანი. დაკერებული. 28.6X19.8 სმ, დაწერილი თეთრ ქალღებ მხედრულ ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარილი არ უზის. ამავე ჩიორგი ერისთავისა და ზოგიერთი სხვების მიერ მიცემული ასეთივე წყალობის წიგნი იმავე ოთარისა, ქიუქადისა და სხვებისადმი 1705 წელს (საქ. სიძ., II, № 401—448), საქ. მუზ., № 1813 ჩ.д.

ტონმა დავით, ბიძაშვილმა ჩვენმა სახლთუხუცესშა ზურაბ, ოეიმურაზ, ვამიყ, ავთანდილ, ხარჭაშნელმა გრიგოლ, ტფილელმა ონოფრემ, ედიშერ, შეილმა ჩვენმან ოთარმა და რევაზ ესე ამიერ უკუნისამდე უამთა და ხანთა გასათავებელი, სამკვიდრო და საბოლოდ გასათავებელი წყალობის წიგნი გი-

¹ უკანასკნელი სიტყვის მესამე მარცვალი „თა“ შეცოდით. ზედმეტად პრის განმეორებული ტექ.ტში.

ბოძეთ თქვენ, ჩვენს ერთგულთა და თავდაღებით ნამსახურთ ყმათ კობიაშვილს სახლთუხუცეს სეხნის, ძმისწულსა შენსა ოთარს, მოლარეთხუცეს ქაიყუბათს, შვილთა თქვენსა როსებს და ზაქლს, მომავალთა სახლისა თქვენისა ყოველ-თავე;—მას უამსა ოდეს წყალობას გვიაჯენით, ვისმინეთ აჯა თქვენი და გიბო-ძეთ გლეხები: მამისიაშვილი გიორგი და პაპუნა, ქადისგული მგელია და ხარ-დია მისის სამართლიანის მამულით. გქონდეს ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შინა. არა მოგეშალოს არა ჩვენგან და არა შემდგომად ჩვენსა სხვათა მეპატ-რონეთა ნათესავთა ჩვენთაგან

მონალ ისა ერის თავიგიგი	დათუნა	მონალისა სახლთუცე- სიზურაბ	⋮⋮⋮⋮⋮
-------------------------------	--------	----------------------------------	-------

ქ. კიდევე გვიბოძებია ჭოხურის- (?). შვილი მგელია და სამხარაული (?). [გ] ქონდეს, გიბეღნიაროს ლერერთმან ჩვენსა ერთგულობას და სამსახურსა შინა.—მამიდა ჩემს უკან.

მონალ ისა ერის თავი გრგი

178. 1705—1728 წლ. საჩუქრის წიგნი მიცემული [არაგვის] ერისთვის-შვილის ავთანდილის მიერ ელისბარ დავითიშვილისადმი. დედანი. 30,8×12,7 სმ, დაწერილი მოყვითალო ქალალდე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახ-მარია ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უჩის: მისი მიმცემი ერისთვის-შვილი ავთანდილი გვხვდება საბუთში 1705 წელს (საქ. სიძ., II, № 401—448), მიმღები ელისბარ დავითი-შვილი—1712, 1724—1728 წლებში (იქვე, №№ 404—452 და 407—454).—საქ. მუზ., № 2543 hd.

ქ. ესე წიგნი მოხეცით ჩვენ, ერისთვის-შვილმან ბაზიერთხუცესშია ბატონშა ავთანდილ³ თქუენ, დავითიშვილს ბატონს ელისბარს;—ასე რომე ურიები მომი-ვიდნენ. არაგვის პირს მესახლნენ. თქუენ მობძანდით აქ თქუენი დის სანახა-ვადა და თქუენ იმ ურიებს დაგვენუქვენით. ჩვენც მოკითხული ვქენით. ვალიც ემართა და შვილიც იმერეთს დაგირავებული ყუანდა და ჩვენ არა თავს შევი-დეთ და ის შვილიც თქუენ დაუხსენით, ვალიც თქუენ ვარდაუკადეთ და შიმ-შილობა იყო და ძველობითაც თქუენ გამოკუნდეთ. ჩვენც სხვა საჩუქრის მაგია-

¹ სათური სხვა ხელით; ქ. ბაზუტის-შვილისა. . .

² ხევნებული პირი არის არაგვის ერისთვის-შვილი (იხ. საქ. სიძველ. II, № 401).

რად თქვენ გაჩუქეთ ერთი კუაბლი ნაცვალაშვილი მოძლვარა, შაბათა და მეორე კუაბლი ქონიაშვილი ბერი მათის შვილებითა. ასე მოგვირთმევია, რომ არას კაცს ამათთან კელი არა ქონდეს არც ჩვენს სახლის კაცსა, არც სხვას ვისმე. თუ ვინმე გეცილოს, პასუხი ჩვენ გავსცეთ. არის ამისი მოწამე მდივანბეგი პაატა, ეჭიშერ და ვამეყუ¹.

ავთანდილ ჩემა სიძემ რომური იების წი

179. 1706 წ. ყმისა და მამულის წყალობის წიგნი, მიცემული ვახტანგ VI-ის მიერ ოთარ ბარათაშვილისადმი. დედანი. 39,5×24,3 სმ. დაწერილი ეტრატზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. ც.—არქ., ფ. 226, № 5721.

ქ. ნებითა და შეწენითა ღმრთისათა ჩვენ, ქართველთა მეფისა, ერანის სპასალარისა, ყანდა[ა]რისა და ქირმანის ბეგლარბეგისა, გირისკისა და ცაირათის მჭირავისა, ბიძის ჩვენის მეფეთ-მეფის გიორგის მაგიერად მყოფმან, საქართველოს ჯანიშინმან ბატონიშვილმან პატრონმან ვახტანგ და თანამეცხედრებან ჩემან ბატონმან რუსუდან ესე წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა ერდგულთა და წესისაებრ თავდალებით მრავალ ნამსახურთა ყმათა ბარათაშვილს იოთამიშვილებს ოთარს, ძმასა შენსა ორბელს, წეილთა თქვენთა გივს, ზაზას, ერასტის, ზარ]ლს და ოთამს;—მას უამსა ოდეს მოგვიდექით კარსა წყალობისასა და მამულის წყალობას დაგვიაჯენით და ოთარ ყანდაარს პატრონს ბიძა ჩვენს მეფეს გიორგის ყანდარს ახლდა და იქ იმას წყალობა ექნა. ჩვენცა შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენის ბიძაშვილის ლუარსაბის წილი მამული რატევანს ზვარი, წრაულს ყანდიაშვილი მარქარა და ბადუა, აღუაშვილი ივანა, თავის ძმის-წულებითა, მამაგულაშვილი თამაზა, ნასყიდა და სეხნია, ესენი დღეს რისაც მამულის მქონებელი იყუნენ მათის მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა. სასახლითა, კურ-მარნითა, სასაფლაოთა და ყოვლის მათის სამართლიანის მამულითა საძებრითა და უძებრითა თქვენთვის და თქვენთა შეილთათვის გვიბოძებია. გქონდეს და გიბედნიეროს ლმერითმეან ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შიგან და ეს ჩვენგან მტკიცე წყალობა არაოდეს არ მოგვშალოს არა ჩვენგან და არა შემდგომთა სხვათა ჩვენთა ჩამომავალთა მეფეთა და მეპატრონეთაგან. აწე გიბძანებ კარისა ჩვენისა უეზირ-ვექილნო და ყოველნო წარულენილნო მოხელენო, ბძანება და ნიშანი ჩვენი თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ, ვითაც აშ ჩვენსა ნაბოძებს ფარვანსა შიგან

¹ უკანასკნელი ორი პირი—ედიშერ და ვამეყუ—უნდა იყვნენ საბუთის მიმცემ ავთანდილ ფრისონის-შვილის ბიძაშვილები.

სწერია. ქ[ორონი]კ[ონ]ს ტუდ დაიწერა ბძანება და ნიშანი ესე ჩვენი კელითა კარისა ჩვენისა მდივნის შანშიან-მარტი-როზიშვილის ავთანდილისითა.

რტოდ ვარ და ვითის მგელ ლომად ვით ისც ახტანგ ვამტ კიცებ მეფის ძეობით
--

ტუა + რუსუდან

180. 1706 წ. ყმისა და მამულის წყალობის წიგნი, მიცემული შანავაზ მეფის მიერ პლა-ვერდი არეში-შვილისადმი. დედანი. 40,4×25 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მშედ-რული ხელით. ასონაკლები. განკვეთილობის ნიშანდ ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. ც.—არქ., ფონდი 226, № 96.

ქ . . . ჩვენ, მღვთივ აღმ[ა]ტებულ[ა]ნ, მღვთივ დამყარებულმან და მღვთივ ცხებით გვირგვინონსანმა იესიან-დავითიან-სოლომონიან - პ[ა]კრატო-ნიანმამ მეფეთ-მეფემ[ა]ნ სრულიად ერანის სპასალარმა, ყანდა[ა]რისა და ქირ-მანისა ბეგლარბეგმან, გირიშეისა აიჰლ[ა]თისა მჭირ[ა]ემა, ღილისა და უეშთა აღმატებულისა მეფისა ვახტ[ა]ნგ ყოფილისა შპან[ა]ვაზისა ძემ[ა]ნ გიორგი ყო-ფილმან პატრიონმა შპან[ა]ვაზ ესე უაშთა და ხანთა გასათავებელი წიგნი და სი-გელი დაგიწერტეს და გიბოძეთ თქვენ, ჩვენისა ერდგულსა და თავგარდალებ ნამსახურს ყმასა აზნეურის-შვილს არეში-შვილს ალ[ა]ვერდის და ძმასა შენსა სალმახანასა, სხვათა შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა; — ასრე და ამა პირსა ზედა, მას უამსა, ჩვენ რომე ყანდა[ა]რსა და ქირმანს ვიყვენით, შენ გაუყ-რელად თან გვახლდი და, რ[ა]ც ძალგედვათ, ერთგულად გვ[მ]სახურეთ და ჩვენს სამს[ა]ზურზედ მრ[ა]ვალსაც გაისარჯე და მამულის წყალობას დაგვეაჯენით და ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და შეგიწყვალეთ და გიბოძეთ იქვე ვარხუნას ამოვარდნილის შენის განაყოფის ლუარსაბას მურადას-შვილის¹
ერთი საკვამლო ნურალაშვილი თავისის მამულითა, მიწა-წყლითა, მთითა, ბა-რითა, სახნავითა, უხნავითა, სახლ-კარითა, ჭურ-მარანითა, წისქვილითა, ტყითა, ველითა, შესავლითა და გამოსავლითა, რის[ა]ც მქონებელი იყოს, ყოვლის ფე-რის მისის სამართლიანის საქმით შენთვის გვიბოძებია. გქონდეს და გიბელნიე-როს ლ[მ]ერქ[თ]მა[ნ] ჩვენსა ერთგულობასა და სამსახურსა შინა. გიბბანებთ კარისა ჩვენისა და წარვლენილნო² ვექილ-ვეზირნო და მდივანო და სხვანო მოსაქმენო ჩვენნო, ბძანება და ნიშანი ჩვენი თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ, რარიგათაც ამა ჩვენსა ნაბოძებსა ფარვანსა შინა ეწეროს. თვინიერ თანამდკომისა და შეწევნი-საგან კიდევ ნურავინ შეეცილებით და დაიწერა ქორონი³ ქონის ტუდ, ინდი-გტიონსა მეფობისა ჩვენისა ია კელითა კარისა ჩვენისათა მდივან-მწიგნობრის კვინიხიძის გიორგისათა. შაპნავაზ.⁴

ქ. ვამტკიცებ ჩვენ ბაზონის-შვილი ისე.

¹ ხევულად.

² აქ ერთი სიტყვის ადგილი ამომწვარია.

³ სწერია: წარველნილნო.

⁴ ხევულად.

⁵ მინაწერი სხვა ხელით: ნურალას-შვილის წიგნი არის.

181. 1706—1733 წლ. სამართალი ტარიელ გლურჯიძისა და სხვათა გიორგი შიოშან შეიღლისა და სვიმონ ჯავახიშვილის საქმეზე. საბუთი შეძენილია მ. დ. ჯავახიშვილისგან. დედანი. დიზიანებული. $22,3 \times 14,3$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარილი არ უზის. გიორგი შიოშან-შვილი გვხვდება საბუთში 1720 წელს, სვიმონ ჯავახიშვილი—1712, 1723 და 1733 წლებში (საქ. სიძ., II, №№ 203—245, 265—316, 327—370; ტარიელ გლურჯიძე—1746 წელს; მანუჩარ გლურჯიძე—1746 წელს.—საქ. მუხ. № 10.405 ჩd.

ქ. ავკელი შიოშაშვილი გიორგი ჯავახიშვილს სვიმონს მამის სიკვდილს უჩიოდა: „ვენააში მოხველ და გალაკე და გალაკულობით მოკვდაო“; დავსხე-დით ჩვენ, გლურჯიძე ტარიელ და მანუჩარ და ვალაპარაკეთ. სვიმონ აშორო უთხრა: რაც უბრალოდ არ მედავები, მამაშენი ჩემის გალაკულობით არ მომ-კვდარაო. ჩვენ ამისი ასე გაუჩინეთ: სვიმონ ხომ ერთის გლეხის კაცის სიკვდი-ლზედ ვერ დაიფრცევდა და არც მართებული იყო. თუ წალაქენოს სვიმონ თა-ვისი სახლთხუცესი აბულვარდიშვილი ზა[ა]ლ და ოთხი თავისი მსახური მოწ-მად მოიყოლის და ასე შეფიცოს, რომ იმისის გალ[ა]ქულობით არ მომკვდა-რიყოს რაც უბრალოდ არ მედავების. თუ ასე იფიცოს, შიოშაშვილი ნულარას მოედაების და თუ ვერ იფიცოს, დადებულიც ეს არის: სამოცის ძროხისა გაგ-ვიჩენია, ოცი გვიპატივებია და ორმოცის ძროხისა სვიმონ შიოშაშვილს გარ-დაუკაროს. სხვას ნულარას მიედავების. ჩვენ ორთავ ასრე გაგვირიგებია. +



182. 1707 წ. იანვრის 25-ს. სამართალი ვანტანგ VI-ისა პაპუა გერმანოსის-შვილის ბუშის ბეჟუას საქმეზე. დედანი. $31 \times 17,3$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. მუხ., № 2085 ჩd.

ქ. გერმანოზის-შვილი პაპუა უშეილოდ გარდიცვალა, შეილი არ დარჩა. ერთი ბუში დარჩა. დასტურ საქ[ა]რთველოში ბუშს საწილოდ მამულში ჰელი არა აქვ[ს], მაგრამ პაპუა თავის მამულსზედა სახლში ჭირნახული და დიდად გარ-ჯილი კაცი იყო. ამისათვის პაპუას ბუშს ბეჟუას ეს წილი დაუდევით: მცოფ-რეთს ზუბიტაშვილი გოგია კვამლი ერთი, ქ. ზაქარაშვილი აბისონა კვამლი ერთი, ქ. იქივ ირემაშვილი ხუცის საკვამლო ერთი, ქ. იქივ ასლამაზაშვილის საკვამლო ვრთი. ეს გლეხნი და საკვამლო, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყვნენ, პაპუას ბუშს ბეჟუას უბოძეთ და იესემ დაანებონ და სხვას

¹ სათაური სხვა ხელით: სვიმონ ჯავახის-შვილს უჩიოდა გლეხკაცი.

ამის მეტს მამულთან კელი არა აქვს საწილოდ. ისრევ ბიძებთან და ბიძაშვილებთან დადგეს, სხვასთან ნურავისთან წავა და, როდესაც გუგუნა და ისე გაიყარნენ, საწილოდ და გასაყოფად კელი არა აქვთ და, რომელთანაც ბიძასთან და ბიძაშვილებთან უნდოდეს, იმასთან მივიდეს და დადგეს, სხვასთან-კი ნურავისთან წავა და ნურავის ეყმობა. თუნდა გუგუნასთან იყოს, თუნდა იესესთან ამ სარჩოთა. ქორონიკონის ტუე, იანვრის კე.

რტოდვარდ ვითის მგელ ლომად ვით ისვ ახტად ვამტ კიცებ მეფისძეობით	რუსუდან?	მონალ-აქმა გიორგისა დივანბეგ იერასტი
--	----------	---	-------------------------------------

ქ. ჩვენ, იესე და ჩემი ძმისწული დათუნა ასრე შეერიგდით ამ ბეჭუასა, რომე ზაქარაშვილი აბისონა თავის ნდომით დაგვანება ბეჭუამა და ამის სანაცვლოთ ჩვენ პაპანაშვილის გუტას და ებალას მამული დავანებეთ. ასრე გავერიგდით.

⋮ ⋮ ⋮	ქ. მონალთისა უგუნა
-------	-----------------------

183. 1707 წ. აპრილის 20-ს. პირობის წიგნი, მიცემული ბერი გელდიაშვილის მიერ არ-დაშელ ზუბულიდისადმ. დედანი დაზანებული (მარჯვენა ნაპირი დამპალია და უმეტეს ნაწილად მოცილებული). $41,5 \times 24,2$ სმ, დაწერილი თეთრ ქალადზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი, ორ-ორი ან თითო წერტილი—საქ. ც.—არქ. ც. ფონდი 226, № 5337.

ქ... ესე ამიერითგან უკუნისამდე უამთა გასათავებელი, მტკიცე და უცვა-ლებელი წიგნი ჰოგართვი მე, გელდიაშვილმა ბერმა და შვილმა ჩემმა დათუნამ, შვილთა და მომავალთა სახლისა ჩემისათა ყოველთავე თქვენ, სეეტიცხო-ლის დეკანოზს ზუბულიძეს არდაშელს, შვილთა თქვენთა ზაქალს და ზურაბს და ყოველთავე მომავალთა სახლისა თქვენისათა;—ასე რომე მე თქვენი განა-ყოფის ყმა ვიყავ და მოხისს ვესახლე, მომელელი და პატრონი მართებული აღარ მყვანდა და სხვანი ხელს მდებდენ. მე თავი არ დაუდე, ავიყარე და რუის ჩამოველ. კლიმიაშვილს იასეს მეზვრეთ დაუდეგ. თქვენ შაგერუოთ და მეფე ვახტანგის და ბატონს ქათალიკოზის ღომენტის იასული გამოვეგზავნა ასაყრე-ლად. მოველ და შამოვეგვეწე: „ნუ ამყრი მეთქი“, კლიმიაშვილი იასე თავდე-ბათ მოვეც: რომელიც ბატონყმობის რიგი იყოს, ისე გემსახურო აქედამა მეთ-ქი. თქვენც დაგვჯერდით ამ პირობას. დღეს დღეის იქით ბატონყმურათ გემ-სახურო. არიან ამისნი მოწამენი და დამხდურნი სარდალი გედეონის-შვილი გი-ორგი, სალთხუცესი ამილბარ, მგალობელი იორამ, ქარსიძე დავით, თავდები—

მოწავე და გამრიგე კლიმიაშვილი იასე. მე განდელაკს დამწერია გერასიმეს და მოწამეც ვარ ამისი. აპრილის კ, ქორონი]ქონის ტუე.

ჩვენ, საქართველოს ქ[ათოლიკო]ზ-პატრიარქი დომენტი ვამტკიც[ე]ბ ყმი-საგან მიცემულსა დეკანოზისა წიგნსა ამას. ქ[ათოლიკო]ზ პატრიარქი დომენტი 1.

[ქ. ჩვენ] საქართველოს ქ[ათოლიკო]ზ-პატრიარქი [ბა]ტონი ბესარიონ ვამტკიცებ წიგნსა [ამას] კზი ბესარიონ. ²

184. 1707 წ. მაისის 15-ს. ყმოის წიგნი, შიცემული დათუნა ქადის-გულის მიერ ქაი-ხოსრო გამდლის-შვილისადმი. საბუთი მცხეთის ეკლესიისა, № 450. დედან დაზიანებული: დახეული თავში. 39×17,8 სმ, დაწერილი ოეთზე ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო, ორ-ორი ან სამ-სამი წერტილი—საქ. ც.—არქ., ფონდი—, № 1294.

[ქ]. ესე წიგნი მოგართვი მე, ქადის-გულმა და ჩემ[მ]ა შვილმა ბასილამა თქვენ, გამდლის-შვილს ქაიხოსროს და თქვენს ძმისწულებს იორამსა და დემეტრეს;—ასე რომე ქურდობა შემაჩნდა და ხევისთავებმა დამიჭირეს და სხვა სახსარი ვერა ვიშოვნე და ცოლშვილით მყიდვენ. მანავს ჩამიცვანეს მოურავის სახლითუხუცეს მავაჭრებდენ და აღექ და შენ დამიხსენ და ჩემი საზღაურიც შენ გაიღე და შვილი კარი და ერთი მილანთუნი თეთრი და ახლა მე შენთვის ყმობის წიგნი მომიცია და კიდეც ყმათ დაგისახლდე და ერდგულად და ერთ-სულად გმისახურო, არც წაგივიდე სადმე. თუ, ვინ იცის, ან ჩემის ნებით და ან ჩემს უნებურად იმყაროს ვიჩე, თქვენის საქონლის მომცემი ვიყო, სადაც წავიდე. იმისდა გასათავებელად ომიცემია თავად ლმერითი . . . და კაცთა-გან არიან მოწამენი ხევისთავები და მომსყიდველიც არიან ქაიხოსრო მაყა-შვილი, გურგენ მდივნის-შვილი, ზურაბ ჯადიერის-შვილი, ჩერქეზის-შვილი ჯანასლან და მე, იაკობ მგალობელს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაი-წერა ესე წიგნი მაისის თხუთმეტს, ქორონი]ქონის ტუე.³

185. 1707 წ. აგვისტოს 10-ს. ბიქის ნასყიდობის წიგნი, მიცემულ დავით ფალავანდის-შვი-ლის მიერ იქნა (?) გარსუაშვილ ზურაბასადმი. საბუთი მცხეთის ეკლესიისა, № 456, რძა. დედანი. 23,3×16,3 სმ, დაწერილი ოეთზე ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვე-თილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი—საქ. ც.—არქ., ფ.—, № 2933.

ქ... ესე წიგნი მოგეც მე, ფალ[ა]ვადის ფეშაგის შუილმან დავით თქუენ, იქნა გარსუაშვილს ზურაბას;—ასრე რომე მოგყიდე ჩერენი იმერელი ბიჭი გო-

¹ ხვეულად.

² ხვეულად.

³ სათაური სხვა ხელით: ქადის-გულას დათუნასგან მიცემული წიგნი გამდლის-შვილის ქაიხოსროსი.

ჩია, ავილეთ ფასი სრული თქუენგან, რითაც ჩუენი გული შეჯერდებოდა. არა დარჩა რა ჩუენი თქუენს ხელთა არცა ერთისა ფულისა. გქონელეს და გიბედნიეროს ღმერთმან, როგორადაც ბევრს ალალს ნასყიდს მართებდეს. არვინ იყოს თქუენი მცილე და, თუ ვინმე მცილე გამოჩენელეს, პირისა და პასუხის გამცემი მე ვიყო. არის ამისი მოწამე და შუალამხლური თავად ღმერთი და მისნი წმიდანი, კაცთაგან ბაზაზი ოვარენზა, ჩხუტელთ სოლალა, ჩვენი სახლისხუცესი ნასყიდა. თუ ვინმე ამ საქართველოში, შემოგეცილოსი, პასუხის გამცემი ვიყო და იმერეთის ნუ წარიყვან. მე იმრეიმას დამირჩერია და მოწამეცა ვარ. დაიწურა ესე მარი[ა]მობის ათს, გასულს ქორონიქონეს ტუ (?) + + ¹.

186. 1708.წ. მარტის 22-ს. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ქაიხოსრო ბარათას-შვილის მიერ სიონის ეკლესიისადმი. საბუთი სიონის ეკლესიისა № 85. დედანი დახიანებული (დახეული) თავში. 106,32×3,7 სმ, დაწერილი თეთრი ქალალდის სამ ერთ-მანეთზე გადაწებებულ კეფზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო; ორ-ორი ან სამ-სამი წერტილი—საქ. ც.-არქ., ფონ-დი—, № 972.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღვითისათა . . . ყოვლად წმინდისა . . . ღვთის მშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისათა . . . წმინდის ღერძისა ჩვენისა მეათუამეტე მოციქულისა ქართველთა განმანათლებელისა ქალწულისა ნინოსითა . . . წმიდათა მამათ ჩვენთა საქართველოს მნათობთა: მამა იოვანე, შიო, დავით, ისე, მიქელ, თეთე, პოროს, ისილორე, ანტონი, არსენ, აბიბოს, სტეფანესით . . . ესე უმიზებო, მტკიცე და უცვალებელი, ყოვლის კაცისაგან მოუდევარი და მოუსარჩელელი მამულის ნასყიდობის პირი მოგეცით და წიგნი მოგართვით თქვენ, ჩვენ, საქართველოს მკვიდრთა მეფეთა და მთავართა დიდთა და მცირეთა დიდსა სახესავსა და მეხოთშნესა ტფილისის ქალაქს სიონთა მლეთის-მშობელსა და ეკლესი[ი]სა და დიდებულისა მონასტრისა თქვენისა საჭეომპურო-ბელსა მწყემსა კეთილსა და სარწმუნოსა სანატრელსა ტფილენ მიტრაპოლიტ-სა ლირსა უფალსა პავლეს ჩვენ, ბარათას-შვილის ზალის შვილმან ქაიხოსრომ და ძმისწულმან ჩემიმან ბევან; — ასე რომ დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენის განაყოფისაგან ბარათით გამოტანილი მკვიდრი მამული ერტისქს] საკომლო მთელი ერთი და ზედ მსახლობელი გლეხი ჯოეს-შვილი სამებისა და ძმა მისი ბერუა მათის ცოლითა და შეილითა და მომავლითა, ვენახითა, სახავითა და უკავითა, სათიბითა, მთითა და ველითა, საძებრითა და უძებრითა, შელითა და სასარითა, სახლითა, მარნითა და კალოთი და საბძლითა და ყოვლის მართებულის სამძღვრითა; მოგყიდეთ და ავილევით ფასი სრული და უნაკლულო,

¹ სათაური სხვა ხელით: პატარა ზურაბისია.

რითაც რომ ჩვენი გული შეგჯერდებოდა; აღარა დარჩა რა ჩვენზე თქვენთანა
 არცა ერთი იოტის ფასი; არავინ იყოს ამისი მოცილე და მოდავე. თუ ვინმე ამ
 ნასყიდობის მოშლა მოინდომოს, მეფემან გინდ დედოფალმან, უფლისწულმან
 ანუ კათალიკოზმან, გინდა ეფისკოპოზმან, თავადმან, დიდებულმან ანუ აზნამურ-
 მან (Տ1), გინა გლეხმან მძლავრებით ანუ უამოა ვითარებით და დროშემოგდე-
 ბით ეს ნასყიდობა გამოგწიროს, შერისხდი შენ, დიდებულო ღვთისმშობელო
 და შენგან შობილის ქრისტეს ღვთისა მოსელასა მას საშინელას მარცხენეთა მათ
 თიკანთა შერთევ და ოხერ ყავ სამქვიდრებელისა მათისაგან. ხოლო დამამტკი-
 ცებელნი ამისი კურთხეულ ყავ შენგან და ძისა შენისაგან სოფელსა ამას დი-
 დებითა და კეთილად ცხოვრებითა და სასუფეველსა მკვიდრ ყავ. არის ამისი
 მოწამე პირველად ლ[მერ]თი და კაცთაგან გოსტაშაბის-შეილი პაპუნა [],
 სუფრაჯი აბაშის-შეილი აეთანდილ [], გერმანოზის-შეილი გუგუნა [],
 ქავთარის-შეილი მანუჩარ [], აბაშის-შეილი სუფრაჯი დავათ [], სო-
 ლალას-შეილი ქაიხოსრო [], სოლალას-შეილი იესე [], გერმანოზის-
 შეილი იესე [], ქავთარის-შეილი გუგუნა [], ნამანგლელვის-შეილი როს-
 ტომ¹, ქავთარის-შეილი გიორგი [], სამის-შეილი ქაიხოსრო [], აბულ-
 ფათის-შეილი ბეენ [], კანჭას-შეილი ბარათა, ¹ როსების-შეილი ელიზბარ¹,
 იორამას-შეილი გიორგი, ¹ მისი ძმა ბაბადურ, ¹ ქაიხოსროს-შეილი დავითა [],
 საგინაშეილი ფარემუშ [], საგინას-შეილი ღურმიშხან [], საგინას-შეილი
 ბესპაზ [], ვარაზას-შეილი ლუარსაბ, ¹ თურქისტანის-შეილი თურქისტან [],
 მისი განაყოფი ბავრატ [], მისი განაყოფი პაპუა [], ქაიხოსრო უზბაში
 [], გიორგი ბაქუზა [], სოლალას-შეილი ერეკლე [], მისი განაყოფი
 ზაჟალ, ¹ გოსტაშაბის-შეილი მანგლელ ეფისკოპოზი ლირსი და სანატრელი უფალი
 ნიკოლოზ მანგლელი ნიკოლოზ²⁺, საქართველოს კელმწიფის მეიორის-შეილი ფე-
 შქაშნივის ქაიხოსროს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა წიგნი ეს მეფო-
 ბასა ლ-თისაგან ამალებულის და ყოველსა ქვეყანასა სახელგანთენილის ძლიე-
 რისა და უძლეველის, მტერთა დამამდაბლებელისა და ერთგულთა მისთა წყა-
 ლობა მოქმედენელისა, სრულიად ერანის სპასალარისა, ყანდა[ა]რისა და ქირმანის
 ბეგლარბეგისა, გირიშეისა და აიალათის მჭირავისა და სრულიად საქართველოს
 მპყრობელისა დიდის კელმწიფისა მეფის გიორგისასა და საქართველოს გამგე-
 ბელობასა, ძისა მათისა ლ-თისაგან განძლიერებულისა და კეთილ-მორწმუნის
 ბატონის-შეილის ვახტანგისასა, მრავალმცა არიან ცხოვრება და სუფევა მათი
 სოფელსა ამას და მერმესაცა მას საუკუნესა, ამინ.—თევსა მარტსა კბ, ქორონი]-
 ქონის ტუვ, ქრისტეს აქათ შეიდი ათას ორას თექვისმეტსა. [. . .]

ქაიხო-
სრო

+

¹ აქ ბეკდის დასასმელად ცალიერი ადგილია დატოვებული.

² ბევულად.

187. 1708 წ. აპრილის 3-ს. ბიჭის დახსნილობის წიგნი, მიცემული მამუკა აბულაძისა და დატუნა კოსაძის მიერ დეკ. არდაშელ ზუბულიძისადმი. პირი, გადაწერილი უსენაეს მართებლობის ბრძანებით XIX საუკ. დასაწყისს მხედრული ხელით—საქ. ც.—არქ., ფ.—, № 31/88.

ნებითა და შეწევნითა მღვთისათა . . . ესე წიგნი მოგეცით ჩვენ, აბულაძემ მამუკამ და კოსაძემ დათუნამ თქვენ, ზუბულიძეს დეკანოზს არაშელს, შეილთა შენთა ზაქალს, ზურაბს და ლანიელს, შეილთა და მომავალთა სახლისა შენისათა ყოველთავე;—ასე რომე ღიალ დიდათ გაგვიჭირდა ამ ბიჭის თაობაზედ, სხვა ილაჯი არსაით გვქონდა შენს მეტი, მოვედით და შემოგეხვეწენით. ასე რომ ეს იმერელი ბიჭი კაცია პატარა თათრებს მოვპარეთ, შაგვიტყეს და მეფე ვახტანგთან გვიჩივლეს, ჩვენც გაგვიწყრნენ და ბიჭსაც ისევ აძლევდნენ. რათგან თქვენ შამოგეხვეწენით, ჩვენზედაც ღიდათ გაისარჯე და ეს ბიჭი კაცია დაიხსენ სამოცდაშვილ მარჩილად თათრებისაგან. არას კაცს იმასთან საცილობელი არა აქვს რა. არის ამისი მოწამე ნაცვალი იასე, ელისეშვილი ელიოზ, რამაზ, ცაცნა, თვედორე. მე იორაშს დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა აპრილს გ, ქორონი] კონის ტევ¹.

188. 1708 წ. ნოემბრის „ნახევარს“. ნასყიდობის წიგნი, მიცემული დათიანთ ზალოას მიერ ყორანანთ ზაალისადმი. პირი, გადაწერილი უსენაეს მართებლობის ბრძანებით XIX საუკ. დასაწყისს მხედრული ხელით—საქ. ც.—არქ., ფ.—, № 1/78.

. . . ესე უთუო და ურუმცია, დროდაუდებელი, მიზეზშემოულებელი, ყოვლისა ილეთისაგან გამოსული, დღეისა სიკუდილამდინ ამიერთ ჟამად ხან-გამოსული, ყილულისა ადამის ნათესავის კაცისაგან უცილებელი სამკუიდრო და საბოლოო გასათავებული ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგეც ჩვენ, კუმელი დათიანთ ასატურას-შვილმან ზალოამ, შუილმან თამაზიმ და სახლის ჩემის შამავალმან ყოულმან თქუენ, ყორლანანთ როსტომას-შუილს ზა-ლაქლს და სახლის მამავილთ თქუენთ;—ასე და ამ პირს ზედან, რომ თქუენთან მოჯამავირეთ გიდექ და ამასობაში თქუენის ზითუის მხლებელთ[ა]ნ მოვტყუნდი და სამართალში ჩავცუინდით და სისხლი დამედო. ღონე და ილაჯი არსით მქონდა სისხლის მოცემისა, ღიალი დამეჭირდა. მოვედი მე ჩემის ნება-ყოფლობითა, მოგყიდე ჩემი თავითა (sic) და შუილით და გული შეგ[უი]ჯერე. სულ გაგირთავეთ. აღარა დარჩა რა სადაო-სალაპარაკო არც ერთის იოტის ფასი ბატონ-ყმობისა და სამსახურის მეტი. შენთ[ა]ნ] ხელი არავის ქონდეს. გიბედნი-

¹ მინაწერები:

ასლთან სწორ არს. თა რატივევი.
მიკვიდვე. დავით ელიოზოვი.

აროს ესე ჩემი მოსყიდული თავი, როგორც მრავალს ალალს მონასყიდეს მართებდეს, გასყიდვათ და გაზითუ[ა]დ, რ[ა]თ[ა]ქ[ც] მოს[ი]ხმ[ა]რ[ა]თ გინდოდეს. ვერევინ შემოგ[ე]სარჩლოს ჩეენი თავი თუინიერი ერთი ღრთის მეტი და, თუ ვინმე შემოვესარჩლოს და ან წამოგ[ე]დია[ო]ს ან დიდმან, ან პატარან, ან ჩეენის სახლის კ[ა]ცმ[ა]ნ და ბატონმ[ა]ნ მოდავე გამოჩნდეს, პირისა და პასუხის გამცემი ჩეენ ვიყოთ... არის ამისი მოწამე თავათ ღმერთი, მისი ყოული წმინდანი, კაცთაგან შენშიაშვილი ბეჟან [] , ავრის-შვილი ბეჟან []

ლორელი არლუთას-შვილი ფარსადანა [] , თუშმლის-შუილი ბეჟანა []

[] , ყორლანას-შვილი შერმაზან [] , ყორლანას-შუილი ბერი, შაბკულას-შუილი ალავერდა, ებიტ[ა]ს-შუილი ზურაბ, შ[ა]ლიკას-შუილი ბერთა და მე შიო[უ]ანთ ოამაზას დამიწერია; მოწამეც ვარ. დაიწერა ესე წიგნი გიორგობის წახევარს, ქ[ორონი]კონის ტუვ. + + ამისი მოწამე და გამრიგე ბატონი დივანბეგი ერასტი, თუმანიშუილი ოთარ. [] []

მღივანბეგის ბძ[ა]ნება ჩეენ, ფარაბეგ და ავთანდილა ასე დაუმტკიცეთ, რომე ჩეენი ყმა იყო და სამართალმა მისცა. ამასთან ხელი არავ[ის] აქვს ზაალის მეტს ზა[ა]ლბეგს. + +

189. 1'08—1710 წლ. სამართალი მანგლელ ეპისკოპოსის ნიკოლოზისა რუისის საყდრის გარიგების საქმეზედ. დედანი. 26×12,6-სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკუეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდგე ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უზის: იგი დაწერილია ვახტანგ ბატონიშვილის დროს XVIII ს.-ს დასაწყისს ამ დროს ნიკოლოზ მანგლელი გვეცდება საბუთებში 1708 და 1710 წლებში (ც.—არქ., ფ.—, № 972) საქ. მუზ., № 2685 lid.

ქ. ჩეენ, მანგლელ ეფისკოპოზი ნიკოლოზ რუისს მღთაების საყდრის გარიგების საქმეზედ მივეღით ნამულების გასყიდულობაზედ და მოკათხული ვქენით და ცოტა არა მამული გორელის თაყინას-შვილის ყმას ივანას ეყიდა და ჩეენ მოვიყითხეთ ბატონის-შვილის ვახტანგის ბძანებით და კელი ავმართეთ. მოვიდა დათუნა მამაცას-შვილი, ვკითხეთ და წიგნები მოიტანა, რომ ის მამული ცოცის-შვილის აზნეურშვილის კლიმიას-შვილისაგან ეყიდა, ისრე მიეყიდა.

¹ მინაწერები:

ასლიდამ თანასწორ არს ჩაწერილი. სოფეტნიკი თავი თეიმურაზ ბაგრატუან. ასლი სიგელი მივიღეთ სოლომონ ყორლანოვ, სიმონ ყორლანოვი.

რადლან თავისი ნასყიდი გაეყიდა, ჩვენ კელი არა გვქონდა და არცავის კელი აქვს ამ ივანასთან, რომ ნასყიდი მამული უყიდია და არც საყდრისა ყოფილი ყო და კული არავის აქს ამასთან. ბატონთანაც ილაპარაკეს. მანგლელი. ¹ +

190. 1709 წ. სექტემბრის 5-ს. შეწირულობის წიგნი, მიცემული როტინანთ ბეჭუას მიერ თავისი შვილიშვილის ნადირასადმი. დედანი. $30,8 \times 24,3$ სმ, მიწერილი იმავე პირის საბუთის (№ 1457-ის) მეორე ცალიერ გვერდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. ც.—არქ., ფ.— № 1427—ა.

ქ. ესე წიგნი მოგეცი მე, როტინანთ ბეჭუამა შენ, ჩემს ნასყიდს და შვილობილს ნადირასა, ასე რომ პატარა მამა შენმა შენი თავი მე მამცა, მეც შვილათ გაგზარდე და ჩემი ქალი ცოლათ შეგროვე, აზატიც გიყავ, შეგწირე ჩვენს სალოცავს ეჩმიაძინს წმინდის გრიგოლის მკლავსა სახსრად ჩემის სული-სათვის. ჩემს უკან არას ჩემს შვილსა და არც ჩემს სახლის-კაცსა შენთან კელი არა ქონდეს . . . არის ამისი მოწამე თავად ღმერთი და ყოველნ მისნი წმინ-დანი, კაცთაგან: გარსინანთ პაპა ოქატერ არუთინა +, ჩემი დისწული ახვერ-და[ა]ნთ ზურაბა. მე გორელი გოგინაშვილს ხუდადას დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. ენკენისთვეს ე, ქორონისკონეს ტუზ.

191. 1709 წ.? ორი კომლის კაცის ბოძების წიგნი, მიცემული ავთანდილ მოურავის მიერ თავის შვილ ბაადურისადმი. დედანი. $22 \times 21,3$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარილი ტექსტში სწერია ტეს, მაგრამ წაშლილია (ალბათ ბოლოში დაწე-რის მიზნით).—საქ. მუზ., № 7261 ჩ.დ.

ქ. ჩვენ, ბატონმა მოურავმა და ჩემ[მ]ა შვილმა პა[ა]ტამ და მამუკამ ესე წიგნი მოგეცით შენ, ჩემს შვილს ბა[ა]დურს;—ასე რომე ყანდა[ა]რს ბატონის სამსახურზედ გაგ[გ]ზავნეთ და შენ ორი კუამლი კაცი გ[ვ]თხოვე ჩვენი ნაშოვ-ნი, ბატონის გასამყრელო ალებული, ახალქალაქს მამასახლისის-შვილი ელიშ-ბარა და ახალშენს ოთიაშვილი ზაქარია და მისი შვილი. ახლა ჩვენ ამის უარი აღმართ მოგახსენეთ, მოგვიცემია ახალქალაქს ელიშბარა მამასახლისის-შვილი რი-საც მქონე იყოს, კიდევ ახალშენს ოთიაშვილი ზაქარია რისაც მქონე იყოს. გექონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ბატონის შენის ერთგულად სამსახურშია.

¹ ხვეულად.

ელიზბარა მათის სახლის კაცითა. ქ[ორონი]კ[ონს] ტუჩ.¹ ეს არ შოგეშალოს არცარა გლეჯა და რბევა დაუწყოთ. რაც იმათი გამოსაღები იყოს, შენს ცოლ-შეილს მივართმევდეთ ხოლმე. [] [] []²

192. 1709 წ. წყალობის წიგნი, მიცემული კათალიკოს პატრიარქის დომენტი ბატონი-შველის მიერ ისრაელ ისხაკა მანაქერაზეშვილისადმი. პირი, გადაწერილი უზენაეს მართებლობის ბრძანებით XIX საუკ. დასაწყისს—საქ. ც.—არქ., ფ.—, № 25/43.

წყალობითა ღუ[ო]ნისა მიერ კურთხეულმან და სრულიად საქართველოს მაჟურთხეველმა და მამადმთავარმა ქ[ათალიკო]ნ პატრიარქმა პატრიონმა დომენტის ბატონის-შეილმან ესე უკუნისადე უამთა გამოსაღეგი წყალობის წიგნი და სიგელი შევიწყალეთ და გიბოძეთ შენ, ისრაელს ურიას მანაქერაზეშვილს ისხაკას, ძმასა შემსა შალომასა და იოსებს და მომავალთა სახლისა თქვენისა ყოველთავე;—ასრე და ამა პირსა ზედა, რომე თქვენ იმერეთიდამ გარდმოხვედით და სვეტს-ცხოველს ეყმევით და ჩვენ სვეტის-ცხოვლის ქრისტიანის დაგასახლეთ და სვეტის-ცხოვლის ბეგარა დაგდევით: წელიწადში შეხეთას ორს ლიტრას სანთელს მისის შულოთი მოიტანდეთ ხოლო მარხვაში და რაც ბაჟი გამოვიდოდეს, იმასაც ჩვენ მებაჟეს მოსცემდეთ. ამას გარდა არა გეთხოებოდესთ რა არა სახემწიფო ბაჟი და სათხოვარი, არა [საღვდოფლო?] ბაჟი, არა სამოურჩო ბაჟი, არა საამილახორო ბაჟი, არა საბატონიშეილო ბაჟი, არა ქრისტიანის ბაჟი, არა ალს ბაჟი, არა სურამის ბაჟი, არა ახალდაბის ბაჟი არა გეთხოებოდესთ რა, არც ულაყი და ტიკი და ტომარა ერთის საჩვენოს ბაჟისა და საბოლოის მეტი. გქონდეს და გიბეღნიეროს ღმერთთმა] ჩვენსა და სვეტი-ცხოვლის სამსახურსა შინა და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა შემდგომთა სხვათა ქ[ათალიკო]ნთა და მეპატრიონეთაგან. ხოლო დამატეკიცებელნი ამისნი ღმერქთმან აქურთხოს. თვესა სეკდენბერსა იყ, ინდიჭტიონსა ქ[ათოლიკო]ზობისა ჩვენისასა დ, ქ[რისტიან]ის აქათ ქილი³. არიან ამისნი შუადამხდური და მოწამენი სალთხუცესი მაღალადე ამილბარ, ბოქოულთხუცესი ლუარსაბ, მიწობლიძე გაბრიელ, დეკანოზი ათანასე, კანდელაკი გრასმე, გედაონის-შეილი დავით და სულ მცხეთელნი მოწამენი

¹ უკანასკნელი ორი სიტყვა წაშლილია ხაზის გასმით.

² სათაური: ქ. ავთანდილისაგან მიცემული ბააღურის.

³ საბუთში ორი თარიღია ნაჩვენები—1708 და 1709 წ. წ. სწორი გვგონია უკანასკნელი: ფომენტის კათალიკოზობის მეოთხე წელი 1709 წელზედ მოდის: ის კ'ზად აირჩიეს 1705 წელს.

ამისნი. ქორონი] ქონისა ტეზ, დაწერა წიგნი ესე კარისა ჩვენისა მდიდარ-მწიგნობრის მაღალაძის სოლომონის კელითა. კათალიკოზ
მამა-მთავარი ღომენტი. ¹

193. 1709 წ. ახლო ოქმი მდიდარებელი ერასტი [ორბელიშვილისა] იასაულისადმი. დედა-
ნი.. დაზიანებული: მრავალ ადგილას ამოგლეჭილია. $10,2 \times 12,8$ სმ, დაწერილი თეთრ
ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაზა-
რია თითო, ორ-ორი ან სამ-სამი წერტილი. თარიღი არ უხის; მდიდარებელი ერასტი
გეხვდება საბუთებში 1709, 1710, 1717, 1718 და 1727 წლებში (საქ. სიდ., II, №№ 181—224
183—125, 246—299, 483—508, 285—335), თუმცა ბეჭდის წარწერის მიხედვით საფიქ-
რებელია, რომ საბუთი ეკუთვნის 1709 წლამდის დროს: გიორგის მეფობა—საქ. მუს
№ 206 Qd.

ქ. მდიდარებელი ერასტი გიბბანებ იასეული! მერმე [თე]იმურაზ რამაზაშვი-
ლის] ყმა ხატია და [იო]აქელა ლეთეთს ხოსია[თან] არიან. წლეულ აჟყრია.
თავის კაცს არას ემართლებიან; თუ ქართული არა ჰქონდეს, აუყარე, მოეცო
და თუ ქართული აქვს, აქ ჩამოვიდეს, პასუხი მისცეს.

მონა ღუთის] ა ყმა
გიორგისა
დიდანბეგ
ი ერასტი

194. 1709—1730 წლ. სასაქმო წიგნი, მიწერილი ვაზუშტი აბაშიძის მიერ გიორგი დავი-
თის შვილისადმი. დედანი დახეული თავში $31,4 \times 10,4$ სმ, დაწერილი თეთრ ქა-
ლალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაზარია
ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უხის: ვაზუშტი აბაშიძე ცნობილი პირია XVIII ს.
პირველი ნაზევრისა.—საქ. მუს. 728 lid.

გიორგის

ქ. ჩვენს კეთილათ სახსენებელსა და არაოდეს არ დასავიწყარს ძმას ბა-
ტონს დავითის-შვილს [გიორგის].

¹ მინაწერი: ასლთან სწორ არს. თავატივები.

შაგათი შეყრა-ალერსის შოწადე აბაშიძე ვახუშტი მრავალს მოქითხვას შოვახსნება. მერმე ბიძა თქვენმან კოსტანტილემ ჩემგან ცხრაშეტი თუმანი აი-ლო მთავნი. ფცას ოთხი გლეხი მომყილა, ნასყიდობის წიგნი ხელთა მაქვს, გლეხები თქვენ გიჭირავთ. არც თეთრის პატრონი ვარ, არც გლეხისა. ამის-თანა უსამართლო არას კაცს არა სჭირს]. ჩვენც ამ მოგვეჯესენებინა, თქვენც უნდა სამართალი გექნათ. ჩვენის თეთრის პატრონი] გაგვხადეთ მთავნისა და სარგებლისა, ან ჩვენი ნასყიდი დაგვანებეთ, თორემ, მართალს მოგახსენებთ, ჩვენ ჩვენს თეთრს არ დავკარგავთ. მერმე ნულარ გაგვიწყრებით. ორში ერთი, სამართალი არ გვიყოთ, არ იქნება. |

195. 1710 წ. იანვრის 1-ს. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული სენია ლოლაძის მიერ გვიდ. თუმანიშვილისადმი. დედანი. 64×22 სმ. დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხე-ლით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი; თარიღად აქვს 1710 წ.—საქ. მუზ., № 74 sd.

ქ. . . ესე სამკუიდრო და საბოლოოდ გამოსალეგი შტკიცე და მოუშლე-ლი ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ. და მოგეცით ჩვენ, სენიამ ლოლაძემ და შვილმან და მამავალმან ჩემან შენ, თუმანიშვილს მდივანს გივს, შეილსა შენსა დავითს და ზურაბს; —ასე რომე მამისიმედი იმის შვილებით შიმ-შილობაში წელიწადს გყმობიყოთ და ერთი იმისი შვილი ბერი მე მამყიდა გა-გაიმისმა. ახლა დამეჭირა და თქვენც მოინდომეთ და მოგყიდე ბერი, ასე რომე ლ-თს მეტი არა კაცი ვერ გეცილებოდეს და იმისი ნასყიდობის წიგნიც თქვენ-თვის მომირთმევია. ვინც ამას წამოგეცილოს, პირისა და პასუხის გამცემი მე ვიყო. არის ამისი მოწამე ჩემი ძმა ლუარსაბ, ჩემი ძმა აბელ და ხარან, ავთან-დილ, კორინთელი იოთამ და იასე... კიდევ მოწამე ამისი საკაძე ზურაბ, ფარ-სიას-შვილი ავთანდილ |

მეც ვარ. დაიწერა | იანვრის ა, ქიორონიკონ]ს ტჟც¹. |

ქ. მე გორელი ნაზარა ამისი მოწამე ვარ. |

¹ სწერია: ტჟც.

² სათაური სხვა ხელით: ქ. დალაქის ძმის ნასყიდობა ლოლაძისავან მამისიმედის შვი-ლის ბერისა.

196. 1710 წ. მარტის 1-ს. სითარხნის წიგნი, მიცემული დიასამიძეების მიერ გიორგი და და სხვა ადუაშვილებისადმი. დედანი. დაზიანებული. $55,2 \times 21,8$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარის ორ-ორი წერტილი—საქ. ც.—არქ., ფონდი—, № 800.

ქ. . . ესე ამიერითგან უკუნისამდე ჟამთა ზდა ხანთია გასათავებელი წყალობისა წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ, დიასამიძეებმა ბატონშა აეთანდილ, ლუარსაბ, პაპუნამა, ვარამ, ერეკლემ, შერპაზან თქულენ, ჩვენსა ერთ-გულათ ნამსახურ ადუაშვილს ზაქარიას შვილებს გიორგის, თამაზასა, ბერუასა, მამუკასა, ივანესა, ესტატესა და პავატასა შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა; — ასე და ამა პირსა ზედა, რომ სითარხნის წყალობას დაგვეაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და სითარხნის წყალობა გიყავით. არა გეთხოვებოდეს რა არა ჩვენგან და [ა]რცა მომავალთა სახლისა ჩვენისათა არა-ფერი სათხოვარი არა საჩერებე, არა საშობაო, არა სა[ა]ხალწლო, არაფერი სათხოვარი არა გეთხოვებოდეს რა სამასპინძლოს მეტი: ოთხი კოკა ლვინო, ერთის წლის ძროხა, ორი კოდი პური, ორი ქათამი და ერთი დღე კვნა, ერთი დღე მკა, ერთი დღე ბარვა. სხვა ამის მეტი სათხოვარი არა გეთხოვებოდეს რა. კინცა ესე საფიცარი და სითარხნე მოვიშალოს რისხაეს მას მამა, ძე და და სული წმინდა . . . დამამტკიცებელნი ამისნი ლმერთმან აკურთხნეს. დაიწერი წიგნი ესე მარტის ერთს, ქლორონიკონს ტუბ.

მონაღვთის დიასამიძე ავთანდილ	დიასამიძე ლუარსაბ
------------------------------------	----------------------

197. 1710 წ. მაისის 10-ს. ხარჯის გარიგება ბარათაანთ და ყორლანაანთ ყმებისა, შესრულებული მეფე ვახტარგ VI-ის ბრძანებით ზურაბ ერისთვის ძისა და წინწყაროს მამასახლისი ავთანდილას მიერ სახასო ყმათა ნუსხით. პირი XIX ს-ის დასაწყისის, $34,4 \times 11,5$ სმ; გადაწერილი ერთ თაბაზ ლურჯ ქალალზე მხედრული ხელით—საქ. მუხ., № 10,380. ჩდ.

მეფის ვახტანგის ბრძანებით მივედით ჩვენ, ქრისთვის-ძე ეშიკალაბაში ზურაბ, წინწყაროს მამასახლისი ავთანდილა, ჩვენ მოვაყვანინეთ გლეხები, შევაფარდებინე ბატონი ბარათაშვილების ყმანი ენაგელნი მემკვიდრენი და ყორლანაანთ და თავიანთ გლეხით ასე გავარიგეთ; ენაგეთი გავჭყავით ხუთ ჩარექათ. როგორ ხარჯი მოვიდოდეს, ასე უნდა გაილებდენ: ნახევარ ლიტრათ ბარათიანთ ყმანი არიან ჩაგდებულნი; ამ ნახევარ ლიტრიდამ ოთხი სტილი საამის-შვილის ქაიხოსრის ყმათ შეხვდებათ, ექვსი სტილი გოსტაშაბიშვილის, ნამანგლელავის-შვილის, გერმანოზიშვილის და თაყაანთ ყმათ შეხვდებათ; ნახევარ ლიტრა ყორლანაანთ ყმათ შეხვდებათ; ერთი ჩარექი სახასო გლეხით შეხვდებათ. ლალას და კულუხს

თავ თავისს მისცემდენ. სხვა რაც ხარჯი მოვიღოდეს, ის ოოგორც გაგვირიგვ-
ბია, ასე უნდა აძლიონ. მაისის ი, ქორონიქონ]ს ტუპ.

ერისთვისძე
ზურაბ

სახასო ყმანი ენაგეთს:

- ქ. დავრეშაშვილი გიორგი
- ქ. გარსუაშვილი.
- ქ. დათიაშვილი ზურაბა.
- ქ. ახალშენს მჭედელი.

198. 1710 წ. სექტემბრის 12-ს. შეილის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ფოცხვერა მგელია-
შვილის მიერ გასპარა ყარაყაშაშვილისადმი. პირი, გადაწერილი უზენაეს მართებლობის-
ბრძანებით XIX საუკ. დასაწყისს მხედრული ხელით—საქ. ც.—არქ., ფ.—, № 32, 340.

ნებითა და შეწევნითა მლთისათა . . . ესე ნასყიდობის წიგნი დაგიწერუ-
და მოგეცი მე, მეგლიაშვილმა ფოცხვერამ და შეილმა და მამავალმა სახლისა
ჩემისამა; — ასე რომე დამეჭირა, მოველ და შემოგეხვეწე შენ, ყარაყაშაშვილს
გასპარას, მოგეცი ჩემი შეილი ბეჟანა ნასყიდობით და ავიღე ფასი სრული და
უნაკლულო, რითაც ჩემი გული შეგჯერდა. გყვანდეს და გიბედნიეროს ღმერთ-
მან, არავინ იყოს ამისი მოდავე; არცა ბატონი, არცა ყმა, არცა სახლისკაცი.
თუ ვინმე წამოგედაოს, პასუხის გამცემი ჩენ ვიყოთ ფოცხვერა. არის ამისი
მოწამე თავად ღმერთი და კაცთაგან ხარაზიშვილი ნაცვალი ოქროპირი

ჩიტირეკაშვილი დათუნა +, ქურციკაშვილი დათუნა +, ჩემი განაყოფი შემაზა +.
მე ბუნდასაშვილის მღვდელს ბასილს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა-
ესე წიგნი ენკენისთვის იბ, ქორონიქონ]ს ტუპ¹ +. მე ბატონს ამის ყორჩი-
ბაშის-შვილს ყაბული მაქვს.

199. 1910 წ. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული სვიმონ მალალაშვილის მიერ მამუკა თუ-
მანიშვილისადმი. დედანი. 31,6X13,6 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხე-
ლით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი.
თარიღად აქვს 1710 წ.—საქ. მუხ., № 1857 lid.

ქ. ესე წიგნი მოგეცი მე, მალალას-შვილმან სვიმონ შენ, თუმანის-შვილს
მამუკას; — ასე რომა ერთი ჩემი ყმის შვილი ალიანთ გოგიას-შვილი ჩოჩელი.

¹ სწერია: ტუპ.

ჩემი ნასყიდი ყმის შეილი ქიტესა შენს ყმას გერათ მოყოლოდა და შენის ყმისას გაზღიულიყო. მოვედი და ჩემის ყმის შეილს თხოვანა დაგიწყე. მაგრამა, რაღაც შენის ყმისას გაზღიულიყო, აღარც იმან მოინდომა ჩემი თავი და თქვენც მოინდომეთ და ცოტარამა გამოგართვით, რითაც ჩენი გული შეზჯერდებოდა. აღარა დარჩარა ჩემსა და თქვენსა შუა მუსეიბობის და სალამის მეტი. თუ ვინ-მე იმ ბიჭსა შემოგეცილოსა, პასუხის გამაცემი მე ვიყო. არის ამისი მოწამე ერისთვის აზნაურიშვილი გარაყანიძე ქაიხოსრო, გორის მამასახლისის შეილი აბელ [], კაჭაჭას-შეილი მანუჩარ, პაპუნას-შეილი გოდერძი,¹ ლომონას-შეილი მექინა,² ჯაშინას-შეილი ქაიხოსრო [] და მე ხოჯაბეგანთ ამირას-შეილს გაბრიელს დამიწერია და³ მოწამეც ვარ ამისი. ქორონიქონის ტუტ².+

200. 1711 წ. პრილის 22-ს. წყალობის წიგნი, მიცემული საქართველოს ჯანიშნის ვახ-ტანგის მიერ მანგლისის ეკლესიის ყმებისადმი. საბუთი აღნიშნული ეკლესისა, № 25. დე-დანი. დაზიანებული: თავი მოხეულია და დაკარგული. რომელიდაც პირის ბეჭედი ამოჭ-რილია. 23,3×21,7 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდან მხედრული ხელით. განკვეთილობის-ნიშნად ყოველი ხიტყვის შემდეგ ნახმარია თითო-წერტილი—საქ. ც.—არქ., ფ.—. № 1474.

(ქ) . . . წყალ[ობითა] . . . ის კელმწიფისათა ჩენ, ქართველთა მეფისა და . . . ერანის სპასალარისა, თავრიზისა და ადრიბეჯანის ბეგლარბეგის ჩენის ძმის, მეფის პატრონის ხოსროვის მაგიერად მყოფმან, საქართველოს ჯანიშნმან-ბატონიშვილმან პატრონმან ვახტანგ ესე უამთა და ხანთა გასათავებელი, მტკი-ცე და უცვალებელი სითარხნის წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და-გიბოძეთ თქვენ, ჩენთვის სასოების და სიქაღულის მანგლისისა ღოთი მშობ-ლის ყმათ საჯავახინოში მსახლობარს ზესში, ქვენადრის, ფიცეს, ზაკვს მის გლე-ხებს;—მაშინ ოდეს ჩენგან სითარხნის წიგნის გაახლებას გვიაჯენით, მოკით-ხული ვექნით და ძველი გუჯრებიც ვნახეთ, ყოვლის კელმწიფისაგან თარხანი და აზატი ყოფილიყავით და ჩენიც სიგლითა ამით დაგიმტკიცეთ, რომე არა-ფერი საჩვენო სათხოვარი არა გეთხოვებოდეს რა, არა კოდისპური, არა ღალა, არა მალი, არა სამეკობრის-მძებნელო, არა საბალახე, არა პირისთავი, ნახი-რისთავი, არა სეფეობა და ულაყბ და სამუშაო ერთის სათათროს საურისა და ლაშქარ-ნადირობისაგან კიდე. არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩენგან, არა სხვა-თა მეპატრონეთაგან. აწე გიბძანებთ, კარის ჩენის ვექილ-ვეზირნო და სხვანო წარვლენილნო მოსაქმენო, ბძანება ესე ჩენი ასრე დაუმტკიცეთ და ნურავინ შეეცილებით. დაიწერა ბძანება ესე ქორონიქონისა ტუთ, აპრილის კბ, კე-

¹ აქ ბეჭდის დასასმელი ცალიერი ადგილია დატოვებული.

² სწერია: ტჟ3.

ლითა კარისა ჩვენის მდივან-მწიგნობრის თუმანიშვილის გივისითა. არც გორი-
დამ თუ სხვაგნიდამ პურის ჩამოსატანად ურემი და ულაყი ეთხოებოდეს;

ქ. ძედ ვარ დავი
თის მგელ ლო
მად ვით ის ვა
ხა-ანგ ვამტკიცე
ბმეფისძეობით

ქ. ეს ბძანება ჩვენც ასრე დაგვიმტკიცებია. [] .

201. 1711 წ. ივლისის 5-ს. ნასყიდობის წიგნი, მიცემული ბერუკა აბრამიშვილის მიერ დო-
მენტი ბუნათიშვილისადმი. დედანი. 31,6 × 14 სმ. დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედ-
რული ხელით. ან-მეტი. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი აპ არის—საქ. ც.—არქ., ფონ-
დი—, № 1117.

ქ. . . . ესე წიგნი და პირი და სიგელი ნასყიდობისა მოგეცი წე, აბრა-
მიშვილმა ბერუკამ და შვილმა ჩემა ნიკოლოზმა და მამავალთა სახლისა ჩემი-
სათა თქვენ, ბატონს წინამძღვარს ბუნიათიშვილს დომენტის;—ასე და ამა პირ-
სა ზედა, რომა დამეჭირა, ჯურუმსა მთხომდენ, ფეხებში მცემდენ, ათარ შე-
რეძლო, სულს იქით გზა აღარ მქონდა და მუხლს მოგეხვიე, სხვა სახსარი არა
მქონდა, ჩვენი ნასყიდი ვენახი ჭალის-უბანსა, ძულათ წინამძღვრედგან (sic)
მოყიდული, მოგყიდე, თავსა ლონლაბის მიღმამდი, ბოლო ჭალითა, ერთი
გვერდი წინამძღვრიშვილის ზაქალის მიღმამდი ვენახისა, მეორე გვერდი დი-
ლენჯაურამდი. ავილევი ამქისი ფასი სრული და უკლებელი, რითაც ჩემი გული
შეგვერდებოდა. ამისი მცილე არავინ იყოს, არც არავის ხელი აქვს, ჩემი ალ-
ლია. ლმერომა მოგაბაროს. . . აშ ამისი მოწამენი ჯერ ლმერთი, მერმე კაც-
თაგან ციხისთვის-შვილი ამირან, წინამძღვრიშვილი ზაქალ, იმისი შვილი ავთან-
დილ, იმისი განაყოფი ხუცია, ზურაბაშვილი ნიკოლოზ, ინაშვილი გიორგი და
სულ ქაქერთოლი კინცველნი (sic) და მე იოსებს დამიწერია და მოწამეცა ვა
ამისი. დაიწერა კათათვის ე, ქორონიკონის ტუთ. ++++++

202. 1711 წ. აგვისტოს 2-ს. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ზაზა ციცის-შვილის მიერ
ნიკოლოზ რატის-შვილისადმი. დედანი. 24,7 × 21,6 სმ. დაწერილი თეთრ ქალალდზე
მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი
წერტილი. თარიღად აქვს 1711 წ.—საქ. მუზ., №7223 hd.

ქ. . . ესე უკუნისამდე უამთა და დროთა გასათავებელი მტკიცე და მი-
ზეზშემოულებელი წიგნი და სიგელი მოგართვით ჩვენ, ციცის-შვილმან ფარსა-

დანის ქემ ზაზამ თქუენ, ბატონს რატის-შვილს ნიკოლოზს;—ასე და ამა პირსა ზედა, რომე ჩვენი მემკვიდრე ყმა დანდლის-შვილი ფარსიაშვილი ბერი მოგარ-თვით და ავილევით ფასი სრული, რითაც ჩვენი გული შეგჯერდებოდათ. არა კაცი და არა ჩვენი მონათესავე და, სახლის-კაცი ამისი მცილე და წამომდე-ვებელი ვერავინ გეყისთ და, თუ ვინმე წამოგედეოსთ, პირისა და პასუხის გამ-ცემი ჩვენ ვიყუნეთ. გქონდესთ და გიბედნიეროს ღრთნ საქართველოს გამგებე-ლის ბატონის-შვილის ვახტანგის დღეთ სიგრძესა და სამსახურსა შინა. არიან ამისნი მოწამენი და შუადამხდურნი მანგლელ ეპისკოპოზი ბატონი ნიკ-ზ, არქი-მანდრიტი აბაშიძე ბატონი ნიკ-ზ, ჩვენი აზაურიშვილი კლიმიაშვილი ბერუკა და მე კათალიკოზის მდივანს მაღალაძეს სოლომონს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. თვესა აგვისტოსა ბ, ქ[ორონი]ქ[ონ]სა ტჟთ.

203. 1710 წ. ოქტომბრის 7-ს. აზატობის წიგნი, მიცემული ვიღაც პირის მიერ რეგაზა უკულლაძისადმი. დედანი. ძლიერ დაზიანებული; განსაკუთრებით მარჯვენა მხრით. 21,5×15 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდება მხედრული ხელით. განკვეთილის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საჭ. ც.—არქ. ფონდი 226, № 301.

ქ . . . ესე წიგნი [მოგეცი მე]
 შვილმან ჩემმან იესე, ბეჟან და
 [შე]ნ, უკულლაძეს რევაზასა, შვილთა
 ასრე და ამა პირსა ზედა, რომ მამა შენი
 როს წყალობის ყმად მოსულიყო, გამოვი[და]
 ლნენ ჩვენს სახლშია. შენ პატარა ობოლი
 ის ბიძები გყვანდა, იქ გაბველ. ლევან ბ(ა)ტ(ონ).
 [ს]ტეფანეს საყდრისათვის შეეწირე. ორმოცი წელიწადი
 ის შეწირული ყოფილიყავ და იქ მსახლობელი. ახლა [ურბნ]
 ელი-ელისე ბიძა იყო ჩვენი და ის შუა ჩამოიყვანეს რა(ც)
 ნასახლები იყავ და ბიძა ჩვენი ურბნელიც შუა
 ბიძის წმიდასა და პირველ მოწამეს მთავარ დიაკონს წმიდა
 შეგწირეთ და იქიდამ აღარ მოგშალეთ და აზატი გიყავით ასრე
 ნია, რომ არას ჩვენს ნათესავსა და სახლის კაცსა და [არა]ვის სხვა კ . . .
 კაცს შენთან კელი არა ქინდეს და ვერცავინ ურბნის წმიდას სტ[ეფანე] ურბ-
 ნელს შენს თავს ეცილებოდეს . . . არიან ამისნი მოწამენი ფანიაშვილი . . .
 ვ, ფანიაშვილი პეტრე, ურბნისის დეკანოზი და კანდელაკი მამასა . . . ურბ-
 ნელ ეფისკოპოზს ელისეს დამიწერია და შუამდგომე
 კიდევ მოწამე. დაიწერა წიგნი ესე ოკდობერს ზ, ქ[ორონი]ქ[ონ]ს ტჟთ.

¹ ამ ადგილამდე სტრიქონები დედნისა არის დაცული.

- 204.** 1711—1716 წლ. ახლო. ყმების ნასყიდობის წიგნი, მიცემული ზაალ თარხნის-შვილის მიერ გიორგი გარსევანიძისადმი. დედანი. $41 \times 25,1$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდჲე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარის ორ-ორი, ან სამ-სამი წერტილი. თარიღი არ უზის: მიმღები იქსე გარსევანის-ძე, იგივე გარსევანიშვილი გვხვდება საბუთებში 1711 და 1716 წლებში (საქ. მუხ., № 87 ძ და საქ. სიდ., III, № 429—411) და ეს საბუთიც ამ 1711—1716 წლების ახლო დროს შეიძლება ეკუთვნოდეს—საქ. მუხ., № 6190 ჩ.

ქ. . . ესე მტკიცე და პირ-უქცეული და საბოლოოდ გამოსაღევი ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგეც მე, თარხნის-შვილმან ზაალ და შვილმან ჩემმან დავით და ყოველთავე მომავალთა სახლისა ჩვენისათა შენ, ქართველთ მეფის კარის დეკანზე გარსევანის-ძეს მღლუდელს გიორგის, შვილთა შენთა გრივოლს და ანდრიას, ძმასა შენსა იქსეს და შვილთა მისთა ნიკ-ზს და გარსევანს და ყოველთავე მომავალთა სახლისა თქუენისათა;—ასე და ამა პირსა ზედან: დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენი წილი ალალი სამჯულრო და ყოვლის კაცის უცილებელი და მღლუდეუარი, ჩემს წილს ბარათში ნარგები ფელს დემეტრაშვილი გიორგა და შემაზა მისის მამულითა, მთითა, ბარითა, საკანვითა, უკნავითა, სათიბითა, უთიბითა, წყლითა, წისქუილითა, საყდრითა, სასაფლაოთა, შესავლითა, გასავლითა და ყოვლის მისის სამართლიანის სამძღურითა. ეგრეთვე იქივე ფელს ჩემი კერძი მეოთხედი, რომელიც ჩემის განაყოფებისაგან მერგების მთა თუ ტყე, გასატეხი თუ გაუტეხელი, მიწა-წყალი თუ წისქუილი, სათიბი, საძოვარი, საგმარი თუ უკმარი, მეოთხედი ფელისა თქუენთვს მომიყიდნია და არავინ იყოს მცილე თვინირ ლ-თისა,—ჩემი სახასო მიწები კიდევ. ბერი დემეტრაშვილი მე დამიჭერია უმამულოდ, უსახლოდ, უსაქონლოდ, ძმებთან კელი არა აქუს, ისე ცარიელი კაცი მე დავიჭირე და იმისი ძმები თქუენთვის მომიყიდნია. გქონდეს და გიბედნიეროს ლ-თან და, თუ ვინმე წამოგედოს, პირისა და პასუხის გამცემი ჩვენ ვიყუნეთ . . . არის ამისი დამხდური და გამრიგე ზაზა სარდლის-შვილი უთრუ . . .

- 205.** 1711—1724 წლ.. ანდერძის წიგნი, მიცემული ქაიხოსრო თუმანიშვილის მიერ თავის „ცოდვისშვილი“ ცოდებრძასადმი. დედანი. $10,4 \times 11$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდჲე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარის ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უზის: ქაიხოსრო თუმანიშვილი გვხვდება საბუთებში 1711, 1712, 1715, 1716, 1719 და 1724 წლებში (ც.—არქ., ფ.—, №№ 17/83, 4/187, 46/152, 4/175, 17/167 და 26/214). ჩვენი საბუთიც ამ წლებს შეიძლება ეკუთვნოდეს—საქ. მუხ., № 251 Qd.

ქ. ესე ანდერძის წიგნი მოგეც მე, თუმანიშვილმა ქაიხოსრომ შენ, ჩემს ცოდვისშვილს ცოდერძას;—ასე რომ შენ რომ აზატულობის წიგნი მოგეც, ვის-

თანაც მიხვიდე და ფეხი მოჭკიდო, ჩემის მაღლისათვინ აუთ მარჩილი თეთრი
და ათის მარჩილისა ლირებული მოგცე. [. . . .]¹

206. 1712 წლის ახლო. თავდახსნილობის წიგნი, მიცემული პაპუა და ტარიელ თურქის-
ტანის-შვილების მიერ ისაჟ აღუას-შეილისადმი. საბუთი მანგლისის ეკლესისა, № 44.
დედანი. დაზიანებული (დახული) თავში. $24,7 \times 13,2$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე
მხედრული ხელით. ასო-ნაკლები. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმა-
რია სამ-სამი წერტილი. თარილი არ უზის. მიმცემი ტარიელ თურქისტანის-შვილი
გვხვდება საბუთში 1712 წელს და ეს საბუთიც ამ 1712 წლის ახლო შეიძლება ეკუ-
თვნოდეს, თუმცა „ყრელობა გაჩნდა“ გვაფიქრებინებს, რომ საბუთი 1706—1707 წელს
არის დაწერილი.—საქ. ც.—არქ., ფ.—, № 942

ქ . . . ესე დახსნილობის წიგნი მოგეც მე, ბატონმა შენმა თურქისტ[ა]-
ნის-შვილმა პაპუამა, ტ[ა]რიელ შენ, აღუას-შვილს იასეს, ძმ[ა]სა შენს[ა] ელი-
ობსა, შვილსა და მამ[ა]ქ[ა]ლსა სახლისასა;—ასრე, ყრელობა გაჩნდა, მოველ
დ[ა] თ[ა]ვი დ[ა]იხსენ, ავილევით ფ[ა]სი სრული, რით[ა]ც ჩვენი გული შეჯერ-
დებოდა. დლესა დ[ა] დლეის იქით შენთან ხელი არ[ა]ვის ქონდეს. არის ამისი
მოწ[ა]მე თვით ლერთი, კ[ა]ცთ[ა]ვან ლუ[ა]რსაბ ყ[ა]ვრიშვილი, სოლ[ა]ლ[ა]ს-
შვილი ელიზბ[ა]რ, ს[ა]ლთხუცის-შვილის აძნ[ა]ურიშვილი ბერი, კიდევ მოწ[ა]მე
დ[ა]თუნა, მექვრის-შვილი² შ[ა]ლვა, ზ[ა]ქუტ[ა]ს-შვილი შ[ა]ლვა; მე გორელი ნ[ა]-
ზ[ა]რ[ა]ს-შვილს მანუჩ[ა]რს დ[ა]მიწერია და მოწ[ა]მეც კ[ა]რ ამისი. + +

207. 1712 წ. აპრილის 17-ს. პირობის წიგნი, მიცემული გიგო მაჭავარიანის მიერ გიორგი
დავითის-შვილისადმი. დედანი. $12,4 \times 13,5$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული
ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—
საქ. მუხ., № 13.692 hd.

ქ. უნდა მოგაბარო მე, გიგო (?) მაჭავარიანმა შენ, დავითის-შვილს
გიორგის ერთი თუმანი თეთრი, ერთი ხბოიანი ძროხა. ორკვირაზე მოგცე. თუ
ვერ მოგცე, ისევ შენი შიო ჯავახი მოგცე. არის ამისი მოწამე ორჯონიკიძე
ქაიხოსრო. სავანელი გე . . . დაიწერა აპრილის იზ, ქ[ორონი]ქ[ონს უ. [. . . .]

¹ სათაური სხვა ხელით: გოდერძასი.

² მექვრის-შვილი?

- 208.** 1712 წ. ევნისის „ნახევარს“. ნასყიდობის წიგნი, მიცემული თამაზა ჩეკურის მიერ მანუსარ გლურჯიძისადმი. დედანი. $45,5 \times 14,4$ სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. ან-მეტი. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია საშ-სამი წერტილი—საქ. ც.—არქ., ფონდი—, № 844.

ქ. . . ესე ამიერით უკუნისამდე უამთა და ხანთა გასათავებელი და ყოვლის კაცის მოუღევარი ნასყიდობის წიგნი მოგეც მე, ჩეკურმა ხურომ თამაზამა თქვენ, გლურჯიძეს მანუსარს და ძმასა თქვენსა ოთარსა;—ასე რომე ერთს უბრალოს საქმეზე ცოდვა მამერია და დედაკაცი შემამაკვდა და სისხლი დამედვა მთელი და ის სისხლი თქვენ გარდამიწყვიტეთ, ან რაც ბატონის კარზე დამეხარჯა, ისიც თქვენ გარდამიწყვიტეთ. ახლა ჩემი თავი ჩემის ცოლითა და შვილით ასრე ნასყიდათ მამიცემია და დაგრჩა, რომ არას კაცს თქვენთან კელი არ აქვს და არც თქვენს იქით რამ ვიცოდე და თუ სადმე წავიდე ჩემი თავი კელ-შეკრული უნდა მოგაბარონ. არის ამისი მოწამე და გარდამწყვეტი თავად ლმერთი . . . კაცთავან თურქისტანიშვილი უზბაში ქაიხოსრო, სოლალაშვილი იოთამ; გლურჯიძე იონათამ, სარმანიშვილი ლევან და ოქრომჭედლიშვილს იორამს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა თიბათვის ნახევარს, ქორონიკონის უ. [. . .] +¹

- 209.** 1712 წ. აგვისტოს 2-ს. პირობის წიგნი, მიცემული რუსუდან დედოფლისა და ბაჟარ ბატონიშვილის მიერ კათალიკოზ დომენტისადმი. საბუთი ბცხეთის ეკლესიისა, № 235. დედანი. $36 \times 17,5$ სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით.—საქ. ც.—არქ., ფონდი—, № 1245.

ქ. . . ესე წიგნი და პირი მოგართვით ჩენ, დედოფლალთ-დედოფლალმან პატრიონმან რუსუდან და ძემან ჩენმან სასურველმან ბატონიშვილმან პატრიონმა ბაქარ თქვენ, კათალიკოზებს პატრიორქს დომენტის;—ასე და ამა პირსა ზედა, რომე ზოგს ერთს ალაგს ტყვის სყიდვა გამოჩდა და (bis), თქვენი ვითაც მართებული იყო, ეგრეთ იწყინეთ და გამოეკიდენით. ახლა ეს აღთქმა დაგვიდვია თქვენს წინაშე: სადაც ან სადედოფლოში და ან საუფლისწულოში ან საცა ჩენს საბატონოსა და მამულში ან ტყვის გამსიყიდველი გამოჩნდეს და ან გაყიდოს ვინმე და ან საყანოს გარდა ჩენს საბატონოში ტყუე მოიყუანოს

¹ მინაწერი: ქ. ხუროს ანგერდას წიგნია.

გასასყიდელი და პუნაძეს ვისმე და წარატვათ და თქვენ გაუწყრეთ და გამოუნახნეთ, მოიკითხოთ, არცავის ამისთანა საქმე იქნევინოთ, ურც ვიწყინოთ და დიდათაც კელი მოგიმართოთ და, თუ ვინმე წინ აღვიდგეთ და თქვენი ნება არა ქნას, დიდათაც გამოვენახოთ და უწყინოთ. ეს ასრე მოგვისენებია და დაგვიმტკიცებია. . . ქორონიკონის უ, მარიობისთვის ბ. თუ იმერელმან კაცმან მოიყუანოს ტყუე, თუ საქართველოს კაცმან სამოსამსახუროთ შესანახავათ დაიხსნას, თვარა გასასყიდლათ ნუ იყიდის და ნურც გაყიდის.

ტუა რუსუდან	ქართველი სასოება ბაქარ დავითიანსა
----------------	--------------------------------------

210. 1712 წ. ოქტომბრის 16-ს. ყმების ნასყიდობის წიგნი, მიცემული გიორგი სოლალაშვილის მიერ ევენეზა ვარდიგულას-შვილისადმი. პირი, გადაწერილი უხებ. მართებლობის ბრძანებით XIX საუკ. დასაწყისს მხედრული ხელით—საქ. ც.—არქ., ფ.—№ 21/123.

ნებითა და შეწევნითა მღვენისათა ჩვენ, სოლალაშვილმან ზაალის-შვილმან გიორგიმ, ძმამან ჩემან სულხან, ქავთარ და პატარკაცმან ესე უამთა და ხანთა გასათავებელი ნასყიდობის წიგნი მოგეცით შენ, ანდრიელს ვარდიგულას-შვილს ევენეზას;—ასე რომე დაგვეცირა, თათრის ვალი გვემართა და, თათარს რომ ვერ მივცემდით, შენ მოგვიდე ევენეზას ტაბახმელელი სალუს-შვილი თამაზას-შვილი ბერუა და იმისი ძმა ბეჟანა. გამოგართვით და ავილევით, რითაც ჩვენი გული შეგჯერდებოდა, ფასი სრული და უნაკლულო, რომ შენზედ ერთისიოტის ფასი არა დარჩიმოდა რა. გყანდეს და ლმერითმან მოგახმაროს, როგორც სხვას მონასყიდეს მოხმარებოდეს. თუ ვინმე ამაზედ ან წამოგედაოს, ან ლაპარაკი ვინმე დაგიწყოს, პირისა და პასუხის გამცემი მე ვიყო. არს ამისი მოწამე თავად ღმერთი. . . კაცთაგან ჩემი ყმა გულელელი ზაალს-შვილი პაპა, საქუას-შვილი იანა, ანდრიელი კაციას-შვილი ლამაზა, ბერუას-შვილი შერმაზანა, ზადიკას-შვილი საქუა, ლოუბანს ქრისტესიას-შვილი ბეჟან, იმისი ძმა ნიკოლოზ. მე ლაზარეს მღდელს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა ესე წიგნი ლვინობისთვეს თექვსმეტს გასულს, ქორონიკონის უ.

+++

¹ სათაური სხვა ხელით: ქ დედოფლის რუსუდანის წიგნი და ბაქარისა.

² მინაწერები:

ასლთან თანასწორ არს. სოვეტინიკი თ'ი გაბრიელ რატივე.

ასლი სიგელი მივიღე ყმისა. პეტრუს ეჭანერესოვშვილი.

211. 1712 წ. პირობის წიგნი მიცემული, იმერელ გიორგელას მიერ თავის ბატონისადმი. დედანი. 24,8×15 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაზმარია სამ-სამი წერტილი — საქ. მუზ., № 13 670 სდ.

ქ. ესე წიგნი მოგართვი მე, თქვენის რძლის მხითეუმა იმერელმა გიორგელმა, ასე რომე ხელმოკლედ შევიქენ და ქალაქს ჩამოველ და თქვენ ის მიწყინეთ და აწე ესე წიგნი მოგართვი მე თქვენ, ბატონს ჩემს მღერულაუს და თქვენს შვილებს: რას[ა]ც დროს[ა] და უამს მე თქვენს მეტი ბატონი მინდოდეს, ან მე და ან ჩემს შვილს, ან წაგივილე, ღმერთმან ჩემი სისხლი თქვენზედა ალალი იყოს და შუა-მარხეამდი აქ ვიყო და მასუკან როგორც მიბძანებ, ისრე ვიქ. არის ამისი მოწერე შერმაზანას-შვილი ესტატე¹. მე ისაბას დამიწერია, მოწმეც ვარ ამისი. ქორონიქონის უ. +

212. 1712 წ. ნასყიდობის წიგნი, მიცემული ბერი პაპუნაშვილის მიერ გივი თუმანიშვილი-სადმი. 28,5×22,2 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით; განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაზმარია ორ-ორი წერტილი. თარიღად აქვს 1712 წ.— საქ. მუზ., № 86 სდ.

ქ. . . ესე ნასყიდობის წიგნი და ფიცი მოგართვით ჩეენ, კახმა აწყვერელმა პაპუნაშვილმა ბერმა, ჩემა ძმამ ივანემ და შვილმა და მამავალმა სახლი-სა ჩუენისამან ყოველმანვე თქუენ, თუმანიშვილს მღივანს ბატონს გის, შვილთა თქუენთა დავითს და ზურაბს;—ასრე რომე ვალი გვემართა და მიცემის ღონე და ილაჯი არა გუქონდა, მოვედით და შემოგეხვეწენით და ვალი გარდავეიშ-ყუიტეთ და მოვალისაგან გამოგუისხენით. ახლა ჩუენც ეს ჩუენის თავის ნასყიდობის წიგნი მოგართვით და ჩუენი თავი ნასყიდათ მოგეცით, ასრე რომე ერთის ლ-თის შეტი კაცი ჩუენს თავს ვერავინ შემოგეცილოს, ერთგულად და კარგვა-რათ გემსახურნეთ. თუ ვინმე ჩუენს თავს წამოგედაოს, პასუხიც ჩუენ მივცეთ. არის ამისი მოწამე . . . კაცთაგან ნაზმირი ედიშერ, სააკად ზურაბ. მე თუმანიშვილს ქაიხოსროს დამიწერია და მოწამეცა ვარ. ქორონიქონის უ. + *

¹ ჟუკანასკნელი ბიტყვა დაწერილია ამ ადგილას დაწერილ სიტყვა: „ზურაბა“-ზე.

² სათაური სხვა ხელით: კახი ბერას ნასყიდობის წიგნია.

213. 1712 წ. საკომლოს სითარხნის წიგნი, მიცემული ვახტანგ VI-ის მიერ წინამძღვან
იოსებ გაბაშვილისადმი. დედანი. 27×29 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდეჲ მხედრული
ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—
საჭ. მუს., № 2000 ჩ.

ქ. ნებითა და შეწევნითა მქუთისათა ჩვენ, საქართველოს მქონებელმან
იესიან-დავითიან-სოლომონიანმან [ბაგრატონიანმა] ბატონიშვილმან პატრონმან
ვახტანგ, თახამეცებედრემან ჩვენმან ჩერქეზის ბატონის ასულმან დედოფალთ-დედო-
ფალმა პატრონმან რუსულან, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან ბატონი-
შვილმან ბატონმან ბაქარ შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ, გაბაშვილს წინამძღვარს
იოსებს;—მა უამსა ოდეს ენაგეთს აბულაშვილის საკომლოს სითარხნეს დაგვეა-
ჯენით, ჩვენცა ეისმინეთ აჯა და მოქასენება თქვენი და ასე გაგითარხნეთ, რომე
არაფერი საჩვენო სათხოესარი და გამოსალები არა გეთხოებოდეს რა. აწე გიბ-
ძანებ კარისა ჩვენისა გამრიგენო, თქვენცა ასე დაუმტკიცეთ, რარიგადაც ამ
ჩვენსა ნაბოძებსა სიგელსა შინა ეწეროს. დაიწერა ბძანება და] ნიშანი ქორო-
ნიქორნის ქართულსა უ, ქრისტეს აქეთ ჩლიბ, კელითა თუმანიშვილის დავითი-
სითა. ვახტანგ.¹ რუსულან.²

214. 1712—1714 წლ. ოქმი საქართველოს გამგებელის სვიმონ ბატონიშვილისა მუხრანის
აზაურიშვილებისა და გლეხთადმი. დედანი. ტახიანებული: თავი მოგლეჯილია და და-
კარგული. 14,1×13,2 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდეჲ მხედრული ხელით. განკვეთილო-
ბის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. თარიღი არ უზის:
ეფუთების სვიმონ ბატონიშვილის გამგებლობის დროს—1712—1714 წლებს—საჭ. მუს.
№ 14 613 ჩ.

ქ. ჩვენი ბძანება არის ერთობილნო მუხრანის აზაურიშვილნო, მსა-
ხურნო და გლეხნო! მერმე სალოხუცესი ლევან ქორწილს აპირებს და, როგორც
სხვას იმათის სახლის კაცისათვინ საქორწილო მოგერთმევინოსთ, ისრე ახლა
ამასაც საქორწილო მოართვით და კელი მოუმართეთ, მკას უკან მოეცით.

საქართველოს გამგებ
ელი ბატონი
შვილი სვიმონ

¹ ხვეულად.

² სათაურები სხვადასხვა ხელით:

ქ. ენაგეთს იოსებ წინამძღვრისეული ერთი საკომლოს სითარხნის წიგნია. აბულა-
შვილისა.

ქ. იოსებ წინამძღვრის წიგნი.

⁴ სათაური სხვა ხელით: ქ. მეუის ვახტანგის (?) ნაბ[ო]ძები წიგნი.

215. 1712—1714 წლ. წყალობის წიგნი სვიმონ ბატონიშვილისა
საბუთი მანგლისის ეკლესიისა, № 90. დედანი. დაზიანებული. თავი მოხეულია და და-
კარგული. $17 \times 14,7$ სმ, დაწერილი მოთეთრო ქაღალდზე მხედრული ხელით. ტექსტს
თავში აკლია. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდევ ნახშარია თითო წერ-
ტილი. თარიღი არ უზის: ეკუთვნის საქართველოს გამგებელის სვიმონ ბატონიშვილის
დროს—1712—1714 წლებს — საქ. ც.—არქ.—, ფ.—, № 3525.

[პატ]-
რონს მამა ჩვენს. ერანის მდივნბეგს შაძულით ანს მანგლელის სოფლების კე-
ჭეთისა და უგუდეთისათვინ შავარდნის საზღაური დაედვა. მერმე ჩვენს ძმას ბა-
ტონს ვახტანგს აღარ ეთხოვნა, ეპატივებინა. ახლა მანგლელი ჩვენც წიგნს
გვიაჯვა; ვითაც არ სთხოებოდა, ჩვენც ეს წყალობა უყავით, რომე არაოდეს
შავარდნის საზღაური და არც შავარდნი არ ეთხოებოდეს. თუ კლდეკარს
იძულდეს, ჩვენი არის, თორებ სხვაც რიგად საზღაურს არცა გთხოვთ და გვიპა-
ტივებია. წარვლინბულნო ბაზიარნო, ნურავინ ჩაუდგებით, ნურც გარჯით. ყო-
ველს მარიამბა დღეს მანგლელი თავის კრებულით ჩვენდა სასულიაროდ უამსა-
სწირვედეს, ცოცხალს დღევძელობითა და მიცვალებულს შენდობით მოგვიხსე-
ნებდენ.

ბატონიშვილი
სვიმონ

216. 1712—1714 წლ. ოქმი. ვახტანგ VI-ისა სვიმონ ბატონიშვილისადმი. პირი XIX ს-ის
დასაწყისისა, გადაწერილი უზენაეს მართებლობის ბრძანებით. თარიღი არ უზის: ეკუთვ-
ნის სიმონის ჯანიშინობის დროს—1712—1714 წლებს—საქ. ც.—არქ., ფ.—, № 9/91.

ძმაო, საქართველოს ჯანიშინო, ბატონიშვილო ბატონო სვიმონ! მერმე
ზალია ალიხანის მუშილს თეთრ-სოფელში ბოშაშვილისაგან ვენახი უყიდია. ახლა-
აქ ჩვენ წყალობა უყავით, რომე კულუხი ვაპატიეთ და მანდ თქვენც უყავით,
კულუხს ნუ სთხოვენ. ასრე გაურიგეთ და გვით]არხნებია. ვახტანგ.

ქ. ეს ბატონის ჩვენის ბძანება ზალიქისთვინ ჩვენც ასრე დაგვიმტკიცებია.



ქ. ჩვენ, დედოფალთ-დედოფალს პატრიონს რუსულანს ჩვენცა ასრე დაგვი-
მტკიცებია. რუსულან.²

¹ მინაწერები:

№ 90

მანგლისისა.

² ასლთან თანასწორ არს. სოვეტნიკი თი დიმიტრი თარხანოვი.
ასლი სიგელი მივიღე მე, სტეფან ავთანდილოვი.

217. 1712—1722 წლ. ახლო. თავდებობის წიგნი, მიცემული ზურაბა შეკედლიძისა და სხვე-
ბის მიერ ელისარ დავითიშვილისადმი. დედანი. დაზიანებული. დაზეული. 13,7 × 13,7
სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი
სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უზის: დამწერლობით ეკუთ-
ვნის XVIII ს-ის დასაწყისს: ელისარ დავითიშვილი ამ დროს გვხდება—1712 და 1722
წლებში (საქ. სიძ. III. №№ 404—452 და 283—333) და ეს საბუთიც ამ 1712—1722
წლების ახლო დროს უნდა ეკუთვნოდეს—საქ მუხ., № 736 ჩიდ.

ქ. ნებითა და შეწევნითა მლთისათა ესე ამიერით უკუნისამდე უამრა და
ხანთა გასათავებელი წიგნი მოგართვით ჩვენ, დვანელმა ოქრომჭედლის ყმამ
მჭედლიძემ ზურაბამ და ბელაშვილმა ოთარმა და როსაა, ოქრომჭედლის ცოლმა
და შვილმა თქვენ, დავითიშვილს ბატონს ელისაბარისა; —ასე რომე შალიკიშვი-
ლის თამაზის თქვენი ცხენი მოქაარა და დივანბეგის იასაული ხეიძე რევაზ თავს
ალგა ვერა უპოეთ რა საზღაური და ახლა ჩვენ მჭედლიძე ზურაბამ და ბელა-
შვილმა ოთარმა და ახალკაციშვილმა ირემამ ასე მოგართვით ეს შალიკიშვილი
თამაზა მისის ცოლშვილითა, რომე ამასთან სხვას კაცს კალი არ ქონდეს ლმერთ-
მან გამარჯვებაში მოგახმაროსთ. თუ ამ კაცს შემოგეცილოსთ ვინმე, თქვენის
ცხენის შეიდეული ჩვენ ამ სამმა კაცმა მოგართვათ გაურჯელათ. არის ამისი
მოწამე ხეიძე რევაზ და შალიკიშვილი ვახტანგ და სულ ერთირათ დვანელები
არიან ამისი მოწამენი და მე ბატონენის ელისაბარის დეკანის დამიწერია და
მოწამეცა ვარ ამისი. + +

218. 1712—1724 წლ. ოქმი ვახტანგ VI-ისა ვახუშტი აბაშიძისადმი. დედანი. დახული, და-
კერებული. 17 × 14 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილო-
ბის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უზის:
უნდა ეკუთვნოდეს 1712—1724 წლებს—საქ. მუხ., № 2825 ჩიდ.

ქ. ჩვენი ბძანება არის, აბაშიძევ ბატონი ვახუშტი! მერმე სურამის ჰა-
ლაში ოსიაურის საკენც ღირდა ათი საკავამლო მიწა და იმ ნაპირს კაცები რომე
დასახლებულა შიგ მსახლობელის კაცით ქაოხოსრო წერტილისადვის გვიბოძებია-
და ეს მიწაც მოუჭრ და კაცებიც მოაბარეთ. იმ კაცებს რაც აქვთ, იმით ოც-
და[ა]თის საკვამლოსი შეუთავე¹. ვახტანგ².

¹ ხვეულად.

² სათაური სხვა ხელით: ეს წიგნი ვახტანგ მეფის მოწერილი ვახუშტი აბაშიძეზელ. ხერ.

219. 1713 წ. ახლო. თავისა და ცოლ-შეილის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ბერი ჭიჭა-შეილის მიერ გივი [თუმანიშვილისადმი]. დედანი. $40,21 \times 4,2$ სმ, დაწერილი ოქთორ ქა-ლალდჟე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უნის: მისი მიმღები გივი [თუმანიშვილი] ცნობილი პირია; ის გვხვდება საბუთებში 1688—1721 წლებში; დამწერი დემეტრე სააკაძე გვხვდება 1713 წელს. საბუთი დაწერილი შეიძლება იყოს 1713 წლის ახლო დროს—საქ. მუხ. № 13 058 ჩ.დ.

ქ. . . ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგეცით ჩვენ, ჭიჭაშვილმა ბერმა და ჩემა შვილმა შერმაზან თქვენ, მდივანს გივს და შეილთა ოქვენთა დავითს და ზურაბს; — ასე რომ ვალი გვემართა და გარდაგვიკადეთ და მოგყი-დეთ ჩვენი თავი ჩემის შვილითა და ცოლით, რაც ხიზანი მყვანდეს, ყველა თქვენთვის ნასყიდათ მოგვიცია და თქვენც ავლაბარში თქვენი ნასყიდით სახლ-კარი გვიბოძეთ. თქვენ ჩვენს თავს არავინ გეცილებოდეს. თუ ვინმე წამოგე-დაოს, პირისა და პასუხის გამცემი მე ვიყო. არის ამისი დამხდური და მოწამე ელიარაშვილი დულუყარდაშა, ავლაბრის ხასაღარი მათიაშვილი ოტია, ებიტა-შვილი ზურაბა. მე სააკაძეს დემეტრეს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა მაის დამდეგს ქ.ს + +

ქ. ამისი მოწამე მდივანი გიორგი | [] |

ქ. ამის მოწამე სააკაძე მერაბ, ასისთავი იაკობ. ავლაბრელი კაცისა არის ჭიჭაშვილის ბერისა¹.

220. 1713 წ. არილის 24-ს. ნასყიდობის წიგნი, მიცემული [უთრ]უთ გულუაშვილის მიერ ... ივანის გამდელ ნაზიფერისადმი, დედანი. ძლიერ დაზიანებული; $22 \times 19,2$ სმ., დაწერი-ლი ოქთორ ქალალდჟე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი. თარიღად აქვს 1713 წ.—საქ. მუხ., № 14 905 ჩ.დ.

2 [ესე] წიგნი მოგართვით თქვენ (ბატონ)
ივანის გამდელს ნაზიფერს [გამი]ჭირდა და თავი მოგყი-დე და ნასყიდობის წიგნი მოგეც] მე, ხაბაზმა (გ)ულუაშვილმა [უთრ]უთ. ასე ძეირობა იყო, რომე ერთი კოდი ხუთ აბაზათ არ იშოვებოდა. მეც თავი ამის-თვის უფრო მოგყიდე, რომ არ[ა] კაცს ჩემთან კელი არა ქონდა. არც ვისი მემკვიდრე ვიყავ, არცა ვისი ნასყიდი და არცა ვინ მომდევარი მყვანდა და არცა მყავს. თუ, ვინ იცის, და ჩემს თავს თხოვნა ვინმე დაგიწყოთ და წამოგედეოთ, პასუხის გამცემი მე ვიყო და თორმეტის თუმბის თავის სახსრის [მომრთ მევი ვი-ყოთ. დღესა დღეს ამას იქით ჩვენს თავს მღთის მეტი კაცი არ გეცილებო-

¹ სათაური სხვა ხელით.

² თავი მოხეულია და დაკარგული და არა ჩანს, რამდენი სტრიქონი ან ასო-ნიშანი აკლია.

დეს...¹ დაიწერა აპრილის ოცდა ოთხსა, ქუს უა. ამისი მოწამე და დამზღვრი მებალიშვილი სკომონა. (მე) დეკანოზს იასე[ს] დამიწერი[ა] და მოწამეცა ვარ ამისი. + + +

221. 1713 წ. მაისი. ყმის წყალობის წიგნი, მიცემული დომენტი კათალიკოზის მიერ პაპუნა-დოქიძისადმი. დედანი. $15 \times 20,6$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდე მხედრული ხელით. ასო—მეტ-ნაკლები. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია. ორ-ორ-წერტილი.—საქ. მუხ., № 1901 Ad.

ქ. უკანბერიძეს თავისის ყმის შეილი ლომქაცი[ს]-შეილის ბერის-შეილი ნადირა ახალციხეს გაეყიდნა და ჩვენ, ბარონის-შეილმა კ-ზმა დომენტის დავიხსენით და გარდმოვიყვანეთ და ჩვენ პაპუნა დოქიძეს წყალობა უყავით და უბოძეთ ეს ჩვენგან დახსნილი ბიჭი ნადირა. ამასთან არას კაცს კელი არ[ა] აქვ[ს]. არც ამის ნათესავსა და არც უკანბერიძესა. დაიწერა ეს წიგნი თვესა-მაის[ს]ა, ქორონის[ონ]სა უა. კითხალიკოზი.² +

222. 1713 წლ. ნოემბრის 11-ს. ყმა-გლეხის ბოძებულობის წიგნი, მიცემული ზურაბ ერის-თვის-შეილის მიერ გივი თუმანიშვილისადმი. დედანი. 31×21 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი; საქ. ც.—არქ., ფონდი 226, № 131.

ქ. . . ეს წიგნი მოგეცით ჩვენ, ეშიკალასბაშმან ერისთვის-შეილმა ბატონმა ზურაბ თქვენ, თუმანიშვილს მდივ[ა]ნს ბატონს გივს და შეილთა თქვენთა;—გითაცა ერთმანერთისათვის კაის მდომი ვიყავით, ჩვენზე ბევრი გარჯა და სიკეო მიგიძლოდა და, რადგან ჩვენის სიკეთისა და შემატების მდომი ხართ, ბევრს გაისარჯე და კაი ფეშქაშები მოგვართი, ჩვენც ერთი ჩვენი მემკვიდრე ყმიშვილი მახარებლის-შეილი დათუნა მოგეცით. ასე, რომ ვერც ჩვენი სახლის-კაცი და ვერა კაცი ვერ შემოგეცილოს. თუ ვინმე ამას შემოგეცილება, პასუხს ჩვენ მივცემთ. არის ამისი მოწამე თავილდარი გლურჯიძე მანუჩარ, ჩვენი აზ-

¹ კრულობა გამოტოვებულია ჩვენ მიერ.

² ხევულად.

ნ[ა]ერშეილი კობიაშვილი დემეტრე, ფარემუჩ. მე თუმანიშვილს მამუკას დამი-
წერია და მოწამეც ვარ. დაიწერა გიორგობის იზ, ქორონიქონ]ს უა. []¹

223. 1713 წ. მამულის წყალობის წიგნი, მიცემული კუ დომენტის მიერ მღ. მახარებე-
ლისადმი. დედანი. 59,5X22,2 სმ, დაწერილი თეთრ ქადალდნე მხედრული ხელით. გან-
კვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღად
აქვს 1713 წ.—საქ. მუხ., პე 1733 Ad.



ქ. . ესე უკუნისამდე უამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და მი-
ზეზშემოულებელი წყალობისა წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ
თქუენ, ნიკოლოზისაგან გაზრდილს ჩვენის სახლთუხუცის ყმას შლდელს გური-
ულს მახარებელსა;—ასე და ამა პირსა ზედა, რომე მაღალაშვილმან იასემ დიალ
ავი საქმე ქნა და ტყუები დაყიდა. ვეცადენით და ვერას საქსრით და ფასით
ტყუები ვერ დავაცსწევინეთ და სრულიად თავის სახლ-სამყოფთაგან და მიწა-
ნატამალთაგან და ყოვლის მისის საცხოვრებელისაგან კვებულ ვყავით, ვითაც
ჯერ იყო, ერთსა ეგეთსა ძვირის-მოქმედსა ზედა უნამეტნავესად წეს იყო,
რასაცა ოდენ გაესწყრომოდით ანუ თვალთაგანი, ანუ კელთაგანი, ანუ
ფერეთაგანი ანუ ერთი ასოთა მისთაგანი მოგვეუეთა კნინლა და ვიდრე
სიკუდიდ მიწევნულ-გვექმნა, არამედ ამის ესე ვითარისაგან განვათავისუფლეთ
კათოლიკე სამოციქულო ეკლესიისა და კვართისა უფლისა პატივისათვინ და
საკანონოდ დაგვიდვა და დავადებინეთ მიწა თავის განაყოფის ერასტის იქრთ
კვევამდი, ზეით გზიმდი. ქვემო ერასტის მიწის სამდლურამდი რაც არის, ეს სულ
დავალებინეთ და შენ მლდელს მახარებელს, სყყდრისათვინ რომ წიგნები და-
გაწერინეთ, იმის ფასში ეს საკანონოთ დადებული მიწა გიბოძეთ ყოვლის მი-
სის მონათესავეს კაცისაგან ულაპარაკოთ და მოუსარჩელად და არას მათსა
ნათესავსა კელი არავისა აქუს და ვერცავინ წამოგედეოს.. გქონდეს და
გიბედნიეროს ღრთნ საყდრისა და ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შიგან. არიან
ამისნი მოწამენი და შუადამხდურნი სახლთუხუცესი იმილბარ და მდივანი სო-
ლომონ, მოწობლიდე გაბრიელ, გედევანიშვილი სარდალი ზაზა, დეკანოზი ათა-
ნასე, კანდელაკი გერასიმე, ქარციძე ზურაბ, მაღალაშვილი ხუცო, მგალობელი
იორამ და ერთობით მცხეთელნი. დაიწერა კელითა კელმწიფეს კარის დეკანო-
ზის შეილის მიქელისათა ქორონიქონ]ს უა. ქითოლიკონ] პატრიაქი დომენტი
ვამტკიცებ ნებითა ღუთისაც]თა².


¹ სათაური სხვა ხელით: ზურაბ ეშიკალასბაშის მოცემული წიგნია ხაბაზი ბიჭისა.

² ხვეულად

³ დასასრულს სათაური სხვა ხელით: ქ. წინარეხს იასე მაღალაშვილს საკანონო მიწა
რომ და[ა]დგებინა ბატონმა, მლდელს მახარებელს უბოძა ეს წიგნი.

224. 1713—1727 წლ. ახლო. ბატონიშვილის წიგნი, მიცემული პაატა წვენიაშვილის მიერ თანა მოურავის-შვილისადმი. დედანი. $31,6 \times 16,2$ სმ, დაწერილი თეთრი ქალალდება მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უზის; თან მოურავის-შვილი გვხვდება საბუთებში 1713 და 1727 წლებში და ეს საბუთიც ამ 1713—1727 წლების ახლო დროს უნდა ეკუთვნოდეს— საქ. მუხ., № 2814 ჩა.

ქ. ნებით[ა] და შეწევნითა მღვენისა[თა], ესე წიგნი მოგართვი მე, წვენია- შვილმა პა[ა]რამ ოქვენ, მოურ[ა]ვის-შვილს ომანს,—ასე რომ ერთი უს[ა]რჩხი ქაცი ვიყავ, მოველ და შემოგეხვეწე ლ[ა] ჩემი თ[ა]ვი მოგართვი]. ოთ[ა]რის ნ[ა]მზითვი ვიყავ და ოთ[ა]რ[მა]ც [გა]მოგართვა ჩემი ფასი და [ა]რას კაცს ჩემ- თ[ა]ნ ხელი არა ქონდეს და [ა]რც თქვენს უკეთესი ბატონი მინდოდეს. რ[ა]გინდ უკეთესი ბატონი ვიშოვნო, თქვენს იქით ვერს[ა]დ წ[ა]ვიდე. არის ამისი თ[ა]ვ- დები და შემრიგე ოთ[ა]რ გოგიბაშვილი. თუ მე თქვენზე უარშიობა მოვინდომო, ოთ[ა]რის მოწმობით რ[ა]ც ჩემზე ხ[ა]რჯი გვეძნ[ა]სთ, ყველა ისევ მოგართვა. არის ამისი მოწამე და დ[ა]მზ ური ახ[ა]ლქ[ა]ლაქ[ე]ლი მამასახლისი ელისბარა, სტეფან[ა]შვილი ბეჭან. მე ბეჭ[ა]ნს გოგიბ[ა]შვილს დამიწერია და მოწმეც ვარ. +



ამისი გამრიგე და თავდები მე ოთ[ა]რ ვარ, თუ ამას წ[ა]მოგედ[ა]ოს, პ[ა]სუ- ხს გამცემი ვიყო.



1

225. 1713—1738 წლ. ყმის სახლკარისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული დი- დი ს მოურავის |გიორგი სააკაძის| შეიღლის-შვილის დავითის მიერ ბეჟანა ნახარას-შვი- ლისადმი. დედანი. დაზიანებული (თავი დაზულია, შუა გულიც სამ ადგილას ამოჭმუ- ლი). 59×22 სმ, დაწერილი თეთრი ქალალდება მხედრული ხელით. ტექსტს დაზიანების გამო შეუში და ბოლოში აკლია. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახ- მარია თითო წერტილი. თარიღი არ უზის: დავით სააკაძე გვხვდება საბუთებში 1713 და 1732 წლებში, დამწერი სტეფანე კანდელავის-შვილი—1738 წელს და ეს საბუთიც 1713—1738 წლებს შეიძლება ეკუთვნოდეს—საქ. მუხ., № 2514 ჩა.

... ესე ამიერით უკუნისამდე უამთა და ხანთა გასათავებელი, დროშე- მოუგდებელი და მიზეზ უაუდებელი, ყოვლის კაცისაგან უცილებელი, მტკიცე და

¹ სათაური სხვა ხელით: ქ. ეს წიგნი წვენიაშვილისა[ა].

უცვალებელი ნასკიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, დი-
დის მოურავის ძის ძემა დავით, ძმათა ჩემთა როსტომ და ზეშთელ, შვილმა
ჩემმა ზაზამ, შვილთა და შომავალთა სახლისა ჩემისათა ყოველთავე შენ, ნაზა-
რაშვილს ბეჭანას, ძმათა შენთა ნაზარასა, ჩიტუასა და რამაზასა, შვილთა და
მომავალთა სახლისა შენისათა ყოველთავე;—ასე რომე დაგვეჭირა და მოგყიდეთ
ჩვენის სამკვიდროს ყმის დაბალიშვილის სახლკარი მისის შესაელით, გასავლით,
თავის დუქნით, წინ ბოსტანი, იქნთ სამძლვრა[მდინ] . .

წვერიანის-შვილის სამძლვრამდი კიდევ მიწა და შარ . .
. სამძლვრამდი; კიდევ კალიაშვილის ვენაკი, თავს ჩემს ზერამდი,
ბოლოს აღაჯანას-შვილის ვენაკამდი, საქენაქროთ ზალინაშვილის ვენაკამდი,
საზენაქროთ ორლებემდი; კიდევ ჩიხორელის ნაქონი ვენაკი, თავს აღაჯანაშ-
ვილის სამძლვრამდი, ბოლოს ჯანჯალის ვენაკის მიჯნამდი; კიდევ მოგყიდე
დაბალიშვილის მიწა ახალქალაქს, თავს ქარვასლამდი, ბოლოს თინიაშვილის
მიწამდი, საზენაქროთ ალელის-შვილის მიწამდი, ზეით ედილაშვილის სამძლვრა-
მდი; ავილევით ფასი სრული და უკლებელი, რითაც ჩვენი გული შესჯერდებო-
და. აღარა დარჩომილა რა ჩემსა და შენში სალაპარაკო. ვინც ამას წამოგედა-
ოს, პირისა და პასუხის მიმცემი ჩვენ ვიყოთ. გქონდეს და გიბედნიეროს ლ[მერ]-
ო[მან], როგორც სხვის აღალს მონასყიდეს მოქარებოდეს. არიან ამისნი მო-
წამენი, გამრიგენი და დამხდურნი თავად ლ[მერ]თი და ყოველნი მისნი წმიდა-
ნი ჰეცისანი და ქვეყანისანი და კაცთაგან [ჩემი განაყოფი იორამ, კიდევ ჩემი
განაყოფი ზაზა. თარხნის ძმა სვიმონ, დეკანოზი წმიდის ევსტათისა პავლე,
მღლელი დავით+, ჯორაშვილი სენია, ცალქალამნიძე ფირან, მჭედლის-შვილი
მახარე+, მამასახლისის-შვილი გიორგი, მაქანდარაშვილი იოვანა, ტერ-სიმონა,
ქულუაშვილი ბეჭანა+, ტერ-გასპარა+. ვინცა და რამა[ნ]ცა კაცმან ეს მოგიშა-
ლოს, მასამც მოეშლება ლთისაგან თავისი ყოველი კეთილი საქმე, ხოლო ამისი
და მამტკიცებელი ლ[მერ]თ[მან] აკურთხოს. დაიწერა ეს წიგნი კელითა
კევის კანდელაკის-შვილის სტეფანესითა. თვესა იანგარსა ოცდა ერთსა და ქ[ო-
რონი][კონ]სა

[და]ვით¹ [როს]ტ[ომ]²³

226. 1714 წ. მარტის 22-ს. წყალობის წიგნი, მიცემული რუსუდან დედოფალის მიერ იე-
სე გერმანოზის-შვილისადმი, დედანი. 34,5×13,3 სმ, დაზიანებული, დაწერილი მოყვითა-
ლო ქალალდება მხედრული ხელით; განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ
ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღად აქვს 1714 წ.-საქ. მუს., № 3059 ჩდ.

ქ. ნებითა და შეწევნითა მლთისათა [ესე წყალობისა წ]იგნი და სიგელი
შეგიწყალეთ [და გიბოძებთ ჩვენ] ლ-თისაგან ლირსად წყალობა—მინიჭებულმა

¹ ხვეულად

² ხვეულად

³ მინაწერები სხვა ხელით:

ქ. ნაზარაშვილის სიგელი.

ქ. მოკითხე[ვ]ის წიგნები.

დედოფალმა პატრიონმა ოუსუდან, პირმშომა და სასურველმა ძემან ჩვენმან ბატონის-შვილმა ბაქარ და გიორგიშ თქვენ, ერთგულთა და თავდადებით მრავალგვარათ ნაშაახურსა გერმანოზის-შვილს იცეს, შვილთა თქვენთა ოთარს . . . და მომავალთა სახლისა თქვენისათა; — მაჟამსა ოდეს თქვენ და თქვენი სახლის-კაცი გაიყარენით. ენაგეთს ექვსე (sic) კვამლი კაცი გასამყრელოთ აგართვით. იმის ნახევრის სამის კაცის წყალობას დაგვიაჯვენით; ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მიხსენება თქვენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ ენაგეთს თქვენი ბარათში გამოყოლილ ბერის-შვილი ასატურა, მისი ძმა, მამუკა მამუჩის-შვილი, ელისბარა ოსის-შვილი, დღეს რასაც მამულის შქონებელი იყოს, თქვენთვის [და] შვილთა თქვენთათვის გვიბოძებია. გქონდეს და გიბედნიეროს ღრთნ ჩვენსა ერთგულათ სამსახურსა შინა, არაოდეს არა მოგეშალოს არც ჩვენგან, არცა შემდგომთა-სხვათა მეპატრონეთა დედოფალთაგან. აწე გიბძანებთ, კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო, ბძანება და ნიშანი ესე ჩვენი თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ, როგორა-თაც ამა ჩვენგან ნაწყალობევსა სიგელში ეწეროს, ნუვინ შლად ხელყოფთ-თვინიერ თანადგომისაგან კიდე. დაიწერა ნიშანი და ბძანება ესე ხელითა კა-რისა ჩვენისა მდივან-მწიგნობარის შანშიან მარტიროზის-შვილის მდივნის ბეგ-თაბეგისითა. მარტის კბ, ქ[ორონი]ქ[ონ]ს უბ. ოუსუდან. ¹



227. 1714 წ. ივნისის „დამდეგს“, მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული დემეტრე და ოთარ პაპუნაშვილების მიერ ამილბარ მალალაძისადმი. დედანი. 59,7×22,2 სმ, დაწე-რილი თეთრ ქალალდე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღად აქვს 1714 წ.—საქ. მუზ., № 1619 ჩბ.

ქ. . . ესე ამიერ უკუნისამდე უამთა გასათავებელი ნასყიდობის წიგნი მოგეცით ჩვენ, თხილვანელმან პაპუნაშვილმა დემეტრემა, ოთარამა და შვილმა ჩვენმა ივანემა და მომავალთა სახლისა ჩვენისათა თქვენ, მალალაძეს სახლთხუ-ცეს ამილბარს, შვილსა შენსა გიორგის, დემეტრეს და რევაზს; — ასე რომე და-გვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენი ნასყიდი ზავრადაშვილის მოსყიდული მიწა ოთხის დღისა და ნახევრისა საზომითა ჭობის რეს ქვევით, ზედ რუსელა თავი აქვს, საზენაქროთ ბარდაძის მიწის სამძლვრამდი, საქვენაქროთ მიქელაძე ჩემის ბა-ტონის მიწის სამძლვრამდი, ქვემოთ ჩემის განაყოფის მიწის პტყელას სამძლვრა-მდი; აეიღეთ ფასი სრული, რითაც ჩვენი გული შეგვერდებოდათ. გქონდეს და გიბედნიეროსთ ღრთნ. არის ამისი მოწამე თავად ღრთი, კაცთაგან დედანაშვი-ლი. ბერი, კანდელაკიშვილი მლდელი გიორგი, პაატიშვილი ივანე, დავალიძე

¹ ხელულად

ბერუკა, ჩემი განაყოფი პეტრე, თქვენი ყმა კელაპტრიშვილი თამაზა, მონასე-ლიძე ელისბარი და მოხველი თქვენი ყმა პეტრია. მე მახარებელს დამიწერია და მოწავეც ვარ ქორონიკონს უბ, თიბათვეს დამდეგს დაიწერა + + +.

228. 1714 წ. შვილის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ბერი ახალკაცის-შვილის მიერ ფარ-სადამ და ალხაზ მახაბლებისადმი. დედანი. დაზიანებული ბოლოში მარცხნა მხარე მოგლეჯილია და დაკარგული). $31,5 \times 15,3$ სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედოული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. შენახულია პირიც (ც.—არქ., დავთ უ. მართ. 29/154). დაზიანებული ადგილი აღდგენი-ლია პირით—საქ ც.—არქ., ფონდი 226, № 5132

ქ . . . ესე ამიერითგან უკუნისამდე უამთა და ხანთა გასათავებელი ნას-ყიდობის წიგნი მოგეც მე, ახალკაცის-შვილმა ბერმა და შვილმა ჩემიზე დათუ-ნამ, თამაზამ, პაპუნამ, მომავალმა ჩენისამან; — მრავალს კაცს აღამის ძეს ბევრს სხდის უქნია, ჩენც დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩენი შვილი და მა პაქტა, ზოგყიდეთ თქუნ, მახაბელს ფარსადანს და ალხაზს; ავილევით ფასი სტური (sic), რითც ჩენი გული შეჯერდებოდა... არც ამისი მოწამე კაცთაგან მახა-ბელი ლევან, მაისურაძე ბერი, მაისურაძე ივანე, გოგინაშვილი გიორგი, როს-ნაძე ზაზუტა, მამუკაშვილი ბერი და ზაზუტა, სენია ბასის შვილი, სულხელი-ერთ-პირ ბასის-შვილები, დემეტრე მელაძე; თუ ან ბატონმა ჩემმა შეგიშალოს, ან სხვამ, პასუხი მე გავსცე. კიდავ (sic) ამისი მოწამე ევფენიაშვილი ზურაბ, მე ღოდოფლის კარის დეკანოზის შვილს ესაიას დამიწერია და მოწამეცა. ვარ ამისი ქორონიკონს უბ. + + +

229. 1714 წ. ყმების ნასყიდობის წიგნი, მიცემული ზაალ ელიოზის-შვილის მიერ ამილბარ-მადალაძისადმი. დედანი. $9,2 \times 32$ სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი თარი-დად აქვს 1714 წ.—საქ მუხ., № 1811 Ad.

ქ . . . ესე ნასყიდობის სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩენ, ელიოზის-შვილმა ზაალ, შვილმან ჩემან ელიოზ, ზურაბ და ბერმან თქუნ, სვეტისცხოვ-ლის სახლთხუცეს მალალაძეს ამილბარს და შვილთა თქუნენთა გიორგის, დემე-ტრეს, რევაზს და იოვანეს; — მას უამსა ოდეს დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩენი სამკვიდრო და საბოლო და ბარათში გამოყოლილი მეტებს. ჩენი ყმა მებურის-

¹ სათაური: ქ.. ფხინოლელის ოთარასაგან ნასყიდობის მიწის წიგნი.

შვილი ოქროა, მისი შვილი გირჩგითავის შეიღებითა და ძმისწულითა, მისი
 ძმისწული დათუნა, ნიკოლოზ და ჩაქარია, მისი ბიძას შვილი ბასილა, მისი შვი-
 ლი ესტატე ამათის მამულითა, დღეს რისაც მქონებელნი იყუნენ, სახლითა, კა-
 რითა, ქვევ-მარანითა და გარეშემოოთი ნატამლითა, ვენახითა და საბოსტნითა;
 მიწითა, წყლითა, წისქერლითა, სასაფლაოთი, საკაფითა, უკაფითა, ნასყიდითა
 და უსყიდითა, საძებრითა და უძებრითა, ჭალითა და საწყლის ბიროთა და უკვ-
 ლის მისის სამართლიანის მზღვრითა და, რომელიცა ბლივის ბარათითა დაი-
 წერების და ავილევით ფასი სრული უნაკლულო, რითაც ჩვენი გული შესჯერ-
 დებოდა და არა დარჩიმილა-რა ჩვენი თქუენზედა ერთი იოტის ფასი. გქონ-
 დეს და გიბედნიეროსთ ღონის გლეხი და მამული ჩვენგან მოსყიდული გლეხი
 ესე და მამული, რარიგადაც სხვას მონასყიდეს მოხმარებოდეს და გამოსდგო-
 მოდეს... არიან ამის შოწამენი... მაღალაძე მდივანი სოლომონ მაღალა-
 შვილი [], მაღალაშვილი ერასტი, ¹ საამ [], სარიდან, ¹ გედე-
 ვანის-შვილი გედევან, ¹ ზურაბ, ¹ პაატა, ¹ სვეტის-ცხოვლის დეკანზი დანიელ, ¹
 კანდელაკი პეტრე, ¹ მისი ძმა იოვანე [], თაზის-შვილი პაატა ¹ და შიოშ, ¹
 ელიზბარი, ¹ ქაიხოსრო, ¹ ელიოზის-შვილი სეხნია, ¹ იოანე + და ოტა, ¹ მგა-
 ლობელი დათუნა ¹ +, მელინეთუხუცესი შიოშ, ¹ ბოჭორაძე ნაცვალი ბერი, ¹
 დეკანზი დემეტრე, ¹ აზმაითარას-შვილი იოსებ, ¹ ქაიხოსრო, მაზიტა და თა-
 მაზა, ¹ მამასახლისი გარევან, ¹ გზირის-შერლი პაპუა, ტატანას-შვილი გიორგი, ¹
 კალატოზის-შვილი ბერუკა, აღონას-შვილი დათუნა, გოგილას-შვილი გიორგი,
 ტაბელას-შვილი იოანე და სულერთობილნი მეტეხელნი ამისი მოწამენი და
 შუამდგომელნი. დაიწერა სიგელი ესე ქიორონიკიონისა უბ კელითა კელმწიფის
 დედოფლის კარის დეკანზის იოვაკიმის ძის მწიგნობარ-მგალობლის დავით
 მლდოლისათა. + + +

ქ. კიდევ ამისი მოწამენი მეტების მოურავი მაღალას-შვილი გიორგი,
 ძმა მისი ფირან +, მისი ბიძას შვილი ბარამ +, ჭარმეული ქაიხოსრო []².

230. 1714 წ. ყმების ნასყიდობის წიგნი, მიცემული გიორგი შალბელიქის-შვილის მიერ
 დავით ამილახორის შვილისადმი. დედანი. დაზიანებული (თავი მოხულია და დაკარ-
 გული). 45 × 22,3 სმ, დაწერილი თეთრ ქალადზე მხედრული ხელით. განკვეთილობის
 ნაშად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღიად აქვს 1714 წ.—
 საქ. მუხ., № 7989. ჩ. 1.

. . . ესე ფიცი, პირი და ნასყიდობისა წიგნი სამკვიდრო და საბოლო-
 ვოდ გასათავებელი დაგიწერეთ და მოგართვით ჩვენ, შალბელიქის-შვილმა გი-

¹ აქ ბეჭდის დასასმელი ცალიერი ადგილია დატოვებული.

² სათაურები სხვა ხელით: ქ. მეტეხეთ გელიაშვილების ნასყიდობის წიგნი ელიოზიშვი-
 ლისაგან. ეს ოჯახის ნასყიდობის წიგნი არის.

ორჟიმ და შვილმან ჩვენმან ქაიხოსრომ და ჯაჯანაშა, სხვათა შვილთა და მო-
მავალთა ჩვენთა ყოველთავე თქვენ, ამილახორის-შვილს ბატონს დავითს და
შვილთა თქუნთა ბატონს იოთამს და სხვათა შვილთა და მომავალთა თქუნთა
ყოველთავე; — შას უამსა ოდეს დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენი ალალი და ყოვ-
ლის კაცისაგან მოუდევარი ყმა სალარიძე ბერი და იმისი ძმა ივანე, ამათი
შვილები მხთისია და შიო, კიდევ მეორე ჩვენი ყმა ნებიერიძე გოდერძი, ხოსია,
თამაზა და ათანასე ამათის ცოლშვილითა, სახლკარითა, ქვევრ-მარნითა, სასა-
ფლაოთა და საყდრისკარითა, წყლითა და საწისქვილოთა, ველითა და ვენაკი-
თა, შენითა და ოკერითა, მთითა და ბარითა, შესავლითა და გამოსავლითა, მა-
თის სამართლიანის საქმითა, უძებრითა და საძებრითა, კიდევ ნაცრისგორს
კოდაბუნი. ესები ყველა სამკვიდროთ და საბოლოოთ მოგვიყიდნია და გიბედ-
ნიეროს ღრთნ, როგორადაც მრავალს ალალს მონასყიდეს მართებდეს; არა
დარჩომილა რა თქვენსა და ჩვენ შუა არც ერთის იოტის ფასი. თუ ვინმე წა-
მოგედაოს, პირისა და პასუხის გამცემი ჩვენ ვიყვნეთ. ამის გათავების თავდე-
ბად მოგვიცემია თავად ღრთ... კაცთაგან ამისი მოწამენი არიან შალბელიქს-
შვილი ლევან, ტატის-შვილი ლომი, ჩვენი მსახური მასურა და ხუციაშვილი
პაპუნა და ცელქია, თქუნი აზნაურის შვილი ჩიკოიძე პაპუა, ქარუმიძე რევაზ;
აბაშიძე ქაიხოსრო, ცუცქირიძე პაპუნა. . . . დამიწერია ვახუშტის და მოწამე-
ცა ვარ ამისი. ქლორონიკონის უბ. | | | + +

231. 1714 წ. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ზაზა საგინაშვილის მიერ ას-
ლამაზ ჩაჩიკას-შვილისადმი. დედანი, დაზიანებული თავსა და მარცხნა გვერდზე-
49,3×24,1 სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად
ყოველი სიტყვის შემდევ ნახმარია ორ-ორი წერტილი.—საქ. ც.— არქ., ფ.—, № 2890.

ქ. . . ესე ნასყიდობის სიგელი დაგიწერინე და მოგეცით მე, საგინაშვი-
ლმან ზაზამ და შვილმან ჩემმან იოთამ, შვილთა, შვილის-შვილთა და მომავალ-
თა სახლისა ჩემისათა შენ, ჩაჩიკას-შვილს ასლამაზს, ძმასა შენსა გიორგის, ავ-
თანდილს, შვილსა შენსა კაციას, შვილთა, შვილის-შვილთა და მომავალთა სახ-
ლისა თქვენისათა; — მოგყიდე მჩხიკუმთას (sis) ამზუას-შვილი სუხანა, მისი ძმა
გიორგი, რაზედაც საკომლოზედ სახლობენ მათის ორის წილით. მამულით, სახ-
ლით, კარით, ქვევრ-მარნითა, კალოთა, საბძლითა, მისის შესავალ-გასავალითა
და გარეშომოთა, საბოსტნითა, წყლითა, წისქვილითა, საწყლისპიროთა, მათის
ვენაკითა, სასარითა, მთითა, ბარითა, საკნავითა, სათესითა, სარწყავითა, ურწ-
ყავითა, ნასყიდითა, უსყიდითა, ყოვლის მისის სამართლიანის სამძლურითა, დღეს
რისაც მქონებელნი არიან. მოგყიდეთ და ავიღევით მისი ფასი სრული, რითაც
ჩვენი გული შეიჯერიეთ; ჩვენში ერთი იოტის ფასი არა დარჩომილა რა... ამი-
სად გასათავებლად და თავდებად მომიცია პირველად ღმერთი... არიან ამისი
მოწამენი კაცთაგან საგინაშვილი დედოფლის ეშიკალასბაში დურმიშხან, მისი

განაყოფი ბეჭან, საგინაშვილი როსტომ, პაპუა +, ბესპახ ბესპახ, ზურაბ


....., თულაშვილი იესე +, თულაშვილი ზურაბ ზურაბ დაიწე-

რა სიგელი ესე თებერვლის იე კელითა სიონთა მღთისმშობლის კანდელაკის
გრიგოლისითა ქ[ორონი]ქ[ონ]სა უბ +.


ქ. სარდლის ნაზირი თ[ა]ყა.



ქ. მიჩიყა.




ქ. მე, ბეჭან გულიზას-შვილი ამის მოწამე.



ქ. შე, სარდრ[ი]ს ხაზინ[ა]ლ[ა]რ[ი] ვართან მოწამე.

ქ. ჩვენ, ყორჩიშვილი ბეჭანა ამის მოწამე.



ქ. მე, საგინას-შვილი იორამ ამის მოწამე.



ქ. . . . ესე წიგნი მოგეც მე, ჩაჩიყაშვილმან ასლამაზამა თქვენ, საგინას-
შვილს ბეჭანს, შვილსა თქვენსა თამაზასა, დათუნასა და ზაზ[ა]სა;—მერმე ჩემი
ნასყიდი ამზუაშვილი ჩხიქთას სულხან და გიორგი, როგორც ამ ნასყიდობაზი
სწერია, ამ მამულით გამიცვალე ირდასუბანს შათორის შვილზედ. გქონდეს და
ვიბეღნიეროს ლ[მერ]თ[მა]ნ. არის ამისი მოწამე კობიაშვილი იოსებ, მანათურა-
შვილი მაყა, სარქისას-შვილი გიგოლა, თამაზაშვილი პაპია და სულ იორდასუბ-
ნელნი. რაც კემწიფის ჭირი სდებოდეს, თავთ[ა]ვის ჭირი გლეხმან გარდაიკა-
დოს. დაიწერა ესე წიგნი მკათ[ა]ოვის დამდექს, ქ[ორონი]ქ[ონ]ს +.

232. 1714—1729 წლ. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ზაზა საგინაშვილის მიერ ამილ-
ლაბარ გოსტაშაბიშვილისადმი. პირი, გადაწერილი უზენაეს მართებლობის ბრძანებით
XIX ს—ის დასაწყისს. თარიღი არ უზის: ზაზა საგინაშვილი გვედება საბუთებში 1700,
1720, 1743, ხოლო ამილლაბარ გოსტაშაბიშვილი—1723 და 1729 წლ. ჩვენი საბუთიც
დაახლ. 1720—1729 წლ. შეიძლება უკუთნოდეს—საქ. ც.—არქ., ფ.—, № 34/30.

ესე ნასყიდობის წიგნი მოგართები მე, ზაზამ საგინაშვილმა თქვენ, გოსტა-
შაბიშვილს ამილლაბარს, მოგყიდე ბოგველი ჩემი ყმა კახიშვილი ბერია, ავილე
ფასი სრული, რაც ჩემი გული შეგჯერდებოდა. არას კაცს ხელი არა ქონდეს.
თუ ვინმე შემოგეცილოს, პირისა და პასუხის გამცემი მე ვიყო. არის ამისი

მოწამე გიორგი ქავთარიშვილი

[] , პარტა გერმანოზიშვილი

[] , ზაზუნიშვილი ზა[ა]ლ. — მისის ცოლით, შვილით, საქონლით. მე,

ბეჭანს საგინიშვილს დამიწერია და მოწამეც ვარ. []

233. 1715 წ. მარტის „დამდეგს“. შვილის ნასყიდობის წიგნი, მიცემული სულხანა ნასყიდა-
შვილის მიერ ბეროა ბეჭანაშვილისადმი. დედანი. დაზიანებული თავში. 45×20 სმ,
დაწერილი მოთეთრო ქალალდებული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი
სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო, ორ-ორი ან სამ-სამი წერტილი. თარიღიად აქვს
1715 წ. საქ. მეტ., № 13062 ჩბ.

ქ. . . ეს ნასყიდობის წიგნი მოგეცი მე, ეკლესიელი ნასყიდაშვილმან სულხა-
ნამ, შვილმან ჩემან, სახლის მამავალმან (?) ჩემან. შენ, ბეჭანაშვილი ბეროას;—
ასრე რომ დამეჭირდა, მოგიდევი კარს შენს, მოგყიდე ჩემი ქალი მეყოა, გამო-
გართვი ფასი სრული, რითაც ჩემი გული შესჯერდებოდა. არა დარჩა ჩემი
ოქუნს კელთ არც არა ერთი იოტის ფასი. მოგცეს და გიბეღნიეროს ღრთნ,
არვინ იყოს შენი მოცილე . . . თუ ვინმე წამოგედავოს, პასუხის გამცემი მე
ვიყო. . . არის ამისი მოწამე კაცთაგ[ა]ნ მელიქ აშხარბეგ [], მამას[ა]ხ-
ლისი ფარსადანა [], გოდერძაშვილი ჭონი მოსესა, ² ახალ ქევხუდანთ ნას-
ყიდა [], ხარაზ გიორგი, ³ თარხანაშვილი ნასყიდა. მე გომშ[ა]ტ[ა]ლ[ა]ნთ
ს[ა]ფარას დამიწერია, მოწამეცა ვარ. დაიწერა ესე წიგნი მარტის დამდექს,
ქორონიკონის უგ. +

¹ მინაწერები: ასლთან სწორ არს. სოფეტნიკი რატივები.

ნამდვილი წერტილი მივიღე. თ'ი დავით ბარათოვი.

² აქ ბეჭდის დასასმელი ცალიერი ადგილია დატოვებული.

234. 1715 წ. იენისის 2-ს. ნასყიდობის წიგნი, მიცემული კაცია ბურნაძის მიერ ნიკო-
ლაზ ორბელიშვილისადმი. დედანი. 33,2×17,4 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხე-
დრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. თარიღიად აქვს 1715 წ.—
საქ. მუხ., № 1904 სა.

ქ. . . ესე ნასყიდობის წიგნი მოგარევი მე, ბურნაძე ქრისტესიაშვილ-
მა კაციამ თქუენ, ორბელიშვილს მროველს ბატონს ნიკოლოზს;—ასე რომე
ვალისაგან შეწუხებული ვიყავ და არას ლონით იმისი გარდახდა არ შემექლო,
მოველ და შამოგახვეწენით. თქუენ წყალობა მიყავით და იმ ჩემის ვალებისაგან
დამიხსენით. მე ეს წიგნი მოგაროვი თქუენ: მე და ჩემი შვილი ადამ და და-
ვით, ეს სამნი მამა შვილი თქევენ ნასყიდნი ვართ. თუ ვინმე ჩვენს თავს წა-
მოგედაოს, პასუხის მიმცემი ჩვენ ვიყოთ. ღრ ჩვენი თავი სამსახურით მოგახმა-
როსთ, როგორც სხვას. მონასყიდეს. არას კაცს ჩვენთან კელი არა აქვს ლ-თს
გარდა, ჩვენს თავს ვერცავინ წამოგედაოსთ. არის ამისი მოწამე ბეგთაბეგის-
შვილი მდივანი ავთანდილ¹, მელიქი აშხაბ-ბეგა¹, მამასახლისი ფარსალანა¹,
მამათმთავარი ზალ¹, მხატვარი გიორგი¹. მე მგალობელს ლეუანს დამიწერია
და მოწამეცა ვარ. დაიწერა წიგნი ესე იენისს ა, ქორონიქონის უგ. + + +

ქ. ამისი მოწამე მე სახლთხუცესი თეიმურაზ.

სხვა ხელით:

ქ. ქრისტესიაშვილის კაციასაგან თავის თავის გაყიდვის წერილი.

235. 1715 წ. იენისის 17-ს. ღალის ამოკვეთის წიგნი. მიცემული იესე მეფის შემცირ დავი-
თა ღოლმაზაშვილისადმი. პირი ქ. ს.-ის დასაწყისისა. 23,2×16,7 სმ, გადაწერილი
ორად გაკეცილ თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშან ადგილ-
ადგილ ნახმარია თითო წერტილი—საქ. მუხ., № 2590 სა.

ქ. ესე წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალე და გიბოძეთ ჩვენ, მეფეთ-
მეფემან პატრონმან იესემ თქვენ, ჩვენს ერთგულს ყმასა ღოლმაზაშვილს დავი-
თასა;—მას უამასა ოდეს მოგვიღეგით და ბოლნის ხუთის ღლის მიწის თელის
მიწების დარგში და ხუცი ღლისას თურმანიძის მიწების დარგში გლეხისაგან
ნასყიდისა ღალის ამოკვეთას დაგვეაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვე-
ნი და წყალობა გიყავით, რომე არაოდეს ამ ათის ღლის მიწის ღალა. არ გეთ-
ხოებოდეს არა ჩვენგან არცა სხვათა მეფეთა და მეპატრონეთაგან. აწე გიბი-

¹ თითოეული მოწმის დასახელების შემდეგ ბეჭდის დასასმელად ცალიერი ადგილია და
ტოვებული.

ნებ ბოლნისის მოკელებო, ეს ბძანება ოქვენც ესრეთ დაუმტკიცეთ. ქ[ორონი]-ქ[ონ]ს უგ, მთიბათვის იზ გასულს. ოლიტულისან¹.



236. 1715 წ. ივლისის 9. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ოთარა უკანბერიძის მიერ კაპუნა დოქიძისადმი. დედანი. 32,4 × 24,7 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. ასო—მეტ-ნაკლები. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაზმარი ორ-ორი წერტილი—საქ. მუზ., № 1835 Ad.

ქ . . . ესე ამიერ უუნისამდე ხანთა და უამთა გას[ა]თ[ა]ვებელი, მტკი-
ცა და შეუცვალებელი ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგეც მე, უკანბერიძეშ
ოთარამ და ძმისწულმა ჩემ[მ]ა ბერმა და შვილთა და მამავალთა სახლის[ა] ჩე-
ნისამა თქვენ, პაპუნას დოქიძეს; — ასე რომე ჩემი მემკვიდრე ყმის შვილი
ლომეკი[რ]შვი[რ]ლის ბერის შვილი მამპარა ნ[ა]დირა ჩემ[მ]ა] სიძემ და ახალცი-
ხეს გამიყიდა და იმ საქმეზედ ბატონის-შვილი ბატონი კათალიკოზი გამიწყრა
და ის ბიჭი ისევ დამახსნევინა და თ[ა]ვისთვის დაიჭირა და მერმე ბატონს კა-
თალიკოზს შენთვის ექნა წყ[ა]ლობა. მერმე გამოვიდა პასტა ხანი, ვილაპ[ა]რ[ა]-
კეთ და იმ ბიჭის წყ[ა]ლობა ისევ მე მიყვეს. იმ ბიჭმა ჩემკენ აღარ მაიწივა, ავ-
დექ და ისევ შენვე მოგყიდე. ავიღე ფასი სრული, რითაც ჩემი გული შეგჯერ-
დებოდა. ამისად გასათავებლათ მოგვიცემია თავდებათ თავად ღმერთი და
ყოველი მისი წმინდანი, ქაცთაგან ციცის-შვილი მანუჩარ, სახლთუხუცესი
ამილბ[ა]რ მალალაძე. სა[ა]კა[ძ]ე² შალვა და სულ ერთობილი მცხეთელნი და
მე მაღალ[ა]ძეს სა[ა]მს დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა წიგნი ესე
მკათათვეს ცხრას გასულს, ქ[ორონი]ქ[ონ]ს უგ. +



237. 1715 წ. აგვისტოს 4-ს. შავარდნის ფასის ამოკვეთის წიგნი მიცემული იესე მეფისა
მიერ მანგლისის ეკლესიისადმი. საბუთი ალნიშნული ეკლესიისა, № 88. დედანი. 43,7 × 24
სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი
სიტყვის შემდეგ ნაზმარია ორ-ორი წერტილი—საქ. ც.—არქ. ფ.— № 1490.

ქ . . . ჩვენ, ღწეულივ-ალმატებულმან, ღწეულივ-დამყარებულმან და ღ[უ]თივ
ზეცით გვირგვინოსანმან, იესიან-დავითიან-სოლომონიან-ბაგრატიანიან ჩეფებან

¹ ხვეულად.

² უკანასკნელი სიტყვა ტექსტში შეცომით სწერია: „საკაცე“. საკაცე შალვა. იხ. საბ.
საქ. მუზ., № 5195 ჩ. 1713 წ.

შეფექთა]მან და კულმწიფემან პატრონმან იესემ ესე ამიერით უკუნისამდე უამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და შეუცვალებელი, სამკვიდრო და საბოლოოდ გამოსადეგი წიგნი და სიგელი მოგართვით თქვენ, პატიოსანსა და ყოვლად სანატრელსა მანგლისისა ლვთისმშობელსა და ძელსა ცხოველსმყოფელსა, მეფეთა სიქალულსა და თხოვათა შინა წყალობითა მომნიჭებელსა, თქვენსა ტახტსა და ხარისხედა მჯდომელსა ჩვენზედა მრავალფერად თავდადებით ნამსახურსა საჭეთ-მცყრობელსა მანგლელ ეპისკოპოს დოლენჯიშვილს არსენს;—მას] ეამსა ოდეს თქვენს მამულში საჯავახიანოს ზაკეს და ფიცეს რაც მანგლელის კაცთ საშავარდნო ედვა და ღილიხანი იყო დაკარგულიყო და ყოველს წელიწადს იმ შავარდნების ფასს საჯავახიანოს ჯავა]ხიშვილის ყმებს და თქვენს ყმებს სთხოვდენ და ართმევდენ, ის სოფლები ამ გვარის ძალით სულ აოხრებულიყო. აწ შოგვი-დეგით კარსა და არბაზისა ჩვენისასა და იმ შავარდნის ამოკვეთას დაგვია-ჯენით; ვისმინეთ მოხსენება თქვენი და ამოგიკვეთეთ, ასრე რომე არაოდეს შავარდნის ფასი და საზღაური თქვენს საყდრის ყმასთ (sic) არ ეთხოვებოდეს იქ მსახლობელთ. შავარდნის ამოკვეთა ესე არაოდეს არ შოგეშალოს არა ჩვენ-გან და არცა სხვა მეფეთა და მეპატრონეთაგან. აწე გიბძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ ვეზირნო და კარით ჩვენით წარვლენილნო საშავარდნოს მკრეფელნო ბაზეირნო, ბძანება ჩვენი თქვენცა ასე დაუმტკიცეთ. ყოველს წელიწადს მანგ-ლელი და მისი კრებული ჩვენს სადლეგრძელოდ და სასულიეროთ ყოვლის (?) მარიობას დღეს ეამსა სწირევდენ და მოგვისენებდენ. შეიწირე შენ, ყოვლად დიდებულო დელოფალო ლვთისმშობელო მანგლისიანო. დაიწერა ბძანება და ნიშანი ესე კელითა კარისა ჩვენისა მღიგან-მწიგნობრისა თუმანიშვილის გივი-სათა. ქვიორონიქონ]ს უგ, მარიობის დ. ალიყულიხან¹.


238. 1715 წ. ყიდა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ერეკლე ფალავანდიშვილის მიერ როდამ ბატონიშვილისადმი. დედანი. დაზიანებული: თავი მოხეულია და დაჭარ-გული. 34,4×15,3 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაშარია ორ-ორი წერტილი—საქ. მუს, № 459 ხდ.

ქ. . . ესე უკუნისამდე უამთა გასათავებელი ნასყიდობის წიგნი მოგეცით ჩვენ, ფალავანდიშვილმა ბატონმა ერეკლემ და შეილმა ჩემიქა ბაგრატ თქვენ, ბატონიშვილს როდამს და შეილთა თქვენთა;—ასე რომე დაგვეპირა და მოგყიდეთ ლვერთეთს ჩვენი სამკუიდრო მამული ხაზაძების მეოთხედი გოგია და მისი ძმა მათის შეილებითა, რისაც მამულის მქონებელი იყოს, მისის საბლითა, კარითა, ჭურითა, მარნითა, ველითა, ვენაკითა, საკნავითა, სათესითა, წყლითა, წისქუი-ლითა, მთითა, ბარითა, ნასყიდითა, უსყიდითა, საცრლოთა თუ უცილოთა, რი-

¹ ხვეულად.

ბოლოს სათაური სხვა ხელით: ქ. საჯავახიანოს შავარდნის სიგელი.

საც მქონებელი გოგია და მისი ძმა იყოს. გქონდეს და გიბედნიეროს ლ[მერ]თ-
[ვა]ნ, როგორათაც თქვენ გინდოდეს. ავილეთ ფასი სრული და უკლები, რითაც
ჩვენი გული შევჯერდებოდა. თუ ვინმე გეცილოსთ, პასუხი ჩვენ გავსცეთ. არის
ამისი მოწამე ბეჭი ძმისწული ივანე, შალბელიქიშვილი გიორგი და ლევან, ლაშ-
ხი დათუნა, მესხიშვილი ბერი და ურია პაპა. მე კემწიფის კარის დეკანოზს და-
მიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. მესამე ძმა დათია რომ ჩვენ წავიყუანეთ,
იმასთან კალი არა გაქუს და გოგია და მისი ძმა შენთვის მოგვიცია. ქ[ორონი]-
ქ[ონ]ს უგ.



239. 1716 წ.-აარილის 8-ს. ვენახის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ჩიტუა გიორგაშვილის
მიერ თავის ბატონ ვინმე ლევანისადმი. დედანი. 34,5×14,4 მმ, დაწერილი ოქთორ ქა-
ლალდებ მხედრული ხელით. ვანკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია
ორ-ორი წერტილი—საქ. მუხ., № 2782 ჩა.

ქ. ნებითა და შეწევნითა მლ[ე]თისითა. . . . ესე წიგნი და პირი მოგართ-
ვის თქუენ, ბატონს ჩემს ლევანს მე, გიორგაშვილმა ჩიტუამა და ძმისწულმა
ჩემა ბერმა და გიორგიმა; —ასრე რომე დიალ საქმე გამიჭირდა და არამ კაცმა
არც შემიხვეწია და არც გამიერთხა და მოგმართე თქვენა და ისევ თქვენ შეიტ-
ყევ ჩემი სიმწუხარე და სხვის გარეს კაცს მიცემას თქვენი მკვიდრი ყმა ვიყავ
და მოგყიდე ვენახი ჩემი ჯიგრაშენს ჩემის (sic) სამძღვრითა და შიგ
ხილით. მიბოძე ფასი, რათაც ლირდა და ჩემი გული შეგჯერდა და ქონდეს და
მოგამაროს ლ[მერ]თ[მა]ნ. რამანც კაცმა ანუ მდიდარმა და ანუ მცირება ქრის-
ტეს მორჩშუნებ ამ წიგნსა და პირიბას საშლელათ აელყოს, მასამც რისხავს
ლმერთი ცისა და ქვეყნის გამკეთებელი და მპყრობელი და მისის ბძანებით
წმინდანი მასნი და ნუმცა იქნების მით განკითხვის დღესა სხნა ჯოჯოხეიიდამ
სულისა მისისა ამინ. არის მოწამე ხაბაზი გიორგი. და[იწერა] ქ[ორონი]ქ[ონ]ს
უდ, აპრილს რვას. + + + არის ამისი მოწამე მოურავი გიორგი და ბიბილა-
შვილი და ტუსიაშვილი და ნასხიდაშვილი და ტაბატაძე. + + +²

¹ სათაური სხვა ხელით: ქ. ნასყიდობის წიგნი ლვერთეთს ჩიტრევასი.

² სათაური სხვა ხელით: ქ. ჯიგრაშენს გიორგაშვილისაგან ვენაგის ნასყიდობის წიგნი.

240. 1716 წ. ბულეის 10-ს. ყმისა და მამულის ნაცყიდობის შეგნი შიცემული ზაალ გეთან-
სანას-შვილის მიერ მოურავის შვილის-შვილ სოლომანისაღმი. დედანი. დაზანებული.
58,6×24,3 სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად
ქრისტიანული სიტყვის შემდეგ ნახმარია. ორ-ორი ან სამ-სამი წერტილი—საქ. ც.—არქ.
ფ.— № 2918.

ქ. . . . ესე ამიერ უკუნისამდე ხანთა და უამთა გასათავებელი, მტკიცე
და უცვალებელი, ყოვლის ჩხუბისა და ილათისაგან გამოსული და მიზეზ-დაუ-
დებელი სამკვიდრო და საბოლოო | წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგაროვით
ჩვენ, გეთარსანას-შვილმა ზაქალ, ძმამა ჩემმა ლომბა, ზურაბ, დავით, ბევან
და ძმისწულმა, ჩვენმან გივმან და მომავალთა სახლისა ჩვენისათა; —ასე რომ დი-
დათ დაგვეკირა მოვედით და შემოგეხვეწერით და მოგყიდეთ ჩვენი საბოლოო | ი
და სამკვიდრო ახაშენს გლეხი და საკომლო, კიდევ ამ მეტყველობას გარდა
ბატონის ჩემის მოურავის და ბევანის გაყრას უკან კიდევ გამოფიცული ტატის-
შვილი ბერი, ძაგანიას-შვილი შიო, იმისი ძმა მახარა თავისის დედითა და დე-
ბითა, ცოლითა და შვილითა, მათის მამულითა ნასყიდითა და უსყიდითა. მთი-
თა და ბარითა, უქმარითა და საკმარითა, ველით, ენაკითა, წყლითა და სა-
გუბრითა, ურწყავითა და სარწყავითა, სახლითა, კარითა, ქვევრითა, მარნითა
და სასაფლაოთა, შასავლითა და გასავლითა, დღეს რისაც მქონებელი იყოს და
ან ჰქონებოდეს, მოგყიდეთ თქვენ, ბატონის ჩემის მოურავის შვილისშვილს
ბატონის-შვილის სვიმონის მეჯინიბერთუხუცეს სოლომონს. ავილევით თქვენგან
ფასი სრული და უნაკლულ, ჩითაც ჩვენი გული შეგჯერდებოდათ. არა დარ-
ჩომილა-რა სალაპარაკო და სასაჩილო. გქონდეს და გიბედნიაროს ლმერთმან.
არის ამისი მოწამე თავად ლმერთი . . . კაცოაგან თქვენი განაყოფი ბო-
ქაულთუხუცესი თარხნის-შვილი ზაქალ | . . . | , კარგარეთელი ბერი | . . . |
ჭავა | . . . | , ბარი | . . . |

ჯორას-შვილი იასე [. . .], თუხარელი გიორგი [. . .], ცალქალამნიძე სალო-
ხუცესი . . . [. . .], ახალქალაქის მოურავი ოთარი [. . .], მიქელაძე
გიორგი [. . .], + ალხაზის-შვილი როსებ [. . .], დედანას-შვილი ზაქალ
+, მამასახლისი დათონა +, ახაშენს ოთიას-შვილი ოთია + და შავერდა +,
ნოსტეს ჯანჯალა გიორგი +, კენჭელა-შვილი პეტრია +, დავალიძე მახარა +,
პაზარის-შვილი რვანა +. დათუნა ხაბაზი + . . . მე, ქვათაკევის კანდელაჭ
ივანეს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამის. დაიწერა წიგნი ესე ივლისს ი გასულს,
ქორონიკონისა უდ. + + +

... මුර්. ම... ... ජෝන්	මාමේකා
----------------------------	-------	--------

¹ მონაცემი: ეს არის ჩვენი და სახლისკაცების გაყრის შემდგომ შეძინებული აზალშენშინ ჩვენის წინაპრისაგან. წყვეტ. თვალი დავით თარზანოვ.

241. 1716 წ. ოქტომბრის 17-ს. სითარხნის წყალობის წიგნი, მიცემული საქ. გამგებლის ბატონიშვილის ბაქარის მიერ ამილლაბარ და სხვა ბარათაშვილებისადმი. პირი XIX ს-ის დასაწყისისა. 34,7×21,7 სმ, გადაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით — საქ. ც. — არქ., ფ. —, 323.

ქ. ნებითა და შეწევნითა ლვთისათა, პირველითგანვე ზეცით საქართველოს მეფედ განკუთვნილისა იასიან-დავითიან-სოლომონიან-ბაგრატონიანისა, ლვთივ-ალმატებულისა, ლვთივ-დამყარებულისა და ლვთივ ცხებით გვირგვინოსანისა ქართველთა მეფისა, სრულიად ერანის სპასალარისა და სპასპეტად დადგინებულისა, თავრიზისა და აღირბეჯანის ბეგლარ-ბეგისა, მამის ჩვენის მეფის პატ-რონის პირველ სახელ-წოდებულის ვახტანგისა. და შემდგომად სპარსთა ენითა უსეინ-ხან ხმობილისა მაგიერად მყოფმან საქართველოს გამგებელმან ბატონის-შვილმან პატრონმან ბაქარ და ძმამან ჩვენმან ბატონის შვილმან პატრონმან გიორგი ესე ამიერით უკუნისამდინ უამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და შეუცელებელი სამკვიდროდ და სამოლო[ო]დ გამოსადეგი მამულის სითარხნისა და გაახატების წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ თქვენ, ჩვენთა დიდად ერთგულთა და მრავალფერად და უცხოსახედ ნამსახურისა, ჩვენთვის წამებულისა და გარჯოლისა, ჩვენის მორშემა-გაძალიანებისათვის დიდად მუდელისა და მომჭირნისა, ჩვენის მისანდოსა და ხეაშიადის შემნახავისა და რჩევისა, თათბირისა და რჩევის მარატის კეთილად მომყუანებელის ბარათაშვილის პაპუნას შვილის წმინდისა, და პატიონსის მთავრობისკოპოზის ბატონის ნიკოლოზის ძმისწულთ ამილაბარს, როსტომს, მეჯინიბეთუხუცესს ბეჟანს, ქაიხოსროს, გოსტაშაბს, გიორგის, ვახუშტის, მომავალთა თქვენთა,—მას უამსა ოდეს ლიხოიმერითს ვბძანებოდით და მაშინ ბატონი მთავარებისკოპოზი თან გვიახლა, მრავალი სამსახური და ერთგულობა გვაჩენა და გარდახდა იმერითს, ოდიშს, გურიას, რაჭას, მთის ალაგებში ჩვენს მოდგომას და ჩვენის დოკუმენტის საჯობინარს და გაძალიანების და გაძალიანების საქმეს ბევრ-[რ]იგად ეცადა ერთგულად და გაუყრელად გვიდგა; აშ იდეს იპრიანა ლ[მერ]თ[მა]ნ და მოწყალება მისი ჩვენ-ზედ მო[ი]ლო და საქართველოს ტახტი და სამეფო ისრევ მეფეს პატრონს მამა ჩვენს ვახტანგს მღევთისაგან მიხედა და მის წილ ჩვენ საქართველოს გამგებელად ვიქმენით, მაშინ მოვიდა წინაშე ჩვენსა მიძა თქვენი მთავარებისკოპოზი ბატონი ნიკოლოზ და იაჯა, რათმცა ესილენთა სამსახურთა მათთა სანაცელოდ თქვენ-თვინ შამულის სითარხნე გვებოძებინა; განაღამცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება მათი და ერთგულად გარჯოლობისა მათისა წილ შევიწყალეთ და გიბოძეტ თქვენის მამულის სითარხნე მთასა თუ ბარს, რისა ყმისა და მამულის მქონებელი იყვენით, ასრე გავვითარენებია, რომე არაფერი საჩვენო სათხოვარი და გამოსალები არა ეთხოებოდეს რა, არა კოდისბური, არა საკომლო ბზე და ქათამი, არა ნახირისთავი, არა საბალახე, არა პირის-თავი, შიშლიგი, არა სამეჯინიბო, არა სამეჯოვო, არა კოჯირისა და სხვა სასახლის მუშაობა, არა ქეშიკი, ქვევრის რეცხა, არა ყარაის ბზე, არა ნახშირი თვინიერ ერთის ლაშქარ-ნალირობისა, სათათროს საურისა და ეკლესიის მუშაობის მეტი არა ეთხოვებოდეს რა. ამ წესითა, რომე სამდისინ ეს ჩვენი წყალობა გვირდესთ და არა მოგეშალოს, ყოველს წელიწადს ბა-

ტონის მთავარეპისკოპოზისთვინ ოროლს უამს აწირებდებდეთ. ეს ასრე გაგითავ-
დეს და არაოდეს აჩ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა შემდგომთა ჩვენთა მე-
ფეთა და მეპატრონეთაგან. აწე გიბძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო და
სხვანო გამრიგენო და წარვლინებულნო მოსაქმენო და ბეგრის მერეფელნო,
ბძანება და ნიშანი ეს ჩვენი თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ და თვინიერ თანა-
დგომისა და შეწევნისაგან კიდე ნურავინ შეეცილებით, დაიწერა ბძანება და ნი-
შანი ეს ხელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის თუმანის-შეილის გივისათა-
ქორონიქონის უდ, ლვინობისთვის იზ.

ქ. ჩვენ, მეფეთ-მეფემან და თვით ხელმწიფემან პატრონმან ვახტანგ ესქ.
პირმშოსა და სასურველისა ძისა ჩვენისა პატრონისა შანავაზ. ხანის სითარხნე ჩვენც
ასე გვარად გვიბოძებია. ქორონიქონის უს, ქრისტიშობის თვის კზ. ვახტანგ¹.

ქ. ჩვენ, ჩეჩეჩის ბატონის ასულმა დედოფალთ-დედოფალმა რუსულან-
ჩვენც ასე დავამტკიცეთ.

242. 1716 წ. საწირავში მამულის მიცემულობის წიგნი, მიცემული პეტრე პარკაძისა და მისი
ყმის ბერის მიერ დათუნა მღვდლისადმი. დედანი. 15×19 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალ-
დზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარის
თითო, ორ-ორი ან სამ-სამი წერტილი—საქ. ც.—არქ., ფონდი 226, № 3136.

ქ. . . . ეს წიგნი მოგეც მე, პარკაძემ პეტრემა და იასონ, ჩემ[მ]ა ყმამა-
ბერმა შენ, დათუნას მლდელსა და მომავალთა სახლისა შენისათა ყოველთავე;—
ასე რომე ერთი კომლის კაცისა ერთის ბიჭის მეტი აღარა დარჩა რა, დედა
მამა და ძმები დაეკაცა, ახლა იმათ საწირავის მოცემის ლონე სხვა არა შექედლო
რა და ავაზნის გზის მიწა მოგეცით ზევით გორამდინ, ქვემოთ კიდევ გორაკამ-
დინ, ზეითი გვერდი სუხიტაშეილის მიწის მიღვმამდე, ქვემოთი გვერდი ძამუ-
კაშვილის მიწის მიღვმამდი. არის ამისი მოწამე ღმერთი და . . . კაცთაგან-
არიან მოწამენი ლიპარიტის-შეილი ზურაბ და მისი განაყოფი თამაზი, უურული-
ზურაბ, კელიერთბირ შაშვებელნი. მე გიორგის მლდელს დამიწერია და მოწამეც.
ვარ ამისი. ქორონიქონისა უდ. + + +²

243. 1716 წ. მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული შაუა სულხანიშვილის მიერ დავითა
დოლმაზაშეილისადმი, 23×16,8 სმ, დაწერილი მოთეთრო ქაღალდზე მხედრული ხელით,
განკვეთილობის ნიშანად ნახმარის წერტილი და ორი წერტილი; თარილად აქვს 1716
წ.—საქ. მუხ. № 3068 ჩდ.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღიუთისათა . . . ეს უკუნისამდი სამკვიდრო
და საბოლოო გასათავებელი ნასყიდობის წიგნი მოგეც მე, სულხანიშვილმა შაუამ,

¹ ხელჩართული.

² მინაწერი: ქ. პარკაძის პეტრესია.

შუილმა ჩემმა და მომავალმა სახლისა ჩემისამა თქვენ, ტოლმაზაშეილებს დავითას, როსტომის, მანდენას და ღოლმაზას, შეილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა;—ასე რომ ჩემის ნებაყოფლობით და ჩემის მოკელების დასტურით შოგილე ნახევარ დღის მიწა ყოვლის კაცისაგან უცილებელი. სამძღვარი მისი: ერთი გვერდი ჩემის განაყოფის მიწა, საჭცევი ერთი ნახყიდაშეილის აბოვას მიწა და ერთი საჭცევი ზეითი დარგის მიწა; ავიღე ფასი სრული და უკლებელი, როთაც ჩვენი გული შესჯერდებოდა. არიან ამისი მოწამენი თავად ლ-თი და ყოველი მისი წეინდანი, კაცთაგან მამასახლისი იასე +, ხასადარ ფარსადანა +, კიდევა ქველი მამასახლისი პაპუა, ნაცვალი ადამ +, სულხანაშეილი ყარა-ხანა, ყაშტაშეილი როსტომი, გელოაშეილი ასლანა, დაუთაშეილი მურადა, ბერიაშეილი ქელუბათა და სულ ქვემო-ბოლნელი ამისი მოწამენი არიან. მე სიონთა ლ-თისმობლის დეკანოზს ონოფრეს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი +. დაიწერა ქიორონიკიონ]ს უდ. +

244. 1717 წ. ივლისის 10. ყმისა და მამულის ნახყიდობის წიგნი, მიცემული საქ. გამგებელის ბაქარის მიერ სულხან თაქთაქის-ძისადმი. დედანი. 43,5×24 სმ, დაწერილი თეთრ ქალდნე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანა ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო ან ორ-ორი წერტილი—საქ. მუს. № 6728 ჩდ.

ქ. . . ჩვენ, ლულითისა მიერ აღმატებულისა და ლულივ-დამყარებულისა და ლულივ ზეცით გვირგვინონსანისა იესიან-დავითიან-სოლომონიან-პანქრატიონისა ქართველთა მეფისა, სრულიად ერანის სპასალარისა, ადრიბეჯანისა და თავრიზის ბეგლარბეგის მამის ჩვენის მეფის პატრონის ვახტანგის მაგიერად მყოფმან საქართველოს გამგებელმან ბატონიშეილმან პატრონმან ბაქარ და დედამან ჩვენმან ჩერქეზთ მეფის ასულმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან რუსულან ესე ამიერითგან უკუნისამდინ უამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და შეუცალებელი, სამკუდროთ და საბოლოოთ გამოსადევი მამულის წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა დიდად ერთგულთა და წესისებრივ მრავალფერად ერთგულად და თავდადებით ნამსახურსა ყმათა თაქთაქიძეს მდივანს სულხანს და ძმისწულსა შენსა ლუარსაბს და ელიზბარს, მომავალთა თქვენთა;—მაშინ ოდეს მამულის წყალობის გვიაჯვენით,— ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენივ ძეელითგან ნაქონი ტაშისკარს მარგველაშეილი თევდორა და იმისი ბიძაშეილი ბერი, იქივ ბითადე თამაზა და იმისი ძმა ივანე ესენი თავეთის სასაფლაოთი, სასახლითა, ჭურმარნითა, მთითა, ბარითა, ველითა, ვენახითა, სახნავითა, სათიბითა, წყლითა, წისქვილითა, საწყლისპიროთი, ყოვლის სამართლიანის სამძღვრით, დღლს რისაც მჭინებელი იყო, თქუენთვის წყალობა გვიქნია ყოვლის კაცის უცილებლად. გქონდეს და გიბედნიეროს ლიმერიქმა]ნ ჩვენთა ერთგულთა სამსახურსა შინა. აწე გიბძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო, ბძანება და.

ქ. ეს ბატონის ბძანება ჩვენ, დელოფალს პატრიონს რუსულანს ასრულ დაგ-
კიმტკიცებია. რუსულან. ¹

ქ. ჩვენ, მეფეთ-მეფე თეიმურაბ ეს წიგნი ვნახეთ. თუ ამას უკან მეფის ვახტანგისა ან მეფის ბაქარის წიგნი არ გამოჩნდეს, ჩვენც ასე დაგვიმტკიცებია. შარტს კთ, ქორინიქორნს ულზ. —

245. 1717 წ. დეკემბრის 12-ს. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული როინ ჯავახის-შეილის მიერ გივი თუმანიშვილისადმი. პირი, გადაწერილი უქენას მართობლობის ბრძანებით XIX საუკ. დასაწყისს მხედრული ხელით—საკ. ც.—არქ.—, ფ.—, № 3/1.

ნებითა ლიკითისათა ესე ამიერითგან უკუნისამდე ყამთა და ხანთა გასა-
თავებელი, სამკუიდრო და საბოლოო ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწე-
რეთ და მოგეცით ჩვენ, ჯავახის-შვილმან როინ, შვილმან ჩვენმან ქაიხოსრომ
თქუენ, თუმანიშვილს მდივანს გივს, შვილსა თქუენსა დავითს და ზურაბს;—
ასე რომე დაგვეჭირა და ჩვენის ნება წადილით მოგყიდეთ წოდორეთს ჩვენი სამ-
კუიდრო ყმა მარკოზაშვილი ბესია და ესტატე თავისის მიწითა, წყლითა, საბ-
ლითა, კარითა, სახნავითა, უხნავითა, ნასყიდითა, უსყიდითა, შესავლითა, გა-
სავლითა, ყოვლის თავის ქონებითა, წყლითა, ვენახითა, მთითა, ბარითა; უვი-
ლეთ ფასი სრული, რითაც ჩვენი გული შეგჯრდებოდათ. ჩვენი თქვენზე აღარა
დარჩა რა. გქონდეს და გიბედნერის ღმერთმან, როგორც სხვას აღალს
მონასყიდეს. რაგვარათაც გინდოდეს, გეხელყოდეს. არავინ იყოს ამის მოცილე
და მოძავე. თუ ვინმე წამოგედაოს, პირისა და პასუხის გამცემი ჩვენ ვიყოთ.
არის ამისი მოწამე თავად ღმერთი და ყოველნი მისი წმინდანი: კაცთაგან სა-
ლუყაზანაშვილი სეხნია +, მუხაიძე ბიძინა +, მანთაშაშვილი იესე +, საქა-
კაძე ზურაბ +, და მე სიონის დეკანოზის შვილს მიქელს დამიწერია და მო-
წმებული ვარ. დაიწერა |—————| ესე სიგელი ქრისტიშობისთვის იბ, ქორმ-

წიკლონს უე. ამაში რომ ბერია სწერია, ის ჩვენ წავიყუანეთ და ამისი მამული, პაცამ წიგნში სწერია, მთლივ მოგვიყიდნია. ბერია თავს ცოლ-შეილითა მე წავი-

1 ბერძნად.

ყვანე

. ნაზირი ედიშერ ამისში მოწამე ვარ.

246. 1719—1724 წლ. ბრძანების წიგნი ვახტანგ VI-ისა. დედანი. დაზიანებული. 24,8×14 სმ, დაწერილი ოქთორ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უზის: ეკუთვნის. ვახტანგ VI-ის მეფობის—1719—1724 წლებს—საქ. ც.—არქ., ფ.—, № 351.

ქ. ჩვენი ბძანება არის. მერმე! რაც მზეჭაბუკის საუფლისწულო სოფლები იყოს, ნურა სახლისკაცს კელი ნუ აქვს და ნურც არავინ დაურჩევს. ლაშქარ-ნადირობას ჩვენ გვიახლებოდნენ. თავის მსახურ-აზნაურშვილს გარდა ეს თოხი კაცი რამზიას ნაწახლი დოვრათაშვილი დავითა, ტერტერაშვილი ზაქალ, ელუაშვილი ოსეფა, მებურნიშვილი დათუნა მზეჭაბუკის შეილებს ემსახუროს. სხვებს კელი არავ აქვს. ვახტანგ.²

247. 1717—1724 წლ. ოქმი ბაქარ მეფისა დირბის მოურავ ელისბარ დავითიშვილისადმი-დედანი. 24,3×13,2 სმ, დაწერილი ოქთორ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო ან ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უზის: ეკუთვნის ბაქარ მეფის დროს—1716—1724 წლებს—საქ. მუხ., № 2656 ჩა.

ქ. ჩვენი ბძანება არის, დირბის მოურაო დავითიშვილო ელიზბარ, მერმე, რაც დირბის გამოსალები და რაც რა ნივთისა მოსავალი გამოვიდოდეს, ყველას გაპყოფდე, ორს წილს პაპა სერგის მისცემდე, რომე მონასტერში გაგზავნიდეს და მოაკარდეს და ერთს წილს ჯვარის მამას მისცემდე, იმას დასჯერდეს, თავისთვის მოიკაროს, გლეხის ჩბევას დაეხსნას. რაც სამართიანი გამოსალები იყოს, იმას გამოართმევდეს. თუ ამაში პაპა სერგის დააკლდა რამე და შემოგვივრა, შენ გარაგადევინებთ და მწვედ გიწყენთ იცოდეთ.

ქესდასასოე
ბაბაქარ
... . იანსა


¹ მინაწერები: ასლთან თანასწორ არის. სოვეტინკიშვილი დიმიტრი თარხანოვი. მივიღე. თავ ჯიმშერ თუმანოვ.

² ხვეულად.

ბოლოზე სათაური სხვა ხელით: აზნაურის-შვილების ხლების წიგნი

248. 1717—1724 წლ. ოქმი ბაქარ მეფისა ვახუშტი ბატონიშვილისადმი. დედანი. 27,5 × 16 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო ან ორ-ორი წერტილი—თარიღი არ უზის. ეკუთვნის ბაქარ მეფის დროს—1717—1724 წლებს—საქ. ც.-არქ. ფონდი—, № 712.

ქ. ჩვენო დიდო იმედო და დიდად იმედად ღვთის წყალობად მოსალოდნელო, ჩვენო არაოდეს არ დასავიწყებელო და ნიადაგ მოსაგონარ-სახსენებელო ძმაო, ბატონიშვილო ბატონო ვახუშტი. მრავალი თქვენის კაის თავის მოკითხვა და კარგად ყოფინის სიხარული მოგვიხსენებია. მერმე ახალგორელნი და ბოლელნი დიდი ხანი არის ერთმანეთში ნასყიდობაზედ ცილობდენ და მუდამ· ამილახორსა და ერისთავში ამისთვინ შუღლი და სამდურავი ყოფილა. ახლა ასრე გავარიგეთ და განაჩენი დაესწერეთ, მანდ გვიხლებია, თქვენც ნახავთ და, როგორც გაგვერიგებინოს, ისრე თქვენც კაცი დააყენეთ, ფასები იქითაც და აქეთ ერთმანერთისათვინ მიაცემინეთ, მამულები ისევ თავ-თავის პატრონს დაანებონ¹.



249. 1717—1731 წლ. თავდახსნილობის წიგნი, მიცემული ავთანდილ სოლადას-შვილის მიერ პაპა და გარსევან გიორგიშვილებისადმი. საბუთი სიონის ეკლესისა, № 116. დედანი. დაკერებული თავში. ზომა (მარტო საბუთისა): 20,7 × 15,6 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი. თარიღი არ უზის: ავთანდილ სოლოდაშვილი გვხვდება საბუთებში 1717, 1729 და 1731 წლ. (ც.-არქ., ფ.—, №№: 28/201, 32/366, 28/205 და 28/212); საბუთიც ამ 1717—1731 წლებს უნდა ეკუთვნოდეს—საქ. მუხ., № 2769 ხდ.

ქ. . . მოგეცით ესე სიგელი და გიბედნიარეთ ჩვენ, სოლ[ა]ღ[ი]ს-შვილმა ავთ[ა]ნდილ და შვილმ[ა] ჩემმ[ა] დავით, ნოდარ, სვიმონ, ზაზ[ა]მ შენ, გიორგი-შვილს პ[ა]ვ[ა]ს და გ[ა]რსევ[ა]ნს; —რით[ა]ც რომ ჩემი გული შ[ე]იჯერიე, კიდეც გ[ა]მოგ[ა]რთვი და თ[ა]ვიც დაგ[ა]ხ[ა]სნევინე. დღეს ამ[ა]ს იქით შენი მოდავე არ[ა]-ვინ იყოს. ვერცვინ ეს სიგელი მოგიშ[ა]ლოს. რ[ა]მ[ა]ც ეს წიგნი მოგიშ[ა]ლოს, წმინდამ გიორგიმ ს[ა]ხიდამ შაშ[ა]ლოს; არის ამისი მოწ[ა]მე ქ[ა]იხოსროს-შვილი გუგუნ[ა], ბეჭ[ა]ნის-შვილი ლუარს[ა]ბ, სუხიას-შვილი ქიტუა, ევ[ა]ზაშვილი გრიქოლ[ა], იას[ა]ულიც ის იყო, ზაზ[ა]ლიშვილი ზაზ[ა]ლ, დილმელ[ი] ფ[ა]რსელ[ა]ს-შვილი ქიტეს[ა], ხუცის-შვილი დეკ[ა]ნოზი. მე რივის-შვილს ბეჭ[ა]ნს დამიწერია

¹ სათაური სხვა ხელით: ქ. ოქმი ბაქარის ბოლისა და ახალგორის მიზეზზე.

² ამ საბუთის უფრო ზედმიწევნით დათარიღებაც შეიძლება. ბაქარისა და ვახუშტის მიერ ქსნის საერთოსას დაპყრობა, ზანშე ერისთავის დამორჩილება და მისი იმერეთს გაგზავნა ვახუშტის მეფობის 1720 წელს უნდა მომხდარიყოს.

და შოწიამეც ვა]რ ამისი. დაიწერ[ა] ესე წიგნი ქრისტისშობის თვეს ნა-
ხევ[ა]რს. + + +

250. 1718 წ. მარტის „ნახეუარს გასულს“. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული
ავთანდილ ჯავახის-შვილის შიერ ამილბარ მაღალაძისადმი. დედანი. დაზიანებული (და-
ხული), დაკერძებული. I გ. — 23,2 სმ. × 24,5 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდე მხედრული
ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდევ ნახმარია ორ-ორი წერტილი—
საქ. ც — არქ. ფონდი 226. № 3902.

ქ . . . ესე ამიერ უკუნისამდე ჭამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და
უცვალებელი საბოლოო[ც] გამოსადევი, მიზეზშემოუღებელი, ყოვლის ილათისა
და მიზეზისაგან გამოსრული ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და წო-
გეცით ჩენ, ჯავახის-შვილმან ავთანდილ და შვილმან ჩემმან მზეპაბუ და ყო-
ველთავე მომავალთა სახლისა ჩენისათა თქუნ, სვეტის-ცხოვლისა ქათალი-
კოქის სახლითხუცესს შალალაძეს ამილბარს და შვილთა თქუნთა გიორგის,
დიმიტრის. ჩეუაზე და იონეს² და ყოველთავე მომავალთა სახლისა თქუნისათა; —
ასე და ამა პირსა ზედა, რომე დაგვეპირა და მოგყიდეთ ჩემი წილი ზენგარისი
ჩემს ბარათში გამოყოლილი მახვილის ზაალისა და ოთარის წილი გლეხი ამი-
რებას-შვილი ივანე და მისი ძმა ნასყიდა მისის შვილებითა, ლავაშას-შვილი ბერია,
ზაქარია მისის მამულითა, პავლის-შვილის მამული და ზაქუტას-შვილის მამული,
მახვილიაძის ზაალისა და ოთარის წილი სახასო მამული, საუფროსოც ზაალისა და
ოთარისა იყო და არის. ესე ჩენი სამკვიდრო ყმანი თავისის მამულით მოგყიდეთ
ყოვლის კაცის უცილებლად წყლითა, წისქუილითა, სახნავითა, უხნავითა, ნასყი-
დითა და უსყიდითა, საძებრითა, უძებრითა, მთითა, ბარითა, ჭალითა, საკა-
ფითა და უქაფითა, სათიბითა და უთიბითა, სიონს ამირებას-შვილი, დღეს რი-
საც მქონებელი იყოს, სარწყავის მიწითა და ურწივის მიწა, ხანდაკურის გზა
რომ ჩამოვა, იქამდი და, რაც კალობანში წილი ჰქონდეს, საყდრითა და მისის
საკანავითა თვეოლთა მხედვარი მისის გარშემოთი ტბას ჩასწერივ, ნერბუთს ჩას-
წვრივ ჩაჩუბეთის კოშკამდი შელესის გზას ჭუეთ, ჭვეით ლორულამდი ჭუაბი
მისის საჯალულითა და მთითა, რასაც საგუბარადამ კლდე ჩაიტანს, ხარებათ უკა-
ნამდი. აქთ ნაციხერამდი ზაალის ნასყიდი. ბიძინას-შვილის მამული მისის სახ-
ლითა და კარითა და მისის ყოვლის სამართლიანის წილითა და ხახიტას-შვილის
მამული კურდელელაური წმიდის მარინის საყდრამდი და ირემაული ციხემდი
მოგყიდეთ და ავილეთ ფასი სრული და უნაკლულო, რითაც ჩენი გული შეგ-
ჯერდებოდათ. ღმერქთ[მა]ნ მშვიდობაში და გამარჯვებაში მოვახმაროსთ, რო-
გორადაც სხვას ალალს მონასყიდეს და, თუ ვინმე ამაზედ წამოგედეოსთ, პი-

¹ სათაური სხვა ხელით: ქ. ავთანდილის ყმის გიორგისა და გარსევანისა.

² უკანასკნელი სიტყვა ჩაწერილია ტექსტში ღიად დატოვებულ ცარიელ ადგილას სხვა
ხელით და სხვა მცლნით.

რისა და პასუხის გამცემი ჩვენ ვიყუნეთ. . . . არის ამისი მოწამე თავად ლიმერითი. . . . კაცთაგან ჯავახის-შეილი ფარემუზი [], ციციშვილი უთრუთ+, ჯავახის-შეილი როინ [], ჯავახის-შეილი ქაიხოსრო +, მაღალაძე მდივანი სოლომონ [], ჯავახის-შეილი სვიმონ +, მაღალაძე ერასტი +, იმრა-მის-შეილი მგალობელი დათუნა +, მაღალაძე სარიდან +, მაღალაძე პაპუაი+ , ცალქალამნიძე გივი +, კარგარეთელი ბერი [], ჯორას-შეილი ზურაბ +, თუხარელი გიორგი +, ხანდაქს გოგიბედას-შეილი ზალ +, ხოვლეს ნინია-შეილი მლვდელი იესე +, ახალქალაქს მამასახლისი ელიშბარა [], სალუყა-ზანას-შეილი სეხნია +, ახალქალაქს სპანდიარას-შეილი არაქელა +, ლიპუას-შეილი პაპაჯანა +, ჩვენი ყმა ფეფიტას-შეილი პატა +, ბიჭიკას-შეილი შერ-მაზანა +, ხუცის-შეილი იესე +, კოტეტის-შეილი თეუდორე +, იმნაძე და-თუნა +, იმნაძე დემეტრე +, მორჩილაძე ლვდელი ნიკოლოზ +, და მე კემ-წიფის კარის დეკანოზის შეილის მელქისედეკს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა სიგელი და მონასყიდობის წიგნი ესე ინდიკტიონსა მეფობასა პატრონის ვახტანგისასა და ძისა მისისა მეფისა შანავაზისასა ქ[ორონიქიო]ნ]სა ცვ, მარტის ნახეუარს გასულს. [აფთანდილ] +

ქ. 1 ახ[ა]ლქ[ა]ქის მოურ[ა]ვი ოთა[რ.]

ოთარ

ქ. გვირგვინში ტბას ქვეშეთ ლაგრაძისა არის, ტბას ზეითი მახვილაძე[ე]-შისა არის. თეძმიდამ სუხიტას-შეილის მიწაზედ ნაშარავები რომ შაბრუნდება, აც გალმა ნაშარავებს იქით მახვილაძე[ე]ბს არა[] აქვ[] აელი, ამას აქათ მახ-ვილაძე[ე]ბისა არის[]. წითელის წყლის ქედი რასაც შიატანს. პირ-აქეთ მახვი-ლაძე[ე]ბისა არის. ხოდაბუნი[ც] და უსერი რაც არის, მახვილაძე[ე]ბისა არის. შანშეს-შეილის ხოდაბუნი უსერში მახვილაძე[ე]ბის ნისყიდი არის. +

251. 1718—1720 წლ. დის მიცემულობის წიგნი, მიცემული ვიღაც პაპუნასა და სხვების მიერ დათუნა ხოჯაბეგაშვილისადმი. დედანი. დაზიანებული თავსა, ბოლოსა და მარც-ხენა გვერდზე, $32,4 \times 16,7$ სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე შედრული ხელი. განკვე-თილობის ნიშად ყოველღი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი ან მეტი წერტილი. თა-რილი არ უზის: დათუნა ხოჯაბეგაშვილი, იგივე ხოჯაბეგანთ დათუნა გვხვდება საბუ-თებში 1718 და 1720 წლებში (ც.-არქ., ფ.—, №№ 14/74 და 45/118) და ეს საბუთიც ამ 1718—1720 წლების ახლო დროს უნდა ეკუთ[ე]ნოდეს—საქ. მუზ., № 201 Qd.

ქ. ეს ჩემი და მოგ[გ]ვარეთ ჩვენ, მაგ[ი]სმა ძემამ პაპუნამა და ბასილამ, ყასუმამ თქვენ, ხოჯაბეგაშვილს და[თ]უნას და მმასა შენსა გიორგის და შეი-ლისა იარალასა და (sic);—ასე რომ ერთი პატარა და დაგ[ვ]რჩა და შენახვა ვერ შევიძლევით და იჯალი არ მქონდა და შენ[ა]ხვის და მოგეცით. პატა[რ]

¹ აქედამ დაწყებული ბოლომდის დაწერილია სხვა ხელით.

იყო და მოსიავლელი და ბაგას არ[ა] შეეძლო. ო[ა] თქვენი სამსახური, ასე რომე თქვენი გული მავალებოდა და მოგეცით და ვინც ამას შემოგეცილოს, პასუხისა და პირის მიმცემი ჩვენ ვიყვნეთ და ღმერთმა მოგცეს და გიბედნიეროს. რაგვარათაც გინდოდეს, საშინაოთ გინდოდეს თუ საზითვათა, ვერ[ა]ვინ შემოგეცილოს, რათაც-ფრათ მოსახმარისათ გინდოდეს,—ღ[უ]თის მეტი. არის ამისი მოწამე მამასახლისი აბელა და თაყინაშეილი ზურაბა, დონდარას-შეიღ[ლი]. . . .⁶ ბარამას-შვილი³ ჯულაბა, მამულაშვილი³ მანუჩარა და მე თუმანის-შვილს მირველს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. თიბათვის დამდეგსა. + + +⁴

252. 1719 წ. მარტის 18-ს. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ზურაბ ხერხეულიდის მიერ ვახუშტი აბაშიძისადმი. დედანი. 65x23,4 სმ, ღაწერილი თეთრ ქალდაზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. მუხ. № 9745 ჩd.

ქ. ნებითა და შეწევნითა მღ[უ]თისითა ესე ამიერით უკუნისამდე გასაო[ა]ვებელი ნასყიდობის წიგნი და საფიცარი მოგაროვით ჩვენ, ხერხეულიდემ ზურაბ, შეილმან ჩემან ბევერ და ქ[ა]იხოსრომ თქვენ, აბაშიძეს ბატონს ქ[ა]ხუშტის, შვილსა თქვენსა პატას და ლევანსა; ასე და ამა პირსა ზედან; დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენი მემკვიდრე ყმა და ჩემის ძმებისგან ს[ა]მართლით ბარათით გამოყოლილი ყმა შინდარს ლომინაშვილი გიორგი, მისი ძმა ზაზა, კაცია და გივი მათი ძმისწულები და შვილები. ისევე ბეკამს—მათიაშვილი ბერი და მისი შვილი პეტრია, შვილნი და მაშ[ა]ვალნი მათნი, ესენი მათის, დღეს რისაც მამულის მქონებელნი იყვნენ, ველითა, ვენაკითა, საენავითა და უკავითა, წყლითა, წისქერილითა, ს[ა]ხლკარითა და სასაფლ[ა]ოთი, ს[ა]ქებრითა და უძებრითა, ნასყიდითა და უსყიდითა და ყოვლის სამართლიანის ს[ა]მძლვრითა თქვენ-თვის მოგვირთმევია და ავილევით ფასი სრული და უკლებელი, რითაც ჩვენი გული შესჯერდებოდა. გრონდესთ და გიბედნიეროსთ ღმერთმან, როგორათაც სხვას მონასყიდეს მოკმარებოდეს. ამისად გასათვებლად მოგვიცემია ღ[მერ]თი და ყოველნი მისნი წმინდანი ზეციერნი და ქვეყნიერი კორციელნი და უკორცონი. კაცოაგან ამისი მოწმე მესხი ამილაბორიშვილი მამუკა, ხეროდინაშვილი მდიდან შერმაზან [. . . .], მურვანიშვილი მურვან, აბაზაძე დათუნა, ან-შერმაზან

ჩაფიშვილი დათუნა, გოგიბაშვილი ბიძინა, [. . . .], თამარიშვილი გიორგი

გოგიბასშვი-
ლი ბიძინა

¹ აქ ზედმეტად სწერია: ამისი.

² უკანასკნელი ორი სიტყვა დაწერილია მარჯვენა აშიაზე იმავე სელით და მელნით.

³ აქ სტრიქნის თავზე ზეღმეტად სწერია: და მე,

⁴ სათაური სხვა ხელით: ქ. ხოჯ ბეგა ნთო.

ქ. მონაღვეთისა
დაგებულებების გიორ
გი ქს ტრა

ალის მამას [ა]ხლისი ბექანიშვილი ბ[ა]ინდურ. მე ხერხეულიძეს
რესეს დამიწერია და მოწმეც ვარ

...
იასე

დაიწერა სიგელი ესე მარ-

ტის თვრამეტსა, ქ[ორონი]ქ[ონ]ს უზ.

ზურ[ა]ბისა

ქ. ვარ ამისი მოწმე ბატონიშვილი სეიმონ.

ქ. ვარ ამისი მოწმე სარდალი ლუარსაბ.

...
...

ქ. ვარ ამისი მოწმე ბატონიშვილი ვახუშტი.

ქ. ვარ ამისი მოწმე მთ[ა]ვარეფისკოპოზი ქრისტეფორე.

ქ. ვარ ამისი მოწმე დედოფლის სახლთხუცესი თეიმურაზ.

სალთხუცესი
თეიმურაზ

ქ. ვარ ამისი მოწმე მდივანი სულხან.

...
სულხან

ქ. ვარ ამისი მოწმე მდივანი ბეგთაბეგ.

...
ბეგთაბეგ

ქ. ვარ ამისი მოწმე მოლარეთხუცესი გივი.

...
გივი ქს უდ

ქ. ვარ ამისი მოწმე არმის ეშიკალასი დურმიშხან.

...
...

ქ. ვარ ამისი მოწმე არმის ეშიკალასი ასლამაზ¹.

253. 1719 წ. ივნისის „დამდეგს“. ყმების ნასყიდობის წიგნი, მიცემული როინ ჯავახის-შეი-
ლის მიერ გივი თუმანიშვილისადმი. პირი, გადაწერილი უსენაეს მართებლობის ბრძა-
ნებით XIX საუკ. დასაწყისს მხედრული ხელით—საქ. ც.—არქ., ფ.—, № 3/5.

ნებითა ლექტისათა ესე ნასყიდობის წიგნი დაგიწერე და მოგეც მე, ჯა-
ვახის-შეილმა როინ, შეილმან ჩემმან თქვენ, თუმანიშვილს მდივან გივს, შეი-
ლსა თქვენსა დავითს და ზურაბს;—ასე რომე ჩემის ნება-წადილითა მოგყიდე
ჩემი მემკვიდრე ყმის წოდორელი ბერიას ცოლშეილი. ავილე ფასი სრული, რი-
თაც ჩემი გული შეგჯერდებოდათ. არავინ იყოს ამისი მცილე და მოდავე. თუ
ჯანმე წამოგვდეოს პირისა და პასუხის გამცემი მე ვიყო. არის ამისი მოწამე

¹ სათაური სხვა ხელით: ქ. ამირაჯიბის ნასყიდობის წიგნი.

ზურაბ ხერხეულიძის ნასყიდობის წიგნი.

თავად ღმერთი, კაცთაგან ჩემი განაყოფი ჯავახის-შვილი ოთარ, სალუჟაზანა-შვილი სეხნია, საქართველოს ზურაბ. მე სიონის დეკანოზის იესეს შვილს მიქელს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა ესე წიგნი თიბათვის დამდეგს, ქორონიკონის უზა.



254. 1719 წ. აგვისტოს 20-ს. თავდახსნილობის წიგნი ვიღაც პირებისა. დედანი. დაზიანებული (თავი მოხეულია და დაკარგული). $9,3 \times 15,8$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით. ასო - მეტ-ნაკლები. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ- სამი წერტილი—საქ. მუზ., № 2988 ჩ.

...² (ასე რომე თავი დაგვახსნევინე) და თუ შენს სახლის კაცებს ვეყმოთ, ესე თავდახსნის წიგნი ბათილი შეიქნე]ს და ქართველის ბატონის შემუღლევიყოთ. არის ამისი მოწამე მურა]ღია]-შვილი მამულა და პირა]ღია]-შვილი მურადა და მე გასპარას დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა ესე წიგნი მარიამობის თვე[ს]ა ოცა გასულსა, ქორონ. უკონ]ს უზ. + +

255. 1719 (?) წ. ოქტომბრის 22-ს. პირობის წიგნი, მიცემული შატკერაშვილის გასპარას მიერ ხალ თუმანიშვილისადმი. დედანი. დახეული თავში. $20,8 \times 11,5$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. მუზ., № 2622 ჩ.

[ქ. ესე] წიგნი მოგე[ცი] მე; . . . შატკერაშვილმა გასპარამა, ჩემ[ც]ა შვილმა არუთინამ შენ, თუმანიშვილს თაყაშვილს ზა[ა]ლსა; - ასე რომე დარბაზელი თქვენი ყმის გოგიაშვილი დათოასაგან ჭალის პირს ცოტაოდენი მიწა ვიყიდე, ჩეენს ვენა]ხს შევრთევ. ჩემის ნებაწადილობით კულუხი დავიდევ, რომე წელი-წალში ერთი ბატონის პლი³ ტკბილი კულუხი მოგაბარო ყოველს სთველზე გასურჯელათ. არის ამის მოწამე სოფლის მამასახლისი საქა, ღუთაშვილი

¹ მინაწერი: ასლთან თანასწორ არის. სოვეტინიკი თი დიმიტრი თარხანოვი. მივიღე. თ'ი ჯიმშერ თუმანოვი.

² არა ჩანს თავში რამდენი სტრიქონი აკლია.

³ პირველი (?) .

მურადა, აკოფაშვილი თამაზა. მე შანშიაშვილს სოიბათ იასიაშვლს გიორგის
დამიწერია ღვინობისთვის კბ, ქიორონიკონეს უბ. ++
[ქ] ამის დამხდური, გამრიგე და მოწამე თუმცანიშვილი იესე .

256. 1720 წ. ახლო. სვეტიცხოვლისა და კათაქლიკოზის ყმების ნუსხა გახტანგ VI-ის
ოქმით. ზავი. 88×13 სმ, დაწერილი მოთეთრო-მოყვითალო ქაღალდზე მხედრული ხე-
ლით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარი თითო და იშვიათად
ორორი წერტილი. თარიღი არ უზის—საქ. მუხ., № 1648 Ad.

ქ. არის სვეტის-ცხოვლისა და ბატონის კათალიკოზის ყმა, თრიალეთხედ.

ქ. საბროჭლეთს კომლი ხუთი, ბოგანო ორი.

ქ. ზემო ბეშქენაშენს ექვსი, ბოგანო ორი.

ქ. კლონეთს ხუთი.

ქ. ახალშენს შვიდი, ბოგანო ორი.

ქ. ბარეთს ცამეტი, ბოგანო სამი.

ქ. ქისტებს რვა, ბოგანო ოთხი.

ქ. ახოტს რვა, ბოგანო ერთი.

ქ. გოგათგვერდს სამი, ბოგანო ერთი.

იქნა ორმოცდა თხუთმეტი, ბოგანო თხუთმეტი.

ქ. ბატონის კათალიკოზისა საბარათაშვილოში.

ქ. არმაზს სამი, ბოგანო ერთი.

ქ. მუხათგვერდს ცხრა, ბოგანო ერთი.

ქ. კარსანს თეთრმეტი.

ქ. თელოვანს რვა.

ქ. მაჩხაანში რვა.

ქ. დილომს ცხრა, ბოგანო სამი.

ქ. თავმგრვეალის ცხრა.

ქ. ველკეთილს ოცი, ბოგანო ხუთი.

ქ. ყორანთას თორმეტი.

ქ. დისველზედ ექვსი.

ქ. ქრანის ცამეტი, ბოგანო ხუთი.

იქნა ჯამი ას რვა, ბოგანო თხუთმეტი.

ქ. არის სომხითს ბატონის კათალიკოზისა:

ქ. ხატისსოფელს ათი.

ქ. ღარბას კომლი ოცდა-ცამეტი.

ქ. ბოგანო ხუთი.

იქნა ჯამი ორმოცდა სამი¹, ბოგანო ხუთი.

¹ უკანასკნელი სიტყვის მაგიერ თავდაპირველად დაწერილია: „ოცდაცამეტი”, მერმე ის
წააზუდა.

- ქ. არის მუხრანში ბატონის კათალიკოზისა:
- ქ. ციხებდავს ქომლი რვა.
- ქ. ალაიანში ცხრამეტი, ბოგანო თხი.
- ქ. ქადაგისნ ექვსი, ბოგანო ორი.
- ქ. გოროვანს სამი, ბოგანო ორი.
- ქ. წეროვანს ათი, ბოგანო ექვსი.
- ქ. კოდმანს ხუთი, ბოგანო ხუთი.

იქნა ჯამი სამოცდა ერთი¹, ბოგანო ცხრამეტი.

- ქ. ზემო ქართლს ბატონის კზისა:
- ქ. მოხის კომლი ოცდა ათი, ბოგანო ჩვიდმეტი.
- ქ. ბერძენაულს ერთი, ბოგანო ჩვიდმეტი.
- ქ. არაშენდას თვრამეტი, ბოგანო სამი.
- ქ. ქრუხილვანს ბოგანო ორი.
- ქ. ერედვს სამი.
- ქ. ქვაბთ (?) სამი.
- ქ. მელვრექს თაწმინდისა თორმეტი.
- ქ. ტრდნის სამი.
- ქ. ქორდს თექვსმეტი, აზნაური ორი.
- ქ. თერგვის ექვსი.
- ქ. დიყვს თერთმეტი.
- ქ. უფლისციხეს თხი, ბოგანო თექვსმეტი.
- ქ. ზერტს ოცი, ბოგანო თხი.
- ქ. ნიქოს შვიდი.

იქნა ას ოცდათოთხმეტი, ბოგანო სამოცდი.

- ქ. საციციანოს ბატონის კათალიკოზისა:
- ქ. ლეთეთკ ქომლი ორი.
- ქ. ხველურეთს ხუთი.
- ქ. ატენს რვა, ბოგანო ორი.
- ქ. ნიაბს ათი, ბოგანო სამი.
- ქ. მეტებს ოცდა ხუთი, ბოგანო ორი.
- ქ. იქივ ივანესი ხუთი.
- ქ. ხოსიასი ორი.
- ქ. ბოჭორაძისა ხუთი, ბოგანო ორი.
- ქ. გომთ ოცდა ექვსი, ბოგანო თხი.
- ქ. ჩოჩეთს ხუთი, ბოგანო ორი.
- ქ. კავთისკექს ორი.
- ქ. წინარეხს სამი.
- ქ. ნიჩბის გედუევანიანთი თექვსმეტი, ბოგანო ერთი.

¹ უკანასკნელი სიტყვის მაგიერ თავდაპირველად დაწერილია: „ორმოცდათორმეტი“, მეტრში ის ჭაბაზულია.

- ქ. ხევორდს ცხრა, ბოგანო ერთი.
 ქ. ძეგვს ორმოცდა ათი.
 ქ. ციხედიდს ოცდა ათი, ბოგანო ერთი.
 ქ. კილევ ქალაქი გორი, ქრუხილვანი; სურამი, ქარსიძის მამული;
 იქნა ჯამი ორას სამი, ბოგანო ცხრამეტი¹.

იქნა კომლი ხუთას ოთხმოცდათოთხმეტი, ბოგანო ას-ოცდაცამეტი.

ორივე ერთად შვილას ოცდაშეიდიდ.

ქ. რაც ამაში კომლი სწერია, სულ ყველამ თოფი უნდა იშოვნოს, ბოგანომ ფარებამლი და საფთვე შვილდი წამოილოს. რაც სახლში საბატიოს კაცი-შეილი და აზნაურშეილია, ვერ დაგვაკლდება. ვისაც შეეძლოს თოფიც იქონიოს და შუბიცა, ვისაც არა და თოფი წამოილოს. ორის თვის ნუზლის ფიქრი ქნან. რახან შევატყობინოთ ამ რიგად ქალაქს შემოგვეყარნენ. მეკომლე ორი წილი ცხენოსავნი, მესამედი ქვეითი. ბოგანოც ქვეითი². ვახტანგ³.

257. 1720 წ. ახლო. ოქმი ვახტანგ VI-ისა კათალიკოს [დომენტისადმი] უკანასკნელის მიერ ყმების სალაშერთად გამანადებისათვის. დედანი. დაზიანებული (ნაწილობრივ ჩრჩილით არის შემული). 28,7×16,8 სმ, დაწერილი. ოეთზ გალაზე შეცდრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდევ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უხის: ცნობილია ლაშერიბის საბუთი იმავე მეტისა 1720 წლისა (საჭ. სიგ., I, № 215—259) და ეს საბუთიც მის პილო დროსვე უნდა ეკუთვნოდეს—საჭ. მუხ., № 1758 Ad.

ქ. არის ბატონის კათალიკოზისა ყმა ყოველგან [აზნა]ურშეილს გარდა საკომლო ექვსას (თექვსმეტი)⁴, ბოგანო მოლაშერე ას სამოცდაორი, ისე ბოგანო. ოთხმოცდარება. ამისგან ცხენოსანი მეთოუე თოხასთერთმეტი, შუბოსანი ცხენით ორას-ხუთი, ბოგანო ქვეითი ფარ-ხლმით ას ოცდახუთი, საფთვე შშეილდით ას-ოცდახუთი. ამათმა მოხელეებებმა ამ რიგად მზათ იყოლიონ, უქმესა და. კვირას დღეს ავარჯიშებდნენ. როცდესაც დაუძახოთ, მოხელეებებმა ამ რიგად შემოგვეყარნ. სახლში აზნაურშეილი ნუ დაგვაკლდება. თუ ამ იარაღით კაცი დაგვაკლდა, მოხელეებს ავად მოვეპყრობით იკოდენ. ვახტანგ⁴.

ბატონს კათალიკოსს მიერთვის.

¹ უკანასკნელი სიტყვის მაგიერ თავდაპირველად დაწერილია „ჩვიდმეტი“, მერმე ის ჭაშლილია შელნით.

² ტექსტის ბოლოს დალკე სტრიქონად დაწერილია და წახაზული: ქ. ამას გარდა ქალაქი ქრუხილვანი, სურამი.

³ ხვეულად.

⁴ უვულად.

258. 1720 წ. (1) აპრილის „დამდეგში“. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული გიორგი ქავთარაძის მიერ ლევან რიკაძისადმი. დედანი. $20,6 \times 17,3$ სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახშარია სამ-სამი წერტილი—საქ, მუხ., № 463 ჩd.

ქ. . . ესე ნასყიდულობისა წიგნი. და სიგელი დაგიწერე და მოგვეცი მე, ქავთარაძე გორგიმ და იქსემა, შეილმა და მომავალმა სახლისამ ჩენისამა შენ, რიკაძე ოთარის-შვილს ლევანსა-და შვილსა შენსა ჩინელსა და ოთარსა და ბერგანსა, გიორგისა და რევაზსა და მომავალსა სახლისა თქვენისასა; — ასე და ამა პირსა ზედან, რომე მას ეამსა ოდენს (sic) დაგვეჭირა და მოგყიდე ჩემი მემკვიდრე ყმა გალატოზი თამაზა, ავილეთ ფასი სრული და უნაკრულო, რითაც ჩენი გული შეგჯერდებოდა. რარიგათაც სხვას მრავალს მონასყიდეს მართვებოდეს (sic), ისე გყვანდეს და გიბერნიეროს ღმერთმა. არას კაცს შენთან ხელი არა ქონდეს. თუ ვინმე წამოგვედაოს, პასუხი ჩენ გავცეთ. არის ამისი მაშუალი და მოწამე თავათ ღმერთით . . . კაცთაგან ხასუტაშეილი წერტელი ფარსადან, კიდევ წერტელი ფარსადან, რიკაძე ბერი, ხორავაშვილი ნიკოლოზ, დათუნა გულაძე, — ფასის მიმცემიც ის არი. მე ყულიჯანაშვილს ბერის დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი . . . დაიწერა სიგელი ესე აპრილის დამდექს, ქორონიქონის უც (?). + +¹

259. 1720 წ. ივნისის 27-ს. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ჰემეტრაფალან-ხოსროს-შვილის მიერ გვი იოთამის-შვილისადმი, $44,5 \times 24,7$ სმ, დაწერილი მოყვითალო ქაღალდზე მხედრული ხელით; განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახშარია სამ-სამი, ორ-ორი ან თითო წერტილი; თარიღად აქვს 1720 წ.—საქ., მუხ., № 9423 ჩd.

ქ. . . ესე ამიერით უკუნისამდე უამთა და კანთა გასათავებელი ყოვლის ჩხუბისაგან გამოსული ნასყიდობის წიგნი და პირი მოგეც მე, ფალან-ხოსროს-შვილმა ზურაბის-შვილმა დემეტრემ თქვენ, იოთამის-შვილს ოთარის შვილს მოლარეთხუცეს გივს, შეილსა თქვენსა ოთარს, რევაზს და მასა ზაქენსა ზაზას და მამავალთა სახლისა თქვენისათა; — მას უასა ოდეს დაგვეჭირა და მოგყიდეთ აკურის ჩენი წილი მამული და ზედ მახლობელი გლეხი თავისის სამართლიანის სამზღვრის მთითა, ბარითა, წყლითა, წისქელითა, ველითა, ვენახითა, სასაფლაოთი, სახლის ალაგითა, ყოვლის ჩემის წილის საძებრითა და უძებრითა. აეილეთ ფასი სრული და უნაკლულო, რითაც ჩენი გული შესჯერდებოდა. აღარადარჩომილარა, ჩენი. თქვენზედ ალარც ერთის იოტის ფასი . . . ყოვლისფრათ ხელი გეწიფოდეს. არიან ამისი მოწამე და გამრიგენი . . . კაცთაგან გოშტა-

¹ მინაწერი სხვა ხელით: ქ. ესე წიგნი ნასყიდობის წიგნი მოგვე გიორგი ქავთარაძე

შაბის-შეილი ამილლაბარ [] , გერმანოზის-შეილი დათუნა [] , ზაჟუნას-შეილი ზალ¹ , აფურთვათის-შეილი ბეჟან¹ , ქავთარიშეილი გიორგი¹ ; მე მდივნის შეილს ყარანის დამიწერია . მოწამეცა ვარ ამისი [] . ქორონიქონის უც² , თიბათვის კხ . []

- ქ. ჩვენ, სახლთხუცესი თეიმურაზ ამისი მოწამე . []
- ქ. მე, ეშიყალათბაში ასლამაზ ამისი მოწამე . []
- ქ. ჩვენ, ეშიყალათბაში დურმიშხან ამისი მოწამე . []
- ქ. მე, დარაშეილი ბიჩთველა ამისი მოწამე . []
- ქ. მე მელვინეთხუცესი შიოშ ამისი მოწამე .

260. 1720 (?) წ. ნოემბრის 5-ს. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ზაზა საგინაშეილის მიერ ასლამაზ ჩაჩიკშეილისადმი . დედანი . დაზიანებული . 41,7 × 22,8 სმ. დაწერილი მოთერო-მოყვითალო ქალდზე შედრული ხელით; განკვეთილობის ნიშნად ყოველთ სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი, თარიღად აქვს 1720 წ.—საჭ. შუბ. № 1031 Ad.

ქ. . . . ესე სამკვიდრო და საბოლოო გამოსადევი, მტკიცე და მოუშლელი ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, საგინაშეილმან ზაზამ და შეილმან ჩვენმან იოთამ თქვენ, ჩაჩიკშეილს ასლამაზს ჟ . . . ასა შენსა სასე რომე დაგვეჭირა და მოგყიდეთ პატა-შეილი სოლალა, იმქისი ძმა გოგია თავისის მამულითა, თავისის შიმის ვენახის ნახევრით, ახლშენი მისის სანაპიროთ და ცისქარაულით, მისის სახლით, კარით, კურმარნით, კალოსაბძლით. მიწით, წყლით, ტყითა და სასრითა, შესვალ-გა-სავალით, დღეს რისაც მქონებელი იყოს. ავილეთ ფასი სრული და უკლებელი რითაც ჩვენი გული შეგჯერდა. აროდეს არ მოგეშალოს . . . არის ამისი მოწამე საგინაშეილი ბებაზ, საგინაშეილი ზურაბ, [] საგინაშეილი ინდო¹, ფარემუზიშეილი ბეჟან¹, რევიშეილი ბეჟან¹, თურქისტანიშეილი დაუით, თურ-ქისტანიშეილი ტარიელ¹, მაჟვრიანი (sic) ფარსადან [] , შებური-ფარსადან [] , შებური-

შეილი იორამ¹, მარა ასახლისის-შეილი ვართანა [] , . . . ოლუსაშეილი ? თაყაი [] , ამაზუაშეილი (?) სულხანა . დაიწერა . გიორგობის ე, ქორონიქონის უც².

- ქ. ამისი მოწამე მე ნაზრი ედიშერ . []
- ქ. თურქისტანის-შეილი გიორგი ამის მოწამე .
- ქ. ედიშერაშეილი სუნბატ ამისი მოწამე ვარ . []
- ქ. თულაშეილი იასე . []
- ქ. იორამ . []
- ქ. ზურაბ თულაშეილი : []

¹ აქ ბეჭდის დასასმელად ცარიელი ატგრლია დატოვებული.

² სწერია: უც.

261. 1720 წ. დეკემბრის 10-ს. ძმათ-შეყრილობის წიგნი, მიცემული ბრმა გილტგის-შვილების ოთარას და სხვ. მიერ ნასყიდა და ქიტესა მექანარის-შვილებისადმი, დედანი. დაზიანებული თავსა და მარცხენა გვერდზე $45,7 \times 22,6$ სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი—საქ. ც.-არქ., ფონდი 226, № 5490.

ქ. . . . ესე უკუნისამდე უამთა და დროთა გასათავებელი პირი და სიველი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, ბრმაგიორგაშვილებმა ოთარამ და ესტატემ შენ, ჩვენს ძმასა და სახლის კაცს მექანარის-შვილს ნასყიდას და ქიტესას; — ასე რომ ძმათ შაგიყარეთ და ჩვენი მამული გაგიერთეთ და სამორთ დავდევით მინდორში თუ კარზე, მთასა თუ ბარსა. ასე რომე დაგვჭირდა და გოსტიბებს ხაროში ვეყარენით ორნი ძმანი. ავიღევით შენი მკვიდრი მამული სარიდანს მაღალაშვილს მივყიდეთ, ჩვენი თავი დავიხსენით. მოგეცით აელმწიფის ნაწყალობევი წისქვილი, დეალის-შეილისეული ნაფუძარი ქვევით ბასილის-შეილის კარამდიჯ ზემოთ საჯინიბომდინ და, საცა რომ ჩვენი ან ნასყიდი იყოს, ან ნაწყალობევი, ჟველგან წილი გედვას. ამოვწყდეთ, ჩვენი მამული შენ დაგრჩეს. ამისთვის კიდევ უფრო, რომ შენი მამული ჩვენს დაკირებაში ჩვენ მოვიყმარეთ. არა ჩვენს ნათესავს, არა ჩვენს სახლის კაცს შენთან და ამ მამულთან საქმე არა ქონდეს შენს მეტს. . . არიან ამისნი მოწამენი და დამხდურნი თავად ღმერთი, კაცთაგან გიორგი ალფაშვილი, ბეთიაშვილი დათუნა, კურდლელაშვილი დათუნა. მე იასეს ნინიაშვილს დამიწერია: და მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა ქრისტის-შობის თვეს ათს გასულს, ქორონიქონ] უც, ქრისტეს აქეთ ჩლკ. +¹

262. 1721 წ. იანვრის 27-ს. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ფარემუშ ჯავაბის-შვილის მიერ ამილბარ მაღალაბისადმი. დედანი. დაკრებული. $118 \times 22,2$ სმ, დაწერილი თეთრი ქაღალდის ორ ერთმანეთზე დაკერებულ კეფზე მხედრული ხელით. პანკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. ც.—არქ., ფონდი 226, № 3903.

ქ. . . . ესე უკუნისამდე უამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და უცვალებელი. მიზეზშემოულებელი, დრომოუდევარი, ყოველის ჩხუბისა, ხლათისა და ილეთისაგან გამოსული და გამორკუეული სამკუიდრო და საბოლოო] ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, ჯავახის-შვილმა ფარემუშ, შვილმა ჩემმა ერასტიმ შენ, სვეტის ცხოვლის სახლთუხუცესა ამილბარს მაღალაბეს, შვილსა შენსა გიორგის, დემეტრეს, რევაზს და მომავალთა სახლისა შენისათა; — ასრე რომ ვალი მემართა და ლამეჭირა, ავდეგ და ჩემის ნება-წადილით

¹ სათაური საბუთის მეორე გვერდზე სხვა ხელით: ქ. მექანარის-შვილისა და ბრმაგიორგაშვილების შეკრილობის წიგნი].

მოგყიდე ქუენადრის ჩემი ყმები ნანიტაშვილი თევდორა, იმის ბიძაშვილი ივანა ხახიაშვილი მახარა, ხიზანა თავის შეილებითა და მმისწულითა (sic) ჩემი სამ-კუიდრო ბარათში გამოყოლილი, დღეს რისაც მქონებელი არიან, თავის სამართლიანის სამძლურითა, საკავითა, უკავითა, მთითა, ბარითა, საწისქუი-ლოთა და წისქუილითა და თავის საკაფის ქალითა და საწყლისპიროთა, თავის სახლკარითა და ნაფუძრითა, ქუევრითა, მარნითა და საწნახლითა, ბაღითა და მისის შესავალ-გასავლითა და კარმიდამოთა და სასაფლაოთა. ავილეთ ფასი სრული თქუენგან, რითაც ჩენი გული შეგჯერდათ. არა დარჩა-რა ჩენი თქუენ-ზედა არც ერთი იოტის ფასი. გქონდეს და გიბედნიეროს ლმერითმა]ნ, რაგვა-რადაც სხვას ალალს მონასყიდეს ჰქონდეს და მოექმარებინოს. არ მოგეშალოს არა ჩენგან და არა სხვათა შემდგომთა ჩენთა ნათესავთაგან და მომავალთაგან, არა მეფეთა და კელმწიფეთაგან, არა დედოფლალთა და უფლისწულთაგან, არა დიდთა და არა მცირეთაგან. . . არიან ამისნი მოწამენი თავად ლმერითი, კაცთაგან ჩენი აზნაურშვილი გამყრელიძე მამუკა +, ფეფიტაშვილი პაატა +, ნინიაშვილი მლოდელი იქე +, ახალქალაქის მამასახლისი ელისბარ +, ხუცის-შვილი ნიკოლოზ +, მახვილაძე დავით +, სარუყაზანაშვილი სებნია +, ლამუ-აშვილი პაპაჯანა +, სარდარი გედეონიშვილი ზახა¹, გედევან¹, ზურაბ¹, გა-ლალშვილი ხუცა¹, ერასტი¹, საამ, სარიდანი, ივანე¹, მგალობელი დათუნა¹, ჭარმეული ქაიხოსრო +, კანდელაკიშვილი იოანე +, მოლარეთუხუცესი პაპუნა¹, მესტუმრე თამაზ +, ტატანაშვილი გიორგი + და სულ ერთობილი მცხ-თელი. დაიწერა სიგელი ესე აელითა სიონის დეკანიზის გაბრიელისათა იანგარს. კზ, ქორონი]ქონ]ს უთ.

ფარემუზ

263. 1721 წ. იანგრის „გასულს“, ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ავთან-დილ ჯავახის-შვილის მიერ ამილბარ მაღლაძისადმი. დელანი. 98,8×24,8 სმ, დაწე-რილი ოეთრი ქაღალდის ორ ერთმანეთზე დაწებებულ კეფზე მხედრული ხელით. გან-კვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საჭ. ც—არჭ. ფონდი 226, № 5268.

დაცულია პირიც, გადალებული უზენაეს მართებლოის ბრძანებით.

ქ. . . . ესე უკუნის მდე უამთა და ხანთა გასათავებელი, შტატიცე და უც-ვალებული, მიზეზშემოულებელი, დრომოუდეუარი, ყოვლის ჩხებისა, ხლათისა—ილეთისაგან გამოსული და გამორკუ'ესული სამკუიდრო და საბოლოო ნასყი-დობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩენ, ჯავახის-შვილმა ავ-თანდილ და შეილმა ჩემმა ზექაბუჟ (sic) შენ, სვეტისცხ[ო]ვლის სახლთუხუცესს ამილპარს მაღალაძეს, შეილსა შენსა გიორგის, დემეტრეს, რეუაზს და მომა-

¹ აქ ბეჭდის დასასმელად აღგილია დატოვებული.

ვალთა სახლისა შენისათა;—ასე რომე ვალი მემართა და დამეჭირა ავლეგ და
 ჩემის ნება-წარდილით მოგყიდე ყარალიჯს ჩვენი ყმა სამკუთღრო ბარათში¹. გა-
 მოყოლილი ჯვარისას-შვილი ბერძენა და თამაზა თავისის მამულითა, სახლითა
 და კარითა, ქუევრითა და მარნითა, მიწითა და ვენახითა, კარის ვენახითა. აქეთ
 რომ ყარალიჯულზე რუზე ბაგა აქუს, ბაგისთან რომ წისქული აქუს, თავისის
 წყლითა, ბაგის გარეშამო რომ თხლიური მიწა აქუს, იმ მიწითა, შესავალ-გა-
 სავლითა, სარწყავითა, და ურწყავითა, სახნავითა და უხნავითა თავისის წყლითა
 და სარწყავითა, მთითა და ბარითა და მისის შესავალ-გასავლითა და კარმიდა-
 მოთა და სასაფლაოთა. ავილეთ ფასი სრული თქუენგან, რითაც ჩვენი გული
 შეგჯერდებოდათ. ასა დარჩა რა ჩემი თქუენგედა არც ერთი იოტის ფასი.—
 გქონდეს და გიბედნიეროს ლ-თან, რაგვარადაც სხვას ალალს მონასყიდეს ჰქონ-
 დეს და მოემარებინოს. არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა სხვათაგან შემ-
 დგომთა ჩვენთა ნათესავთაგან და მომავალთაგან, არცა მეფეთა და კელმწი-
 ფეთაგან, არა დედოფალთა და უფლის-წულთაგან, არა დიდთა და არა მცი-
 რეთაგან . . . არიან ამისნი მოწამენი თავად ლ-თი, კაცთაგა[ნ] ჩვენი აზნაურ-
 შვილი ვამჟრელიძე მამუკა +, ფეფიტას-შვილი პაპტა +, ნინიას-შვილი მღვ-
 დელი იქსე +, ახალქალაჭის მამასახლისი ელისბარ +, ხუცის-შვილი ნიკო-
 ლობას +, მალეილაძე (sic) დავით +, სარწყაზანას-შვილი სეხნია. +, ლიბუს-
 შვილი პაპაჯანა, სარღარი გეღვეონის-შვილი ზაზა +, გეღეუან +, ზურაბ +,
 მალალაშვილი ხუცია +, ერასტი +, საამ +, სარიდან +, ივანე +, მგალი-
 ბელი დათუნა +, ვარმაქული ქაიხოსრო +, კანდელაკის-შვილი იოვანე +,
 მოლარეთხუცესი პაპუნა², მესტუმრე თამაზ +, ტატანას-შვილი გიორგი +
 და სულ ერთობილნი მცხეთელნი, დაიწერა სიგელი კელითა ანჩხატის დეკა-
 ნოზის ძინწულის მთავარდიაკუნის გიორგისითა იანვარს გასულს, ქორონი-
 ჭონის უთ, ქრისტეს აქეთ ჩლკა. 1721 | ავთანდილ | +

264. 1721 წ. თებერვლის „დამდექი“ ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ფარემუს ჯავა-
 ხიშვილის მიერ პაპუნა დოქიძისადმი. დედანი. 46,8×23,2 სმ, დაწერილი თეთრ ქა-
 ლარდნე მხედრული ხელით. ასო-ნაკლები. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის
 შემდეგ ნახმარება ონ-ორი წერტილი—საქ. მეხ., № 1701 Ad.

ქ . . ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩუენ,
 ჭავაჭაბიშვილმა ფქარემუზ და შვილმა ჩემმა ერასტიმ თქვენ, ბატონის კზის მო-
 ლარეთუხეცეს დოქიძეს პაპუნაზის, შვილსა შენსა დავითს, შვილთა და მომა-
 ვაქალთა სახლისა შენისათა] ყოველთავე[];—ასე რომ ჩვენი ბარაქოში ნარგები.

¹ უკანასკნელი ხუთი სიტყვა ამოფხეკილ ადგილას არის დაწერილი ტექსტისავე ხელით.

² აქ ბეჭდის დასამელად ცარიელი ადგილია დატოვებული.

და ჩვენი მემკვიდრე ჩვენის ყმის შეილი ყარაღლაჯელი ბაინდურაშვილი ესტატე შოგუიდეთ ყოვლის კაცის მოუდევარ მოუსარჩელელი. ავილევით ფაქსი სრული, რითაც ჩვენი გული შეგჯერდებოდა. არაფერი სალაპარაკო არა დარჩომილა რა. ვინც ამაში წამოგედეოს ვინმე, პასუხის გამცემი ჩვენ ვიყვნეთ. . . არის ამისი მოწამე. . . კაცთავან კათალიკოზის მგალობელი დათუნა, ჩემი აზნაურ-შვილი გამყრელიძე მამუკა, ხუციშვილი ნიკოლოზ, ბაინდურაშვილი იასე. მე მტხოვის კანდელაკის-შვილს იოვანეს დამიწერია და მოწამეც ვარ. დაწერა. სიველი ესე თებერვალს დამდეგსა, ქორონიკონს უფ [].

265. 1721 წ. მაისის 16-ს. მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ოთარ რატის-შვილის მიერ ბეჭან შანტია-შვილისადმი. პირი XX ს-ისა. 35.7×22 სმ, გადაწერილი თუთო ქალალდე მხედრული ხელით—საქ. მუზ., № 10 285 ჩი.

ქ. ნებითა და შეწევნითა მღლისითა მამისა, ძისითა, სულისა წმინდისა ამათით თავდებობითა და მინდობითა და შუამდგომლობითა ესე ამიერ უკუნისამდე უამთა და ხანთა გასათავებელი ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ არატიშვილმა ოთარმა, ოტიაშვილმა ზაზამა და ჩემა ძმამა ბალურმა თქვენ, შანტიაშვილს ბეჭანსა, შვილსა თქვენსა გორჩისა, ავთანდილსა, იარალისა და სამოელსა და მამავალსა სახლსა თქვენისა:— მას უამს ოდეს დაგვეჭირა და მოგიდეთ ჩვენი ბარათში ნარგები ზემო-სახუნდარს ამოგარდნილი იყდიგარაშვილის ნაქონი მამული, მიწა-წყალი. ნავენახევრი, სახლი, კარი, კალო-საბძელი დღეს რისაც მქონებელი იყოს თავის ნასყიდითა და უსყიდითა. ავიღეთ ფასი სრული, დღეს რითაც ჩვენი გული შეგჯერდებოდათ. გქონდესთ და გიბელნიეროს ლ[მერ]თ[მა]ნ. თუ ვინმე წმინდებაოს, პირისა და პასუხის გამცემი ჩვენ ვიყოთ. ამას გარდა კიდევ მოგვიდეთ ხარატაშვილს სახლი, კარი და რისაც მიწის მქონებელი იყოს. ამაზე აძეს კაკოზას ნაქონი ჩემი წილი ვენანი. რამანც კაცმან ამისად შლად ხელი ყოს, მასამც რისხავს თავად ლ[მერ]თი და ყოველი მისი წმინდანი ზეცისანი და ქვეყნისანი, ხორციელნი და უხორცონი. არის ამის მოწამე თავად ლ[მერ]თი და ყოველნი მისნი წმინდანი. კაცთავან. ბარათაშვილი როსტომ [] როსტომ [] მარტიროზიშვილი ყარან [] ყარან [],

ნასრიაშვილი როსტომა, ფასინაშვილი მამ[ა]ჯანა +, მე თუმანიშვილს ბირთველს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. ღაიშერა სიგელი ესე მაისის ივ ქორონიკონს უფ. ხარატაშვილი რომ მოიყვანო და და[ა]სახლო, იმასთან მე ხელი არა შექნდეს. რაც ბატონის გამოსალები იყოს, შენ გარდიხადო [] თარ [] ++

ქ. არის ამის მოწამე ლორნაშვილი ასატურა.

ქ. არის ამისი მოწამე ედიშერაშვილი სუმბათა.

[] სუმბათა

266. 1721 წ. აგვისტოს „დამდეგს“ ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ქისიყის მოურავის შეილის დემეტრეს მიერ მირიმანანთ ისეფასადმი. დედანი. 43,7×21,3 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი. თარიღიად უზის 1721 წელი—საქ. მუხ., № 501 Qd.

ქ. ესე ნასყი]დობის წიგნი მოგ[ე]ცით ჩვ[ე]ნ, პისიყის მ[ო]ურ[ა]ვი]ს შე[ი]ლ-
მან დემეტრ[ე]მ და ძმამა ჩ[ე]მ[მ]ა სვ[ი]მონ შენ, მოქალაქ[ე]ს მირიმანა[ან]თ აფ-
თანდილას-შვ[ი]ლს ოსქ[ე]ფას;—რომ ჩ[ე]მი შათირის-შვილი გიორგი მოგყ[ი]ლ
და, რასაც ჩვ[ე]ნი გული შაჯ[ე]რდ[ე]ბოდა, ფასი უკლ[ე]ბლად ავილ[ე]ვით
(გ)ყვანლ[ე]ს და გიბედნიეროს ღმერთმა, როგორც სხ[ე]ს მონასყ[ი]დ[ე]ს ყო-
ლ[ო]დეს. ვ[ი]ნც ამაში წ[ა]მოგ[ე]დაოს პირ[ი]სა და პას[უ]ხის მიმც[ე]მი მე გ[ი]ყო.
არის ამისი მოწ[ა]მე . . . კაცთაგან ქალ[ა]ქის მელიქი ასლამაშ [] და მა-
მას[ა]ხლ[ი]სი ზურ[ა]ბ [], ალაყალა[ა]ნთ გიუა, ოქრომჭ[ე]დლიანთ გარ-
ს[ო]ას-შვ[ი]ლი მარტ[ი]ლოხა [], მესროფას-შვ[ი]ლი ხ[ა]ჩ[ა]ტ[უ]რა [];
თუ ეს ბიჭი გაიპარ[ო]ს სადმე, პასუხის მიმც[ე]მი მე ვიყო. ამ ბიჭის ძმა ერთი
მელიქესაც მივყიდე. მე დემეტრ[ე]ს მ[ო]ურ[ა]ვი]-შვ[ი]ლს დამიწ[ე]რია და ყაბუ-
ლ[ი]ც მაქს ამისი. დაიწ[ე]რა მარიამობის დამდეგს, ქ[ორონი]კ[ონ]ს უთ. ¹ დე-
მეტრე ². სვიმონ ³.

267. 1721 წ. აგვისტოს 20-ს. ყმის დახსნილობის წიგნი, მიცემული ზაზა აბაშიძის მიერ
ააუნა დოქიძისადმი. დედანი. 32,6×24,7 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდე მხედრული
ხელით; განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი;
თარიღიად აქვს 1721 წ.—საქ. მუხ., № 1682 Ad.

ქ. . . ესე უკუნისამდე უამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და მი-
ზენშემოულებელი ფიცი და პირი და სიგელი. მოგეცით ჩვენ, აბაშიძე ზაზამა
და მამუკამა შენ, შვილსა შენსა ბატონის ჩემის მოლარეთუხუცეს დოქიძე პა-
პუნასა, შვილსა შენსა დავითსა, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისა
ყოველთავე;—ასე და ამა პირსა ზედან: მეტებს ტყაბუნაშვილი ბერია ჩვენი ყმა
იყო და იმას ვენაკი გაუყიდეთ. მერმე ბატონმან კათალიკოზმან სხვა ვენაკი გა-
მოგვართო და რმას უბოძა. აწე იმ ვენაკის მიცემა ჩვენ ურ შევიძელით და იმ
ქაცხედ კელი ავილევით და აზოტობის წიგნი მივეცით და იმ ქაცს. ზოგირამ
ჩვენი თავდასახსნელი დაედვა და იმისი მოცემა იმან ვერ შეიძლო. მოვიდა
და შენ შემოგეხვეწა და შენ გეემო და ბატონმაც შენ გიბოძა და იმი-
სი სახსარი შენ მოგვეც და შენ დაგახსნევინეთ და შენ მოგეცით. აწე დღეს

¹ სათაური სხვა ხელით: გიორგის ბიჭის სიგელია. მირიმანა[ა]ნთ ავთანდილაშვილი
ოსეფასი.

² ხვეულად.

³ ხვეულად.

და დღეისიქით იმასთან ჩვენ კელი აღარა გვქონდეს რა, არა ჩვენ და არა ჩვენს შვილისშვილსა და მონათესავესა. ეს ასე გაგითავდეს და არ მოგეშალოს. არის ამისი მოწამე ჩვენი სახლო-უხცესი ამილბარ¹, დეკანოზი დანიელ, მოურავი იოვანე², გედავანიშვილი ზურაბ, მაღალაშვილი ერასტი³ | და სულ ერთობილი მცხეთელნი. მე კანდელაკის-შვილს იოვანეს დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა წიგნი ესე მარიამობისთვეს კ, ქორონი]კონს უთ.

ქ. მე მდივანი სოლომონ მოწამე ვარ. | |

268. 1721 წ. ნოემბრის 15 ს. ყშის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ზალ და სხვა ყანჩელების მიერ პაპუნა დოქიძისადმი. დედანი. 65×24,2 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდებ მხედრული ხელით განკვეთილობის ნიშანა ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღად აქვს 1721 წ.—საქ. მუზ., № 1725 Ad.

ქ. . . ესე უკუნისამდე უამთა და დროთა გასათავებელი და მიზეზშე-მოულებელი ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩუენ, ამილახორის აზნაურშვილმა ყანჩელმა ზალ, შალვამ და ბიძინამა, შვილმან და მომავალმან სახლისა ჩუენისა ყოველთავე თქვენ, სვეტისცხოვლის ყმას დოქი-ძეს მოლარეთუხელუცეს პაპუნასა, შვილსა შენსა დავითს, შვილთა და მომავალთა სახლისა შენისა ყოველთავე;—ასე და ამა პირსა ზედა, რომე ერთი ჩვენი ყმა ახრისელი კალატოზიშვილი დათუნა და იმისი შვილი გიორგი აგვეყარა და შენ მოგივადნენ. ახლა ჩვენ წამოგედავეთ და თხოვნა დაგიწყევით. არც იმ კაცმა გამოიწია ჩვენკენა და შენც დახსნა მოინდომე და ჩვენც გამოგართვით ფასი და სახსარი, რითაც ჩვენი გული შეგჯერდებოდა. აღარაფერი ჩვენი შენზედ აღარა დარჩომილა-რა. არას ჩვენს სახლისკაცა და ნათესავსა ამაში საქმე და სალაპარაკო არა აქეს-რა. არიან ამისნი მოწამენი და შუა-დამხდურნი კაცთა-გან სვეტის-ცხოვლის სარდალი ბოქულთუხელუცესი. ზაზა² ყანჩელი რევაზ-რე-ვაზ³+, ჩემი ყმა კუნდაური ბერი. მე მცხეთის კანდელაკის-შვილს იოვანეს დამიწერია და მოწამეც ვარ. დაიწერა სიგელი ესე გიორგობისთვეს იე, ქორონი]კონს უთ. + + +

269. 1721 წ. დეკემბრის 4-ს. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ზურაბ რა-რის-შვილის მიერ ბეჟან შანშაბეგილისადმი. პირი XX ს-ისა. 35,4×21,8 სმ, გადაწე-რილი თეთრ ქალალდებ მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის—საქ. მუზ. № 10.282 Ad.

ქ. ნებითა და შეწევნითა ლვთისათა . . . ესე უკუნისამდე უამთა და ხან-თა გასათავებელი ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგყიდეთ

¹ აქ ბეჭდის დასასმელად ცარიელი ადგილია დატოვებული.

² აქ ბეჭდის დასასმელად ცარიელი ადგილია დატოვებული.

³ ხევულად.

ჩევნ, რატიშვილმა ქაიხოსროს შვილმა ზურაბ, შვილმა ჩემა დავით და სახლი-
სა მამავალმა ჩემისამან თქვენ, შანშიაშვილს პაპიაშვილს ბეჭანსა და ძმისწულ-
სა შენსა ქაიხოსროს, პაპაშვილსა და ახვერდასა, შვილთა თქვენთა გიორგისა, ავ-
თანდილსა, იარალისა და საბასა და ძმისწულსა თქვენსა რთარსა, მანუჩარს;
ფარებულასა და გიუნასა და მამავალსა სახლისა თქვენისასა: —ასრე და ამა
პირსა ზედა, რომე დამეჭირა და მოგყიდე ჩემი ალალი ბარათში გამოყოლილი
სამჯვიდრო სახუნდრის ნახევარი, რომ ნახევარი ჩემია და ნახევარი ფარებული-
სა და ოტიას-შვილსა. მოგყიდე ჩემი წილი მთლივ ნახევარი თქვენ, ბეჭანის-
შვილებსა და ნახევარი სამთავ ძმათა შვილებსა თავისის ზედ მსახლობელის
კაცითა, რისაც მჯონებელი იყოს ან დღესა და ან დღეის წინათ ყოფილიყოს სახლი
კარითა, ვენახითა, მიწითა, წყლითა, წისქვილითა, მთითა და ბარითა, ტყითა
და სათიბითა, სულ თქვენთვის მოგვიყიდია ყოვლის კაცის უკილებელი და
მოუდევარი და ავიღეთ ფასი სრული და უკლებელი, რითაც ჩემი გული შეგვ-
ჯერდებოდათ. გქონდესთ და გიბედნიეროს ღ[მერ]თ[მა]ნ, რაგვარადაც მრა-
ვალს ალალს მონასყიდეს ქ[ო]ნებოდეს. არავინ იყოს მოცილე და მშლელი ამისი
თვინიერ მღვიმის მეტი. თუ ვინმე წამოგესარჩლოს და გედაოს ვინმე, პირისა
და პასუხის გამცემი ჩევნ ვიყოთ. ვინცა და რამანცა კაცმან და დიდმან ანუ
მცირებან ამისად შლად ხელყოს რისხევემცა ღ[მერ]თი . . . ხოლო დამამტკი-
ცებელი ამისი ღ[მერ]თ[მა]ნ აკურთხნეს. არიან ამისი მოწამე თავად ღმერთი

• • • კაცთაგან მდივანი გივი [გივი], ნაზირი ედიშერა [ედიშერას
შვილი]

ნაზირი ოსეფა [ნაზირი
ოსეფა], მდივანი თამაზა [მდივანი
თამაზა], ციციშვილი

უთრუთ, აბაშიშვილი დაკით, იაგულაშვილი ზალია, ზავრაშვილი ბეჭან +,
კელაშვილი გიორგი [კელაშვილი
გიორგი], თუშლმიშვილი გიორგი - გოდერძი

[გიორგი
გოდერძი], იეგანაშვილი გოდერძი, მოქალაქე ოქუაშვილი ბეჭან [ოქუაშვილი
ბეჭან],

შერმაზანაშვილი შერმაზან [შერმაზან], დოლმაზაშვილი როსტომა +,
ელისბარაშვილინაზარა [ელისბარაშვილი
ნაზარა], შაყელაშვილი ჰალავერძა, სარკინელი.

შანაშვილი გორჯასპი, . . . შვილი შიოშ. მე თუმანიშვილის მდივანს ბირთველს
[ბირთველი] დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. ქ[ო]რონი]ქ[ონ]სა უთ

დაიწერა სიგელი ქსე ქრისტიშობის თვის დ, ამ პირობითა რომე, ჩემი ყმა
პიტეყაშვილი პაპია რო მე მახლავ უმამულოთ, კაცში ხელი არა გაქუსთ, მა-
მული თქვენთვინ მამიცია. არც ამ პაპას-შვილმა შველი შვილსა ხელი არა

აქვს.	მოწამე დავით	+ მოწამე ზურაბ	ქ. ამის მოწამე ზედგანიძე გორჯასპი.	გეკადს უსოვ გორჯასპი
	სარდალი ყაფლანი შეილი ლუარსაბ.			
			ქ. მე მდივანბეგ ერასტ ამტონის კაცის ბეჭედი შონაჩერი.	ერასტი
			ქ. მე მდივანი გორგი ამის მოწამე.	მდივანი გორგი
			ქ. ამის მოწამე გოსტასიშვილი ამილყაბარი.	გოსტასიშვილი ამილყაბარი
			ქ. მე მდივან ბეგთაბეგ ამისი მოწამე ვარ.	მდივანი ბეგ- თაბეგ
			ქ. მე დემეტრე საკაძე ამის მოწამე ვარ +. ქ. ანი მოწამე ბატონის-შეილის მდივანი შერმაზან.	მდივანი შერმაზან
	ქ. ამის მოწამე სოლოლაშვილი ქაიხოსრო.			
	გაიხოსრო			
		საამის-შეილი ზურაბ.	ზურაბ	
			ქ. ამის მოწამე ჯავახის-შეილი როინ.	მოწ. როინ
			თუმანის-შეილი დავით.	თუმანის შეილი დავით

270. 1722 წ. იანვრის 1. ყმის ნასყიდობის წიგნი, შიცემული გორჯასპი მუსხელიშვილის მიერ ზახა ციციშვილისადმი. დედანი. 24,6×13,5 სმ, დაწერილი მოთეთორო ქაღალდზე მხედრული ხელით. ასო—მეტ-ნაკლები. განკვეთილობის ნიშნად ყოველი. სიტყვის შემ-დეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი—საქ. მუს. № 1242 Ad.

ქ . . . ესე ამიერით უკუნითი უკუნისამდე ეამთა და ხანთა გასა-
თავებელი, მტკიცე და შეუცვალებელი წიგნი და სიგელი დაგიწე რეთ და მო-

გეცით ნასყიდობისა მე, მუსხელაშვილმა¹ გორჯასპირ და ჩემ[მ]ა ძმამა ხო-
ხონამა და გორგიმ თქვენ, ბაზიართხუცეს[ს] ქვემო ციციშვილს ზაზას; — ასრუ-
რომე ახაშეილები ელიშერის-შვილს მივყიდე და ბატონმა არ დამაგება და-
კელი ამიმართა. შენ ბატონის[ა]გან დასტური იშოვნე და შენ მოგყიდე ჩემი-
ბარათში გამოყოლილი ახალშენს ახაშეილი ყარა[ა]ხანა, იმისი შეილი ლალაზა,
იმისი განა[ა]ყოფი ნაზარა და ზურაბა. ავიღე ფასი, რათაც ჩემი გული შეჯერ-
დებოდა. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმა, როგორც სხვას მონასყიდეს
ჰქონებოდეს, ყოვლის კაცის უცილვებლად. ვინცავინ მაგას შემოგეცილოს,
პირისა და პასუხის გამცემი მე ვიყო. არის ამისი მოწამე . . . კაცთაგან როჭი-
კაშვილი ნაზირი ედიშერ, ზა[ა]ლ ბა[ა]დურის-შვილი |—|, ჩემი[განა]ყოფი რო-
შა[ა]ქიშვილი დემეტრე², შიომვილი გიორგი+, ბურდიაშვილი გიორგი² და მე
მეშრიბი ნასყიდას-შვილს ბეჟანს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა ესდ
წიგნი იანვრის ერთსა, ქ[ორონი]კ[ონ]ს უი. + + +

271. 1722 წ. მარტის 15-ს. პირობის წიგნი, მიცემული ყარახანა და დავითა დუთა-
შვილების მიერ ვილაც ბატონი გიორგისადმი. პირი, გადაწერილი უზენაეს მართებლო-
ბის ბრძანებით XIX ს. დასაწყისს მხედრული ხელით—საქ. ც.—არქ., ფ.—, № 8/46.

ესე წიგნი მოგეცი მე, დუთაშვილი[ი] ყარახანამ და დავითამ შენ, ჩემს
ბატონს გიორგის; — ასე რომე შენი ნასყიდი მამულზედ მევე დამასახლე. ვე-
ნახის კულუხი რომე აიღონ, მესამედი მე ავიღო და მეოთხედი შენ მოქცე-
მიწა-წყალი მევე მქონდეს და შენი მუშა[კობა] და ბეგარა[ა], როგორც გლეხისა-
გან მართებული იყოს, ისე მეც გემსახურო. არის ამისი მოწამე მანველა და
აკოფიან[ა]თ თამაზა და ბიძინა[ან]ქთ ვართანა, არახა[ან]ქთ ევრა, ირუმა[ან]ქთ
ბიძინა. მე მამასახლის მადათას დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა
ესე წიგნი მარტის იე გასულს, ქ[ორონი]კ[ონ]ს უი. + +

272. 1722 წ. აპრილის „ნახევარს“. მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული პაპუნა თაზის-
შვილის მიერ ზალ უმეას-ზვილისადმი: პირი XIX ს-ისა. 36 × 22,5 სმ, გადაწერილი
სხვა საბუთებთან ერთად ერთ თაბაზ ქალალდებ მხედრული ხელით. განკუეთილობის-
ნიშანი ნახმარი არ არის—საქ. მუზ., № 10.174 ა. hd.

ქ. ნებითა შეწევნითა მკითისათა (sic) მამისა, ძისა, სულის წმინდისა წინა-
ჩენი კურთხეულის ქანწულისა მარიამისათა ზეცის ძალითა და ანგელოზითა
იოვანეს ოქროპირითა და იოვანეს მახარობელითა და მიქელ-გაბრიელ თავარ-
ანგელოზითა, სამას თორმეტის პტიხითა და ყოველის წმინდათ მოწმობითა.

¹ უკანასკნელი სიტყვა ტექსტში სწორია: მუსხლაშვილმა.

² აქ ბეჭდის დასამშელად ცარიული აღგილია დატოვებული.

და დროდაუდებელი, მიზეზს-შანოვლებული ესე ნასყიდობის წიგნი მოგეცი
მე, თაზის-შვილმა პაპუნამა და შვილმა ჩემა და კველამა ჩემა სახლის მამავალ-
მა ყველამა;—ასე რომა შენ უმექას-შვილს ზალის და ზურაბას ენით ჩვენის
ნებითა ყოფნითა და მოგყიდეთ მიწა კახის-შვილის სამძღვრამდინ და კიდევ
ჭაპუქას-შვილის სამძღვრამდინ, ახლოდამ რომ გზა ჩამოწუკლის ზარიძის სამ-
ძღვრამდინა, იქით დუბის მიწა როსებიანთ მიწის ბოლომდინ. ზარიძის მიწას
გზა რომ გავლამდინ, ბოლო დათუას მიწის თავამდინ. ასე რომ მოგეცით ხელს
შამოუელეველი ყველამ ჩემა სახლისა კაცმა მოგეცით და გილოცვეთ და ლერ-
ომა მოქცესთ და გიბედნიეროსთ და ასე რომა ვიყიდეთ ჩვენ ორთავ ძმათა
უმექას-შვილმა ზალიამა და ზურაბამა და ახლა ზალის შვილები ყვანდა და
ზურაბასა არა ყვანდა და, როცა ჩვენ ამ მიწით გული შევიჯერეთ, ყველა-
ში ზურაბას ქალებს წილი დაუდონ და არა] ერთმანერთქონ სალაპარაკო
არა დარჩომილა რა, რითაც ამა მიწის პატრონის გული შევიჯერიეთ. არის
ამისი მოწამე თავათ ლმერთი, მის მოწამენი და კაცთაგან შიოშ თაზის-შვილი
და ზარიძე და ძეგველი უმექას-შვილი დავითა, იხმას-შვილი ოთია და ხეკორ-
ძელი ოთარას-შვილი იასე და მე მოსესას ტერ-ტერტერას-შვილი დაიწერა
და მოწამეც ვარ ამისი. ვინც ესე წიგნი შაშალოს, თავისი სახიდამ შაიშლება.
დაიწერა ესე წიგნი აპრილის ნახევარსა გასულს, ქორონიკონს უ.

273. 1722 წ. აპრილის 21-ს. ყმის გირავნობისა და პირობის წიგნი, მიცემული ავთანდილ
ჯავახიშვილის მიერ ომან თარხნიშვილისადმი. დედანი. 23,8×13,2 სმ, დაწერილი თეთრ
ქალალდებ მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანდ ყოველი სიტყვის შემდეგ ნაზ-
მარია ორ-ორი წერტილი. თარიღად აქვს 1722 წ.—საქ. მუხ., № 3198 სდ.

ქ. ესე წიგნი მოგეც მე, ჯავახიშვილმა ავთანდილ თქვენ, თარხნიშვილს
ომანს;—ასრე რომე შენი თეთრი რომ მემართა და ისრევ მმართებს, იმ თეთ-
რის საქმეზე ზენადრის ამირაზაშვილი და ლულს იმერლიშვილი ესენი გი-
რაოები იყო. დამეჭირა და ზენადრის ის ამირაზაშვილი შენათ შეუკითხავთ
სახლოხუცეს ამილბარს მივყიდე. ახლა იმის სამუშაბოთ ყარალჯეს დემეტრაშვი-
ლი თევდორა იმის სამუშაბოდ შენთვის დამიდებია მისის მამულითა და სახ-
ლის-კაცებითა. მანამდი შენი თეთრი თავნი და სარგებელი არ მოვაძარო, მა-
ნამდინ ვერც გავყიდო ეს კაცები და ვერც სხვას დაუგირაო. როგორც იმ თა-
მასუქში გაწერია, ისრე თუ სარგებელს მე ვერ მოგცემდე თუთხმეტის თუმნისა,
იმ კაცებისაგან აიღებდე. თუ ეს კაცები ან სხვის გირაო იყოს და ან სხვას
დაუგირაო ვისმე, ჩემის კელმწიფის შემცოდე ვიყო. არის ამისი მოწამე შიხაი-
დარიშვილი როსებ, ჯორაშვილი ზურაბ. მე თუმანიშვილს ქაიხოსროს დამიწე-
რია და მოწამეცა ვარ. ქორონიკონს უ, აპრილის კა. |

* სათაური: ავთანდილ ჯავახიშვილის თამასუქი.

274. 1722 წ. ნოემბრის 5-ს. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ზალარხნის-შვილის მიერ სახლთუხუცეს ამილბარ მაღალაძისაფში. დედანი. დაზიანებულის თავი მოგლეჯილია და დაკარგული 55×21,3 სმ, დაწერილი თეთრ ქაღლდზე მხედრული ხელით. ტექსტს თავში აკლია. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. მუხ., № 2480 ჩ. დ.

ესე უკუნისამდე უამთა, ზანთა და ღროთა გასათავებელი ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, თარხნის-შვილმა ზალარხნის-შვილმან ჩემმან დავით, როსტომ, ზეშორე, ონოფრე და ივთანდილ თქვენ, მაღალაძეს სახლთუხუცეს ამილბარს, შვილსა თქვენსა გიორგის, დიმიტრის და, რევაზს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისა ყოველთავე; —ასე და ამა პირსა ზედა, რომე დაგვეჭირო და მოგყიდეთ ჩვენი მემკვიდრე და ბარათში გამყოლილი ყმა კავთის-კევს თვალაზედ ნაცვლიშვილი ქურციკა, იმისი შვილი-გიორგი და ბესარიონ, იმისი ძმა ბერუჟა, იმისი შვილი გეგელა და ბასილა-შვილებითა და მათის მომავლობითა და მათის მამულებითა, მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენაკითა, საკავითა, უკავითა, ზენითა და უშენითა, ჭალითა და საკაფითა, ბალითა და საბოსტნითა, სახლ-კარითა, ქვევრ-მარნითა, კალო-საბძლითა და მათის სასაფლაოთი შესაყლითა და გასავლითა და ყოვლის მისის სამართლიანის სამძღვრითა და ნატამლითა გქონდეს და გი-ბედნიეროს ლმერთმან ყოვლის კაცის უცილებლად და მოუდევრად ესე ჩვენი, მემკვიდრე ყმა ნაცვლიშვილი ქურციკა და ბერუჟა თავის შვილებითა და მათის მამულითა ნასყიდითა და უსყიდითა მოგვიყიდია. თუ ვინმე წამოგედეოს, პი-რისა და პასუხის გამცემი ჩვენ ვიყვნეთ. ავილეთ ფასი სრული და უნაკლულო, ვითაც ჩვენი გული შესჯერდებოდა. აღარა დარჩომილა-რა თქვენთან ჩვენი ერთის იოტის ფასი . . . არიან ამისნი მოწამენი და შუა-მდევნი ჩვენი ბიძაშვილი-თარხანი ლუარსაბ, 1 ბიძა ჩვენი ზურაბ ¹, ჩვენი ბიძაშვილი მამუკა ¹, ციციშვილი უთრუთ ¹, ნახუცრევიშვილი დავით ¹, ჩვენი აზნაურშვილი გოგიბაშვილი ბერან ¹, ცალქალამნიძე სახლთუხუცესი გივი ¹, თუხარელი გიორგი ¹, ცალქალამნიძე ფირან ¹, ჯორაშვილი იასე ¹, გარგარეთელი იოთამ ¹, ჩივაძე სახლთუხუცესი ლუარსაბ ¹; კავთისკევის მამასახლისი დედანაშვილი ბერი, ჩვენი მსახური მჭედლიშვილი მახარა ¹, პავალიშვილი ივანე ¹, კავთიაშვილი სენია. დაიწერა სიგელი ესე აე-ლითა სვეტის-ცხოვლის კანდელაკის-შვილის იოვანესითა თვესა გიორგობის-თვეს ე, ქორონიკონის უ. უ.

275. 1723—1725 წლ სათავდებო წიგნი, მიცემული ბერია ელუას-შვილის მიერ დავით, მოურავის-შვილიადმი დედანი. 14,5×15,7 სმ, დაწერილი თეთრ ქაღლდზე მხედრული ხელით. ამეტები. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი-წერტილი. თარილი არ უზის: მასში მოხსენებულია რაჯაბ-ფაშა, რომელიც გვხვდება საბუთებში 1723—1725 წლებში (საქ. მუხ., № 14.204 ჩ.) ეს საბუთიც ამ წლებს უნდა კუთვნიდეს—საქ. მუხ., № 2655 ჩ.

ქ. ესე სათავდებო წიგნი მოგეც მე, ელუას-შვილმა ბერიამა თქვენ, მოუ-რავის-შვილს დავითს,—ასე რომ] გალუსტას-შვილი ბალდასარა აგყროდა, ქა-

¹ თითოეული მოწმის დასახელების შემდეგ ცარიელი ადგილია დატოვებული ბეჭდის დასასმელად.

ლაქს დაიკირე, თავდებათ დაგიდე[გ]. ახლათ ამადი (sic) ვადა დაზღვეით. თუ ახალში (?), საც[ა] თავისი მეზობლება იყოს, იქ არ ამოვიდეს, პასუხის მამ-ცემი მე ვიყო. თქვენს მხარეზე თავის მეზობლებთან მოვიდეს. ამისი მოწამე მელიქაჯ[ა]ნას-შეილი მამაჯ[ა]ნა და ყაზაზი რევაზა და ცალქალამანიძე გივი. მე ელუას-შეილს ბერიას დამიწერია და ყაბულიც მაქუს ამისი. +

თუ ეს ყმობიდამ წაგივიდეს, რაჯაბა ფაშის შემცოლე ვიყო, პასუხი მე არ გაგცე. +¹

276. 1723 წ. ახლო. წისქვილის წყალობის წიგნი, მიცემული ზურაბ, მამუკა და ოორამ მოურავის-შეილების მიერ ალაჯანა და სხვა მარქარაშვილებისადმი. დედანი. 15,1 × 21,7 სმ, დაწერილი თეთრ ქალადზე შენდრული ხელით. ასო—მეტ-ნაკლები. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაზმარია სამ-სამი წერტილი. თარიღი არ უზის: ზურაბ, მამუკა და ოორამ მოურავიშვილები გვეცდება საბუთში 1723 წელს (საქ. სიძვ., 11, № 318—363). საქ. ც.—არქ., ფონდი 226, № 4140.

ქ. . . ესე წყალობა გიყავით ჩვენს ერდგულს ყმას მარქარაშ-შეილებს ალ[ა]ჯ[ა]ნას და სტეფან[ა]ნას, ესტატას ჩვენ, მოურ[ა]ვის-შეილებმა ბატონ-მა ზურ[ა]ბ და ბატონმა მამუკ[ა]ბ, იორ[ა]ბ;—ას[ე] რომე შენი ს[ა]მკვიდრო წისქვილი ქონ. ანს (?) ეკირა და ჩვენ ბატონები ვიყრებოდით და მოხველ და შ[ე]მოგვჩივლე და შენი ს[ა]მკვიდრო მთელი წისქვილი² გიბოძეთ. ალ[ა]რ[ა]-ვინ გელილებოდენ. ვინც[ა]ნინ ეს მოგიშალოს, რისხ[ა]ვს ღმერთი. . . მე მოურ[ა]ვის ოთ[ა]რს დამიწერია და მოწ[ა]მეც[ა] ვარ ამისი. მოწამე სახლთხუცე-სი გივი. | | | | | |

277. 1723 წ. იანვრის 29-ს. ყმების წყალობის წიგნი, მიცემული ვახტანგ VI-ის მიერ სეფი-ყული მეითრის-შეილისადმი. პირი, გადაწერილი უსნენას მართებლობის ბრძანებით XIX ს. დასაწყისს მხედრული ხელით—საქ. ც.—არქ.. ფ.—№ 2/123.

ნებითა და შეწევნითა ბლ[უ]თისათა ჩვენ, მლ[უ]თივ-აღმატებულმან და მლ[უ]თივ-დამყ[ა]რებულმა და ლ[უ]თივ—ზეცით გვირგვინოსანმან იესეიან-და-ვითიან-სოლომონიან-ბაგრატონ[ა]ნმან მეფეთ-ჰეფემან და [თ]ვით ხელმწიფ[ე]-მან პატრონმა ვახტანგ და თანამეცხედრემა ჩვენმან ჩერქეზის ბატონის ასულმა დედოფალთ— დედოფალმან პატრონმა რუსულან, პირმშომან და სასურველმან მღვთის მიერ აღმატებულმა და დამყარებულმა და მღვთივ-გვირგვინოსანმან ძემან ჩვენმან მეფემან პატრონმა ბაქარ და პატრონმა გიორგიმ ესე ამიერ უკუნისამდი ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და უცვალებელი, სამკვიდროდ და საბოლოო[ო]დ გამოსადეგი წყალობ[ი]ს წიგნი და [ნიშ]ენი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენს ერთგულად ნამსახურს ყმას მეითრის-შეილს სეფი-ყულსა და შეილსა შენსა ბაირამყულსა და ოთარს, მანუჩარსა და მამადყულსა

¹ სხვა ხელით: ქ. მუხათის ნასყიდობის წიგნი.

² აქ წაშლილია 8—9 სიტყვა.

და მომავალთა სახლისა თქვენისათა; — მას უმასა, ოდეს მოგვიდევეთ კარსა დარ: ბაზისასა და წყალობას დაგვიაჯენით და ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, მევიდრათაც თქვენი იყო და ახლაც თქვენი მამის ნაქონი სამკვიდრო თქვენ-თვისევე გვიძმოძებია ქალაქს ჩერქეზის-შვილი ოქრომჭედელი ზურაბა თავის სახლ-კარითა და ქონებითა, ავლაბარში ასლამაზა კანკურაშვილი და მისი ძმა ბეჟუა და მისი განაყოფი ასლანა და ქაიხოსრო მისის სახლ-კარითა და ქონებითა, — კიდევ ავლაბარში დათუნას-შვილი მელქუა და ავთანდილა თავისის ქონებითა, ესენი თქუნთვის გვიძმოძებია. ქონდეს და გიბეღნიეროს ლმერთმან ჩენებს ერდ-გულად სამსახურსა შინა. არაოდეს არ მოგვშალოს არა ჩვენგან და არა სხვა-თა მეპატრონეთაგან. აწე გიბძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო და მდი-გან-მწიგნობარო, ბძანება ჩვენი და ნიშანი თქვენც ასე დაუმტკიცეთ, ნურა-ვინ მოუშლით. დაიწერა ბძანება ესე და ფარვანა ქ[ორონი]კ[ონ]ს უია, იანვ-რის კთ. ქალაქის მელიქო და მამასახლისო, თქვენც ასე დაუმტკიცეთ. ვახტანგ. 1

278. 1723 წ. კომლების წყალობის წიგნი, მიცემული ოთარ არავევის ერისთავის მიერ საამ კობიაშვილისადმი, დედანი. დაზიანებული (დახეხული) თავსა და ქვედა ნაწილში, დაკერძული ძაფით. $36,5 \times 21,6$ სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარის ორ-ორი წერტილი – საჭ. ც. – არქ., ფ.—, № 1548.

ქ. . . ესე წყალობის წიგნი და ნიშანი გიბოძეთ ჩვენ, არაგვის ერის-
თავმან პატრონმან ოთარ და ძმამან ჩემმან ბარძიმ, სახლო-ტუცესმან თემურაზ,
ედიშერ, რევაზ, ომან, უთრუთ, პაპუამ, ქაიხოსრომ, მამუკამ, აბელ, ბაღათარ,
ზალ და დაუუამა შენ, კობიაშვილს საამს და შვილსა შენსა ზურაბს, იოსებს,
გიორგის და იოთამს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა; ასე რომე
წყალობას გვიაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გიბოძეთ მლა-
შეს სამი კომლი ერთი ფიტქვილაური, იმისი ძმა დათუნა, შვილი მახარე, მეო-
რე ერებაშვილი ბერი, იმისი ძმა თამაზა, მესამე კანატიელის მამული; იმაზე
სახლობს მახარაშვილი შუშანა, იმისი ძმა თამაზა. გეონდეს და გიბედნიეროს
ლშერ]თ[მა]ნ ჩვენსა ერთგულობასა და სამსახურსა შიგან. არ მოგეშალოს არა
ჩვენგან და არა სხვათა ჩვენთა შემდგომთა მეპატრონეთაგან . . . დაიწერა
წიგნი ესე სიონის დეკანოზის-შვილის მღდლისა ესაიას მწიგნობრის კელით.
ქორონი]ქონ] უი. | მონა |

მონა
ოთარ
ესაბუ

¹ მინაჭერება: ასლიდამ თანასწორ არს ჩაჭერილი. სოვეტნიკი თ თეიმურაშ ბაგრა- რევანი. ასლი სიგვალი მოვილე. აზნაური მანგჩაროვი ქაიხოსრო.

279. 1723—1724 წლ. ახლო. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული იქსე და სხვა ხერხეული-დების მიერ დავით და ზურაბ თუმანიშვილებისადმი. ფედანი. 42,2×22,4 სმ. დაწერილი თეთრ ქალალძე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უზის. მიმღებნი დავით და ზურაბ თუმანიშვილები გვხვდებიან საბუთებში ორგან თავის მამასთან ერთად 1696 და 1713 წლებში (საქ. სიდ., II, № 91—114 და საქ. სიდ., III, № 424—408) და ერთხელ მარცო ზურაბ 1724 წლს (იქვე, № 435—415); მოწამე ზურაბ სააკაძე გვხვდება 1688 და 1723 წლებში (იქვე, II, №№ 121—152 და 318—363). საბუთი ეკუთვნის 1723—1724 წლების ახლო დროს—საქ. მუზ., № 2600 ჩდ.

ქ. . . ესე ამიერითგან უკუნისამდე უამთა გასათავებელი, მტკიცე და უცვალებელი ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგეცით ჩვენ, ხერხეულიძემ ბეჭედის შვილთა იქსემ, ზურაბ და ბერმა თქუნენ, თუმანიშვილს მდივნის გივის შვილთა დავითს და ზურაბს;—ასე რომე დაგვეკირა და ჩვენის ნება-წადილითა მოგყიდვ ჩვენი აყრილი გლეხი მეგრელიშვილი გივი, შვილი მისი ნიკოლოზ და სენია, გივის ძმა ხუცესი თამაზა, მისი შვილი ქრისტესია და კიდევ ერთი უმცროსი¹ ავილეთ ფასი სრული და უკლები, რითაც ჩვენი გული შესჯერდებოდა ყოვლის კაცის უცილებლად და მოუდევრად და თუ ან ჩემი ძმები და ან სხვა ვიწმე შემოგეცილოს, პირისა და პასუხის გამცემი მე იასე ვიყო. გყუანდეს და გიბედნიეროს ღრთნ; რარიგადაც სხვას მონასყიდეს მართებდეს, ისე თქუნენ გქონდეს. ესე ასე გაგითავდეს და არაოდეს არ მოგეშალოსთ. არიან ამისნი მოწამენი... კაცაგან ავალიშვილი ლუარსაბ [], ამირეჯიბი ქაიხოსრო [], ნაზირი ედიშერ [], მურდარი ავთანდილ [], სააკაძე ზურაბ, ნახუცერის-შვილი დავით [], თავლარი მანუჩარ []. მე ეკლმწიფის კარის დეკანოზიშვილს მიქელს დამიწერია. []

280. 1723—1734 წლ. ბრძანება უსუფ-ფაშისა, მიწერილი დავით მაჩაბლისადმი. პირი, გადაწერილი უხენაეს მართებლობის ბრძანებით XIX ს-ის. დასაწყისს. თარიღი არ უზის: ეკუთვნის „ოსმალობის“ დროს — 1723 — 1734 — საქ. ც-არქ. ფ.—, № 26/208.

ადგილი
ბეჭილისა ვეზირი უსუფ-ფაშა გიბძანებ მაჩაბელო დავით! შენი და შენის ბიძაშვილის ფარსაღანის სახლკარი, მამულები თემურაშს სპერია, ცოტა-რამ თეთრიც მოუცია. ის გლეხები დაუყიდია, ამდენი ხანი უჭამია. ის თეთრი ორ სამს იმდენათ შექნილა. არას გემართლება. საღაც შენი მამული იყოს, ყველა შენთვის გვიბოძებია. მირსა და სალიანსაც, რაც შემოგხუდებოდეს, შენ გამოიღებდე, მაჩაბელს ხელი აღარ აქვს. ამილაზეარო ბატონო გომ, ქრუზინგალის მოხელეებო, ეს მამულები, რაც ამათიშვამკვიდრო იყოს, და[ა]შე[ე]რინე, ნურავის შეაცილებთ. (ხელჩართული).

¹ აქ ცარიელი ადგილია დატოვებული ერთი სიტყვისათვის.

281. 1723—1738 წლ. პირობის წიგნი, მიცემული ხოსრუა გველის-შვილის მიერ ოთარ და გერმანის [გერმანობის-ცვილებისადმი]. პირი XX ს-ისა. 22×17,7 სმ, გადაწერილი თეატრ ქალალზე მხედრული ხელით თარიღი არ უზის: ოთარ და გერმანის გერმანობის უკან ლები გვხვდება საბუთებში ერთად 1723 წელს, ცალ-ცალკე: ოთარ—1738, 1747 და საც-ჭლ; გერმანის—1732, 1735, 1738 წლ. (საქ. სიდ., I, №№ 326—392, 387—455, 108—111; ც.—არქ., ფ.—, № 33/314; საქ. სიდ., I, № 385—453, ც.—არქ., ფ.—, № 6/69)—საქ. მუზ., № 7547 hd.

ქ. ესე წიგნი მოგვირთმევია ჩვენ, გველის-შვილებს ხოსრუამ თქვენ გერმანობის-შვილს] ოთარს და გერმანობს;—ასე რომ, თქვენ რომ წყალობის წიგნი მიბოძეთ¹, თუ არ მომატყუნეთ (sic), თქვენს მეტი ბატონი არ მინდოდეს], არ კა ვის ვეყო, არც ჩემი სამკვიდრო მამული მინდოდეს. არის ამის მოწამე ლუარსაბ.

282. 1724 წ. ახლო. შვილის ნასყიდობის წიგნი, მიცემული გოგია ხმალაბის მიერ სეხნა. სებისკვერაძისადმი. დედანი. 22,1×16 სმ, დაწერილი მოთეთორო ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი ან სამ-სამი წერტილი. თარიღი არ უზის: მისი მიმღები სეხნია სებისკვერაძე გვხვდება საბუთში 1724 წელს (საქ. სიდ., II, № 284—334)—საქ. მუზ., № 1408 Ad.

ქ. . . ესე ამიერ[ი]თ უკუნისამდე უამთა და ხანთა გასათავებელი გოგის ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგეც მე, ბალისა ძმამა გოგია ხმალაძემა, ძმამა ჩემა გამულამა, ძმისწულმა ჩემა პაპუნამა და ხახუტამა, შვილმა და მომავალმა სახლისა ჩვენისამა შენა, სეხნია მლდელს სებისკვერაძეს, შვილსა შენა პავლეს, ბეჭისასა და პაწეტასა, სვიმონს, შვილსა და მამავალსა სახლისა თქვენისასა;—ასე და ამა პირსა ზედანა, რომე დიალა საქმე გამიყირდა მოველ და შემოგეხვეწე და შვილი მოგყიდე ასე, რომ არას ჩემს მონათესაჯეს კაცს მ[ა]-გასთანა ხელი არა ქონდეს და [ა]ლარც გეცილებოდეს. რაც კაცი მაგას შემოგეცილოს, პასუხი ჩვენა გავსცეთ. არც ჩემა ძმამა და [ა]რც სხვამ კაცმა ჩემა ნათესავმ[ა] ვერც შვილმა და ვერც შვილისა-შვილმა შენა ეგა ნასყიდობა ვერ მოგიშალოს. ამილია ფასი სრული და უკლებელი, რითაც ჩვენი გული შექვე-რდებოდა. ვინც ეს ჩემი მოცემული წიგნი და ნასყიდობა მოგიშალოს, მასაც შეშლის ქრისტე მეუფე და . . . ქართლისა და კახეთის და იმერეთის ჯვარი და ხატი, მასაც რისხავს . . . არის ამისი მოწამე . . . კაცთაგანა ლაზარე ბერძენიძე, მლდელი ბერძენი კოკოლაშვილი, თამაზა ზუბიაშვილი და სულა აბანოელები ხელერთპირათა, ბერი კოკოლაშვილი, კაცია ბერძენი. მე დემეტრე მლდელსა დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. + + + +

¹ პირში შეცოორით სწერია: გიბოძეთ.

283. 1724 წ. აპრილის 20-ს. საშართალი კიღაც ბიძინას ყმის საქმეზე. დედანი. $20,3 \times 12,3$ სმ.
დაწერილი თუთო ქალალდება მხედრული ხელით. ასო—მეტ-ნაკლები. განკვეთილობა
ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაშმარია ორ-ორი წერტილი—საქ. ც.—არქ., ფრნ.—
დი—, № 1290.

ქ. ბატონის ჩვენ ალიყულიუნ ¹? ქვემო ბოლნისის მოხელეებთან; მამა—
სქახლისი ბახუტიას, სამარლიარი ტარიელთან და ქეთხუდებთან წიგნი—
ებოძა, რომე ბიძინას ყმა აბოვაშვილის ტყე საიდეგაშვილებს და პულიაშვი—
ლებს გაუყენებითო, წალითო და გასარიგეთო. ჩვენ წავედით ბატონის—
ბქანებით საიდეგაშვილებიც და პოლიაშვილებიც, სოფლის ქეთხუდებიც.
წავასხით, გავშინჯეთ; იათონ საიდეგაშვილმან საიდეგამ იასაქაულა ასრე—
თქო: „საიდეგას დე წავიდე, თქვენ დასამამულრეთ“ (sic). იმისის სიტყვით—
საიდამაც საიდეგას უთქვომს, მოვერით და აბოვაშვილს დავანებეთ. არის
ამისი მოწამეთ თავად ღმერთი, ქაცითაგან მამიასსახლისი ბახუტა +
რუსი სულხანა +, ჭილაშვილი + იასე, აბდარი სულოა, და სოფლის ქეთ—
ხუდები. მე ზავრაშვილს ტარიელას დამიწერია, მოწამეც ვარ ამისი, გა—
მრიგეც ვარ ². დაიწერა აპრილის კ გასულს, ქორონიკონს უიბ. მონათი
სატარიელ

საიდეგამ ³ რომ იასაქაულა ასრე-თქო, რომე მამა პაპითგან ასრე გამი—
გონია, რომ ეს აბოვაშვილისა არისო.

284. 1724 წ. მაისის 7 გასული. პირობის წიგნი, მიცემული გიორგი კაციას-შეილის წიერ—
პაპა ხატოას-შეილისადმი. საბუთი დავით-გარეჯის მონასტრისა. დედანი. $23,3 \times 15,5$ სმ,
დაწერილი თეთო ქალალდება მხედრული ხელით. ასო—მეტ-ნაკლები. განკვეთილობის
ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაშმარია ორ-ორი ან სამ-სამი წერტილი—საქ. მუზ.,
№ 470 Ad.

ქ. ესე წიგნი მოგეცი მე, კაციას-შეილი გიორგიმ შენ, ხატოას-შეილი
პაპასა;—ასე რომე მე იორზედ ლეკებმან დამიკირეს და ყორელში მამიყვანეს
და მოველ და შემოგეხვეწე და სიკეთო მიყავი და დამისხენ. [მ]შეიდობით ქა—
ლაქს ჩავიდეთ, გაურჯელათ თთხი თუმანი მოგაბარო. არ გაგაჯავრო; თუ გა—
გაჯავრო, სამიღვიანი ბეგოს] და საიასაულო[ს] გამღები ვიყო. არის ამისი მო—
წამე თავათ ღმერთი და კაციან ბეგინ[ა]ს-შეილი მერა[ა]ბა და მაქელი, ევა—
ზა და მათიკას-შეილი პასატა და ალასტეფენეს-შეილი გიორგი და სარქისა და
ახალქალაქელი გიორგი და მე ოქანთ გასპარ[ა]ს-შეილი პაპუნას დამიწერია—
და მოწამეცა ვარ. დაიწერა ესე წიგნი მაისის გასულს, ქორონიკონს უიბ. +

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზევით არის დაწერილი.

² უკანასკნელი სამი სიტყვა დაწერილია სტრიქონს ქვევით.

³ უკანასკნელი მუხლი დაწერილია წინა გეერდის მარჯვენა აშიაზე..

285. 1724 წ. აგვისტოს 13-ს. მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული პარამ მაღალაშვილის მიერ თავის ბიძაშვილ სარიდან ზურაბის-შვილისადმი. დედანი. დახული. $28,6 \times 22$, 5 სმ, დაწერილი თეორ ქალადზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. მუხ., № 2806 ჩდ.

ქ. ნებითა ზა შეწენითა ლვთისათა, ესე ამიერ უკუნისამდე უამთა გასა-თავებელი დრო-დაუდებელი მიზეზ-შემოულებელი და ყოველის ჩხუბისა და ილა-თისაგან გამოსული ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეც მე, მაღალაშვილმა ბარამ და ჩემის სახლისა მომავალმა შენ, ჩემს ბიძაშვილს ზურა-ბის შვილს სარიდანს, ძმასა შენსა პაატას და შვილსა შენსა ზურაბს და მომა-ვალთა სახლისა შენისათა ყოველთავე;—ასე რომე დამეჭირა და მოგყიდე ჩემი შეკვიდრი მამული კავთიყევს პაპუნა ბალლამაძის მამული, დღეს რისაც შქონებე-ლი იყოს, სახლკარი მისის მიწითა და მამულითა, ვენაკითა, ქვევრითა, მთითა, ბარითა, შესავლითა და გასავლითა, წყლითა, წისქვილითა, ურწყავითა და სარ-წყავითა, ნაფუძრითა და სასაფლაოთი;—კელაპტრონიშვილს მესამედი ვენაკი და მესამედი მიწა. და ამ მამულის პატრონი აყრილია პაპუნა და მისი ძმის-წული. თუ შენთან მოვიდნენ, მე კელი არა გქონდეს. ესე სამკვიდროდ და საბოლოოდ შენთვის მოგვიყიდა. თუ ვინმე ამისი მოცილე და მოტავე გამოჩნდეს, პირის და პასუხის გამცემი მე ვიყო. არიან ამისი მოწამე და დამხდური თავად ლ[მერ]თი და კაც-თაგან სახლთუხუცესი ამილბარი. მაღალაშვილი საამ, თახიშვილი პაატა, კავ-თიყევის მამასახლისი ოტია, პაატიშვილი ივანე და მე ამილახორის დეკანოს პარეაძეს ბიძინას დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა სიგელი. ესე მარიამობის თვის ცამეტსა, ქ[ორონი]ქ[ონ]სა უიბ. +¹

286. 1724 წ. დეკემბრის 14-ს. ყმის ნასყიდობის გარდაწყვეტილობის წიგნი, მიცემული დომენტი კზის მიერ ამილბარ მაღალაძესადმი. დედანი. $28,4 \times 21$ სმ, დაწერილი თეორ ქალადზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღად აქვს 1724 წ.—საქ. მუხ., № 1792 Ad.

ქ. ჩუენ, ყოვლისა საქართველოსა მაკურთხეულმან ქზ პატრიარქმან პატ-რონმან დომენტი ესე წიგნი გიბოძეთ თქენენ, ჩვენს სახლთუხუცეს მაღალაძეს ამილბარს, შვილსა თქვენსა გიორგისა, დემეტრესა და რევაზს, შვილთა და მო-მავალთა სახლისა თქვენისა ყოველთავე;—ასე რომ ელიოზიშვილს ზალსა, იმის შვილს ელიოზს და ზურაბს თავისი სამკვიდრო და ბარათში გამოყოლილი ყმა ბეტებს გელიაშვილები ოქრუა და მისი ძმისწულები დათუნა, ზაქრია და ნიკო-ლოზა, იმისი ძმა ბასილა და იმისი შვილი ესტატე თავის შეილებითა და თა-ვისის მამულით, დღეს რისაც მქონებელი იუგნენ, გეყიდნათ და ფასი სრული მოგეცა. აწე მეტების მოურავმა და მოკელუგმა სხვარიგად გაგვაშინჯეს და მო-გვახსენეს და ჩვენც ჩვენი დასაკლისი გვევონა, ჩვენც მოკითხული ექვენით, გა-

¹ სათაური სხვა ხელით: ქ ბალლამაძისა.

მოვიწვლილეთ და გამოვიძიეთ და არაფერობის ჩვენის საყდრისა და ჩვენი დასაკლისი არა იყო-რა. რომელიც სხვამ ერთმა გაცემულმა კაცმა ჩვენის საყდრისა და ჩვენი ბეგარა ქნას, ავრევე იმ შენმა ნასყიდმა კაცებმა ჩვენი ბეგარა ქნას. სხვარიგათ იმ თქვენს ნასყიდს კაცებთან კელი არავისა ქონდეს. ავრევე იქავე მეტებს სხვა ნასყიდობა რაცრამ გქონდეს, ისიც დაგვიმტკიცებია. გქონდეს და გიბედნიეროს ღრთ და არა იდეს პრ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა შემღომად სხვათა კზთა და მებატრონეთაგან . . . არიან ამისნი მოწამენი სარდალი გედევანიშვილი გაბრელ, დეკანზი დანიელ, კანდელაკი ჰეტრე, მალალაძე მდივანი სოლომონ, ერასტი, სამ, მოურავი მალალაშვილი გოორგი, ელიოზიშვილი სეხნია, თაზიშვილი ავთანდილ, დოქიძე პატუნა და სულ ერთობილი მცხეთელნი. თვესა ქრისტისშობის იდ, ქ[ორონი]ქ[ონ]ს უიბ. დაიწერა ბრძანება ესე კანდელაკის-შვილის ითანესითა.¹ კზთ +².

287. 1724 წ. დეკემბრის 22-ს. ბიჭების ჩუქების წიგნი, მიცემული ავთანდილ სოლალას-შვილის მიერ დავითა კაციას-შვილისადმი. საბუთი სიონის ეკლესიის № 129. დედანი. დაზიანებული, გადაკრული ქალალდებ. 42×24,5 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდებ რული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-საში წერტილი—საქ. მუხ, № 1631 hd.

ქ. . . ესე წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ სოლალას-შვილმა ავთანდილმა თქუენ, კაციას-შვილს დავითასა; — ასე რომე, ჩვენსა³ შვილი მამინა⁴თლე და ჩემის ნებითა და ნებაყოფლობითა გაჩუქე ჩემი ყმა პაპა და მისი ძმა გარსევანა და ამისი მაგიერ თქუენ მაჩუქეთ ერთი ერისთვის-სეული კარგი თოფი და ერთი იეზიდის ზარაბაბის კაბა და ერთი ლადარის ქათიბა და ერთი თუმანი თეთრი და თქუენ ესენი მაჩუქეთ და მე ჩემი ორი ბიჭი გაჩუქე და ჯქნდეს და ღმერთმან გიბედნიაროს, არეინ იყოს თქუენი მოცილე და მოდავე . . და თუ ვიზმე წამოგედაოს ან ბატონმა, ან ყმამა, ან ჩვენის ნაწერს-აქვის კაცმა, პირის და პასუხის გამცემი ჩვენ ვიყოთ და არის ამის მოწამე . . კაცთაგან ქალაქის მელიქი-მამასახლისი აშხაბეგა [] | და ნაცვ[ა]ლი ისიამა⁵ და ოსინა[ან]თ ნ[ა]ცვ[ა]ლი ზალინამა⁶ და ჩითახა[ა]ნთ თაყამა⁷ და სიმოვნას-შვილი პალვეგმა⁸ (sic)

ანაშელა[ა]ნთ ბალდასარამა (9) [] | და მე წერალი ფარს[ა]ლან[ა]ს და-მიწერია და მოწამეცა ვირ ამისი. დაიწერა ესე წიგნი და სიგელი ქრისტისშობის ოცდაორსა გასულს, ქ[ორონი]ქ[ონ]ს უიბ. +

¹ წვეულად.

² სათაური: ქ. ბატონის-შვილის ქათალკოშის დომეტისაგან ნაბოძები ნასყიდობის გარდაწყვეტილობის წიგნები მოხელეებთან მოწერილი.

³ უკანასკნელი სიტყვა ტექსტში სწერია: ჩვენასა.

⁴ აქ ბეჭდის დასასმელად ცარიელი აღილია დატოვებული.

ქ. მე ამილახორის-შეილი აბდულა-ბეგ აშის მოწამე და დამსწრევე (sic)
ფარ. []¹

288. 1720—1723 წლ. ოქმი იესე მეფისა სუფრაჯ აეთანდილ [ბარათაშვილისადმი]. საბუთი
მანგლისის კვლების № 94. დედანი. 17,×11 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედ-
რული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წე-
რტილი. თარიღი არ უზის: ეკუთვნის იესეს მსაჯულობის 1720—1723 წლებს—საქ.
ც.—არქ., ფ.—, № 1321.

ქ. ჩვენ მაგიერად აეთანდილ სუფრაჯს² და დავითს და აბაშის-შეილებს
ასე უანძეთ. მერმე მაგლისელთ შემოგვწივლეს, რომე; „დაგვლახეს და ნასყი-
დობასა და მამულს არას გვანებებენ“. ეგ როგორი საქციელია? თავიანთ მა-
მული და ნასყიდობა ისევ და[ა]ნებეთ, ჩვენთან ნულარ აჩივლებთ. თუ რამ ქარ-
თული გაქუთ, ჩვენ მოგვახსენეთ. სამართალს გიზამთ აეთანდილ სუფრაჩ. მან-
ლიური მამულისა და სამძლებრისა ყველა კარგათ იცის, როგორც მაგანა თქვას;
ასე გარიგეთ.

ღ'თის მონა
ჭახტაგ მეფის
ძმა მსაჯულად
მდეგი იესე

289. 1720—1723 წლ. ოქმი იესე მდივანბეგის³ იასაულისადმი. დედანი. 10,4×10,7 სმ.
დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტ-
ყვას შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. თარიღი არ უზის, ეკუთვნის იესეს მსაჯულო-
ბის 1720—1723 წლებს—საქ. მეს., № 8915 hd.

ქ. ჩვენი ბძანება არის იასაულო! მერმე ჩვენს ძმისწულს ბატონიშვილს
ანუკას თავისი ნაშიითვი ბიჭი წასელია მათთაშვილი. მიღი, აქლი აუმართე
ჭდა!⁴ იმას მსახურონ. კელი ნურავისა აქვს.



¹ სატაური: ქ ალდადანას ყმის გორგის და გარსევანისა.

² აეთანდილ სუფრაჯი გვხვდება ბარათაშვილების ერთი შტოს საგვარეულო საბუთების.
ჯგუფში 1718 წელს (ც.—არქ., ფ.—, 15/20?).

³ უკანასკნელი სიტყვა ამოზხეკილია და მის ადგილას ჰქვა ჟელით და სხვა მელნით.
ჩაწერილია: სახლიანია.

⁴ სათაური: ქ. მათთაშვილი ბეჭანის თქმა;

290. 1724—1734 წლ.. მუხალგის წიგნი, მოცემული სვიმონ და სხვა მოურავის-შვილების მიერ ავთანდილებებ და მანუჩარბეგ [ჯავახიშვილებისადმი]. საბუთი შეძენილია მ. დ. ჯავახიშვილისაგან. დედანი. $12,5 \times 12$ სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. თარილი არ უზის: მიღლები ავთანდილებებ და მანუჩარბეგ იგივე ავთანდილ და მანუჩარ ჯავახიშვილები უნდა იყენენ. პირველი გვედება საბუთებში: 1695, 1697, 1695—1703 და 1716—1719 (საქ. სიძ., II, №№ 88—113, 90—114, 89—113, 316—362); მეორე—1692 წელს (იქევ. 86—111). შინაარსის მიხედვით საბუთი ოსმალობის უამს კუთხის—1724—1734 წ.—საქ. მუხ., № 8503 ჩდ.

ქ. ესე მუხალგის წიგნი მოგეცით ჩეენ, მოურავის-შვილებმა სვიმონ, დავით და ზუამ და ჩეენმა მოკელეებმა და უფროსმა სოფლის კაცმა სულ ფხოვლელთ და ვეჯინ-გურჯავანთ და მელავანთ ქემთითურთ თქვენ, ბატონს ავთანდილებებს და მანუჩარბეგს და სულ ხელიერთპირ ხელმწიფის მოასილებს;—ასრე რომ ფალი-შაის რაყამი მოიტანეთ ქართლელის კაცის აყრისა. რაც ჩეენში კაცი იყო, სულ მოგაბარეთ გაქცეულს გარდა და ისიც, სადაც დავახელოთ, დავი-ჭიროთ და მოგართოთ. თუ ამას გარდა ჩეენში კაცი გამოიჩინოთ ბეღნიერის ფალი-შაის სარქალში ხუთასის თუნის მიმცემნი ვიყვნეთ.

(ხუთმეტი ჯვარია დასმული)



291. 1724—1735 წლ. ოქმი ისაყ-ფაშისა როინ ჯავახის-შვილისადმი. დედანი. დაზიანებული (დახეული) თავში. 20×15 სმ, დაწერილი. თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. თარილი არ უზის: ეჭუთვის ისპაყ-ფაშის დროს—1724—1735 წლებს—საქ. მუხ., № 14 616 ჩდ.

ქ. ჩეენი ბრძანება არის ჯავახის-შვილო როინ! მანდ ნიკოლოზ რომ ატენის ოშში მოკლეს, მისი მამულს გარდა რაც მანდ მამული, სახლი, გლეხი განსყიდულა, რატიშვილი რომ იმერეთს არის, ხუთი სახლი და კიდევ მისი ძმა რომ-გახტა[ნ]გს გაპყოლია, ოთხი სახლი და კიდევთ ამირბარს უყიდია ხუთი კვანძლი კაცი, ერთიც შენი ძმას რომ გაუყიდია, ეს ხუთმეტი კონძლი კაცისა-თვინ ჩეენთვინს ხელი აუმართე და ხარჯში და სალიანში როგორც უწინვე ყოფილა, ეგრევე საჯავახიანთ მამულში გაურიე. შენ გებარებოდეს და მათი ახლანდელი პატრონები, თეთრი ვისთვინაც მოუციათ, იმასვე გამა[ა]რთვან და ჩეენგან დიდისა და მრავალის წყალობის მოიმდევ იყავით¹. ისპაყ.²

¹ სათაური: ქ. გასყიდულის ბურთი.

² ხვეულად.

292. 1724—1735 წლ. ოქმის ისაყ-ფაშისა [ტფილისის] მელიქ აშხარბეგისადმი. დედანი—
31,7 × 20 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდჟე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად
ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უზის: ეკუთვნის
ისაყ-ფაშის ქართლში ბატონობის დროს—1724—1735 წლებს—საქ. ც.—არქ., ფ.—
№ 2342.

ქ. ვეზირი ისპყ-ფაშა ვიკადრებ. ჩვენ მაგიერად ჩვენგან პატივცემულს მე-
ლიქს აშხარ-ბეგს ასე უანბეთ. მერმე რაც ნუ[ს]ხა მიგვეცეს ამ ზაზა გარაყანი-
ძისათვის ასაყრელი გლეხებისა და ქალაქსა და ავლაბარში და გარეთუბანს
ქყვენებ, სულ ყველანი თავისის ცოლით, შვილითა და საქონლით აყარეთ და
ამ ზაზას მიაბარეთ, რომ ავჭალის ციხეში მიასხან და იქ და[ა]სახლონ. ამის
უარს ნურავის ათქმევინებთ, თვარემ იცოდენ ვერას გზით პასუხს ვერ მოგვცემენ.

293. 1723—1735 წლ. წიგნი, მიწერილი შანშე ერისთავის მიერ ასანა თუმანიშვილისადმი.
დედანი. 26,6 × 10,7 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდჟე მხედრული ხელით. განკვეთილო-
ბის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უზის-
საბუთი „ოსმალობის“ ხანისაა—საქ. მუხ., № 235 dq.

ქ. შანშე ერისთვის კეთილად სახსენებელო თუმანის-შვილო ასანა! მე-
რმე კაცები გამამიგზავნია და ხუსხაცა და, თუ ჩემი თავი გინდა, რაც მანდ
ჩემი მეჯვრის-კეველი კაცები იყოს, მაგათ ეგ თეთრი მალე გამოართვი და გა-
მამიგზავნე. თუ შენ არ გამოართმევ, ეს ჩვენი კაცები გამოართმევენ. ერთი ეს
შემიტყვე, მაგ ენგიჩარს რომ ჩემი ბიჭები ყაეს, თუ მამცემენ, შენ გამოართვი
და თეთრიც შენ შიეც. თუ მაგ ჩემს ბიჭებს არ მამცემს, და ამ თეთრსაც ფა-
შას გაუგზავნი და მაგ ბიჭებისასაც მოვახსენებთ ¹. 2

294. 1724—1735 წლ. შუამავლობის წიგნი, მიწერილი დავრიშბეგის მიერ რომელიდაც
მთავარეპისკოპოსისადმი ქვენატკოცის სუბაზად ასან ჩანიშვნაზე. აქვე—დასტუ-
რი მთავარეპისკოპოსისა ხსენებული პირისადმი. დედანი. 17,7 × 10,7 სმ, დაწერილი
თეთრ ქალალდჟე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ.
ნახმარია სამ-სამი წერტილი. თარიღი არ უზის: ეკუთვნის ოსმალების ქართლში ბატო-
ნობის დროს—1724—1735 წლებს—საქ. მუხ., № 198 dq.

ქ. თქვენის კარგათ ყოფნის მოდომე (sic) დავრიშბეგ მოგახსენებ ბატონო-
მთავარეფისკოპოზო, მრავალი მოკითხვა მოგვიხსენებ[ია]. მერმე ქვენატკოცის

¹ ბეჭედზე გამოსახულია სპილოზე მჯდომარე პირი.

² სათაური სხვა ხელით: ქ. ერისთვისა.

სუბაშობა ამ ას[ა]ნა ჩ[ა]უშისათვინ მიმიცია, რომე კარგა მოუაროს. გლეხი თ[ა]ვის ალ[ა]გას და[ა]ყენოს და, თუ ჩემი თ[ა]ცი გინ[ი]და, შენც უბოძე და შენც კარგ[ა] გემსახუროს და სოფელი არ წაგიხდეს და ვეზირის ბუ[ი]რუთს[ა]ც მოუტ[ა]ნინებ.



ქ. ლავრიშებეგს მოეცა შენთვის სუბაშობა, ასან ჩაუშო, ქვენატკოცისა. ჩენთან შუა შემოგვესლოდა. თუ კარგად მოუვლი და გა[ა]მაგრებ, ჩენც შენთვის გვიბოძებია ქვენატკოცის მოურაობა. მ[თავარეფის]ქ[ოპო]ჭი[ი] + ¹

295. 1724—1736 წლ. ბატონყმობის წიგნი, მიცემული ვიღაც ასლანას და სხვების მიერ ამილდაბარ [გოსტაშაბის-შვილისადმი]. დედანი. დაზიანებული (დახეული). 22,3×14,7 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ ორი ან სამ-სამი წერტილი. თარიღი არ უზის: ამილდაბარ [გოსტაშაბის-შვილი] გვხდება საბუთებში 1724, 1725, 1733 და 1736 წლებში (საქ. სიდ., I, №№ 72—89, 74—90, 79—92 და 84—94)—საქ. მუხ., № 14.157 ჩ. 1.

ქ. . . ესე ფიცი და პირი მოგეცით ჩენ, ასლან და შვილმა ჩემ[მ]ა ქაი-ხოსრომ და იო[ა]ნემ, ჯიმშიტამა, ზაზ[ა]მა და შიოშ თქვენ, ბატონს აშილლა[ბარს, ძმას[ა] თქვენსა გოსტაშაბს, შვილსა თქვენსა დავითს, ვახუშტისა;—ასე და ამა პირსა ზედა: მამა ჩემი პაპის თქვენის ნაბიქვეარი იყო, ახლა ჩენ ყმობაზე დავდევით თავი მეც და ჩემ[მ]ა შვილებმაცა თქვენი სამს[ახ]ურიც ვათაოთ. მლოთა და კაცით, რაც კარგი მოგველინებოდეს, კიდეც გმსახუროთ.. რომელიც პატ-რონ-ყმობის მოვლა იქნებოდეს, იმისი მქნელნი ვიყოთ, თქვენ თუ ჩენზე არა სტყუოთ რა და უსამ[ა]რთლო არა გვიყოთ რა. ამისად თავდებათ მ[ო]გვიცემია ღმერთი . . . მოწამეთ და თავდებათ მოგვიცემია კაცთაგან ჩემი მოძღვარი დომენტი გერმანოზის-შვილი. დღეს და დღეის უკან თქვენი | ს[ი]ამოვნის მეტი ჩენ არა ვინდომოთ რა. თუ რამ თქვენი წყალობა ჩენზედ იყოს ან სარჩო (?) ან საკელო, თუ ვიტყუოთ რამე, კელი არა გვ[ი]ქონდეს. ქართველი პატონის მოსიხ-ლე ვიყოთ და ქართველთა, თუ ამ პირობას გარდაგიერეთ. + + დომენტი ³ + *

¹ შვეულად.

² სათაური სხვა ხელით: ქ. ქვენ[ა]ტკოცის სამოურ[აო] წიგნი.

³ შვეულად.

⁴ სათაურები სხვადასხვა ხელით: ა. ქ. ასლანას მოცემული წიგნი.

ბ. ასლანას-შვილის მოცემული წიგნია ყმობით.

296. 1719—1742 წლ. ოქტომბერი შანშე ერისთავისა სახლთ-უზუცეს გიორგისადმი. დედანი. $12,7 \times 10$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდებული ბეჭლით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო, ორ-ორი და მეტი წერტილი. თარიღი არ უზის: შანშე ერისთავი გვადება 1719—1742 წლებში. საბუთიც მის დროს ეკუთვნის—საქ. მუხ., № 232 Qd.

ქ. ერისთვის შანშეს დიდად იმედად მისაჩენელო სახლოუზუცესო გიორგი! მერმე თუმაშნიშვილის ბირთველი მოყვარეს ცხალტელის ქალი უყიდნია და მზითვად ბირთველისთვის გამოუტანებია. ახლა ბირთველს ედა] კებიან საქალმე, რატომ შენ შენის მოყვარისათვინ მიგიციაო. ავაქდ მიებყარ, ამასთან რა] ხელი აქვს? რადგან ნასყიდია, ვისაც უნდა, მისცეს.



297. 1723—1735 წლ. პასუხი, მეწერილი შანშე ერისთავის მიერ მანუჩარ გლურჯისადმი. დედანი. $30,6 \times 11$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდებული ბეჭლით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უზის: საბუთი „ოსმალობის“ ფამილა. საქ. ც.—არქ., ფონდი 226, № 5219.

ქ. შანშე ერისთვის კეთილად სახსენებელო და აროდეს ჩვენგან არ დასავიწყარო ძმა] მანუჩარ გლურჯიძეები! მრავალი მოკითხვა მოგვიხსენებია, მერმე ეს გებძანათ: ამ თქვენს კაცს ჯავახის-შვილის კაცი სისხლს ადებსო. თქვენვე იცით, ჯერ მე ეგ კაცი არ მეყიდნა, რომ ეგ საქმე მამედარიყო. აქამდინ სად იყო ან ეგ ჯავახის-შვილი და ან იმისი კაცი? თქვენვე იცით, ატენში ვენაცი არც მაგასა ქონია, მაგრამ კიდევ ვრჩომილვისართ. არც მე მინდა. მაგაზედ არც-რას ჯავახის-შვილს შევეპოვები და არცრას ატენელს კაცსა. მართალია, ერთი ჩემის აზნაურშვილის ბუში გათათრდა აგერ უწინვე, ვინ იცის, კაცი დაეჭრა თუ მოკველა. სტანბოლს იყო. ახლა იქიდამ გორის ფაშასთან მოსულიყო. აქ ჩემთან მოვიდა. ერთი კვირე დაყო, ორი ტყვე მამპარა და მაშინვე წამოვიდა. თუ მაგ ჩემს ტყვეებს გამამიგზაუნით, თუ ჩავიგდევ აელში და ან ჩემს მამულში არის, გა[ა]ზლებ, თუ არა და მე რა უყო? და თუ ეს გეჯავრებათ, ვენაცი ჩატომ იყიდა და თუ გინდა, სულ გაკაფეთ. არცრა მაგით იქნება.. ოცდაათი თუმანი მიმიცია, თავის [] წიგნს მიეცემ და ჩემს თეთრს ისევ გამოვართმევ. მასსუეან რაც გინდოდესთ, ქენით, თუ არა] და კუბაშირამ. (sic) თათარმა] კაცი დაჭრა, ჩემი მეზვე] რე უბრალოა. ეს დამიჯერეთ, ავს სისხლს აღლებს, თორეშ და იხტიარი თქვენია. თათარმა] მოკლას ვინმე, სისხლი მე უნდა გავიღო, ქართველმა მოკლას და სისხლი მე უნდა გავიღო, მაგ სასამართლოს (?) არ შეიწყობს. რა გულიც გეპრიანებოდეს, ქენით.



¹ სათაური სხვა ხელით: ბიყარული გოგოსია.

298. 1725 წ. ახლო. ოქმი რომელიდაც პირისა ზალია ყორლანაშვილისა და პირი XIX ს-ის დასაწყისისა, გადაწერილი უხენაეს მართებლობი ბრძანებით. თარიღი არ უხის: ზალია ყორლანაშვილი გვხვდება საბუთში 1725 წელს—საქ. ც.—არქე. კ.— № 4/202.

ჩვენი ბძანება არის ზალია ყორლანაშვილო და ასლანა? მერმე მუხრანის შიდის ყურში რომ ფირმამადას თათრები რომ სახლობ რა საქმე გაქვს მაგათან? მამუკასი არის, ხელი აიღევი. რაც წაგერომ იოს, ყველა მიეცით. თუ ეს ჩვენი ბრძანება არ გაიგონეთ, უსაცილოთ აქა მოგეპყრობითა 

299. 1725 წ. იანვრის 2-ს. ოქმი ვეზირის ქეპ უსუფ-ბეგისა ქაიხოსრო სოლალაშვილისა დმი. დედანი. 21,1×15,2 სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთოლობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ზრი წერტილი—საქ. მუხ., № 14.173 ჩ.д.

ბეღნიერის ვეზირის ქეპ უსუფ-ბეგ გიბძანებ, სოლალაშვილო ქაიხოსრო, შერმე შენი სამკეიდრო ასურეთის გლეხები რომ გირაოდ რატის-შვილს სჭერია, ის მოსკოვს წასულა და ის მამული შენს განაყოფს ელიზბარს სჭეროდა და შოკითხულ ვქენით და შენი სამკეიდრო ყოფილიყო და ისევ ბეღნიერმან ვეზირმან შენ გიბძა. შენს მეტს კაცს იმ მამულ თან და გლეხებთან კელი არავის ქონდეს და არც ჩვენ გამოგართვათ. დაიწერა იანვრის ბ, ქორონი]ქონ[საუიგ. 

300. 1725 წ. იანვრის 9. შვილის ნასყიდობის წიგნი, მიეკემული ბეჟან ბიძინას-შვილის მიერ ულანცანთ დავით და სტეფანასადმი. დედანი. 43×24,7 სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. ასო—მეტ-ნაკლები. განკვეთოლობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო, ორ-ორი ან სამ-სამი წერტილი—საქ. სუხ., № 122 ს.დ.

ქ. . . ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგეცით ჩვენ, ბიძინას-შვილმა ბეჟან და შვილმა ჩემიმან ნიკოლოზ და იასემიან და მომავალ-მიან სქახლისა ჩენებისაგან შენ, ულანიცა[ან]თ ამირას-შვილს დავითსა და სტეფანასა, მომაგალსა სქახლისა თქვენის[ასა];—ასე და ამია] პირს[ა] ზეციან: შიშილმა და შიშმა დიაღ შეგვალონა. მოვედით ქალაქს. ურუმთან მოვიდოდით და ურუმს მივყვა[ნ]დით და თქვენ შემოგეყარეთ. თქვენ შემოგეხვეწეთ და სათარო ალიარ გაეხადე და მოგყიდეთ ჩვენი ერთი შვილი მამუკა, გამოგართ-

¹ ბეჭდის წარწერა არ ირკვევა. საბუთს აქვს მინაწერები:

ასლთან თანასწორ არს ჩაწერილი. სოვეტინიკი-თი თვიმურას ბაგრატოვანი ნანდვილი წერტილი მივიღე. კნეინა ქეთვეკან თან-ბეჭლიანოვან:

უით ფაქსი სრული, რითაც ჩვენ გული შეგვჯერ[დ]ებოდა. ალარს და რჩა-ჩვენი თქვენს ხელმ არც ერთი იოტის ფაქსი. [გ]ქონდეს და გიბედნიეროს დმეროთმან რა-რიგათაც მრავალს ალა[ლ]ს მონასყიდ[ე]ს მართებდეს, მოცილეა არა [გ]ყვა[ა]ნდეს[ს] და ვერცავ[ი]ნ შემოგეცილოს თუ[ი]ნიერ ერთი მღ[უ]თ[ი]ს მეტი. ვ[ი]ნც ამ[ა]ხედ წ[ა]მოდეგეს და გედავოს, პირისა და პასუხის გ[ა]მცემი ჩვენ ვიყოთ . . . არის ამისი მოწ[ა]მე . . . კ[ა]ცთაგ[ა]ნ ქალაქის მელიქ-მ[ა]-მას[ა]ხლისი აშხ[ა]რბეგ [], შად[ი]ნა[ან]თ დავით +, პარავართა[ან]თ მელქო [], ყაზ[ა]რაშვილი დავითა []; მე ვ[ა]რძელაშვილს და მიწერია და მოწ[ა]მეც ვარ. და იწერა ესე წიგნი და სიგელი იანვრის თ, ქ[ო]რონი]კ[ონ]ს უიგ-

(სამი ჯვარი). სხვა ხელით: ულანცა[ა]ნთ ამირაშვილი დავითასია.

301. 1725 წ. მარტის 18-ს. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ომან თაზის-შვილის მიერ თვის განაყოფ ელისბარ თაზის-შვილისადმი. დედნი. $61 \times 22,4$ სმ, დაწერილი თეთრ ქალადზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვისა შემდეგ ნახმარია თითო, ორ-ორი ან სავ-სამი წერტილი—საქ. ც.—არქ., ფ.—, № 2902.

ქ. . . ესე წიგნი მოგეც მე, ომან თაზის-შვილმა და შვილმა ჩემ[მ]ა დავით შენ, ჩემ განაყოფს ელისბარს და ძმასა შენსა იორამს და ტარიელს, შვილთა თქვენთა და მომვალთა სახლისა თქუნისათა;—ასე რომ გამიჭირდა და თავს მაგდებინებდეგ. მოგყიდე ჩემი წამალას-შვილი თავისის ვენაცითა, მიწითა, წყლითა, ქვეყრითა, მარნითა, სახლითა, კარითა, შესავლითა, გასავლითა, ნასყიდითა და უსყიდითა, სამქუიდრო და წილში ვატანილი, კაცთაგან უცრებელი, არას კაცს კელი არა აქვს, დათუას ვენ[ა]კი თავისი სამძლებრის სამძლერამდე, შენი მიწის ნახევარ, ჩემს ნაფუძარს რომ აძეს, წუწუათ კევის ახო, კუირისცხოვლის მუხის მიწა. ვინც ამას შამოგეცილოს, პასუხის გამცემი ვიყო, რომე ავიღე ფასი სრული და უკლებელი, რითაც ჩემი გული შესჯერდებოდა. . . არის ამისი დამფასებელი და შემრიგებელი ელიოზის-შვილი სენია წინამდგარი ონოფრე¹, თათარი ბერი, ხატისა მემარნე, მამისა-შვილი სულხანა. მოწამე ამისი თავად ლ-თი და კაცთაგან ციცის-შვილი უთრუთ, სალობუცესი ამილბარ, მდივანი სოლომონ. მე გიორგი მლვდელს გულჯავარის-შვილს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა მარტს იც, ქ[ო]რონი]კ[ონ]ს უიგ + + არის ამისი მოწამე გიორგი სალთხუცის-შვილი. []

კიდევ მალალას-შვილი სა[ა]მ.

მოლარეთ ხუცესი პა[ა]ტა. []
დოქიძე პაპუნა.

ჩენც ასე დაგვიძეტეციციბია. ქ[ა]თოლიკო]ზ[ი] | ბესარიონ. ² + ³

¹ ხვეულად.

² *

³ სათაური სხვა ხელით ძლიერ დაზიანებული: (ქ ცხავატელი: წამალას? შვილისა და) აუგის მუშალისა.

ქ. ესე ნასყიდობის წიგნი მოგაროვი მე, კუდაშვილმა მეცნიერნებ ისლებამ თქვენ, ბატონს ბაგრატი; — ასე რომე მე და ორს სხვას კაცს თათარი შემოგვადა და იმის სისხლში მოვიდნენ და მამა და ჩვენ მივყვანდით ფაშასთან და სისხლსა გვთხოვდენ. ახლა ჩემდა წილათ თეთრიც თქვენ გაიღევით და კიდეც დამიხსენით. ახლა ავდევ და სხვა ლონე რომ არა მქონდა და არც თეთრის გადაკდა შემძლო, ავიღე და ჩემი თავი ჩემის ცოლითა და შეილით ნასყიდობით მოგაროვი. სანამდი ცოცხალი ვიყო მე და ჩემი ცოლი და შეილი თქვენს შეტს ჩემთან კელი არავისა ქონდეს და კიდეც თქვენი ნასყიდი ვარ. არის ამისი მოწამე თავად ლმერთი და კაცთაგან სალთხუცესი პაიჭრია, ბოჭოულთუხუცესი თტრია, ორი რაჯა ფაშის ჩოვადარი და ერთი აწყვრელი ასანქალის? ნათესავი, შათათა ჯინჯიხაშვილი, ქაიხოსრო მამასახლისი, მე როსტომა ამბარდნიშვილი. მე ხოსიაშვილს დავითს დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა ესე წიგნი მარტს თერამეტს, ქორონიკიკონს უიგ.

303. 1725 წ. ივლისის 3-ს. განახენი ვახუშტი აბაშიძის ასანურიშვილის მოკვლისა გამო-
დედანი. $43,3 \times 17$ სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის
ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღად აქვს 1725 წ.—
სა. მუხ., № 473 1id.

ქ. ამას წინათ აბაშიძის გახუშტის აზნაურშვილი ბოჭორაძე ზალ ფცას
სამსახურზე ყოფილიყო. რამაზას-შვილს ფცელს, ლევან რიკაძის უმას შეძოვდო-
მოდა. ბედნიერის ვეზირის ბძანებით ხალილ-ალა ამ საქმეზე მუბაშირათ მოვი-
და. მოვედით ჩვენ დავითის-შვილი კასტანტილე, იმისი ბატონი კი გარდამებ-
ვეწა, თქვენ აბაშიძეს ბატონს გახუშტის შემოგეხვეწა. ჭემის ნებამყოფლობით
ზუთასი მარჩილი სისხლი გაიაჩინეს, მაგრამე თოხას შეგვეჯერდი. ამ თოხას მარ-
ჩილში თავათ ის მკვლელი თავისის სახლის კაცებით და მიწა აღაგით მოგარ-
თვით და ერთი მისი განაყოფე. ეს ორი კვამლი კაცი, დღეს რისაც მქონებელი
იყოს, თქვენთვის ამ თოხას მარჩილში მოგვირთმევია ფცას. როდესაც თქვენი
თოხასი მარჩილი მოგართვა, ეს ჩემი გლეხები ისევ მე უნდა დამანებოთ. არის
ამისი მოწამე... კაცთაგან მროველ ეფისკომში ეპითანე, ხერხეულიძე რევაზ,
წინამძღვარი იოვანე. და მდივანს ბეგთაბეგს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაი-
ჭერა კათათვის გ, ქორმინიქონს უიგ. | — | — | — | — | — |

- 304.** 1725 წ. პერილის 3. გარიგების წიგნი, მიცემული ცოცხალაანთ თვანასა და კიკონზა კუთანდილას მიერ ააშაბროლაანთ მურადასადმი. დედანი. $23,3 \times 19,8$ სმ, ღაწერილი თეთრ ჭალალზე მშედრული ხელით. სო—მეტ-ნაკლები. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის ჩემდევ ნახმარია თითო წერტილი—საქ. მუხ., № 130 sd.

ქ. ესე წიგნი დაგიწერეთ და მოგეც მე, ცოცხალი[ან]თ ოქანი[ა]მ და კი-
კონან[ა]თ ავთანდილმა შენ, აპაშახროლა[ან]თ მურადასა და თქვენ ჯალი[ა]მსა;—
ასე რომ თქვენი ბიჭი დავით ლევას ხელში ტყვე იყო და ლევი[ი]საგ[ა]ნ ჩვენ
დაგვეხსნა[ა].¹ მოვე[ი]დით ქალა[ა]ქს, თქვენი ბიჭი მოვიყვ[ა]ნეთ და თქვენ ს[ა]ხ-
სარი ვერ იშოვნეთ და ისევ ბიჭი ჩვენ წავიყვ[ა]ნეთ. თქვენთან ხელი ალარ-
გვ[ა]ქმ[ა]ს. ქალა[ა]ქის მელიქის ბძანებით ასე გარიგებულება[რ]თ. აშისი მოწ[ა]მე
თავად ღმერთი, კაცთაგ[ა]ნ ქალა[ა]ქის მელიქ-მამას[ა]ზლისი აშხა[რ]-ბეგ []
მეგრავყ ქაციკიშვილი დავით², ნორ-ქეველა[ან]თ ყ[ა]ზ[ა]რა; ³ მე ვარონდელა-
შვილს პაპა[ს] ფა[მ]იშერია და მოწ[ა]მეც ვა[რ]. დაქიშერა აპრილის 8, ქორო-
ნის[ა]ნნ[ა]ს უიგ: ++

- 305.** 1725 წ. აპრილის 15-ს. უშის გირავნობის წიგნი, მიცემული თავარ ჯავახის-შეილის-მიერ რომინ ჯავახის-შეილისა და ძიქა-შერმაზანაათ შერმაზანასადმი, დედანი. დაზიანებული. დაკერძებული. საკერძლად გამოყენებულია ოქმი ირაკლი II-ისა ჯავახის-შეილებისადმი 1779 წ. ზომა საკერძლითოვე: $28 \times 16,4$ სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. ასო-მეტ-ნაკლები. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარისა სამ-სამი წერტილი.—საქ. მეზ., № 8588 ჩ.

ავილე მე, ჯი აქცის-შვილმა შენ, ჯი ვაქცის-შვილი როინის [ა]გან-
და ძიქაშერმაზან[ა]ან თუ შერმაზანას[ა]გვა[ნ] ხუთი თუმანი ახალი თეთრი. არის-
ამისი გირავო ყველიკამას-შვილები თამაზა და გულია და გეგელა. რას[ა]ც-
ხანას ესენი შენს ხელთ იყოს, არც შენიქ თეთრის სარგებელი. მთხოვო და-
არც მე ამა სამი კობლი კაცების გამოს[ა]ვ[ა]ლი გთხოვო. რაქც ფერი გამო-
სიც[ა]ლი ქანდეს, ყველიფერათა (sic) შენ იმსახურო შენის თეთრის სარგე-
ბელში, მე არათერისთა[ნა] იმთა[წ]ნა ხელი არა მეონდეს და როიც[ა] შენი თეთრი
მოგვე, ჩემი ეს ციქმი კობლი გლეხები და დამქა[წ]ებო და არც მუშითა ვიმ-
სახურო. არის ამისი მოწ[ა]მე ბიატონის-შვილი რმან ² და ბიაზიართ ხუცე[ს]ი
ბეგან ² და ნაქ[ა]ნირი აღად | | და თამაქ[ა] მგლოველი ³ და მაბასახლისი ელიზ-
ბარი ³. და მე ხეჩმაქურ[ა]ს-შვილის (sic) პაპას დამიწერია და მოწ[ა]მეც ვარ
ამისი. დიოწერა ეს წიგნი აპრიელის (sic) იყ, ქორონი]კონ[ს უიგ. მე თო[ა]რს
ამ წიგნის ყაბული მაქს. +

¹ უკანასკნელი სიტყვის მაგიერ უნდა იყოს: დავითსენით.

² აქ ბეჭდის დასასმელად ცარიელი აღვილია დატოვებული.

ა. აქ ბეჭის დასასმელად ცარიელი ადგილია დატოვებული.

- 306.** 1725 წ. მაისის 1-ს. შველის ნასყიდობის წიგნი, მიცემული იქსე უეშაპიძის მიერ გივი ამილახორისადმი. დედანი. $38,8 \times 16,2$ სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. ც.—არქ., ფონდი 226, № 4467.

ქ. . . ესე ამიერთა უკუნისამდე ხანთა და უმტა გასათავებელი. მტკიცე და შეუცვალებელი ნიასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგართვით ჩვენ, ვეშაპიძემ იქსემა თქუნენ, ამილახორს ბატონს გივს;— მას უამსა, ოდეს ტყვის გასყიდვაში გავერივ და თათრებმა ცოლშვილით დამატყვევა, სხვა სახს[ა]რი და ილაჯი აღარს[ა]დითა მქონდა, მოვედი და თქუნენ შემოგეხვეწენით. თქუნენის მადლისათვინ თქუნენ დაგვისენით, ჩემი შვილი დათუნა თქუნენ მოგყიდეთ. როგორც დაფასდა, ფასი უკლებრაო გამოგართვით. ლ[მერ]თ[მა]ნ გამარჯვებაში და კარგათ ყოფნაში გამსახუროს. გასასყიდლათა და გასახეიბერათ ლ[მერ]თ[მა]ნ გა[ა]ლოს (sic). მე თქვენთან ხელი აღარა მქონდეს და ველარც რას გედაო; როგორც სხვას მონასყიდეს მოხხარებოდეს, ლ[მერ]თ[მა]ნ იმ გვარათ თქვენ მოგახმაროს. არის ამისი მოწამე მაჩაბელი თეიმურაშ [] |, ხერხულიდე აღათანგი [] და პა[ა]ტა, მურადაშვილი ფარსადანა, ¹ მირიანას-შვილი თამაზა¹, ზურაბას-შვილი შერმაზანა¹ და მე გივს მურა[ა]დაშვილს დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. ქ[ოროიქ][ონ]ს უიგ, მაისის ა. +

- 307.** 1725 წ. ივლისის 7-ს. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ლევან მაჩაბლის მიერ გივი ამილახორისადმი. დედანი. $36,4 \times 30,8$ სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი თარიღად აქვს 1725 წ.—საქ. მუხ., № 2276 ჩძ.

ქ. . . ესე უთუო და უთუმცო, დრო-დაუდებელი, მიზეზ-შემოულებელი და ყოველი ჩხუბისა და ილათისაგან გამოსული ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, მაჩაბელმა ალხაზის-შვილმან ლევან და ძმამან ჩემმან დავით და შეილმან ჩემმან ალხაზ და მომავალთა სახლისა ჩვენისათა ყოველთავე თქვენ, ამილახორს ბატონს გივსა, მასა თქვენსა ეშიკალას-ბაშს ბატონს იოთამს, შვილთა თქვენსა ანდუყაფარს, ბიძაშვილთა თქვენთა იქსეს, დემეტრეს, ბარძიმს და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე;— ასე რომე დაგვეჭირა და სათათროს სათხოვარისაგან დიალ ძალი დაგვადგა და მოგყიდეთ ჩვენი მევიდრი ყმა, ჩემს ბარათში ნარგები და ბარათიც თქვენ მოგართვით, წაჟულთას ოქი ნარიკაშვილი ვეფხიას საკვამლო, მთასა და ბარს რაც ალაგი ჰქონდეს და დიცას რაც მამული აქუს, დღეს რისაც მქონებელი იყოს, კიდევ შალუახაშვილი შერმაზან თავის სახლის კაცით და დღეს რისაც მამულის მქო-

¹ აქ ბეჭდის დასასმელად ცარიელი ადვილია დატოვებული.

ნებელი იყოს დღეს თავისის წილის მამულით და ალაგითა; გქონდეს და გიბე-დნიეროს ღ[მერ]თ[მა]ნ, რაგვარადაც სხვას ალალს მონასყიდესა. ალარა ტარჩო-მილა-რა ჩვენი თქვენზედა არც ერთის იოტის ფასი. თუ ვინმე ამისი მოდავე გამოჩნდეს, პირისა და პასუხის გამცემი ჩვენ ვიყვნეთ. არიან ამისი მოწამე . . .
 კაცთაგან მაჩაბელი ვახტანგ [], მაჩაბელი პა[ა]ტა [], ოტიაშვილი ოტია და იესე¹, ფხეიძე რევაზ¹, ჩოლაყაშვილი ქაიხოსრო¹, ფალავანდიშვილი ფე-შანგი¹, მურადაშვილი ფარსადანა [], ურიაყოფილი მამასახლისი როსტომ¹, უნაძე პა[ა]ტა¹, ბაბუციძე ბერი¹, სალირაშვილი რამაზა¹, კახნიაშვილი ბერი¹, ზანგალაძე ოთარი¹, კახნიაშვილი თევდორე¹, კახნიაშვილი სენია¹, კიდევ ამისი მოწამე ხწევეს ფირი და ჯაბი¹, ჯავს თოთი ქოჩორა და გასი და ბორა¹, გუბთას დავითა და ბირთველა¹, სხლებს ჯაჭი. და მე ამილახორის დეკანოზს ბიძინას დამიწერია და მოწმეულა ვარ. დაიწერა მკათათვის შვიდსა, ქორონი ქ[ონ]ს უიგ. []

ქ. ამისი მოწამე ხერხაულიძე რევაზ. []

308. 1725 წ. ივლისის 14-ს. ყმების გირავნობის წიგნი, მიცემული ერასტი ფავლენის-შვილის მიერ გივი ამილახერისადმი. დედანი. 22×15,5 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. თარიღიად აქვს 1725 წ.—საქ. მუშ., № 14.915 1id.

ქ. ავილე მე, ფავლენის-შვილმა ერასტიმა და შვილმა ჩემმა შიომშა თქვენ, ბატონის ამილახერის გივისაგან თთხი თუმანი ახალი თეთრი. რასაც ხანს ჩემს ხელთ დაყოს, თვეშიდ თუმნის თავს სამი შაური სარგებელი მოგაროვა. ამის გირაოთ გვრიტიაშვილი პაპუნა, იმისი ძმები ბერი და ოთარი თქვენთვის დაგვიდვია, დღეს რისაც მამულის მქონებელი არის, ნასყიდითა და უსყიდითა. ვინემდინ თქვენს თეთრს თავისის სარგებლით მოგარომევდეთ, ეს კაცნი თქვენი გირაო იყოს. არის ამისი მოწმე მურადაშვილი შერმაზან, გრიგოლის-შვილი იესე, იალღუზის-შვილი ოტია, ქრისტესიაშვილი მახარა (?) და ოთარა, მეტრეველი არდაზინის-შვილი გიორგი, ოსანის-შვილი მლდელი ბერი. მე გარსევან მიწობლიძეს დამიწერია და მოწმეულა ვარ ამისი. დაიწერა მკათათვის თოთხ-მეტს გასულს, ქორონი ქ[ონ]ს უიგ.

309. 1725 წ. ივლისის ნახევარს. უდაობის წიგნი, მიცემული ვახუშტი აბაშიძის მიერ და-თუნა აბაზაძისადმი. დედანი. დაზიანებული (თავი მოხეულია და დაკარგული). 24×10,3 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდე მხედრული ხელით. ასო—მეტ-ნეკლები, განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღიად აქვს 1725 წ.—საქ. მუშ., № 14.939 1id.

. . . 1 აბაშიძე გებუშტიმ შენ აბაზაძე დათუნასა და შვილსა და მო-გ[ა]ვა[ლ]სა შემსა; — ასე რომე ჩემი ყმა ცუცქილიძე ალდგომლის შვილები შენ

¹ აქ ბეჭდისათვის ცარიელი ადგილია დატოვებული.

² საბუთის თავის დიზიანების გამო არა ჩანს რამდენი სტრიქონი და ასო-ნიშანი აკლია თავში.

ქმა[ღ] დაგეს[ა]ხლა მხიარული, ქიტია, პაჭუნა. იმას წამოგედ[ა]ვენით და დიდის ხნის მოსული იყო. ჩვენც ხელი ავ[ი]ლევით და ისრევ შენოვ[ი]ნვე გვ[ი]ბოძია ყოვლის კაცის მო[უ]დევლად. ორც ჩვენ და ორც სხვას კაცს მაგ[ა]სთან ხელი ირჩა ქონდეს. არის ამისი მოწამე ხალილ-ბეგ [], ს[ა]ხლოთუცესი ზ[ა]ქარია, ბოჭალთუცესი რუსი; მე მდივანს შალვას დამიწერია და მოწა-მეც[ა] ვარ, დაიწერა მკ[ა]თათვ[ი]ს ნახევრა]რს, ქვ[ს] უიგ. []

310. 1725 წ. ოქტომბრის 4. ყმების გირავნობის წიგნი, მიცემული ნოდარ [ციციშვილის] მიერ თავის ბიძაშვილი ბაგრატ [ციციშვილისადმი]. დედანი. $19,5 \times 10$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდე მხედრული ხელით. ასო—მეტ-ნაკლები. განკვეთილობის ნიშანად ყოვლი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. მუზ., № 129 სd.

ქ. ავილე მე, თქვენმან ბიძაშვილმან ნოდ[ა]რ თქვენ, ჩემის ბიძაშვილის ბატონის ბაგრატის[ა]გ[ა]ნ თხო თუმ[ა]ნი და ნახევ[ა]რი თეთრი. ამისად გირაქოდ მოგეც თქვენგ[ა]ნ გამოსყიდული და ჩემგ[ა]ნ ნასყიდი გლეხი ხვედუ-რეთს ვიგრიაშვილი ხოსია და ივ[ა]ნა და თამაზას-შვილები თავისის მაჟულითა, დღეს რისაც მქონებელი იყოს. სანამდი ეს გლეხი თქვენ გეჭიროს და თქვენს თეთრს მოგაროვებდე, მე გლეხის გამოს[ა]ვალი არა გთხოვ[ი]ლ და თქვენ [თეთ-]რის სარგებელი არა მთხოვ[ი]თ და როდისაც თქვენ[ი]ნი თეთრი მოგაროვა, ჩემი გლეხი ის[ე]ვ უნდა მევე დამანებო. არის ამ[ი]სი მოწ[ა]მე პაპუნ[ა]შვილი ბატო-ნი ციცი, ¹ ედიშერაშვილი ქაიხოსრო ¹, სალთუცესი პა[ა]ტა ¹, მე ძამუაშვილს გიორგის დამიწერია, მოწ[ა]მეცა ვარ. დაიწერა ივ[ა]ნობისთვის დ, ქორონი[— ქ[ონ]]ს უიგ [].²

311. 1725 წ. მამულის წყალობის წიგნი, მიცემული გახტანგ VII-ის მიერ გიორგი ლასუ-რის-შვილისადმი. დედანი. დახეული, დაზიანებული. $50,7 \times 26$ სმ, დაწერილი თეთრ ქა-ლალდე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ხშირად ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. მუზ., № 2462 სd.

ქ. ნებითა და შეწეუნითა ლ[უ]თისათა ჩვენ, ლ[უ]თივ-ამაღლებულმან, ლ[უ]-თივ-ალმატებულმან და ლ[უ]თივ ცხებით ზეცით გვირგვინოსანმან ისეან-დავითიან-სოლომონიან-პანქრატიონმან და ყოვლისა საქართველოსა თვთ-

¹ აქ ბეჭდისათვის ცარიელი ადგილია ტატოვებული.

² სხვა ხელით: ქ. ნაზარას თამასუქი.

მპყრობელმან მეფეთ-შეფემ პატრონმან ვახტანგზე და ონამეცხელრემან ჩვენმან ჩერქეზ-ბატონის ასულმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან რუსულან, პირ-მშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან პატრონმან მეფემ ბაქარ და პატრონმან გიორგიმ ესე ამიერ უკუნისამდე ხანთა და უამთა გასათავებელი და საბოლოოდ გამოსაღები წყალობას წიგნი და ჩიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუნ, ჩვენთა დიდათ ერთგულსა და ნამსახურს ყმას ლასურის-შეილს გიორგის და ძმასა შენსა ისეს, მარკოზს ჭა მათეს, შეილთა და ყოველთავე მომავალთა სახლისა თქუნისათა; — ასე რომე ჩვენს რუსეთს ყოფნაშია დიდათ გვემსახურენით და ჩვენის შეილისაც ერთგულად მაამებელი მოსამსახურე იყა; ამისად სანუქბოდ ჩვენცა შეგიწყალეთ და გიბოძეთ დიღვამს შენის ბიძაშეილების მელქიზას და შავერდის ნაქონი მამული სახლით-კარით, ვენაკით, სასაფლაოთი, კურმარნითა, კალო-საბძლითა, შესავალ-გასავლითა, საკნავითა, სათესითა და, დღეს რისაც შექნებელნი ყოფილიყუნენ და ანუ იყუნენ, თქუნთვის და შეილთა თქვენთათვის გვიბოძებია ყოვლის კაცის უცილებლად, რომ არას კაცს თქუნთან კელი არა პქონდეს; კიდევ ამასდა გარდა გვიბოძებია თრელში გიორგობულა მიწა ისეუ თქუნი სამკიდრო ყოვლის კაცის უცილებლად; კიდევ ამასდა გარდა სითარხნის წყალობას დაგვევაჯენით და გათარხნეთ, რომ არაფერისთანა საჩვენო გამოსალები და სათხოვარი არა გეთხოვებოდესთ-რა არა კოდისპური, არა საბალახე, არა პირისთავი და ნახირისთავი, არა ულაყი, არა მეჯინიბის ბატკანი, არა საბზევე, არა ტიკ-ტომარა და არა სამოურაო და სამოკელიო; არა გეთხოვებოდეს-რა თვენიერ ერთის მსახურისა და ლაშქარ-ნალირობის მეტი. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენსა ერთგულობასა და სამსახურსა შიგან. ესე ასე გაგითავდეს და არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა შემდგომთა მეფეთა და მეპატრონეთაგან. აწე გიბძანებთ ვექილ-ვეზირნო და კარისა ჩვენისაგან წარელენილნო მოსაქმენო, ბძანება ესე ჩვენი, რომელიცა ამა ჩვენგან ნაწყალობენსა ფარმანსა შიგან ეწეროს, თქვენცა ასე დაუმტკიცეთ და ნუ-რარასმცა ცვლად კელჟყოფთ, თვენიერ თანადგომისა და შეწევნისაგან კიდე-დაიწერა ბძანება ესე კელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწივნობრის კავკასიძის მელქისადეგისათა ქიორონიქიონს უი. ვახტანგ¹.

312. 1725—1729 წლ. ოქი ვეზირის ქეპ უსუფ-ბეგისა გივი ამილახორისადმი. დედანი 21,3×15 სმ, დაწერილი თეთრ ქადალდე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარის სამ-სამი წერტილი. თარილი არ უზის: მიმცემი უსუფ-ბეგ გვხვდება საბუთებში 1725 და 1729 წლებში და ეს საბუთიც ამ 1725—1729 წლებს უნდა ეკუთვნოდეს—საქ. ც—არქ., ფ.—, № 734.

გივს

ქ. ბედნიერის ვეზარის ქეპ უსუფ-ბეგ ვიკადრებ. ჩვენ მაგიერად ჩვენგან დიდად პატივცემულს ამილახორს ბატონს [გივს] მრავალი მოკითხვა მოა-

¹ ხვეულად.

ხსენეთ. მერმე აშ თუმანის-შეილს ფირანქს თავისი ძმა მანუჩარ ერთს კობლე-
კაცს ახალდაბას გოგებას-შეილს უყილებოდა. გავშინჯეთ¹, ფირანქს იმ კაცს
ბარათი ეჭირა. როგორც აქამდინ ფირანს ჭეროდა, ისევ ამისთვის წყალობა
გვიქნია და თქვენ გა[უ]რიგეთ. როგორც აქამდინ ემსახურებინოს, ისე ახლა
ემსახუროს შეძლებით. []

313. 1725—1737 წლ. თავისაყიდობის წიგნი, მიცემული ბერი ქონიაშეილის^(*) მიერ ელის-
ბარ დავითიშვილისადმი. დედანი. 23,1x12,7 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრუ-
ლი ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერ-
ტილი. თარილი არ უხის: ელისბარ დავითიშვილი გვეცდება საბუთში 1712, 1722 და
1736 წლებში (საქ. სიდ., II, №№ 404—452, 283—333 და 442—478); დამწერი დეკ-
გაბრიელ—1725, 1733, 1735 და 1737 წლებში—საქ. მუზ., № 2757 სიდ.

ქ. ნებითა ღვთისათა ესე ნასყიდობის წიგნი მოგართუი ჩეენ, ქონაშეილმა
ბერმა და შეილმა ჩემა შაქარამ, დავითამ, თქვენ დავითიშვილს ბატონს ელის-
ბარს;—ასე რომე ამას წინად მურვანიშვილის წყალობის ყმა ვიყავ, იქიდამ
იმერეთს სულადისათვის წაჯელ, იქ დამიჭირა ბარათაშვილმა საჩინომა ჩეგიძის
თავზე და აქადამ ალარცარა მურვანიშვილმა მიპატრონა და არცარა ჩეგიძემ
თავს შეიდგა. მყიდვა და მის მეტი ღონე არა მქონდა, ზოგი ვალი ავიღე,
ზოგი ერთი ჩემი შეილი დავაგირავე და ისე თავი გამოვიხსენ. იქიდამ წამო-
ველ და ბაზიერით-ხუცეს ავთანდილასთან მივეღ. ორი წელიწადი ვიყავ იქი-
მან ზოგირამ სარჩი მიბოძა, მაგრამ ვერ გავეწყე იქანბას. მოველი, ოქვენ შე-
მოგეხვეწე. აქვენ თქვენს სიძესთან მიბდანდით და თავი შეაწყინეთ. იმათ მო-
ყვრობით თავისი ამაგიც თქვენის გულისათვის დასთმო და ჩემი თავი გაჩუქათ.
მეც სულს იქით გზა არ მქონდა შიმშილისაგან. და მეც ჩემი თავი ასე ნასყი-
დობით მოგართვი; ვერას ალაგს ვერ წაგივიდე, არც თქვენის მეტი ბატონი სხვა-
ვიმდომო და თუ საღმე წაეიდე, ჩემი თავი ღმერითმან ბატონყმობის საქმეზე
წასაკდენათ გაემაროს. რაღვან ამდონი წყალობა მიყავით, რომ ნაჩუქარიც ვი-
ყავ, სარჩი არ მქონდა, სარჩიც მიბოძეთ და, შეილი რომ მყავს დავირავებუ-
ლი, იმის დახსნასაც დამპირდით, მეც ამაგიც გულისათვის ჩემი თავი ნასყიდო-
ბით მოგართვი. არის ამისი მოწამე დავითიშვილი ასლამაზ, გოგრიშვილი პაპუ-
ნა, ყობიაშეილი, სამიშვილი გიორგი, ფალავანდიშვილი ივანე და სულა თქვე-
ნი აზნაურიშვილები ტატიშვილები და რიკაძები. მე კელმწიფის ყმას კარის-
დეკანოზს გაბრიელს დამიწერია და მოწამეცა ვარა ამისი: ○ ○ ○²

¹ უკანასკნელი სიტყვა ტექსტში სწერია: გავაშინჯეთ.

² სატაურები სხვა ხელით: ა. ქ. ნასყიდობის წიგნი ქონიაშეილისა.

ბ. ქონიაშეილი ურიგის ნასყიდობისა.

314. 1726 წ. ოქტომბერის „დამდეგი“, შვილის ნასყიდობის წიგნი, მიცემული იკრძანებული ბეჭიძის მიერ ელისბარა მამასახლისის-შვილისადმი. დედანი. ძლიერ დაზიანებული (მარჯვენა გვერდი მოცილებული აქვს). $62,5 \times 21$ სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. ასო—მეტ ნაკლები განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარისა ორ-ორი წერტილი. საქ. მუხ., № 5184 ჩd.

ქ. . . ესე ამიერით უკუნისამდე[ე] უამთა და ხანთა საბოლოო[ო]თ გასა-
თავებელი და მიზეზ-შემოულებელი და ღრო. მოუდევარი მტკიცე და უცვალებელი
და ყოვლის ჩხებისა და ილათისაგან¹ გამოსული და გამორკვეული ნასყიდობის
წიგნი მოგეც ჩე, ბებეშიძემ იორდანებ სასირელმა, შვილმა ჩემ[მ]ა ბერმა და
მომავალმა სახლისა ჩემისამა შენ, ახალქალაქელს მამასახლისის-შვილს მამასახ-
ლის ელისბარას და შენს ბიძასშვილს გიო[რგის], ლიპუას-შვილს პაპაჯან[ა]ს და
ყოველსა მომავალსა სახლისა [შენისასა];—ასე რომე შენი თეთრი მემართა ოთხ
თუმან-ნახევარი] . . . ანი ველარც თავნი მოგეც და ველარც სარგებელი . . .
[მოქაუკანეთ ჩევნი შვილი ჩევნის ნება-წალილითა ჩევნი . . . ელია. შენს
ვალში მოგეცით სხვაც ბევრი დაგვედე[ბოდა, მა]გრამ შემოგეხვეწენით და შე-
ნის მაღლისა და ლეთისათვის] დაგვიკირე. გყვანდეს და გიბედნიეროს ლმერ-
თმან, შვიდობაში მოგაკმაროს. ფასიც ავილეთ სრულ, რითაც ჩევნი გული შეგ-
ჯერდებოდა. ვინც წამოგედეოს დიდი ანუ მცირე, პირისა და პასუხის მიმცემი
მე ვიყო . . . არის ამისი მოწამე . . . კაცთაგან
სეიმონ, მალალაძე სახლთხუცესი ამილბარ, [კა]რგარეთელი იოთამ, აბულვარ-
დის-შვილი ზა ძიგ შერმაზანა[ა]ნთ გიორგის შვილი შერ-
მაზანა, სტეფანა, ახალქალაქელი როსტევან[ა]ს შვილი . . .
. ბეჟანა, სპანდიერა[ა]ნთ არექელა, სასირელი მარა
. ნაზარას-შვილი ფარსადანა, ზეს ლაგრაძე დემეტრა, (ხან)დაქს სა-
ლუყაზანა[ა]ს-შვილი ბერუა, დაფქ[ქ]ვიას-შვილი მამისიმედი, მალაცა(ძე) ზურაბა.
მენთობელს მლდელს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა სიგელი ესე თე-
ბერვალს დამდეგს, ქორონიკონისა უიდ. + + +
ქ. 2 კიდევ მე გლურჯიძეს ბეჟანას წამოგედევე[ე] ჩ. მის
ბიჭება შენი ნასყიდი . . .³

315. 1726 წ. მაისის 8-ს ნასყიდობის წიგნი, მიცემული ალვერდა ოსმანას-შვილის მიერ
გიორგი ხოშორიძისადმი. დედანი. $34,3 \times 16$ სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული
ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდევ ნახმარია ორ-ორი წერტილი—
საქ. მუხ., № 720 Qd.

ქ. ნებითა და შეწევნითა ლ[უ]თისათ[ა] . . . ესე ამიერით უკუნის[ა]ზ-
დე გა[ა]ს[ა]თ[ა]ვებელი, მტკიცე და უცვალებელი, ყოველის ჩხუბის[ა] და ხლ[ა]-

¹ აქ ტექსტში ზედმეტად სწერია სიტყვა: „და“.

² მინაწერი მოთავსებულია წინა გვერდის მარჯვენა აშანე ხივრძეს ზეფიდან ქვევით
ორ სტრიქონდ.

³ უკანასკნელის წინა სტრიქონის ბოლოში აკლია ნაწერი დაახლ. 35 ტმ-ის მანძილზე,
ბოლო უკანასკნელი ტრიქონი მოთლად მოსპობილია.

თის[ა]გ[ა]ნ გ[ა]მოსული, ყოველის ქ[ა]ცის[ა]გ[ა]ნ მოუდევარი ნ[ა]სყიდობის წიგნი და სიგელი დ[ა]გიწერე მოვეც მე, თსმ[ა]ნ[ა]ს-შვილმა ალვერდ[ა]მა, შვილთა და მომავალმა ს[ა]ხლისა ჩვენის[ა]მა თქვენ ხოშორიძეს გიორგის, ძმასა შენსა დ[ა]ვითს და შვილსა თქვენსა შერმაზ[ა]ნს და რევაზს და ელიზბარს; — ასე რომ ლევში დავტყვევდი და მოქ[ა]ლ[ა]ქემ მიყიდა ლყეის[ა]გ[ა]ნ, მერმე ბ[ა]ტონის ბანებ[ა]რის დ[ა]სტურით და ყის[ა]შვილის გიორგის დ[ა]სტურითა თქვენ მოქ[ა]ლ[ა]ქის[ა]გ[ა]ნ მიყიდეთ. მიეცით ჩემში ფასი სრული, რით[ა]ც იმისი გული ზესჯურდებოდა]. არის ამისი მოწ[ა]მე თ[ა]ვად ლ[მერ]თი და კ[ა]ცოგ[ა]ნ მოქ[ა]ლ[ა]ქე ეს[ა]ია, ალექსიძე ელისე, აბ[ა]ზ[ა]ძე ზა[ა]ლ, დექ[ა]ნოზი ბასილი, მუჯი-რის-შვილი დ[ა]თუნა. მე ს[ა]ლთხუცეს ავთ[ა]ნდილს დ[ა]მიწერია და მოწ[ა]მეც ვარ ამისი. დ[ა]იწერა მ[ა]ის[ის] რვასა, ქ[ორონი]კ[ონ]სა უიდ. ამისი მოწ[ა]მე ტიელიძე გრა და ალ[ა]ცერდ[ა]ს-შვილი ბერი, სულ გომელები. ალ[ა]ცერდ[ა]ს ვალი გომელებმა გა[ა]რიგეს.

316. 1726 წ. მაისის 27-ს. წყალობის წიგნი, მიცემული ვაზტანგ VI-ის მიერ „მრუისის“ ბლვთაების ყმათამი. დედანი. დაზიანებული: ყოფ. საარქეოგრ. კომისიის მიერ (?) ამოჭროლია ვახტანგის ხელრთვა, რის გამოც ტექსტს აკლია. $36 \times 21,8$ სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განვევთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. ც.—არქ., ფონდი—, № 1328.

ქ . . . ჩვენ, მეფეთ-მეფეშ პატრიონმან ვახტანგ ესე წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ერთობილთ საყდრიონთ მრუისის მღვთაების ყმათა; — ასე რომე მოვიდა ჩვენს წინაშე მროველ ეფისკოპოზი ნიკოლოზი ორ-ბელიანი და თქუენ რუსის მღვთაების ყმათათვის საურის სითარხენეს დაგვეა-ჯა. ჩვენცა წყალობა უყავით და საუკუნოდ საური ვაპატივეთ და პურისა და ლვ-ნის ოჩხარს შეაწერდენ ხოლმე და გლეხს დიალ ძალა დამართებოდა და გაღარიბებულიუნენ. ისრც ვაპატივეთ. არც პური, არც ლვინო არც ჩვენთუის ჟითხოოთ და არც სხვათათუის ჩვენის ბძანებით მივაცემინოთ. არ მოგეშა-ლოსთ არა ჩვენგან და არა შემდგომთა მეფეთა და შვილთა ჩვენთაგან. აწვ გიბძანებთ, ვეჭილ-ვეზირნო და კარისა ჩვენისა წარვლენილნო მოსაქმენო, ბძა-ნება ჩვენი თქვენცა ასე გაუთავეთ და ნურარასმც ცვლად [ხელშეკოტ]თ თუ-ნიერ თანადგომისა და შეწევნისაგან კიდე. დაიწერა ბძანება ესე პელითა კა-რისა. ჩვენისა მდივანმწიგნობრის კავკასიის მელქისადეგისათა. ქ[ორონი]კ[ონ]ს უიდ, მაის[ს] კზ. ცახტანგ¹ რუსულან².

მეფე ბაქარ	• • • • •
	• • • • •

¹ ჩვეულად.

317. 1726 წ. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ზაზა რატიშვილის მიერ შანშე ქსნის ერისთვისალმი, დედანი. $32,2 \times 22,2$ სმ, დაწერილი თეთრი ქალალდზე მხედ-რული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერ-ტილი—საქ. მუხ., № 2785 ჩ. 1.

ქ. ნებითა ღ[უ]თისათა, ესე სამყვიდრო და საბოლოდ გასათავებელი წიგ-ნი მოგართვით ჩვენ, რატიშვილმა ზაზამ თქვენ, ქსნის ერისთავს ბატონს შან-შეს; ძმასა შენსა უყლარალის ბატონს იესეს, რევაზს, შეილსა თქვენსა იოე[ვ] ნეს:—ას რომე თათრობა იყო, დაგვეჭირა და მოგყიდვთ აბ[ა]ლგორს უმარი-ლოშვილი ნასყიდა, ბაინდურა, სარქისა და მანუჩარა თავისის სახლით, კარით, ნასყიდით, უსყიდით, მმწლით, ველით, ენახით, შესავლით, გამოსავლით, წყლით, წისქვილით, დღეს რასაც მქონებელი იყოს. მოგყიდვთ და ავიღეთ ფასრ სრული და უკლებარი, რითაც ჩვენი გული შეგჯერდა. აროდეს არ მოგეშალოს. თუ ვინმე შემოგეცილოს, პირისა და ბასუხის გამცემის მე ვრცო. თუ ვინმე ამი-სად ცილებად კელყოს, რისხესმცა დაუსაბამო. დაუსრულებელი ღმერქთი... ხოლო დამამტკიცებელი ამისი ღ[მერქთმა]ნ აკურთხოს. არის ამისი მოწამე თვით ღმერქთი, კაცთაგან ჯვარის-მამა გერასიმე, გაბაშვილი ბაგრატ, მაღა-ლაშვილი პატა, ბერიძე ხუცესი იოსებ, ნალბანდი იოანა, ტერტერა მელიქა-დეგ, ტერა მრავესა. მე თუმანიშვილს მამუკას დაბიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. ქორონიქონეს უიდ. +¹

318. 1727 წ. ივნისის „დამდეგს“. მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული შიო შალუტაშ-ვილის მიერ ბექანისა და მისი შვილის ლუარსაბისადმი. დედანი. 29×22 სმ, დაწერილი თეთრი ქალალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. მუხ., № 2631 ჩ.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღ[უ]თისათა, ძლიერებითა პატიოსნისა და ცხო-ველს-ყოფელისა ჯვარისათა და ყოველთა წმიდათა მისთათა ესე ნასყიდობის წიგნი მოგეც მე, შალუტაშვილმა შიომ, შვილთა და მომავალთა სახლისა ჩვენი-სათა თქვენ, ბეჟანს და შვილსა თქვენსა ლუარსაბს; დამეჭირა და მოვყიდე ჩემი ნასყიდი მიწა ბატონის ჩემის შეკითხვითა და ბანებითა ფორქალისში ერთის დღის მიწა აქეთ თქვენის მიწის საქცევამდის და ოქრუას-შვილის მიწის საქცე-ვამდის, იქით ქუცნას-შვილის ბერუკას სამძლევრამდის. ავიღე ფასი სრული და უნაკლულო. გქონდეს და გიბელნიეროს ღ[მერქთმა]ნ, რაგვარადაც სხვას ალალს მონასყიდეს. თუ ვინმე ამას წამოგედაოს, მასამცა რისხავს ღ[მერქთი], და ყო-ველნი წმიდანი. არის ამისი შოწამე ჯერაშვილი დათუნა, მღულელი იოსებ +².

¹ სათაური სხვა ხელით: ქ. რატისა-შვილის ნასყიდობისა.

ჯოეშვილი ჯოია +, იაგულაშვილი გიორგა +, დოლმელა ბერუა +, ელიზბარა-შვილი დათუნა + და შერმაზანს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა თი-შათვის დამდეგს, ქორონიკონ]სა უი. +¹

319. 1727—1736 წლ. ყმის დანებების წიგნი, მიცემული ციცი ციციშვილის მიერ ფარსადან ფაციაშვილისადმი. დედანი. დაზიანებულ-განახლებული. $12,5 \times 12,6$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელი. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უზის; დამწერლობის მიხედვით ეკუთვნის XVIII ს-ის პირველ ნახევარს; ამ დროს ციცი ციციშვილი გვხვდება საბუთებში 1727 და 1736 წლებში (ვ.—არქ., ფ.—, № 51/95 და საქ. სიდ., II, № 341—352) და საბუთიც ამ 1727—1736 წლების ახლო დროს ეკუთვნის—საქ მუხ., № 1911 ჩ. და საბუთიც

ქ. ნებითა და შეწევნითა ლუთისათა, ჩუენ, ციციშვილმა² ციციმ მოგე-ცით ესე წიგნი შენ, |ფაცია|³ შვილს. ფარსადანს⁴;—ასე და ამა პირსა ზედა, რომე ჩუენი მემკვიდრე ყმა კარალელი წავშიშვილი თქვენ მოგსლოდათ. ფეშ-ქაში მოგვართვოთ შემოგვეხვეწეთ, გუთხოვეთ და დაგანებეთ ყოვლის კაცის მოუდევარ-მოუსარჩელელად. გქონდეს და გიმედნიეროს ლმერით/მან/ და ვინც შემოგვილოს, პასუხის მიმცემი ჩუენ ვიყუნეთ. არის ამისი მოწამე ჩოლაყაშ-ვილი გარსევან და ჩუენი ბოქოულთუხუცესი ჩინჩალაძე იასე. | ციცი |⁵

320. 1728 წ. ახლო. ბატონყმობის წიგნი, მიცემული პატარკაცა ბედიაშვილის მიერ სეხნია ზუბიაშვილისადმი. დედანი. $15,7 \times 11$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხე-ლით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი, ან სამ-სამი წერტილი. თარიღი არ უზის: სეხნა ზუბიაშვილი გვხვდება საბუთში 1728 წელს (საქ. მუხ., № 695 ჩ.) და ეს საბუთიც ამ 1728 წლის ახლო დროს შეიძლება ეკუთვნონ დეს—საქ. მუხ., № 697 ჩ.

ქ. ესე წიგნი მოგეც მე, ბედია[ნი]შვილმა პატარკაცმა. შენ, ზუბიაშვილს სეხნიასა, შვილსა შენსა ბერსა;—ასე რომე სხვამ კაცმა შემაგულიანა და წაგი-ველ: ახლა ცმა[თ] გასასყიდლათ მამინდომეს. ახლა ისევ შენ დამიხსენ, უწინაც შენი ნასყიდი ვიყავ. ახლა დღეს და დღეის იქით მე შენს იქით ვერსად წავიდვ და არც სხვას კაცს ჩემთან ხელი არა ქონდეს და ვერკინ გედეოს და [ლ]რც-

¹ სათაური სხვა ხელით: ქ. ნასყიდობის წიგნი შალუტას მოყიდული.

² აქ სტრიქონის თავზე სხვა ხელით და სხვა მელნით დაწერილია: ბატონმან

³ უკანასკნელი სიტყვის ადგილი გამოგლევილია (ვეონებ განგებ) და განახლებული და აქ სხვა ხელით და სხვა მელნით დაწერილია: ესიტას. პირვანდელი სიტყვა. უჭაცია⁶ აქ აღ-დგენილია ჩეენ მიერ სათაურის მახდევით.

⁴ აქ სიტყვის წინა სამ ასოს განმახლებლისავე ხელით განახლებულ ადგილას მიწე-ბილი აქვს: სადანს; ასე რომ მოელი სიტყვა იკითხება: ფარსადანს.

⁵ სათაური, დაწერილი სხვა ხელით (მოჩანს საკერებელს ქეშიდან): ქ. ფაცია-შვილისა-

ვის სიტყვა აქეცეს ჩემთან; კიდეც შენი ნასყიდი ვარ და ვერცვინ გედეოს. პი-რისა და პასუხის გამცემი მე ვიყო. არის ამისი მოწამე ზაზა რიკაძე, ავთანდილ-გოშპარიშვილი, პეტრე კიტრაძე. ახლა ეს ჩემი დახსნა მოორეთ ამ[ი]ტომ იქნა, რომ ბიძა ჩემ[მ]ა მამატყუა ბედი[ა]ნაძემ, შენი გამცემობა მაქნევინა. ზა[ა]ლ ფა-ლავანდიშვილთან მოვიდა ამ ჩემის გამცემობითა, დაც მოგტაცა და რჩომაც და თოფ-იარალიც წაგართვა. არის ამისი მოწამე ამირან რიკაძე, ჩინელი ლე-ვანის-შვილი. მე პეტრეს დეკანოზს დამიწერია, მოწამეც ვარ ამისი +¹.

321. 1728 წ. იანვრის 9-ს. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული დემეტრე ბა-რათაშვილის მიერ დემეტრე ყაფლანის-შვილისადმი. პირი, გადაწერილი უზენაეს შარ-თებლობის ბრძანებით XIX საუკ. დასაწყისს მხედრული ხელით—საქ. ც.—არქ., ფ.—, № 2/112.

... ესე უთუმცა[ო] და უთუო და მიზეზშემოუღებელი, ყოვლისა ხლათისა და ჩხუბისაგან და ილეთისაგან გამოსული ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგარ-თვი თქვენ, ყაფლანის-შვილს მე ბარათაშვილმა თაყაშვილმა დემეტრემ ზურა-ბის-შვილს დემეტრეს, შვილსა შენსა ყოფლანს, ზურაბს, ზაალს, პაპუას;—ასე რომე მოგყიდე მე თაყას-შვილმა დემეტრემ ჩემი სამკვიდრო გლეხი ანდრიას ქიტესას-შვილი, [] ამისი ბიძაშვილი აბრამა თავისის მამულით

შესავლით, გასავლით, მთით, ბარით, სახნავით, უხნავით, წყლისპირი, სამოცი-დლის მიწით, ვენახით, ბალით, ერთი მთელი საკომლო მოგყიდე ყოვლის უმი-ზეზის და უცილებელის საქმით. მოგცეს და გიბედნიროს ღმერთმან. ავილე სრული ფასი, რითაც ჩემი გული შესჯერდებოდა. შეგჯერდი ჩემი შენზე ალ-რა დარჩიმილა-რა. არა კაცი მოცილე და მოლაპარაკე არავინ არის. ჩემი სამ-კვიდრო ყმა და მამული[ა]. ვინც მოლაპარაკე და მოდავე იყოს, პასუხის გამ-ცემი მე ვიყო. არის ამისი მოწამე პატარა ბატონი [] მანუჩარ,

მდივანი ბირთველი [], მდივანი ავთანდილა [], გი-

ორგი ლელუკაშვილი +, ნამანგლელავის-შვილი როსტომ, გერმანოზიშვილი და-თუნა +, საამის-შვილი ედიშერ და სულ ხრამის ხეობა ამისი მოწამე. დაიწერა-ესე წიგნი იანვრის² ქ[ორონი]ქ[ონ]ს უივ. მე პავლეს დამიწერია და მოწამეცა ვარ +³.

¹ სათაური სხვა ხელით: ქ. ბედინაშვილის ბედიანის (?) ნასყიდობაა.

² თვის თარიღი გამოტოვებულია გადამწერის მიერ.

³ მინაწერები: ასლთან თანასწორ არს. სოგეტნიკი თ[ავადი] დიმიტრი თარხანგი-ასლი სიგელი მიგილე. პოლკოვნიკი ლუარსაბ ორბელიანი.

322. 1728 წ. აპრილის 11-ს. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ქაიხოსრო გედავანის-შვილის მიერ თავის ბიძის გედევან გედავანის-შვილისადმი. დედანი. დაზიანებული (თავში). 30×21,2 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული. ხელით. ასო—მეტ-ნაკლები. განკვეთოლობის ნიშანდ ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი ან, სამ-სამი წერტილი—საქ. ც.—არქ. ფონდი 226, № 5105.

ქ . . . ესე ამიერითგან უამთა და ხანთა გას[ა]თ[ა]ვებელი, მტკიცე და მოუშლელი, მიზეზ-შემოულებელი სიგელი ნ[ა]ს[ი]დობის მოგაროვი მე, გედავანიშვილი[ა]ნ ქაიხოსრომ, შვილმ[ა]ნ ჩემ[მა]ნ დავით. მმას[ულმ[ა]ნ ჩემ[მა]ნ რევაზ, თქვენ, ბიძა ჩემს გედავანს, შვილს[ა] შენს[ა] ოთარს და პეტრეს, ერასტის, გიორგის მომ[ა]ვალთა ს[ა]ხლის თქვენის[ა]თა; —ასე რომე დამეჭირა და მოგყიდე ს[ა]თი-კარს ლომაური ნადირაშეილები ნიკოლა და სეხნია თ[ა]: [ი]სის ძმებითა, თავისის სამართლიანის მამულითა, მთითა, ბარითა, ვენაკითა, ს[ა]კნ[ა]ვითა, უკნ[ა]ვითა, წყლითა, წისქვილითა, სას[ა]ფლ[ა]ოთი, ნ[ა]სყიდითა, ს[ა]ქებრითა, უძებრითა, ყოველის მისის სამართლიანის მამულითა. მოგყიდე და გიზედნიეროს ღმერთმ[ა]ნ, როგორ[ა]თაც სხვ[ა]ს მონ[ა]სყიდეს ქონია, გიბედნიეროს ღმერთმან. ავიღე ფ[ა]სი სრული და უკლებელი, შენზედ აღარა დარჩა რა ერთის იოტის ფეხ[ს]ი. არის ამისი მოწამე თავ[ა]თ ლმერთი ქ[ა]ცთა-გან: გაბრიელ გედავანიშვილი +, ს[ა]ლირაშვილი + დემეტრე, ქიტა, ლომაური + ნიკოლა, ქიდევ ლომაური + თა-მაზა, ლომ[ა]ური აბრამა, დაიწერა ესე წიგნი აპრილს ია და მე ყაფარბეგას (?) დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. ქ[ორონი]ქ[ონ]ს უივ. + + +

323. 1728 წ. ნოემბრის კბ. ნასყიდობის წიგნი, მიცემულ ელიოზ მათიაშვილის მიერ ანუკა ბატონიშვილისადმი. პირი, გადაწერილი უზენაას მართებლობის ბრძანებით XIX საუკ. დასაწყისს მხედრული ხელით—საქ. ც.—არქ. ფ.—, № 17/106.

ესე ნასყიდობის წიგნი მოგაროვი თქვენ, ბატონიშვილს ანუკას მათია-შვილმა ელიოზ ლედელმა, შვილმა ჩემა მოსემ და შიომ; —ასე რომ გამიჭირდა და ვერავინ დამიხსნა, ახლა მოველ და თქვენ შემიბრალეთ და დამიხსენით. ერთი შვილი მამირთმევია ქალი. იმასთან ხელი არა მქონდეს. ჩემი თავი და ჩემი შვილების თავი ნასყიდათ მომირთმევია, ხელი არავისა ქონდეს თქვენს მეტს ჩემთანა. თუ ვინგე ჩემს თავს წამოგედაოს, ან მე წაგივიდე ყმობდამ, თეთრის პასუხის გამცემი ოცის მარჩილის, თვეში სარგებლის მარჩილის თავს ნახვარ (sic) შაურის მამცემი ვიყო. არის ამისი მოწამე და თავდები ჯაფია-შვილი თადეოს, მათიაშვილი ბექან, გიორგი რუსაშვილი, იასე დუშიაშვილი. დაიწერა ნოემბერს კბ გასულს, ქ[ორონი]ქ[ონ]ს უივ. მე გიორგის დიაკვანს ბარათაშვილს დამიწერია და მოწამეც ვარ + + +¹.

¹ მინაწერი: ასლთან სწორე არის. სოვეტნიკი თუ თარხანვი.

324. 1728 წ. დეკემბრის 20-ს. ნასყიდობის წიგნი, მიცემული დათუნა მეხერის-შვილი მიერ სულხან [თუმანიშვილისადმი]. დედანი. 31×19,5 სმ, განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი; თარიღიად აქვს 1728 წ.—საჭ. მუხ., № 116 სძ.

ქ. . . ესე მტკიცე და მოუშლელი, სამკუიდრო და საბოლოოდ გაწოხა-
დეგი ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩეენ, ატენელმა
მეხერის-შვილმა დათუნამა, შვილმან ჩემემან ბერუმა, პეტრემ და გაბრიელ
თქუენ, მდივანს ბატონს სულხანს, შვილთა თქუენთა შიოშს და ბარძიმს;—ასე
რომე ვალის პატრონი შევიქნ და მოვალებმა დიალ შემაწუხეს, ვერას საქმით
ვერას გაულონიერდი. ავდექ ჩემის ნება-წალილთა თქუენ შემოგეხვეწე და ჩემი
თავი ნასყიდობით მოგეც და ჩემი ვალი თქუენ გარდამიწყვიტეთ. არავინ იყოს
მცილე და მოდივე ჩემი თვინიერ ღრთის მეტი. არის ამისი მოწამე... კაცთაგან
ციცის-შვილი მანუჩარ [] , ქალაქის მელიქის შვილი ბეჭბუთა [] , შან-
შიაშვილი გიორგი + [] , მე სიონ.ს დეკანოზის შვილს მიქელს დამიწე-
რია და მოწამეცა ვარ. დაიწერა ესე წიგნი ქრისტესშობისთვის კ, ქ[ორონი]-
ქ[ონ]ს უივ. + + +

325. 1728 წ. ოქმი, მიწერილი ვინდაც ხელისუფლის მიერ იასაულისადმი გარდაწყვეტი-
ლობის წიგნით ზაქარია ქანანაშვილისა დავით თარხნის - შვილისადმი. დედანი.
13,2×12,7 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდხე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად
ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი, ოქმი უთარილოა; გარდაწყვ.
წიგნს უზის 1728 წ. და ოქმიც იმავე დროისა უნდა იყოს—საჭ. მუხ., № 2986 სძ.

ქ. ჩეენი ბძანება არის იასაულო, მერმე თარხნიშვილს დავითს ფარსადანა
ქანანაშვილისათვის ალავრელი გოგო მიუყიდნია. ერთს თუმ[ა]ნ შვიდს აბაზად.
ის ტყვე თავის პატრონისათვის ფარსადანს. მივაცემინეთ. ეს თეთრი დაგითს
გამოართვი და ფარსადანს მოეცი. []

ქ. ესე გარდაწყვეტილობის წიგნი მოგართვი მე, ქანანაშვილმა ზაქარიამა
თქვენ, თარხნის-შვილს დავითს;— ასე რომე ამ ოქმის საქმეზედ გელ[ავე]ბოლი.
რითაც საქმით იყო, გარდამიწყვიტეთ. დღეს ამას იქით თქვენთან არაფერო
სადეო და სალაპარაკო არა მქონდეს-რა. თუ ამაში წამოგედეოს ვინმე, პასუ-
ხის გამცემი მე ვიყო. არის ამისი მოწამე კრბიაშვილი (პაპუნა) +, თარხნის-
შვილი სვიმონ +, მე ნიკოლოზ მგალობელს დამიწერია და მოწამეც ვარ. ქ[ო-
რონი]ქ[ონ]ს უივ +.

326. 1728—1740 წლ. ნასყიდობის წიგნი, მიცემული თათარ დიდებაშვილის მიერ თავის ნათლია ზაქარიასადმი. დედანი. 21,1 × 16,6 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო ან ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უნის: საბუთის მიმცემი სწერს: „თემურაზ ერისთვის დროში პური დაჭარგეთ, მე შამამაჩნდა“-ო. თემურაზ ერისთავი ჩანს 1719—1728 წლებში. ცხადია, საბუთი დაწერილია ხსენებული ერისთავის შემდგომ დროს. ეს დრო უნდა იყოს დაახლ. 1728—1740 წლები—საქ. მუხ., № 2558 1id.

ქ. ესე წიგნი მოგეც მე, თათარმა დიდებაშვილმა, შვილმა ჩემმან პაპუაშ თქვენ, ჩემს ნათლიას ზაქარიას და ძმასა თქვენსა იესეს, გიგსა და ადამს;—ასე რომ თემურაზ ერისთვის დროში პური დაჭარგეთ. მე შამამაჩნდა. სხვა ილა-ჯი არა მქონდა მამეცა რამე. მაინც თქვენ გმსახურებდი, ავდევ ჩემი თავი ნასყიდობით მოვართვი. შვილეული კი მაპატიეთ თავნის თრმოცის „კოდის პურისათვის. არც საქვეყნოთ გამიხადეთ, არც საბატონოთ. მანამ თრმოცი კოდის პურის მოცემას შევიძლებდე, თქვენი მოსამსახურე ვიყო. მერე დასტური მამცეთ, ჩემთან ხელი არა გქონდეს. არის ამისი მოწამე . . . კაცთაგან კობია-შვილი ბეჟან, მოურავი შენი სახლის-კაცი ბერი, შენი ძმისწულები. შენი სახ-ლის ჯალაბი, იასაული თანიაშვილი როსტევან და მოწამეცა. + +

327. 1728—1750 წლ. შვილს ნასყიდობის წიგნი, მიცემული პაპუნა ბელიაშვილის მიფრ სენია ზუბიაშვილისადმი. დედანი. 31,7 × 11,4 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედ-რული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი ან სამ-სამი წერტილი. თარიღი არ უნის: მიმღები სენია ზუბიაშვილი გვხდება საბუთში 1728 წელს (საქ. მუხ., № 695 1id), ხოლო დამწერი გიორგი ნებიერიძე 1744—1760 წლებში დაწერილ საბუთში (საქ. სიდ., II, № 451—485). საბუთი დაწერილი უნდა იყოს დაახლ. 1728—1750 წლებში—საქ. მუხ., № 698 1id.

ქ. . . ესე ამიერ უკუნისამდი გასათავებელი ხანთა და უამთა სამკვიდრო და საბოლოო^[ო] ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერე[ქ]თ და მოგეცი მე, ბელია-შვილმა პაპუნამა, შვილმა ჩემა მამუკამა შენ, ზუბიაშვილს სენიასა, შვილსა შენსა ბერსა;—ასე და [ა]მთა პირსა ზედა, რომ ოდეს დამჭერიდა და მოგყიდე შვილი ჩემი პატარქაცი. გყვანდეს და გიბედნიეროს ლმერთმა ჩვენგან დ[ა] ყ[ო]ვ-ლის კაცის უცილებელად. ვინცა და რამანც კაცმა ან დიღმა ან ცოტამა ან ჩვენმა მონათესავემა ეს ჩვენგან მოცემული წიგნი შეგიშალოს, ისიმცა შეიშ-ლება კეუისა და ცნებისაგან . . . კაცთაგან ამისი გამრიგე მამსახლისი კოკო-ლაშვილი ბერი, მასაშვილი ბერი, კილვ ამისი მოწამე ბერი ოქტოაძე, გივა ზასილიძე, ბეჟია სებისკვერაძე. სულ ერთპირათ აბანოელნი. მე გიორგი ნებიე-რიძეს დამიწერია და მოწამეც ვარ. დაიწერა ესე წიგნი მარტს ნახევარს ქრო-ნიკოს. + +¹

¹ სათაური: ზუბიაშვილის ნასყიდობისა ბელიანაშვილის (?) პატარქაცისა;

328. 1729 წ. აპრილის 30-ს. მამულისა და ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ფირან ჩივაძის მიერ დავით თარხნის-შვილისადმი. დედანი. $42,3 \times 20,2$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი—საქ. ც.—არქ., ფონდი 226, № 4153.

ქ. . . ესე ამიერ უკუნისამდე უამთა და ხანთა გასათავებელი. ნასყიდობის წიგნი¹ მოგართვი მე, ჩივაძე ფირან და შვილმა ჩემ[მ]ა ედიშერ, შვილთა და მომავალთა სახლისა ჩვენისათა თქვენ, ჩენს ბატონს თარხნის-შვილს დავითსა, ძმასა თქვენსა როსტომს, ზეშთელსა, შვილსა თქვენსა მზექაბუქსა და ზაზასა, შვილთა და მომავალთა სახლისა თქიენისათა ყოველთავე;—მას უამსა, ოდეს დაგვეჭირა და მოგყიდე ჩემი მამული ნასყიდი და უსყიდი, ზეარი, ხოდაბუნი, სახნავი, სათესი, წყალი; წისქვილი, სახლი, კარი, ქვეერი, მარანი, სასაფლაო. ამას გარდა ჩემი ყმა ჯანიაშვილი მახარა, ზა[ა]ლა თავის ძმის წულებითა, იმის განაყოფი გიორგი და იმისი ძმა კომლაძე გიორგი თავისი შვილებითა, კომლაძე სეხნისა შვილი. ესენი თავისი ცოლშვილითა და მამულებითა, ღლეს რისაც მქონებელი იყოს. [გ]ეონდეს და გიბელინეროს ღ[მერ]თ[მა]ნ, რა-რიგათაც სხვას მრავალს ალალს მონასყიდეს მოხმარებოდეს. არა დარჩომილა რა ჩენი თქვენზედ არც ერთის იოტის ფასი. ვინც ამ ჩენგან მოსყიდულს მამულს შემოგეცილოს, პირისა და პასუხის გამცემი მე ვიყო. არის ამისი მოწამე ბატონი თარხანი ლუარსაბ [], იორამ,² ზაზა,² ცალქალა-მნიძე გივი [], ლუარსაბ,² ფირან³ ჩივაძე ხოსია,² გოგიბა² და მე მგალობელს ნიკოლოზს დამიწერია და მოწამეც ვარ. აპრილს ლქ[ორონი]კ[ონ]ს ფიზ...+ +³

329. 1729 წ. ივნისის 10-ს. პირობის წიგნი, მიცემული საამ და სხვა მაღალაშვილების მიერ სახლთხუცეს ამილბარ მაღალაძისადმი. დედანი. $32,7 \times 10,7$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. თარიღად აქვს 1729 წ.—საქ. მუზ., № 1894 Ad.

[ქ] ეს წიგნი დავდევით და მოგეცით ჩენ, მაღალაშვილებმა საამ, ერას-ტიმ, პაატამა და მამუკამა და გიორგის ობოლმა, ფირანის ობოლმა ბარაჟ და იასეს შვილმა უსუფამ თქვენ, სახლთხუცეს ამილბარს და მდივანს სოლომონს;—ასრე, ნიაბი და ჩოჩეთი დავთარულისაგან თქვენ აგელოთ და რვის თუმნისა და თორმეტის ყურუშის თამასუქი მიგეცათ. ახლა ჩენც ეს პირობა და წიგნი მოგეცით, რომე, რაც ნიაბთა და ჩოჩეთს ჩენი ყმა იყოს, იმათი სპენჯი, ლალა,

¹ აქ ეს უკანასკნელი სიტყვა განმეორებულია.

² აქ ბეჭდის დასასმელად ცარიელი ადგილია დატოვებული.

³ მინაწერი საბუთის ბოლოს: ქ. ჩივაძის მოსყიდული სიგელი.

კულუხი, საბალახე, საქვრიო, თავის-გასამტეხლო, თუ რაც ჯარიმა იყოს ან გამოსავალი, ყუალა აილევით და, თუ ამით გარდასწყდა მირის თეთრი, ხომე კარგი არის და, თუ არ აუკდეს და ვის როგორ მამული და ზვარი და ხოდა-ბუნი გვქონდეს, ისე გამოვილოთ და ეს მირის თეთრი ავაყენოთ და, თუ მორ-ჩეს რაც და სასწორიოდ გავიყოთ. არის ამისი მოწამე მამად-ბეგის ხაზინადარი უსუფა და 'შუბაში დაერიშა. თიბათვის ი, ქორონი]ქონ]სა უიზ. [] []¹

330. 1729 წ. ოქტომბრის 26-ს. პირობის წიგნი, მიცემული ზაქარია გიორგაშვილის მიერ იორამ თარხანის-შვილისადმი. 19×12,2 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდებე მხედრული ხელით; განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი; თარიღად აქვს 1729 წ.—საქ. მუზ., № 2999 ჩ.

ქ. ესე წიგნი მოგეც მე, ატენელმა გიორგაშვილმა ზაქარიამ და ჩემა სიძემ კარიქაშვილმა ბერმა თქვენ, თარხანის-შვილს იორამს;—ასრე რომე თქვე-ნის ყმის უქმარაძისაგან ვენაკი ვიყიდეთ და იმ საქმეზედ თქვენ ლაპარაკი და-გვიწყევით; ჩვენ ეს პირობა მოგეცით, რომე ყოველს წელიწადს სთველში სამს კოკას ტკბილსა და ერთს კოდს საფერავს მოგცემდეთ. თუ უნდა თათრის კელთ ვიყოთ, თუ უნდა ქართველის კელთა, ამ სამს კოკას ტკბილს არ დაგაკლებდეთ და სხვა სალაპარაკო და სადეო ამ ვენაკის საქმეზე ალარცა რა თქვენ ჩვენთანა ვვაქვს. იმ ვერაკზე რომე სხვამაც ბარა აილოს, ამ სამს კოკას თქვენ მაშინც უნდა მოგცემდეთ. არის ამისი მოწამე და გამრიგე ჩვენი ბატონი მდივანი სულ-ხან [], ციციშვილი მანუჩარ², ნაზირი ადამ, საკაძე ბახუტა, ბახუტა³ და მე ქ'ზის მდივანს სოლომონს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. ქორონი]ქონ]სა უიზ, ოკლოშერსა კვ. + +

331. 1730 წ. ახლო. გარდაწყვეტილობის წიგნი, მიცემული გოდერძა ყონინისა და სხვების მიერ მურვან მურვანის-შვილისადმი. დედანი. 26,7×11 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდებე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი. თარიღი არ უხის: მურვან, ბააკა და რევაზ მურვანიშვილები გვხვდება სა-ბუთში 1730 წელს (საქ. სიბ., II, № 306—353) და ეს საბუთიც ამ წლის ახლო დროს უნდა ეკუთვნოდეს—საქ. მუზ., № 2957 ჩ.

ქ. ესე წიგნი მოგეცით ჩვენ რეხელმ[ი] ყონინიძე გოდერძამა, ყვავილაძე ძულიამა, კოლობარის-შვილმა კაციამა, თანდილაშვილმა დათუნამა თქვენ, მურ-ვანიშვილს მურვანს, ძმასა თქვენსა ბაა]კასა და რევაზსა და სვიმონიშვილს

¹ სათაური: ქ. ეს წიგნი მალალანთია ნიაბური და ჩიჩური.

² აქ ბეჭდის დასასმელად ცარიელი ადგილია დატოვებული.

³ ხელრთვა.

გიორგისა;—ასე რომე თხილნარს ლექის ხიზნ[ა]თ ვიყავით და მოგვიხდა ჩიქუ-
ანი და აგვიკლო და მოვედით და შენ შემოწამეთ. თქვენმა სიმართლემ იმაჟ
ჩიქუანის ხელში გამუაჩინა. ახლა შენ გელავებოლით და გარდაგვიწყვიტეთ.
რადგან უბრალო იყავით, დღეს და ამას იქით თქვენთან კარკაცობის მეტი
ხელი აღარ გვაქუს რა. არის ამისი მოწამე შებაში ომარ ქია, კლდელი აბდია,
ანჩაფის-შეილი ბეჟან, აბაზაძე ზა[ა]ლ, ოლაძელი ბეჟანა, მლებარიშვილი ტერ-
ფარსიელა. მე მდივანს შერმაზანს დამიწერია და მოწამე ვარ ამისი. + + +

332. 1730 წ. ახლო. ნასყიდობის წიგნი, მიცემული გიორგი ტოგუნიძის მიერ მურვან
ბაკა და სხვა მურვანიშვილებისადმი. დედანი. 36,8×13,2 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალ-
დზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშან ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია
ორ-ორი ან სამ-სამი წერტილი. თარიღი არ უზის: მურვან, ბაკა, ლუარსაბ. და რევან
მურვანიშვილები გვხვდება საბუთში 1730 წელს (საქ. სიძ., II, № 306—353)—საქ. მუს.,
№ 14.158 ჩ.დ.

ქ. ესე ნასყიდობის წიგნი და პირი მოგეც შე, ტოგუნიძემ გიორგიშა
თქვენ, მურვანიშვილს მურვანსა და ბ[ა]კასა და ლუარსაბსა და რევაზსა;—ასე
რომე ჯერ უწინ გამიჭირდა და კაცის სისხლი დამედვა. ჯერ ერთხელ ჩემში
გაიღე, და წიგნიც სხვა გაქს, დახარჯე ოცდა ხუთი ასლანი, ქოჩაძეს მიეც.
ახლა დამეჭირა და, კიდევ სხვის კაცისა მემართა, მოგყიდე ორი ჩემში შეილი.
ავრევ ფასი სრული და უქლებელი. ბიძა-შენი მედავებოლა, იმისის დასტუ-
რითა, შენც მოგცა დასტური და მეცა ანჩაფიშვილის დავითისა და არონაშვი-
ლის კაյას პირითა, მოციქულები ესენი იყვნენ. აღარა დარჩა-რა ფასი ჩემი
შენშედა. არის ამისი მოწამე თავათ ლმერთი . . . კაცთაგან . . . აბაზაძე
რევაზ, არახჩინაშვილი ბეჟან, მამასახლისი ვარდანაშვილი ბერი, ფასუაშვილი
როსტომა, სულა სურამის მსახურნი. დაიწერა იანერის რეას. მე ჩიტიაშვილ
პა[ა]ტის დამიწერია. და მოწამეცა ვარ ამისი + + +¹.

333. 1730 წ. იანერის „დამდეგს“. ყმის შეილის ნასყიდობის წიგნი, მიცემული არაგვის-
ერისთვის შეილის დავითის მიერ თავის და მარიამისადმი. დედანი. 27,7×11,5 სმ, და-
წერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშან ყოველი სიტ-
ყვის შემდეგ ნახმარია თითო, ორ-ორი ან სამ-სამი წერტილი—საქ. მუს., № 2910 ჩ.დ.

ქ. ნებითა და შეწერენითა მლ[ვ]თისათა მამისა ძისა და სულისა წმინდი-
ნათა, ესე ამიერ უკუნისამდე გასათავებელი, მიზეზშემოულებელი, ღრომოულე-

¹ სათაური სხვა ხელით: ქ. რეხელი კაცისა.

² უკანასკნელი სიტყვა ტექსტში სწერია: ფსასუა.

³ ქ. ტოგუნიძის ნასყიდობისა.

ვარი, სამკვიდრო და საბოლოოოდ გამოსადევები ნასყიდობის წიგნი დაგიწერე და მოგეც მე, არაგვის ერისთვის შეიღმან დავით თქვენ, ჩემს დას მარიამს სეიმონის სახლსა; — ასე რომე მოგყიდე ჩემის ყმის შეილი მთიულიშვილი] ბარამა¹: ავილე ფასი სრული, რომლითაც ჩვენი გული შეგჯერდებოდა. არაოდეს მოგე-შალოს არ ჩვენგან და არც ჩვენის ნათესავისაგან. არის ამისი მოწამე თავად ღმერთი, კაცთაგან ხიძში[ა]შვილი იესე, ბეჟან ჩემიდე და მე იასეს ნინიაშვილს დამიწერია იანვრის დამდეგს, ქორონი]ქონ]ს უიტ.

მონალ[უთი]სა დავით	(bis) ²
-----------------------	--------------------

334. 1730 წ. მაისის 21. მაულის გირავნობის წიგნი, მიცემული მამუკასა და თამაზას მიერ თავიანთ ბიძაშვილების მურვანისა და სხვათადმი. დედანი. 40×22,5 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. ასო—მეტ-ნაკლები. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. მუზ., № 2775 ხდ.

ქ. ესე წიგნი და პირი მოგეცით მე, შენმა ბიძაშვილმა მამუკამა და ჩემ[მ]ა ძმამ თამაზამა შენ, ჩემს ბიძაშვილს მურვანისა, ძმასა შენსა ბაკას, ლუარ-საბსა და რევაზსა; — ასე რომე მირის თეთრი დამედვა თვრ[ა]მეტი თვემანი. დამიკირეს მუბაზირებმა, ვერსით ილაჯი ვერ [ვ]ენი. ახლა წახვე[ლ], შენც თათრისაგან ასი ხუთათ აიღე და ისე მე მამეც ის თვრ[ა]მეტი თვემანი და დამისენ. მოგეც ამის გირ[ა]ოთ ბიჯნის ორი საკობლო ჩემი წილი და ჩემის ძმებისა. ამას გარდა სურამს თუ არა ჩვენი წილი³ იყო ვაუსყიდ[ვ]ელი, ესე-ეგ[მ]ი სულ შენ და შენს ძმებს მოგეც გირ[ა]ოთ. თუ⁴ ამ ერთს წელიწადს ეს შენი თეთრი რუსეთიდამ ვერ მოგიტანო, ამ გირ[ა]ოებზე ხელი ამილია. მ[ა]ინც გაუყრელი ვიყავით და ყოვლის კაცის უცილებლ[ა]თ მომეცია. თუ ვინმე შემოგეცილოს, პასუხის გამცემი ჩვენ ვიყოთ. არის ამისი მოწმე აბაზაძე რევაზ [], ანჩაფის-შვილი დავით [], მამასახლისი ვარდი[ა]ნ[ა]ს-შვილი ბერი, [].

შალუტ[ა]-შვილი თვედორა, არსენაძე პა[ა]ტა, გიგას-შვილი დარჩია, ჯუვაძე ბეჟუა, ბებიას-შვილი გაბრიელ მლდელი და მე მდივანს შერმაზან[ა]ნს და[ა]მიწერია და მოწ[ა]მეც ვარ ამისი. მ[ა]ისის კა, ქორონი]ქონ]ს უიტ. + + []

ქ. ჩვენ, ბატონიშვილი იულონ ამ წიგნს ვამტკიცებთ აგვისტოს კ, ქორონი]ქონ]ს უევ. []

¹ უკანასკნელი ორი სიტყვა დაწერილია სხვა ხელით: პირველი „ავილე“-ს წინ, მეორე უკან.

² სათაური სხვა ხელით: არაგვის ერისთვიშვილების ბერათი. ერთი კომლი კაცი მოუცია . . . ის.

³ ტექსტში აქ ზედმეტად განმეორებულია სიტყვა: „რამ“.

⁴ ეს სიტყვა განმეორებულია აქვე:

ქ. ჩვენ, მეფის ძე ვახტანგ ვამტკიცებთ აგვისტოს კა, ქ[ორონი]ქ[ონ]ს უდი. []

ქ. ჩვენ, მეფე სრულიად საქართველოსა მეორე ირაქლი ვამტკიცებთ წიგნისა ამას. იანვოის იზ, ქ[ორონი]ქ[ონ]ს უო. []¹

335. 1731 წ. ოქმი დავით მოურავის-შვილისა ბეჟანისადმი. ნაბახტევს ხარაჯის გამომღებთა ნუსხით. დედანი 25,2×9,7 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდებ მზედრული ხელით. განკვე-თილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი „ჩიტი“-სკ-ბრი ნიშნით (:V). თარილი არ უზის: მასში მოხსენებულია მაკმადბეგ, რომელიც გვხვდება 1731 წელს და ეს საბუთიც ამავე დროს უნდა ეკუთვნოდეს—საქ. მუზ. № 2790 hd.

ქ. უნდა გამოილონ ხარაჯა ნაბახტევს:

ქ. შოშიტაშვილმა აბაზი ექვსი.

ქ. ელიოზაშვილმა აბაზი ორი.

ქ. სულხანამ გიგუაშვილმა აბაზი ხუთი.

ქ. ოსიამ აბაზი ექვსი.

ქ. გიგუამ აბაზი სამი.

ქ. ფაფუაკერაშვილის ბიჭებმა აბაზი შვიდი და უზალთუნი.

ქ. მამულაშვილმა აბაზი თორჩეტი.

ქ. მახათაძემ აბაზი ხუთი.

ქ. ხოქმა აბაზი ხუთი.

ქ. ივანაშვილმა აბაზი ექვსი.

ქ. ძამანშვილმა მილანთუნი ექვსი და ათი შაური.

ქ. გონგლაძემ მილანთუნი ორი.

ქ. იორამამ აბაზი ოთხი.

ქ. ნადირამ აბაზი შვიდი.

ქ. გიორგიმ აბაზი შვიდი.

ქ. კაციაშვილმა აბაზი ოთხი. იქნა ჯამი ბა [ე. ი. ორი თუმანი] ცუ [ე. ი. ოთრმეტი აბაზი]. ძმაო ბეჟან, ეს თეთრი ახლავ აიღევი, მამადბეგს უნდა მიე-ბაროს. ამ ათს დღეზე თუ არ გა[ა]ბარე, პასუხი შენ უნდა მისცე. და ყურუშ-ზედ ნახევარი შაური შენი ხისმათი აიღევი.

ქ. ვეფხიაშვილმა გიორგიმ აბაზი შვიდი.

ქ. ყვავილაძემ სეხნიამა და იმის ბიძაშვილმა აბაზი ოვა.

ქ. შინდურიშვილმა როსტომიმ და ესტატემ აბაზი ოვა. კიდევ მისი ჯამი [შე] [ე. ი. ოცდასამი აბაზი] ამ ვადაზე უნდა ეს თეთრი მიაბარო. | მონალ[ე]თისა
მოურავიშ
ვილიდავით

¹ სათაურები: ქ. მამუკას მოსყიდული მამულისა, სასახლისა.

² ამ ასოზე გამოხატულია თუმნის აღსანიშნავად ნახევარი წრე.

336. 1732 წ. იანვრის 20-ს. პირობის წიგნი, მიცემული ერთობით მთის კაცთა მიერ თთან ამილახერის-შვილისადმი. დედანი. 29,2×12 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარის ორ-ორი წერტილი—საჭ. ც.—არქ., ფონდი 226, № 341.

ქ. ესე წიგნი მოგეცით ჩვენ, არაგვის ერისთვის მთის კაცმა ციხიბერის ჟეითმა ციხისთავმა ბერმა, ჩოფიკაშვილმა ყაზიბეგ, ლუდუშაურმა ლომინამ, ავეის ნაცვალმა ალულიმ, ქარჩაიძემ თათარამა, კადის ნაცვალმა ზაზამ, გუდამაყრის ნაცვალმა პაპიმ, ნაღიძაიძემ გივმა, ამირიძე კურტიკმა, ბურდულმა ბეჟან, ნაზლაიძემ ავთანდილ, კელი ერთპირათ მთიჯელთა, მოკევეთა და გუდამაყრელთა, კიდევ ჭართლიანის ნაცვალმა გივმა, კადას ნაცვალმა გამახარემ, პავლეურთ ციხიძირმა, თრუსოელთა, ლუდელთა, რაც კევის სასი ვართ, იმათა ჭორვილე[ლ]თ (?) და ფშოელთა თქვენ, ამილახერის-შვილს ოთარსა და ბარძიმს;—ასე რომ თქვენ ჩვენს ბატონს ერისთავს ბარძიმს ოთხის ქესას თავდები დაუდექით რევაზის ვალზედ და ჩვენ ეს მთის კაცი სულ თქვენი თავდები შავიქენით. ორ თვეში ეს ოთხი ქესა მოგართვათ. ამას გარდა ნუთი ქესა ბარძიმ თავისი გაიღო, რევაზის ვალი რომ ბარძიმს დაწალდეს. გრიმზაშასთან მივიდა და ერისთობაზედ კელი აიღო. ახლა ჩვენ ამისთვის არა ვქენით, რომ ისინი სულ მთის კაცს დატყვევებას უპირებდენ. ეს პირობა დაგვიდებია, რომ ოთხი ქესა ვადაზედ მოგართვათ. დაიწერა იანვრის კ, ქორონიკონის უკ. + + + + + + +

337. 173? წ. აპრილის „დამდევს“, ქმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული პაუზა და ოსმანა გერმანოზის-შვილების მიერ ქაიხოსრო ორბელის შვილისადმი. დედანი. 60,5×25,7 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარის ორ-ორი წერტილი—საჭ. მუხ., № 2449 ჩd.

ქ. . . ესე უკუნისამდე ჭამია გასათავებელი სამქუიდრო ნასყიდობის წიგნი და პირი მოგეცით ჩვენ, გერმანოზიშვილის დათუნას შვილმა პაპუამ და ოსმანამ და მომავალთა სახლისა ჩვენისამან თქვენ, ორბელის-შვილს ბატონს ქაიხოსროს, შვილთა თქუენთა დავითს, რევაზს და ნიკოლაოზს და მომავალთა სახლისა თქუენისათა;—ასე რომე ვალი მემართა ბევრი და ეს ყმები და სხვა მამულიც გირაოდ მქონდა. მოვედით ჩვენის ნება-წალილითა და მოგვიდეთ აბელიას კახიშვილი ზურაბა თავის მამულ-დედულითა, ცერაპეტას-შვილი გიორგა თავის მამულ-დედულითა, სეხნიაშვილი გვარაძე თავის მაძულ-დედულითა, მთითა, ბარითა და ყოვლის თავიანთ ქონებითა, დღეს ჩისაც მქონებელნი არიან. ავილეთ ფასი სრული და უნაკლულო, რითაც ჩვენი გული შეგვერდებოდათ. ზოგი თეთრით ესენი დავიძესქნით და ზოგით სხვა მამულები. არავინ იყოს

ამათი მცილე და მოდავე თქუენი. თუ ვინმე წამოგეტავოსთ, პირისა და პასუხის გამცემი ჩვენ ვიყოთ. არის ამისი მოწამე თავად ლ[მერ]თი, კაცთაგა[ნუ] ყურდიბეგ [.....], ბიძა ჩემი პაატა [პაპუ-ასია], გოსტაშაბის-შვილი ამილ-ლა-ბარ [.....], სამის-შვილი ედიშერ [ედიშერ], აბაშის-შვილი ლევან,¹ ქავთარიშეილი გიორგი¹ ქავთარიშეილი სულხან¹ და მე სიონის დეკანოზის შვილს მიქელს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა ესე სიგელთ ამრილის დამდეგს, ქორონიკონის უკ.

ქ. მე, გუგუნა ნამანგლელავის-შვილი ამისი მოწამე ვარ.

გუგუნა

მონა ლთი
სა გოშტაშ
აბის შვილი
ქაიხოსრო

ქ. მე, გოშტაშაბის-შვილი ქაიხოსრო ამისი მოწამე ვარ.

ქ. მონა ლ[უთ]ის
ა პა[ა]ტა

338. 1732 წ. ნოემბრის 7-ს. ყმების მიძარებისა და პირობის წიგნი, მიცემული იქსე ქორ-დანაშეილის] მიერ თავის ბიძაშვილი ზაალისადმი. პირი. გადწერილი უხენაეს მარ-თვებლობის ბრძანებით XIX საუკ. დასაწყისს მხედრული ხელით—საქ. ც.-არქ., ფ.—, № 1/46.

ესე წიგნი და პირი მოგეც მე, იქსემ შენ, ჩემს ბიძაშვილს ზაალს და ბეჟანს და შეილთა სახლისა თქვენისასა ქაიხოსროესა, როსტომესა და მათ მომავალთა სახლისა თქვენისასა ავთანდილასა, გიორგისა, ფარსადანასა—რი-საც მამულისა და ყმის პატრონი ვიყავ, მე მოვლა და შენახვის ღონე არა მქონდა; რადღან (sic) ჩემი სახლის-კაცი იყენით (sic), შენთვის დამიდებია: შენხე უპრიანია. არას ჩემს ნათესავს შენთან ხელი არა აქვს და, თუ ბოლო[ს]. ლმერთმა მიშველა და შემეძლოს, ჩემი ყმა და მამული ისევ დამანებო. ესეც, რომ რაც მამი-ჩემისთვის უმსახურებიათ, ისე გემსახურნენ. სხვა კირი არა მოუმატოთ. გყვანდესთ და მოგახმაროს ლმერთმა. არის ამისი მოწამე თავათ ლმერთი, კაცთაგან ამისი მოწამე კვესიაშვილი რამაზა+, შაიკაშვილი გიორგი+ და ლომაზა+, ჩილიგდარი დავითა+, სალათელანთ ესტატეშვილი ნარი-მანა+, ლაბარაშვილი დათუა+, ფეიქრის-შვილი გიორგი+ და პირია+

¹ აქ ბეჭდის დასასმელად ცარიელი ადგილია დატოვებული.

² ესა და წინა ბეჭდი ერთი მეორის ადგილასა ზის შეცომით.

³ სათაური სხვა ხელით: ქ. აბელიას კახის-შვილის ნასყიდობის წიგნი. ტაფ.

და თანდილა +, სარუხანა +. მე ალხაზას ამათის მოწმობით დამიწერია და მოწამეულა ვარ ამისი. დაიწერა გიორგობის შვიდ გასულსა +, ქ[ორონი]ქ[ონ]ს უკ. ამ პირობით, რომ რომელნიც ამ წიგნის პასუხზე გარდევილეს, ხელმწიფის ჯარიმის მიმცემი ვიყ[ვ]ნეთ +¹.

339. 1732—1735 წლ. ოქმი გივი ამილახორისა ბერუკა ქართველიშვილისადმი. დედანი. 7,5×10 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო ან ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უზის საბუთო იხსენიებს ვეზირის ბრძანებას გივი ამილახორისადმი. ეს ბრძანება უკვე დაბეჭდილია (საქ. სიძ., III, № 442—419)² და გამომცემლის მიერ დათარილებულია 1732—1735 წლებით (იქვე). ეს საბუთიც ამავე დროს ეკუთვნის—საქ. მუს., № 1006 sd.

ქ. ამირახორის გივის იმედო ქართველიშვილო ბერუკავ! ბედნიერის ვეზირის ბძანება და ბუირუთი არის: სადაც ამ ბეჟანას³ კაცი იყოს აჰყარე და ისევ თავის ალაგზე მოიყვანე და დააყენე. | |

340. 1732—1735 წლ. ოქმი ამირინდო [ამილახორისა] ბერო როსტიას-შვილისადმი. დედანი. 9,5×10,1 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო ან ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უზის: ეკუთვნის 1732—1735 წლებს. საბუთში მოხსენებულ ბეჟან თუმანიშვილსავე ეხება აქ დაბეჭდილი საბუთი (იბ. № 338)—საქ. მუს., № 1007 sd.

ქ. ამირინდოს იმეუო როსტიას-შვილო ბერო, მერმე შენთან⁴ რომ ბეჟან თუმანის-შვილის კაცია, შენთან არის. ან ეს მოვა და ან ამისი კაცი და თავისი ყმა მოეცით. რას წამს ეს წიგნი მოგივიდეს, თავისი ყმა მოეცი, არ დაუკიროს. | ამირ
| ინდო |

¹ მინაწერები: ასლიდამ თანასწორ არს ჩაწერილი. თ. თეიმურაზ ბაგრატოვანი. ასლი სიგელი მივიღე. სოლომონ ყორდანოვი, სიმონ⁵ ყორლანოვი.

² ბეჟანა თუმანიშვილი.

341. 1732—1736 წლ. ახლო. მზითვის წიგნი, მიცემული ალხაზ და ბექან თუმანის. შვილების მიერ თავიანთ სიძე თაყა მანდენას-შვილისაღმი. დედანი. $34,6 \times 16,7$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდებ მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანდ ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უზის: მისი ერთ-ერთი მიმცემთაგანი ბეჭან თუმანიშვილი გვხვდება საბუთებში 1732—1735 და 1736 წლ. (საქ. სიძ., III, №№ 442—419 და 470—443) და ეს საბუთიც ამ წლების ახლო ხანს უნდა ეკუთვნოდეს—საქ. მუზ., № 804 ს. დ.

ქ. . . ესე მზითვის წიგნი დაგიწერეთ ჩვენ, თუმანის-შვილმან ალხაზმან, ჩემან ძმამ ბეჭანაზ თქვენ, ჩვენს მოქალაქეს სიძეს თაყასა, მანდენას-შვილსა ჩემი და დუნიახათუნ მოგათხოვე შენდა მეულლეთა, გამოვარანე ქონება, რაც ჩემის კელიოგან გამოვიდოდა. ჩემი მემკუიდრე ყმის შვილი ხარჯიშის-შვილი გიორგი. ღრთნ ასე გაგითაოსთ ეს ჩემი ყმის შვილი ჩემგან მზითვად გამოტანებული: გინდოდეს გასასყიდათა, გინდოდეს გასამზითვათა, რათაც ფერად შენდა გამოსაღდგათა. არავინ შემოგეცილოს ერთი ღრთის მეტი. ასრე გაგითაოს, როგორაც მრავალს კაცთ ნამზითვი მსახური და მხელებელი გასთავებოდესთ. არ მოგეშალოს ეს ჩემი მზითვის ყმის შვილი ხარჯიშის-შვილი გიორგი. მე თუმანის-შვილს იქსეს დამიწერია ეს წიგნი. []

ქ. ამისი მოწამე მე დავითა სუფრაჩი. []

ქ. მე, აღმურა[ა]ნთ ესტატე ამისი მოწამე ვარ. []

ქ. ამისი მოწამე მე, მდივ[ა]ნი შერმე[ა]ზ[ა]ნ. []

ქ. მე, თამაზ თუმ[ა]ნიშვილი ამისი მოწ[ა]მე ვარ. []

ქ. მე, მემანდარბ[ა]მი მამუკა ამისი მოწამე ვარ. []

ქ. მე, თუმ[ა]ნიშვილი ზაქ[ა]რია ამის მოწამე ვარ. []

342. 1733 წ. ახლო. თავდებობის წიგნი, მიცემული თამაზა შეხმასურიშვილისა და სხვათა მიერ პაატა ჯავახის-შვილისადმი. დედანი. დაზიანებული თავში (მარჯვენა კუთხე ახეულია და დაკარგული). $28,2 \times 13,7$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდებ მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანდ ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უზის: მიმღები ძმები პაატა და ქაიხოსრო ჯავახის-შვილები (უკანასკნელი თავის შვილით ზურაბით) გვხვდება საბუთში 1733 წელს (საქ. სიძ., II, № 20—30)—საქ. მუზ., № 2812 ს. დ.

[ქ. ესე წიგნი მოგეცით ჩვენ, ბეჭანის-შვილის მოყრებმან თამაზმან შეხმასურის-შვილმან, ბერუამა არღაშელაშვილმა, ოთანამა უზნაძემა;—ასრე რომენასყიდათ შემოგაკდა და იმისის შვილების თავდებათ დავდეგით პაპუნასა და ბერისათვინ, სულა ჩუქნი მოყურები; არცა-რა საორგულო რამ ვაინდოს თქუენნი, არც წასელითა, არც ღალატითა და არცარა თქუენი საზიანო რამ ქნას ერდგულად ბატონყმობის მეტი. ამის გასათავებლად და თავდებად მოვიკემია ლმერთი და უოველნი მისნი წმიდანი შეცისანი და ქვეყანისანი კორციელნი და უკორცონი და არცა რა იმისი სისხლი ჩვენ მოვიკითხოთ თქუენ, ჯავახის—

შვილსა პატასა და ქაიხოსროს, შვილთა თქუენთა ზურაბ და ჯავახსა ესე შექ-
ნისამდე გასათავებელად მოგეცით. არის ამისი მოწამე და შუაღამხდომი ფიფი-
ნაი ჩერქეზის-შვილი, გოდერძი ბულუტაური. მე ნიკოლოზს დამიწერია და მო-
წამეცა ვარ. კიდევე იესეს-შვილმა შოშიტამა და უზაძემ ჩააკამა. + + + +

343. 1733 წ თებერვლის 11-ს. ევნაზის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ელიზბარ სოლალას-
შვილის მიერ დათუნა შარგილას-შვილისადმი. დედანი. 33,5×22,2 სმ, დაწერილი თეთრ
ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმა-
რია ორ-ორი ან სამ-სამი. წერტილი—საქ. მუ., № 2807 ჩd.

ქ. ესე წიგნი მოგეც მე, სოლ[ა]ლ[ა]ს-შვილმა ელიზბარ, ჩემა შვილმა
გიორგიმ, მოთის თავდებობით შენ, შარგილ[ა]ს-შვილს დათუნას და თანდილს,
იასეს;—ასე რომე ვენ[ა]ხი მოგყიდე ასურეთის ხევზე, ფასიც გამოვართვი, კულუხზე
ლაპარაკი მოგვიხდა. ქიასთან ვიჩივლეთ. იას[ა]ული მოგვგარე. მას უკან კაცები და-
კისხით. ჩემი გული რითაც შეგჯერდებოდა, გამოგ[ა]რთვი. შენთან ხელი არ[ა]ს
ფერთან ხელი მქონდეს, არც კულუხთან, არც მოხელესთან. არც ჩემი მოხელე არა
შემოვიდეს, მანამდინ მე მექიროს, ხელი არა მქონდეს. რახან წამამერთოს,
შენ იცი. თუ ჩემის ხელით თათარს მოეცე, პასუხი მე გავცე. არის ამისი მო-
წამე თავათ ღმერთი და მემრე მისი წმინდანი, მასუან კაცო[ა]გან: მუბაშირი
სალინა და დამხდომი არის ამისი მოწამე სარუხჩიათ პაპა, ოთის-შვილი ფი-
რ[ა]ლა, ასურელი ჩემი ყმა აკას-შვილი შ[ა]ვერდა, ოთიას-შვილი ზურ[ა]ბა და
პა[ა]ტა, ისე, ბაღრის-შვილი პაპუა. თუ პირზე აგეშალო, ასის ყურუში ჯა-
რიმა ფაშას მიეცეთ ვიყო მე ეღიზბარ. მე ზახას დამიწერია მოწამეც ვა[რ]
დაიწერა თებერვლის ია გასულს, ქორონიქონის უკა. არა მირთან ხელი
არა მქონდეს. მე, ელიზბარს ყაბული მაქს და მე მამეცია. (სიც) ელიზბარ¹.
ქ. მე, იასე ს[ო]ლ[ა]ლ[ა]ს-შვილი ამასი მოწამე იესე²(3).

344. 1733 წ მაისის 21-ს. ქალის გაცემულობის წიგნი, მიცემული ზურაბა დათუაშვილს
მიერ ოსეფა ფასუას-შვილიადმი. დედანი. 28×17,5 სმ. დაწერილი თეთრ ქაღალდზე
მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო
წერტილი—საქ. ც.-არქ., ფონდი 226, № 308.

ქ. . . ესე უკუნისამდე უამთა და ხანთა გასათავებელი წიგნი მოგეც მე-
გარისელმა დათუაშვილმა ზურაბამ და ჩემ[მ]ა რძალმა დარეჯამ შენ, მოქალაქეს

¹ ხვეულად.

² ხვეულად.

³ სათაური სხვა ხელით: შერგილას-შვილის ნასყიდობის წიგნი.

ფასუას-შვილს ოსეთის და შენს ძმას მამაჯანას, შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა; — ასე რომე დიალ გავლარიბდი და შენახვის ლონე არა მქონდა და მოგვეც ჩემი ძმის ქალი ეთერა ამ ჩემი რძლის ნება წადილით, რომ შეინახო და, რაც ხანი გინდოდეს, იმსახურე და ამანაც ერთგულათ გმსახუროს. როცა დროს მოვიზეს, შენის მადლისათვინ და სადლეგარქელოთ გაათხოვე. ამისი ფასი არაფერი ამიღია. მომიცია ამისად თავდებად თავად ლმერთი . . . არავინ იყოს ამისი მოცილე და მოდავე თვინიერ ლვთის მეტი. თუ ვინმე წამოგვდაოს, პასუხის გამცემი მე ვიყო. არიან ამისი მოწამენი სიონის კანდელაკო გრიგოლ¹, ქეთინაშვილი პაპა¹, სარუხჩიანთ პაპა¹, მეზანდუკე ბალდასარა¹, კოტლი მკერველი დავთა¹, მე ანდრიას დამიწერია და მოწამეც ვარ. დაიწერა ეს წიგნი მაისის ოცდაერთს, ქორონი]ქორნეს უკა. +

345. 1733 წ. ივნისის 21-ს. მამულის წყალობის წიგნი, შიცემული ზაზა მოურავის-შვილის მიერ ბაინდურა ქულუაშვილისადმი. დედანი. დაზიანებული (თავი მოხეულია და დაკარგული). 39,5×17 სმ, დაწერილი თეთრ ქალადზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნოშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარისა თითო წერტილი—საქ. მუხ., № 14.264 ხდ.

ქ. ესე წიგნი გიბოძეთ ჩვენ, მოურავის-შვილმა ბატონშა (ზა)ზამ შენ, ჩვენს ყმას ახალქალაქელს ქულუაშვილს ბაინდურასა, ძმასა შენსა ყაზარასა და მანუჩარასა და შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა; — ასე რომე ელიზბარა მამასახლისი და გიორგი ამოსწყდა. იმათი მამული სახლი, კარი და საქონელი ყველა შენ მოგვცით და გიორგის ერთი პატარა შვილი დარჩა, ისიც შენთან დავაყენეთ. შერმე ის ყმაწვილი გიორგის-შვილი ხოჯა შენთან აღარ დადგა. გამეყარა და თავისი მამის მამული და საქონელი ხოჯამ წაიტანა და თავის-თვინ ვავიდა და ელიზბარა მამასახლისის წრლი მამული სახლკარი, ქვევრი, მარანი, წყალი. წისქვილი, ვენახი, სახნავი და სათესი და საქონელი იმისი წილი ყოველივე სამართლიანის საქმით ოქვენთვინ წყალობა გვიქნია ყოველის კაცის მოუდევრად. ეს ჩვენი ნაწყალობევი არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა ჩვენთა სახლის კაცთაგან არცა დიდთა და არცა მცირეთაგან. ვინც ამ ჩვენს ნაბოძებს მამულს შემოგვეცილოს, პასუხის გამცემი ჩვენ ვიყვნეთ . . . არიან ამისნი მოწამენი და შუადამხდურნი ჩვენი ბიძაშვილი ბატონი იორამ¹, ბატონი დავით¹, რევაზ¹, დეკანოზი პავლე¹, დავით¹, ჯორაშვილი სენია¹, ცალქაჭამინძე იესე¹, თუხარელი გიორგი¹, პაპუა გურამისშვილი¹, ნაზარაშვილი ბერა¹,

¹ აუ ბჟედის დასასმელად ცარიფლი ადგილია დატოვებული.

ქულუაშვილი ბეჭან¹, თიკანაშვილი ოქანა² ჟ ტერტერა ტერსრაპიონ³, და სულ
სამოურავის-შვილო მსახურ-აზნაურშვილი და მე მგალობელს ნიკოლოზს დამი-
წერია და მოწამეცა ვარ, თიბათვის კა, ქორონი]ქონ]ს უკა. ზაზა . . . თარ-
ხანი ბატონი ლუარსაბ ვამტკიცებ².

346. 1734 წ. აპრილის „დამდევს“. ნასყიდობის წიგნი, მიცემული ოსიყმიანთ ოსიყმეს მიერ
გოდაკანთ გრიქოლასა და დავითასადმი. საბუგი სინინის ეკლესისა № 130. დედანი
61,2×22,2 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხდრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად
ყოველი სიტყვის შემდევ ნახვარია ორ-ორი წერტილი—საქ. ც-არქ., ფონდი—, № 1426.

ქ . . . ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგეც მე, ნიჩ-
შისელმა ოსიყმიანთ ბურო აპრამაშვილმა ოსიყმებ შენ, გოდაკანთ ოქანას-
შვილს გრიქოლას და დავითას;—ასე რომე ურუმისაგან დატყუე[ე]ბული ვიყავ
და გასასყიდლად დავყუუნდი და არავინ დამიესნა. არსად მეონდა ლონე და
ძლავი, ავდეგ ჩემის ნება-წალილითა და შემოგეხვეწე და მოგყიდე ჩემი თავი.
დატყუე[ე]ბული ურუმისაგან დამიესნ, ავიღე ფასი სრული, რითაც ჩემი გული
შეგჯერდა. არ დარჩა რა ჩემი. შენზედა არცარა იოტის ფასი გყუანდე და გი-
ბეგნიეროს ღმერთმან ჩემი თავი, როგორითაც სხვეს ალალს მონასყიდეს ჰყო-
ლოდეს და მოექმარებინოს. არავინ იყოს მცილე და მოდავე თვინიერ ლვთის
მეტი არა ჩემი მონათებავე, არა ბატონი და არა ყმა. ღლეს იქით თქუენთან
კელი არგვს ჰქონდეს ჩემზე. თუ ვინმე წამოგედაოს, პირისა და პასუხის გამ-
ცემი მე ვიყო. არიან ამისი დამზღვურნი და მოწამენი თავად ღმერთი, კაცთა-
გან ვანქის ვართაპეტა შერგილაანთი [], ვანქის ტერსარქისა [], ვან-
ქის ტეროსეპანაშვილი აფრიამა +, ვანქის ტერგრიქოლაშვილი ტერყაზარა
[], ზაჰენანთ მამასახლისის ფარსადანას შვილი მოსესა [], მიქუაანთ
ვიორგის-შვილი პაპა +, აფრიამას-შვილი მეწვრიმალე სააკა +, მეწვრიმალე
გასპარაშვილი ავეტიქა +, ოთიანთ გიორგის-შვილი დავით [], გელა-
ლავანთ ავთანდილაშვილი ოსეფა +. დაწერია სიგელი ესე კელითა ანჩისხა-
რის დეკანოზის ალექსისათა თუესა აპრილს დამდევს, ქორონი]ქონ]ს უკა.

ქ. ამისი მოწამე ჩევნ, სარდლის-შვილი ქ[ა]იხოსრო [], ჩემი ძმა
ფარსადან მოწამეც ვართ ამის[ი] და ყაბულიც გვაძეს ამისი და არას ჩემის
ჭახლის კაცს შენთან ხელი არა ქონდეს ამაში. [].

ქ. ამისი მოწამე მე მელიქი ზურაბ.

მელიქ მამასახლისი
ზურაბ 1734

¹ აქ ბეჭდის დასასმელად ცარიელი ადგილია დატოვებული.

² სათაური სხვა ხელით: ჩემის გლეხის ახალქალაქელი ქულუაშვილის საფული.

³ სათაური: ჩემ. ქ. ოსიყმეს ნასყიდობის სიგ[ვლი].

347. 1734 წ. ივნისის 10-ს. გადაწყვეტილობის წიგნი, მიცემული ამირან ბურდიას-შვილის მიერ ოთარ ციცის-შვილისა და სწერ. დედანი. 33,2×13 სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო ან ორ-ორი წერტილი—საქ. მუხ., № 152 Qd.

ქ. ესე წიგნი მოგეც მე, ბურდია[ა]ს-შვილმა ამ[ი]რან თქვენ[ი], ციცის-შვილს ოთარს[ა] და მუჩ[აი]ძეს ბა[ი]კასა, ამბა[ი]რდან[ი]ს-შვილს როსტოქს;— ასე რომე ჩემი და ბულუტ[ა]ურის არღაშელის ცოლი გაგეუიდნ[ა]თ. ჩემის სი-ტყვა ერ[ი]გა იმ საქმეში, მო[ო]ვ[ე]ლ, გელ[ა]პ[ა]რ[ა]კე სიხლთში (?) ჩაგაგდევ. მოხ[ვ]ედით, რ[ა]ც იმ ჩემს დაში აგელოთ, თამამ[ა]თ მამაბარეთ. თქვენ[ი]ნზე არ[ა] დარჩომილ[ა]-რა არც ერთის ფ[ა]რისა იმ[ი]ს[ა] თქვენზე და სულ მე მამეცით, რაც აგელოთ, გარდამიწყვ[ი]ტეთ. თქვენ[ი]ნზე არ[ა]ფერი ამ[ი]სი დავა დალ[ა]ბა არ[ა] დარჩომილ[ა]-რა თქვენ[ი]ნთ[ა]ნ. თუ ამაში ამ ჩემის დის საქმეში გელა[ო]ს ვინმე, ან მე გედაო, ან სხვ[ა] ვინმე ჩემი ნ[ა]თეს[ა]ვი ან ს[ა]ხლის კაცი წამოგედაოს ვინმე, პირ[ი]სა და პ[ა]სუხის გამცემი მე ვრცო. რა კაცი ამა ჩემის დის საქ-მეზ[ე] გედაოს ვინმე, მე გადავსწყვიტო. თუ ან მე გედაო ან სხვა ვინმე, ბედ-ნიერის ვე[ე]ზირ[ი]ს შემცოდე ვიყო. სადი[ა]ზეგონსა და საიასაულოს გამლები მ[ე] ვიყო. თუ ამაში მე გედაო ან სხვა ჩემი ნ[ა]თეს[ა]ვი, ორ[ა]სის ყურ[უ]შიში (sic) ბედნიერ[ი]ს ვე[ე]ზირის მოთბალში ჯარიმა მ[ი]ვცე. არის ამისი მოწამე შუბ[ა]ში მამუდა, თუმან[ი]ს-შვილი ასანა¹, თივთიქ[ი]ს-შვილი ბექირა, მებაჟე მამალა, მუჩ[ა]იძე ბერი, ფურცელ[ა]ძე დ[ა]თუნ[ა], ბულ[უ]ტ[ა]ური ლომი. მე ფ[ა]რს[ა]დანს დამიწერია და მოწამეც ვ[ა]რ ამისი. დაიწერა თიბათვის ათს გასულს, ქ[ორონი]ქ[ონ]ს უკბ. +²

348. 1734 წ. სექტემბრის 25-ს. შვილის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ლთისია ვედლის-შვილის მიერ ნიკოლოზ ურბნელისადმი. დედანი. დახეული. 27×21,5 სმ. დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ. ნახმარია სამ-სამი წერტილი—საქ. მუხ., № 10—391 lid.

ქ. წებითა (და) შეწევნ[ითა] ლ[ვ]თითა მამისა ძისა და სულის წმინდისათა ესე უკნისამდინ განსათვებელი მეტყიცე და უცვალებელი ნასყიდობის წიგნი მოგართვი მე, ერთაშმინდელმა ჭედლის-შვილმა ლთისიამ თქვენ, ბატონს ურბ-ნელსა ნიკოლოზსა;—ასე რომ ერთი პატარა შვილი მყვანდა დემეტრე, კალა-ტოზის-შვილსა მიგაბარე დიაკნათ. ერთი ორი წელიწადი ყვანდა, მოუძრულდა. დიაკვნებს შენდობა მისცა, რომ თავი ხელთ აღარა ქონდა. მოველ და შემო-გეხვეწე. დიალ იყო დრო და გაჭირვებული საქმე იყო ყველგნით, მაგრამ შემი-

¹ სწერია: მასნა.

² სათაური სხვა ხელით: ბურდიას-შვილის.

ბრალე და ოქვენ მოგართვით ეს ჩემი შეილი ბართლომე. მე ცუდათ მოგართვი, მაგრამ თქვენ უფასოთ არ ინდომეთ. მაგრამ ვერსად წავიყვანდი, ფასი ავიღე, რითაც ჩემი გული შეგვერდებოდეს. გრივანტეს და გიბედნიეროს უფერება ლმერთმა, რაგვარათაც სხვა მონასყიდეს მოხმარებოდეს. არის ამისი მოწამე ჯერ ღმერთი, კაცოაგან ურბნისელი კანდელაკი ათანასე, დეკანოზი მოსე, კაკა-შეილი გიორგი, ბარნაბე ნახუცარი, ფანიაშვილი ტარიელ, თრიელელი დიაკონი თამაზა. ვინცა და რამაც კაცმა ეს ჩვენი^[1] გამოცემული წიგნი მოგიშალოს, მასცა რისხავს მამა[2], ძე და სული წმინდა. მე თითონ მოქალაქე გაბრიელ ამისი დამწრე და ამ წიგნის დამწერი ვარ. დაიწერა ესე. წიგნი ენკენისთვის კე-გასულს, ქ[ორონი]ქ[ონ]ს უკბ. +

ქ. ჩვენ, თარხნის-შვილმა დავით ამისი დასტური მიგვიცია. რ[ა]ხ[ა]ნ^[2]
თ[ა]ვის მამას[ა]ც მ[იუ]ცი[ი]ა, ჩემ[მა] ძმამ როსტომ[შ]ა და უ[შ]თერმ[ა]ც ყაბული
ქნეს. ამასთანა ჩვენ ხელი არა გვაქვს. + +¹

349. 1735 წ. აპრილის 19-ს. შეილის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ტეკურიანთ. ფოცხვერას ჯალაბი დარეჯანის მიერ ქალაქის მელიქ-მამასახლის ზურაბისადმი. პირი, გადაწერილი უზენაეს მართებლობის ბრძანებით XIX საუკ. დასაწყისს მხედრული წელით—საქ. ც.-არქ., ფ.—, № 2v/71.

ნებითა და შეწევნითა ლ[უ]თისათა, ესე ნასყიდობის წიგნი მოგართვი მე, დილმელმა ტეკურიანთ ფოცხვერას^[3] ჯალაბმა დარეჯან თქვენ, ქალაქის მელიქ-მამასახლის ზურაბს, შეილთა თქვენთა ავთანდილას, დავითს, ამირას და ნაზარას და მომავალთა სახლისა თქვენისათა;—ასე რომე ჩემი შეილი შავერდა დამიტყველდა და სხვა ლონე და სახსარი არა მქონდა, მოველ ჩემის ნება-წადილითა და მოგყიდე ჩემი შეილი შავერდა და ავიღე ფასი სრული, რითაც ჩემი გული შეგვერდათ. არა დარჩა რა ჩემი თქვენზედა არც ერთი იოტა. გყვანდეს და გიბედნიეროს ლ[მერ]თმაქ, როგორათაც სხვას ალალს მონასყიდეს ჰყოლო-დეს და მოხმარებინოს. არავინ იყოს მოცილე და მოდავე თქვენი თვინიერ ლ[უ]თის მეტი. თუ ვინმე წამოგედაოს, პირისა და პასუხის გამცემი ჩვენ ვიყვნეთ. არიან ამისი დამსუდურნი და მოწამენი თავად ლ[მერ]თი, კაცოაგან ციცის-შეილი მანუჩარ , მდივანი სულხან ², მდივანი ყარან

¹ სათაური სხვა წელით: ქ. ურბნელის ხელით.

² დედნის ბეჭედთა ნაცელად აქ ადგილებია მოხაზული.

, ჩითახაშვილი თაყა , შერგილი [a]ნთ არაქელა

, ტატუანთ თაყინა , ბეზატაანთ გიორგი +; და-

წერა სიგელი ესე კელითა სიონის დეკანოზის გაბრიელისათა აპრილის ით,
ქორონი[ქონ]ის უგ +.

350. 1735 (?) წ. აპრილის 20. სისხლის პანაზლურების წიგნი, მიცემული გიორგი ფალა-
ვანდის-შვილის მიერ დემეტრე ჭალალაძისადმი. დედანი. 23,2×10,5 სმ, დაწერილი
თეთრ ქალალდე მხედრული ხელით. ასო—მეტ-ნაკლები. განკვეთილობის ნიშნად ყოველი
სიტყვის შემდეგ ნახმარია ორა-ორი წერტილი. თარიღდ აქვს 1735 (?) წ.—საქ. მუჭ.
№ 1937 Ad.

ქ. უნდა მოგცე შე; გიორგიმ ფალავანდის-შვილმა თქვენ, დემეტრე სიაქლო-
ხუც[ი]ს შვილს ათი თუმანი თეთრი:— ასე რომ ერთი თქვენი კაცი ჩემს ხაბაჭ-
სა და ნაგლიძის ყმა[ს] ქაქონია[ს]-შვილს კაციას შემოკლომოდა. ათი თუმანი
თეთრი თან[ა] ქონოდა. ის ათი თუმანიც მოგცე და ჩემი ხაბაზიც ქაქონაშვილ-
ზედაც ხელი ამილია, ისე ჩასისხლ[ა]თ მომიცია, გინდა მოკალი, გინდა გაყიდე,
ხელი არა მ[ა]ქეცს, ცოლით შვილით ლრთნ გიალნოს. ეს თეთრი ამ თევს გ[ა]ქურ-
ჯელათ მოგართვა: თუ ვადაზედ ვასცილდეს, თუმნის დაეს ათი შაური სიარ-
გებ[ე]ლი მოგცე. არის ამისი მოწა[მ]ე ავალის-შვილი ქა[ი]ხოსრო, შიომ ხოსიას-
შვილი, სვიმონ ტატის (?)-შვილი. დაიწერა აპრილის ოცს გასულს. ერთი
შენი ქ[ა]თიბი, ერთი ხმ[ა]ლი, ერთი ჩოხა, ერთი ქუდი, ერთი საპირი[ი]ს წ[ა]მ-
ლე, ესე[ე]ბიც მოგ[ა]რთვი + []. ქორონი[ქონ]ის უკვ².
ჩენ ავალის-შვილი ქაიხოსრო ამის გამრიგე და მოწამე ვართ. [].

351. 1735 წ. მარტის 2-ს. ბატონყმობის წიგნი. მიცემული ბერია ხუცის-შვილის მიერ და-
ვით თარხნის-შვილისადმი. დედანი. 19×10,7 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდე მხედრუ-
ლი ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი
წერტილი — საქ. მუჭ., № 2684 1id.

ქ. ესე წიგნი მოგართვი მე, ხუცის-შვილმა ბერიამა შენ, ბატონს თარხნის-
შვილს დავითს;— ასე რომე ყმათ მოგვსვლივარ ცოლით, შვილით. შენთან ლუთის

¹ მინაწერი: ასლთან სწორე არის. სოვეტნიკი თ[ი] დიმიტრი თარხანვერ.

² რიცხვი გადასულია. ძნელად იკითხება.

შეტას ხელი არ[ა]ვისა ქონდეს, სიკვდილამდინ შენი მოცილე არავინ იყოს; თუ ვინმე წამოგედაოს, პასუხი მე გავცე. სამსახური ჩემზე კიდია და მოვლა შენ იცი, როგორც მამივლი. არის ამისი მოწმე თვით ღმერთი, მერე მისი წმინდანი. კაცთა[გან] ნასხი[და], დეკანოზი პაპუა, სვიმონ თარხნის-შვილი, ჯლაგვია¹ პა[ა]ტა. მე აქელას-შვილს ბაინდურიას დამიწერია და მოწამეცა ვ[ა]რ ამისი. დაიწერა ესე წიგნი მაისის ბ, ქორონიკონის უკგ. +

352. 1735 წ. მაისის 25-ს. ნასყიდობის წიგნი, მიცემული ბერი გივიშვილის მიერ გივი ამილახორისადმი. დედანი. 44×28,2 სმ, დაწერილი თეთრ ქადალდეჟ მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო ან ორ-ორი წერტილი—საქ. მუხ., № 2135 ბ ჩდ.

ქ. ნებითა და შეწევნითა ლვთისათა, ესე უკუნისამდე უამთა და ხანთა გასათავებელი ყოველის ილეთისაგან გამოსული მტკიცე და უცვალებელი ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგაროვით ჩენ, გივიშვილმა ბერმა ოქვენ, ბატონს ამილახორს გივა;—ასე რომე ლეკებისაგან დავტუვევდი, წამისუვანეს, გალმა მურში ტყვეთ ვიყავი და ოქვენ ჩემში კუპრაშვილის დავითის ხუთი თუმანი თეთრი მიეცით და იმისგან დამიხსენით. თქვენს მეტს კარს, არც მამას, არც ბიძას ჩემში არა გაულია-რა, მარტო თქვენ მიყიდეთ და მომისყვანეთ. ამას გარდა კიდევ ჩემი ძმა იყო. დატყვევებული. მამაჩემმა ის დაიხსნა და კახეთს სეფაშვილის ბერისაგან ვალი აელო. მოვიდა ის სეფაშვილი, წამო-მედევა, თხოვნა დამიწყო. მამაც მკვდარი მყვანდა, მიცემა ვერ შევიძლევ და კიდევ მეორეთ იმ კაცისაგან დამიხსენით და თამასუქი გამომირთვით. თქვენს მეტს ჩემთან არას კაცს კელი არა აქვს. ორჯერ თქვენგან ნასყიდი და დახსნილი ვარ. ჩემში გასასყიდათ გასაზითვათ ყველად კელგეწიფოსთ. თუ ავად ვიმსახურო და სიკუთილამდი მოგშორდე, რაც გეპრიანებათ ის გარდამაკლევინეო. არის ამისი მოწმე ამირინდო [ამირი ნდო] და იასე, ბიძა ჩემი წინამძღვანელობა² +

რი მელიქიზედეკ და ბიძა ჩემი ბაადურ, სალთხუცესი ქარუმ +, ქარუმიძე თამაზა, ჩიკოტიძე ამირან, ტარშიაჭაშვილი ლუარსაბ +, თუმანიშვილი, ბირთველ, ქსნის-ერისთვის სალთხუცესი როინ. დაიწერა მაისის კე, ქორონიკონის უკგ. +

¹ უკანასკნელი სიტყვა ტექსტში სწორია: ჯალაგავია.

² სათაური სხვა ხელით: ქ. გივის-შვილის ბერის ნასყიდობისა. შაჰქულიზანისაგან.

353. 1735 წ. ივნისის 29-ს. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული დათუნა ლოცვილაშვილის მიერ დავით მოურავის-შვილისადმი. დედანი. 27×14,3 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი—საქ. მუხ., № 14.359 ჩd.

ქ . . . ესე ნასყიდობის წიგნი დაგიწერეთ და მოგართვი მე, ლოცვილა-შვილმა დათუნამა და რამაზამა, შვილთა და მომავალთა. სახლისა ჩვენისათა თქვენ, მოურავის-შვილს ბატონს დავითს, შვილსა თქვენსა ზაზასა, შვილსა და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთა; — ასე და ამა პირსა ზედა, რომე დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენი ძმისწული თევდორა ყოვლის კაცის მოუსარჩ-ლელად და მოუდევრად, ვერავინ შემოგეცილოს ვერც ჩვენი ბატონი და ვერც სხვა და ვერც ეს წაგივიდეს სადმე და ერთგულად გეხსახურნენ. ვინც ამ ჩვენ-გან მოსყიდულს კაცს წამოგედეოს, პირისა და პასუხის გამცემი ჩვენ ვიყოთ. ქონდეს და გიბედნიეროს ღ[მერ]თ[მა]ნ, ვითაც სხვას მრავალს ალალს მონასყიდეს მოხმარებოდეს. არის ამისი მოწამე ბატონი ზურაბ +, თათარი [.], თურ-
თახნისშვ-
ლი ოთარ

ქისტანის-შვილი უზბაში ქაიხოსრო +, გაბაშვილი ასლამაზ, მოქალაქე ყალჯა-
შვილი პაპა [.], დეკანზი პავლე [.], ჯანდიერის-შვილი მამუ-
კა +, ჯორაშვილი პატა¹, ურემას-შვილი დათუნა¹, ცალქალამნიძე ფირან¹,
ბექან¹, ტერ-ავეტიქ, ნაზარაშვილი ბეჟანა¹, როსტევანაშვილი როსტომ და
მე მგალობელს ნიკოლოზს დამიწერია და მოწამეცა ვარ [.]. დაწერა-
ივნისის კთ, ქ[ორონი]კ[ონ]ს უკგ. ასე საქმე გვიჭირდა, თათარს ვაძლევდით
და თქვენის მადლისათვის თქვენ დაიხსენით. + +

ამისი მოწამე უზბაში იმამერდი-ბეგ.

მამად-უსეინ, (თურქული წარწერა). [] (თურქული წარწერა). []²

354. 1735 წ. ოქტომბრის „გასულს“. ხელწერილი, მიცემული ზურაბ აბაზაძის მიერ მურ-
ვანისადმი. დედანი. 13,2×9,4 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით.
ასო-ნაკლები. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი
წერტილი—საქ. მუხ., № 8011 ჩd.

ქ. მამებარა მე, ზურაბ აბაზაძეს შენ, მურვანისგან ჩემი ორი გოგო, გო-
რაოს თეთრში რომ ვაძლევდი. არის ამისი მოწამე ლომინაშვილი ბექში, მეგლა-
შვილი შიო. მე ბექ[ა]ნ ანჩაბიშვილს დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. დაი-
წერა ღვინობისთვეს გასულს, ქ[ორონი]კ[ონ]ს უკგ. +

¹ აქ ბეკდის დასასმელად ცარიელი ადგილია დატოვებული.

² სათაური: დავითს კაცი უყიდნია |ქორონი]კ[ონ]ს უკგ.

355. 1735 წ. აზატობის წიგნი, მიცემული გარსევან და სხვა მიწობლიძეების მიერ სიხა-რული და სხვა გუბადაშვილებისადმი. დედანი (?). 33,3×15,3 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. ტექსტში არის შესწორებები, შეტანილი იმავე ხელით და იმავე მელნით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო ან ორ-ორი წერტილი—საქ. ც.-არქ., ფონდი 226, № 5264.

ქ . . . ეს აზატობისა და სითარხნის წიგნი მოგეცით ჩვენ, მიწობლიძემ გარსევან, ბერმა, ნიკოლოზ, დავით და ზურაბ, გივმა და იოთამ. ასე, რომე ჩვენს თან-გარდაყოლილსა და მოსამსახურსა და თან-ერდგულს გუბადაშვილს სიხარულს, რამაზას, დათუნას, გიორგის და სახლისა თქვენისა მომზალთა მოგეცით ეს აზატობის წიგნი ჩვენს ქარგად სამსახურში და თან ერთგულობაში;— ასე და ამა პირსა ზედა, რომე ჩვენი მაამებელნი იყავით და ჩვენ ეს წყალობა გიყავით: ჩვენგან თქვენ და სახლისა თქვენისა მომვალთა არა გეთხოვებოდეს-რა, შენის სახლის ქაცის გუბადას მამულის წყალობა გვიქნია, შენს სამსახურსა და სიამოვნეშია ჩვენგან შენ არა გეთხოვებოდეს რა, არც კოდის-პური, არც კალოს ლეწვა, არც მუჯირობა¹ და არც კულუხი საქორწილოს მსახურობისა და საახლაიოს (?) მეტი ჩვენგან შენ არა გეთხოვებოდეს რა . . . არის ამისი მოწამე ჯურ ლმერთი და მერმე სვეტის-ცხოველი, ჩიხაშვილი ბერუა, ქრისტესია ხუცესი, მჭედელი ჩახიძე (?), გიორგი იშნიაშვილი. დაიწერა ქორონიკონის უკგ (?).

356. 1735 წ. პირის სანახავად ყმის მირთმევის წიგნი, მიცემული ივანე ერისთვის-შვილის მიერ მერაბ შილახორისადმი. პირი. გადაწერილი უზენაეს მართვებობის ბრძანებით. XIX საუკ. დასაწყისს. მხედრული ხელით.—საქ. ც.-არქ., ფ., —, № 53/28.

ჩვენ², ერისთვის-შვილმა ივანემ მოგეცით ეს წიგნი შენ³, ბატონს⁴ მილახორს მერაბს;— ასე რომ ბატონმა ჩემმან სიძემ ალიხა]ნმა ჩემს დას პირი(ს) სქინი]ა]ხი]ა]ვად მოგართვა და წამოსვლის დროს ბატონი მაა ჩემი აქ არა ბძანდებოდა და შენც დიალ გულით მოინდომე და მოგეცით ჩვენი ყმა ბენტე-რის-შვილი გიორგი მეჭურჭლე ცხაქოტელი. ქორონიკონის უკპ.

[ადგილი
ბეჭდისა]

¹ აქ ზედმეტად სწერია: და არც კოდის პური; მისი უკანასკნელი ორი სიტყვა მელნით. შაშლილა, პირველი ორი კი დატოვებულია.

² სწერია: ჩვენი.

³ სწერია: შენი.

⁴ სწერია: ბატონის;

⁵ შინაწერები: ასლთან სწორე არს. სოვეტიკი თუ თარხანოვი:
ასლი წერტილი მივიღე. თუდი დიმიტრი თარხანოვი.

357. 1735—1738 წლ. არზა, მიცემული დაგითა და ბეჟან ლილოელების მიერ ვექილის ალიყულიბეგისადმი, უკანასკნელის ოქმით. საბუთი სიონის ეკლესიისა, № 182. დედანი. დაზიანებული (ერთი ადგილი ამოგლეჯილია). 21,2×16,2 სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია ორ-ორი ჭერტილი. თარიღი არ უზის: ალიყულიბეგ ვექილი (ამირეჯიბი) გვხვდება 1735—1738 წლებში.—საქ. ც.-არქ., ფ.—, № 1478.

ქ. ლმერით[მან] ბეჟნიერის ვექილის ქირი მათს ფერთა მტვერს თბილელის ლილოელებს დავითასა და ბეჟანას მოსცეს! მერმე ეს მოვახსენოთ, ჩვენი მირი თბილელს მოურთმევია და რაც ჩვენი გამოსალები ყოფილა, თბილელისათვინ მიგვიცია. ახლა ქალაქის მალში და სატარულოში დაუწერივართ. მოკითხული ქენით, თუ რასაც დროს ჩვენ ქალაქის დავთარზე ეყოფილებულეთ ან მალითა ან სხვის გამოსალებით. ჩვენ ჩვენის სოფლისა მირიც მიგვიცია და სუსატიცა (sic). ლმერითი გაგიმარჯვებსთ, ორსავ ადგილს გაღება არ შეგვიძლია. ჩვენის სოფლის გამოსალებს დაგვაჭვირეთ. ჩვენ ქალაქის მოყალწენი არა ვყოფილვართ, თუ-არა, ბძანება თქვენი გათავლეს.

¹ქ. ბატონო მელიქო და ქეთხულებო! ეს კაცნი ლილოელნი არიან, ქალაქში მალი და ხარჯი უძლევიათ თუ არა, ამისი ალიღათი მომწერეთ.

²კერვ[ა]ლი დავითა და მკრის (?) შვილი ბეჟანა ლილოელნი არიან, ლილოს ხ[ა]რჯ[შ]ი არიან, ქალ[ა]ქში არ გაშოგვი[ი]რთომს.

³ქ. ვექილის ალიყულიბეგის ლ[უ]თის წყალობავ ძმაო ბატონო მელიქო ალავ! რათვან არ ულიათ ამათ ქალაქზედ ნურც მალს გამუართმევენ, ნურც ხარჯს, ნურც სატარულოს. ლილოზედ გამოილონ.



358. 1735—1742 წლ. ოქმი გივი ამილახვარისა იასაულისადმი. დედანი. 11,2×14,2 სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო ან ორ-ორი ჭერტილი. თარიღი არ უზის: ეკუთვნის ქართლში ხანების ბატონობის დროს და გივის აჯანებამდის ე. ი. 1735—1742 წლებს—
საქ. ც.-არქ., ფ.—, № 769.

ქ. ამილახვარის გივის იმედო იასაულო! ურბნელმა გუჯრები მოიტანა ხემწითელისა. ხანის-შვილი გიორგი მონასტრის შეწირული ყოფილიყო; ხან-

¹ სხვა ხელით: ეს პირველი ოქმია ალიყულიბეგისა, უბეჭდო.

² სხვა ხელით: ეს პასუხია მელიქისა, ესეც უბეჭდო.

³ პირველივე, ე. ი. ალიყულიბეგის პირველი ოქმის, ხელით: ეს მეორე ოქმია ალიყულიბეგისა და ბეჟედიც უზის.

მაც წიგნი მოსკა. მიდი, ხელი ამართე, ურბნელს ემსახურეოს (sic). სხვას
კაცს] ხელი ნუ აქვს. [. . .]¹

359. 1735—1744 წლ. ბრძანების წიგნი, მიწერილი . . . ისაყ-ბეგ ბატონიშვილისადმი.
დედანი. $15,7 \times 11,8$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილო-
ბის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. თარიღი არ უზის:
ეკუთვნის ქართლში ხანების ბატონობის დროს, 1735—1744 წლებს—საქ მუხ., № 2683
hd.

ისაყ ბეგ

ქ. ხან ყული სულთანი მოგახსენებ ბატონო ბატონის-შვილო ისაყ-ბეგ,
მრავალი მოკითხვა მოგვიხსენებია! მერმე ჩვენი ტყვე გამოგვეპარა, დავითის
სოფელში არის და ეს გამოგზავნის და თქვენ ნუ დაუშლით. ხანის ბძანება
არის.



360. 1735—1744 წლ. არზა, მიცემული გორჯასასი მდივნის [თუმანიშვილის] მიერ . . .
. ხანისადმი უკანასკნელის ოქმით და მიშქარბაში გივის პასუხით
დედანი. დაზიანებული (მრაცხნა გვერდი მოცილებულა). $21,3 \times 17,3$ სმ, დაწერილი
თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ
ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უზის: ეკუთვნის ქართლში ხანების ბატონო-
ბის დროს, სახელდობრ—1735—1744 წლებს, ამავე საბუთისა არსებობს პირიც, გადა-
ღებული უზენაეს მართებლობის ბრძანებით XIX ს-ის დასაწყისს (ც.-არქ., ფ.—
№ 3/30); დედნის დაზიანებული ადგილები აღდგენილა პირით—საქ. ც.-არქ., ფ—
№ 3514.

ქ. ღ[მერ]თ[მ]ან ბედნიარის ხანის ჭირი და სატკივარი მათს ბანდის
გორჯასპი მდივანს მოსცეს. მე ამას მოვახსენებ. ატენის ბოლოს ერთი ხარა-
[ბა] სოფელი მაქვს. ამ სოფელისა ორი ტიტველი რწავა/თი დარჩმილა ამ ტა-
ნის პირისა. წედისის რაი[ათ]ი ამ საბრალო გლეხებს წამოსჭიდებიან: ხარჯში
ჩვენ უნდა მოგვიდგეთო. აყრილან და დაქარგულან. ჩემი ყმა არის და ხარჯ-
ზედაც ჩემზედ ყოფილ[ა] ხოლმე. რასაც სახელმწიფოს გამოსალებს დამაწერენ,
(ჩ)ემშის ყმით დამაწერენ ხოლმე. ჩემი ყმა რომ ხარჯში წელის მიუდგეს, მე

¹ სათაურები სხვადასხვა ხელით: ქ. ხანის-შვილის წიგნი. ქ. ხანის-შვილის. ამილახვა-
რის ოქმი.

რალა უნდა ვქნა? თუ ყმობიდამ [არ] წამართმევთ, ხარჯზედაც მე მიღვია და თუ ყმობიდამ წამართმევთ საბ იხტიარი¹ ბძანდებით. ერთის რაყმის წყალობა მიყავით, ჩემს გლეხებს უბრალოთ ნუ რჯიან და მე აქ გახლავარ და წედე-ლებს თუ რამ სიტყვა აქვსთ, მოგახსენონ.

(აქ მისდევს საარსული ტექსტი).

ქ. ჩვენ, მიშკარ-ბაშმა გივი, ამისი ანბავი ხანს ეკითხა, ასე ვიცით: ზემო-კართლში სოფლები ქათალიკოზს, ციცის-შვილს, თარხანს აქვს. არც ისინი ერევიან ზემოქართლის სათხოვარში. არც იმათ უნდა გარიონ ეს სოფერელი საციციანოში². იქაურს კაცს სოფელს თუ ესენი გარევენ, ისინიც ვარევენ.

წუთისოფლის
დანგი ვიყავ

•
•

361. 1736 წ. იანვრის 28-ს. თავდახსნილობის წიგნი, მიცემული იასე სოლალაშეილის მიერ ოქრუა ამილბარას-შვილისადმი. საბუთი სიონის ეკლესიისა, № 135. დედანი. 29,4×23 სმ,
დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტ-
ყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. მუზ., № 14.277 ნი.

ქ. . . ეს თავდახსნისა და აზატულობის წიგნი მოგეც მე, სოლალა-
შვილმა ბატონმა შენმა იასემა, შვილმა ჩემ[ჩ]ა იოვანემა შენ, მონასტრელს
ჩემს ყმას ამილბარას-შვილს ოქრუასა, ძმასა შენსა ოთარასა: ჩემს მამულიდამ
ხელი იგალებინე ნია[ს]ყიდ[ი]ქმაცა, უსყიდიდამაცა. მამულს გარდა თავიც და-
გასანევინე. მე შენთან ხელი აღარა მქონდეს. შენთანა არც ჩემს შვილს ჰქონ-
დეს ხელი, არც ჩემს ნათესავს. თავი დაგახსნევინე. საც[ა] გინდა, იქ
წალი და საც[ა] გერჩომლებოდეს, იქ დარჩი. მე შენთან ხელი აღარა
მაქ[ც]ეს. ლმერთმან გიშველოს. ვიზც ეს წიგნი შეგიშალოს, მასამც შეშლის
ლმერთი და ყოველნი მისი წმინდანი. არის ამისი მოწამე თავად ლმერ-
თი. კაცთაგან პა[ა]ტას-შვილი ოთარა, ბანაძე შვილი მლ[ვ]დელი იასე, მოუ-
რავი გიორგი, პეტრიას-შვილი გიუა, ვარსიმაშვილი პაპა და მე აზარიაშვილ
გიუას დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა ესე წიგნი იანვარს კე,
ქ[ორონი]კ[ონ]ის უკდ.³ იასე⁴.

¹ უკანასკნელი ორი სიტყვა ტექსტში სწერია: სამიხტიარი.

² უკანასკნელი სამი სიტყვა პირში სწერია: წეს (?) სოფლის რაია[თ]ში.

³ ქ. მონასტრელის ამილბარას-შვილის ოქრუას წიგნი თავდახსნილობისა.

⁴ ხევულად.

362. 1736 წ. თებერვლის „დამდეგს“. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ხაზა სოლალაშვილის მიერ ქსნის ერისთავ ზანშესადმი. დედანი დახული ქვედა ნაწილში. $61,8 \times 32,5$ სმ. დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ჩახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. ც.-ჭრქ., ფ.—, № 2914.

ქ ესე მტკიცე და მოუშლელი ყოვლის კაცის უცილებელი და მოუდევარი ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, სოლალაშვილის ქაიხოსროს შვილმან ზაზამ და მომავალმან სახლისა ჩვენისამან თქუენ, ქსნის ერისთავს ბატონს ზანშეს, ძმასა თქუენსა ყულარალასს იქსეს, შვილსა თქუენსა იოანეს და მომავალთა სახლისა თქუენისათა;—ასე რომე დამეჭირა და ჩემის ნება-წალილით მოგყიდე კუმისს ჩემი წილში და ბარათში გამოტანილი ყმები თავიანთ მამულითა, მიწითა, ვენაკითა, საწჩახლითა, ქუვრითა, მარანითა, სახლითა, კარითა, შესავლითა, გასავლითა, წყლითა, სარწყავითა, ურწყავითა, მთითა, ბარითა და ყოვლის თავის სამართლიანის გზითა და სამძღვრითა, იალუჯითა და საყალტუთნითა, საძებრითა, უძებრითა, შერიაშაშვილი თამაზა, მისი განაყოფი ვასპარა, გოდლოაშვილი ოთარა, როსტიაშვილი ბერუა, იმისი ძმის წული გიორგი, არლუთაშვილი ბერუა, იმისი განაყოფი ფარსუდანა, ამისი განაყოფი ათაბეგას-შვილი რევაზა, დივანაშვილი არუთინა, გიორგი, დათუნა და ფარემუზა, საპაკას-შვილი კოკია, პაპა, ნასყიდა და გიორგი, ბაბლოშაშვილი მოსია და ალავერდა, პამზაშვილი პაპა, გარსევანას-შვილი თანდილა, ოპანა, ზალინა, პაპუნა და გოზაურა, მირზაშვილი პაპა, მირზაშვილი ბეჟანა, გზირის-შვილი შერმაზანა და დავითა, ბეშქენა, ზალია-შვილი მელქუა და არუთინა, მატოაშვილი პაპუა, იმისი განაყოფი დალაჭი თამაზა, ბაღლაშვილი შერმაზანა, ყოჩაშვილი შერმაზანა, გოჩაშვილი გოჩა, გოჩაშვილი ოპანა და ხარშილაძე ბეჟან თავისის მამულითა და ყმებითა, ბერიკაშვილი გოგია, ჩაქუაშვილი იასე, სურათაშვილი ფასუა და, რაც ზეით სწერიან, ყუელანი თავის მამულითა და, რაც ამას წინად ან მამული გამეყიდოს, ან ვინმე აზატი მექნას და თავი დამეხსნევინოს, იმასთან კელი არა გაქუსთ. მოსყიდულისათვის ავიღე ფასი სრული და უნაკლულო, რითაც ჩვენი გული შეგვჯერდებოდათ. არა დარჩა რა ჩვენი თქუენზედა არცა ერთი იოტის ფასი. გქონდესთ და გიბედნიეროსთ ლმერთმან, როგორც სხევას მონასყიდეს მოპქმარებოდეს, თქუენც ისე მოგეკმარისთ და გეკელყოდესთ. არავინ იყოს ამათი მცილე და მოდავე თვინიერ ლვთის მეტი. თუ წამოგედაოსთ, ვინმე, პირისა და პასუხის გამცემი ჩვენ ვიყოთ ამისი მოწამე თავად ლმერთი . . . კაც-თაგან ყაფლანის-შვილი დემეტრე¹, გოშტაშაბის-შვილი აზილლაბარ

ამირლა
ბარისა

ნამანგლელავის-შვილი გუგუნა¹ ჩემი ბიძაშვილი იქსე იასე, ჩემი ბიძაშვილი გიორგი¹, გერმანოზის-შვილი პაზარი

კაჯარი

¹ აქ ბეჭდის დასასმელად ცარიელი ადგილი დატოვებული.

სან

სულ
ხან

, იარალის-შვილი იარალი

...
ია
რალი

, იოთამის-შვილი ერან-

ტი,¹ ქავთარიშვილი ედიშერ,¹ აფულფათის-შვილი ლუარსაბ;¹ დაიწერა კელითა-
სიონის დეკანოზის შვილის მიქელისათა ფეხერვლის დამდეგს, ქორონიქორნე-
უკლ. მე ზაზას ამ წიგნის ყაბული მაქს ჩემის ხელით მაპიწერია +.

ზა
ზა

ქ. მე, მდივანი გიორგი ამისი მოწამე.

...
მდივანი
გიორგი

ქ. მე, ავალის-შვილი ქაიხოსრო.

...
სახლოხუცესი
ქაიხოსროს ქრისტი
ან დედოფლისა

ქ. მე, გურჯი რევაზის-შვილი ლუარსაბ ამისი მოწამე ვარ 1736. [ლუარსაბ]

ქ. მე, ფავლენის-შვილი შიოშ ამისი მოწამე.

ქ. მე, მდივანი სულხან ამისი მოწამე.

...
მდივანი
სულხან

ქ. დავით თარხნის-შვილი ვარ ამისი მოწამე.



ქ. მე, გიორგი ყარაბუღალის-შვილი ამისი მოწამე ვარ.

შოშიძე
გიორგი

ქ. მდივანი გორჯასპი ამისი მოწამე ვარ.

...
გორჯასპი

ქ. მე, ქართლის, მთავარეფისკოპზი არსენ ამისი დამამტკიცებელი.

...
მონაღთისა
მთავარეფისკო
პოზი არსენ +

¹ აჭ ბეჭდის დასასმელად ცარიელი ადგილია დატოვებული.

363. 1736 წ. თებერვლის 4. თავნასყიდობის წიგნი, მიცემული პოვნია (?) ავალიანის მიერ გიორგი გოგიძაშვილისადმი. დედანი. $32,5 \times 10,7$ სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. ასო—მეტ-ნაკლები. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემ-დეგ ნახმარია ორ ორი წერტილი—საქ. მუზ., № 628 ჩ.д.

ქ . . . [ესე] ექამთ[ა] და ხანთ[ა] გასათ[ა]ვებელი ნასყიდობის წიგნი მოგეც მე, პოვნიამა¹ ავალიანმა შენ, გიორგის გოგიძაშვილს; — ასე რომა ბი-თაძის ბარზის² სახლოს-კაცი-ვიუავ და ბატონი გაგვიწყრა და სულ ცოლშვი-ლით დაგვყიდა. მე გამოვიპარე და მოველ და შეხერგეხვევრე, თავიცია და ცოლშვილიც ნეასყიდათ მოგეც, თათრის აელიდა[მ] და[ა]მიხსენ მაუთიალა მურქათხანაშვილის კელიდამა და მეც ნასყიდობით თავი მოგეც ასე, რომა დღეს და დღე[ი]ს იქით მე შენს მეტი ბატონი აღარჩევინ ვინდომო. შენ იცი, როგორც მიპატრონებ. ჩემი მოდევე და მოლაპარა[ც]ე არავინ არის. არის ამისი გამრიგებელი და მოწა[მ]ე თავიათ³ მურვანიშვილი რევაზ, პეტრე დეკა-ნოზიშვილი, მოლა მუსტაფი და იბრიმია და ბირხა[ც]ტალი უსექინი და განძიე-ლის სიძე ას[ა]ნი. ეს წიგნი მე სეხნიას დამიწერია და მოწა[მ]ეც[ა] ვარ ამისი. და[ა]მიწერა ეს[ე] ნასყიდობის წიგნი თებერვალს ოთხს გასულსა, ქორონიქონ[ნ]ს უქდ.

364. 1736 წ. თებერვლის 20-ს. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული იქსე. სოლალას-შვილის მიერ ქაიხოსრო ორბელის-შვილისადმი. დედანი. $75,5 \times 25$ სმ, და-წერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტ-ყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. ც.-არქ., ფონდი 226, № 4570.

ესე უკუნისამდე უამთა და ხანთა გასათავებელი სამკუიდრო და საბოლოო ნასყიდობის წიგნი და პირი მოგეცით ჩვენ, სოლალას-შვილმა იქსემ, შვილმან ჩემთან ითანებ და მომავალმან სახლისა ჩვენისამან ზქუენ, ორბელის-შვილს სარდალს ქაიხოსროს, შვილსა თქუენსა დავითს და რევაზს და მომავალ-თა სახლისა თქუენისათა; — ასე რომე დამეჭირა და მოგყიდე ჩემი ნება-წალი-ლითა კუმისს ჩემი ბარათში ნარგები ყმა და მამული იერუას-შვილი ბალდისარა თავის მამულითა, იერუას-შვილი ნასყიდა თავის მამულითა, აკოფას-შვილი ფა-რემუზა თავის მამულითა, ყაითმაზა თავის მამულითა, მითარას-შვილი პაპა თავის მამულითა, როსება თავის მამულითა, ამ როსებას განაყოფი გიორგი თავის მამულითა⁴, მამასახლისი დავითა თავის მამულითა, ამირჯნას-შვილი-

¹ უკანასკნელი სიტყვა ტექსტში სწერია: „პოვნიამა“.

² უკანასკნელი სიტყვა ტექსტში სწერია: „ბაზარსა“.

³ აქ დაწერილია და წაშლილი: „ბატონი ავალიშვილი ზაქლ“.

⁴ უკანასკნელი ექვსი სიტყვა დაწერილია სტრიქონს ქვევით იმავე ხელით.

ბერუა თავის შეზულითა, პატიჭაშვილი ბერუა თავის განაყოფის მამულითა, ლიუას-შვილი მამულა თავის მამულითა, ბერანის-შვილის მამული, პატიჭაშვილი ელიზბარა თავის მამულითა, ბალუას-შვილი ყანდუა თავის მამულითა, დილდარას-შვილი ბერუა თავის მამულითა, დილდარა[ა]ნით სათუნჯანას-შვილი ბანიდურა თავის მამულითა¹, დილდარას-შვილი რამაზა თავის მამულითა, დილდარას-შვილი გიგოა(?) თავის მამულითა, დილდარას-შვილი ზალუა თავის მამულითა², თემურაზას(?)შვილის ხატოას მამული, თლქიას-შვილი ასლამაზა თავის მამულითა, ჩიტოას-შვილი კალატოში სანეველა თავის მამულითა, ხატიას-შვილი ძულოა თავის მამულითა, ხატიას-შვილი ბერუა თავის მამულითა³ და ჯიმშერას მამული; ესენი თავიანთ სახლითა, კარითა, ქუვერითა, მარნითა, კალოთა, შესავლითა, გასავლითა, წყლითა, წისქუილითა, ვენაკითა, საწნახლითა, მიწითა, ნაკავითა, უკავითა, მთითა, ბარითა და ყოვლის ჩემის წილის კუმისში მამულითა და საყალტუთანითა, ნასყიდითა და უსყიდითა⁴ მოგყიდე თქუენ ავიღე ფასი სრული, რითაც ჩემი გული შეგჯერდებოდათ. არა დარჩა რა ჩვენი თქუენზედა. გქონდესთ და გიბედნეროსთ ღმერქომან, რა-რიგადაც სხვას ალალს მონასყიდეს მოჰქმარებოდეს, თქუენც ისე გეპელყოდეს გასყიდვად, გაზითვად. რაგვარადაც გინდოდესთ. არაენ იყოს მცილე და მოდავე ამისი. თუ კინძე წამოგედაოსთ, პასუხის გამცემი ჩვენ ვიყოთ არის ამისი მოწამე თავად ღმერქო. კაცთაგან ყაფლანის-შვილი გიორგი[], ციცის-შვილი მანუჩარ [], გოშტაშაბის-შვილი ამილდაბრ,⁵ მდივანი სულხან⁶ [], გერმანიზის-შვილი პაატა,⁷ გერმანიზის-შვილი ოთარ,⁸ ქავთარის-შვილი სულხან [], ქავთარის-შვილი ედიშერ,⁹ ნამანგლელავის-შვილი გუგუნა [], იოთამის-შვილი ერასტი [], საამის-შვილი ედიშერ,¹⁰ იარალის-შვილი ქაიხოსრო, ავულფათის-შვილი ლუარსაბ,¹¹ ჩემი ბიძაშვილი ზაზა. [], ჩემი ძმისწული გიორგი [], ქალაქის მელიქ-მამასახლისი ალა [], ზარაფის-შვილი გურგენა,¹² ბალდადა[ა]ნით გიორგი [], ფითუანთ სჩაუშა სილ[შა] [], ყორლანა[ა]ნით ფარემუზა. მე ამისი მოწე[ა]მე ვარ ბეჭედი არა მქონდა¹³, ბასტამა[ა]ნით მლდისი მელქო,¹⁴ ყორლანა[ა]ნით ზურაბა [], გაბაშვილი სამადავლე,¹⁵ თურქისტანის-შვილი გიორგი,¹⁶ ყორლანას-შვილი ზაალ [], ყორლანას-შვილი ფარემუზა,¹⁷ გივის-შვილი იესე,¹⁸ ხარშილაძე ბეგუან.¹⁹ დაწერა კელითა სიონის დეკანოზის შვილის მიქელისათა ფეხერვლის რცა, ქორონის[ქონ]ს უკდ. მე იასეს სილ[ალ]ეს-შვილს ამისი ყაბულიც მაქს და კიდეც მომიყიდია. ფასი სრული ამილია. ბეჭედი არა მქონდა,

¹ უკანასკნელი ექვსი სიტყვა დაწერილია სტრიქონს ზევით იმავე ხელით.

² უკანასკნელი ხუთი სიტყვა დაწერილია სტრიქონს ზევით იმავე ხელით.

³ უკანასკნელი ხუთი სიტყვა დაწერილია სტრიქონს ქვევით იმავე ხელით.

⁴ უკანასკნელი ხუთი სიტყვა დაწერილია სტრიქონს ზევით იმავე ხელით.

⁵ აქ ბეჭდის დასასმელად ცარიელი ადგილია. დატოვებული.

⁶ ხელრთვა.

⁷ უკანასკნელი რვა სიტყვა დაწერილია სხვა ხელით.

⁸ აქ ცარიელი ადგილი არ არის დატოვებული.

ეს ჩემი კელი არის. + +

- ქ. ჩვენ არავის ერისთავი ბარძიმ ამისი მოწამე ვართ. []
- ქ. ჩვენ, მუხრანის-ბატონი ლევან ამისი მოწამე ვართ. []
- ქ. ჩვენ, ტფილელი ეფთვიმი ამისი მოწამე ვართ. []
- ქ. ამისი მოწამე ბატონის-შვილი ჰუსეინ-ბეგ. []
- ქ. ამისი მოწამე მემანდარ-ბაში როსტომ. []
- ქ. თომა ბარათაშვილი ამისი მოწამე ვარ. []¹

365. 1736 წ. თებერვლის 25-ს. თავდახსნილობის წიგნი, მიცემული ელისბარ და სხვა სოლადაშვილების მიერ მელქოა საქუაშვილისადმი. პირი, გადაწერილი უზენაეს მართებლობის ბრძანებით XIX საუკ. დასაწყისს მხედრული ხელით—საქ. ც.-არქ., ფ. № 6/65.


ნებითა ღვთისათა, ეს თავდახსნილობის წიგნი დაგიწერე და მოგეც მე, სოლადაშვილის შიოშის შვილმა ელიზბარ და იესემ და შვილმან ჩვენმან დავით და მომავალმან სახლისა ჩვენისამან შენ, ჩვენს ყმას ტაბახმელელს საქუაშვილს მელქოა-შვილს ბალდასარას;—ასე რომე თავის დახსნას შემოგვეხვეწე და შენის მამულისაგან კელი აიღე. რადგან შენ შენის ნასყიდისა და უსყიდის მამულისაგან კელი აიღე და ჩვენი გული შეიჯერე, ჩვენც შენგან კელი ავიღევით და თავი დაგახსნევინეთ, რითაც ჩვენი გული შეგჯერდებოდა. ლ[მერ]თმან გიშველოს, ვისთანაც გინდოდეს, მიდი და ეყმე. არავინ იყოს შენი მოღავე და მომდევრი თვინიერ ლ[უ]თის მეტი. თუ ვინმე წამოგედაოს, პირისა და პასუხის გამცემი ჩვენ ვიყოთ. არის ამისი მოწამე თავად ლ[მერ]თი და ყოველი მისი წმინდანი. კაცთაგან ტაბახმელელი მამასახლისი ბერა, აქოფის-შვილი დავითა, მანგლანთ გასპარას-შვილი ოჭანა | ადგილი ბეჭდისა |, მეწვრილმანე ავტიჭა.

დაიწერა კელითა სიონის დეკანოზის შვილის მიქელისათა ფებერვლის კე, ქ[ო-რონი]ქ[ონ]ს უქდ. მე ელიზბარს ამისი ყაბული მაქვს | ადგილი ბეჭდისა |, ეს ჩემი კე-

ლია და ჩემი ბეჭედი, საქმე ნურვის აქს +, მე ავტიქმა მოწამეც ვარ, ბეჭედი არ ქონდა, ეს ჩემი ხელი არის. როგორც ბატონს ბიძა ჩემს ელიზბარს ეს წიგნი მოეცა. რომ იმ ბალდასარასათვის თავი დაეხსნევინა და შენ ყორლანა-შვილს ზურაბას დაგეხსნა, ახლა მეც ქაიხოსროს შვილმა იასემ ეს წიგნი მოგეც, რომ არც მე და არც ჩვენს გლეხს შენთან ხელი არა ქონდეს. თუ ვინმე წამოგედაოს, პასუხი ჩვენ გავცეოთ. არის ამისი მოწამე ზაზა. მე მუშარიბს ია-

¹ სათაური მიწერილი საბუთის მეორე გვერდზე სხვა ხელით: ქ. კუმისის წიგნი არის იასე სოლადას-შვილისა და იორამის.

სეს სიტყვით მამიწერია, მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა ლვინობისთვის ე გა-
სულს, ქორონიკონის უკთ.



366. 1736 წ. მაისის 8-ს. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცუმული ხანანა ჯინჯიხა-
შვილის მიერ ფარსადან ნოდარის-შვილისადმი. პირი 1821 წლ. ახლო ხანისა (ქად.
კეირნიშნის მიხედვით). $32,8 \times 19,8$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით,
განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის—საჭ. მუს., № 846 ჩ. დ.

ქ. . . . ესე უკუნისამდე უამთა და ხანთა გასათავებელი სამკვიდროთ
და საბოლოო]თ გამოსადეგი მამულის ნასყიდობის წიგნი დაგიწერეთ და მო-
გართვით ჩვენ, მძოვრელმა ჯინჯიხაშვილმან² ისრეცელმან დანიელის შვილმან
ხანანამ, ძმამან ჩემმან ლევიამ, შვილთა და მომავალთა სახლისა ჩვენისათა
თქვენ, ბატონს ნოდარიშვილს ფარსადანს, ძმასა თქვენსა ალექსანდრეს, და-
ვითს და იოთამს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა: მას უამსა
ოდეს დამეჭირა, მოველ და შემოგეხვეწე და მოგყიდე ჩემის ნება-მყოფლობით
ჩემი მამა-პაპათ სამკვიდრო, სანებელს ნასყიდი იესა რომ ესახლა, თვითან ის
იესაცა და რაც იმას მამული და ოლაგი ეჭირა, მიწა, ვენახი, სახლკარი,
კალო-საბძელი, წისქვილი, მთა და ბარი, რისაც მქონებელი ყოფილიყოს,
ყოვლის-ფერის მისის სამართლიანის სამდღვრით; ამას და გარდა, რაც ჩვენ
სახასოთ გვეჭირა ვენახი. მიწა, რაც სანებელში მამული მქონია. მინდორში თუ
სიიბში, რაც რომ სანებელში მშეროდეს, სოფელში თუ მინდორში, ხილნარი
თუ საბოსტნე, ყველა თქვენთვის მოგვიყიდნია. ბიძის ჩემის ელიასი და დავი-
თას წილიც თქვენთვის მომიყიდნია. თუ ვინმე იმათი [მოდავე] გამოჩნდეს,
პირისა და პასუხის გამცემი მე ვიყო. ავილე ფასი სრული და უნაკლულო, რო-
გორათაც ჩვენი გული შეგჯერდებოდა. არა დარჩომილა რა თქვენზე არცა
ერთი იოტის ფასი. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერქთმან, როგორათაც
სხვას ალალს მონასყიდეს მოხმარებოდეს. რაც სანებელშია ნასყიდი მქონდა,
ან უსყიდი, ყველა თქვენთვის მომიყიდნია. თუ ვინმე წამოგედაოს ინ ჩემი ნა-
თესავი ან სხვა კაცი, პირისა და პასუხის გამცემი მე ვიყო. არის ამისი მოწამე
თავათ ღმერთი. კოველნი მისნი წმიდანი. კაცთაგან ავალიშვილი ფარსადან +,
ედილაშვილი ბერი +, ოუისელი მამაცაშვილი ნიკოლოზ +, საყვარელიძე და-
ვით +, მელენინე ხუცის შვილი სალთხუცესი ბეჟან +, ამისი ბიძაშვილი იო-
რამ +, მძოვრელი მამასახლისი მეტშვილდიშვილი თამაზა +, ძამუაშვილი პა-

¹ მინაწერები: ასლთან თანასწორ არის. სოვეტნიკი თ'ი თარხანვის მივიღე. თომა ყორ-
ლანვი.

² უკანასკნელი სიტყვა ტექსტში შეცთომით სწერია: ჯინჯილაზაშვილმან. იგივე ვგარი
აქვე ბოლოში ჯინჯიხაშვილად სწერია. ასევეა: საბ. 978 ჩ.

ტარქაცი +, ჯინჯიხაშვილი ელია ○; იმისი ძმა ისრელი ○, დაეითაშვილი ბა-
თუა ○, ბინიაშვილი ბინია ○, ყობიაშვილი იყობა ○, შაბათა ○, იოსები-
შვილი მორჩენა ○; მე მდივანს ბეგთაბეგს დამიწერია, მოწამეცა ვარ. დაი-
წერა ესე წიგნი მაისის რვას გასულს, ქორონიკონის უკდ. ○ ○

367. 1736 წ. აგვისტოს 15-ს. ყმის და მამულის წყალობის წიგნი, მიცემული მეფე ალექ-
სანდრეს მიერ ბორტი მაჩაბელისადმი. პირი, გადაწერილი უზენაეს მართებლობის
ბორბანებით XIX საუკ. დასაწყისს მხედრული შელით—საქ. ც.-არქ., ფ.—, № 26, 161.

ნებითა და შეწევნითა ლუთიისათა ჩვენ, ლუთიივ-ალმატებულმა და
ლუთიივ-დამყარებულმა და ლუთიივ ზეცით გვირგვინოსანმა იასიან-დავითიან-
სოლომანიან-ბაგრატიონმა გვარტომობით ძის ძემა, ქართლისა და კახეთის
შპყრობელმა პატრონმა მეფემ ალექსანდრემ და თანამეცხედრებამ ჩვენმა დე-
დოფალმა მარიამ ესე ამიერ უკუნისამდე უამთა და ხანთა გასათავებელი მტკი-
ცე და შეუცვლელი წყალობის ნიშანი დაგიწერეთ და ვიბოძეთ თქვენ, ჩვენსა
ერთგულსა და წესისებრ ნამსახურსა მაჩაბელს ბაჟალურის შეილს ბორ-
ტის და ძმის წულსა თქვენსა ბარილურს¹ და შეილსა თქვენსა ბარ-
ძმისა: მას უამსა ოდეს მოგვიდექით კარსა დარბაზისასა და თქვენისავე
შმეციდრის მამულის წყალობას დაგვიაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება
თქვენი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ოქვენი მკვიდრი და ყოვლის კაცისაგან
უცილებელი მთის ალაგის ოსები გუფთა და ჯავას ხეობა, კოდა და კოშკის
ჭალა, რაც თქვენი სამკვიდრო მამული გქონებოდათ და გქონდათ და ზემოთ-
ხვისს| რაზმაძეები, ესნიც თქვენს გაყრაში ბარათით წილში ნარგები ყო-
ფილყო და ბარათიც ხელთ გქონდათ და ესქეები ხელშეუალედ წყალობა
გიყავით. გქონდეს და გიბედნიეროს ლმერი[მა]ნ ჩვენს ერთგულობასა და სამ-
სახურში. არა ჩვენგან და არა სხვათა შემდგომთა მეპატრონეთგან წყალობა-
და ფარვანი ესე აროდეს არ მოგვალოსთ. გიბძანებთ კარისა ჩვენისა ვეზირ-
ვექილნ და მდივან-მწიგნობარნ და სხვნო მოსაქმენო, ბძანება და ნიშანი
ესე თქვენც ასე დაუმტკიცეთ და ნურავინ ეცილებით თვინიერ შეწევნისა და
მოხმარების შეტს. დაიწერა წყალობა და ფარვანი ესე მარიამობის იე, ქორო-
ნიკონის უკდ. კარის ჩვენის მდივან-მწიგნობრის თუმანის-შვილის გორჯასპითა.

ადგილი
ბეჭდისა

ლუთიით ვიქმენ მეფეთ, ვამტკიცებ ბატონი თეიმურაზ.

ადგილი
ბეჭდისა

¹ აქ განმეორებულია: და ბადურს.

² მინაწერები: ასლთან თანასწორ არს. სოვეტინიკი თავისებრ რატივი:
ამისი ნამდვილი მივიღე, გაბრიელ სულხანოვი (sic).

368. 1736 წ. სექტემბრის 1-ს. ყმის ნასყიდობის წიგნი მიცემული სოლომონ მაღალაშვილის მიერ ავთანდილ ჯავახის-შვილისადმი. დედანი. $38,8 \times 19,7$ სმ. დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი—საქ. მუზ., № 13.695 ჩა.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღვთისათა ესე წიგნი მოგართვით ჩვენ, მაღალაშვილმა მდივანმა სოლომონ, შვილმა ჩვენმა ნიკოლოზ და იაკობ თქვენ, ჯავახის-შვილს ბატონს ავთანდილს, თქვენს შვილს მზეჭაბუქსა;—სე რომე თქვენი ყმა ფეფიტაშვილი მეჭირა ხანდაქს ნასყიდობითა. დაგვეჭირა და ისევ თქვენვე დაგანებეთ და ფასი გამოგართვით. იმ კაცთან არც ჩვენა და არც ჩვენს შვილს და სახლის-კაცს კელი არა ქონდეს. კაციც თქვენთვის მოგვირთმევია და ნასყიდობის წიგნიც მოგართვათ. არის ამისი მოწამე მელიქი ფარსა-დან

მელიქ ფარსადან

...

გიორგი

, ჩვენი ძმისწული დემეტრე, თაზის-შვილი ელიზბარ¹, ტარიელ²,

ნაცვალი ივანე¹, აბულვარტის-შვილი იესე¹, ნინიაშვილი შერმა ზან¹ და მე მგალობელს ნიკოლოზს დამიწერია და მოწამეცა ვარ. ენკენისთვის ა, ქორონიქონისა უკდ. მე ამისი ყაბული მაქვს და ფასიც ამილია.

სევეტის ცხოვ-
ლის
შმა
. . . .

ქ. მე, სალომეუცესი ამისი მოწამე ვარ.

მონა ღვთისე სალ
თხლცესი გიორგი

ქ. ჩვენ, ერისთავი დავით ამისი მოწამე ვართ.

ქ. მონალეზ
თისა ერი
სთავი დავით

ქ. ამისი მოწამე ბატონი ციცი.

...

ქ. ამისი მოწამე მოურავი ბატონი გაბელ


მონა ღვთისა
ყულარალა
სი ამირევ
იბი გა . . .

¹ აქ ბეჭდის დასასმელად ცარიელი ადგილია დატოვებული.

ქ. ჩვენ, მოლარეთხუცესი პაატა ამისი მოწამე ვართ.



ქ. ამის მოწამე თარხნიშვილი ზაზა.



ქ. ამისი მოწამე ამირიჯებიშვილი ოტია.



ქ. ამისი მოწამე გიორგი ჭაბალაშვილი.

ქ. ჩვენ, სუფრაჩი პარატა ამისი მოწამე ვარ.



ქ. როგორც მამა ჩემს მღივანს სოლომონს მიეცა, ჩვენც ყაბული გვაქვს.
ნიკოლოზ¹ ქორონი ქონება უმბ. +²

369. 1736 წ. დეკემბრის „დამდეგს“. ყმების ნასყიდობის წიგნი, მიცემული იასე და სხვა
სოლალაშვილების მიერ ოპანა და სხვა მანგოაშვილებისადმი. აქვე იმავე ყმების დახსნი-
ლობის წიგნი, მიცემული უკანასკნელის მიერ პირველისადმი. დედანი. 60,7×22 სმ,
დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განვევთილობის ნიშნად ყოველი სიტ-
ყვის ჟემდეგ ნახმარისა თითო წერტილი.—საქ. მუზ., № 14.308 1нд.

ქ. . . ესე ამიერითგან და უკუნისამდე უამთა და ხანთა გასათავებელი
მტკიცე და უცვალებელი ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მო-
გვცით ჩვენ, სოლალაშვილებმა ქაიხოსროს შვილმა იასემ, ბიძა ჩემშვი ელიზ-
ბარ, ზურაბ, მანუჩარ, იორამ, შვილმა ჩვენმან დავით, თამაზამ და მომავალმან
სახლისა ჩვენისამან;—ასე რომე საქმე გამიქირდა და შენი ანი ვერ მოგვცი და
ტაბახმელას ჩვენი მემკვიდრე გლეხი საქოაშვილი ბეჭოა, ახერდა და გიორგი
თავიანთის შვილებით, თავიანთის მამულით ნასყიდით თუ უსყიდით, ვენაკით,
წყლითა და რასაც მქონებელნი არიან, ყველათი ავილენით. და მოგყიდეთ
თქვენ, მანგოაშვილებს ოპანას, ძმასა შენსა მოსესასა, შვილთა და მომავალთა
სახლისა თქვენისათა. გამოგაროვით ფასი სრული და უკლებელი, რასაც ჩვენი
გული შესჯერდებოდა. გქონდეს და გიბეჭნეროს ლ[მერ]თშვან; რაგვარადაც
სხვას მონასყიდეს მოკემაროდეს, ისე ლ[მერ]თშვან შენ მოგავმაროს. არავინ-
იყოს ამისი მოდავე და მოცილე არც ჩვენი შვილი, არც ჩვენი სახლის კაცი,
თუ ამისი მოდავე და მცილე გამოჩნდეს, პირისა და პასუხის გამცემნი ჩვენ
ვიყუნეთ. არის ამის მოწამე თავად ლ[მერ]თი და კაცოაგან ჩვენი მოყუარე, ბა-
რათაშვილი გუგუნა +, გაბაშვილი პაპუნა +, ამილდამბარის-შვილი დავით;

¹ ხვეულად.

² სათაური სხვა ხელით: ფეფიტ[ა]-შვილის ნასყიდობა.

, მეწვრილმანე ავეტიქა,¹ ყორლანაშვილი ზურაბა,² ტაბახმელე-
დავით

ლი აკოფაშვილი ასატურა +, ჯანყულაშვილი გიორგი +, შინდელი მა-
მასახლისი ზურაბა +, ფიროაშვილი სეხნია +, ფინაჩიშვილი იასე +, შავერ-
დაშვილი ბერუა +, კუმელი მამასახლისი დავითა +. მე იოვანეს დამიჭერია
და მოწამეება ვარ ამისი. დაიწერა ქრისტიშვილისთვის დამდეგს, ქორონიქ-
ვინისა უკდ. ქ. მე, იასეს მამიყიცნია და ყაზბეგილი მაჯეს.

იასე

ქ. მე, ელიზბარს ყაბული მაჯეს ამისი.

ელიზ
ბარ

ქ. მე, ზურაბს ყაბული მაქეს. +

მე, ედიშერ საამის-შვილი ამისი მოწამე.

ედიშერ

ქ. მე, ყორლანიშვილი გიორგი ამისი მოწამე ვარ.

ყორლანაშვი-
ლი გი
ორგი . . .

ქ. მე, ლიამაზას-შვილი ლიამაზა ამისი] მოწამე. +

ქ. მე, ყორლანის-შვილი ფარებუზა ამისი] მოწამე.

. . .

ქ. ესე წიგნი მოგეცი მე, ოპანამა და მოსესამა შენ, ქიოხოსროეს-შვილს
იასეს: - ასერობ ჩემი თორმეტი თუმა[ე]ნი გებართათ. ელიზბარ რომ დაიპ[ი]-
რეს, იმის ვალი იყო. თეთრი არ მომეცით. იმ ჩემს თეთრში ტაბახმელელი
საქუას-შვილი მაყიდეთ. ახლა მე ისევ ჩემი თეთრი ვარჩივე. შენ, იასეს და-
გახსნებინე. შენს მეტს კაცს იმასთან] ხელი არავინ აქეს. შენ საქონის თრივ
დაიხსენ. არის ამისი მოწამე ქავთარ[ი]ს-შვილი. სულხან[ე]ნ | — | და გოს-
ტაშაბის შვილი ვახუშტი

შოთართისა
ვახუშტ
ისა

შენი მოწამე ქავთარ[ი]ს-შვილი ქავთარ[ი]ს-შვილი.

და ყორლანის-შვილი ფარე[ე]მუზა, დამსწრე[ე] ლევ[ა]ნი (?) ავეთ[ი]ქა + და მე
ოპ[ა]ნ[ა]ს დამიწერ[ე]რია და კიდეც ყაზბეგ[უ]ლი რექს. + + დაიწერა მარტის
ოცს გასულს, ქორონიქვინის უკდ.³ იასეს ხელჩია.

ქ. მე, ზურაბ საგინიაშვილი ამისი] მოწამე.

ზურაბ

¹ აქ ბეჭდის დასასმელად ცარიელი ადგილია ლატოვებული.

² უნდა იყოს: უკე.

³ სათაურები სხვადასხვა ხელით: ა. ქ. საქუას-შვილის. ბ. ტაბახმელასი. გ. ქ. მონასტ-
რისა და შინდისის წიგნი.

370. 1736 წ. დეკემბრის 3-ს. ანგარიშის გაშენდის წიგნი დაფით; ოთარისა და იორამ-თარხნიშვილებისა. დედანი. $24,2 \times 10,7$ სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი—საქ. მუხ., № 2783 ჩბ.

ქ. ჩვენ, დაფით და ოთარმა ლა იორამ ანგარიში გავსწონდეთ წლევან-დელის მირის სურსათისა და ბრინჯის თეთრისა და თუ რამე სხვა დანახარჯი იყოს, ამაგბის ანგარიში გაესწინდეთ. დღეს აქამდის რაც ერთმანერთში ზარალი მოვივიდა თუ სარგებელი, ყველა ჩავაროინეთ, ყველამ გაიარა. ალარც მირი, არც სურსათი, არც ბრინჯის ფასი, არც სამასპინძლო იღარა დარჩომილარა. დღეს იქით რაც სამსახური მოვიდეს, ჩვენ ჩვენი მამულის ზინი და სარგებელი გავსწიოთ, თუ ერთმანერთის მოიტაცონ რამე, პასუხი გავსცეთ. არის ამისი მოწამე ეშიკალადბაში სულხან

სულხან

+ , სვიმონ ქაქუცა , გაბაშვილი პაპუნა. ჩვენი ყმა ცალქალამნიძე ფირან, ქვლიგიძე სვიმონ, ჩიგეძე დაფით, ოძანა და მე მგალობელს დამიწერია და მოწამეცა ვარ. ქრისტიშობისთვის გ, ქორონიკონის უკდ.




371. 1736 წ. დეკემბრის 8-ს. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული პაატა და სხვა გერმანოზის-შვილების მიერ ამილდაბარ გოსტაშაბის-შვილისადმი. დედანი. 57×22 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშად ადგილ-ადგილ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. მუხ., № 10.206 ჩბ.

ქ. ნებითა ლუთისათა ესე უკუნისამდე მტკიცე და უცვალებელი, უამთა და ხანთა გასათავებელი ნასყიდობის წიგნი და. სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, გერმანოზის-შვილებმა სულ კელიერთპირ პაატამ, შვილმა ჩემმა ქაიხოსრომ, ომან და ოთარ, ძმის წულმა ჩემმა პაპუამ და გუგუნამ, ბიძაშვილმა ჩემმა ოთარმა, მისმა შვილმა იასემ, ნიკოლოზ და იოანემ, ძმამან მისმან გერმანოზ, შვილმან მისმან მერაბ, შვილთა და მომავალთა სახლისა ჩემნისათა შენ, გოსტაშაბის-შვილს ამილლაბარს, შვილსა შენსა დავითს, ვახუშტის, პაატას, ბარამს, შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა;—ასე რომე დამეჭირა და მოგეცით ჩვენის ნებაწადილითა და მოგყიდეთ ჩვენი სამკეიდრო ყმა და მამული აქურისს მედიაშვილი მისის განაყოფით, მათის წყლითა, წისქვილითა, ვენაკითა, საკანულებითა, მთითა, ბარითა, შესავალ-გასაფლითა და ყოვლის მათის სამართლიანის სამძლურითა, დღეს რისაც მქონებელნი არიან. ავილეთ თქუენგან ფასი სრული და უნაკლულო, რითაც ჩვენი გული

შეგჯერდებოდა. არა დარჩა-რა შენზე ჩვენი არცა თუ ერთის იოტის ფასი, არავინ იყოს მცილე და მოღავე, არა ჩვენ და არა ჩვენ[ი] სახლის-კაცი და არა სახლისა ჩვენისა მონათესავე. და თუ ვინმე წამოგედაოს, პირის და პასუხის გამცემი ჩვენ ვიყუნეთ. და თუ ვინმე[მ] მძლავრებით ინებოს გამორთმევა მისი, რისხავს ღ[მერ]თი და ყოველი მისი წმიდანი, შემცაედების კეთრი გეზისა, შიშთვილი იუდასი, ცოცხლივ დანთქმა დათან და აბირონისი და ნუ-რასამც სინანულით ნუ იქმნების კსნა სულისა მისისა. ხოლო დამამტკიცებელნი ამისი აკურთხებს ღ[მერ]თ[მა]ნ. არიან ამისი ტამბლურნი და მოწამენი თავად ღ[მერ]თი, კაცთაგან ნამანგლელავის-შვილი გუგუნა





შვილი ეშიკალასბაში სულხან






, ქავთარის-შვილი ედიშერ



საამის-შვილი ედიშერ, აფულფათის-შვილი ლუარსაბ



ლანაშვილი ფარემუზა +, ლამაზაშვილი ლამაზა +, დათუნაშვილი დათუნა +, მე დეკანზის-შვილს ოსეს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა ქრისტიშობისთვის რვას, ქ[ორონი]ქ[ონ]ს უკდ.




პატა

+


მონა
ღ[ე]თისა
გერმან
ოზ

პაპუნა



პაპუ
ნა

ქ. მე, პაპუნ ამის მოწამე.



ქ. მე, ვიორგი ქავთარიშვილი ამისი მოწამე. გ[იორგ]ი¹.

372. 1736 წ. დეკემბრის „ნახევარს გასულს“. ყმისა და მამულის ნასყიდობის, წიგნი, მიცემული თამაზა საგინაშვილის მიერ თავის ბიძაშვილ იორამ ანდერმანის შვილისადმი. დედანი. დახული. $53,7 \times 25,2$ სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქო-არქ., ფ.—, №. 2919:

ქ. . . ესე უქუნისამდე ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ დამოგეცით. ჩვენ, საგინაშვილმა ბეჭანის შვილმა თამაზმა, ქმამან ჩენა დავით და

¹ სათაური სწვა სელით: ქ. აკურის ყმა და მამულის სიგელია გერმანოზიანთაგან. მოსწოდებული.

ზაჰამ, შვილმა სეიმონ და ბეჟან შენ, ჩემს ბიძაშვილს ანდერმანის-შვილს იო-რამს, ზურაბს, შვილსა თქვენსა იასეს, ანდერმანს, ნიკოლოზს, ბეჟანს და მო-მავალთა სახლისა თქუენისათა; — ასე რომე დამეჭირა და მოველ ჩემის ნება-წადილითა და მოგყიდე ჩემი სამკუიდრო ბარათში ნარგები ჩხიკუთას ედიშე-რაშვილი ვარდუა, გიორგა თავისის ძმებითა, იმისი განაყოფი ედიშა, ებალა, ჩეკურა-შვილი ჩეკურა თავისის ძმისწულებითა, თავის სახლის-კაცებითა, დღეს რასაც მქონებელნი იყუნენ. ესენი მოგვიყიდია თავისის წყლითა, მთითა, ბარი-თა, ნასყიდითა, უსყიდითა, რითაც ფერითა საყდრითა¹ და ყოვლის მისის სა-მართლიანის სამძღვრითა. ავიღე შენგან ფასი სრული, რითაც ჩემი გული შეგ-ჯერდა. არა დარჩომილა-რა ჩემი შენზედა არცა ერთი იოტის ფასი. გქონდეს და გიბედნიეროს ლმერთმან, როგორათაც სხვას ალალს მონასყიდეს პქონდეს და მოეკმარებინოს. არენი იყოს მცილე და მოდავე თვინიერ ლვთისმეტი. თუ უინმე წამოგედაოს, ან ბატონი, ან ყმა, ან ჩემი სახლის-კაცი, ან მტერი, ან მოყვარე, ან დიდი, ან ცოტა, პასუხისა და პირის გამცემი მე ვიყო. . . არიან ამისნი მოწამენი თავად ლმერთი, კაცთაგან ითანა სარდლის-შვილი² ელისბარ ყაფლანიშვილი², პაპუნა ზურაბიშვილი

პაპუ	, სულხან
. . .	

ქავთარიშვილი [. . . .], ქაიხოსრო გოსტაშაბიშვილი [. . .], მანუჩარ ციციშვილი², სულხან მდივანი², პაატა გერმანოზიშვილი [პაატა], გუგუ-

. . .

ჩა ნამანგლელავიშვილი², იესე ასლანიშვილი [იესე], გელია სამინაშვი-ლი [. . .], ყორლანაშვილი ზაალ [ზაალ ისა], ყორლანაშვილი ფარემუზა როსტომ

. . .

[. . .], თათარაშვილი ძულია² ებალაშვილი სიყმია²; დაიწერა კელი-თა ანჩისხატის მლუდლის გრიგოლ მხატვრის ძის დეკანოზის ალექსისათა ქრისტიშობის ნახევარს გასულს, ქლორონიკილნეს უკდ. [თამაზ] [. . .]

. . . .

ქ. მე, სარდალი ქაიხოსრო ამის მოწამე. [. . .]

თამაზ

ქ. ჩენ, ყაფლანის-შვილი უზბაში დემეტრე ამისი მოწამე.

. . .

¹ ამის შემდეგ იმავე მელნით წაშლილია ტექსტში: გალმა ზაზანაშვილის ნასყილის ვე-ნაკითა.

² აქ ბეჭდის დასასმელად ცარიელი ადგილია დატოვებული.

373. 1736—1737 წლ. ოქტომბერი II-ისა (იგივე აბდულა-ბეგ) ოსიუმა¹ ამრუმელაშვილისადმი
დედანი. 11×12,5 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის
ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაშმარია თრ-ორი წერტილი. თარიღი არ უხსის
ეცუთვნის არჩილ II-ის ქართლში მეფობის დროს—1736—1737 წლებს—საქ. მუხ.
№ 2711 ხდ.

ქ. ჩვენი ბძანება არის, ამრუმელაშვილო თსიუმავ! მერმე დავით² იჩივლა,
ჩემი ყმა არისო. შენი მამულის ბარათიც ამას აქვს. შენც ახლავ აქ' გადმოდი,
ამ პა[ა]ტას გადმოყევ.

შეფე	
არჩილ	

374. 1736—1742 წლ. პირობის წიგნი, შიცემული პატა და პაპუნა რევაზაშვილების მიერ-
მილახვარბაში მერალიბეგ [ციციშვილისადმი]. დედანი. 32,5×11,4 სმ, დაწერილი თეთრ
ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახ-
მარია თრ-ორი წერტილი. თარიღი არ უხსის: მისი მიმღები მერალიბეგ [ციციშვილი]
ცნობილი პირია; ის მილახვარბაში არის 1742—1743 წლებამდე; ამ წლებში კი იგი
იღებს ქაღანთარობას და საბუთი დაწერილი უნდა იყოს 1736—1742 წლებში—საქ.
ც.—არქ., ფ.—, № 5120.

ქ. ესე წიგნი მოგეც მე, რევაზაშვილმა პა[ა]ტაში და ძმამ[ა] ჩემ[მ]ა პაპუ-
ნამ თქვენ; ბატონს ჩვენს მილახვ[ა]რბაში მერალიბეგს; —ასე რომ გუჯ[ა]რეთს-
თქვენს მამულში ვეს[ა]ხლე და აკიყ[ა]რე, ჯ[ა]ვ[ა]ხეთს გადაველ. ახლა, ისევ
თქვენს მამულში ჩამოველ, ცხვარი ჩამოვ[ა]სხი, თქვენს მამულში დავ[ა]ყენე. ცოლ-შვილი ისევ ჯავ[ა]ხეთს მყ[ა]ვს. რამ წამს გზა გაიხსნას და მთა გატყდეს,
მაშინვე გადმოვიდე. თუ ამაში გაგიმტყუნდე და არ გადმოვიდე, ჯერ ვიყო
მლთის შემცოდე და მერმე ხემწიფოს და ცხვარი ლმერომა მოგახმ[ა]როს, მე
ხელი ამილია. არის ამისი მოწამე ბეჭ[ა]ნა თაბუნი [—] და წინქ[ა]მძღოლის-შვი-
ლი ისე [—] და მაზიაშვილი ბერი და მე სიმონაშვილი თამ[ა]ზ[ა]ს დამი-
წერია და მოწ[ა]მეც ვ[ა]რ ამისი. დაიწერა ესე წიგნი იანვრის ოცს გასულს.
+ +²

¹ დატით და პატა ციციშვილები.

² სათაური დაწერილი საბუთის მეორე გვერდზე სხვა ხელით: რევაზაშვილებისაგან მო-
ცემული წიგნი ბატონ-ყმობაზედ.

375. 1736—1750 წლ. წისქვილ-საწისქვილოების გაყოფის ოქმი ქრისტეფორე და გორგასპი [თუმანიშვილებისა] საზულას-შვილისა და დაბრვიას-შვილისადმი. დედანი. $12,7 \times 2,3$ მმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უჩის: გორგასპი [თუმანიშვილი] გვცვდება საბუთებში 1736—1754 წლებში. საბუთი დაწერილი უნდა იყოს. 1736—1750 წლებში—საქ: მუხ., № 988 sd.

ქ. ჩვენ ქრისტეფორემ და გორგასპიმ ახ[ა]ლდაბელები შევყარეთ ვინც[ა] ვინ უფროსი[] კაცნი იყვნენ: მღვდელი ივანე, კიდევ ესიტას-შვილი ივანე, გოგებას-შვილი დათუნ[ა] მამასახლისი და გაუყავით საზულას-შვილს და დათვეიას-შვილს. საზულას-შვილს მივეცით წისქვილი იქით მხრის წყლისქენ ერთი აძრუნებული და ერთი ასაბრუნებელი, სხვასთან ხელი არა ქონდეს წყალთა შუა გადასაგდებამდი, როგორიც სქახლი უნდოდეს, ერთი იმისთანა სქახლი აიაშენოს თავის შეს[ა]ვალ გას[ა]ვლითა. საზულას შორის წისქვილის მეტი არ ა[ა]შენოს, რომ წყალი უკვდავათ ქონდეს.

376. 1737 წ. იანვრის 14-ს. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ქაიბოსრო ჭედანიშვილის მიერ თავის ბიძაშვილ სარდალ გაბრიელ გედავანიშვილისადმი. დედანი. $59,5 \times 24,2$ მმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღად აქვს 1737 წ.—საქ: მუხ., № 846 Ad.

ქ. . . ესე უკუნისამდე ქამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და უცვალებელი, უმიზეზო და მიზეზ-შემოულებელი, ყოვლის ხლათისა და საქმისაგან გამოსული და გამორკუებული და ყოველთა კაცთაგან უცილებელი და მოუდევარი სამკუიდრო და საბოლოო ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოვეცით ჩვენ, გედავანიშვილმა ქაიხოსრომ, შვილმა ჩემა ლუარსაბ და ნიკოლოზ თქვენ, ჩემს ბიძაშვილს სარდალს გაბრიელს, მხასა თქუენსა ზაქალს და პა[ა]ტას, ძმის-წულსა შენსა გიორგის, შვილსა შენსა დემეტრეს და შოშიას, შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა;—ასე რომე დამეჭირა და მოქელ ჩემის ნება-წალილითა და მოგყიდე წეროანს კურნელაური გიორგის შვილი თამაზა თავის მამულითა და დედულითა, მთითა და ბარითა, შესავალითა და გასავლითა და მიწა-წყლითა, ვენაკითა, საკნავითა, უკნავითა და თავისის სამართლიანის სამძლერითა. ავიღე შენგან ფასი სრული, რითაც ჩემი გული შეგჯერდა. არა დარჩა-რა ჩვენი თქუენს და არცარა ერთი იოტის ფასი. გულდეს გიბელნიეროს ღრთნ, როგორათაც სხვას ალალს მონასყიდეს ყოლოდეს და შოეკმარებინოს. არვინ იყოს მცილე და მოდავე თვინიერ ღრთის მეტი. თუ ვინმე წამოგედაოს, ან ბატონი, ან ყმა, ან ჩემი სახლის კაცი, ან მტერი ან მოუჟარე, ან დიღი, ან ცოტა, პირისა და პასუხის გამცემი ჩვენ ვიყუნეთ . . .

არიან ამისნი მოწამენი . . . კაცთაგან შალალაშვილი სახლთ-უხუცესი გიორგი [] , სოლომონ მდიგანი [] , დეკანოზი დანიელ [] ! , კანდელაკი ითანე, თაზის-შვილი ელისბარ [] , თაზის-შვილი პატატა [] , ქარსიძე გიორგი, გედაგანიშვილი პეტრე [] , ელიოზის-შვილი ივანე [] , რევაზ გე-დევანის-შვილი + . დაიწერა სიგელი ესვ კელითა გრიგოლ მღუდლის მხატვრის ძის ანჩისხატის დეკანოზის ალექსისათა იანვრის იდ გასულს, ქორონიქონის უკე. + + + [] | [] | [] | ამისი მოწმე მაღამუკა მაღალ[ა]ძე. []

377. 1737 წ. იანვრის „გასულს“. ბატონყმობის წიგნი, მიცემული რამაზა ჯოლბორდიშვილის მიერ სალთხუცეს გიორგი [მაღალაძისადმი]. დედანი. $16,4 \times 10,7$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. თარიღად აქვს 1737 წ.—საქ. მუხ., № 1706 Ad.

ქ. ესე წიგნი მოგაროვი მე, ჯოლბორდიშვილმა. რამაზამ თქვენ, სახლთ-ხუცეს გიორგის; — ასე რომე თათარს ტყუეთ ვყუანდი და თქვენ დამისენით. თქვენს უკეთესი ბატონი არც მინდა და ღრთან ნურც მამცეს. ჩემი მოდავე თქვენი ღრთის მეტი არავინ იყოს, არც ბატონი და არც ყმა და თუ ვინმე წამოვედაოს, სამი თუმანი უნდა მოგცე. მერმე თავი დამანებო და თუ სამი თუმანი ვერ მოგცე, სამიღლეშმოდ თქვენი ყმა ვიყო. არის ამისი მოწამე მდივანი სოლომონ [] , თაზიშვილი ელიზბარ [] , ანჩისხატის დეკანოზი ალექსი + , მაღალაშვილი მამუკა [] და მე დავით დიაკონს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. კიდევ არის ამისი მოწამე ანჩისხატის კანდელაკის შვილი მიქელ. დაიწერა ესე წიგნი იანვრის გასულს, ქორონიქონიქონის უკე. +¹

378. 1737 წ. თებერვლის 11-ს. ყმების ნასყიდობის წიგნი, მიცემული ზაალ და სხვა მაჩაბ-ლების მიერ იოვანე ქსინის ერისთვის შვილისადმი. დედანი. $44,5 \times 27,7$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღად აქვს 1737 წ.—საქ. მუხ., № 6382 Ad.

ქ. . . ესე უცვალებელი, მტკიცე, შეურყეველი უამთა და ხანთა გასათავებელი, სამკვიდროდ და სამოლოდ შეუცველი, წიგნი და ფიცი და საფიცარი ნასყიდობის მოგაროვით ჩვენ, ქობულის-შვილმა მაჩაბელმა ზაალ, ზაზამ, ზურაბ და ოთარმა, შვილმა და მომავალმა სახლისა ჩვენისათა თქვენ, ქსინის.

¹ მინაწერი: ქ. თამასუქებია. ფალავანდის-შვილისაც აქ არის.

ერისთვის შვილსა ბატონს იოანეს, შვილსა და მომავალსა სახლისა თქვენი-
სათა;—ასრე და ამა პირსა ზედა: დაგვეჭირა და შემოგეხვეწნით, მოგყიდვ
ჩვენი სამკვიდრო თამარაშნელი ყმა სომეხი პეტუაშვილი სტეფანა, ბეჭანა,
ოსება თავის ცოლშვილითა, საქონლითა; ქონდეს და გიბედნიეროს ლონ, რო-
გორათაც სხვათ ალალს მონასყიდვს ყოლებია, ისრე თქვენ მოიხმაროთ გასას-
ყიდლათ თუ გასაზითვათ. მშვიდობასა და სიხარულში მოგახმაროს . . . ამისი
მოწამე ბატონი მთავერეფისკოპოზი არსენ, ჯვარის-მამა ბატონი გერასიმე,
იარალიშვილი იოვანე, ამირეჯიბი გიორგი, ხეჩხელიძე ჯამასპი, თუმანიშვილი
გიორგი, როჭივაშვილი ბეჭან, ნაზირი გიორგი, ბოქოულოთუხუცესი თექოუბან.
მე მდივანს გიორგის დამიწერია და მოწამეცა ვართ ამისი. დაიწერა ქორინი-
კონს ქრისტეს აქეთ ჩლლე, თებერვლის თერთმეტს გასულსა. + + +

არის ამისი მოწამე გურჯირევაზიშვილი ბოქოულო-უხუცესი ლუარსაბ.
მინაწერი: ქ. ქობულიშვილის მოსყიდული იოანე ერისთვის-შვილისა.

379. 1737 წ. თებერვლის 24-ს. მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული აბრამა და პეტრე
მარანას-შვილების მიერ თბილელის მებაღე ბერისადმი. დედანი. დახეული თავში და
მარჯვენა ნაპირზე. 46×17,2 სმ, დაწერილი თეთრ ქალაღდებე მხედრული შელით. გან-
კვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარის სამ-სამი წერტილი.—საჭ. მუს.,
№ 2739 hd.

ქ. . . ესე ამიერ დრო-[დაუდებელი] და [მიზეზ]-შემოულებელი ნასყი-
დობის წიგნი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ დილმელმან მარანეას-შვილმან
იობას შვილებმან აბრამამა, ძმამა ჩემმა პეტრემან, თქვენ თბილელის მებაღეს,
სიონთა ლ[ვ]თისმშობელის ყმას ბერსა, შვილთა და მომავალთა სახლის შენი-
სათა, შვილსა შენს პეტრეს, იობს;—დამიჭირდა და მოგყიდვ ჩვენის მამისა-
გან ნასყიდი და ნაქონი მამული ვაჟიბედურა. ქართვლობას თარხანი, ყოვლის
კაცის უცილობელი და მოუდევარი, ზემოთა ოქუზას-შვილის მიჯნამდინ, ქვე-
მოთა ჯარანას-შვილის მიჯნამდინ, ბოლოს ჭალა თავისის სამართლიანის გზითა,
წყალითა, შესავლ-გასავლითა. არის ამის მოწამე ლმერთი; კაცთაგან დამხვდურნი
და შემრიგენი გიუტას-შვილი ზურაბა, ივანე, თბილელის-შვილი ზაფალა; ხა-
ტიას-შვილი პეტრე, გეგელის-შვილი ესტატე. მე მლ[ვ]დელს. მელქისედეკს და-
მიწერია, მოწამეცა ვარ ამისი. ესე მამული სხვაზედ ვერ გაყიდო, ნახან შეიძ-
ლოს, პატრონმან დაიხსნას. დაიწერა ესე წიგნი თებერვლის ოცდა ოთხსა,
ქორონიკონის უკე. #¹

¹ სათაურები სხვა ხელით: ქ. ეს სიგელი ვაჟიბედაურისა არის.
ქ. ეს სიგელი ვაჟიბედურასია.

380. 1737 წ. აპრილის 4-ს. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, შიცემული გიორგი ჯა-
ვახის-შვილის მიერ შერმაზან ხურსიძისადმი. დედანი. დაზიანებული, დაკერებული.
55,2×21,5 სმ; დაწერილი სხვა საბუთის (№ 3709 ა), მეორე ცარიელ გვერდზე მხედრუ-
ლი ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია მთო წერტი-
ლი—საქ. ც.—არქ., ფონდი 226, № 3909—ბ.

ქ. . . ესე ამიერ უკუნისამდენ ჟამთა აღსასრულამდენ გასათ[ა]ვებელი
მიზეზ-შემოულებელი და ლრო-მოუდევარი, სამკეიდრო და საბოლომდინ გა-
სათ[ა]ვებელი ფიცი და პირი და სიგელი მოგეცით ჩვენ, ბატონმა და პატრონმა
ჯავახის-შვილმა ნიკოლოზის შეილმა გიორგიმ, როვინის-შვილმა ქაიხოსრომ,
ძმამან სვიმონ, ბერმა, ზაქარია, შენ, ჩვენს აზნაურშვილს ხურსიძეს
ნინიას-შვილს შერმაზანს, ძმასა შენსა ბერუეს, იაკობს, შეილსა შენსა ოტიას,
თამაზას, ბერსა და პეტრეს და მომავალსა სახლისა თქვენისათა; — ასე რომ და-
გვეჭირა და მოგვიდეთ საყავრეს ჩვენი მამული გორგიას-შვილი ბერუა თავისის
მამულითა და ვენაკითა, მიწითა, წყლითა, მთითა, ბარითა, სეთიბითა და წის-
ქვილითა, სახლითა და კარითა, ქვევრითა და მარნითა, სასაფლაოთა, ნასყიდი-
თა და უსყიდითა, ყოვლის ხამართლიანის საქმითა შენთვის მოგვიყიდია. რისაც
მქონებელი ყოფილოყოს, გქონდეს და გიბელნიეროს ვითამც სხვათ მონასყიდეთ
ქონია. ავიღეთ ფასი სრული, რითაც ჩვენი გული შეგჯერდებოდათ. არის ამისი
მოწამე თავად ღ[მერ]თი და . . . კაცთაგან წმინდის ესტატეს დეკანოზი პავ-
ლე¹, გარგარეთელი იოთამ¹, აბულ-ვიაქრდის-შვილი. მლდელი ბასილი, გამ-
ყრელიძე მამუკა, კოშაძე ქიტესა, ჯანანაშვილი ივანე, ბიჭიკაშვილი ზაქარია,
დეკანოზი ფილიპე, იოსების-შვილი საბა . . . ასე რომე გაყიდო თუ მამულზე
გასცვალო, აცარენო თუ აცალენო, თუ რათაც ფრად მოიქმარო, არც ჩვენ და
არც ჩვენის სახლის მომავალს კელი არა გვქონდეს . . . მე გიორგას (?) და-
მიწერია. დაიწერო აპრილის დ გასულს, ქორონიკონს უკე. + + + + +

381. 1737 წ. აპრილის 11-ს. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული იასე როი-
ნაშვილის [ყორლანაშვილის] მიერ თავის ბიძაშვილის ზალ როსტომაშვილისადმი.
დედანი. 62,7×22 სმ; დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის
ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი.—საქ. ც.—არქ., ფონდი
226, № 3908.

ქ. . . ესე ამიერით უკუნისამდე ხანთა და უამთა გასათავებელი ნასყი-
დობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგეც მე, შენმა ბიძაშვილმა როინა-
შვილის გიორგის შვილმა იასემ თქვენ, ჩემს ბიძაშვილს როსტომაშვილს ზა-
[ა]ლსა და ძმასა შენსა ბევანსა, შვილსა შენსა ქაიხოსროსა და ავთანდილს,

¹ აქ ბეჭდის დასასმელად ცარიელი ადგილია დატოვებული.

გიორგის და ფარსადანს, ძმის წულსა თქვენსა როსტომს: — ასე ორმ პრც ჩემის ყმის შენახვა შემეძლო და არც ჩემის თავისა, მოველ და შემოგეხვეწე, ჩემი თავი შენ მოგანაბრე და ჩემი ყმები და მამული შენ მოგყიდე. ავიღე ფასი სრული და უნაკლულო, რითაც ჩემი გული შესჯერდებოდა. გქონდეს და გიბედნიეროს ლმერთმან, რაგვარიადაც სხვის ალალს მონასყიდეს მოპემარებოდეს. თუ ვინმე წამოგედაოს, პასუხის გამცემი მე ვიყო. არის ამისი მოწამე თავადლმერთი . . . კაცთაგან ამილამბარ გოსტაშაბიშვილი [], სულხან ქავთარიშვილი [], მორდალი ქიოხოსრო [], ედიშერ საამიშვილი []. გუგუნა ნამანგლელავიშვილი; გერმანოზიშვილი პაპა¹, გიორგი ყარაბუდახიშვილი [], გაბაშვილი პაპუნა¹, ყორღანაშვილი ყორღანა +, თანდულაშვილი გიორგი +, ფარსადანა +, მილდისი ფარემუხა +, შასი ძმა ბეჟანა ბეჟან². ფარსადანაშვილი ზურაბა +, მისი ძმა გიუგა +, შაიკაშვილი დოლმაზა +, ჩილინგარი დავითა +, ლამბარიშვილი დათუა +, ფეიქრის-შვილი. გიორგი და ასრათა და თანდილა, არუთინა +, აკოფაშვილი ასრათა +, აბესალაშვილი პაპა +, მე იასეს ქავთარიშვილს დამიწერია და მოწამეც ვარ. წიგნი დაიწერა აპრილის ია გასულს, ქორონიქონის უკუ. +

ქ. მე, მდივანი სულხან ამის მოწამე ვარ. []

ქ. მე, ყარან ამისი მოწამე ვარ. []

ქ. მე, მდივანი აეთანდილ ამისი მოწამე ვარ. []

ქ. ამ ნასყიდობის წიგნის წინააღმდეგი ამის მოდავეს არა პქონდა. რა ბეღნიერის კელმწიფის ბძანებით ჩეენ მდივანბეგებმა მოვიკითხეთ სამართალში ეს წიგნი. მტკიცეთ და მოთაბრათ აღმოჩნდა და ჩეენგანაც დამტკიცდა. აღი წერა აგვისტოს იზ, ქორონიქონის უნზ. [] [] []

ქ. ჩეენ მეფე ქართლისა და ქახეთისა ირაკლი ამ ნასყიდობას ვამტკიცებთ აგვისტოს იზ, ქორონიქონის უნზ.

ერეკლე

382. 1737 ქ. მაისის „დამდეგს“. ძმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ბეჭუა მამულაშვილის მიერ ვართანანთ საკასადმი. საბუთი მცხეთის ეკლესიისა № 439. დედანი. დახული თავში. 54,7×21,4 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშან ყოველი სიტყვის შემდეგ ნაშმარია სამ-სამი წერტილი—საჭ. ც.—არჭ. ფონდი—, № 1178.

ქ. . . ესე უთუო, ღრო-დაუდებელი მიზეზ-შემოულებელი ყოვლის ჩხუბისა და ილეთისაგან გამოსული და ყოვლის აღამინისაგან მოუდევარი ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცი მე, ზერტელმან შამულაშვილმან ბეჟუამ, მოგყიდე ჩემი ძმა ბერუა შენ, ვართანა[ა]ნთ გიორგის შვილს საწა]-

¹ აქ ბეჭდისათვის ცარიელი ადგილია დატოვებული.

² ხვეულად.

ჭამა და შვილსა შენსა ის[ა]იასა და გოგილასა; — ასე რომე მტერმან შემაგულიანი და ნასყიდობის წიგნი დამახევინა და ბატონის ამილახორთან მიეცდი, ჩემის ნების წალი და ბატონის ჩემის ცოლშვილს მოვაცემინე. ჩემის ნებით სიგელი დაგიწერე და მოგეცი: არას კაცს შეხთან ხელი არ აქვა, არც ბატონს და არც ყმას, არც ნ[ა]თესავს. არის ამისი მოწამე თავ[ა]თ ღ[მერ]თი, კაცთაგ[ა]ნ ხითა-რაშვილი გიორგი [], ამირალა[ა]ნთ ზურაბა¹, ავთანდილაშვილი ზალია [] მონარქია[] გამოსახულისი როსტომა [] როსტომ [] , სა[ა]კა[ა]ნთ მანუჩარა, ¹

ფეშანგიშვილი ანდრია.¹ მე, თუმანიშვილს დემეტრეს დამიწერია და მოწამეც ვარ. დაიწერა მაის[ის] დამდეგს, ქორონიქონ[] უკვ. + + []

ქ. ჩვენ, ბატონი ამილახორი ამისი მოწამე ვართ.

[. . .]

ქ. მე, ფალ[ა]ქ[ა]ნთის-შვილი ფეშანგი ამისი მოწამე ვარ.

ქ. მერაბა[ა]ნთ სა[ა]კა ამის მოწამე ვარ.

[. . . .]²
სა[ა]კა.

383. 1737 წ. მაისის „დამდეგს“. ყმის შვილის ნასყიდობის წიგნი. მიცემული იყანე საკა-ბის მიერ მგელი და სხვა ძერინას-შვილებისადმი. დედანი. დაზიანებული: თავი მოხეულია და დაკარგული; ტექსტს აკლია. 29,1×24,8 სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. ც.—არქ. ფონდი 226, № 146.

ეს უკუნისამდე უამთა და ხანთა გასათავებელი, უთუო და უთუმცო, დრო-დაუდებელი და მიზეზ-შექმოულებელი, ყოვლის ჩეუბისა და ილათი-საგან ვამოსული ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგყიდე მე, საქა[] ივანები და შვილმა ჩემმა ბეჟან, ძმის-წულმა ჩემმა დავით და სხვათა შვილთა და მომავალთა სახლისა ჩვენისათა ყოველთა: — ოდეს ავის დროსაგან დაგვეკირა, მოგყიდეთ ჩვენი მემკვიდრე ყმის შვილი ჩარექას-შვილი კაციას შვილი თამაზა თქვენ. ვანთელს ბერინას-შვილებს მგელიასა, ძმასა შენსა თამაზასა, შვილსა თქვენსა ლეგვიასა, ქიტუასა, ხიზანასა, ძმის-წულსა შენსა გიორგისა, სხვათა შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთა; ავიღეთ ფასი სრული და უკლები, როთაც ჩეენი გული შეჯერდებოდა, ალარა დარჩო-

¹ აქ ბეჭდის დასასმელად ცარიელი ადგილია დატოვებული.

² სათაურები: ქ. გორელი ვართანას-შვილის სა[ა]კა[ა]ნი და იმის შვილის ისაიასი და ბეჭუანას შეწირული არის. ქ. ზერტელი ბერუას წიგნი, რომ ჩვენ დავიხსენით.

მილა-რა თქვენთან არც ერთის იოტის ფასი. გყვანდეს და მოგახმაროსთ
ღმერთმან. ვინც ამ ჩემს მოსყიდულს კაცს შემოგეცილოს ვინმე, პასუხის გამ-
ცემი მე ვიყო. არის ამისი მოწამე თავად დაუსაბამო ღმერთი კაცთაგან
ჩვენი ყმა ჯერისაშვილი ბერი, [შვილი ბერუქა, ოქრომჭედელი პარ-
ქუას-შვილი თამაზა, ზაქარას-შვილი ელისბარა და მე, ვახუშტის მდივნის-
შვილს გიორგის დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა მაისის] დამ-
დეგს, ქორონიქონის უკე. + +
. ს სა[ა]კაძეს დამიწერია და ყაბული ნინუასა და ზა[ა]ლსა,
ესტატესა მაქვ[ს]. +

384. 1737 წ. ივლისის „დამდეგს“. დავის გარდასაწყვეტის წიგნი, მიცემული ზურაბ და
სხვა მალალას-შვილების მიერ ხუთავერდა ვართანას-შვილისადმი. საბუთი შეცემისა
(№ 455). დედანი. დახული თავში. 43,4×16,2 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდევ მხედ-
რული ხელით. ასო—მეტ-ნაკლები. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდევ ნახ-
მარია ორ-ორი ან სამ-სამი წერტილი—საქ. ც.—არქ., უონდი—, № 925.

ქ. . . ესე გარდასაწყვეტისა წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით
ჩვენ, მალალას-შვილის სარიდანის შვილმან ზურაბ და ელისემან თქვენ, გო-
რელს ვართანას-შვილი გიორგის შვილს ხუთავერდას და შვილსა შენსა ისაი-
ასა, გიორგისა, ძმასა და შვილსა და შველის-შვილსა თქვენისასა;—ასე რომე
ჩემს ყმას ზერტელს მამულას-შვილს ბეჟუას თავისი ძმა ბერუა მოყვანა და
შენთვის მრეყიდნა და სრული ფასი აერო, მასუქი ჩემი [სახლის-კაცი წმიოგ-
დავებოდნენ და, როდესაც ისინი ჩვენგან გაყრილნი იყვნენ და იმათ ხელი არა
ქონდათ, ამისთვინსა რომა ჩემი წილი იყო, მოველ და. წამოგედავე. როდესაც
ნასყიდობის სიგელი გქონდა და გამოიტანე და ბ[ა]ტონს ამილ[ა]ნორსაც ვა-
მართლების წიგნიც მოეცა და ველარცარას მე შემოგივიდოდი, მაგრამ ჩვენის
მორიგებისათვინა ცოტა იყო თუ ბევრი, კიდევ ჩვენი გულიც შეიჯერიეთ და
ჩვენც ხელი ავილევით და დაგანებეთ. გყვანდეს და გიბედნიეროს ღმერთმა,
რარიგათაც მრავალს ალალს მონა[ს]ყიდეს მართებდეს გასასყიდლათა, გასახი-
თვლათ, რათერათაც მოსახმარათ გიძლოდეს, ყველგნივ ხელი გეწითოდეს.
არავინ არ შემოგეცილოს ერთი თვინიერ მღლის მეტი. თუ ვინმე შემოგეცი-
ლოს, ან მე, ან ჩვენი გან[ა]ყოფი, ან ჩვენი სახლის კაცი, პირისა და პასუხის
გამცემი ჩვენ ვიყოთ. . . არის ამისი დამხდური და მოწამე თავათ ღმერთი
. . . კაცთ აგან ამისი მოწამე გორის მელიქი თაყინას-შვილი ბატონი¹
ფარსადანა, ხითარას-შვილი გიორგი¹ და მეით[ა]რი ქ[ა]ხოსრო,¹
მამასახლისი როსტომა¹ და მამას[ა]ხლისი ზალია,¹ მდივ[ა]ნი გორ-
ჯ[ა]სპი | |, თ[ა]ყინა[ა]ნთ გ[ა]ბრიელი | |, დოლმ[ა]ზ[ა]ნთ ზუ-

¹ აქ ბეჭდის დასასმელად ცარიელი ადგილია დატოვებული.

რაბა¹ მერ[ა]ბ[ა]ნთ სა[ა]კა | . . . | და მე მენ[ა]ლ[ა]რუ ამირას-შეილს
ესტატეს დამიწერია, შოშამეცა ვარ ამისი; დაიწერა მკათათვის დამდეგსა, ქ[ო-
რონი]კ[ონ]ს, უკე. + + | . . . |²

385. 1737 წ. ოვლისის 17-ს. წიგნი, მიცემული ნიკოლოზ ურბნელის მიერ ზაზა მოურავის-
შეილისადმი. დედანი. დაზიანებული: მარჯვენა ნაპირი მოხეულია და დაკარგული.
 $22,4 \times 10,6$ სმ. დაწერილი თეთრ ქალალდე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშ-
ნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაწმარია თითო წერტილი—საქ. მუზ., № 2992 hd.

[ქ.] ნებითა და შეწევნითა ღ[ვ]თისათა, ესე წიგნი მოგართვი ჩვენ ურბ-
ნელმა ბატონმა ნიკოლოზ თქვენ, მოურავის-შეილს ზაზას;—ასე რომე, თქვენ
რომე ხანის ბძანებით მგალობელი ნიკოლოზ დაიჭირეთ და მე დავიხსენ,
დღეის იქთ ამ ს[ა]ქმეზედ მგალობელმა ნიკოლოზ თუ თქვენ გიჩივლოს საღმე
ან გელ[ა]ქარაკოსთ რასმე, პირისა და პასუხის გამცემი ჩვენ ურბნელი ვიყოთ.
აშის მოწამე ბერძნენი იაკობ, ყიასაშეილი ბერენ, მორჩილიძე ბახუტა, მე კან-
დელ[ა]ქის-შეილს სტეფანეს დამიწერია. მოწამე ვარ. ივლის იზ, ქ[ორონი]-
კ[ონ]ს უკე.

ურბნელი
ნიკოლოზ

386. 1737 წ. ივლისის 17-ს. წიგნი, მიცემული ნიკოლოზ მგალობელის მიერ მოუ-
რავის-შეილი ზაზასადმი. დედანი. დაზიანებული თავში. $18,5 \times 10,2$ სმ, დაწერილი
თეთრ ქალალდე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ
ნაშმარია თითო წერტილი—საქ. მუზ., № 14.181 hd.

ქ. ესე წიგნი მოგართვი თქვენ, დიდის მოურავის-შეილს ბატონს ზაზასა
მე, მგალობელმა ნიკოლოზ;—ასე რომე ხანი გამიწყრა და ორი შეილი წამარ-
თვა. მე ასე მეგონა, თქვენი საქმე ყოფილიყო. თქვენ გაბრალებდი; მართალი
შეფიტყვი, თქვენ უბრალო ბძანდებოდეთ. ამ საქმეზედ მე თქვენთან საქმე
არაფერზო არა მქონდეს-რა. რაც შემეძლოს ყმობის რიგზედ გემსახურო, ერთ-
გულობის მეტი არაფერი საქმე მქონდეს. ბატონის ურბნელის მოწმობით. მე

¹ აქ ბეჭდის დასასმელად ცარიელი ადგილია ლატოვებული.

² სათაურები სხვადასხვა. ხელით ა. ქ. ბერუასა ბატონის [მაღალა]შეილი]ს მოცემული
წიგნია. ბ. ქ. გორელი. ვართანას-შეილი სა[ა]ქ[ა]ს და იმის შეილის ისაიას და ბეჭანას შეწირული
არჩება.

ქ. სათაური სხვა ხელით: ქ. ურბნელის მოცემული წიგნი.

შეალობელს დამიწერია და ყაბულიცა მაქუს. მკათათვის იჩ., ქორონი]ქონის
შე. [:::]

ქ. ჩევნ, ურბნელი ნიკოლოზ ამის მოწამე.

ურბნელი ნიკოლოზ

387. 1737 წ. ოქტომბრის 14. პირობის წიგნი, მიცემული ყმის გიორგი მატიაშვილის მიერ
თავის ბატონ სარდრის-შვილ ფარსადანისადმი. დედანი. 29×16 სმ. დაწერილი თეთრ
ქალალდეს მხედრული ხელით. ასო—მეტ-ნაკლები. განკვეთილობის ნიშნად ყოველი
სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. მუხ., № 1313 Ad.

ქ. ესე წიგნი მოგარენით ჩევნ, თქვენმა მეშევიდრემ ყმამ წაჰელმა მა-
ტიას-შვილმა გიორგიმა თქევნ, ბატონს ჩევნს სარდრის-შვილს ფარსადანს;—
ასრე რომ მე ქალაქში გავიზარდე, აყლობა ვისწავლე და თქევნ ჩემი ქალაქი-
დამ აყრა მოინდომეთ და ისევ წაჰელის გვასახლებლით. მოვედით, თქევნ შემო-
გეხვეწენით, ამიტომ რომ ქალაქში სახელო მესწავლა და უქალაქოდ სოფელში
უერ დავრჩებოდი და ვერც სახელოს გაუშვებდი. თქევნც წყალობა გვიყავით
და ქალაქიდამ იღარ აგვიარეთ და ეს სამსახური დავიდევ თქევნი, რომე უნ-
და წელიწალში რვა მინალთუნი და სამი კორი პური გეშმახუროთ და გაძ-
ლიო. ამასდა გარდა სხვა გამოსალები არც არა თქევნა მთხოვოთ და არც
არა თქევნმა მოკელეებმა და არც არა ქალაქის ხარჯი და გამოსალები მე
მეთხოვებოდეს და თქევნი წყალობის წიგნიც ამგვარად მაქებ. არის ამისი მო-
წამე და გამრიგე გოდაგა[ა]ნთ გრიქორა [] და ბუძგულა[ა]ნთ ო[პ]ანეზა
და ასლანბეგა[ა]ნთ დანელა¹ და თქევნი სახლთხუცესი ბეჟან² და მე
იოკიშე შვილს მიქელს დამიწერია და მოწამეც ვარ. დაიწერა ესე წიგნი ლვი-
ნობისთვის იდ, ქორონი]ქონის უკუ. +

388. 1737 წ. დეკემბრის 17-ს. ყმისა და მამულის წასყიდობის წიგნი, მიცემული პაატა და
რისტომ რევის-შვილების მიერ ელიზბარ ორბელის-შვილისადმი. დედანი. 43,5×27,7 სმ,
დაწერილი თეთრ ქალალდეს მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად აღვილ-ადგილ
ნახმარია ორ-ორი წერტილი, თარიღი აქვს 1737 წ.—საქ. მუხ., № 1241 ad.

ქ. . . ესე უკუნისამდე მტკიცე და უცვალებელი ფამთა და ხანთა გასა-
ასავებელი სამკვიდრო და საბოლოო ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ

¹ აქ ბეჭდის დასასმელად ცარიელი ადგილია დატოვებული.

² სათაური: ქალაქის, ქაცის წიგნია +.

და მოგეცით მე, რევის-შვილმა პაატამ და ძმამან ჩემმან როსტომ, შვილმან ჩემმან ოსურ და გიორგიმ და მომავალმან სახლისა. ჩემისამან თქუენ, ორბე-ლის-შვილს ბატონს ელიზბარს, ძმასა თქუენსა ვახტანგს, შვილსა თქუენსა იოანეს, ძმისწულსა თქვენსა ნიკოლოზს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა; —ას რომე წრულეთს ამოვარდნილის ჩვენის განაყოფის წილი მა-მული და ყმა ბატონის ნაწყალობევათ ხომ თქვენ გეჭირათ, ახლა მე დიალ გა-მიჭირდა, სიღარიბისა და ვალისაგან ძალი დამადგა, ავიღე ჩემის წადილითა და მოგყიდე ჩემი წილი წრულეთს, რაც ბარათში გამოყოლილი ან ყმა მყუანდა ან მამული მჭონდა სახასოდ: ელიზბარა სულხანაშვილი, ქიტიაშვილი დავითა, იმედას-შვილი იასე, ბასილაშვილი ლაზარე, ბაინდურას-შვილის მამული, ქიტუას-შვილის მამული, ძამუას-შვილის მამული, დათინას მამული; ესე და ყოველი ჩვენ წილად ნაქონი მამული მათის მთითა და ბარითა, საკნავითა, უკნავითა, სათიბითა, საძოვრითა და ტყითა, წისქვილითა და სავენაკითა, ნასყიდითა და უსყიდითა და ყოველის მათის სამართლიანის სამძღვრითა! აღარა არის რა ჩემი წრულეთში, არცა სასახლე, არცა ბალი, არცა თუ ერთის ისრის დასობა მა-მული, ავიღეთ ფასი სრული, რითაც ჩვენი გული შეგჯერდებოდა. არა დარჩა რა ჩვენი თქვენზე არცა ერთის იოტის ფასი. გქონდეს და გიბედნიეროს ლ'ონ, როგორათაც სხვას ალალს მონასყიდეს მოჰკმარებოდეს, არავინ იყოს მცილე და მოდავე არა ბატონი, არა ყმა, არა სახლისკაცი და არა სახლისა ჩემისა მომავალი და თუ ვინმე წამოგედაოს, ბასუხის გამცემი მე ვიყო . . . არიან ამისნი მოწაბენი . . . კაცთაგან ზურაბის-შვილი ბაბუნა [] და ზურაბ,¹ იარალიშვილი როსებ,¹ გოსტაშაბის-შვილი ქაიხოსრო +, ქავთარიშვილი სულხან, სულხან² ნამანგლელავის-შვილი გუგუნა [], გერმანზის-შვილი პა-ატა [], საამის-შვილი ედიშერ,¹ გაბაშვილი პაპუნა [], თურქისტანის-შვილი ზაზა +, ქერუაშვილი ბერუა¹ წვერის დეკანოზი ოქროპირი აღვ-სიაშვილი¹. მე დეკანოზის-შვილს ოსეს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა ქრისტიშობის იზ, ქ[ორონი]ქ[ონ]ს უკე. მე პატას და ჩემს ძმას როსტას ამ სიგლის ყაბული გვაქს [] +.

ქ. ჩვენ, ამილახორი გივი ამისი მოწამე ვართ. []

ქ. მე, მღივანი სულხან ამისი მოწამე ვარ. []

ქ. მე, ერასტი თაქალთოიანი ამისი მოწამე. []³

¹ აქ ბეჭდის დასასმელად ცარიელი ადგილია დატოვებული.

² ჩვეულად.

³ სათაური: ქ. წყლურეთის ნასყიდობის წიგნი.

389. 1737 წ. ახლო. მამულის წყალობის წიგნი, მიცემული ავთანდილ ჯავახიშვილის მიერ ივანა დათვას-შვილისადმი. პირი XX ს-ისა. 22,3×17,8 სმ, გადაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. თარიღი არ უზის: მისი მიმცემი ავთანდილ ჯავახიშვილი თავის შვილებით მხექაბუკით და თემურაზთ გვხვდება საბუთში 1737 წელს (საქ. სიბ., II, № 350—391); საბუთი დაწერილი უნდა იყოს ამ 1737 წლის ახლო დროსაფა — საქ. მუხ., № 10.263 hd.

ქ. ესე წიგნი გიბოძეთ ჩვენ, [ჯ]ავახის-შვილმა ავთანდილმან და შვილმან ჩემა [მხექაბუკ] და თემურაზ [—], ვახუშტიმ [—] შენ, დათვას-შვილს იყანას და შვილსა შენსა შიოსა ჩვენს ყმასა; — ასე რომე შენი ნაფუზარი ჩვენი ნასყილი იყო, ისევ ჩვენ წყალობა გიყავით. შენი წიგნი ვერ ვიპოვნეთ და ისიც მოგცემთ. დაიწერა ესე წიგნი აპრილის ოცდა ხუთს გასულს. [—]

390. 1737—1757 წლ. საქვრიოს გამორთმევის წიგნი, მიცემული გიორგი თურქისტანიშვილის მიერ გიორგი ჩინჩალაძისადმი. დედანი. 22,3×8,7 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორორი წერტილი. თარიღი არ უზის: მიმცემი გიორგი თურქისტანიშვილი გვხვდება საბუთებში 1737, 1738 და 1757 წლებში (ც —არქ., ფ —, №№ 18/88, 2/118 და 26/152) და ეს საბუთიც ამ 1737—1757 წლებს უნდა ეკუთვნოდეს — საქ. მუხ., № 1227 hd.

ქ. ესე წიგნი [ი] მოგეცი მე, გიორგიმ თურქისტანის-შვილმა შენ, ჩინჩალ[ა]-დეს გიორგის და შვილსა შენსა ნიკოლოზს; — ასე რომე ჩემი¹ ბიძაშვილის გიუ[ა]ს ნაცოლარი ქ[ვ]რივი მაინდომე შესა[რ]თავათ და მეც მოვინდომე და ჩემ[ი]ს რახითა მოგათხოვე და საქ[ვ]რიოც გამოგა[რ]თვი, რაც ჩემი გული შეგჯე[რ]დებოდა და შენოთ[ან] არას კაცს კელი არა ქონდეს მღთის მეტს. თუ ვინმე ამისი მოდავე. წ[ა]მოდგეს ვი[ო]ნჩე, პასუხი მე მივცე. არას ამისი მოწ[ა]მე ელიზბარია სოლაშვილი, კაცურა მექასრის-შვილი და მე თითონ გიორგის და-მიწერია, ყაბულიც მაქს ამისი. +

391. 1738 წ. იანვრის „დამჭევს“. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ოთარ გერმანოზის-შვილის მიერ ქაიხოსრო გოსტაშაბის-შვილისადმი. პირი XIX ს-ის დასაწყისისა. 35×21,8 სმ, გადაწერილი ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახარია ორ-ორი წერტილი. — საქ. მუხ., № 10032 hd.

ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგეც მე, გერმანოზის-შვილმა ოთარ, შვილმა ჩემმა იესემ და ნიკოლოზ თქვენ, გოსტაშაბის-შვილს

¹ შენი (?).

ქაიხოსროს, შვილსა შენსა თამაზს, როსტომს, ნიკოლოზს და რევაზს; — ასე რომე დამეჭირა და ჩემის დაჭირებისათვის მოგყიდე ჩემი სამკვიდრო ბარათის ყმა აბელიას დარბაისელი ერაპეტას-შვილი, იქივ ჭიხუას-შვილის მამული. ესენი თავისის ნასყიდითა, უსყიდითა, მთითა, ბარითა და თავისის ყოვლის სამართლიანის სამძღვრით. ჯონიდეს და გიბერნიეროს ღ[მერ]თ[მ]ან, როგორათაც სხვას აღალს-მონასყიდეს. თუ კინმე ამაში წამოგედაოს, პირისა და პასუხის გამცემი მე ვიყო. არის ამისი მოწამე პირველად ღ[მერ]თი და ყოველი მისი წმანდანი და კაცთაგან ჩემი ბიძაშვილი პაატა [აატა], ჩემი ძმა გერმანოზ, ნამანგლელაფის-შვილი გუგუნა [გუგუნა], ქავთარის-შვილი სულხან, სა[ა]მის-შვილი

საამ და უდისშერ [ედიშერ], აფურფათის-შვილი ლუარსაბ და მე დეკანოზის

შვილს ნიკოლაოზს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა იანვრის დამდეგს, ქორონიკონის უკვ. მე, კაცია ამისი მოწამე ვარ. +

მე, გუგუნა გერმანოზის-შვილი ამისი მოწამე ვარ.

მე, პაპუა გერმანოზის-შვილი ამისი მოწამე ვარ.

მე, მუშრიბი ყორლანაშვილი ამისი მოწამე ვარ.

[როსტომ]

მე, ტფილელი ეფთვიმე მოწამე.

[ეფთვიმე]

მე, იოთამის-შვილი ერასტი ამისი მოწამე.

[ერასტი]

ქ. მე იარალა იარალაშვილი ამისი მოწამე. +

ქ. მე კორკოტის-შვილი ლუარსაბ ამისი მოწამე ვარ. +

392. 1738 წ. თებერვლის 2-ს. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ოთარ ალექსიშვილის მიერ ფარსადან ციციშვილისადმი. დედანი. დაზიანებული (დახული) თავში. $45,8 \times 24$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდეს მხედრული ხელით. განკვეთილობის, ნიმად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. ც.—არქ., ფ.— № 2760.

ქ. . . ესე უქუნისამდე ჟამთა და ხანთა გასაოავებელი ნ[ა]სყიდობის წიგნი მოგაროვი მე, ალექსიშვილმა ოთარმა, შვილმა ჩემ[მ]ა ივანემ, თქვენ ციციშვილს დიდის ნოდარის შვილის შვილის ზაზას შვილს ბატონს ფარსადანს, ძმასა თქვენსა ალექს[ა]ნდრეს და დავითს და მომ[ა]ვ[ა]ლთა თქვენთა; — ასე რომე

შას უამსა ოდეს დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენის ნება-წალილით ჩვენი ალალი
 მამული, დედის ჩემის ზითევი გარკალს შემახაშვილი შელქუა, მისი ძმა ზიხუა
 ო[ა]ვის ს[ა]ხლის მომ[ა]ვ[ა]ლითა და მამულითა, რისაც მქონებელნი იყვნენ.
 იქ[ა]ვ ტ[ე]ტიაშვილის პაბას ნ[ი]ქონი მამული და უმეკაშვილის ზურაბას ნ[ა]ქონი
 მამული. ეს ერთი მს[ა]ხლობელი შემახ[ა]შვილი და ორის აყრილის გლეხის
 ნ[ა]ქონი მამული მ[ა]თის საყდრით და ს[ა]ს[ა]ფლ[ი]ოთი, წყლითა და წისქვი-
 ლითა, ველითა, ვენ[ა]კითა, ს[ა]ხლე[ა]რითა, ქვევრ-მარნითა, სახლითა, კ[ა]-
 რითა, კ[ა]ლო-ს[ა]ხლითა, შესაქვლითა, გას[ა]ვლითა, ს[ა]ძებრითა, უძებრითა,
 ყოვლის სამართლიანის სმძღვრითა, რისაც მქონებელნი ყოფილიყონ, თქვენ-
 თვის მოგყიდია. ავილევით ფასი სრული და უკლებელი, რით[ა]ც ჩვენი გული
 შეგჯერდებოდათ. ჩვენი თქვენთან აღარა დარჩომილა-რა ერთის იოტის ფასი
 . . . არის ამისი მოწამე კა[ა]ცთაგან ციციშვილი ბატონი ნოდარ,¹ გურჯი-
 რევ[ა]ზიშვილი ბოქ[ო]სულთხუცესი ლუარსაბ,¹ მეღვინეთხუციშვილი ს[ა]ხლო-
 ხუცესი ბეჟან,¹ თ[ა]ვყელიშვილი სახლთხუცესი ზურაბ [. . .], გლურჯიძე
 თ[ა]ვი[ლ]დარი მანუჩარ,¹ ატოცის დეკანზიშვილი ოტია,¹ ჯომარდიძე ივანე
 +. მე ოთარს ალექსიშვილს დამიწერია, ყაბულიც მაქეს ამისი. ამისი
 მოწამე წედისის მამას[ა]ხლისი ჩიჩიძე +, ატენის მამას[ა]ხლისი ხეჩიკაშვილი
 ამირა +; დაიწერა ეს წიგნი თვესა ფეხერგებ[ი]ლს ბ, ქორონის[ო]რნეს უკ. + +
 ამისი მოწამე თურმანიძე დავით +, გლურჯიძე ნიკოლოზ + და ფრიდონ +,
 თ[ა]ვყელიშვილი ტარიელ +, ამისი მოწამე ნაობიშვილი ოქრომჭედელი გიორ-
 გო. +

- ქ. ჩვენ, როჭიკაშვილი ოთარი ამისი მოწამე.
- ქ. ჩვენ, ციცის-შვილი დავითა ამისი მოწამე.
- ქ. ჩვენ, სარდლის-შვილი ქა[ი]ხოსრო ამისი მოწამე.
- ქ. ჩვენ, ჯრაჩი სულემანა ამისი მოწამე.
- ქ. ჩვენ, ბატონი ვექილი ალიყული-ბეგ ამისი მოწამე ვარ. [. . .]

ქ. ჩვენ, ამილ[ა]ხევრის-შვილი ეშიკალაბაში რევაზ ამისი შოწამე. [. . .]

ქ. ჩვენ, ავალის-შვილი ბა[ა]ტონი ქა[ი]ხოსრო ამისი მოწამე. [. . .]



ქ. ჩვენ, ყაფლანის-შვილი ეშიკა[ლა]ობაში დემეტრე ამისი მოწამე.

ქ. ჩვენ, ციცის-შვილი მანუჩარ ამისი მოწამე. [. . .]

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოს ქათალიკოზი კირილე ამ ნასყიდობას
 ვამტკიცებთ. ქათალიკოზი კირილე².

¹ აქ ბეჭდის დასამდლად ცარიელი ადგილია დატოვებული.

² ზევულად.

393. 1738 წ. თებერვლის 11-ს. ყმისა და შამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული დაუკითხურებისტანის-შვილის მიერ დემეტრე ყაფლანის-შვილისადმი. $47,3 \times 18,2$ სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. ასო—მეტ-ნაკლები. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია-თითო, ორ-ორი ან სამ-სამი ჭერტილი—საჭ. მუს., № 8004 ჩბ.

ქ. . . ესე . . . ღრო-დაუდებელი, მიზეზ-შემოულებელი, ყოვლის ილუ-
ოსა და ჩხუბისაგ[ა]ნ გამოსული, უამთა და ხანთა გასათავებელი, აღამიანის
ნათესავი კაცთაგან უცილვებელი, ს. მკვიდრო და საბოლო[ო] გასათავებელი ესე
ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ, მოგეცით ჩვენ, თურქისტანის-შვილმა
დავით და შვილმა ჩემ[მ]ა ლ[უ]გარსაბ¹ თქვენ, ყაფლანის-შვილს ზურაბის-
შვილს ქსნის-ერისთავს დემეტრეს და შვილსა თქვენსა ყაფლანს და ზა[ა]ლს და
გიორგის და ს[ა]ხლისა მამაგალსა თქვენსა;—ასე რომე დიალ ვალმა შემ[ა]წუხა
და ილაჯი და ლონე არა მქონდა, მო[გ]ყიდე ჩემი სამკვიდრო გორუჩჯუქს ღებ-
რის²-შვილი დავით, მისი გან[ა]ჟოფი ფასოა. თავიანთ მამულითა, ველითა და ვე-
ნახითა, მიწითა და წყალითა, მთითა, ბარითა, ყოვლის შესავალ-გასავლითა, დღეს
ჩისაც მქონებელი იყოს, თუ სახლი, თუ მარანი, თუ კალო-საძძლითა. გამო-
გართვით ფასი, რითაც ჩვენი გული ზეჯერდებოდა. აღარა დარჩა-რა ჩვენი
თქვენზედა არც ერთი იოტის ფასი. [გ]ჭონდეს და გიბ[დ]ინიროს ლ[მერ]თმე[ნ].
თუ ვინძე წამოდგეს და წამოგედავოს, პირისა და პასუხის გამცემი მე ვიყო-
არის ამისი მოწამე თავად ლმერთი . . . კაცთაგან ნამაგლელავის-შვილი გუ-
გუნა [გოგ უნა], გოსტაშაბის-შვილი ქიხოსროვ [.], გერმანოზის-
გატაშაბი
შვილი ქასოსროვ

შვილი პა[ა]რა [], სა[ა]მის-შვილი ედიშერ [], იარალის-შვილი იარა-
ლი [], თაქალთოიანის-შვილი ერასტი [], ქაფთარის-შვილი ედიშერ+,
თურქისტანის-შვილი ზაზა +, მე მღივანს ავთანდრლს დაბიწერია და მოწამეც
ვარ. დაიწერა ესე წიგნი და სიგელი თებერვლის ია, ქ[ორონიკ][ონ]ს უკ-
[] +³.

394. 1738 წ. თებერვლის 24-ს. დავის გადაწყვეტილობის წიგნი, მიცემული ესტატე და
ბერუა წერეთელას-შვილების მიერ ზაქარია და გიორგი ბიჭიკას-შვილებისადმი. დედანი.
დაზიანებული. $16,3 \times 13,6$ სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. ასო—
მეტ-ნაკლები. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი
ჭერტილი—საჭ. ც.—არქ., ფონდი 226, № 5413.

ქ. ესე წიგნი მოგეც მე, ხოელი წერეთელ[ა]-შვილმა ესტატემა და
შმამა ჩემ[მ]ა ბერუამა შენ, ბიჭიკას-შვილ სა ზაქარიასა, მმასა შენსა გიორგისა;—

¹ უკანასკნელი სიტყვა ტექსტში სწერია: ლაგარსაბ.

² სწერია: ლებარის.

³ სათაურები მიწერილი სხვადასხვა ხელით: ა. თურქისტანის-შვილის დავითისა და მისი
შვილის ლუარსაბისაგან მოსყიდული; ბ. ნასყიდობის წიგნი გორინჯუქს ერთის კომლისა თავის
მამულით.

ასე რომა ნასყიდს მამულს გეცილებოდი შენს კარჩედა წალმა ნ[ა]ფუზარსა. ასე რომ ბატონს ავთ[ან]დილთ[ა]ნ. ვილ[ა]პარ[ა]კეთ და განაჩენიც მოგვცა. შეოთხედისა მესამედი პაპი ჩემის მამული მე დამრჩა და სხვა გან[ი]ყოფების წილი გოდერძა, ზანალაშვილი ბერუასი, დემეტრესი და იოსების წილი ესენი ბატონი ჩვენი ავთ[ან]დილის ბქ[ა]ნებით შენ დაგ[რ]ჩა. ამასთან ხელი და საქმე არა მქონდეს. არ[ი]ს ამის მოწმე ჩვენი ბატონის-შვილი მზეჭაბუკ, ¹ ყორ-ჩი[ა]ს-შვილი ფარსაღანა, ² და მანებილ[ა]ძე ზურ[ა]ბა და თათარი, ³ ხუცისშვილმა (sic). ყოშაბე მათია და მე ძიქ შეამაზ[ა]ნ[აან]თ გიორგის შვილი შერ-მაზ[ი]ნ[ა]ს დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა ესე წიგნი ფეხერვლის კდ გასულს, ქ[ორონი]კ[ონ]ს უკვ. + +

395. 1738 წ. მარტის 6-ს. ნასყიდობის წიგნი, მიცემული იასე თულაშვილის მიერ გივი [ჩოლაყაშვილისადმი]. დედანი. 32×11 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნამარია თითო ან ორ-ორი წერტილი—საქ. მუხ., № 13.027 հ.ծ.

ქ. ესე ნასყიდობის წიგნი მოგეც მე, თულაშვილმა იასემ თქვენ, ბატონს სალოთუცეს ბატონს გიგს, თქვენს მას თიანეთის მოურავს ბატონს გრიგოლს;— ასე რომე ალებ-შიცემეობდი და თქვენგნით ხუთი თუმანი თეთრი ავიღე და წაველ ქალაქს სავაჭროთ. დამხდენ ლოჭინზედ, დამიჭირეს, თეთრიც ლეკებმა წაიღეს და მეც დამიჭირეს და წამიყვანეს. ბელაქანში ჩამიყვანეს. ორი კვირი ბელაქანში ვყვანდი. მასუკან დალისტანში წამიყვანეს. იალალიდა[ნ] გამოვეპარე და მოველ და თქვენ თეთრს დამიწყვეოთ თხოვნა და თამასუქიც ასეთი ქონ-დათ და პირობაც ასეთი მოგართვით, რომე თქვენი თეთრი არ დაიკარგებოდა. მე ხომ არა მებადა რა, ჩემი თავი ნასყიდათ მოგეცით და თუ ლმერთმან შამაძ-ლებინა და თქვენი ხუთი თუმანი მოგართვა, და მე ისევ თავი დამანებეთ თქვენს სადლეგძელოთ. რაც სარგებელს დაგპირდი, ის სარგებელიც მაპატივეთ. არის ამისი მოწამე ტუსის-შვილი ბოქულთხუცესი გიორგი, მოს[ა]ქსლე ჭიქო, ყარა-გოზის-შვილი გივი, ზურაბა ტუშური, დათუნა მათურელი, თადა გუგუტაშვილი, თამაზა მარაული. მე სუფრაჯს გივს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა თვესა მარტსა ექვსს, ქ[ორონი]კ[ონ]ს უკვ. ○³ +

ქ. ამ ნ[ა]სყიდობის წიგნს გარდა ერთი ხმალი გვიბოძეთ. რეა ძროხათ გავყიდე. ორი ცხენი გამატანეთ და ისიც რვა ძროხათ გავყიდე სულ ხლმით და ცხენით და თეთრითა. სულ თორ[მ]ეტი თუმანი არის თქვენი ჩემზედ, უნდა

¹ აქ ბეჭდის დასასმელად ცარიელი ადგილია დატოვებული.
² თითოს ანაბეჭდია.

რომ მოგართო მე იასე თულაშვილმა. არის ამისი მოწამე მოსახლე ხოხო, აბ-
რამა ნაცვალი და მე ქრისტეფორე ანანიაშვილს მღვდელს დამიწერია ამ იასეს
თულაშვილის სიტყვით და მოწამეც ვარ. მკათათვის თ, ქ[ორონი]კ[ონ]ს
ულთ. +

396. 1738 წ. მარტის 22-ს. ვენახის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ზაზა [თარხნის-შვილის]
მიერ დავით [თარხნის-შვილისადმი]. დედანი. 49×19,6 სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე
შხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო
წერტილი—საქ. მუხ., № 10.202 hd.

ქ. . . ესე ამიერითგან უკუნისამდე უამთა და დროთა გასა[თა]ვებელი,
ყოვლის კაცისაგან მოუდევარი და უცილებელი, მტკიცე და უცვალებელი ნას-
ყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგეც მე, შენმა ბიძაშვილმან ზაზაშ
შენ, ჩვენს ბიძაშვილს დავითს, ძმასა შემსა როსტომს, ზეშთელს, შვილსა შემსა
ზაზას, შვილთა და მომავალთა ს[ა]ხლისა შენისათა ყოველავე;—ასე რომე და-
მეჭირა და მოგყიდე თეძამზე ჩვენის მყუიდ[რ]ის ყმის ხუციაშვილის. სეხნიასა
და გიუ-ბერიას წილი ვენაკი, აქეთ შენის ნასყიდის პაპუნას ვენაკის მიჯნამდი,
გვერდით იასას მიჯნამდი, ბოლოს ჯვარაშვილის სეხნიას ვენაკის მიჯნამდი,
თავს შარამდი, სულ შენთვის მომყიდიდა თავის შესაგალით და გამოსავალით,
თავის წყლით, ხილნარით საწნახლით, ყოვლის მისის სამართლიანის საქმით
და სამძღვრით ს[ულ] თქევნთვის მოგვიყიდია. ვინც ამას დაგედაოსთ პასუხისა
და პირის მიმცემი მე ვიყო. არიან ამისი გამრიგენ მოწამენი და დამხლურნი
ოვად ლ[მერ]თი და ყოველნი მისი წ[მინდა]ნ[ნ]ი და კაცთაგან ამირახორის
შვილი რევაზ, ციციშვილი მანუჩარ, ციციშვილი დავით



ქვემო ციციშვილი ქაიხოსრო

სარდლისშვი-
ლი ქაიხოსრო

, ჩვენი ბიძაშვილი იორამ,

მდივანი სულხან მაღალაძე, სახლობუცის შვილი რევაზ რევაზ¹, ჩვენი აზნაურთ-
შვილნი: ჩვენი სახლობუცის ცესე, კარგარეთელი იოთამ და სრულ სამოურა-
ვის-შვილოს აზნაურნი, მს[ა]ხურნი და გლეხნი. დაიწერა კელითა ჩემ ქვაბთა-
კევის კანდელაკის შვილის სტეფანესითა. მარტის კბ, ქ[ორონი]კ[ონ]სა უკვ:
სტეფანე¹

ზაზა

¹ სვერულად.

² სათაური სხვა ხელით: ხუციაშვილის სეხნიას ვენაკის ნასყიდობის სიგელი, ქორონის კორცეს უკვ.

397. 1738 წ. მაისის 15-ს. ყმის გირავნობის წიგნი, მიცემული არდაშელ თაქთაქიშვილის მიერ იორამ ფავნელიშვილისადმი. პირი, გადაწერილი უზენაეს მართებლობის ბრძანებით XIX საუკ. დასაწყისს მხედრული ხელით—საქ. ც.—არქ.. ფ.—, № 45/106.

ესე წიგნი მოგართვით ჩვენ, თაქთაქიშვილმა არდაშელ თქვენ, ფავნელიშვილს ბატონს იორამს;—ასე რომ ჩვენ საყევენო მირის თეთრი დამედვა. დაკერილი ვიყავ. ბორჯილი მეყარა. გორს თათრებს ვყვანდით. მოხვედით. თავდებათ დაგვიღებით. ოცი დღე ვადა დაუდევით. ვადაზედ თქვენ თე[ც]რი ველარ მოგართვით. მოვიდენ თათრები, ჩვენის გულისათვის შინ ჩამოგიდგნენ და ვალი აგალებინეს. ოთხის თუმნისათვის ორი თუმანი კი მოგართვეთ და ორის თუმნისათვის ეს შვილი ბეჭუაშვილები თავისის მქონებელის ბამულით. თუ ამ ოცს დღეზედ თქვენი ორი თუმანი მოგართვა, ჩემი კაცი და თამასუქი ისრევ უნდა გვიბოძოთ; თუ ვადას გარდაცილდეს, მე ამ კაცთან ხელი აღარა მქონდეს, არც სათათრო რამ ეთხოებოდეს ჩვენვან, არც ხელილა გვქონდეს, იმისი წილი სათხოვარი ჩვენ გავიღოთ. არის ამისი მოწამე თავად ღმერთი, კაცთავან მურადაშვილი შერპაზანა, ბასილიძე გიორგი, მჭადაულაძე თამაზა და ქუმსია, ბასილიძე გიორგი, ოქროშვედელი დავით. მე, არდაშელს დამიწერია და ყაბულიც მაქვს ამისი. დაიწერა მაისის] თხუთმეტს, ქ[ორონი]ქ[ონ]ს უკვ. + არდგან არდაშელს ჩემს ბიძაშვილს ეს ესას-შვილი ჩემი[ი]ს სიძ[ი]ს იორამასთვის ბეიშართათ მიეცა, მე ელიზბარს ჩემს დას ანახანუმიქ[ი]ს[ა]თვის და ჩისის შვილებისათვის მიმიცია. ეს ჩემი ხელი არის და ამაზე ასე ყაბული მიქნია].¹

398. მაისის 20-ს. პირობისა და თავდებობის წიგნი, მიცემული გოგებაანთ კაცისა და ბერი როსტიას-შვილის მიერ ვიღაც „ბატონ“ ბეჟანისადმი. დედანი. 32×10,5 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიღევის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი.—საქ. მუს., № 260 ს.д.

ქ. ესე წიგნი მოგართვი მე, შენმა ყმამა ახალ-დაბელმა გოგება[ა]ნთ დათუნას შვილმან კაციამა შენ, ბატონს ჩემს ბეჟანს;—ასე რომე წელიწადში ხუთი აბაზი მალი მოგცე, როიც ჩემი ბიძა ახალ-დაბას სახლი აიშენის, მეც გარდები და, როგორც რომ ბატონ-ყმობის სამსახური იყოს, ჩემის შეძლებით გემსახური. მე ბერი როსტიას-შვილი ამ შენის ყმის თავდები ამ ორის წლობითა ამას დამჯერდი და ამ ორს წელიწადს უკან შენი კაცი მოგაბარო თავისის ჯამაგირით და თუ რამ ჰქონდეს. არის ამისი. მოწამე შედანის-შვილი

¹ მინაწერები: ასლოთან თანასწორ არის. სოვეტნიკი თი აფხაზი.
ასლი წერილი მივიღე. აზნაური ზაქარია ყორდანვი.

გიორგი და მეზერის-შვილი ჯანუა და თაყინაანთ ზურაბა და მე ჯულაბა[ა]ნთ
გიორგის შვილს მანუჩარიას დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა
მარისის ოცს, ქორონიკონის უკვ. + +

399. 1738 წ. მაისის „გასულს“. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული საამ მა-
ლალაძის მიერ თავის ბიძაშვილი გიორგი დასხვა მაღალაძეთადმი. დედანი. 14,8 × 13 სმ,
დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი
სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. თარიღად აქვს 1738 წ. კაქ. მუხ., № 1783 Ad.

ქ. ესე ნასყიდობის წიგნი მოგეც მე, მაღალაძე სამ, ძმისწულმა ჩემა იო-
რამ, შვილმა ჩემან ფირან და ბეჟან თქვენ, ჩემს ბიძაშვილს სახლთხუცეს გიორ-
გის, დემეტრეს, რევაზს, იოგანეს, შვილსა. და მომავალთა სახლისა თქვენისა
ყოველთავე; — ასე რომე დაგვეგირა და მოგყიდეთ ჩენი სამკვიდრო და ბარათ-
ში გამოყოლილი უვენაზაშვილი მარტია და იპისი ძმა ათანა თავისის სახლითა
და კარითა, ქვევრითა და მარნითა, სასაფლაოთი, შესავლითა და გასავლითა,
წყლითა და წისქვილითა, სარწყავითა და ურწყავითა, ვენაკითა და საწნახლი-
თა და თავისის გზითა შესავლითა და გასავლითა, მთითა და ბარითა, ნასყი-
დითა და უსყიდითა და ამასდა გარდა ლომაშვილისული ზედა რუსე სამის
დღის ძიწა ზედ დაგვიდვია. არიან ამისი მოწამე. . . კაცთაგან ერასტი მაღა-
ლაშვილი, მამუკა მაღალაშვილი, ქარსიძე მეტუმრე გიორგი, ლუარსიბ მაღა-
ლაშვილი, მირუაშვილი (?) ასლამაზა, მეტების ნაცვალი ივანე, დეკანოზი დე-
მეტრე და სულ ერთობილნი მეტეხელნი, გომის ნაცვალი ივანე, მღლელი ლა-
ზარე და სულ ერთობილნი გომელნი, ნიაბის მამასახლისი ელიბაშვილი ბერენა,
ხუციშვილი ბერუჟა, ნაბახტეველი სულხანა. დაიწერა მაისის 'გასულს, ქორო-
ნიკონის უკვ და მე ნიკოლოზს დამიწერია და მოწამეცა ვარ. + + +

400. 1738 წ. ივლისის 1-ს. თავ-დაბასნილობის წიგნი, მიცემული ზაზა სოლადაშვილის მიერ
ბალეუა და ბერელა ზურაბაშვილებისადმი. პირი, გადაწერილი უხენაეს მართებლობის
ბრძანებით XIX საუკ. დასაწყისს მხედრული ხელით — საქ. ც.—არქ., ფ.—, № 20/33.

ესე უთუო, უთმიცაო, დრო-დაუდებელი, მიზეზ-შემოულებელი, სა-
ბოლაოთ გამოსადევი ფიცი, პირი და წიგნი მოგეცით ჩენ, სოლადაშვილმა
ქაიხოსროს შვილმა ზაზამ, შვილმა ჩვენმა და მომავალმა სახლისამან
თქვენ, ზურაბაშვილს ასლამაზაშვილს ბალდუას და ბერელას; — ასე რომე კახე-
თილამ გამოსულიყავ და სოლადაშვილის ბიძინას წილათ ტაგნაგეთს დასახლე-

ბულიყავ. იქ შამა შენს და პაპა შენს თავი არ დაედო, აყრილიყო და ისევ კახეთს გასულიყო და იქ კახეთს დაობლუბლიყავით და იქ ლექის შიში შემო- გარდნილიყო და ზა[ა]ლ ყორლანაშვილს გამოესხით და ენაგეთს დაზღილიყა- ვით. შეუახედ ოცი ოცდაათი წელიწადი იქ დაგეყოთ. მოველ და ლაპარაკი დაგიწყევ: „ჩემი ყმის შვილი ხარ, იქ უნდა მოხვიდე შენს სამკვიდროზედ და- ხახლდე“. ზა[ა]ლ ლაპარაკი დამიწყო; რადგან ოცდაათი წელიწადი იქიდამ აყრილიყავ, არც სამართალი მომცემდა. შერე კახეთიდამ გამოეყვანე. რადგან ლაპარაკი აგკიდე, სამართალმა ალარ მამცა, შეც ცოტა რამ გამოგართვი, რი- თაც ჩემი გული შეგჯერდებოდა. ჩემი შენთან ალარა დარჩა-რა. არც მე და არც ჩემს სახლის მომავალს მონათესავეს კაცს შენთან საბატონყმოთ კელი არა გვქონდეს ღვთის მეტს. ვისთანაც მიხვიდე შენი ნება წალილით, არავინ გედავებოდეს. არის ამისი მოწამენიცა და დამხუდურნი თავათ ძეირუსსენებელი ღმერრითი . . . კაცთაგან მოწამე ნამანგლელევიშვილი გუგუნა

ადგილი
ბეჭდისა

გერმანოზშვილი პა[ლ]ტა [] , თუმნიშვილი მდივანი გორჯასპი, მდი- ვანი ავთანდილ, ქავთარის-შვილი ედიშერ [] , დურმიშხანის-შვილი

როსტომა, თუშმალიშვილი ალავერდა [] , ყორლანა +, ჩემი მოუ- ალგილი
ბეჭდისა

რავი ასლამაზა +, ცულუნაშვილი გიორგი +. მე მუშაობ გიორგის დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა მკათათვის ა, ქ[ორონი]კ[ონ]ს უკვ. მე ზაზას სოლალაშვილს ყაბული მაქვს, ხელიც ამიღია. ზაზა¹. რადგან ბიძა ჩემს ზაზას ამ კაცებისთვინ თავი დაუხსნევინებია, მეც მანუჩარს ყაბული მაქვს ეს ხელი ჩემი და ბეჭედი []².

ადგილი
ბეჭდისა

401. 1738 წ. ივლისის 14-ს. არზა, მიცემული ნიკოლოზ ურბნელის მიერ საქართველოს ვალისადმი. დედანი. 22,7 × 15,5 სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განვევთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი.—საქ. კ.—არქ., ფონდი—, № 1393.

ქ. ლ[მერ]თ[მ]ან ბედნიარის საქართველოს კალის კირი მათს მლოცველს ურბნელს ნიკოლოზს მოსცეს! მერმე ამას მოვახსენებ, რუის[ს] ცოტა რამ ნას-

¹ ხელჩართული.

² მინაწერები: ასლიდამ თანასწორ არს ჩაწერილი. სოვეტნიკი თა თეიმურაზ ბაგრა- ტოვანი.

ასლის სიგელი მივიღე კაპიტანი თა დიმიტრი ორბელიანი.

გიორგი და მეზერის-შვილი ჯანუა და თაყინანთ ზურაბა და მე ჯულაბა[ა]ნთ
გიორგის შვილს მანუჩარიას დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა
მაწისის ოცს, ქორონიკონს უკვ. + +

399. 1738 წ. მაისის „გასულს“. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული საამ შა-
ლალაძის მიერ თავის ბიძაშვილი გიორგი დასხეა მაღალაძეთადმი. დედანი. 14,8 × 13 სმ,
დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი
სიტყვის შემდევ ნახმარია თითო წერტილი. ხარილად აქვს 1738 წ. საქ. მუხ., № 1783 Ad.

ქ. ესე ნასყიდობის წიგნი მოგეც მე, მაღალაძემ სამ, ძმისწულმა ჩემა იო-
რამ, შვილმა ჩემან ფირან და ბეჟან თქვენ, ჩემს ბიძაშვილს სახლთხუცეს გიორ-
გის, დემეტრეს, რევაზს, იოვანეს, ზეილსა. და მომავალთა სახლისა თქვენისა.
ყოველთავე;—ასე რომე დაგვეჭირა და მოგყიდვე ჩენი სამკეიდრო და ბარით-
ში გამოყოლილი ევენაზაშვილი მარტია და იძისი ძმა ათანა თავისის სახლითა
და კარითა, ქვევრითა და მარნითა, სასაფლაოთა, შესავლითა და გასავლითა,
წყლითა და წისქვილითა, სარწყავითა და ურწყავითა, ვენაკითა და საწნახლი-
თა და თავისის გზითა შესავლითა და გასავლითა, მთითა და ბარითა, ნასყი-
დითა და უსყიდითა და ამასდა გარდა ლომაშვილისული ზედა რუზე სამის
დღის მიწა ზედ დაგვიდვია. არიან ამისი მოწამე. . . კაცთაგან ერასტი მაღა-
ლაშვილი, მამუკა მაღალაშვილი, ქარსიძე მესტუმრე გიორგი, ლუარსაბ მაღა-
ლაშვილი, მირუაშვილი (?) ასლამაზა, მეტების ნაცვალი ივანე, დეკანზი დე-
მეტრე და სულ ერთობილნი მეტებელნი, გომის ნაცვალი ივანე, მღლელი ლა-
ზარე და სულ ერთობილნი გომელნი, ნიაბის მამასახლისი ელიბაშვილი ბეჟანა,
ხუციშვილი ბერუკა, ნაბახტეველი სულხანა. დაიწერა მაისის „გასულს, ქორო-
ნიკონს უკვ და მე ნიკოლოზს დამიწერია და მოწამეცა ვარ. + + + +

400. 1738 წ. ივლისის 1-ს. თავ-დასსნილობის წიგნი, მიცემული ზაზა სოლალაშვილის მიერ
ბალდუა და ბერელა ზურაბაშვილებისადმი. პირი, გადაწერილი უზენაეს მართებლობის
ბრძანებით ჯიხ საჟა. დასაწყისს მხედრული ხელით—საქ. ც.—არქ., ფ.—, № 20/33.

. . . ესე უთუო, უთამუაო, დრო-დაუდებელი, მიზეზ შემოულებელი, სა-
ბოლაონ გამოსადევი ფიცი, პირი და წიგნი მოგეცით ჩენ, სოლალაშვილმა
ქაიხოსროს შვილმა ზაზამ, შეილმა ჩენმა და მომავალმა სახლისა ჩენისამან
თქვენ, ზურაბაშვილს ასლამაზაშვილს ბალვას და ბერელას;—ასე რომე კახე-
თიდამ გამოსულიყავ და სოლალაშვილის ბიძინას წილათ ტაგნაგეთს დასახლე-

ბულიყავ. იქ მამა შენს და პაპა შენს თავი არ დაედო, აყრილიყო და ისევ კახეთს გასულიყო და იქ კახეთს დაობლებულიყავით და იქ ლეკის შიში შემო-ვარდნილიყო და ზა[ა]ლ ყორლანაშეიღს გამოესხიო და ენაგეთს დაზღილიყა-ვით. შუაზედ ოცი ოცდათი წელიწადი იქ დაგეყოთ. მოველ და ლაპარაკი დაგიწყევ: „ჩემი ყმის შეიღო ხარ, იქ უნდა მოხვიდე შენს სამკვიდროზედ და-სახლდე“. ზა[ა]ლ ლაპარაკი დამიწყო; რაღაც თავი წელიწადი იქიდამ აყრილიყავ, არც სამართალი მომცემდა. მერე კახეთიდამ გამოეყანე. რაღაც ლაპარაკი აგტილე, სამართალმა ალარ მამცა, შეც ცოტა რამ გამოგაროვი, რი-თაც ჩემი გული შეგჯერდებოდა. ჩემი შენთან ალარა დარჩა-რა. არც მე და არც ჩემს სახლის მომავალს მონათესავეს კაცს შენთან საბატონყმოთ კელი არა გვქონდეს ლვთის მეტს. ვისთანაც მიხვიდე შენი ნება წადილით, არავინ გედავებოდეს. არის ამისი მოწამენიცა და დამხუდურნი თავათ ძეირუსენებელი ღმერქთი . . . კაცთაგან მოწამე ნამანგლელევიშვილი გუგუნა

ადგილი
ბეჭდისა

გერმანოზიშვილი პა[ა]ტა ადგილი
ბეჭდისა, თუმანიშვილი მრიგანი გორჯასპი, მდი-

ჭანი ავთანდილ, ქავთარის-შვილი ელიშერ ადგილი
ბეჭდისა, დურმიშხანის-შვილი

როსტომა, თუშმალიშვილი ალვერდა ადგილი
ბეჭდისა, ყორლანა +, ჩემი მოუ-

რავი ასლამაზა +, ცჯცუნაშვილი გიორგი +. მე მუშრიბ გიორგის დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა მკათაოვის ა, ქ[ორონი]კ[ონ]ს უკვ. მე ზაზას სოლალაშვილს ყაბული მაქვს, ხელიც ამიღია. ზაზა¹. რაღაც ბიძა ჩემს ზაზას ამ კაცებისთვინ თავი დაუსნევინებია, მცც მანუჩარს ყაბული მაქვს ეს ხელი ჩემი და ბეჭედი ადგილი
ბეჭდისა.

401. 1738 წ. ივლისის 14-ს. არზა, მიცემული ნიკოლოს ურბნელის მიერ საქართველოს გალისადმი. დედანი. 22,7×15,5 სმ, დაწერილი თეთრ ქადალდე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი.—საჭ. ც.—არქ, ფონდი—, № 1393.

ქ. ღ[მერ]თ[მ]ან ბეღნიარის საქართველოს კალის კირი მათს მლოცველს ურბნელს ნიკოლოს მოსცეს! მერმე ამას მოვახსენებ, რუს[ს] ცოტა რამ ნას-

¹ ხელჩართული.

² მინაწერები: ასლიდამ თანასწორ არს ჩაწერილი. სოვეტიკი თა თეიმურაშ ბაგრა-ოვანი.

ასლის სიგელი მიღიღდა კაპიტანი თა დიმიტრი თრბელიანი.

ყიდი მამული მაქვს ლა იმისი შახტაც ჩემზე სწერია და ერთის რაყმის წყალობა მიყავით; რაც რუის[ს] ჩემი ნასყიდი მამული იყოს, იმისი ღალა-კულუხი მე ავიღო. თუ სიტყვა ქონდეს ვისმე, თქვენ მოგახსენოსთ. თუ სიტყვა არავის ქონდეს, რაც ჩემი ნასყიდი და საღალო იყოს, მე დამანებონ.

ქ. ჩვენი ბძანება არის. მერმე რაც ხანის შვილის ან ურ[ბნელ]ის კაცის-ნასყიდი მამული რუისში იყოს, ან საღალო მამული ქონდეს, მალუჯათს ეს აძ-ლევ[ს], კველამ ღალა ურბნელს მოეციო. დაიწერა მკათა[თ]ვის იდ, ქორონი]-ქონის უკვ.

სპარს. ბეჭ.

402. 1738 წ. აგვისტოს 8. არზა, მიცემული თევდორე ოსმანშვილის მიერ უკანასკნელის ოქმით. დედანი. $21 \times 10,7$ სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. ასო— მეტ-ნაკლები. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი.—საქ. მუზ., № 1263 Ad.

ქ. ღმერთმა ხემწიფის ჭირი მოსცეს მათ მიწა ფეხთა მტვერს ოსმაქნა-შვილს თევდორასა. ველინმად რომ მობძანდა, მაშინ ათი სული ხიზ[ა]ნი დავტ-ყვევდით. ერთი მე ზაზამ სარდლის-შვილმა თათრისაგ[ა]ნ მიყიდა. აბდულას-თან იჩივლა მ[ა]ნუჩარ ციცის-შვილმა და წიგნიც მიბოდა და ხელიც აიღო მანუ-ჩარ და ზაზ[ა]ს დამანება. ასლა ის მოკვდა და ისევ მანუჩ[ა]რ მეჭიდება. თქვენთ გასამარჯვებლ[ა]თ ერთი სამართ[ა]ლი მაღირსეთ. მანუჩ[ა]რი[ი]ს მოცემული წიგ-ნიცა მაქვს..

ქ. ჩვენი ბძანებ[ა] არის! მერმე ეს ოსმანაშვილი თევდო[რა] რადგან² ზაზა ციცის-შვილისაგან დახსნილი ყოფილა და მანუჩარს წიგნი კელთ უქ[ი]რ[ა]გს და იმასაც ზაზასათვის დაუწებებია, ისევ ზაზას შვილს ქაიხოსროს და ფარსა დანს ეჭიროს. დაიწერა მარიამობის ც³, ქორონი]ქონი[ს უკვ.

403. 1738 წ. აგვისტოს 22-ს. წიგნი მიცემული ოთარ როჭიკაშვილის მიერ ელისბარ და ვითიშვილისადმი. დედანი. $19,7 \times 11,1$ სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტი-ლი—საქ. მუზ., № 483 hd.

ქ. ესე წიგნი მოგაროვით ჩენ, როჭიკაშვილმა ოთარმა და ჩემ[მ]ა ძმიმ ვაზუშ[ი]მი თქვენ, დავითიშვილს ელისბარს;—საქ რომ ფცას ბოჟაძე მერი-

¹ სათაური: ქ. ხანის შვილის ოქმი.

სხვა ხელით: რუისის მიწების ღალისა.

² უკანასკნელი ორი სიტყვა ტექსტში სწერია: „თევდო რადგან“.

³ წერია: ც.

ოქვენმა ძმამ კოსტანტინემ ბიძაჩემს ნაზირს ქრთის თუმნის გირაოთ დაუდვა, ახლა თქვენ თქვენს ქა]ცს აელი მოკიდეთ და ერთის თუმნის თამასუქი გვი- ბოძეთ. ის ერთი თუმანი ამ ენკენისთვის თხუთმეტს გასულს უნდა გვიბოძოთ. თქვენს კაცთან ჩვენ აელი არ გვაქვს. არც ნაზირის-შეილსა და არც რომანზს, არც ჩვენს ნათესავს იმ კაცთნ აელი აღ[ა]რ აქვს. ვინც წამოგეცილოს, ჩვენი ნათესავი, პასუხის მიმცემი ჩვენ ორნი მმანი ვიყვნეთ. არის ამისი მოწამე საგი- ნაშეილი თამაზა, დეკანოზიშეილი ოტია, კახი ბებურიშვილი სეიმონ, შენი- ფცელი მოურ[ა]ები დათუნა უზნაძე. მე პეტრე კალატოზიშეილს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა მარიამობის ოცდა ორს გასულს, ქ[ორონი]- კონის უკვ +.



404. 1738 წ. უდაბის წიგნი, მიცემული მანუჩარ და სხვა სოლალაშეილების მიერ აფრი- ამა სააკას-შეილისადმი. დედანი. 45,2×21,6 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდნე მხედრუ- ლი ხელით. განკვეთილობის ნიშანად ადგილ-ადგილ ნახმარია თითო წერტილი—საჭ- ვ.—არქ., ფონდი 226, № 4360.

ქ . . . ესე ამიერითგან და უკუნისამდე უამთა და ხანთა და შეილი[თ]- შეილითა გამოსადეგი სიგელი დაგიშერე და მოგვეცით ჩვენ, სოლალაშეილის ქაიხოსროს შეილებმა მანუჩარ, იქსემ და იორამ შენ, მეწვრილმანე სააკას- შეილს აფრიამას;—ასე რომე ჩემი ყმის შეილი ტაბაძემელელი აქუჩაშეილი კი- ლიკოა ურუმებს და ეტუუევებინა და ქალაქს ჩამოეყუანათ. თქვენ თქვენის მად- ლისათვის დაგეხსნათ. გამოკვდა ხანი და ჩვენ ჩვენი ყმა ვიცანით და წამოგე- დევენით. ვილაპარაკეთ და კაცები დავსხით და ჩვენი გული შეიჯერეთ. აღარა- ვინ იყოს ამისი მოდავე და მოცილე, არც ბატონი, არცა ყმა, არც სახლის- კაცი. ღმერქითქმან შენს ერთგულიბაში ჩოგაცმაროს და თუ ვინმე აშ ჩემის ყმის შეილის წამოგედაოს, პირისა და პასუხის გამცემი ჩვენ ვიყუნეთ. არის ამისი მოწამე თავად ღმერქითი და კაცთაგან ნამანგლელავიშეილი გუგანა [], გერმანოზის-შეილი პაატა []; ჩემი განაცოფი სოლალაშეილი ზაზა +, ჩემი ბიძა ელიზბარ +, შაპოა[ნ]თ მამასახლისა ფარსადანას-შეილი მოსესა [], ტულოანი ასლანა-შეილი ბაირამა, ¹ ჰეჯუბა[ა]ნთ გოგინას-შეილი როსტომა [], ხეჩოანთ მელქოაშეილი სტეფანა [], ნორაშინის ტერ-აბარინა [], მეწვრილმანე ავეტიქა [], გოდავ[ა]ნთ აპანაშეილი გრიქორა [], მე გას- სევანის-შეილს იოვანეს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა მეტათოვის დამდევს, ქ[ორონი]ქონის უკვ. მე ამ ჩემს ყმასთან საბატონ-ყმოთ, არც კელშ- წიფის ჭირში აელი არა მქონდეს და ამას თავის მამულთან არც ნასყიდთან და არც უსყიდთან აელი. არა პერნდეს. [] + [] +

¹ აქ ბეჭდის დასასმულად ცარიელი ადგილია დატოვებული.

ქ. ჩე, მაქნურია]რს სოლ[ალ[ა]ს-შვილს ამ ჩემის ძმის [ი]ესეს მიცემულის
ხილელის ყაბული მაქ[ვ]ეს, ეს ჩემი ხელი[ა] და ბეჭედი |——|.
ქ. მისი მოწამე ს[ა]ლორელიზ ფინების-შვილი აღა (?) |——|.

405. 1738 წ. თუმანიანთ ნოქრის ხარჯის ნუსხა. შავი. დაზიანებული: თავში მარცხენა კუთხე მოსეულია და დაკარგული. $44 \times 16,7$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდეჲ მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარილი მოცილებულია. თავში მარჯვენა აშიახე აქვს ფანჯრით მინაწერი პ. კარბელა-შვილის ხელით: „1738 და საბუთის ქორონიქონი უნდა ყოფილიყო უკვ“—საქ. ც.—არქ., ფონდი 226, № 3474.

ქ. ამ წელს რომ ნოქარი გვთხოეს, იმის ხარჯია. ქორონიქონის საკვში

ქ. ჩარუხას-შვილმა გიგოლამ	ოთხი აბაზი
ქ. გვეძნელმა	ათი აბაზი
ქ. მარლის-შვილმა	ათი აბაზი
ქ. კოჩუას-შვილმა	ათი აბაზი
ქ. აკოფას-შვილმა ბერუამ	ხუთი აბაზი
ქ. აკოფას-შვილმა დათუამ	ხუთი აბაზი
ქ. მირიჯანას-შვილმა	ათი აბაზი
ქ. ჩალაბას-შვილმა	სამი აბაზი
ქ. პატარა მირიჯანას-შვილმა	ოთხი აბაზი
ქ. დოვლათას-შვილმა	ორი აბაზი
ქ. წერეთელას-შვილმა	ხუთი აბაზი
ქ. აბელამ	ოთხი აბაზი
ქ. ქუმსიას-შვილმა	ერთი აბაზი
ქ. შიომ	ათი შაური
ქ. დათუას-შვილმა	ოთხი აბაზი
ქ. ბუქულას-შვილმა	ხუთი აბაზი
ქ. ედილას-შვილმა	ოთხი აბაზი
ქ. ჩარუხას-შვილმა	ოთხი აბაზი
ქ. ტუტამ	ათი შაური
ქ. ტერ-გრიქორამ	ოთხი აბაზი
ქ. კობლეს-შვილმა	ხუთი აბაზი
ქ. ჩიტილამ	ორი აბაზი
ქ. ბარხუდარამ	ექვსი აბაზი
ქ. ბოქოულის-შვილისა	ოთხი აბაზი
ქ. ბეკურამ	ორი აბაზი

* საბუთის მეორე გვერდზე სხვა ხელით: ქ. გრიქორასი წ[ი]გნია..

ქ. ქიტესამ	სამი აბაზი
ქ. თავფჩას-შვილისა	ოთხი აბაზი
ქ. გაბრიელამ	სამი მინალთუნა
ქ. ამირიძემ	ხუთი აბაზი
ქ. პატარა ლელუას-შვილმა შიომ	ხუთი აბაზი
ქ. მურადას-შვერლმა	ხუთი აბაზი
ქ. ეჯუბას-შვილმა	ხუთი აბაზი
ქ. ბერიჯანამ	შვილი აბაზი
ქ. ლორიგლიჯამ	ათი აბაზი
ქ. სოლთანას-შვილმა	ხუთი აბაზი
ქ. გელია მურადას-შვილი	ხუთი აბაზი
ქ. იმედას-შვილი	რეა აბაზი
ქ. დინარიძემ	სამი მინალთუნა
ქ. გოდერძას-შვილმა	რეა აბაზი
ქ. ბერიკას-შვილმა	სამი აბაზი
ქ. მეხრის-შვილი გელია	ექვსი შაური
ქ. პაპუას-შვილმა	სამი აბაზი
ქ. როსტომას-შვილმა	ათი აბაზი
ქ. მურადას-შვილმა	სამი მინალთუნა
ქ. ამისმა განაყოფმა	სამი აბაზი
ქ. მამასახლისმა იასემ	სამი აბაზი
ქ. მეხრის-შვილმა მახარამ	სამი აბაზი
ქ. დათვიას-შვილმა	ხუთი აბაზი
ქ. გოგებას-შვილმა	ექვსი აბაზი
ქ. არაქელას-შვილმა	ათი შაური
ქ. ლომკაცას-შვილმა	ათი აბაზი
ქ. ლომკაცას-შვილმა ნაზარამ	ხუთი აბაზი
ქ. ლორიამ	ოთხი აბაზი
ქ. სვიანაძე ლექუამ	შვიდი აბაზი
ქ. სვიანაძე დათუნამ	სამი აბაზი
ქ. გოჩიას-შვილმა	შვიდი აბაზი
ქ. ზაყალმა ბერმა	რეა აბაზი
ქ. პაპუას ჯალაბმა	ხუთი აბაზი
ქ. პატარეკაცმა	o ¹
ქ. გორჯასპიმ	b
ქ. გიორგიმ	b
ქ. ბეჟანამ	d
ქ. ბირთველის ყმაწვილმა	ცც
ქ. ბაინდურ	პ
ქ. მელიქისა	ბ

¹ ამ ასოს ახლავს თუმნის აღმნიშვნელი ნიშანი.

ქ. პაპუას¹
ქ. ფერიას შვილმა²
ქ. ნეკერასი
ქ. ჯამი ია³ შ⁴ [თერთმეტი თუმანი და ცხრამეტი შაური]

სამი მინალთუნი
სამი აბაზი

406. 1738—1744 წლ. ახლო, ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული მოსე [მალაძის] მიერ თავის განაყოფ სახლთხუცეს გიორგი [მალაძისადმი]. დედანი. 17,5×9,8 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარილი არ უზის; მიმღები გიორგი [მალაძე] გახვდება საბუთებში 1738 და 1744 წლებში (საქ. მუხ., №№ 1783 Ad და 1776 Ad) საქ. მუხ., № 1938 Ad.

ქ. ესე ნასყიდობის წიგნი მოგ[ეცი] მე, ერასტის-შვილმა მოსემ თქვენ, ჩემს განაყოფს სალთხუცეს⁵ გიორგის და მასა თქვენსა დემეტრეს;—ასე რომ იასეულებმა დამიჭირეს და [დ]ამკიდეს (?) და თქვენის მეტი არავინ დამეტრა. რასაც თეთრის მთხოვდენ, სულ თქვენ მიეცით: რვა მინანთული, ერთ (?) ნახვარ ხარვანი, სხვა რაც დაედგათ, ყველა უკლებათ⁶ მომეცით. ავიღევ ფასა სრული და უნაკლულო, რითაც ჩემი გული შეგვარდათ და მოგვც ზაქარიას-შვილი და თუნა და ალავერდას-შვილი ბერძენა თავისის ძმითა და შვილითა და მომავალითა, თავისის სახლითა და მამულითა, საკანავითა, ურწყავით, თავისის წისქვილითა და სამატითა და უმატითა, თავის[ს]ის მოძრავითა⁷ და შესავლითა⁸, გასავლითა, თავისის სამართლიანის საქმითა. არის ამისი მოწამე და მოასილი⁹ ალი-მალათ-მუმიხან და მამუკა და იაკობ და ზურაბ, ნაცვალი ზოსიმე, მღდელი ესტატე. მე შლდელს გიორგის დამიწერია და მოწამეცა ვარ. +

407. 1739 წ. მარტის 16-ს. ოქი არქილ მეფისა, მიწერილი ავთანდილ შანშიას-შვილისადმი, დაბიანგბული თავში, 16,2×14,7 სმ, დაწერილი მოყვითალო ქალალდზე მხედრული ხელით; განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარილად აქვს 1739 წ.—საქ. მუხ., № 3217 ჩ.д.

ქ. ჩემი დიდათ იმედათ მისაჩენელო და არაოდეს არ-დასავიშყარო შანშიას-შვილო ავთანდილ! ვისაც უნდოდეს, მოვიდეს და სამწერისის ჩემნს

¹ ეს შეპლი ხაზგასმულია წაშლის მინით.

² ეს მუხლი მოთავსებულია წინა გვერდის მარჯვენა აშიაზე.

³ ამ ორი ასოს თავშე მოთავსებულია თუმნის ალსანიშნავად ნახვარი წრე.

⁴ მოთავსებულია შეორე გვერდის მარჯვენა აშიაზე.

⁵ აქ დაწერილია და იმავე მელნით წაშლილი სიტყვა: „ერასტის“.

⁶ უკანასკნელ სიტყვაში მესამე ასო ლ შეცორმით ორჯერ არის დაწერილი.

⁷ უკანასკნელი სიტყვის მეექვსე ასო ვ-ს შემდეგ შეცორმით სწერია ასო: „რ“.

⁸ უკანასკნელი ორი სიტყვა შეცორმით ზედმეტად არის განმეორებული.

⁹ უკანასკნელი სიტყვის მეექვსე ასო ლ-ს მაგივრ შეცორმით სწერია: „ს“.

შაბულში მოხას. ლალას ოფაზე ერთს გამოვართვამთ, მეტს არა ვოხოვთ.
დაიწერა ჩარტის ივ, ქ[ორონი]ქ[ონ]ს უკ.

მეფე
არჩილ

408. 1739 წ. ივნისის 19-ს. წიგნი, მიცემული გიორგი ზათაშვილის ცოლის მარიამის მიურ
ბალდადანთ გიორგისადმი. დედანი. $20,5 \times 14,5$ სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედ-
რული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარის თითო ან
ორ-ორი წერტილი—საქ. ც.-არქ., ფონდი—, № 1061.

ქ. ესე წიგნი მოგეც მე, ხახიაშვილის გიორგის ცოლმა მარიამ შენ, ბალ-
დადადანთ ნასყიდაშვილს გიორგის;—ასე რომე ჩემი შვილი ესტატე თარხნის-
შვილმა დავით საყენოთ ტყუეთ ჩამოიყანა. ახლა შენ შენის ღვთის გულისა-
ფვინ რადგან ის შენ დაიხსენ, მეც მოგელ შენთან და ჩემი შვილიც შენ იყიდე-
არას კაცს ჩემთანა კელი არა აქვს. ცოცხალი ვიყო, შემინახო და მოკუდე
დამმარხო. მეც ერთგულად შენს სახლში ვიმსახურო. არის ამისი მოწამე სიო-
ნის დეკანოზი გამრიელ სიონის დეკ., დეკანოზის-შვილი ოსე საუ,

ქაშოეთის პეტრე მარქოზის-შვილი ზაქარია. ზაქარია¹. მე ამირანს დამიწერია
და მოწამეცა ვარ. დაიწერა თიბათვის ით, ქ[ორონი]ქ[ონ]ს უკ².

409. 1739 წ. ივნისის 20-ს. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული დავით ზალის-შვილის
მიურ ბალდადანთ გიორგისადმი. აქვე დახსნილობის წიგნი ყმისა. დედანი. $37,1 \times 18,2$ სმ,
დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყ-
ვის შემდეგ ნახმარის თითო წერტილი—საქ. ც.—არქ., ფონდი—, № 1086.

ქ. . . ესე ნასყიდობის წიგნი მოგეც მე, ზაქლის-შვილმა დავით, ძმა-
მან უეშთერ შენ, ბალდადანთ ნასყიდაშვილს გიორგის;—ასე რომე ჩემის ნე-
ბა-მყოფლობით მოგყიდე ჩემი სამჟადრო ყმა გოჩიას-შვილის შოშიას შვილი
ესტატე. ავიღე ფასი სრული და უნაკლულო, რითაც ჩვენი გული შესჯერდე-
ბოდა. არვინ იყოს მცილე და მოდავე ამისი, არა მე, არა ჩემი სახლის კაცი.
თუ ვინმე წამოგვდაოს, პირისა და პასუხის გამცემი ჩვენ ვიყუნეთ. ვინც ამის
შლად კელყოს, მასცა რისხავს ღმერთი . . . არის ამისი მოწამე სიონის დე-

¹ ხვეულად.

² სათაური: ესტატეს და [დეჭდის]

კინოზი გამრიელ

სიონის დეკ ანოსი მღდე ლი გამრიელ	, ზურაბის-შვილი ბერი	მონაც . . . ბერი	ეჯუბაძენო
--	----------------------	---------------------	-----------

როსტომა [. . .], მანგუა[ა]ნთ ოპანა [. . .], ყორლანა[ა]ნთ ზურაბა [. . .] > ჯანშუა[ა]ნთ გიორგის-შვილი ბერი [. . .], მე მიქელის-შვილს ამირანს დამიწერია და მოწამეება ვარ. დაიწერა თიბათვის კ, ქორონიკონს უკჩ. მე, თარხის-შვილს და[ა]ვითს ამ სიგელის ყაბული მაქს, ბეჭედიც ჩემია. [. . .] +

ქ. მე, თარხანი ამისი მოწამე ვარ. [. . .]

ქ. მე, იორამ ამისი მოწამე ვარ. [. . .]

ქ. რომელიც ამ სიგელში ესტატე სწერია ნასყიდობა, მე ქვემო ხელის მამწერმა თავი დავახსნევინე, რომლითაც ჩემი გული შეაჯერა ესტატემ თავის შვილებით და შვილის-შვილებით, თავს მამულით და თავის ქონებით დღეის იქით გახლნენ მოქალაქე, არა ჩემი ყმა. სტეფან გურგინბეგოვი. სტეფან¹.

მე, ამისა დახსნაშიაც ვიყავი და თეთრიც ჩემი ხელით დამით[ც]ლია და მის მოწამეება ვარ სოლომანა ქართველი სულხანოვ[მ]. სოლომან². თიბათვის ა, ქ[ორონიკონ]ს უცვ, წელსა ჩყც.²

410. 1739 წ. სექტემბრის „დამდეგს“. თავ-ნასყიდობის წიგნი, მიცემული კიკოლა ბაჯვაძის-შიერ თვეის ბატონის ბაგრატის-შვილი პატასაღმი. დედანი. 13,6 × 13,1 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდნე მხედრული გაკრული ხელ-თ. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი ან სამ-სამი წერტილი.—საქ. მუხ., № 14.398 ჩ.д.

ქ. . . ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგართვი მე, ბაჯვაძე კიკოლამა თქვენ, ბატონის ჩენის ბაგრატის შვილს პა[ა]ტასა; —ასე რომ მე ლექში დაესტყვევდი, დიალ ბევრს ვეცალე ბატონთანაცა, ყმასთანაცა და ამხანაკთანაცა, ზაგრამ არამ კაცმა არ მიპატრონა და არ დამიხსნა. მობძანდით თქვენა და ლექებისაგან დამიხსენით, რაც სახსარი გთხოვს, მიეცით და ისრე მიყიდეთ. მეც ეს ნასყიდობის წიგნი მოგართვი ჩემის თავისა და ჩემის ცოლშვილისა, რომ, სადამდი ცოცხალი ვიყო ან მე და ან ჩემი შვილი, შენ უნდა გმსახუროთ და არცარა თქვენს იქით ვიცოდეთ, თქვენს მეტს კაცს ჩემთან და ჩემს შვილთან საქე [არ] აქვს; როგორადაც გეპრიან ბოლეს და შეგეძლოს, ლ[მერ]თ[მა]ნ ჩენის თავი და ქონება ისრე სასამსახუროდ გამარჯვებაში მოგახმაროსთ. თუ თქვენის

¹ ხვეულად.

² სათაური: ესტატეს სიგელი

დოკუმენტითა სახსრის ილაჯი შევიძლო, როგორც დაგიხსნებარ და მოგარიცვა, ეს ნასყიდობის წიგნი ისევ უნდა მიბოძო და, როგორც დღეს აქამდი მიმსახურებია, ისევ უნდა გმსახურო, რომ შენს მეტს კაცს მაინც ჩემთან ხელი არავის ექნება. არის ამისი მოწამე გვერწითელი გიორგი, გულბა[ა]დის-შვილი ხოსია, მე, ძამუაშვილს პატარეაცს დაძი[ი]წერია, მოწამეცა ვარ. დაიწერა ენერისთვის დამდეგს, ქორონი]კონ]ს უკზ. +

- 411.** 1739 წ. ენერისთვის გასულს⁴. ნასყიდობის წიგნი, მიცემული არუთინა ბაინდურას-შვილის მიერ ბეჭან დორათაშვილისადმი. დედანი. 17,5x16,7 სმ, დაწერილი მოლურჯო ქალალდებ მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო ან ორ-ორი წერტილი—საქ. ც.—არქ. დედნ. მე-19 ს., № 432.

ქ. ესე წიგნი მოგეც მე, ბაინდურას-შვილმა არუთინამ შენ, [დე]ორათა-შვილს სალთხუცეს ბეჭანს;—ასე რომე მე ქვემოდამ მოსული კაცი ვიყავ, და გტყვედი. ლეკის ხელში ტყვეთ ვიყავ. წემოგეხვეწე და ჩემი თავი ყმით მოგეც და შენ დამისხენ ლეკიდამ რვა თუმნათ. ლეთის მეტი არავინ არის შენი მოცილე და მოდავე. თუ წამოგედავოს ეინმე ჩემთვის, პასუხის გამცემი მე ვიყო და შენი თეთრი სარგებლით მოგცე. არის ამისი მოწამე თავათ ღმერთი; კაცთა-გან: გერმანოზის-შვილი უზბაში პაპუ[ა] , მუსხალაშვილი დათუნა +,

მე ყარჩიყას-შვილს პატარეაცს არუთინას სიტყვით დამიწერია და მოწამეც ვარ. დაიწერა ენერისთვის გასულს, ქორონი]კონ]ს უკზ.¹

- 412.** 1740 წ. მარტის 1-ი. მაჟულასა და ყვითელი ნაუყიდულის წიგნი, მიცემული პაპა შიოზის-შვილის მიერ ქაიხოსრო და სხვა ზაალის-შვილებისადმი. პირი, გადაწერილი უზენაეს მართებლობის ბრძანებით XIX საუკ. დასაწყისს მხედრული ხელით—საქ. ც.—არქ. ფ—, № 1/51.

ესე უთუო და უთუმცაო, დრო-დაუდებელი, მიზეზ-შემოულებელი, ყოვლის ჩხუბისა და ილეთისაგან გამორკვეული ფიცი, პირი და ნასყიდობი წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგეცით ჩვენ, შიოზის-შვილმა პაპამ და შვილმან ჩემან გიორგიმ და აბელ და მომავალმა სახლისა ჩვენისამან თქვენ, ზა[ა]ლსა-შვილებსა ქიხოსროს, ავთანდილს, როსტომს, გიორგის, თარსადანს და მომავალსა სახლისა თქვენისათა;—ასე რომე დაგვეჭირა და ჩვენის დიდის

¹ სათაური სხვა ხელით; მოსიას მამის წიგნია.

დაჭირებისათვის მოგყიდეთ ჩვენი სამკეიდრო და ნატყიდი მამული ცოშიას და ენაგეთს იმათიც მამული, იარყულაშვილის თამაზისი და თემურას მამული, ონა-შვილი მირხა და ზურაბა, იარყულაშვილი გოდერძა, ზურაბაშვილი ნოდარა, ბექოს-შვილის ბერიასი და ბალდასარისი მამული თავის ნასყიდის გარდა, მანუჩარაშვილის ასიტას მამული, ესენი მოგყიდე ჩვენის ნებაყოფლობით ყოვლის თავისი სამართლიანის სამდღრით, სახლ-კარითა, კალო-საბძლითა, ჭურ-მარნითა, შესავლითა, გასავლითა, სახნავითა, უხნავითა, ველითა, ვენახითა, ნასყიდითა, უსყიდითა, ყოვლის თავისის სამართლიანის სამდღრით ციხიას და ენაგეთს მოგყიდეთ. ავიღეთ ფასი სრული და უკლებელი, რითაც ჩვენი გული შემოგჯერდებოდა. ჩვენი თქვენზედ აღარა დარჩა-რა არცა ერთის იოტის ფასი. გქონდეს და გიზედნიეროს ღ[მერ]თ[მა]ნ, რარიგათაც სხვას მონასყიდეს ქონებოდეს. არის ამისი მოწამე თავად ძირუსხენებელი ღმერთი და ყოველნი მისნი შინდანი. კაცთაგინ მოწამე და დამხდომნი ყორლანაშვილი ფარუმუხა

ადგილი
ბეჭდისა

პაპუნაბეგ ჯანბუაშვილი +, გაბაშვილი პაპუნა +. ლოიანა[ა]ნთ ასატურა +, ბაციკაშვილი პაპა [ადგილი
ბეჭდისა], გორგიშვილი ზალია +, ყორლანაშვილი

თამაზა +, გურგენიშვილი პა[ა]ტა +, შაიკაშვილი დოლმაზა +, თანდულა-შვილი გორგი +, ტეროანა +, ცინიელი ტეროანა +, მახიაშვილი არუ-თინა +, ზუბუაშვილი ასრათა +, გულუაშვილი პაპა +; მე ყორლან[ა]შვილს პუშრუს (sic) გორგის დამიწერია პაპას დარიგებით და მოწამეცა ვარ ამისი. არიშერა მარტის ა გასულს, ქორონიქ[ონ]ს უკვ. ¹+ + +²

413. 1740 წ. მარტის 6-ს. ნასყიდობის ჭიგნი, შიცემული ბერუა დავითაშვილის მიერ ზახა თარხნის-შვილისადმი. დედან-დახული თავში. 32,3×15,8 სმ, დაწერილი თეთრ ქა-ლდეჟ მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმა-რია ორ-ორი ჭერტილი—საქ. მუხ., № 13.674 ჩ.д.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღ[უ]თისათა . . . ესე ჩემის თავის და ცოლ-შვილის ნასყიდობის ჭიგნი და სიგელი მოგეც თქვენ, თარხნის-შვილს ზაზის დავითაშვილმა ბერუამ; —ასე რომ შენი კაცი გამოგეგზავნა ქალაქს, სამი უ-შანი თეთრი გამოგეტანებინა სავაჭროთ თავის თოფითა და იარალითა.. მერმე შენი კაცი დაკარგულიყო. იმისი თოფი და კმალი იცნო ჩემს კელში. სამარ-თალში მიეღით ასლამაზ ხანთან. ასე მიბძანა: „ან თავისის კაცის მეცვლელი და ან მონასყიდვ უნდა მისცეო“ ამაში ვერც მეცვლელი და ვერც მონასყიდე


¹ ტერტია 3.

² მინაჭერი: ასლიდამ თანამწოდი არს ჩაწერილი. სოფეტნიკი თუ თვიმურაზ ბაგრა-ტოვანი.

ეიპოვნე. ჩემი თავი მოგეც ცოლ-შვილით ნასყიდობით წინწყაროველმა დავითაშვილმა ბერმა. არის ამისი მოწამე თარხნის-შვილი დაგით [.....], გერმანიას-შვილი გუგუნა, იორამ თარხნის-შვილი. ამისი იასაული დამხდური სალთხულესი ბეჟან [.....], მე შიო ქობთახევის დეკანზე დამიწერია, მოწამეცა გარ [.....], თელეთელი ბეჟანა. დაიწერა ესე წიგნი მარტს ვ, ქორონი]ქ[ონ]ს უკმ. +

არის ამისი მოწამე თარხანი ლუარსაბ.


სარდლის-შვილი ფარსადან



414. 1740 წ. მარტის 7-ს. მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული გრიგოლ ჯვარაშვილის მიერ პეტრე შეშაბერიძისადმი. დედანი. 32×12 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდებ მხედრული ნელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაზმარია ორ-ორი წერტილი—საჭ. მუხ. № 2748 ხდ.

ქ. ნებითა და შეწევნითა მღ[ე]თისათა, მამისა ძისათა და სულისა წმინდისათა და ყოვლად წმინდისა მღ[ე]თის-მშობელისათა და წმინდის ევსტატ[ი]ს მოწმობითა, შუამდგომლობითა ესე ნ[ი]სყიდობის წიგნი მოგ[ე]ც მე, გრიგოლ ჯვარაშვილმა შენ, პეტრეს შეშაბერიძეს, შვილსა შენსა დემ[ე]ტრეს და ზა[ა]ლს;—მოგყიდე გარიყულასთ[ა]ნ ლარის მიწა თრლობეს აქეთ საქვე[ე]ნაქროტ, ზევით თავწავლა რუტინ ნიშანი, კიდევ: ძეგვიანი ლელე რომ არის, იქამდინ და სერის თავ[ა]მდინ, პატ[ა]რა გორა რომ არის, კიდევ იქ[ა]მდინ,—თ[ა]ვის შეს[ა]ვლით და გას[ა]ვლით. ავიღე ფასი სრული, რითაც ჩემი გული შეგჯერდებოდა, ბოლ[ო]ს თუ ჩემის ქვეყნიდამ ველარ მოუდგე, ისევ პატრონს დავ[ა]ხსნებ[ი]ნო, როგორც დასხნის თარილში დაფ[ა]სდე[ე]ს. არის ამისი მოწამე თავ[ა]თ ღმერთი, კაცთ[ა]გან მახარე კანდელავი +, წვერიანაშვილი პეტრე +, ერდგულაშვილი ბერუა +; მე გოგია ჯვარარეს შვილს დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა მარტის ზ, ქორონი]ქ[ონ]ს უკმ. ²

ქ. მე, რამაზ თარხნის-შვილი გამტკიცებ სიგელს ამას. ამისი კულუხი ჩემი კოქა ნახევარი წმინდის მოწამის ევსტატის ეკლესიისათვინ შემიწირავს, ყოვლწლივ პეტრე უნდა მო[ა]რთმევდეს. სხვა საქმე არავის აქ[ვ]ს



ქ. მე, ბეჟან თარხნის-შვილი ამ სიგელს ვამტკიცებ ³.

¹ სათაური სხვა ხელით: წინწყაროელი დავითას-შვილის ნასყიდობის. წიგნი დაგითასაგან. ქორონი]ქ[ონ]ს უკმ. წინწყაროელის წიგნი...

² ტექსტში უკანასკნელი ასო ც-ს მაგიერ სწერია ა.

³ სათაურები სხვა ხელით: ა. ქ. გრიგოლის მიწის სიგ[ე]ლი არის. + +

ბ. შეშაბერიძის ნასყიდი წაბლა-რუსეთ ახალქალაქსა.

415. 1740 წ. მარტის 26-ს. ნაცენიდობის წიგნი, მიცემული ნადირაანთ ბერისა და ლოისის მიერ გორის მელიქ თაყინაანთ ფარსადანასალმი. დედანი. $65,7 \times 23,8$ სმ, დაწერილ თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდევ ნახმარია სამ-სამი წერტილი. თარიღად აქვს 1740 წ.—საქ. მუხ., № 1629 ჩ.

ქ. . . ესე უთუო და უტუარი, დღე-სიკედრლამდი მოუწელელი, ლრო-დაუდებელი და მიხეზ-შემოულებელი, ყოვლის ჩეუძესა და ილეთისაგან გამო-სული უამ და ხან-გასათავებელი ნაცენიდობის წიგნი და სიგდლი დაგიწერე და მოგეცი მე, ნადირაანთ თამაზას-შევილმა ბერმა და ძმამა ჩემა ლოისისმა, შეიღმა ჩემა თამაზამ და გიორგიმა და შეიღმა და სახლისა მამავალმა ჩერენმა ყოველ-თავე თქვენ, გორის მელიქს თაყინაანთ ზალუას-შევილს ფარსადანას, შეიღსა თქვენსა თაყინასა, შეიღსა და სახლისა მამავალსა ძევნისა ყოველთა;—მასა უამს როდესაც ავს დროში ჩავცეინდით და ვალი დაგვატყადა, გარდახდის ლონე აღარ გვერნდა, მოვედით და შემოგეხვეწენით და ჩენი თავი მოგყი-დეთ. ჩენის თა (sic) ვალის გულისათვინ და ავიღეთ თქვენგან ფასი სრული და უკლებარი, რომელითაც ჩენი გული შეგჯერ დებოდა. აღარა დარჩარა ჩენი თქვენს ხელთ არც ერთი იოტის ფასი. გაქონდეს და გიბედნიეროს ღრთან, როგორც მრავალს ალალს მონასყიდეს მართებდეს. ხელი გეწრუდეს გასასყი-დლათ გინდოდეს თუ გასამზითვათ, რათაც ფერათ ჰოსახეარისათ გინდოდეს. მცილე არა გყავანდეს და ვერცარავინ შემოგეცილოს თვინიერ ერთი ღრთას მეტი და თუ ვინმე შემოგეცილოს, პირისა და პასუხეს გამცემი ჩენ ვიყრო. . . არიან ამისი დამბლური და მოწამენი . . . გა თაგან ხითარა-შას-შევილი დაგით [—], და ფეხანგის-შეიღლი აღდრია [—] და ხოჯაბ-განთ ნაზარას-შევილი რევაზ [—], გულიშანბარანთ ბეჭან [—] და ჯაშო-ნანთ როსტომა [—] და ელისბარას-შევილი გიორგი [—] და აძირალიანთ დავითა [—] და ზუბალანთ მერაბა [—] და მერაბანთ საკა [—] და ხეფრატანთ ფარსადანა [—] და კარაპეტანთ გიორგი [—] და ყანდინანთ გიორგი [—] და მე ღანბარანთ ამირანას-შევილს გიორგის დამიწერია და მო-წამეცა ვარ [—]. დაიწერა მარტის კვ გასულს, ქ[ორონი]ქ[ონ]ს უქც!

416. 1740 წ. აპრილის 25-ს. დასტური, მიცემული იორამ და დავით [თარჩინშევილების¹] მიერ ვიღაც ბევანასალმი. დედანი. $7,3 \times 16,2$ სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრუ-ლი ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდევ ნახმარია თითო წერტი-ლი—საქ. მუხ., № 2863 ჩ.

ქ. ბეჭანას ვენაზი გაეცეალა თეძამჩედა, ნაზარას-შევილისათვინ მიეცა, ცოტა რამ კიდევა დარჩომოდა, არას არგებდა. ჩენ იორამსა და დავითს

¹ სათაური: ქ. ნადირას-შევილის ბერისა და ლოისის სიგელი ორი ძითა.

ამისი დასტური მიგვიცია, ვისაც უნდა მიყროს, ჩვენ არას მივედავებით. აპრი-
ლის კე, ქორონის-ქონის უკუ. ჩვენ ყაბული გვაქვს.



417. 1740 წ. ივნისის 12-ს. შეილის ნასყიდობის წიგნი, მიცემული გძელაანთ დავითას
მიერ გიორგი ყანდინას-შეილისადმი. პირი, გადაწერილი უზენაეს მართებლობის ბრძა-
ნებით XIX საუკ. დასაწყისს მხედრული ხელით—საქ. ც.—არქ., ფ.—, № 2/65.

ეს ფიცი, პირი და ნასყიდობის წიგნი დაგიწერე და მოგეცით მე, სურამელმა გძელა[ა]თ გალუსტას-შეილმა დავითამა და სახლისა მამავალმან
ჩემისამან შენ, გორელს ყანდინას-შეილს გიორგის და სახლისა მომავალსა შე-
ნისასა;—ასე რომე დამეჭირა და მოგყიდე ჩემი შეილი ოსეფა და ავილე ფასი
სრული და უკლებარი, რითაც ჩემი გული შეშვერდებოდა. აღარა დარჩარა
ჩემი შენზე არც ერთის იოტის ფასი. გასასყიდლათ, გასამზითვათ, რითაც
ფრათ გინდოდეს, ხელი გეწიფოდეს. არავინ იყოს შენი მცილე თვინიერ ერ-
თის მღვთის მეტი. თუ ამ ჩემს შეილს შემოგეცილოს ვინმე, პირისა და პასუ-
ხისა გამცემი ჩვენ ვიყოთ. ვინც ეს ნასყიდობა მოგიშალოს, ისიმც შეიშლება
თავის სახისაგან. . . არიან ამისი მოწამე თავათ ლერთი, კაცთაგან ხოჯა-
ბეგა[ა]ნთ ნაზარას: შეილი რევაზა

ადგილი
ბეჭდისა

ადგილი
ბეჭდისა

ადგილი
ბეჭდისა

ადგილი
ბეჭდისა

რის-შეილი მოსესა + და მე დავით მდივნის შეილს გიორგის

დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა სიგელი ესე თიბათვის იტ, ქო-
რონის-ქონის უკუ.

+ მე მურვანა ამისი მოწამე ვარ.

ადგილი
ბეჭდისა

418. 1740 წ. ნასყიდობის წიგნი, მიცემული მიერელა თუშის გოგიტას-შეილის მიერ ფირან
თუმანის-შეილისადმი. დედანი. 23,6X16,5 სმ, დაწერილი მოთეთრო ქალალდე მშედ-
რული ხელით. ასო—მეტ-ნაკლები. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ
ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. მუხ., № 258 სდ.

ქ. ესე ნასყიდობის წიგნი მოგეცი მე, შენის ყმის თუშის გოგიტას-შეილ-
მან მიქელამ შენ, ბატონს ჩემს [თუმანის-შეილს ფირანს;—ასე რომა წავედო

¹ მინაწერები: ასლთან თანასწორ არს. სოვეტნიკი თავადი | გაბრიელ რატივე.

ნამდვილი წერტილი მივიღე. გიორგი ყანდინოვი.

მუტაკის, გოგო შევირთევ. ავიყვანე ჩემი ცოლი, მოველ. მოვიდნენ, ცოლს
წამამედავნენ, რომ ჩვენი ნასყიდი გოგო არისო. ან გვეყმევო, ან ნასყიდი გო-
გო დაგვანებეო. სამართალში ჩვეცვინდით, ერთი ტყვე დამადვეს მოსქამართ-
ლემ. ვეცადე, ვერ უშოგნე. ეს წიგნი შენ მოგეც: გ[ო]გო¹ უყიდე და შენ მიე-
ცი, მე დამიხსენ. როგორც მრავ[ა]ლს ნასყიდს ემს[ა]ხურებინოს ბატონისთვინ,
მეც ისე გმს[ა]ხურო ერთგულათ. თუ ან სიმრუდე, ან ავხელო[ბა] შემამცნიო,
ან აგეყარო, სადმე წაგივიდე, როგორც მრავალს ნასყიდს დამართებოდეს,
შენც ის სამართალი დამ[მ]ართო. მან[ა]მდის შვერლები მამეცეს, შინ გემს[ა]-
ხურო. რახ[ა]ნ შეილების პატრონი გავხდე, ისევ ჩემს მამულზედ დამას[ა]ხლო.
როგორც მონასყიდე ყმას ემს[ა]ხურებინოს ბატონისთვინ, მეც ისე გ[ო]მს[ა]-
ხურო. არის ამისი მოწე[ა]მე თავათ ღმერთი, კაცთაგან თუმანის-შვილი ზაქა-
რია, იას[ა]ული იოთამა, ნაზირის დის სალთხუცესი ფრიდონა. დაიწერა თიბა-
თვის დამდექსა. დამიწერია და გორელს გასპ[ა]რის, მოწ[ა]მეც ვარ ამისი.
ქორონიქონის უკა +. არის კიდევ ამისი მოწ[ა]მე მექმანდარი მამუკა.

419. 1741 წ. იანგრის 25-ს. შვილის ნასყიდობის წიგნი, მიცემული თამაზა ქიტას-შვი-
ლის მიერ მლთისია თოინას-შვილისადმი. დედანი. 32,5×14,2 სმ, დაწერილი თეთრ
ქალალდხე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახ-
არია ორ-ორი წერტილი—საჭ. მუხ., № 487 hd.

ქ. ესე წიგნი მოგეცით ჩვენ, ქიტას-შვილმა თამაზამ თქვენ, თოინას-შვილს
მლთისიას, ლომაკაცის, პა[ა]ტასა;—ასე რომე ავი დრო იყო და დიალ გაგვი-
ჭირდა. ჩემი შვილი გიორგი მოგვიდეთ ძმათა და შვილათ. ავილევით ფასი
სრული, რითაც ჩვენი გული შეგჯერდებოდა. ვინემ ცოცხალი იყოს, შენი არის
არაკაცი არ გეცილებოდეს, ვერცა მე და ვერც არავინ სხვა მოლაპარაკე. ჩემს
შვილთან სხვას ვის რა საქმე აქვ[ა]ს, თქვენთან არის. ამისი მოწამე თავათ
ღმერთი, კაცთაგან მღვ[ა]დელი კასრაძე აღდგომელი, კადური შიო, დეტუნას-
შვილი პაპუა, ქრისტესას-შვილი მლთისია. მე ფავნელის-შვილს შიოშს დამი-
წერი[ი]ა და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა ესე წიგნი იანგრი[ი]ს ოცდა ხუთს
გასულს, ქორონიქონის უკა +.

420. 1741 წ. თებერვლის 16-ს. ხელწერილი წართმეული საქონლის მობარებაზე, მიცემუ-
ლი ისეფა როსტევანაშვილის მიერ დავით თარხნიშვილისადმი. დედანი. 28,7×15,4 სმ,
დაწერილი თეთრ ქალალდხე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტ-
ყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი—საჭ. მუხ., № 2745 hd.

ქ. ესე წიგნი მოგეცით ჩვენ, როსტევანაშვილმა ოსეფამა და როსტემმა
ლა გიორგიმ, შვილმა ჩვენმა ესტატემ თქვენ, თარხნიშვილს დაგითს, ძმასა

¹ უკანასკნელი სიტყვა ტექსტში სწორია: „ჰუგო“.

² სათაური სხვა ხელით: ქ. გას სიგველი ქიტას-შვილის ასამშაბასია.

თქვენსა ზეშორს და შვილსა შენსა ზაზას; — ასე რომე შენგან სიგელს მოუტ-
მულს აქეთ რაც წაგერთმევინა კარი, პური, ღვინო, ფეტვი და რაც რამ ფერი
შენგან ჩენ წაგერთმეოდა, სულ თამამათ მოგვებარა. ამ წანართმევზე და საქ-
მეზე ერთმანერთთან კელი აღარა გვქონდეს. არის ამისი მოწამე მდივანი აფ-
თანდილ, მდივანი ყარან, ვექილის აჯრა, მაღალაშვილი საამ, თაზიშვილი იო-
რამ, მაღალაშვილი მამუკა. მე ნიკოლოზს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაი-
წერა თებერვალს ივ, ქორონიკუნეს უკა: ჩენ როსტევანას-შვილს ამ წიგნის
ყაბული გვაქს! ¹ + + + +

421. 1741 წ. მარტის 1-ს. მამულისა და ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული სურაბ ზურა-
ბის-შვილის მიერ ქაიხოსრო ორბელიანისადმი. დედანი. 62×32 სმ, დაწერილი თეოზ
ქალალდებ მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად წშირად ნაწმარის ლითო ან
ორ-ორი წერტილი—საჭ. ც.—არქ., ფონდი—, № 1315.

ქ . . . ესე მტკიცე და უცვალებელი ყოვლის კაცის მოუღვევარი ნასყა-
დობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგაროვი მე, ზურაბის-შვილმან ზუ-
რაბ და მომავალმან სახლისა ჩემისამან თქუნენ, ორბელიანს სარდალ-მდივანბეგს
ბატონს ქაიხოსროს, შვილსა თქვენსა რევაზს, ძმისწულსა თქვენსა დავითს და
შემდგომთა მომავალთა სახლსა თქვენისათა; — ასე რომე მოველ ჩემის ნება-წა-
დილით და მოგყიდე ქვეშ რაც ჩემი წილი და ბარათით გამოყოლილი მამული
არის ჩემის წილის ცენითა, ბიძნას-შვილის მამული, აბიათარაშვილის მამული,
დემეტრაშვილის მამული, ირხოშას-შვილის მამული, ფოლადაშვილის მამული,
ლარიბაშვილის მამული, არანას-შვილის მამული, ყორხმაჩაშვილის მამული,
ოსეფაშვილის მამული. ესენი აყრილისა და ზედ მსახლობელის კაცით წყლითა
საწყლისპიროთა, საოჩითა, საფაცითა და საფიჩეულოთა, წისქეილითა, სახლ-
კარითა, ქვეერ-მარნითა, კალო-საბძლითა, მთითა, ბარითა, შესავლითა და გა-
სავლითა. ამისი სამძღვარი ერთი მკარე, ძველი ქვეშისაკენ აკუნიდამ რომ ლე-
ლე ჩამოვა ოთარისა და წორაძის ვენაკის შუა, ის არის; მეორე მხარე ჩამოვა, აკუ-
ნიდამ რომ სერი ჩამოვა, აკაურთის მიწებს მიადგება, წყალს გაღმა ყიშლაციის
ვენაკებისაკენ რომ შუაზედ ერთი გორა არის, რასაც კენჭიყარის სერი ჩაიტანს,
იქიმდი; ზეით მხარის, უშენენისაკენ ყიშლაციიდამ რომ გზა ჩამოვა ლელეზედ.
ერთი სამძღვარი ის არის; ერთი იქითი მხარი, გეტის წყალი რომ ჩამოვა-
დება. ესენი უკლებლივ თქვენთვის მომიყიდნია მე ქვეშ ერთი ისრის დასასობი
ადგილი აღარა მაქუს. ივიღე ფასი სრული და უნაკლულო, რითაც ჩენი გული
შესჯერდებოდა. არა დარჩა რა ჩემი თქვენხედა. გქონდეს და მოგაყმაროს
ლმერთმან, როგორც სხვა მონასყიდეს. არვინ იყოს მცილე და მოლაცე, აწა

¹ უკანასკნელი სიტყვა ტექსტში სწერა: გაქავ.

ბატონი, არა ყმა, არა რომელი ჩემი სახლის ჭავი და, თუ ეინმე წამოგედაოს, პასუხის გამცემი მე ვიყო . . . არის ამისი მოწამე ბიძა ჩემი პაპუნა¹, ჩემი ზიძაშვილი სვიმონ,² იარალის-შვილები ზაზა³, იარალი⁴, იარალი.⁵ ამისი დამხვდურ და გამრიგე გაბაშვილი პაპუნა⁶, იოთამის-შვილები ერასტი⁷, რევაზ⁸, ზალ⁹; ლუარსაბ¹⁰, მზექაბუკ¹¹, გურჯა-რევაზის-შვილი ლუარსაბ¹², ჩემი ყმა ბაღლიჭის მამასახლისი ალთუნა¹³, ნამანგლელავის-შვილი გუგუნა

გუგუნა

გოშტაშაბის-შვილები ბეფან¹⁴, ვახუშტი¹⁵, სააბის-შვილები ელიშერ¹⁶, საამ. ¹⁷, გერმანოზის-შვილები გუგუნა ¹⁸, პაპუა გუგუნა

ლელთა და სხვათადმი. დედანი. 43×20,6 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდებული
ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი.
თარიღად აქვს 1744 წ.—საქ. მუს., № 2218 ჩ.

ქ. ესე წიგნი გიბოძეთ ჩენ, ამირახორმა გივმან თქვენ, ვერტყვილელთა
და ვერტყველის ქალელთა, ბუნეველთა, გესამანიელთა, გრიგალათელთა, კევის-
ჯვრელთა, წაქველთა, ნადაბურელთა და ციცეიურელთა და სულ ერთობით
ხეფინისკეველთა;—ასე რომე ქველითგანვე ქართველის ბატონის სახასო და
მევიღრი ყმანი ყოფილიყავით და ჩენი სახელო და სასარდლო იყავით. ცო-
ტას ხანს ქართველმა ბატონმა თქვენი თავი აბაშიძეს უბოძა. ამდა მეფებ
თქვენი თავი ისევ ჩენ გვიბოძა. ჩენ ეს პირობა მოვეიცემია, რაც უწინ ქარ-
თველის ბატონისა გდებიათ, იმას გამოგართმევთ. იმაზე მეტს არას გამოგართ-
მევთ, არცავის თქვენს თავს სხვას კაცს დავანებებთ, თქვენც მართებულს ბა-
ტონყმურს სამსახურს ეცადენით და იყავით თქვენთვის. დაიწერა მარტის ე.
ქ[ორონი]ქ[ონ]სა ულბ¹. []

453. 1744 წ. მაისის 21-ს. ბატონყმობის განაზლების წიგნი, მიცემული გოდერძი მღებრი-
შვილის მიერ ქაიხოსრო ციცეიჭლისადნი. სახუთი ნათლისმცემლის მონასტრისა (?)
№ 249 დედანი. მარჯვენა აშია დაზიანებული. 22×15,2 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდებუ-
ლედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი
წერტილი—საქ. ც.—არქ., ფ.—, № 2986.

ქ. ესე წიგნი მოგართვით თქვენ, ჩენს ბატონს ქაიხოსროს ციცეიშვილს
მე, მღებრიშვილმა გოდერძიმ;—ასე რომე ქართლი ა[ი]რივა, ქვეყანა სულ

¹ აღნიშნული თარიღი ეცვს იწვევს.

დაიღვანტა, ზოგი იმერეთს გარდაცვიცლა, ზოგი ჯავახეთს, ზოგი ქახუთში ჩა-
მოვიდა, რომ მტერმა შეაწუხა. მეც გამიჭირდა საქმე და ავიყარე და კახეთი
ჩამოველ, თქვენც ჩამობძანდით და ჩვენს კემწიფეს მეფეს თეიმურაზს იახელით.
ბატონებმობის რიგიც შეიქნა. ჩემი თავი ისევ ბატონმა გიბოძათ, რომე წინაც
თქვენი ყმა ვიყავი. ახლა ჩემს წადილობით ეს წიგნი მოვაროვით, რომე ჩემი
თავი ყმობით არ დაგვეკარგოს: თქვენ ბატონი და მე ყმა. არის ამისი მოწამე
დაფიც საგინაშვილი +, ფიცელაური როსებ +, ქ. გორგი რჩეულაშვილი +,
ქ. გოგია ბუნიათიშვილი +, ქ. ჩვენ, როსტომ უზბაშს დაგვიწერია [და] მო-
წამე ვარ. დაიწერა მასისი[ს] კა, ქ[რ.]რონი]კონ[ს] ულბ. +

ქ მონაცემისა როსტომ მ ქვიან უზბაშ ივარ ყველისა

454. 1744 წ. აგვისტოს 29-ს. ნასყიდობის წიგნი, მიცემული ისე და შოშიტა ლეინიას-
შეილების მიერ დავით თარხნის-შეილისადმი. დედანი. დაზიანებული (დახეული).
52,8 × 25,5 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშ-
ნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარის ორ-ორი წერტილი. თარიღად აქვს 1744 წ.—
საქ. მუხ., № 1735 ხდ.

ქ . . . ეს მტკიცე და უცვალებელი, ყოვლის ჩელებისა და² ილათისაგან
გამოსული ნასყიდობის წიგნი და² პირი დაგიწერეთ და მოვცეცით ჩვენ, გოს-
თიბელმან ლეინიას-შეილმან ისესმ და შოშიტამ, შეილმან და მამწავალმან სახ-
ლისა ჩვენისამან თქვენ, თარხნიშეილს დავითს, შეილსა თქვენსა ზაზას, შეილთა
და² მამავალსა სახლისა თქვენისათა;— ასე და² ამა პირსა შედან: ურჯულოს
მტრის ლექისაგან დავტყვევდიო და ახლციხეს მოვციყვანეს და დაგვიძეს.
შეიდი რვა თვე ბორკილსა და² ხაჯალაურშიდა ვიყავით. არავინ გაგვიჩნდა
დამხსნელი და პატრონი. სიკვდილზედ მივეწერენით, სულს იქით ტყვეობისა-
გან ილაჯი აღარა გვქონდა. მოვედით შემოგეხვეწეო, რომ ნამეტანათ მიგვ-
ჰირდა², მტერი და² პატრონი აღარავინ გამოვციჩნდა² და ვერც მოსახსრე
კაცი ვიშოვეთ. შეგვიძრალე შენის მღთის გულისსათვის (sic) შენი არა გქონ-
და და თათრისაგან წვიდი თუმანი აიღვევი და ჩვენ ორივე ძმანი დაგვიხსენ და
ჩვენც ჩვენი თავი ნასყიდობით მოვაროვით ყოვლის კაცის უცილობლათ. თუ
ენდე ჩვენს თავს წამოგედაოს, პირისა და² პასუხის გამცემე ჩვენ ვიყოთ. ლ-თნ
ჩვენი თავი სიკეთესა და² კარგათ ყოფაში მოვახმაროს, როგორათაც სხვას
ალალს მონასყიდეს მოხმარებოდეს. არის ამისი მოწამე . . . კაცთაგან ამილა-
ხორის მდივანი ჯავახის-შეილი დავით. [] ; ახალციხის შუბაში ბასტამა]-

¹ სათაური: ქ. გოდერძას წიგნი.

² აქ ზედმეტი ა-ნი სწერია.

შვილი გასპარა [], საკაძე იორამ¹ გლურჯიძე ფრიდონ¹, ურიაყოფილი მღდელი დავით¹, შედნიშვილი ზურაბ¹; მე მდივანს ბეგთაბეგს დამიწერია, მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა მარიობისთვის ოცდა-ცხრას გასულს, ქორონიქ-კონის ულბ. + +

ქ. მე, ჯაშინას (?) შვილი როსტომ ამისი მოწამე ვარ. []²

455. 1745 წ. ახლო . . . ნასყიდობის წიგნი, მიცემული ბეგარე პარნუმეკას-შვილის მიერ რამაზა და სხვა როსებას-შვილებისადმი საბუთი მანგლისის ეკლესისა, № 72. დედანი დაზიანებული (დახეული) თავში. 30,8×23 სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უზის: მასში მოხსენებულია მოწამე ესტატე შერმაზანას-შვილი. იგივე შერმაზანაანთ ესტატე გვხვდება საბუთში 1745 წელს—საქ. ც.—არქ. ც.—, № 922.

ქ. . . ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგეც შე, პარნუმეკას-შვილმა ბეგაძემა და შვილმა ჩემმა ზურაბამა თქვენ როსებას-შვილებსა რამაზასა და ფარსაღანასა, შეილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა;—ასე რომე ბატონს ჩემს მივყენდი და თქვენ დამისქნით, რითაც ჩემი გული შეიჯერებოდა და ან იმისი. არის ამისი მოწამე თავად ღმერთი . . . კაცთაგან საცხენელი ესიტა ქართველი, შერმაზანას-შვილი ესტატე, ბაინდურას-შვილი გიორგი, მათიას-შვილი ოტია, თოროზას-შვილი ასლანა, ხუცის-შვილი ოთარა, კურლევ-ლას-შვილი გიორგი. მე სულხანის-შვილს ესტატეს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა ესე წიგნი. + +

456. 1745 წ. იანვრის 13. ნასყიდობის წიგნი, მიცემული მამაცა და სხვა როსტომას-შვილების მიერ ბატონის-შვილის ნაიბ ისაყ ბეგისადმი. დედანი. დაზიანებული (დახეულია მარცხენა გვერდზე). 29,6×21,7 სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. ასო—მეტ-ნაკლები. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი—საქ. მუს., № 3175 hd.

ქ. ესე წიგნი მოგეცით ჩვენ; როსტომას-შვილმა მამაც[ა]მა და ჩემ[მ]ა ქმამ ქიტუამ და გაბრიელამ, გიორგიმ თქვენ, ბატონის-შეცლს ნიშნს ის[ა]ყ-ბეგს;—ასე რომე თათრის ტყვე, პილრალ-ბეგის ტყვე მოვიპ[ა]რეთ. შეგვიტ-

¹ აქ ბეჭდის დასასმელად ცარიელი ადგილია დატოვებული.

² სათაური: გოსტიბელი ლვინიაშვილისა. დავითს და იმის შვილს ზაზას შეიძნია.

ჟვეს და ცოლშვილით თათქარს მიუყვანდით. შემოგეხვეწენით და თქვენ დაგ
ვინენით თათრისგ[ა]ნ. ჩვენი ს[ა]ხს[ი]რი მიეცით თათრებს. ღონებ ეტლ[ა]რა
ვქენით რა და მოგყიდეთ ჩვენ ოთხ ძმ[ა]თ ჩვენი თ[ა]ვი და ცოლბრ და შვილით
არავინ იყოს ჩვენი მცილე და მოდავე ლ-თის მეტი. არს ამისი მოწ[ა]მე
კაცთაგ[ა]ნ დ[ა]ვით ჭეძელი, თურქისტანის-შვილი ლ[ა]ვით [] ;
ჯ[ა]რჩი ხ[ა]ტინა, მეითრის-შვილი მანუჩარ და შე, თუმანია[ნ]თ ელიშერამ დ[ა]ვ
წერ[ე] და მოწამეც[ა] ვარ. დ[ა]რწერა ეს წიგნი ქალ[ა]ქს იანვარს იგ გ[ა]სულს.
ქ[ო]რონიკონ[ნ]ს¹ ულგ. + + + +

457. 1745 წ. თებერვლის 3-ს. არზა, მიცემული ანდრია გოგიაშვილის მიერ ერეკლე
II-ისადმი. 32,2×21 სმ, დაწერილი თეორ ქალალზე მშედრული ხელით. განკვეთილო-
ბის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია თითო ან ორ-ორი წერტილი. თარიღად აქვს
1745 წ.—საქ. მუხ., №, 1137 სd.

ქ. ღმერთმან ბელნიერისა და ყ[ოვლა]დ მოწყალის კირი
მოსცეს მათს მიწას გორელს გოგიაშვილს ანდრიას! ამას მოვახსენებთ: ბელნი-
ერის კელმწიფის პაპის თქვენის მეფის ვახტანგის დროს აბელის-შვილს თუმცა
ქურდობით წიგნი აუღია და შეუნახამს, ვინ ყაეს მოწამე, რომ ჩემს სახლზედ
ხელი აემართოს და ვყობოდეთ. იმას აქეთ ღსმალობა და ყიზილბაშობა, ეს
ორმოცდა ოთხი წელიწადი არის სახემწიფოდ ხარჯის მძლეველი ვარ, ერთი
ნაქურდალი² წიგნი გამოაჩინა. ახლა თქვენ ოქმი გებოძათ, ყმობა არ იქნებათ
და ცოტა რამე მიაცემინეთო, ჩემთან მოიყვანეთო და ხელი ააღებინეთო. დი-
მიტრი სახლთხუცესზედ გებძანათ აქმი. დიმიტრის თავისი აზნაურშვილი იასე (?)
გოგიაშვილი მოეგზავნა, ერთი თუმანი მომეცო და თავსგარდაგავლებო³. იმა-
ნაც იმ სომხისგან ერთი თუმანი აიღო, ერთი თუმანი გორჯასპი მდივანმა
აიღო, კიდევ რევაზ სარდალმა მიირთვა ქრთამი. და ოქმი მისცეს. ახლა ის
ოქმი უძევსთ შინ. ერთი უფროსი ძმა თქვენს წინ მომიკუდა განჯას, თოხნი
ძმანი ახლა თქვენს ნოქრათ ვართ. ლ-თი გაგიმარჯვებს, ნუ დაგვეკარგავთ-
თქვენს შვილებს თავს შემოგვავლეთ. ახლაც თქვენს სახასოს დივთარში
ვსწერივართ. ის ოქმიც მიუცია დიმიტრი სახლთ-ხუცესსა და თითონაც სხვა
განაჩენი მიუცია, რომ აბელიშვილის დარჩაო. თქვენს შეუტყობლად ასე მოახ-
დინეს; თებერვლის გ, ქ[ო]რონიქ[ო]ნს⁴ ულგ⁵.

¹ აქ ტექტიში ზემოეტად სწერია: „კ-ს“.

² სწერია: ნაქურდალი.

³ სწერია: გარდააგავლებო.

⁴ თარიღი მცთარია. ეს საბუთი გაცილებით უფრო გვიანდელია.


458. 1745 წ. აპრილის 10-ს. სათავდებო წიგნი, მიცემული როსტომ ბერუას-შვილის მიერ ხახა თარხნის-შვილისადმი. დედანი. 14×11 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოფელი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი — საქ. მუხ., № 2707 ჩd.

ქ. ესე სათ[ა]ვდებო წიგნი მოგართვი თქვენ, თარხნის-შვილს ზაჟას მე, ბერუას-შვილმა როსტომამ; — ასე რომე თქვენი ყმა გეგელა მიგყვანდა და მოვედი მე თავდებათ დაგიდექ. ორი თვე მულათი არის; თუ ორს თვეზედ ეს კაცი რომე მოიკითხო და ვერ მოგაბარო და წ[ა]ვიდეს სადმე, პასუხის გამცემი მე ვიყო. ვადაზედა შენი კაცი შენ ნოგ[ა]ბ[ი]რო. არის ამისი მოწამე ნ[ა]ცვლიანთ პაპა. მე მურ[ა]ლაანთ ქაიხოსროს შვილს გაბრიელს დამიწერია თრისვე ილრარითა, მოწამე ვარ ამისი. დაიწერა ესე წიგნი აპრილს ი გასულს, ქ[ორონი]ქ[ონ]ს ულგ. +

გაბრიელ

459. 1745 წ. მაისის 12-ს. სახელოს წყალობის წიგნი, მიცემული თემურაზ II-ის მიერ ნიკოლოზ აბაშიძისადმი. დედანი. 28,2×16,3 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოფელი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი — საქ. მუხ., № 1285 ჩd.

ქ. ჩვენი ბძანება არის, სურამელებო და ალელებო! თქვენი მოურაობა ნიკოლოზ აბაშიძისათვის წყალობა გვიქნია და გვიბოძებია. რომელიც მოურავის წესი და რიგი იყოს, ისე ამისი სიტყვის მორჩილნი იყავით. ჩვენს ერთგულად სამსახურს ყველას გაუგონებდეთ. ესეც თქვენს კარგად მოვლას და შემატებას ეცდება, ძალასა და უსამართლოს არავის აქნევინებს. ნიკოლოზ აბაშიძევ, შენ ამათს სახელმწიფოს მალიათ[თ]ან ხელი ნუ გაქვს, მალიათისა რმალმა იყის. გლეხის კაცის მოყვანას და სოფლის აშენებას ეცადე და კარგად მოუარე. რომელიც მოურავის რიგი იყოს, ისე იქცეოდე და უსამართლოს კლეხის კაცისათვის ნურავის აქნევინებ. დაიწერა მაისის იბ, ქ[ორონი]ქ[ონ]ს ულგ.¹



¹ სათაური სხვა ხელით: ქ. სურამისა და ალის მოურაობის წიგნი მეფის თემურაზისა.

² ბეჭდის წარწერა ასომთავრულით: „თემურაზ“.

460. 1745 წ. ივნისის „დამდეგს“. პირობის წიგნი, მიცემული სიყმოა ებალაშვილის მიერ თავის ბატონის შველი გახტანგ [ბარათაშვილისადმი]. პირი, გადაწერილი უნენაეს მართებლობის ბრძანებით XIX საუკ. დასაწყისს მჩედრული ხელით—საქ. ც.—არქ., ფ. № 26'232.

ესე წიგნი მოგეცი მე, თაქველი ებალაშვილი სიყმოამ და ჩემი ძმამ თევ-დორემ და ქიტომ თქვენ, ჩვენი კუიდრი ბატონი შვილი ვახტაციგსა და ქაიხოსროვს:—ასე რომ ბატონ-ყმას შუა ერთი უბრალო ქართული ჩავარდა. ახლა ამას იქით თუ ჩვენი პირიდა[მ] ერთი ურიგო ქართული გამოვიდეს, ხემწიფის მესისხლეც ვიყოთ და ოორმეტი თუმანი, ვიწც]ც ქართლის მოსამართლე იყოს, იმის ჯარიმა მე სიყმოამ მიმცემი ვიყო და ჩვენც ერდგულათ, როგორც ერთი ყმა გემსახუროს, ისრე ჩვენ გემსახუროთ და როგორც ერთი ბატონი თავის ყმაზედ თვალ-ყური ქონდეს, ისრე შენ ჩვენზედ დაიკირო. არის ამის მოწამე ბაყალი გოგია და შერაბაშვილი დათუნა და მე ფეშა[ნ]გის-შვილი ზურაბის დამიწერია სიყმოას პირითა და მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა ესე წიგნი თიბა-თვის დამდექს, ქორონი]ქონ]ს ულგ.¹ +

461. 1745 წ. ივნისის 13-ს სამართალი თეიშურაზ II-ისა ქრცხინვალელებისა და ფავნელი-შვილების სარჩელზე. დედანი. 39×15,2 სმ, დაწერილი თეთრ ქადალდებ მშედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო ან ორ-ორი წერტილი. თარიღად აქვს 1745 წ.—საქ. მუზ., № 1934 Ad.

ქ. ქართველობაში ქრცხინვალელს მერადაშვილს და იმის მეზობლებს ნიკოზს, რხვითს მამული ეყიდათ. იქიდამ ამ თარიღიამდი ამათ სჭეროდა. ამისი ბარა ქრცხინვალის მალუჯათში ეძლიათ. ამ წელიწადს მოსულიყო ფავნელი-შვილი: ნიქოზი ჩემი არის, ა[მ] ზამულის ბარის მე ავილეთო. ძალათ წერთ-მიათ. მოვიდენ, სამართალში ილაპარაკეს. ჩვენ მოკითხული ვქენით. ქრცხინვალელებმა ქართველი და თათარი მოწამე მოიყვანეს, ეს მამული რა გვიყიდია, არც ქართველობაში, არც ურუმობაში, არც ყიზილბაში თქვენ ბარა არ გამოგირთმევიათ, უსამართლობით წელს გამოგვართვით. ფავნელიშვილებსაც მოწმები ვსთხოვეთ. იმათ ვერ იშოგეს. სამართლით ის მამული დარჩა ქრცხინვალელთ. ფავნელიშვილებს ხელი არა აქვთ. თუ რამ გამოურთმევიათ, ისეგ უნდა ქრცხინვალელებს მისცენ. დაიწერა თიბათვის იგ, ქორონი]ქონ]ს ულგ-



¹ მინაწერები: ასლთან თანასწორ არს: სოვეტინიკი თ'ა ჩატივევი. ასლი დოკუმენტი მიკვლე. თ'ა ვახტანგ ბარათვი.

362. 1745 წ. ღյოւղმბრის „გასულს“. შვილის ნასყიდობის წიგნი, მიცუმული გიორგი ჭავა— ვახაშვილის მიერ როსტომა კორლანას-შვილისადმი. პირი, გადაწერილი უზენაეს მართებლობის ბრძანებით XIX საუკ. დასაწყისს მხედრულში ხულით—საქ. ც.—არქ., ფ.— № 7/43.

ნებითა და შეწევნითა მღუთისათა, ესე წიგნი და სიგელი ნასყიდობის მოგეცი მე, ჯავახაშვილმა გიორგიმ შენ, კორლანას-შვილს ასლმაზას შვილსა როსტომს, შვილსა შენსა ასლამზას, ბერუკასა და ოლექსიანდრეს, სახლისა შენისა მომავალსა;—ასე რომ დამეჭირა, ილაჯი და ღონე აღარა მქონდა სხვა ამის მეტი. დიალ დიდათაც გამიჭირდა საქმე ზოგი ხემშითის ხარჯისაგან და ზოგი ჩემს თავისი სარჩევასაგან. ასლა შემოგეხვეწე მე, ჯავახაშვილმა გიორგიმ თქვენ, როსტომსა კორლანას-შვილს და მოგეცი ჩემი შვილი პაპა, მოყვიდე ორ თუმნათ. არას კაცს ამ ჩემს შვილთან სადაო საქმე ჩემს მეტს არც ბატონს, არც ლმერთის მეტს კაცს ამ ჩემს შვილთან საქმე არა ქონდეს. კიდეც გამიყიდია და ფასიც სრული ამილია. ამისი მოდავე ღუთისმეტი კაცი შენ არ გედაოს. არის ამისი მოწამე ღუთით ლმერთი + კაცთაგან მამასახლისი ბერუა ღვალა-ნელი,¹ ვაშლოვნელი ყაზარა, ოქრომწედელი ლაზარე +, მახა წაკოლას-შვილი კიორგა +. ამ წიგნის მდივანი და მოწამეც ტბილელის კაცი გიორგი + უძნაძის-შვილი. დაიწერა ესე წიგნი ღვინობის თვის გასულს, ქორონიქ-ქონის ულგ. +²

463. 1746 წ. იანვრის 24-ს. აყრილი ხალხის მიბარების წიგნი, მიცუმული თეიმურაზ-III-ის მიერ ზახა თარხნის-შვილისადმი. დედანი. 19X10,3 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდნებ მხედრული ხელით განკვეთოლობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. მუხ., № 2553 ჩ.д.

ქ. ჩვენი ბძანება არის თარხნის-შვილო ზაზავ, თხუთმეტს წელიწადს. უწინ რაც ქართველი კაცი ქართლიდამ აყრილა და ჯავახეთს გარდასულა და იქიდამ შენთან მოსულა, ის გლეხი შენთან იყოს, ხელი არავის აქვს. შენთვის მოგვიბარებია. მანამ ჩვენ მოვიკითხევდეთ, შენ გყვანდეს. იანვრის 15-დ], ქორონიქ-ქონის ულდ.



3

¹ ღოლოვნელი(?).

² მინაწერები: ასლთან თანასწორ არის. სოვეტნიკი თი თარხანოვი.
ასლი სიკელი მიეიღო. როსტომ ყორლანოვი.

³ ბეჭედი წარწერით: თეიმურაზ.

464. 1746 წ. მარტის 10-ს. პირობის წიგნი, მიცემული ერთობით სურამელების მიერ პატ-რიარქ ანტონი I-სადმი. საბუთი მცხვითის ეკლესიისა, № 301. დედანი. 25,1 × 17 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად აღგილ-ადგილ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საჭ. ც.—არქ., ფონდი—, № 1322.

პატონიშვილს პატრიარქს ანტონის.

ქ. ესე წიგნი მოგართვით ჩვენ, სურამის მამასახლისში ბეჭანამ ჯობაძემ და სულ კელიერთპირ სურამელებმა; —ასე რომე საკელმწიფოს მალუჯაათისა-ოფის დიდად შეგვაწუხეს. ამაზედ არონაშვილს ურია დანიელას გამოსალებსა-ფთხოვდით. მოვიდა. [თ]ქვენ ბატონს [პატრიარქს ანტონის] შემოგეხვეწათ. მოიქ-ცა. თქვენ მიერ ნათლისლება მიიღო, გაქრისტიანდა და ეს იმის წილი მალუ-ჯაათი ორი თუმანი თქვენ გვიბოძეთ. ახლა ჩვენ ეს პირობა მოვისხებია: დღეის იქით არას-ფერის გამოსალებისათვის ჩვენ ამ დანიელასთან კელი აღარა გუქონდეს და აღარცარა ვთხოვთ. არის ამისი მოწამე მუსრანისბატონის-შვილი ნასალჩიბაში სეიშონ¹, მურვანის-შვილი შიოშ¹, აბაზაძე სოლომონ¹, მე, დეკანოზის-შვილს ოსეს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა მარტს ი, ქორონიქონს ულდ. + + + + + + +

465. 1746 წ. აპრილის 9. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული საამ და ედი-შერ საამის-შვილების მიერ დიმიტრი ორბელიშვილისადმი. პირი, გადაწერილი უხე-რავს მართებლობის ბრძანებით XIX ს-ის დასაწყისს—საჭ. ც.—არქ., ფ.—, № 20/26.

ესე საუკუნოდ ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და უცვა-ლებელი ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგართვით ჩვენ, სა-ამის-შვილმა საამ და ედიშერ, შვილმან ჩვენმან ქაიხოსრო და გოგიამ თქვენ, ორბელიშვილს სარდლის შვილს ეშიკალასბაშს დამიტრის, შვილსა თქვენსა მა-მუკას, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა; —ასე რომე დაგვეტირა და მოვედით ჩვენ ჩვენის ნება-წალილით და მოგყიდეთ ჩვენი სამკვიდრო და მამა-პაპათავან ბარათში გამოყოლილი თაფანს ჩვენი წილი ყმა და მამული: ფუჭი-შვილი ივანე თავისის მამულით, სეფიას-შვილის მამული, საღებაშვილის მამუ-ლი და ბიჭი, პაპუასა და ველუას მამული ციხიას (?) მიწებითა, დღეს რისაც მქონებელნი იყვნენ, ნასყიდისა, უსყიდისა, სახლ-კარითა, ქვეერ-მარ-ნითა, კალოსაბძელ შესავალ-გასაცლითა, ვენახითა, სახნავ-სათიბითა, საწის-ქვილო-საწყლისბირთი, მთითა, ბარითა და ყოვლის მათის სამართლიანის სამძღვრითა, რაც ჩვენი წილი იყო თაფანში, ყოველივე უკლებლივ მოგვი-

* აქ ბეჭდის დასამელად ცარიელი აღგილია დატოვებული.

ყიდია. ავილეთ თქვენგან ფასი სრული და უნაკლულო, რითაც ჩვენი გული შეგჯერდებოდათ. არა დარჩა-რა ჩვენი თქვენზე პრცა თუ ერთი იოტის ფასი, არავინ იყოს ამისი მცილე და მოდავე, არა ბატონი და არა ყმა, არცა ჩვენ და არცა რომელიმე სახლისა ჩვენისა მონათესავე. თუ ვინმე წამოგედაოს, პასუნის გამცემი ჩვენ ვაყვნეთ და თუ ვინმე მძღვრობით ინებოს ცილებად და შლად კელ-ჰყოს სიგელსა ამას, რისხავს ღრთი და ყოველნი მისნი წმინდანი. . . . არის ამისი მოწამე: თავად ღრთი, კაცთაგან გოსტაშაბის-შეილი ბეჭან, გერმანოსის-შეილი გუგუნა

ადგილი
ბეჭდისა

ერაქსტი ბადგილი, ქავთარის-შეილი ნიკოლაოზ, ნამანგლელავიშვილი ბარათა,

გაბაშვილი პაპუნა. ლაიწერა კელითა დეკანოზის შვილის ოსესითა, აპრილის თ, ქორონიკონის ულდ

ადგილი
ბეჭდისა

ადგილი
ბეჭდისა

ადგილი
ბეჭდისა

მე, ქალანთარი

ციცის-შვილი მერალიბეგ ამისი მოწამე ადგილი მე, თარხანი ლუარსაბ

ამისი მოწამე ვარ ადგილი ბეჭდისა; მე ზურაბის-შვილი ზურაბ ამისი მოწამე ვარ

ადგილი ბეჭდისა; ჩვენ, მუხრანის ბატონი კოსტანტინე ამისი მოწამე ვართ

ადგილი ბეჭდისა; ჩვენ, სარდალი ქაიხოსრო ამისი მოწამე ვართ; ჩვენ, ამილახვარი დიმიტრი ამისი მოწამე ვართ

ადგილი
ბეჭდისა

მე, ქალაქის მელიქი ალა ამისი

მოწამე ვარ. მე, სომხითის მელიქი ბა[ა]ლურ ამისი მოწამე ვარ.¹

466. 1746 წ. ივნისის 15-ს. თავდებობის წიგნი, მიცემული ქაიხოსრო მამაცას-შეილის მიერ ქალანთარ მერალიბეგ ციცის-შვილისადმი. დედანი. 39,5×15,8 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდნე მხედრული ხელით. განკეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღად აქვს 1746 წ.—საქ. მუზ., № 1916 Ad.

ქ. . . ესე თავდებობის წიგნი და პირი მოგართვით მე, მამაცას-შეილმა ქაიხოსროშ თქვენ, ციცის-შვილს ბატონს ქალანთარს მერალიბეგს და ძმასა თქვენსა პატასა და ძმისწულსა თქვენსა იოვანეს და დემეტრესა და შვილსა თქვენსა ედიშერს და ნოდარსა;—ასე რომ ეამთა ვითარებისაგან ავი ბატონ-ყმობა და ორგულობა და ლალატი შეიქნა ჩვენს ქვეყანაში და მე ამ მავნელის-

¹ მინაწერები: ასლთან თანასწორ არს. სოვეტინიკი თავადი დიმიტრი თარხანივი. ასლის სიგელი მივიღე. კაპიტანი თავადი დიმიტრი ორბელიანი.

შვილის პეტრეს მაგივრი თავდები დავდგე. თუ ამან დაშავოს რამე თქვენზედ, ან იმტყვენს, ან ღალატი შეაჩნდეს, ან ორგულობა, ან ავათ გემსახურნენ და თქვენი უამბეჭლი საქმე ქნას ან სიტყვითა ან საქმითა, ლრთ თანაცა მე მოგცე პასუხი და ბედნიერის ჩვენის კემწიდის მეფეთ-მეფის თეიმურაზის შემცოდე ვიყოთ და სვეტის-ცხოვლისა უარისმყოფელი და ყოვლად სანატრელის კუ პატრიარქასაგან შეჩენებული ვიყო. კაცთაგან ამისი მოწამე მაღალაძე სალოუ-ხუცესი გიორგი¹, სარდალი გედავანის-შეილი გაბრიელ². თანის-შვილი სუფრავი პატა³, მაღალაძე მამუკა⁴; ამ ერთ წლამდის თუ დაშავოს რამე, პასუხის მომცემი მე ვიყოდა ერთს⁵... და მე დეკანოზს დამიწერია და შოწამეცა ვარ. დაწერა თიბათვის იე გასულს, ქიორონის⁶ თონს ულდ.⁷

კ. მე⁸ ურბნელი დეკანზი იოსებ ამისი მოწამე. + ”

ქ. მეტ ურბნელი დეკანოზი იოსებ ამისი მოწამე. +

467. 1746 წ. ივნისის „ნახევარს“ ყმაზე უდაობის წიგნი, მიცემული ბოლნისის მამასახლის ხალისა მიერ ქაიხსრულ ყარლანაშვილისადმი. პირი, გადაწყვეტილი უზენაეს მართველობის ბრძანებით XIX საუკ. დასაწყისს მხედრული ხელით—საკ. ც.—არქ., ფ.—, № 1/57.

... ესე წიგნი მოვეცო, მე, შუა-ბოლნისის მამასახლისი ზალიამ 'შენ, ყორლანაშეილს ქაიხოსროეს; — ასე რომე ფანის-შეილი ამირხანა შენს ზითევში მიცემულ იყო. მოვედი, მეც გავშინჯე, რომ ზითევში მიცემული იყო და მეც ხელი ავიღე. არას კაცი იმასთან საქმე არ ქონდეს და არც ჩევნი სოფლის კაცისა. არიან ამისნი მოწამენი თავათ ლმერთი კაცთაგან ჩითახას-შვილი ფარ-სარანა + და ძიგ-შერქმაზანგან | შერქმაზანა + და ქანანა-შვილი ოთარა

მისამართი და მოწამეული ვარ. დაიწერა თიბათის ნახევარს გასულს, ქორონიკონის ულდ. | ადგილი: | ადგილი მე, ვართანას-შვილს ამის ყა-

ბული მაქვს და მოწამეცა ვარ ამისი +. მე, ვართან[ა]ს-შვილი დოლმაზა ამის მოწამე [კარ] და ყაბულიც მაქვს ამისი +. მე, პ[ე]ტრუზას-შვილი ათუა ამისი მოწამე +. ჩვენ, შეა-ბოლოელ[ე]ბს მირაქა[ან]თ ნაღდიამ, აქელა, ოოსტომა, პეტროზა[ან]თ არუთინა, მეჯოგეთ ოთარა, ბარათა[ა]ნთ თამაზყულია, გალუსტა- [ან]თ ბეჟია, ბაბა[ან]თ ტერ-მესროფა, ყამაზა[ან]თ საქოამა ამოვედით, გავ- შინ[ჯ]ეთ, ვნახეთ, ოომე ამირხანას ზითვისა იყო. ჩვენ[ც] ამისი ყაბული ჭართ.

ადგილი ბეჭდისა + + + + + + + მე ზუბინწანით სამებისაშა ამისი ყა-

¹ აქ ბეჭდისათვის ცარიელი ადგილია დატოვებული.

² აქ ორი სიტყვის ადგილია დატოვებული.

სათაური: ეს მამაკაწვილის მოცემული წიგნი.

ბული ვარ.	ადგილი ბეჭდისა	ადგილი ბეჭდისა	მე, მუსტაფაშ ამისი მოწამე.	ადგილი ბეჭდისა
არა კაცი ბოლნელ[ე]ბი შენი მოდავე არ იყონ შექა ბოლნელი. მე, პარათა სოიბათ-იასაული ამისი მოწამე.	ადგილი ბეჭდისა	მე, ბეჭან ჩხეიძე ამისი მოწამე.	ადგილი ბეჭდისა	ადგილი ბეჭდისა
შვილი სიმონ ამისი მოწამე.	ადგილი ბეჭდისა	ადგილი ბეჭდისა	მე, ელიშერ სა[ა]მიშვილი ამისი მოწამე.	ადგილი ბეჭდისა
მოწამე.	ადგილი ბეჭდისა	ადგილი ბეჭდისა	მე, ფირადაშ ამისი მოწამე ვარ.	ადგილი ბეჭდისა
შანგიშვილი ზურაბას ამისი მოწამე	ადგილი ბეჭდისა	ადგილი ბეჭდისა	მე, ზაზა ეშქანაბაში ამისი	ადგილი ბეჭდისა
მოწამე.	ადგილი ბეჭდისა			

468. 1746 წ. ივლისის 28-ს. ნუსხა კახეთს მყოფი თარზნანთ კმებისა. პირი, გადაჭროს უწენავს მართებლობის ბრძანებით XIX საუკ. დასაწყისს მხედრული სელით—საქ. ლ. არქ., ფ.—, № 27/143.

არიან კახეთს ჩვენი კაცნი:

- შაყულაშვილი¹ ოთარა მარტყოფს.
- ქ. ფერსაძე შიო პატარძეულს.
- ქ. ვეფხვაშვილი ბარამა და გოგია ბერთუბანს.
- ქ. ოთიაშვილი იასე და პეტრია ჯიმითს.
- ქ. ფაფუაერას-შვილი არუთინა, ოთარა მაღაროს.
- ქ. მირიანიძე სესიკაშვილი იასე თელავს.
- ქ. კაპიაშვილი პაპუნა და დათუნა თელავს.
- ქ. ჭალალაშვილი კონდოლს ბასილა.
- ქ. მამუკა და ჭიანბერუა კონდოლს.
- ქ. პაპულაშვილი გელია გულგულის.
- ქ. ქვლივიძის ობლები რუისპირს.
- ქ. ბატქუაშვილი აღდგომელა ლალისყურს.

¹ მინაწერები: ასლიდამ თანასწორ არს ჩაწერილი. სოვეტნიკი ზ. თვემურას ბაგრატიონი. ასლი სიგელი მივიღე. სოლომან ყორდანოვი, სიმონ ყორლანოვი.

² უკანასკნელი სიტყვა ტექსტში სწერია: ფილ.

- ქ. კორეკოტაშვილი ქახაბერა ლალისყურს.
 ქ. ლომიაშვილი ბერუა ლალისყურს.
 ქ. ერთაწმინდელი გედიაშვილი მაღრანს.
 ქ. ბერძენაშვილი ბერუკა ყვარელში.

თარხნის-შვილის გიორგის ბეჭედი დაიკარგა გუდალის. მეათვის ქპ, ქორონიკონს ულდ. არიან ამისნი მოწამენი სეიმონ, ბერი, ერასტი და სულ ერთობილნი გუდალელები.¹

469. 1746 წ. სექტემბრის 15-ს. განაჩენი თეიმურას მეფისა მანუჩარ ციცის-შვილისა და ქაინისრო გერმანონის-შვილის სარჩელის გამო. $48 \times 13,5$ სმ, დაწერილი თეთრ ქადალ-დხე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღად აქვს 1746 წ.—საქ. მუხ., № 7224 ჩბ.

ქ. ბურდაყულას-შვილს შერმაზანს და შიოს ყაფლანის-შვილის პაპუასა-თვის და ამისის ძმის გორჯასპისა და ზურაბისათვის თაფანს ერთი საკომლო სამანას-შვილის მამული მიეყიდნა სულ კურთხეულის ბატონის მამის ჩენის ბატონობაში და სიგელი მიეცა პაპუასათვის და ამისის ძმებისთვის და ამაში ხანი გამოსულიყო და მეფის ვახტანგის ბატონობაში პატა გერმანოზის-შვილი წამოსდავებიყო და მეფის ვახტანგის წიგნით თსმანას-შვილის მამული პატა დაეჭირა და სამეცნიეროც პატას მამული ყოფილიყო და ბარათში გამოყოლილი და პატა გერმანოზის-შვილს ეს მამული ციცის-შვილის მანუჩარისათვის მიეყიდნა და სრული ფასი აელო. რადგან ყაფლანის-შვილს ყაფლანსაც ამ თსმანას-შვილის მამულის ნასყიდობის სიგელი ხელთ ეჭირა და მანუჩარ ციცის-შვილსაც ნასყიდობის სიგელი ქონდა, რომელიც დროს შემოიგდებდა ის დაიჭერდა ხოლმე და ამაში გლეხსაც უსამართლო სკირდა და დავაც გაგრძელდებოდა. ციცის-შვილმა მანუჩარ გერმანოზის-შვილის პატას შვილს ქაიხოსროს თავის თეთრს თხოვნა დაუწყო: მამა შენმა სადავო მამული მამყიდაო, მე სადაო მამული არ მინდა, რაც ფასი გიჭირავთ, მამეცი და შენ იცი და ყაფლანის-შვილმა ყაფლანმა. პატას შვილმა ქაიხოსრომ თეთრის შოგნა და ამ საკომლოს დახსნა ვერ შეიძლო და ექვსი თუმანი ყაფლანს მანუჩარ ციცის-შვილისათვის მიეკუთხებინეთ და მანუჩარიც შესჯერდა და თსმანას-შვილის საკომლო სამეცნიეროთ ყაფლანს დარჩა და მანუჩარმაც თავისი ნასყიდობის სიგელი ყაფლანს მისცა. დღეს ამას იქით ამ საქმეზე ყაფლანს ვერც ციცის-შვილი მანუჩარ და ვერც გერმანოზის-შვილი ქაიხოსრო ველარას ედაოს. ენკენისთვის იყ, ქ[ორონი]ქ[ონ]ს ულდ.

¹ მნაჭერები: ასლთან თანასწორ არს. სოვეტნიკი რატივები.

მიეკუთხები: ასლთან თანასწორ არს. სოვეტნიკი რატივები.

470. 1747 წ. ივნისის 20-ს. პირობის ჭიგნი, მოცემული ზაალ აკალიშვილისა და სხვების
მიერ კათალიკონ ანტონისადმი. საბუთი მცხვთის ეკლესიისა № 283. დედანი.
45,3×22,2 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშ-
ნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახტარია თითო წერტილი, — საქ ც—არქ, ფონდი —
№ 1316.

ქ. ესე წიგნი მოგაროვით ჩვენ, ავალიშვილმა ზაალ, ძმიბან ჩემმან ქია-
ხსნარომ, შვილმან ჩემმან ავალ, ჩვენმა აზნაურშვილებმან ციმაჯურიძემ ზურაბ,
განძიელმან ერასტიმ, განძიელმან ოთარმან; სეხენია მეგრელიშვილმა, მანდიშ-
შვილმა დათუნამ, მეკრიშვილმა ოტიამ, კვირიკაშვილმა სეხენიმ, მახლანჯი-
გიორგიმ, ჯამბაზიშვილმა როსტომმა; ცარციძემ ბერიკელამ, სხირტლაძე ნას-
ყიდამ, კელიერთბირ ჩვენმა აზნაურმა და გლეხმან თქვენ, ჩვენს კელმწიფეს
ყ[ოვლა]დ სანატრელს საქართველოს კათალიკოქე-პატრიაქეს ბატონიშვილს
ბატონს ანტონს; —ასე რომე ჩვენს ოჯახში მამულსა და ადგილში მრავალი
უკეთურება და სიბოროტე იყო: ტყვიის სყიდვა, კაცის ქვლა, მრუშება, კაცო
ცრცვა და მრავალი სიბოროტე და უკეთურება. აწე მობანდით ჩვენს ოჯახ-
ში, რომელიც თქვენგნით მართებული იყო, ისე გვასწავეთ, გვიბძანეთ და
დაგვემწყსვით. ჩვენც ეს პირობა მოგახსენეთ და აღზემა დავდევით ღრთის წილ-
ნაშე თქვენის ცათა მობაძევის კათოლიკე ეკლესიის; დღეს ამას იქით არც გავ-
რიოთ ტყვიის სყიდვაში, არც კაცის ქვლასა და რაც ჩვენში დღეს აქამძმდე
უკეთურება და სიბ[ი]ლწის ჩვეულება იყო, კელიც ავილოთ და თუ დღეს ამას
იქით შეგვიტყოთ ან თქვენს მცნებასა და პირობას გარდავვდეთ, ღ[მერ]უ[მა]ნ-
უცოდო გამყოფოსთ, რაც რომ ერთს ავს კაცა ავაზაქსა და ძეირის-მოქმედს
გარდაკედოდეს, ისე ჩვენ გარდაგვაკდევინეთ. სულით თქვენ დაგვსაჯეთ და
კორციელად მეფეებს ყათლავი აქნევინეთ, ჩვენი სისხლი ალალი იყოს. ვინ
იცის, საკელმწიფოთ ტყვე ითხოვონ, ისიც თქვენ მოგახსენოთ, შეგატყობი-
ნოთ. თუ ჩვენს საბატონოში ყმასა და მამულში ტყვე გაყიდოს ვინმე, თუ შე-
ვიძლოთ დავიძიროთ, ის ტყვეცა და ტყვიის გამსყიდველიც ორივ თქვენ მო-
გართვათ და თუ ვერ მოვერივნეთ, ისიც თქვენ მოგახსენოთ. თუ ეს პირობა¹
არ გავითაოთ, ჯერ ვიყენეთ ღ[უ]თისა ჩვენისა შემცოდე და რომელმანცა პა-
ტიოსნითა სისხლითა თვისით მოგვიყიდა, იმის შეურაცხის-მყოფელოთ თანა-
ზიარნი და მერმე ჩვენის კელმწიფის ღ[უ]თივ გვირგვნოსნის მეფეთ-მეფის თეო-
მურაზის შემცოდე და კეთილ მორწმუნის მეფის ერეკლეს მოლალატე. ამის
თავდებათ მოგვირთმევია ქრისტეს პატიოსანი დაუფასებელი სისხლი ჩვენ ცოდ-
ვილოთ სახსარი. არიან ამისი მოწამენი და დამხდურნი მთავარ-ეპისკოპოზი გა-
ტონი არსენი—არსენი², არჭიმანიზოიგი ითანე [.....] და ერთობილნი

၁၃၂

მცხეთელნი. დაიწერა თვესა ივნისსა 20, ქრისტეს აქად 1747.
ავალ. + + + + + + + + + +

მონალთისა
ავალისშვილ
შაალ

1. აქ ზედმეტი ა-ნი სწერია.

3 ԱՏՐԱՎՆՈՒՄՆԵՐԸ

⁴ სათაური სხვა წელით: ქ. ავალიშვილის მოცემული წიგნი არის.

471. 1747 წ. სექტემბრის 20-ს. ყმების ნასყიდობის წიგნი, მიცემული დავით აშილახვარი-შვილის მიერ გოგია და კაცია ციშაკურიძეოთადმი. აქვე თავხსნილობის წიგნი, მიცემუ-ლი იმავე ციმაკურიძეთა მიერ რაჯაბაშვილისადმი. ღედანი. დახული თავში. 39×22,3 სმ. დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანა რამდენიმე ადგილას ნახმარია თითო ან ორ-ორი წერტილი—საქ. მუხ., № 2634 ხდ.

ქ. ნებითა და შეწევნითა ლუოისათა, მამისა და ძისა და სულისა წმინდი-სათა, რხითა და მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღულის-მშობელისა და მარი-დის ქალშულისა მარიამისათა, ძლიერებითა პატიოსნისა ცხოველს მყოფელისა ჯვარისათა

ეს უუნისაბდე უამთა და ზანთა გასათავებელი. მტკიცე და უცვალებელი ნას-ყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და გიბოძეთ ჩვენ, ამილახვარი-შვილ-შან დავით, შვილმან და ჩამიმავალმან სახლის ჩვენისამან შენ, ჩვენს აზნაურ-შვილს ციმაკურიძეს ვოგიას¹ და კაციას;—ასე რომე ჩვენის ნება-წადილით დაგვეკირა და მოგვიდეთ რაჯაბაშვილი გლახა და მისი ძმა ქიტესა და მისი ბიძაშვილი ივანე ჩვენს ბარათში ნარგები. ესენი მოგვიდეთ უმამულოთ. ასე მოგაამარის ღმერთმან, ვითაც რომ სხვათ ილალთა მონასყიდეთა მოხმარე-ბოდეს. არავინ იყოს მოდავე და მოცილე ამის და რომელმანც ესე ჩვენი მო-ცემული ნასყიდობის წიგნი და სიგელი შეშლად კელყოს, შერისხენ შენ ძლი-ერო ღმერთს და ნურარიათ ნუ იხსენება სული მისი საუკუნოსა მის მღელვა-ოისა ჯოჯოხეთისაგან, ხილო] დამამტკიცებელნი ამისნი აკურთხნეს ღმერთ-მან]. არიან ამისი დამსწრენი და მოწამენი ჩვენი აზნაურ-შვილი ზედგინიე ბე-ჭან, ქუალელაშვილი იასე, ქრცხინვალის მამასახლისი მურადაშვილი არუთინა, ჟლიობიძე მეფის კარის დეკანოზის შვილი აზნაურშვილი აბიათარ, გედეგნია-შვილი კაცია, შერმაზანაშვილი ოძანეზა. მე, მაღლის კელმწიფის კარის წინა-მძღვრის ძმის-წულს ულირს მღუდელს ნათლის-ძეს იოვანეს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი ამილახვარის-შვილის დავითის სიტყვითა. დაიწერა სეკ-დენბერს კ, ქიორონიქიონს ულე. დავით¹



ესე წიგნი მოგეცით ჩვენ, ციმაკურიძე გოგიამა და კაციამა შენ, რაჯა-ბაშვილს ივანესა;—ასე რომ ამ სიგლით ნაყიდი მყამდით, მაგრამ ეკლესიის ყმანი. გამოდექით, მეც თავი დაგახსნევინე და ავიღე ფასი სრული, რითაც ჩემთ გული შესჯერდებოდა და თქვენთან საქმე არავის აქეს საბატონ-ყმოთ არც მე და არცა მომავალსა სახლისა ჩვენისასა თვინიერ იმ ეკლესიის მეტა. არას ამისი მოწამე უნახე მამუჯა, შერმაზანაშვილი თანეზა, მე თითვონ ციმა-

¹ უკანასკნელი სიტყვა დაწერილია ამოწხევილ ადგილას.

კურიძეს გოგიას დამიწერია ჩემის ძმის ქაციას სიტყვითა და ყაბულიცა მაქ პმისი. ეს ჩემი ხელია. დაიწერა მაისის 5, ქორონი ქორნის ულზ!

472. 1747 წ. ოქტომბრის „გასულს“. ქმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული დათუა მაკარას-შვილის მიერ ვიღაც ნიკოლოზისაუმი. დედანი. $43,5 \times 15$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდე ზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი; თარიღად აქვს 1747 წ.—საქ. მუხ., № 1201 ad.

ქ. . . ესე უკუნისამდე უამთა და ხანთა გასათავებელი ნასყიდობის წიგნი მოგართვით ჩვენ, მაკარას-შვილმა დათუამ, შვილმა ჩემა გოგიაშ და მომა-ვალთა სახლისა ჩემისამ თქვენ, ბატონის ჩემის შვილს ნიკოლოზს;—ისე რომე დამჭირდა და მოგყიდე ჩემს სისხლში ალებული ესტატე ღვინიას-შვილი, მისი შვილი ბაგური და ოთია და კიდევ მესამე მისი ძმა და მომავალი სახლისა მისისან[ი]. ვიღეთ ფასი სრული და უკლებელი, რითაც ჩვენი გული შეგვერდებოდა. აღარა დარჩომილარა ჩემი თქვენზედა. რისიც დღეს მქონებელი იყოს ეს ესტატე ღვინიას-შვილი თავისი შვილიან-ცოლიან-სახლკარიან-მამულიან-მიწიან-ცისქვილიან (sic), რისიც დღეს მქონებელი იყოს, ქონდეს და გიბედნიეროს ლთნ, რავარც სხვას ალალს მონასყიდეს მოხმარებოდეს. არავინ იყოს ამისის მოდევე. თუ ვინმე გედეოსთ, პასუხი მე მიისცე. არის ამისი მოწამე მოურავი ბეჭიკი, სეხნია კურცხალი, ბაინდურა ტინტლიზა-შვილი, პაატა დეკანოზის-შვილი. მე, დეკანოზს ნიკოლოზს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა წიგნი. ესე ღვინობისთვის გასულს, ქორონი ქორნისა ულე.²

473. 1748 წ. თებერვლის „გასულს“. ნასყიდობის წიგნი; მიცემული დათუნა ბლიაძის მიერ შიო პაპუნას-შვილისადმი. საბუთი სიონის ეკლესიისა, № 142. დედანი. $42,6 \times 24,9$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ბშირად ნახმარია თოთო ან ორ-ორი წერტილი—საქ. ც.—არქ. ფ.—, № 1471.

ქ. . . ესე ამიერითგან და უკუნისამდე უამთა და ხანთა გასათავებელი სამკუიდროთ და საბოლოოდ გამოსადევი ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგეც მე, მახარე ბლიაძეს შვილმა დათუნამ შენ, ხურო პაპუნას-

² სათაური სხვა ხელით: ქ. ამილახვარის-შვილისაგან ნასყიდობით ბოძებული ბატონის ქუენისაგან (რაჯაბა) შვილების ჩემ ცისკურიძესდამი მოყიდული.

³ სათაური: ეს მაჭარა შვილი დათუნების ნასყიდობა.

შვილს შიოს; — ასე რომე უწინაც შენს ნასყიდი ვჟყავ და გაზღილი. შენგზნ
წავედი და შენთან აღარ ვიყავ. ახლა აფევ და შოუელ ჩემის ნება-წადილით
და შემოგეხვეწე. მოვალე მაწუხებდა, ვალი დამედვა, სხვა ღონე არა მქონდა
შენს მეტი და მოგყიდე ჩემი თავი და აფილე ფასი სრული და უნაკლულ,
რითაც ჩემი გული შეგჯერდებოდა. საქმე მიკიარდა, ბატონის ის[ა]ქლო მაღა
მოასილოთ მარტყოფის მოურავი და შენ დამიკესნ. არა, დარჩა-რა ჩემი შენ-
ზედა ორცა ერთი იოტის ფასი. მომიცია და მომიუბლიდა ჩემი თავი სახლისა
ჩემისა და შვილის მომავალით. არავინ იყოს შენი მცილე და მოდავე ღვთის-
შეტი, არა ბატონი, არა ყმა, არა ჩემი სახლის კაცი, არა ჩემი მონარქსავე-
თუ ამაში წამოგედაოს ვინმე, პირისა და პასუხის გამცემი მე ვიყო. გყვანდეს
და გიბედნიეროს ღმერთმან ჩემი თავი, როგორც სხვას ალალს მონასყიდეს
ჰყოლოდეს და შოეკმარებინოს; ერთგულად და ერთსულად გემსახურო, რო-
გორათაც შენი სიამოვნე იყოს. . . არიან ამისნი მოწამენი თავად ღმერ]თი
. . . კაცოაგან სიონის კანდელაკი შიო [], მღვდელი დავით,¹ მეტრეა-
ლი პაპა +, მეტრე პაპა +, კონი ილექსა +, მეტრვალი დაეითა +; მე სიო-
ნის დეკანოზს ნიკოლოზს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა თებერვალს.
გასულს, ქორონიქონის ულვ. + +

474. 1748 წ. მარტის 23-ს. ნასყიდობის წიგნი, მიცემული გიორგი იმერელის მიერ ავ-
თანდილ ჯავახის-შვილისადმი, დაზიანებული თავსა და მარტენა გვერდზე. 39,2×18 სმ.
დაწერილი თეთრ ქალადზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სი-
ტყვის შემდეგ ნახარია თოთო წერტილი. თარიღია აქვს 1748 წ.—საქ. მუხ.,
№ 14.463 ჩ.დ.

ქ. . . ესე ნასყიდობის წიგნი მოგართვი მე, გიორგი იმერ]ელმა
თქვენ, ჯავახის-შვილს ავთანდილს, [შვი]ლსა თქვენსა მზეჭაბუქსა, თეიმურაზსა
და ვ[აძუშ]ტისა, შვილთა და მომაგალთა სახლისა თქ[ვენი]სათა ყოველთავე;—
ასე და ამა პირსა ზედა[ნ], რომე ლექებმა დამიჭირესა და დამატყვევესა და
ო[სმა]ლოში გამყიდეს და სმალოდამე ავალის[შვი]ლმა ქაიხოსრომ დამისნა
რვა თუმნათა. [მე] თეთრი ვერ უშოვნე, მოველ და თქვენ შემ[ოგეხ]ვეწე და
რვა თუმანი თქვენ უბრძეთ, [თ]ქვენ დამისნენითა. რაღან თქვენ დამისნენით,
[მ]ე [თე]თრი არა მქონდა თქვენთვინ მომერთმევინა და თავი [დამ]ესნა და
ეს ნასყიდობის წიგნი მოგართვი: [ჩემი] თავი ნასყიდათ მომირთმევია. დღეს
ამას იქით [არ]ას კაცს ჩემთან საქმე არ ქონდეს და არცავინ [წ][ამო]გვედოს
და არც მე წავიდე სადმე. თუ [ჩე]მს თავს ვინმე წამოგედეოს, ან მე ჩემის
ნებითა [წა]ვიდე სადმე, თქვენი რვა თუმანი მოგართვ[ა]. ღრთის მეტი ჩემი.


¹ აქ ბეჭდის დასამელად ცარიელი აღგილია დატოვებული.

მცილე და მოდევე არავინ იყოს. ერთგულად გემსახურო. თუ ვინმე ჩემს თავს წარმოედეოს, პირისა და ბასუხის გამცემი მე ვიყო. [ა]რის ამის მოწამე ნინია-შეილი შერმაზან, ბიჭიკაშვილი ზაქარია¹, ნინიაშვილი ბერუკა, ხუცის-შეილი იქსე და მე ნიკოლოზ მგალობელს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა მარტის კგ, ქ[ორონი]ქ[ონ]ს ულვ. +

- ქ. ჩვენ, მოურავის-შეილი ზაზა ამ ნასყიდობის მოწამე ვართ. []
ქ. ჩვენ, ავალის-შეილი ქაიხოსრო ამ ნასყიდობის მოწამე ვართ. []
ქ. მე, კარგარეთელი ოთამ ამისი მოწამე ვარ. []
ქ. მე, თუხარელი დავით ამისი მოწამე ვარ. დავით².

475. 1748 წ. მაისის 1-ს. ოქმი ერეკლე 11-ისა აეთანდილ ჯავახის-შეილისადმი. დედანი. დაკერძული (თავში). 31,5×16,8 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. ც.—არქ., ფონდი—, № 478.

ქ. ჩვენ მაგიარად აეთანდილ ჯავახის-შეილს ასე უამბეთ, შენის განაყოფის ვახტანგის მამული შენთვის გვიბოძებია. ბატონის მამა ჩვენს ეს მამული ქვემო ციცის-შეილის ფარსადანისათვის ებოძებინა თავისის მამულის თელეთის სამაგიეროდ და ოელეთი აბლულაბეგისათვის მიეცა. რაღაც აბლულაბეგმა ხაინობა ქნა და ჩვენზე ბევრი სტყუა, ფარსადანს ისევ თავის მამულს თელეთს უბოძებთ და შენის განაყოფის მამული ისევ შენთვის წყალობა გვიქნია. ვინცა ვინ ვახტანგის კერძი გლეხი იყოთ, აეთანდილს მსახურეთ. მაისის ა, ქ[ორონი]ქ[ონ]ს ულვ.



476. 1749 წ. მარტის „დამდეგს“. ბატონშემობის წიგნი, მიცემული ბეჟანა მარცვალაშეილის მიერ კუ ანტონი I-ისადმი. დედანი. 32,6×10,8 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. ასო-ნაკლები. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღად აქვს 1749 წ.—საქ. მუზ., № 1936 Ad.

ქ. ეს[ე] წიგნი მოგართვი მე, ბეჟანამ მარცვალაშეილმა თქვენ, ყოვლის საქ[ა]რთველ[ო]ს პატრიაქს ბატონის-შეილს ანტონი[ი]ს, თქვენს ს[კ]ეტიცხო-

¹ აქ ბეჭდის დასასმელად ცარიელი ადგილია დატოვებული.

² ხვეულად.

ცველს;—ასე რომე მოვედით და ოქვენ გეუშევით და ცოტა რამ საქმე გვიჭირდა და ოქვენი] წყალობა დაგვემართა და იმ საქმიდამ დაგვის[ს]ენით, მოვედით და ოქვენს მამულზე ზვარზე დაგვაყენეთ კალაურში. რაც ჩვენის კელით გამოვდეს, გავისარჯენეთ და გ[ა]ვაკეთოთ კარგა. თუ დაევაზო რამე, რაც ერთს დამნაშავეს კაცს გადაკედია, მეც ის გადამარტინები, რაც სხვას მეზურეს] თქვენი წყალობა ჭირებია, მეც ის წყალობა დამემართოს. არის ამისი მოწამე ზუნბულიძე დეკანოზის-შვილი გაბრიელი, ნაცვალი გულმახარაშვილი კაკია-შვილი ზურაბ, გზირი გიორგი ჩიბარაშვილი(?). მე, კალაურის მღდელს პავლეს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა ეს წიგნი მარტს დამდეგს, ქორონიკონს. ულა. +

477. 1749 წ. მარტის 3-ს. ძუძუთა ვაჟიშვილის ჩუქების წიგნი, მიცემული ბიძინა ამბროსის-შვილის მიერ ზურაბა და სხვა ზუცის-შვილებისადმი. პირი λ VIII ს. . . დაზიანებული, დახეხული თავში. 28,8×21,2 სმ, გადაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანდ ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი.—საჭ. მუზ., № 2768 ჩ.

ქ. ნებითა და შეწევნით ღ[უ]თისათა . . . ესე წიგნი მოგეცი მე, პობნელ-მაშვილმა ამბროსისას-შვილმა ბიძიწნამა შენ, ახალქალაქელს ხუცის-შვილს ზურაბასა, ძმასა შენსა გიორგისა, შვილსა შენსა არუთინასა;—ასე რომე ცოლი მომიქდა და სამის თვისა ვაჟიშვილი დამრჩა ძუძუთა და სილარიბე მქონდა და ვეღარ შევინახე და არცა საძირაო მქონდა, რომე სხვისათვინ მიმებარებინა. მოვედი და შემოგეხვეწე შენის მადლისათვინ და მღთისათვინ შემოგეხვეწე: ყმა-წვილს ნუ მამრკლავთ მეტქი. ამის ცოდვას ნუ დამადებთ, თქვენთვინ გაზარდეთ, მამიცემია უცილებივა მღ[უ]თითა და კაცითა. თუ ღ[მერქმან] გაზარდოს, შენი არი ჩემი შვილი. არას კაცსა შენთან ხელი არა ქო[ნ]დეს-რა და არც მე და [ა]რც ჩემს ნათესავსა და [ა]რცა ჩემს სახლის კაცებსა. რაც კაცი ამაზედა წამოგედევოს ვინე, ამ ჩემთა მოცემულმა წიგნმა გამტყუვენოს. [არის ამისის] მოწამე] პირველად ღ[მერ]თი მერჩე წმინდა ესტატე, კაცთაგან გარგვ[ა]რეთე[ლი დევანოზი სეიმონ, ჯორაშვილი ზაზა, გარგარეთელი პეტრე, ნაზარაშვილი ბეჟუანა, გოზალაშვილი ბეჟუანა, ზალინაშვილი ოვანა, ფირალაშვილი გაბრიელა, მოქალაქე ბურთიკას-შვილი პაპა. მე, ახალქალაქელს წევრინანშვილს კიორვის დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა ესე, წიგნი მარტს გ, ქ[ორონი]-კონს ულა. მე ქაშოეთის დეკანოზმა ასლი სწორებენახე, წამხდარიც და ეს ღ[უ]თის წინაშე გარდმოცსწერე. მე, გორელი ტერმოსესაშვილი] ტერ-ყაზარა, გაბაშვილი გაბა, კოშრიძე პეტრე. ამათის მოწმობით დამიწერია. ფილია.

ქ. მე, სა[ა]კაძე ბეჟუანს ამ წიგნ[ის] ყაბული მაქუს და ბეჭედიც ჩემია.

ბეჟუან


ქ. მე, მელიქ-ყოფილის საპატიკას შვილი შაქარამ ამ წიგნის მოწამე ვარ.

ქ. ბეჟან საკავაქემ ამაზედ უჩივლა, სამართლში ამ არუთინ [ა] დარჩა. მე, სოლომონ მოღვაცილი ამის მოწამე ვარ.



478. 1749 ჭ. მარტის 28-ს. სითარხნის წიგნი, მიცემული თეიმურაზ II-ის მიერ ზურაბა შანშიას-შეილისადმი. დედანი, დაზიანებული, დახული, ნაწილობრივ დაკურებული. $33,5 \times 22$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდნები მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაშმარია თითო წერტილი—საქ. ც.—არქ., ფონდი 226, № 3619.

ქ. ჩვენი ბძანება არის. ოდეს ჩვენ ბელნიერის ერანის კელმწიფესთან თავრისს ვიყავით, აელმწიფემ ნოქარი გვთხოვა. ქართლიდამ და ქახეთიდამ დავიბარეთ და ჩამოვიდნენ და ეს ზურაბა შანშიას-შეილიც ნოქრათ ჩამოვიდა. კელმწიფეს წოქრათ მიერთვით და კელმწიფემ ჩვენს ძმის-წულს ჰასან-ხანს მიაბარა. ჩვენ ქართლში გაგვისტუმრა და ჩვენი ძმის-წული თავის სამსახურში შეინახა. რადგან ეს შანშიას-შეილი ზურაბა ჩვენის ერთგულობისა და სამსახურისათვის ჩამოვიდა და ჩვენს ძმის-წულთან დადგა, ჩვენც სამსახურის მაგიერად ამის წილი მამული და გლეხი გაგვითარხნებია. როგორც ბატონის მამის ჩვენის მეფის ერეკლეს დროს, ან მეფის ვახტანგის დროს რიგზე მდგარან, ჩვენც იმავ რიგზედ დაგვიყენებია; ამაზე მეტი არა ეთხოებოდესთ რა. ყოველნო ჩვენო მოსაქმენო, ბძანება და ოქმი ჩვენი თქვენც ასე გაუთავეთ. ვარტს კლ², ქორონიკუნის ულზ.



479. 1749 ჭ. მაისის 13-ს. ოქმი თეიმურაზ II-ისა-გორის მოხელეებისადმი. საბუთი მცხე-თის ეკლესიისა, № 134. დედანი. $27,6 \times 14,7$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდნები მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაშმარია ორ-ორი წერტილი—საქ. ც.—არქ., ფ.—, № 2383.

ქ. ჩვენი ბძანება არის გორის მოხელეები! მერმე რაგვარათაც დღეს აქამდის ძველის დასტურით გორს სვეტის-ცხოვლის ყმები თარხანი ყოფი-

¹ სათაური სხვა ხელით: ქ. მარტინ[უ]სას გადაწყვეტის წიგნი მამასგან ბაგრატისა.


² სწორია: კჲ.

ლიყვნენ, ჩვენი სათხოვარი და გამოსალები არა სთხოებოდესთ, იმგვარად ნურც
ახლა ჩვენს სათხოვარსა და გამოსალებში გარევთ. მაისის იგ, ქორონი]ქონ]ს
ულზ.

ურამო მეფე
ედ ცხემული
თემიშრაზის
დამტკიცებული

480. 1749 წ. მაისის 22-ს. აზატულობის წიგნი, მიცემული ვარამ დიასამიძის: მიერ ივანე
ნასყიდაშვილისამი. საბუთი სიონის ეკლესისა, № 137. დედანი. 33,6 × 11,6 სმ, დაწე-
რილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის
შემდეგ ნამარისა ორ-ორი წერტილი—საქ. მუზ., № 2698 ჩ.დ.

ქ. უსე აზატულობის წიგნი და პირი გიბოძე მე, ვარამ დიასამიძემ შენ,
ჩემს მემკვიდრეს ყმას საქაშენელს ნასყიდაშვილს ივანეს;—ასე რომე აეს დრო-
თი შენის ქვეყნიდამ წახველ, ერთი ობოლი ბიჭი იყავ და მოხველ და შემომე-
ხვეწე: ნუ დამკარგაო, ჩემს ალაგს ვლაპ გავძლებო და ვერც მივალო; თუ
ამაზე აზატს არ მიზამო, გავთათრდებიო სულ დავიკარგვიო. ახლა აღ[ა]რც
გაგათათე, აღარც დაგვარგე, არც საქმე გაგიკირვე. რადგან მოინდომე, მეც
შეგიბრალე და შეგიხვეწიე და აზატი გიყავ. დღესის იქით შენთ[ა]ნ ხელი
აღ[ა]რა მაქს საბატ[ონ]ქმოთ არც მე, არც ჩემს შვილსა, არც ჩემს სახლის
კაცსა. არას ხორციელს კაცს შენთან დღესის იქით ხელი აღარავის აქ. აზატი
მიქნია, გამიშვიბრ შენს ნებათ, სადაც გინდა დადეგ. ჩემის სულის მეოხათ (sic)
აზატი მიქნია. არის ამისი მოწამე მეტრეველი ივანა, ბერუაშვილი ბერი, კოქ-
რელი ზუბიტაშვილი ფარუმუხა, აღუაშვილი გოდერძი, მეპურე გიორგი. მარ-
ტო შენის თავისი აზატი მიქნია, შენი ძმა და ნათესავი ჩემია, იმათი აზატი არ
არის, მარტო შენის თავისი აზატია ეს წიგნი. დ[ა]იწერა მ[ა]ის[ის] ოცდა-ორს
გასულს, მე დამიწერია და ყაბულიც ვარ ამისი, ქორონი]ქონ]ს ულზ.



ქ. მე, სიონის მღრღელი დავით მოწამე ვარ ამისი ვარამის პირით.

დ[ა]ვი]თ

ქოქორაშვილი დაწელა.

ქ. რადღან კურთხეულს მმა ჩემს შენთვის აზატი მოეცა თავის სულის
საოხად და შენი თავი შენის ნებით სიონთა მღობლისათვის შეგეწირა,

* სათაური სხვა ხელით: გორელების სითარხნის წიგნია..

მე, დავით მორდალმა მამი ჩემის ანდერძი აღარ გავტეხ და მეც დაგიმტკიცე-
არც მე, არცა ჩემს შეილს, არც ჩემს სახლის კაცს შენთან ხელი აღარავის
გვაქვს დღეის იქით. ქორონიკონის უნდ, იანვრის ცხრას.

დიასამი
dʒ მურდარი
ლავით

481. 1749 წ. ივნისის 4-ს. მამულის წყალობის წიგნი, მიკუმული ქათალიკონის ანტონი I-ის მიერ კაცია მაისურაძისადმი. დედანი. დაზიანებული თავში. $37,5 \times 19,6$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანდ ყოველი სიტყვის შემდეგ ნახარია თითო წერტილი. საქ. ც.—არქ., ფონდი 226, № 4416.

ქ. ჩენი, ყოვლისა საქართველოსა მაკურთხეველმან ქათალიკოზ-პატრი-
აქმან, ძემან ქართველთა მეფის იესესმან ესე წყალობის წიგნი და სიგელი გი-
ბოძეთ თქვენ, მაისურაძეს კაციას, შეილსა შენსა ისეს და ბერს და მომავალთა
სახლისა თქვენისა ყოველთავე; — ასე რომე შენ იმერეთიდამე პატარა ტყვედ
ციხის თათარს გადმოეყვანე და ქათალიკოზ-პატრიაქს იოანეს დაეხსენ და
ზუმბულიძის დეკანზის არდაშასათვის დიაკუნად მიებარებინე და, კათალიკოზი
რომ გარდაცვალებულიყო, შენთვის ვეღარა ესწავლებინა-რა და ბეითალმნად
სცერონდი. უამთა ვითარებისა და დროცვალებისაგან ოსმალისა და ყიზილბაშის
გამოსალებისაგან ვეღარ დამდგარიყავ, აყრილიყავ და კახეთს ხიზნათ გასული-
ყავ. მერმე, ჩენ რომ. კახეთიდამ აგარეთ და მოგიყანეთ, მოკითხული ვე-
ნით. რაღაც შენ დეკანოზისა და იმის შვილებს ბეითალმნად სცერონდი და არც
ქათალიკოზისაგან წყალობის წიგნი ქონდათ, ჩენც ისევ ჩენთვის სახასოდ
დაგიჭირეთ. არც დეკანზის შვილებსა და არც სხვათ ჩენის საყდრის ყმათ
აზნაურშვილთ შენთან საბატონ-ყმოთ კელი არავის ქონდეს² და მცვიდრება-
ვით გომს დაგასახლეთ და გიბოძეთ ამოწყვეტილის პაიკაშვილის მამული თა-
ვის სამართლიანის სამძღვრითა, მთითა, ბარითა, წყლითა, წისცვილითა, ვენა-
კითა, მიწა-წყლითა. ესე ჩენვან წყოლობა არ მოგეშალოს არა ჩენვან და
არცა სხვათა მებატრონეთაგან. გქონდეს და გიბედნიეროს ლიმერითმაზ ჩენის
საყდრის სამსახურსა და ჩენსა დიდათ ერდგულობასა შინა, არ მოგეშალოს
არა ჩენვან და არცა მეფეთა და დედოფალთაგან, ხილონ დამამტკიცებელნი
ლიმერითმაზ აკურთხოს. აწე თქვენცა, ყოვლიც სანატრელნო ქათალიკოზ-
პატრიაქნო, თქვენცა ასევე დაუმტკიცეთ. დაიწერა ინდიკტიონსა ქათალიკოზ-
პატრიაქნიბისა ჩენისასა ე. არიან ამისი მოწამენი და ნების დამრთველნი
ერთობილნი. მცხეთელნი. დაიწერა კელითა კარისა ჩენსა მლვდელ-მდივან-
მწიგნობარ-ქადაგ მალალაძის ნიკოლოზისათა. თვესა ივნისსა დ, ჩემთ. ქათა-
ლიკოზეზი³.

¹ სათაური სხვა ზელით: ქ. მეპურე ივანას აზატობის წიგნი.

² სწერია: კონედეს.

၁၃၂


482. 1749 წ.: ივლისის 7-ს. სამართალი თეიმურაზ II-ისა დავით თარხნის-შვილისა და ბერია ჯორას-შვილის დავის გამო. 28×16 სმ, დაწერილი მოთეთრო-მოყვითალო ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაბმარია ორ-ორი წერტილი. თარიღად აქვს 1749 წ.—საქ. მუზ., № 3951 ჩ.

ქ. თარხნის-შვილს დავითს ჯორას-შვილის ბერიასაგან ამას წინამდებრივი ცენტ და ბერიასაგან მიცემული ნასყიდობის წიგნი ხელთ ქონდა და მასუკან დავითს ეს ვენახი ნაზარას-შვილის ბერიასათვის მიეყიდნა. და ძველი და ახალი ნასყიდობის წიგნი ნაზარას-შვილს კელთ ქონდა. ბერია ჯორას-შვილი წამოედავა: ეგ ვენახი ძალით წამართვაო, ისევ უნდა დამახსნევინოსო. ჩვენ მოკითხული ვქენით და ის ვენახი დავითს ძალით წართმეული არ ჰქონდა და ბერიას თავისის ნებით დავითისათვის მიეყიდნა და დავითს ნაზარას-შვილისათვის მიეყიდნა. რაღაც ასე ყოფილიყო, ბერია შილთახით და უსამართლოო ელაპარაკებოდა, ვენახი სამართლით ნაზარას-შვილს დარჩა. ამას იქით ბერია ამ საქმეზე ველარას ედაოს. მკათათვის ზ, ქორონიკონის ულს.

483. 1749 წ.: ივლისის 15-ს. ოქმი თემმურაზ II-ისა კავთისხევის მოღალე და მოხელეებისადმი. დედანი. $15,5 \times 11$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაბმარია ორ-ორი წერტილი—საქ. მუზ., № 14.626 ჩ.

ქ. ჩვენი ბანება არის, კავთისხევის მოღალევ და მოხელეებო! ეს იმნაძე ბერი აქ ჩვენს სამსახურში ზინდრათ არის. ჩვენი სითარხნის წიგნიც აქვს და ამას ღალა-კულუსს ნუ სიხოვთ, რაღაც ჩვენს სამსახურში არის. მკათათვის იქ, ქორონიკონის ულს.

უდმრმფლ
ცხებული თემ-
მურაზის დამ-
ტკიცებული



ქ. ჩვენ, მეფე ქართლისა და კახეთისა ირაკლი მეორე ამ ბატონის მამის ჩვენის ნაბოძებს წიგნს ვამტკიცებთ. მკათათვის ით, ქორონიკონის უდლ.

484. 1749 წ. იცლისის „გასულს“. ყმის დანებების წიგნი, მიცემული იარალი [იარალი]-შეილის მიერ თვანქჩი-ალა ზალისადმი. დედანი. 28,5×11,5 სმ. დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარის სამ-სამი წერტილი—საქ. მუხ., № 2781 ს. 11.

ქ. ესე წიგნი მოგეცი მე, ლიარა-შეილი¹ იარალი შენ თვანქჩი-ალა ზა-
[ა]ლს;—ასე რომე მესროფაშვილი მუსია უწინაც თქვენი ყმა იყო, მასუკანაც
შენთან იყო. შენ იმისთვინ ცოტა გეწყინა. მოვიდა და შემამეხვეწა და მამა-
ტყუა და მე შენ წამოგედავე და მუსია გამოგარეთვი. ახლა მე შევიტყე, რომე
იმან არ[ა]მზადიობით მამ[ა]ტყუა და შენ თვე[ა]ლს მამ[ა]ძულვა. ახლა შევიტყე,
რომ ის კაცი არა ჩემი ყმა ყოფილა, არ[ა]ცარ[ა] ს[ა]ქემე შეონლა. შენი ყმა არის,
ღმე[რ]თმა გამეჯვებაჩი მოგახმაროს. მაშინაც დავაშვე, რომ ტყვილათ შეგ-
ძულდი. ახლა დღესა და დღესი იქით იმასთან საქმე არ მაქს. შენი ყმა არის.
საცა გეპრიანებოდეს, წაიყვანე. არის ამისი მოწამე დოლმაზაშვილი კაცოა,
გიორგი ქვემო-ბოლნელი. მე შანშიაშვილი როსებას დამიწერია, მოწამეც ვარ
იარალის სიტყვით. დაიწერა კათათვის გასულს, ქორონიკონს] ულს.²

485. 1749 წ. აგვისტოს 4-ს. ოქმი ანახანუშ დედოფლისა ოთარ გერმანიზ-შეილისადმი.
დედანი. 22,4×15,4 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილო-
ბის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარი ირ-ორი წერტილი — საქ. მუხ.,
№ 2475 ს. 11.

ქ. ჩვენი ბქ[ა]ნება არის გერმ[ა]ნოზის-შეილო ოთარო! მერმე ორს[ა]ვ
ეგრისებში, ჩ[ა]მძვრ[ა]ლ[ა]ს და ქციას ჭ[ა]ნდ[ა]რს ჩვენს ს[ა]ხ[ა]სოში ვის[ა]ცა
კირნ[ა]სული ეღღ[ა]ს—პური თუ ქერი, ფეტვი თუ რწამ ფერი, ყველაზე სა-
მართლიანის საქმით ლალა აიღვ ს[ა]ქეენოთ. ძალასა და უს[ა]მართლოს ნუ-
რ[ა]ქვის უზამ. მარიამობისთვის დ გ[ა]სულს, ქორონიკონს] ულს.

ქრისტი]სა მსურს მაევალ ყოფანი მარ წმენა მანვე დედ ოფლობანი ანახანუშ

¹ იარალაშვილი(?)

² სათაური სხვა ხელით: მესროფაშვილების წიგნი ქ კ ს ულს.

486. 1749 წ. აგვისტოს 30-ს. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული პატარკაც და გვირ თუმანის-შვილების მიერ გორჯასპი თუმანის-შვილისადმი. 62,2×22,3 სმ, და-შვრილი თეთრ ქალალდებ მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანდ ყოველი სიტ-ყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი—წითელ მრგვალ წრეში მოთავსებული. თარი-ლად აქვს 1749 წ.—საჭ. მუზ. № 1828 Inv.

ქ. . . . ესე ამიერითგან ვიდრე უკუნისამდე ხანთა და უამთა გასათა-ვებელი, მიზეზ-შემოულებელი, ყოვლის კაცის უცილებელი და მოუდევარი სამ-კვიდრო და საბოლოო ნასყიდობის წიგნი მოგეც მე, თუმანის-შვილის გრე მდივნის შვილის დავითის შვილმა პატარკაცმა, გივმა თქვენ, ჩვენს განაყოფს საქართველოს მპყრობელის აემწიფის მდივან-მწიგნობართ-უხუცესს გორჯას-პის და შვილთა თქვენთა სულხანს და მანუჩარს და ყოველთავე შვილთა და მომავალთა სახლისა¹ თქვენისათა;—ასრე და ამას პირსა ზედან: მას უამსა ოდეს დამეჭირა და მოგყიდე წოდორეთს ჩემი მამა-პაპათ მემკვიდრე ყმა ჩემი წილი ხუცესს შიო თავისის მამულითა, პეტრიაშვილი ივანე მისის მამულითა, მარკოზაშვილი მახარა თავისის მამულითა, თბილელაშვილის საკომლო, მეჯო-რის მამული, ნადირას მამული და სხვა, რაც წოდორეთს ჩემი წილი მამული იყო, სრულ უკლებათ ყუელა შენ მოგყიდე და ავიღე კელი. აქ შე საქმე ალარა მქონდეს რა. კველა შენოვის მომიყიდია თავიანთის მამულითა, მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ვენაჟითა, სათიბითა, უთიბითა; შესავლითა დ გასავ-ლითა და ყოვლისავე საბართლიანის სამძლვრითა და ეს გლეხნი თავიანთის ნასყიდითა და უსყიდითა და ავიღე შენგან ფასი სრული. და უკლებელი, რითაც ჩემი გული შეგჯერდებოდა. მოგცეს და გიბედნიეროს ლთნ და თუ ვინმე ჩემი ნათესავი კაცი ამ ჩემგან მოსყიდულს ყმასა და მამულს წამოგედაოს, პასუხის გამცემი მე ვიყო და აწ არის . . . კაცთაგან ამისი დამხდური და მოწამენი ჩემი ბიძაშვილი მდივანი ედიშერ [] , კიდევ ჩემი განაყოფი გიორგი, სუფნი-შინის ტერტერა ტერარისტავ [] და შე აემწიფის კარის დეკანზის იოეი-მეს შვილის თეოდორეს შვილს კარის დეკანზის მღვდელს მიქელს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა ესე წიგნი მარიამობისთვის ლ, ქიორონი]-კონ]ს ულ-ზ. [].

კიდევ ამისი მოწამე ციციშვილი მანუჩარ [].
დედოფლის მორდარი ზურაბ [].

ქ. მე, თუმანიშვილი გიორგი ამისი მოწამე ვარ; ბეჭედი არა მქონდა და-ეს ჩემი ხელია.²

¹ სწერია: სახელისა.

² სათაური: ქ. წოდორეთის ნასყიდობა არის.

487. 1749 წ. ნოემბრის 27-ს. კულუხისაგან განთავისუფლების წიგნი, მიცემული ტიმოთე ბოლნელის მიერ გაბრიელ დოლმაზაშვილისადმი. შენახულია პირი, $22,5 \times 16,5$ სმ, დაწერილი მოთეთრო ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი, ორი წერტილი და მძიმე. თარიღიად აქვს 1749 წ.—საქ. მუს., № 3066 1id.

ქ. ნებითა და შეწევნითა ბოლნისისა სიონთა ლ-თის-მშობლისათა, ესე წიგნი გამოიძეთ ჩვენ, ქართლისა მთავარ-ეფისკოპოზი ბოვნელმან ბატონშა ტი-მოთე თქვენ, დოლმაზაშვილს გაბრიელასა, ბახუტასა, ქმასა თქვენსა სეიმონასა, ჭურაბასა და კაცუასა, შეილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა;— ასე რომ ძველთაგან სიონთა ლ-თის-მშობლის ყმისაგან ასლუაშვილისაგან მამული გქონდათ ნასყიდათა და კიდეც გაგეცვალათ. სამუქმოთ სხვა მამული მიგეცათ. რადგან სხვა მამულიც მიგეცათ და ნასყიდი იყო, ჩვენც მოკითხული ვქენით და არას ბოვნელს თქვენთვინ კულუხი არ გამოერთმევინა და ჩვენც ეს წიგნი გიბოძეთ: არამ ბოვნელმა თქვენ ამ მამულის კულუხს არც გედეოს და არც გთხოოს, არამ ბოვნელმა ამისა შლად ვერ კელჲყოს. ვინც ეს მოგიშალოს, ისიმც განიკითხვის დღესა მას დიდსა განკითხვისასა, ამისთვის რომე ბევრი მოკითხული ვქენით და არ გამოვრთმევოდა და არც ეთხოვნათ შენთვის კულუხი. ლ-თნ გიბედნეროს და მოვახმაროს. ლვინობისთვის კშ, ქ[ორონი]კ[ონ]ს ულზ, ქრისტეს აქეთ ჩრმოთ.

მე, შანშიაშვილი იარალი ბატონი ბოლნელისაგან ამ საქმის მოკითხავ გამრიგე და დამხდური ვარ. ○

488. 1750 წ. მაისის 8-ს. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ზაალ ფალევან-დის-შვილის მიერ იესე ამილახორის-შვილისადმი. დედანი. დახეული თავსა და ბოლოს. $37 \times 22,3$ სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო ან ორ-ორი წერტილი—საქ. მუს., № 9739 1id.

ქ. ნებითა და შეწევნითა ესე ნასყიდობის წიგნი და სიველი დაგიწერეთ და მოგართვით ჩვენ, ფალევანდის-შვილმა ზალ, ქმამა ჩემმა ბერმა და ბაგრატ და მომავალთა სახლისა ჩვენისათა თქვენ, ბატონს ამილახორის-შვილს იესეს, შეილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა;— თდეს დაგვეკირა და მოგყიდეთ ჩვენი სამკვიდრო ბარათის კაცი და მამული ავნევს კვახაჯელი რაზმა თავის შვილით და მმულით, კიდევ გოგია ჩხერიაშვილი თავის მმულით, კიდევ ჭოლიბაულს ომანიძის მამული თავეთის წყლითა, წისქვილითა, სასაფლაოთი, მთითა, ბარითა, შესავლითა თუ გასაელითა ყოველის უკლებელის საქმით მოგვიყიდნია, ავიღეთ ფასი სრული, რითაც ჩვენი გული შეგვერდებოდა. არა დარჩომილა-რა ჩვენი თქვენზედ თვინიერ სალმისა მეტი, ხ[ოლო] დამატეკიცებელი ამის ლმერ]თმაზ აქურთხ[ოს]. არის

ამისი მოწამე თავად **[მერ]**თი, კაცთაგან გორელი ელისბარას-შვილი მამასახ-ლისი გიორგი **[.....]**, კაქეაჭაშვილი დავითა, ლანბარაშვილი გიორგი.

[.....], ფეხანგიშვილი ანდრია **[.....]**, კოჭლამირაშვილი რევაზა, მე-
გარსევანის-შვილს ნიკოლოზს დამიწერია და მიწამეც ვარ. დაიწერა მაის[ს] ტ1,
ქიორონიქონის ულც¹⁺. **[.....]** **[მონაცენისა-ზაქალ +]**

ქ. მე, თაყინას-შვილი ფარსადან ამისი მოწამე ვარ.

ფარსადან

ქ. მე, გიორგი ხითარას-შვილი ამისი მოწამე ვარ ზალისა და ბერიის
ყაბულის ქითა | **[.....]**²

489. 1750 წ. ივნისის 20-ს. სოფლის დაბრუნების წიგნი, მიცემული თეიმურაზ 11-ის მიერ-როჭიას-შვილებისადმი. დედანი. 32,3×19, სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. ც.—არქ., ფონდი 226, № 4014.

ქ. ჩვენ, პატრონმან მეფეი-მეფემ თეიმურაზ როჭიას-შვილების მამული სკრა ამას წინათ მერალიბეგს ქალანთარს უბოძეთ. ამიტომ რომ ქვეყანას ბევრი სახელმწიფო სათხოვარი ედვა და როჭიას-შვილებმა თავეთის სოფლის სკრის მალუჯათისა და სათხოვრის გამოლება ველარ შეიძლეს და მერალიბეგს დავანებეთ. ლ-თითა და კელმწიფის წყალობით საქართველოს მალუჯათი და სათხოვარი ამოეკვეთა და ისევ ძეველს რიგსა და დასტურზე და[ა]კენეს. მერალიბეგს რა ჩვენ წიგნი უბოძეთ, მას აქათ ამ როჭიას-შვილის მამულის მალუჯათი არა შეიცა რა და როჭიას-შვილებს ოთარს და ამის ძმისწულს დავითს და სხვათ სკრა, თავეთია მამული, ისევ ამათ უბოძეთ და დავანებეთ. მერალიბეგ ქალანთარს ამ როჭიას-შვილების მამულთან ხელი არ[ა] იქვეს. იმისი წიგნი ამ წიგნით გაგეიცუდებია, მტკიცე ეს ოდენ არს. დაიწერა ხელითა კარისა ჩვენის მდივან-მწიგნობრის თუმანის-შვილის გორჯასპისითა მთიბათვის კ, ქ[ო-რონიქონის ულც³.

¹ სწერია: ქ.

² სათაური სხვა ხელით: ქ. იასე ამილახვარისაგან კვაბაჯლისა და ჩხერელას-შვეღლისა ნასყიდობის წიგნი.

მინაწერი სხვა ხელით: ქ. თქვენის ქ[ა]ლის თიმ[ა]თინის კეთილ[ა]თ სახ[ს]ე[ე]ბელო.

³ სათაური: ქ. მეფის თეიმურაზის ნაბოძები, სკრა რომ ქალანთრისათვის უბოძებია და ისევ ჩვენ გვიბოძა, სამართლით.

490. 1750 წ. ივნისის 20-ს. გერის მიცემულობის წიგნი, მიცემული ბეროა ხუცინას-შვილის. მიერ ყალოანთ ბალდასარასადმი. აქეე წიგნი, მიცემული არღუთაანთ მოსესას და სხვ. მიერ იმავე პირისადმი. დედანი. 40,3×16 სმ. დაწერილი თეთრ ქალალდნე მხედრული. ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ წახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. მუს., № 721 ტ.

ქ. . . . ესე წიგნი მოგეცი მე, ხუცინას-შვილმა ბეროამ შენ, ყალოანთ გიორგის შეილის ბალდასარას;—ასე რომე ჩემი გერი იყო წოეთხის¹ წლისა. ვართანა მოგეცი შენ, მე შემქენახა არ შემქედლო. თუ მოკვეცეს, დამიქარეო, თუ დარჩეს, შეინახო. მაგისი მომდევარი ლუთის მეტი არავინ იყოს. თუ ვინმე მაგის მოდავე და ან მოცილე გამოჩნდეს, პირისა და პასუხის გამცემი მე ვიყო. არიან ამისი მოწამენი და დამხდომნი თავათ ლმერთი . . . კაცთაგან მოღნინის ტერ-გაფრიელა [] და არეშის-შვილი დათუნა

[.] და
დაჭით

მარტირუზა + და გარსოანთ მარტიროზას-შვილი ბეჟანა + და მე მოღნინის. ხუცის-შვილს მელქოს დამიწერია და მოწამეც ვარ +. დაიწერა თიბათვის ქ გასულს, ქორონიკონეს ულტ.²

ქ. ესე წიგნი მოგეცი მე, არღუთა[ან]თ შიოშბეგის შვილმან მოსესამან და ძმამან ჩემ[ქ]ან ბეჟანამ და შვილმან ჩენმან შიოშმან და ფარსადანამან და სახლიმან ჩენისმან მამავალმან ყოველვინამენ (sic) შენ, ყალოან[ქ]თ გიორგის-შვილს ბალდასარასა და შეილსა შენსა გიორგისა და სახლის შენისა მომ[ა]-ვალს ყოველსავე;—ასე რომე ჩემის ყმისაგა[ა]ნ ერთი ობოლი დარჩომილიყო, ცოტახა[ნ]ს ყვანიდა, დედაც ლეიკბს დაეტყვევე[ბ]ინათ: დარჩომილიყო ეს ოთხის წლის, ობოლი ვართანა. თავის მამის-ნაცვალს დიღის ხევწნით მოეყანა და შენ[ქ]თვის მოეცა, როგორც ამა წიგნის იქითა პირზედ სწერია, ამა პირობით გყვიანდა და ინახევდი. ქორონიკონეს უნბ, მარიამობის ი, ამა თარიღში მოვედით და წმოგედავეთ. სამართალში ვილაბ[ა]რაკეთ. რადღან (sic) იბლობით გაგზარდა და მრავალი ჭირნახული [გ]ქონდა, სასართალში საჭირნახულო. შენი ამაგის ფასი დაგვადევს. ჩენ ის ვერ მოგეცით, რადღან (sic) შენი გაზღილი იყო, ისევ ჩენის ნება-ყოფლობით შენვე მოგეცით. ვყვანდეს და ომერთმ[ა]ნ გიბედნიეროს; ცოცხ[ა]ლი იყო[ს]-იშს[ა]ხურო, მოკვეცეს-დამარხო. დღეს დადღესის იქით არავინ იყოს შენი მოცილე და მოდავე ერთი მღვთის მეტი. არახანს და არ[ა] უამს არ მოგეშალოსთ წიგნი და პირობა ესე არა ჩენ[ქ]გან არა ჩენთა[] გან[ა]ყოფთაგან არ[ა]ს სამართალში და არ[ა]თ მოსამართლეთაგან. თუ ვინმე წამოგესდავონ (sic), პირისა და პასუხის გამცემი ჩენ ვიყვნეთ, თუ ვინმე ამისი მოშლა მოინდომოს და ან ამ წიგნის და პირობებს გადაქცევა იფიქროს, იმას რისხავდეს ლმერთი . . . ყაფანდ[ა]რს გევურქას-დამიწერია.

¹ უკანასკნელი სიტყვა ტექსტში სწერია: თოხის.

² თარიღის მეორე ასო თავდაპირველად დაწერილია მ და შემდეგ მასშე ლ.

მოსიასი და ბეჟანას სიტყვით და პირობით მოწამეც ვარ ამისი.

89

დაიწერა ესე წიგნი თებერვლის იზ, ქიორონიქონის უნგ. ქ. თითონ არყუთა-
[ან]თ შიოშის-შვილმან მოსესამ და ბეჟანამა ეს ზემო ნაწერის ყაბული გვაქვევს.
ჭე ჩემი ხელია, ჩემი ბეჟერი.

მოსიას	ბეჟან	აკან დოლ
--------	-------	-------------

ქ. მე, უსტა-იასეს-შვილმა ბეჟანამ მოსიას და ბეჟანას პირობით მოწამე
გვარ ამისი. | |

491. 1750 წ. ივნისის 23-ს. პირობის წიგნი, მიცემული ზაზა ზაზუნაშვილის მიერ დაეკი
ფლასტაბის-შვილისადმი. დედანი. 20×15,8 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრუ-
ლი ხელით. განკვეტილობის ნიშანდ ყოველი სიტყვის შემდევ ნახმარია თითო ან ორ-
ორი წერტილი—საქ. მუხ., № 1708 ჩდ.

ქ. ესე წიგნი მოგეც მე, ზაზუნაშვილმა ზაზამ შენ, გოშტაშაბის-შვილს
დავათს:—ასე რომე შენ ჩემი მამული გეჭირა, სხვა სულ დავიხსენ შენგან. ენა-
გეთს ერთი კომლი კაცი ყორლანაშვილისათვის მიგეყიდა. იმაზედ ჩივილს ვა-
პირებ. რაც ყორლანაშვილს მისაცემი შევიქნა და სამართალში დამახსნევინონ,
შენ არა გაგალებინო რა, მე მივცე და, ვინ იცის, სამართალში მოსამართლემ
მითხრას, რომ ბადალი მიეც, არცა რა იმაში გამოგართო. არის ამისი მოწმე
შენი განაყოფი პაპუნა გოშტაშაბის-შვილი, გუგუნა გერმანიშა-
შვილი და ნიკოლოზ ქავთარის-შვილი, და მე კარის
დეკანოზს მიქელს დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა ესე წიგნი თი-
ბათვის კგ, ქიორონიქონის ულც ზაზა. რაც ჩემის კელიდამ გამოვიდო-

დეს, ჩემის სიტყვით იმ კაცზედ ლაპარაკში ქომაგი და მოქმარება არ მოგიშა-
ლოს ღუ]თის-ძალით ².

492. 1750 წ. ივნისის „გასულს“. მამულის წყალობის წიგნი, მიცემული გაბრიელ გვედევა-
ნის-შვილის შიერ როსტომ უმიკას-შვილისადმი. პირი XIX საუკ. 36×22,5 სმ, გადაწე-
რილი სხვა საბუთებთან ერთად ერთ თაბაზ თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. გან-
კვეთილობის ნიშანი ნახმარია არ არის—საქ. მუხ., № 10.174 გ ჩდ.

ქ. ესე წიგნი მოგეცი მე, მოუ]რავმა სარდალმან გაბრიელ შენ, უმიკას-

¹ სათაური სხვა ხელით: ქ. ვათიას წიგნი ყალუანთ ბალდასარასია.

² სათაური სხვა ხელით: ქ. ზაზუნაშვილის მოცემული წიგნია ზაზ[ა]სი, ამისთვის ისევ
დაქანებსნევინებია მამა ჩემსა და სხვაებისა ისევ ნასყიდი გვაქეს ბუროულებისა სამი ნასყიდ-
ბის. წიგნი ბეჟანისა ისტც ჩემი.

შვილ[ს] როსტომას და ბიძა შენს გიორგას და სახლსა შენსა მამავალსა; — შენი განაყოფის რევაზა[ს] მამული გიშუალობე. შენი მოცილე არავინ არ იყოს, მანამდინ რევაზას შვილი მოვიდეს. არის ამისი მოწამე ნადირა მოუზერავი, ნაცვალი, მამასახლისი დავითა, მამასახლისიშვილი პაპა, კახის-შვილი ესტატე, ოსკანას-შვილი აბრამა, როსებას-შვილი მამულა და მე ტერ-ოქაზენე[ზ]ის დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა ესე წიგნი თიბათვის გასულს, ქორონიკონ[ონ]ს ულც.

493. 1750 წ. მკათათვის 7-ს, ოქმი თეიმურაზ II-ისა ბეკამის მამასახლისისადმი. დედანი 11,4×15,7 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ჩიტონად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. მუზ., № 2311 ჩბ.

ქ. ჩვენი ბძანება არის ბექმის მამასახლისო, ეს ბადრიას-შვილი ბერი ჩვენი სახასო ყოფილა, ხელი ამართე და სახასოთ იყოს. ჩვენი სახასო არის ვისაც გაუყიდინა, ავალის-შვილმა თავისი თეთრი იმას სთხოვოს. მკათათვის ზ, ქორონიკონ[ონ]ს ულც.

უ-მ მ-რ მ- ფ დ-ც ხბოლი თეიმრზ ის დამტკი-ცბლი
--

494. 1750 წ. ივლისის „ნახევარს“. პირობის წიგნი, მიცემული ერთობით ქრისტიანელთა რიგი მოურავ პატარასადმი. პირი, გადაწერილი უზენაეს მართებლობის ბრძანებით ჯავ სუს-დასაწყისს მხედრული ხელით—საქ. ც.—არქ., ფ.—, № 34/123.

ესმთა ვითარებისაგან ავი დრო შემოგვერია, აქაური სამოხელო და სამოურაო არვის ახსომდა და ჩვენი სოფლის კაცმა გიორგას-შვილმა მამასახლისმა ანტონამ და ჯანიათ იონენ[ა]-შვილმა მატოამ და ასლამ[ა]ზ[ა]ნთ დანელაშ და გიქონთ ნადიროამ და გიორგაშვილმა ისაიამ და პაპოას-შვილმა დავითამ და კირაკოსაცნთ ბერიამ და პაბაჯან[ა]ნთ თემოამ და სული-ხელი-ერთპირად კრწანელთ დიდმა და მცირე ერთმანერთის ნება-წალილით ჩვენც მოყითხული ვქენით, რომ ძელათაც ასრე ყოფილიყო და ეს პირობა მოგეცით თქევენ, ჩვენს მოურაეს პაატას და ძმასა თქვენსა მგალ-ბელს;—ასე რომე კონბლის თავს წელიწადში ექვსაბას-აბაზი სამოურაო² მოგ-ცემდეთ და კიდევ წელიწადში სამ შაურს კონბლზე საგურნეს მოგცემდეთ და კიდევ წელიწადში კონბლზედ თითოს კოდს ქერს მოგცემდეთ და კიდევ ჩვენის შეძლებით კონბლზე თითოს ჯერს პურს სასთვლოდ გამტევდეთ და ამას გარღა საალდგომო თქვენთ საიდაულე რომ გვაპატიეთ და თითო შაურსა სამობ[ა]ოთ

1. სწერია: ულც.

2 ეს სიტყვა განმეორებულია.

შეგცემდეთ და რომელიც მართებული იყოს შესამყრელო და გასამყრელო, სა-
ქვრივო და საჩექქმე, ჩვენ სულ-ხელერთბირათ კრწანელთ დიდმა და მცირემ
ეს პირობა დაგიდევით და არ მოგიშალო. არის ამისი მოწამე პატრიაქის მო-
ლარეთხუცესი გალევ[ა]ნიძე პაატა.

ადგილი
ბეჭდისა

და გელევ[ა]ნიძე ერასტი

ადგილი
ბეჭდისა

და მე აღდგომელის დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. ლაიცერა.

დათათვის ნახევარს გასულს, ქორონიქონის ულც.

ადგილი
ბეჭდისა

ადგილი
ბეჭდისა

+++ +

ჩვენ, ყოვლისა საქართველოს პატრიარქი ანტონი ვამტკიცებ წიგნსა
ამას. კათალიკოზი.

მე, მოურავმა თაზის-შეილმა მოსემ და ჩემიშა შეილებმა დემურმა და
ზუამ ჩვენს სახელოშედ რომ ვლაპარაკობდით, ქერზედ, საგუთნეზედ და ჯერ-
ზედ, ჰაიდომც წიგნი დავარგული გვქონ[დ]ა, ვიპოვეთ და გთხოვდით და ჩვენი
ნება აათვეთ. გავლილის წლებისაც გაპატივეთ კომლზე თითო ქოდი ქერი სა-
გუთნე და სააღდგომო. თუ შამული გაყიდოთ, ჩემი სადილ გამოახალოთ(?), რო-
გორც თქვენ გაძევთ და იმათაც მაძლიონ, როგორც ამ წიგნში მიცხადებს.
ივნისის ა, ქორონიქონის უფა.

495. 1750 წ. ივლისის 22-ს. მორიგების წიგნი, მიცემული ბაიამთალი ემარა ყულისა და
იბრიმას მიერ თევდორე ბოგველისადმი. აქვე მეორე მოდავის მორიგების წიგნი. სა-
ბუთი შუამთის მონასტრისა. დედანი. 31,6×10,8 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდნე
შეეღრული სელი. ასო-მეტი. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნა-
შარია სამარა წერტილი. საქ. ც.—არქ., ფონდი 226, № 4304.

ბ ა ტ ო ნ ი.

ქ, ესე წიგნი მოგეცით ჩვენ ბაიამთლი ემირა-ყულიმ, ჩემ[მ]ა მეზობელმა
იბრიმამ¹ შენ; ბოგველი თევდორეს;—ასრე² ფანაზე ბძანდებოდა ლაშქრათა.
ჩვენ, იმირა-ყულიმ იბრიმამ ერთი ბიჭი ვიშმოვ[ვ]ნეთ თევდორევ, შენი ძმა იყო.
ცოტა-ბევრ ერთი რამეთა ჩვენი გული შეიჯერივე, მოგვიქცე, ჩვენც ყაბული
წვერით. შენთან არავის ხელი ქონდეს-რა ვინც წამოგედავონ[ს], პასუხის გმ-
ცემი ჩვენ ვიყოთ. არის ამის მოწამე მეპურე რევაზ, კონი ისეფა, ყარხლი ქა-

¹ ბინაწერები: ასლთან სწორს არს. თა რატივენ, დავით თაზიევი.

² უკანასკნელი სიტყვა ტექსტში სწერია: ირბიმამ.

³ აქ ტექსტი მცირე ცარიელი ადგილია დატოვებული; ამ ადგილას უნდა ეწეროს:
„ბარონი“ (ჩგულისხმება ვრცელები II).

ჭიმის ძმა პეტერი. მე ჭონი ბეროს დამიწერია, მოწამეც ვარ ამის[ი]. დაიწერა
ესე წიგნი კათათვის კბ¹ გასულს, ქორონიქონის ულც². []

ქ. მოველ მე ბაიამათლი ქანარ, გიორგი ბიჭე წამოგედავე შენ, ბოჭველს;
ბატონის სამართალშიაც მივედით და ჩემი გული შეიჯტერვე. შენთან დღეის
იქით სადაო და სალაპარაკო აღარა მაქცე-რა. ვინც იმ ბიჭედ წამოგედაოს,
პასუხი მე მივსცე. არის ამისი მოწამე სოლომან მორდალი [], ყიზილაჯილი
ისმეილ ჩალაბოლლი. მე მდივანს ოთარს დამიწერია და მოწამეც ვარ. შაიხის
იზ, ქორონიქონის ულო. []

ქ. მე. აღალარიც ამისი მოწამე ვარ, არას კაცს ამ თევდორესთან სალა-
პარაკო არა აქვს.

(თურქული წარწერა ერთ სტრიქონად)

496. 1750 წ. აგვისტოს 13-ს. ოქმი თეიმურაზ II-ისა საჯავახიანის მოსაქმისადმი. დედა-
ნი. დაზიანებული თავში, მარცხნა კუთხე ახეულია და დაკარგული. 23×14,3 სმ, და-
წერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის
შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. მუნ., № 2664 hd.

ქ. ჩევნი ბერნება არის, ვინც დღეის იქით ჩევნის კარილამე საჯავახიანოს
ჩევნი მოსაქმე მოხვიდეთ, მერმე როგორათაც ჩევნს სახლო-უხუცეს კოსტან-
ტინეს და მდივანბეგეს იოვანეს გაერიგებინოს ჯავახის-შეილების ყმების გამო-
სალები, როგორც ამათს გან[ა]ჩენში ეწეროს, ისე გამოართმევდეთ. მეტნაკ-
ლეგები არ გამოართვათ, თორემ მწვედ გიშეყნო იცოდეთ. ახ[ა]ლი სურსათიც
როგორც გაერიგებინოთ, ისე გამოართვი[თ]. დაიწერა მარიობის თვის იგ,
ქორონიქონის ულც.

უ-მარმფლდ
ხბლი თიმრე
ის დამტკიცებული

497. 1750 წ. აგვისტოს 13-ს. ყმის გირაუნობის წიგნი, მიცემული გიორგი დავითიშვილის
მიერ ბერი ლასურის-შეილისადმი. დედანი. 33×11,6 სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე
მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-
ორი წერტილი—საქ. მუნ., № 502 hd.

ქ. ესე წიგნი მოვეცით ჩევნ, დავითიშვილმა გიორგიმა, ჩემ[მ]ა ძმი[ა] ბერ-
ნია;— ასე რომე ჩემი ძმა ქიბოსრო ნოქრათ წავიდა და იმისის გულისთვინ სამი

¹ ტაქსტში სწერია: ბქ.

² სწერია: ულც.

³ ჭავაური სხვა ხელით: ქვედანის-შეილების განაჩენი. გლეხკაცების ხარჯზე.

თუმ[ა]ნი ვალათ აელო ჩერქეზის ედიშერს შენ, ლასურის-შვილის ბერის[ა]გან
სამი თუმანი აელო და ნინუაშვილი გირ[ა]ოთ მოეცა]. ჩვენ ბერსა და გიორ-
გის იმ სამი თუმნის თავნისა და სარგებლის[ა]გ[ა]ნ ორი თუმ[ა]ნი და [ნა]ხევა-
რი ორთავ შემოგვეხვდა. ეს ორი თუმ[ა]ნი და ნ[ა]ხევარი ამ ორს კვირებე
მოგცეთ. ამის თავდებ[ა]თ და გირ[ა]ოთ ნულს მამ[ა]ს[ა]ხლის[ი] მაზია მოგვი-
ცია. თუ ვადას გადაცილდეს, თვეში სარგებლი ექვესი შ[ა]ქური თუმნის თავს
მომცემი ვიყვ[ვ]ნეთ. იმ ნინუაშვილთ[ა]ნ თქ[ვე]ნ ხელი აღ[ა]რა გ[ა]ქ[ვ]ით. არის
ამისი[ი] მოწამე ბერი ვიუიყრელი, ჩვენი აზნ[ა]ტერშვილი ჩინელი რიკაძე, მს[ა]-
ხური კოკოლაშვილი შიო. მე თითონ გიორგის დამიწერია, ყაბულიც მაქ[ვ]ი
ამის. დაიწერა მარიობის თვის ც[ა]მეტს, ქ[ორონი]კ[ონ]ს ულტ. | . . . | +

498. 1750 წ. სექტემბრის 15-ს. ოქმი შაჰყულისანისა დათუნა კვენიაშვილისადმი. დედანი-
13,8×10,6 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშ-
ნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საჭ. მუზ., № 503 სდ.

ქ. შაჰყულისანის დიდო იმედო კვენიაშვილო დათუნავ და ბერო,
მერმე შენ გიორგი დავითიშვილს დაგანებეთ, ამისოვინ მიგვიციხარ, ამას ემსა-
ხურე. დაიწერა ენკენისთვეს იე, ქ[ორონი]კ[ონ]ს ულტ. ზა[ა]ლ, რაც ამ კაცის
მამულის ბარა იყოს, შეღავათით გამოართვი ჩემთვინ და ის კაცი გიორგისა-
თვინ დამინები. | . . . |

499. 1750 წ. დეკემბრის 4-ს. ოქმი დიმიტრი ეშიკალასბაშისა მამადა ახიჯანას-შვილი-
სადმი. დედანი. 14,2×12,1 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდე მხედრული ხელით. განკვე-
თილობის ნიშანდ ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი—საჭ. მუზ.,
№ 14.217 სდ.

ქ. დიმიტრის ეშიკალ[ა]თ-ბაშის იმედო ახიჯანას-შვილო მამადავ. და ნა-
ბიავ². მერმე ზა[ა]ლ-ბეგისთვის მიგვიციხართ მსახურათ, იმას ემსახურებით-
ამას მოუდევით და კარგათ ემსახურენით. სხვას თქვენთან ხელი არავისა აქვს.
ამის სამსახურს ჩვენს ოდნათ დაგიმადლებთ, ამას ა[ა]მევით. ქრისტისშობის
თვესდ, ქ[ორონი]კ[ონ]ს ულტ. დიმიტრი³.

500. 1750 წ. დეკემბრის 31-ს. ობლის ნასყიდობის წიგნი, მიცემული რევაზ ორბელიანის
მიერ ზალ მკერვლის-შვილებისადმი. პირი; გადაწერილი უზენაეს მართებლობის ბრძა-
ნებით XIX საუკ. დასწყისს მხედრული ხელით—საჭ. ც.—არქ., ფ.—, № 8/96.

ნებითა ლუთისათა, ესე ნასყიდობის წიგნი დაგიწერე და მოგეც შე, ორ-

¹ სათაური სხვა ხელით: ქ. ლასურიშვილის თამასუქი.

² ხვეულად.

³ სათაური სხვა ხელით: დიმიტრი ეშიკალაბაშის წიგნი.

ბელიანმან ლონენას-შვილმან რევაზ შენ, მკერვლის-შვილს ზალს, შვილსა შენსა და გითხოვთ, იოსებს, ნიკოლაოზს და მომავალთა სახლისა შენისათა; —ასე რომე პაპის ჩემის რევაზის ნასყიდის პავლეს-შვილი ოთხის წლის ობოლი გიორგი უპატრონო იყო და მაღლისათვის შენვე ინახევდი. რადგან თბოლი იყო და შენც მოინდომე, ავდევ და ჩემის ნება-წალილით მოგყიდე თახის წლისა. ავილე ფასი სრული და უნაკლულო, რითაც ჩემი გული შეგვერდებოდა. აღარა დარჩა-რა ჩემი შენზედა. გყვანდეს და მოგახმაროს ლმერთმან, ვითაც სხვას ალალს მონასყიდეს მოჭვალებოდეს. არეინ იყოს ამისი მცილე და მოდავე არა რომელი ჩემი სახლის კაცი. თუ ვინმე წამოგედაოს, პასუხის გამცემი მე ვიყო . . . არის ამისი მოწამე ჩენი აზნაურშვილი დვარათაშვილი (sic) სალთხუცესი ბეჭან

ადგილი
ბეჭდისა

, ჩაჩიკაშვილი დავით

ადგილი
ბეჭდისა

, ჯანიაშვილი ნაზირი თამაზ

ადგილი
ბეჭდისა

, ნანიაშვილი სეიმონ. მე ასეს იესეს თვით რევაზის პირით ნათხ-

რობი დამიწერია და მოწამერა ვარ. დაიწერა დეკენბერს ლა, ქორონიქონის ულც.

ადგილი
ბეჭდისა

501. 1751 წ. მაისის 5-ს. ოქმი თეიმურაზ II-ისა ზაზა თარხნის-შვილის ჯალაბის დარე-ჯანისათვის. დედანი. 23×15,4 სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანდ ყოველი სიტყვის შემდგე ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ-მუს., № 14.191 ჩ.

ქ. ჩენი ბძანება არის! მერმე რაც თარხნის-შვილის ზაზას ნასყიდი ყმა და მამული არის ოძის, სასირეთს და თექმის ზეარი ნასყიდი და, რაც წელს ზაზას თავისი სახასო ხოდაბუნებში პური და ქერი უთესია, ყველა ზაზას ჯალაბის დარეჯანისათვის გვიბოძებია. ეს ყმაც ამან იმსახუროს და მამულის გამოსავალიც ამან მოიხმაროს. სხვას ხელი ნუ აქეს. ეს ნასყიდი ყმა და მამული ვერც გაყიდოს ზაზას ჯალაბმა და ვერც თავის ქალს მზითვათ მისცეს. თუ გასყიდვა მოიმდომოს, ჩენ მოგვახსენოს და, როიცა დასტური მივცეთ, მასუკან გაყიდოს. გიბძანებთ ვინცავინ ზაზას ნასყიდს მამულზე გლეხი სახლობხართ, ყველანი ამას მოუღებით და მართებულათ ემსახურენით. მაისის ე, ქორონიქონის ულთ.

უდმრ მეფედ
ცხებულ თეიმუ-
რაზის დამტკიც.

ქ. . . გელიტას-შვილი ხაბაზიც თავისის ორის ძმისწულის ობლებით ზაზას ჯალაბისათვის გვიბოძებია.

უდმრ მფდც
ხებული თეიმუ-
რაზის დამტკიც.

¹ ასლიდამ თანასწორ არს ჩაწერილი. სოვეტნიკი თავ თეიმურაზ ბაგრატოვანი. ასლი დოკუმენტი მივიღე. ზაალ მორთულაძე.

² სათაური სხვა ხელით: ქ. ოქმი სასირეთისა მეფის თეიმურაზისა.

କୁଳାଳମ୍ବନ୍ଦ

502. 1568 წ. ყმისა და მამულის წყალობის წიგნი, მიცემული ლეონ მეფის მიერ ანტერმან და სხვა ჩოლაყას-შვილებისადმი. დედანი. დაქული თავში. 31×23 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად წშირად ნახმარია სამ-სამი წერტილი—საქ. მუხ., № 14.430 ჩid.

ქ. ნებითა ღ[უ]თისათა ჩუენ, ღ[ვი]თივ გუირგუინოსაწმან მეფემან] პატ-რონმან ლეონ და ძეთა ჩვენთა საყუარელთა პატრონმან ალექსანდრემ, პატ-რონმან თეიმურაზ, პატრონმან ელიმირზ, პატრონმან ბაგრატ და ხოსრომ ეს უკუნისამდე უამთა გასათავებელი და სიმტკიცის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩოლაყას-შვილთა და თავდადებით ნამსახურთა ანდერმანს და როშაქს და გოშფარს და ჯიმშერს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისა ყოველთავე;—მას უამსა როდესაც მოხუედით კართა დარბაზისა ჩუენისათა და სამამულე საქმესა გუეაჯენით;—ვისმინეთ აჯა და მოხსენება. თქვენი და მოგიბოძეთ ღანუეს მსახლომბელნი კაცნა: გონა, სუიმონ, დარჩა, ჩიტა, ბაინდურა, ჭაბუკა, ხუტა, რაინდა, გოგიჩა, ჯანა, იონდა, ასანა, დარის-პანა, ბედა, ბოჭოტა, თანდილა, მიქელა, ნასყიდა, ხარო, ესაია,—მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენაბითა, საკმრითა და უკმრითა, მათით სამართლიანითა ყოვლით ფერით უნაკლულოდ;—ასრე და ამა პირსა ზედა, რომე საბატონო საქმე არცარა ეთხოვებოდეს და არცარა ექნევინებოდეს. როგუარაც (sic) სხუა შენი მამული, ისრე აზატნი და ხელშეუალნი იყენებ. აწე ჰქონდეს (sic) და გიბენიეროს ღმერქომან ჩუენსა ერთგულად სამსახურსა შიგა. წიგნი და ბ[ჭანე]ბა ნიშნად გვიბოძებია ქლორონიქლონ]სა სნე; კელითა ქვიმარზის ძის იოანესითა. დამამტკიცებელნი ღმერქომან აკურ-თხნეს. ლეონ¹ თემურაზ¹:

503. 1568 წ. ყმების წყალობის წიგნი, მიცემული თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ მაქსიმე ბოდბელისადმი. დედანი. დაზიანებული თავში. 34,2×25,5 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი—საქ. ც.—არქ., ფ.—, № 2384.

ქ ჩუენ, ღ[უ]თივ გუირგუინოსანისა მეფეთ-მეფისა პატრონისა ლეონისა ძის ძემან. პატრონმა თეიმურაზ ეს უკუნისამდე უამთა გასათავებელი

¹ ხვეულად.

სათაური სხვა ხელით: ქ. დანუქის მამული.

და სიმტკიცისა სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ზატონსა ბოდბელსა მაქსიმეს, სარჯაასტანს, ითანეს, ფარსადანს და სურხანს და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე; — მას უამსა ოდესცა მაყაანთ ყმებსა საბუვეს მსახლობელთა გუაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და მოგიბოძეთ ბოცოსეული კუამლი კაცი გიგიჩა და ირემა, ქიხოსტროსეული ხურსია და ზა-[ა]ლა, ზა-[ა]ლისეული დათუია მჭედელი და მისი ძმანი, მამუკასეული ღურტური მლთისია, მინაზარისეული ოსიკა, გივისეული ბასილა და ტეტიკა, შალვასეული ზურაბა, მამულა, დათუია და კურდლელა, ბარძიმისეული იმარინდო; კიდევე იქ მსახლობელნი ძამსია, გულისადები, მაისა და შალვა და ირემი. ესენი მათითა მთითა, ბარითა, წყლითა, წისქუილითა, ჭალითა, სათიბითა, საკნაეითა, ვენაკითა, სანადიროთა, ქორითა და მიმინოთა, მთითა და ბარითა, საემრითა და უკმრითა მათით ყოვლითურით უნაკლულოდ გუიბოძებია. გქონდეს და გიბედნიეროს ღ[მერ]თ[მა]ნ ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შიგან. წიგნი და ბრძანება ესე ნიშნად გუიბოძებია ქ[ორონი]კ[ონ]ს სნვ; კელითა იოკიმისითა(?)..

თეიმურაზ¹

:	:	:	:	:
:	:	:	:	:

504. 1573 წ. ბეგრის ამოკვეთის წიგნი, მიცემული ლეონ მეფის მიერ იოთამ და სხვა გურამის-შევილებისადმი. პირი, გადაწერილი უხენაეს მართებლობის ბრძანებით XIX საუკ. დასაწყისს მხედრული ხელით—საქ. ც.—არქ. ფ.—. № 19/100.

ნებითა ღ[უ]თი[საი]თა, ჩუენ მეფემან პატრონმან ლეონ და [ე]რთ[ო]ბილ-თა ძეთა ჩვენთა ესე მტკიცე წიგნი და სიგელი გიბოძეთ თქვენ, გურამის-შევილთა იოთამს, შიომში, ყაფნიასა და ერთობილთა ძეთა თქუენთა; — მას უამსა როდესცა ამას გუ[ე]აჯენით, რათამცა ფიფანეთს (sic) თქუენის ყმებისაოვის ცხეს(?) კონს გარეთ ბეგარი ამოგუეკუეთა. აწე ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ (sic) და ფიფანეთს თქუენთ ყმათ ბეგარი კონს გარეთ ამოგიკუეთეთ, ასრე რომე არა ჩვენგან და არა ჩუენსა შემდგომად სხუათა მეპატრონეთაგან. არა ბეგარი არა ვაქნევინოთ და არცა ვისგან ექნევინებოდეს. აწე გქონდესთ და გიმედნი-ეროსთ ღ[მერ]თმან ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შიგან. წიგნი და ბრძანება ესე სამკუიდროდ და ყოვლისა კაცისაგან მოუშლელად დაგვიმტკიცებია და გვიბოძებია . . . დაიწერა მტკიცე წიგნი და სიგელი ესე ქ[ორონი]კ[ონ]სა სნია². ბაგრატ

ადგილი
ბეჭდისა ლეონ.³

¹ ხვეულად.

² სწერია: სნოა.

³ მინაწერები: ასლთან თანასწორ არის. სოვეტნიკი თ'ი დიმიტრი თარხანოვი.

ამისი ასლი დოკუმენტი მივიღე. კოლექცის ასესორი თავადი ზაქარია გურამიშვილი.

505. 1577 წ. იანვრის 5-ს. მალის ამოკვეთის წიგნი, მიცემული ალექსანდრე მეფის მიერ დავით ჯორჯასძისა და სხვათადმი. დედანი. დაზიანებული, დაკერვებული. $70,8 \times 21,2$ სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაზარია სამ-სამი წერტილი.—საქ. ც.—არქ., ფ.—, № 540.

ქ. ნებითა ლუთისათა ჩუენ, იესიან-|დავითიან]-სოლომონიან-პაგრატონიან აფხაზთა, რანთა, კაზთა და სომეხთა მეფისა, შანშა და შარვანშა და ყოვლისა ჩრდილოეთისა და ომისავლეთისა თუთ კელმწიფედ მპყრობელ-მქონებელმან ღვთივ გუირგუინოსანმან და ღვთივ დამყარებულმან და ღვთისა მიერ წარმართებულმან, ძლიერმან და უძლეველმან მეფეთ-მეფემან პატრონმან ალექსანდრე და თანამეცხედრემან [ჩუენმან] დედოფალთა-დედოფალმან პატრონმან თინათინ, ძე[თა ჩუენთა] საყუარელთა და პირმშოთა პატრონმან ერეკლე, პატრონმან დავით, პატრონმან გიორგი, კოსტანტინე და როსტომ ესე უკუნისამდე უძმთა გასათავებელი შეუშლელი და შეუცვალებელი, სამკუიდრო და საბოლოო წიგნი და მტკიცე სიგელი ესე ამისად ნიშნად გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერდგულთა, ერდგულად და თავრადებით ნამსახურთა ყმათა, თავადთა^ა.

[ჯორჯასძეთა ენისელო მოურავს დავითს, ბაზიერთ-უხუცესს] ბებურს, სანჯარს და როშნევანს (sic), ერთობილთა თქუენთა გუართა და ნათესავთა, შვილთა და მამავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე;—მას ეამსა ოდეს იქნა და ბელნიერი კელმწიფე მამა ჩუენი პატრონი ლეონ ამიერ სოფლით გარდაკდა და ჩუენსა და ძმისწულთა ჩუენთა შუა მეფობისა და პატრონობისა საქმეზედა საცილობელი საქმე ჩამოგუივარდა, ომი და ბრძოლა მოჭედა. იპირიანა მოწყალემა და მოსამართლემა ლიმერქომან, ჩუენ გაგუებარჯუა, მეფობა და პატრონობა დაგურჩა; მაშინ ჩუენცა შეგიწყალეთ და სამსახურისა და გუერც-მოდგომისა მუქეთად ვინცა ჩუენ გუიახლა მას და, ვინცა ძმისწულთა ჩუენთა იახლა, მასცა, მით რომე მათი ყმა და მამული უყელა უკლებლად ჩუენ გუიახლა და ერთგულად ჩუენს გაბატონებასა მოიჭირეს, რარიგაცა მართებდა, ისრე გუერცაცა მოგუიდგეს. ჩუენის გულისათუის რომელიმე მაკუდა და რომელიმე დაიკოდა და მათის გულისათუის და გუერც-მოდგომისათუის ჩუენ მისად სამუქფოდ წყალობა დაგმართეთ. ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ და ერთობილთა თქუენთა ყმათა მკუიდრთა და ახლად-მსახლობელთა, მსახურთა და მოყალნეთა ყოველთავე მალი ამოუკუეთეთ ჩუენად სადღეგრძელოდ, მეფობისა ჩუენისა წარსამართებლად და ცოდვათა ჩუენთა შესანდობელად; ასრე და ამა პირსა ზედან, რომე დღეს და დღეისის წალმა ჩუენისა საბატონოში საცა თქუენი ყმა ესახლოს ქართუელი, ანუ სომეხი, ანუ ურია, გლოხა თუ მდიდარი, მამულიანი ანუ უმამულო, მალი ალარსადა ალარა ეთხოვებოდეს და მალის გამოსაღებსა და სათხოვარზედა ალარათერი მიზეზი გამოსაღები და სათხოვარი არა დაედებოდეს-რა არც ჩუენგან და არცა შემდგომად ჩუენსა კუალად კხუათა შეფე-მებატრონეთა და დედოფალთაგან. არა მოგეშალოსთ არცა ჟამთა და ხანთა გამოსულისა და შეცულილობისათუის და არცა მეფისა ანუ დედოფლისა გამოცულილობისათუის, არას საქმისა და მიზეზისათუის არა. აწე ვინცა და რამანც გუარმან კაცმა კელყოს და იყადროს ჩუენ ბრძანებულისა და დამ-

ტკიცებულისა ამისა შლად და არღამტკიცებად, რისხაესშცა დაუსაბამო-დაუ-სრულებელი ღ[მერ]თი . . . უკეთუ მეფემან შეცვალოს მეფობისა და კელმწი-ფობისა მისისათუის, მეუფეო ყოველთა მეფეთა ქრისტე, შენ იგრ შექსცვალე მეფობისა და პატრონობისა მისისაგან, გინათუ დედოფალმან შექსცვალოს დე-დოფლობისა და პატიოსნობისა მისისათუის, დედოფალო ყოველთა დაბადე-ბულთა მარიამ ქრისტეს დედაო, შენ იგი შექსცვალე დედოფლობისა და პა-ტიოსნობისა მისისაგან, ანუ თუ უფლისწულმან ულონობისათუის, გინათუ მთავრობისათუის, ანუ თუ სამლუდელოთა დასთავანმან, მსოფლიონ-მან, ანუ თუ მდაბიორმან, გინათუ მდიდარმან მდიდრობისათუის, ანუ თუ გლახაქმან დავრდომილობისათუის, დიდმან ანუ მცირემან, ვინცა ადამის მონა-თესავემან კავკავი კელყოს და შექსცვალოს, შემცაიცულების სჯულისაგან ჩუენ ქრისტიანეთასა . . . ხოლო ამისნი დამამტკიცებელი ღ[მერ]თმან აკურთხეს . . . აშე გქონდესთ და გიბედნიეროსთ ღ[მერ]თმან ჩუენსა ერდგულად სამ-სახურსა შინა. ბრძანება ნიშნად გუბოძებია. დაიწერა წიგნი და მტკიცე. სი-გელი ესე თუესა იენგარსა (sic) ე, ქ[ორონი]ქ[ონ]სა. სიე¹ კელითა კარისა მდინენისა ჩუენისა მათარსისითა. ალექსანდრე² ვამტკიცებ ნებითა ღმრთისათა



506. 1584 წ. ივნისის 7-ს. ყმისა და მამულის წყალობის წიგნი, მიცემული ალექსანდრე მეფის მიერ არსლან ჯანდიერიშვილისადმი. დედანი. დაზიანებული (დახული) თავში 75,7 × 23,4 სმ, დაწერილი თეთრ ქალადის ორ ერთმანეთზე დაკრულ კეფზე მხედრუ-ლი ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემცევ ნაშმარია სამ-სამი წერტი-ლი—საქ. ც.—არქ., ფონდი 226, № 5528.

[ქ] . . . [ჩუენ, ღ[უ]თ]ივ გუირგუინოსანმან, ძლიერმან და მტერთაგან უძლეველმან, ღ[უ]თივ დამყარებულმან და ღ[უ]თის მსახურმან საქართველოსა მცყრობელმან შეფეთ-მეფემან აელმწიფემან პატრონმან ალექსანდრე და თანა-მეცხედრემან ჩუენმან დედოფალთა-დედოფალმან პატრონმან თინათინ და სა-წადელ-საყუარელთა ძეთა ჩუენთა პატრონმან ერეკლე, პატრონმან დავით, პატრონმან გიორგი და პატრონმან კოსტანტინე ესე უთუო და უთუომცაო დრო-დაუდებელი შიხეზ-შემოულებელი და უამთა აღსასრულამდის გასათავე-ბელი წიგნი და მტაიცე სიელი გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერდგულთა და თავ-გაწირვით ნამსახურთა და ჩუენთა თანა-შეზრდილ-გაზრდილთა ყმათა და ჩუენსა სამსახურზედან მრავალფერად ჭირნახულთა ჯანდიერიშვილს არსლანს და თქუ-ენთა შვილთა დაგითს, გივსა და რევაზს და მომავალთა თქუენთა ყოველთავე; მას ფამსა როდესცა მოხუედით კარსა ზედან დარბაზისა ჩუენისათა და ამას

¹ ქორონიქონის მფორე ასო ი, უნდა ვითიქროთ, ა-ს მაგივრად სწერია.

² ხვეულად.

³ ბეჭედი სპარსული წამწერით.

გუეჯენით, რათამცა შეგუეწყალენით და ნამსახურთა თქუენთა სამუქფო-წყალობა გუვყო; — აწე ვიგულეთ და ვიგულმოღვინეთ და ევრეთ არა ვიწყალობეთ, ვითარცა ერდგულად ნამსახურსა თქუენსა ემართლებოდით, და გიბოძეთ თქუენთუის სამკუიდროდ ენისელთათ ჭავჭავასძის გარსევანისეული კაცი კუამლი ექსი და ყუორული ერთი, საკანს დანიელაშვილი და მისი განაყოფი მათის ყმებითა და წისქუილითა, სხუა კაცი კუამლი სამი, გორამიყარს გოგოლლასეული კაცი კუამლი ორი, ბარაუნთათ ჭალალდასეული კაცი კუამლი ერთი, კიდევ ბარაუნში ჯანა[ა]ნი კაცი კუამლი თექუსმეტი, კიდევ ბარაუნთათ ქამბა-ათისეული კაცი კუამლი ოხუთმეტი და ახმეტას ვენაკი ერთი ჯოთენურისეული; ესე ამათისა სასახლითა, ქუევრ-მარნითა, ვენაკითა, წყალ-წისქუილითა, საუნავითა, სათიბითა და უთიბითა, ტყითა და მინდურითა, საკმრითა და უკმრი-თა მათისა სამართლიანითა ყოვლითურთ უნაკლულოდ თქუენთუის სამკუიდ-როდ გუიბოძებია ასრე და ამა წესითა, რომე ამა ჩუენგან ნაბოძებსა ყმასა და მამლუსა ვერცა თქუენი ძმები, ვერცა მათი შეილები და ვერა თქუენი სახლის-კაცი და ნათესავი ვერა დაგეცილოსთ და ამა ჩუენგან ნაბოძებსა ყმასა და მა-მულზედან კელი ვერავინ დაიდებს, სამკუიდროდ თქუენთუის და თქუენთა შვილთათუის გუიბოძებია ყოვლისა კაცისაგან კელშეუვალად და, თუ ვინმე და-გეცილოს, პასუნის გამცემი ესე ჩუენგან ნაბოძები სიგელი იყოს, რომე ამა ყმასა და მამულზედან თქუენის სახლის-კაცსა კელი არავის აქუს, კელშეუვალად თქუენთუის გუიბოძებია. აწე გქონდესთ და გიბედნიეროს ღ-თბან ჩუენსა ერდ-გულად სამსახურსა შიგან. ბრძანება ესე საბოლოოდ ნიშნად გუიბოძებია. დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისა წელიწადს[ა] მეათესა, თუესა ივლისსა შუიდსა, ქქ-სა სობ და ლაშქარ-ნალირობისა და სა-თათროსა საურისაგან კიდე სხუა საჩუენო სათხოვარი, გამოსალები და ბეგარი ამა თქუენისა მამულსა არა ეთხოვებოდეს. დაიწერა წიგნი ესე კარისა ჩუენისა მწიგნობრისა ფრიედ (sic) ცოდვილისა მთავარასძის ზურაბისაგან¹. კელმწიფე ალექსანდრე ვამტკიცებ ნებითა ღმრთისათა ამენ. | | თინათინ². დავით². გოორგი².

507. 1593 წ. ჭიაურის ულულის წიგნი ალექსანდრე II-ისა. დედანი. 37,7×14,5 სმ, დაწე-რილი თეთრ ჭალალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი. თარიღად აქვს 1593 წ.—საქ. მუზ., № 2092 hd.

ქ. ჭიაურთ მოურავის გოშფარისაგან ერთ[ობილნი] ჭიაურელნი ბევრსა რასმე ძალა და უსამართლოსა ჩიოდეს, — უფრო ულუფის საქმეზედან და ჩუენ, მეფეებია კელმწიფემან პატრონმა ალექსანდრე [ას]რე გაუჩინეთ, რომე ასმა კუამლმან შემძლ[ემ] მოურავს ერჩიოს შინ ჩაიყენოს და ერჩიოს მთელი ულუფა

¹ ამის ქვევებთ ექვსი სიტყვა დაწერილია წევულად.

² ხევულად.

მისცეს, ამას ქუედამა ასმა კუაშლმან კაცმან უქუს-უქუსი. შაური მისცეს და ას-
მან კაცმან კიდევ სამ-სამი შაური მისცეს და სხუამ ამას გარეთ რაცა კაცი
გარდარჩეს, ბეზმისქინი კაცი იქნების, ამას ჩამოეხსნას არა ზედა აცს. ამას გა-
რეთ დაგუიდგამს ბაკანი ორ-ლიტრიანი მოელის ულუფისათუის. შემძლე კაცი
გავაზურს ჩუენს დიღს სპილენძის თუნგს სამსა მისცემდენ, სამი ერთი ცალ-
იქნების. ვისცა ტყბილი არ მოუვიდეს, მის სამუქფოს ნულარასა სთხოვს, ღრთის
ბრძანება არის და არა ზედა აცს. მანჯანიკისა ასრე გაგუიჩენია, რომე, თუ,
სხუის თემის კაცი მოვიდეს და ჭიაურელს კაცისასა დაჯდეს, მისგან ერთი ჩა-
რექი აბრეშუმი მოურავსა ერგების და ჭიაურელი კაცი რომე ჭიაურელიგან
დაჯდეს და მანჯანიკი ახუივოს, იმასა ქურჩულული არა ზედან აცს. აგრევე
სამოურაო აიღებოდეს: მეულუფებ მოელისა ულუფისა და ექუსშაურიანისა-
ერთი შაური აიღოს და სამშაურიანსა ნურასა სთხოვს. საყდრის ყმაზედან
ლაშქარ-ნაღირობისაგან კიდე კელს ნურას დაიდებს სხუის საქმეზედან და ნურ-
ცა მანჯანიკის ყორჩულულსა ნუ აიღებს. ყმიანის კაცისას რომე მემანჯანიკე
იჯდეს, ყორჩულულის აბრეშუმი ამას ზედან არა აცს და ნურცა მისასა მჯდომს
მემანჯანიკესა სთხოვს და ნურცა მისის ყმისასა და ქათამი; ასის დიდის ულუ-
ფის გამამდები კაცი რომელიცა არის, კუამლად, როდესცა ულუფა აიღოს,
ოროლი ქათამი მისცეს და მსახურს არცა ამას წინათ გამორთმია ქათამი და
ნურცა აწაც სთხოვს და ქარავანს, რომელსაც ეკიდოს ულაყს, ულაყისთაგა
ერთის შაურის მეტს ნუ სთხოვს და ჭიაურთათ რვა კაცი მსახურად გუახლე-
ბია, თოხი მსახური და ოთხი მოყალნე. ქორონიქონე¹ სპა. ალექსანდრე.² ○³

508. 1597 წ. აგვისტოს. ყმების წყალობის წიგნი, მიცემული ალექსანდრე მეფის მიერ-
მაყა მაყაშევილისადმი. დედანი. 39×15,3 სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული
ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნამარია სამ-სამი წერტი-
ლი. თარიღად აკვს 1597 წ.—საქ. მუზ., № 616 Ad.

ქ ჩუენ, ღურთივ გუირგუინისანმან მეფეთ-მეფემან კელმწიფებან
პატრონმან ალექსანდრე, ძეთ საყუარელთა პირშოთა ჩუენთა პატრონმან და-
ვით, პატრონმან გიორგი და პატრონმან კოსტანტინე ესე წყალობისა წიგნი,
სიგველი და ნიშანი გიბოძეთ შენ, ჩუენსა ერთგულსა და თავდადებით ნამსა-
ხურსა ყმასა მაყაშევილს მაყასა და შეილთა შენთა მომავალთა ყოველოვე;—
ასრე და ამა პირსა ზედან, რომე შენს განაყოფს ორი კუამლი კაცი ჰქონდა
ნაძალევი. აწე ჩუენ შენვე შეგიწყალეთ და გიბოძეთ ორი კუამლი კაცი იყალ-
თოთ ალექსანდრელი ვეფხია და მგელია მათით მამულითა და ქონებითა. აწე

¹ ხეეულად.

² სათაური სხვა ხელით: ქ. ჭიაურის ულუფისა.

³ უკანასკნელი სიტყვის ბოლო მარცვალი სა რექსტში შეცომით ზედმეტად არის გან-
შეორებული.

[გ]ქონდეს და გიბედნიეროს ლთმან ჩუენსა ერთგულად სამსახურსა შინა და არა მოგეშალოს ესე ჩუენგან ნაბოძები წყალობისა წიგნი და ნიშანი არა ჩუენგან და არა შემდგომად ძეთა მეფე მეპატრონეთა ჩუენთაგან . . . დაიწერა წიგნი და ნიშანი ესე თუესა აგუისტოსა, ქორონიკონის სპე. კელმწიფე ალექსანდრე ვამტკიცებ ნებითა ლუქურისათა ამინ. დავით¹ ი.

509. 1610 წ. მეცბის სიმტკიცის წიგნი, მიცემული თეიმურაზ I-ის მიერ ლუარსაბ მაყა-შვილისადმი. დედანი. 19,6×14,5 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანდ ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარის სამ-სამი წერტილი. თარი-ლად აქვს 1610 წ.—საქ. მუხ., № 530 Ad.

ქ. ჩუენ, მეფეთ-მეფემან კელმწიფემან პატრონმან თეიმურაზ² და ძეთა-ჩუენთა საყუარელთა პატრონმან ლევან და პატრონმან ალექსანდრე ესე წყა-ლობისა წიგნი და სიგელი გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა ერთგულსა და ერთგულად ნამსახურსა ყმას მაყაშვილს ლუარსაბს, შვილთა და მომავალთა სასლისა თქუე-ნისათა ყოველთავე;—მას ეამსა ოდესცა კელმწიფეს მამას ჩუენს თიანელი ზამ-თარაული ლომიტა და გიორგი თქუენთუის ებოძათ და წყალობა ენათ და ახლად ჩუენც თქუენთუისვე სიგლითა ამით დაგუმიტკიცებია და გუმბოძებია. თიანელი ზამთარაული ლომიტა და გიორგი და მათნი შვილი ყოვლის კაც-საგან კელ-შეუალად და მოუსარჩელელად და არა მოგეშალოს არა ჩუენგან და არცა სხუათა მეფეთა და მეპატრონეთაგან. აწე გაქონდესთ და გიბედნიეროს ლმერითმან ჩუენსა ერთგულსა სამსახურსა შიგან. დაიწერა წიგნი ესე ქორო-ნიკონის სუს. თეიმურაზ³.

510. 1621—1650 წლ. მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ჭო . . . , ივანე და ზა-ქარიას მიერ ქუაბულ და ზაალ მაჩაბლებსადმი. დედანი. დაზიანებული (თავი მოხეუ-ლია და დაკარგული) 38,6×15,4 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. ტექსტის თავში აკლია ერთი თუ რჩი სტრაქნი. განკვეთილობის ნიშანდ ყოველი სიტ-ყვის შემდეგ ნახმარის ორ-ორი წერტილი. თარილი არ უზის: დამწერლობით ეკუთვნის- XVII ს-ს; ამ ზანაში ერთ-ერთ საბუთში 1621 წელს გვხვდება ქუაბულ მაჩაბლი, რომე-ლიც მოხსენებულია თავის მამა იესესან ერთად (საქ. სიძ., III, № 101—127). საბუ-ლიც დაწერილი უნდა იყოს 1621—1650 წლებში—საქ. მუხ., № 1959 lid.

|გასათავებელი წიგნი და ნიშანი მოგახსენეთ ჩუენ ჭო თია(?) ივანემ|

¹ უკანასკნელი შეიდი სიტყვა სვეულად სწერია.

² სათავრი სხვა ხელით: ქ. მეფე ალექსანდრე.

³ ხევულად.

სათავრი სხვა ხელით: ქ. ზამთარაულების წალობის წიგნი;

და ზაქარიამა და ჩუენთა შვილთა შენძაზან, ინდომა, გარსევან და არჯაბან აქუენ, მაჩაბელსა პატრონსა ქუაბულს და ზე[ა]ლს და მისთა ძმათა და მომავალსა სახლისა შენისათა. ამოსწყდა ზემო-ჯავა და დაუკაცურდა ოსთაგან. ღმერქო იყოს მოწამე ასრე ამოწყდა, რომე კაცის ნაშენები აღარა იყო-რა. შოგყიდე ზემო ჯავას ძიგანიძის მამული მის[ი]თა სასაფლაოთა, საკანავითა, სა-თიბითა, წყალითა, საწისქუილოთა, მთითა და ბარითა, მის[ი]სა ნასყიდის ვენა-კითა, შეს[ა]ვლითა და გამოსქა[ც]ლითა, საძებრითა და უძებრითა. ძიგანიძე, მისი შემცუიდრე, დაკარგული იყო და ფასი იმბისიც ავიღეთ. აწ მოგვიყიდია ჩუენი მქუ]იდრი მამული შემოუცილებელი ყოვლის მებატონისაგან, ვერც ბა-ტონი ჩუენი შემოგეცილოს და ვერც სხვა ასეთს დროს მოგყიდეთ, რომე ორგან სამგან დედამ შვილი შეკამა, კაცმა ცოლი გაყიდის და თავათ დარჩის. ჩუენ თვით ასრე დაგვემართა, რომე ათის სულის ჯ[ა]ლაბისაგან ხუ-თის შეტი აღარ მორჩა. ჩუენის მქუ]იდრის მამულის ნაგაჭრი ფასი მივასწარით და ღ[უ]თით დავრჩით. ღ[მერ]თმან დაგიმადლოს, რომე ჩუენი მქუ]იდრი მა-მული იყიდეთ და დაგუარჩინეთ. თვარემ სრულობით ამოესწყდებოდით. აწ ქონდეს და გიბედნიეროს ღ[მერ]თმან. ვინც ამა ნასყიდობას შემოგეცილოს, რისხავ[ს]მცა ღ[მერ]თი . . . ამისნი მოწამენი არიან ეფენიაშვილი მოძღვარი სვიმონ, გურჯიშვილი ლომი. + + + + +¹

511. 1627 წ. ბატონ-ყმაბის წიგნი, მიცემული კუ ზაქარიას მიერ დავით ალმატალის შვილისადმი. დედანი. დაზიანებული. 17,3×15,2 სმ, დაწერილი მოთეთრო ქაღალდზე მხედ-რული ხელით. ან-მეტი. განკვეთილობის ნიშანდ ყოველი სიტყვის შემდეგ ნაზმარია სამ-სამი წერტილი. თარიღიად აქვს 1627 წ.—საქ. მუზ., № 1609 Ad..

ქ. ჩუენ. ქრისტეს ღმრთისა მიერ ქართლის კუმან პატრონმან ზაქარია ეს წიგნი მოგაროვი თქუენ, ალმატალის-შვილსა დავითს;— ასრე და ამა პირსა ზედა: მოხველ და კელმწიფის ბატონის თამურაზის ნებაღართულობითა სვეტს ცხოველს ეყმევ და ანთოკს დასახლდით და წელიწადში სვეტს ცხოველს ოთხს საპალნეს ლუინისა და სამს საპალნე პურს მოართმევდე. სხუას კაცს თქუენთან კელი არა აქუს, არა მოურავსა, არა ნაცულებსა და ქევხებსა და გზისა. არას მოსაქმეს თქუენთან კელი არა აქუს და ნურცავინ ეცილებით. წერტილეს და გიბედნიეროს ღმერთმან] კათოლიკე საყდრისა ერდგულად სამსახურსა ქვეშ. . . . დაიწერა წიგნი ესე ქონრონიქონ] ტიკ. კათალიკოზი.² +

¹ ეს საბუთი შეცომით მოხვდა კახეთის საბუთებში. ის ქართლიდანაა, ლიახვის ხეო-ბირდან.

² ხვეულად.

სათაური: ქ. ანთოკისა კახეთს.

512. 1645 წ. აგვისტოს 4 (?)-ს. სითარხნის წყალობის წიგნი. შიცემული თეიმურაზ 1-ის მიერ ხოსროსადმი. დედნი. 42,5×17,7 სმ, დაწერილი ეტრატე მხედრული. ხელით განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდევ ნახმარია ორ-ორი ან სამ-სამი წერტილი—საქ. ც.-არქ. ფ.—, № 1722.

საბუთი შემოწირულია ს. ენისლის (კახეთი) მცხოვრებ ვანო ხოსროშვილის მიერ 1923 წელს.

ქ . . . ჩუენ, ლუ]თივ გუირგუინოსანმან აელმწიფემან მეფემან პატ-
რონმან თეიმურაზ და თანა-მეცხედრემან ჩუენმან ლუ]თივ გუირგუინოსანთა
ქართველთა მეფისა ასულმან დედოფალმან პატრონმან ხვარაშან და პირმშო-
მან და სასურველმან ძემან ჩუენმან პატრონმან დავით და ძისა ჩუენისა ძეთა
პატრონმან ლუარსაბ და ნიკოლოზ და გიორგიმ შეგიწყალეთ და გიბოძეთ ესე
საბოლოო უამთა გასათავებელი, საქმითა სრული და ბძანება გათავებული წყა-
ლობისა სითარხნისა და აზადობის წიგნი და სიგელი და ფიცი და პირი თქუენ,
ჩუენთა ერდგულთა უმათა ხოსროს და მამის ნაცვალსა შენსა დარჩას და შეიღ-
თა და მომავალთა სახლისა შენისათა ყოველთავე; — ასე და ამა პირსა ჰედან:
მას უამსა ოდეს მოგვიდეგით კარსა დარბაზისა ჩუენისასა და აზადობის წიგ-
ნის გაახლებასა და მამულის სიგელს გევაჯენთ; — ეისმინეთ აჯა და მოხსენება-
თქუენი და მოკითხული ვქენით და ვითაც ძელითგანაც აზადნი ყოფილიყუე-
ნით და ჩუენც წიგნითა ამით დაგიმტკიცეთ და ასრე გათარხნეთ და გააზადეთ,
რომე არა საჩუენო სათხოვარი არა გეთხოვებოდეს-რა, არა პური, არა ლეინო,
არა საკლავი ძროხა, არა ცხვარი და ლორი, არა სამასპინძლო, არა მდგმური-
და არა სამდგმურო, არა გოჭი, არა ქათამი, არა ტიკი, არა ტომარა, არა-
საური, არა სამოურავო ულუფა, არა საყუელიარჩ მოსაკრეფი ყუელი და ქუ-
ერცხი, ერბო და ბრინჯი, არა სამარხო ლობიო და ნიგოზი; არა საბაზიარო-
ქათამი, არა სამეჯინიბო-სახორსალარო, არა სამწაქქლემო ჯრა (sic) და
ულუფა და თივა და ბზე, არა ულაყი, არა კარმარეილი, არა მუშაობა, არა-
ბეგარი და სეფაობა. ასრე გაგვითავისუფლებისართ. ერთის ლაშქარნადირო-
ბისაგან და სხვარიგის სამსახურისაგან კიდე არას იქმოდე და არცარა გეთხო-
ვებოდეს და გვიბოძებია თქუენივე სამკუიდრო მამული, რაზედაც დღეს სახ-
ლობხარ და ქოდელაანში სასაფლაო და რისაც მამულის მქონებელი იყო, დე-
მურაანში ნატროს ნაქონი მამული და თასმალურში მურადა და სახლი მისი
შვილებითურთ და მისის მამულითა. ეს მამულები ყოვლითურთ უკლებლად მათის
სამდერითა და გასადევრითა, სახლ-კარითა, ქუევრ-მარნითა, სასაფლაოთა,
საბძელ-კალოთა, საკავითა, სათესითა, კელითა, კენაკითა, წყლითა, საწის-
ქუილოთა, ბახჩითა, საძოვრითა, სათიბითა, თავითა და ბოლოთა, მთითა და
ბარითა, შესავლითა და გამოსავლითა, რისაც მქონებელი ყოფილან. გქონდეს
და გიბედნიეროს ღმერთმან ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შიგან მეუიდრად და
სამამულედ ყოვლის კაცისაგან უცილებლად მოუდევარად. ეს ასე გაგითავდეს და
აროდეს არ მოგეშალოს, არა ჩუენგან და არა შემდგომად ჩუენთა მომაგალთა-
სხვათა მეფე-მეპატრონეთაგან. აწე გ[ი]ბ[ძინე]ბთ კარისა ჩუენისა გამრიგენო,
ვექილ-ვეზირნო და ენისელთ მოურაო და სხვანო მოკელენო და კარითა ჩუ-

ენითა წარვნელინო (sic) მოსაქმენო, ესე ჩუკინი წყალობა თქუენცა ასე დაუმტ-
კიცეთ და ნუ მოუშლით თვინიერ თანაღმობისა და შემწეობისაგან კიდე . . .
დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ქ[ორონი]ქ[ონ]სა ტლბ, თვესა აგვისტოსა დ.
თვიმურაძე.¹ ხვარაშან.¹ დავით¹.

ქ. ჩვენ, საქართველოს მეფის თეიმურაზის ძე მეფე პერაკლე ვამტკიცებთ
სიგელსა ამას; რაგვარადაც ჩვენს პაპა ბიძათ წყალობები უქნია და უაზადები-
ხართ, ჩვენც ამრიგად წყალობა გვიქნია და გვიაზადებიხართ. მარიანობისთვის
ა, ქორონიკონენს უმგ. |

ქ. ჩვენ, ბატონიშვილი იულიონ ვამტკიცებ [წიგნსა] ამას. ქ[ორონი]ქ[ონ]ს


ქ. ჩვენ, მეფის შე ვახტანგ ვამტკიცებთ სიგელსა ამას. ფეხურვლის და ქორონის უძღვის უდი.

513. 1646—1655 წლ. ახლო ყმის ნასყიდობის შეგნი, მიცემული როსტომ შალიკვალის მიერ არსენი აღლვერდელი ავალიშვილისადმი. დედანი. დაზიანებული თავში. 21.7×14.8 სმ,
დაწერილი თეთრ ქალადზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი
სიტყვის შემდეგ ნახატია ორ-ორი წერტილი. თაბულია არ უზის. მიმღებნი: არსენ, ავლ
და სხვა ავალიშვილები გვხვდებიან 1651—1660 წლების საბუთებში (საქ. სიბ., III-
№ 570—547); იგინივე, არსენის გარდა, გვხვდებიან კიდევ—1646, 1651, 1653 და 1655 წლებ
ში (ც.—არქ., ფ.—, № 47/149; საქ. სიბ., III, №№ 572—550, 573—551, 574—552).
საბუთი ეკუთვნის 1646—1655 წლების აბლო დროს—საქ. მუხ., № 14.286 ხდ.

კ. . . ესე გარდაწყვეტილობისა წიგნი მოგეცით (ჩუებ) შალიკაშვილმა პატრონმა როსტომ და ჩემიგა შვილმა პატრონმა ზურაბ და გიორგი თქვენ, ავალიშვილსა ალავერდელსა პატრონსა არსენის; —ასე და ამა პირსა ზედა, რომე მეფეებმა პატრონმა როსტომ ამოწყვეტილის იოთამის ფავნელიშვილის კერძი მმწვლი გუიბორა სამუშავდროო და სამოლოოო და იმას ერთი იმერელი მოს-ლოდა და რხევის მეზურეთ დაეყენებინა, აიყარა და შალვაშვილის ბახუტას დროშია ალავერდს შემოხვევწნეს და გუიბორეთ ფასი სრული და რათაც ჩუენი გული შესჯერდებოდა და მოგყიდეთ კენჭაძე მახარა და შვილნი მისნი და შიო, გიორგი და დათუნა, შვილიშვილნი და მომავალნი სახლისა მისისანი მოგეცით თქვენ და ძმათა თქუენთი] პატრონსა ავალსა, ქაიხოსროს, ლონეგვანასა, შვილ-თა მათთა ლევანს, გიორგის, იოვანეს, ზაქალს, სეიმონს, ზურაბს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა. რათაც გინდოდეს, ყოვლადთერით მოიკმა-რეთ, თქუენი მცილე არვინ იყოს დღეს და დღეის უკან. თუ ქართლისაკენ წა-მივიდეს, ისევე მოგაროვათ. არის ამისი მოწამე თვითან ერისთვის ყმა ბანცუ-

1 ბერების

რი ივანე, ყავარდელი ულული, სეხნია წვიმეტიძე, მეტრეველი მამუკა, გოშიძე პაპუნა, ეპეტაშვილი დვანელი გოგია, საყდროვანი დეკანოზი აბრამ და კანდელაკი, მოლარეთ უსუცესი ჭავჭავაძე მამუკა და სულ საწალავერდონი. ვინცა ესე ასე არ გაგითაოს, თავადამც რისხავს ღმერთი . . . და თვით დიდი წმიდა და გიორგი ალავერდისა.



514. 1655 წ. კმების წყალბის წიგნი, მიცემული როსტომ მეფის მიერ გივი გურამიშვილისადმი. დედანი. დაზიანებული, მარჯვენა ნაპირი მოცილებულია. $24,2 \times 14,3$ სმ, დაწერილი თეთრ ქადალდხე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი—საქ. მუჭ., № 14.859 ს. მ.

ქ. ესე წიგნი დაცევით ჩუენ, კელმწიფემან მეფეთ-მეფემან პატრონმან როსტომ; — ასრე და ამა პირსა ზედან, რომე გურამიშვილი გივი, მისი ძმა და სახლის-კაცნი იყრებოდეს და მოკითხული ვქენით და, ვითაც გივს თავის ალაგსა და შამშულზედ ბევრი. ჭირნახული დაედვა, იმისთვის საჭირნახულოდ ერთი კუამლი ვარდანაშვილი ტურია, ერთი კუამლი შაშვიაშული, ერთი კუამლი ჩიაშელაშვილი ლაზარე, გივისაგან აშენებული ლუაროს ზუარი, — ესე ეგზი უწილოდ გივისა და მისთა შუილთათვის გუბიძოძებია და სხუა რაც იყოს, მართლის სამართლიანის საქმით ჩუენის კარის მოსაქმეთ გაუყონ. ქლორონიქონ]სა ტმგ. როსტომ.²

ესე ჩ[უენი ბ]ძანება ასრე უ[ნდა] რომ გათავდეს, თუ კიდევ რაც ამ წიგნში სწერია ენ და არც არას ემართლების. როსტომ.²

515. 1662 წ. აპრილის 9-ს. სითარხნის წყალბის წიგნი, მიცემული თეიმურაზ I-ის მიერ ენისელთ ნაცვალ ხოსროსადმი. დედანი. დაზიანებული (დახული) თავსა და შარცხანა გვერდზე. შემოწირული ს. ენისლის მცხოვრებ განო ხოსროშვილის მიერ 1923 წელს. $52,5 \times 22,5$ სმ, დაწერილი თეთრ ქადალდხე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი—საქ. ც.—არქ., ფონდი — № 600.

ქ. . . . ჩუენ, ლუ]თივ გუირგუინოსანმან მეფემან კელმწიფემან პატრონმან თეიმურაზ და სასურველმან ძემან ჩუენმან პატრონმან ერეკლემ შეგიწყალეთ და გიბოძეთ ესე საბოლოო უამთა გასათავებელი, მტკიცე და უცეალვაზელი წყალბის წიგნი და სიგელი თქუენ, ჩუენთა ერდგულთა [ყმ]ათა ენისელთ ნაცვალს ხოსროს, შვილთა შენთა ჯამასპის და ლონენასა და თმაზასა, შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე; — ასრე და ამა პირსა ზედან: მას უამსა ოდეს ძველითგან აზადნი ყოფილიყუენით და უამთა ვითარე-

¹ ბეჭედზე თითქო ირკვევა: „ზურაბ“.

² ცეცლად.

ზისაგან სიგლები აზადობისა და, რაც ჩუენი წყალობა მამული გქონდათ, ყუელას წიგნები დაგეარგოდათ. მოგუიდეგით კარსა დარბაზისა ჩუენისასა და კელახლად სიგლის გაახლებას გვეაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენა. და წიგნითა ამით ასრე დაგიმტკიცეთ და ასრე გათარხნეთ და გაგათავისუფლეთ, რომე არა საჩუენო გამოსალები ბეგარ-ყალანი და სათხოვარი და არა საური და მოურავის ულფა არ გეთხოვებოდეს და გუიბოძებია ისრევე შენი სამუშადრო და რაც ჩუენგან მამულის წყალობა გვირვებოდეს სუხნანში შენი ნასახლარი და ჩისაც მქონებელი ყოფილიყო, ისლამაურში ყიშლალი, გზირის-შვილის მამული, ხარატში შენგან აშენებული ყარაგოზას ნასახლები მამული, თასმალურში მურადაშეიღლი მისის მამულითა, დემურაანში შანაზარას ნასახლარი მამული; ესეები მათით თავითა და ბოლოთა, წყლითა და საწისქუილოთა, საკავეითა და სათესითა, ბაღჩითა და შეშეებულითა და ნავენაკობითა და საჩელ-თუქის ალაგითა ყოვლითურთ უკლებლად, მჟეიდრად და სამამულედ, აგრევე ენისელთა და ბაზრისა და კემურ-ყანდახის ნაცულობა გუიბოძებია. გქონდეს და გიბელნიეროს ღრმურებულის ჩუენსა ერდგულად სამსახურისა შიგან ყოვლის კაცისაგან უცილებლად. ესე ასრე გაგითავდეს და არაოდეს არ მოგეშალოს, არა ჩუენგან და არა შემდგომად ჩუენთა მომავალთა მეფე-მეპატრონეთაგან. აწე გიგ[ძანე]ბთ, კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო და ენისელთ მოურავნო, ვინცა ვინ დღეს იყოთ და ანუ დღეის წალმართ იქნებოდეთ, ესე ჩუენი წყალობა თქუენცა ასრე დაუმტკიცეთ და თანაშემწე ეყავით და ნუ მოუშლით თვინიერ თანადგომისა და შემწეობისაგან კიდე. დაიწერა წიგნი და სიგელი ესე თვესა აპრილსა თ, ქიორონიქონ]სა ტმი. თეიმურაზ¹ ერეკლე¹.

516. 1664 წ. ნასყიდობის წიგნი, მიცემული პატარა რაზმაძის მიერ დავით კოზმანიშვილი-საღმი. საბუთი ალავერდის ეკლესიისა, № 71. დედანი. დაზიანებული (დახეული) მარც-ხენა ნაპირზე. 28,8×15,6 სმ, დაწერილი თეთრ ქადალდე მხედრული ხელით. განკვე-თილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაშმარია ორ-ორი წერტილი. საქ. ც.—არქ.—ფ.—, № 2338.

ქ. . . . ესე მონასყიდობისა წიგნი და ფიცი მოგაროვით მე, რაზმაძემ მჭედელმა პატარამ თქუენ, კოზმანიშვილს [ლს] პატრონს დაგითხს;—ასრე და ამა პირსა ზედა, რომე თუმანიშვილის გიორგისა და მისის ბიძების ყმად ვიყავ-კახეთს მოველ, მოვიდენ და ისრევე მივყვანდი და მე თავის დახსნას შევე-ხვეწე, იმათ დიალ ბევრი მთხოვეს. ვეცადე და ვერას თავს აუველ და ვერცა-ვინ დამისხნა. მასუკან თქვენ შემოგეხვეწეთ და თქვენ ჩემში სრული ფასი მიე-ცით, რითაც იმათი გული შესჯერდებოდა და მიყიდეთ. დღეს და დღეის უკან ჩემზედ თქვენს მეტს კაცს კელი აღარა ჰქონდეს და არცავინ თქუენ ჩემი მო-დავე კაცი გამოგიჩდეს. არის ამისი მოწამე და დამხდომი თვითან ბატონი ალავერდელი, ბაზიერთ-უხუცესი დავით, კიდევე ჩემი ცოლის ძმა მჭედელი ხა-

¹ ხევეულად.

ხუტა და სრულ თელაველნი. კიდევე ამისი მოწამე და დამხდომი სრულ ერთობილი საყდროფნი. ეს წიგნი მე ბევრას დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა წიგნი ესე ქ[ორონი]ქ[ონ]სა ტნბ. +¹

517. 1665 წ. ყმისა და მამულის წყალობის წიგნი, მიცემული არჩილ მეფის (შავნაზარის) მიერ როშაქ და სხვა ჩოლაყას-შვილებისადმი. დედანი. $42,6 \times 19,8$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული გაკრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი—საქ. მუხ., № 2244 ჩდ.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღ[უ]თისათა, ჩუენ, მეფემან პატრონმან შავნაზარ ეს წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ოქუენ, ჩოლაყას-შვილებს ჩუენს ყმათა და თაქვდადებით მრავალფერის ნამსახურს² როშაქსა, ანდერმანსა, შვილთა თქუენთა ქ[ა]იხოსროს და გორგის, სახლისა თქუენისა შომავეალთა;—მოგვიდექით კარსა და მამულის წყალობას გვიაჯეთ, ჩუენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, ვითაც ჩუენზედ ერდგულად იყუენით და ბევრიც გვმსახურეთ. ჩუენც შეგიწყალეთ და გიბოძეთ წინაუბანს მახო და სუტა ბალთური თუში; შილდას: ცეცხლას³-შვილი, ტურიკას-შვილი, გოგიას-შვილი; ხაშმს: სასახლე,⁴ კოშკი, ზვარი, შაშიას-შვილი, ბელიანის-შვილი გოგია და ბერიკა, ესენი მისის მთითა, ველითა, ვენახითა, წყლითა, წისქუილითა, შესავლითა, გას[ა]ვლითა, რისაცა მქონებელი დღეს იყუნენ ყოველის ფერითა. ქონდეს და გიბელნიეროს ღმერთიმან, ჩუენსა ერდგულობასა და სამსახურსა შინა. აწე გიბძანებთ კარისა ჩუენისა ვექილ ვეზირნო და სხვანო მოსაქმენო, ესე ჩუენი ბძანება ფარვანა თქუენცა ასრე გაუთავეთ და ნურაოდეს ნუ მოუშლით. [დაიწერა ხელითა] კარისა ჩუენისა მდივან-მწიგნობრის თუმანის-შვილის ზურაბისათა ქ[ორონი]ქ[ონ]სა ტნგ. არჩილ⁵.

518. 1669 წ. წიგნი, მიცემული არჩილ მეფის მიერ წმ. ნინოს ტაძრისადმი. საბუთი აღნიშნული ეკლესიისა, № 16. დედანი. $31,3 \times 14$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი—საქ. ც.—არქ. ფ.—, 1439.

ქ. . . . ჩუენ, კელმწიფემან მეფემან პატრონმან არჩილ ესე წიგნი ამისად ნიშნად მოგაროვით თქუენ, ღვთის სიტყუისა მსახურთა მესაგრესა და

¹ სათაური სხვა ხელით: ქ. კოზმანიშვილის ნასყიდი კაცი.

² აქ ერთი სიტყვა არის წაშლილი იმავე მელნით.

³ სწერა: ცხეცხლას.

⁴ სწერა: სასახლე.

⁵ ხვეჭლად. სათაური: ქ. შილდას[ი] არის.

ანდრიას ქადაგებისა წარმმართებელსა, ქართველთა განმანათლებელსა მოცი-
ჭულსა წმიდას ნინოს და ტაზრისა თქუენისა საჭეთმცყრობელსა ბოდებელ მთა-
ვარეფისკოპოზს პატრიონს მათეოზს;—ასრე და ამა პირსა ზედან, რომე ჩუენის
ვეზირის რუსი კაცები ჩამოსულიყუნენ და თქუენს მამულში ჩელოუქი დაეთხესათ
და ღალა რადგან თქუენი იყო, თქუენ უნდოდ აგელოთ; ვითაც ვეზირი ჩუენს
სამსახურზედ იყო, ღალას აღარ შეგაცილეთ, წლეულად აღარ აგაღებინეთ.
ამას უკან რაც თქუენი მამული იყოს, არავინ შემოგაცილოთ და არცვის თქუ-
ენს მეტი კელი ჰქონდეს. თუ ვინმებ სხვათამ ყმაშ თქუენს მამულში ჩამ და-
თხესოს, ღალა თქუენ უნდა აიღოთ. ქორონიკორნის ტნხ. არჩილ¹.

519. 1664 წ. პალლო. აზატობის წიგნი, მიცემული გიორგი და ზაქარია თუმანიშვილების მიერ
პაატა რაზმაძისადმი. საბუთი ალავერდის ეკლესისა, № 66. დედანი. 26,4 × 16,3 სმ,
დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი
სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი, სამ-სამი ან ოთხ-ოთხი და მეტი წერტილი. თარიღი
არ უზის: მდივანი გიორგი თუმანიშვილი და მისი ყმა პაატა რაზმაძე ის. აქვე 1664 წლის
ქვეშ. საბ. № 2338—საქ. ც.—არქ., ფონდი 226, № 3276.

ქ. ესე წიგნი მოგეცით ჩვენ, თუმანიშვილმა მდივანმა გიორგიმ და ზა-
ქარიამ შენ, აზატმაძეს ბაჟარას;—ასრე რომე ჩვენ წამოგვიხვეველ და კახეთს ჩა-
მოხველ. მასუკან შემოგვეხვეწერ და ჩვენ ჩვენად საღლეგრძელოდ და მამის ჩვე-
ნის შესანდობრათ, რაც ჩვენი გემართა, ისიც გაპატივეთ და აზატიც ასრე გი-
ყავით: ვისთანაც გინდა მიდი, ღმერთია თავდები, ჩვენ არას მოგედავებით და
აზატიც გვიწინია და ვინც მოგედაოს, ჩვენთან მოდი და თუ საყმოდ გირჩის,
ჩვენ უპასუხებთ.

•	ზაქარია
გიორგი	•

²

520. 1678 წ. დეკემბრის 5-ს. კულტებისა და სამოკველის ამოკვეთის წიგნი, მიცემული
ზაალ გურამის-შვილის მიერ მამისიმედ გოგიჯანა-შვილისადმი. დედანი. დაზიანებული,
დახული. 36,7 × 29,8 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით. ან-მეტი
განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ
მუხ., № 14.194 ჩდ.

ქ. . . . ესე უკუნისამდე უამთა და ხანთა გასაბავებელი წიგნი და სი-
გელი გიბოძეთ ჩვენ, გურამის-შვილმა ბატონმა ზა[ა]ლ და თანამეცხედრემან

¹ ხვეულად.

² მინაწერი სხვა ხელით: ქ. რაზმაძეს წიგნია დასწილობის
თუმანის-შვილის
№ 66.

ალავერდისა.

ჩვენმან ერისთვის ასულმან ბატონმან ანამან, შვილთა ჩვენთა გივმან და ფარემუზ და მომავალთა სახლისა ჩვენისათა თქვენ, ჩვენსა ერდგულსა და თვალდადებით ნამსახურსა ყმასა გოგიჯანაშვილს მამისიმედსა და ძმასა შენსა ჯანიასა და შერმაზანასა, თევდორასა, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა;—ასრე რომე მოგვიდეგით კარსა დარბაზისა ჩვენისათა და კულუხის ამოკვეთას გვიაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოსხენება თქვენი და ამოგიკვეთეთ კულუხი. არ გეთხოებოდეს კულუხი და არც სამოკელიო არა ჩვენგან და არა შემდგომად ჩვენთა სახლის კაცთაგან და მომავალთა ჩვენთაგან . . . არიან ამისნი მოწამენი და შუაღამბუღურნი მიქელიშვილი ზუბიტა, ზუნბულიძე მლდელი იოვანე, სრულ ერთობილნი საგურამოველნი და მე სვეტის-ცხოვლის კანდელაკის შვილს პეტრეს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ქრისტიშობისთვეს ხუთსა, დღესა ხუთშაბათსა, ქორონიკონის ტნივ.

	გივი	ბოქოულთ ხუცეს ფარემუზ
--	------	--------------------------

521. 1688—1694 წლ. ყმების მირთმევის წიგნი, მიცემული გიორგი ერისთავის მიერ ენისელთ მოურავის სულხანისადმი. დედანი. დაზანებული: ზემო აშია მოხული აქვს. 31×16,5 სმ, დაწერილი მოყვითალო ქადალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი. თარიღი არ უხს. დაწერილია აბაზყულიხანის დროს—1688—1694 წლებში—საქ. ც.—არქ., ფ.—, №. 4683.

ქ. ჩვენ, ერისთავმა გიორგიმ ჩვენი ნემკვიდრე ყმა და გლეხი მოგართვით თქვენ, გიძა ჩვენს ენისელთ მოურავს სულხანს, მერებს (sic), გივს, ზაქალს, ზურაბს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე ყოვლის კაცისაგან მოუდავარი გლეხი გიორგი მლული² მისის ძმითა და ცოლშვილითა, ძინძონებაშვილი ნადირა მისის ცოლშვილითა, ბუჩქური ნადირა მისის ცოლშვილითა, ხუციანიძე ხუცია მისის ძმითა და ცოლშვილითა, მაისაშვილი ნას-შვილითა, გოგიანიძე გოგია მისის ძმითა და ცოლშვილითა, არლუნელი თამაზა მისის ცოლშვილითა, ჩიტო მისის ცოლშვილითა, გოდერძი მისის ცოლშვილითა, ქურციკაძე ნადირა მისის ცოლშვილითა, ქურციკაძე შალვა (?) მისის ცოლშვილითა, ქურციკაძე ობლები ფოცხვერი და გიორგი, ფარეში გიორგი ძმითა და ცოლითა, ბატატა ძმითა და ცოლშვილითა, შალიკაშვილი გოგი, პავლეური ბერი მისის ცოლშვილითა; ეს ცოლშვილითა, სამკვდროთ და საბოლოო[ო]თ გამოსაყენებლათ თქვენთვის მოგვირთ მევია, რომ არას კაცს ამთთან კელი არა ქონდეს. ამ დროს რომ აბაზყულიხან რომ ჩვენი გლეხი ვინც კახეთში იყო აყარა და ჩვენ მოგვცა და წამოვასხით.

განა ლ'თისა ერისთავი გიორგი

¹ სპარსული წარწერით.

² მოლული?

522. 1690 წ. იანვრის 22-ს. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ფარსადან და სხვა ცი-
ცის-შეიღების მიერ ბებურ და სხვა ვაჩნაძეთადმი. დედანი. დაზიანებული გვერდებზე.
40×26,2 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად-
ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი. თარიღიად აქვს 1690 წ.—საქ-
მუშ., № 2753 1hd.

ქ . . . ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით
ჩვენ, ციცის-შეიღმან ფარსადან, ძმათა ჩვენთა ბოქოულთ-უხუცესმან ვახტანგ,
ამილამბარ, პატამ და ნოდარ, შეილთა ჩვენთა ზაზამ და სეხნიამან, სახლისა
მამავალთა ჩვენისამ ყოელმანვე თქვენ, ვაჩნაძეს ბებურს, ძმასა შენსა უძებარსა,
შეილსა შენსა ზურაბს, დურმიშეანს, გიორგის და ოთარსა და მამავალთა სახ-
ლისა თქვენისას ყოველთავე;—მას უამსა რომე ჩვენი მემკვიდრე, წილში ბარა-
თით გამოყოლილი გლეხი ნიჩბელი ზალაშეილი ხურო ზალა (sic) ნიჩბისიღამე
აგვეყარა და იქ კახეთს თქვენს მამულში ჩამოვიდა და თქვენ გეყმოთ. მერმე
მეფე ნაზარალი რომ ქართლში კელმწიფედ მობძანდა, თქვენ იმათ ახლდით.
მუსეიბობის გულისთვის იმ გლეხის ფასი გამოგართვით, რითაც ჩვენი გული-
შეგიჯერდებოდათ და ჩვენ მოგყიდეთ თავის ცოლშეილითა ხურო ზალა. გყვან-
დეს და გიბელნიეროს ლ-თნ, მცილე არავინ გყვანდეს თვინიერ ერთის მღ-თის-
მეტი. ამ პირობითა, რომე, ვინ იცის, იმ გლეხმა საქართველოში მოსვლა მო-
ინდომოს და მოვიდეს, ან ჩვენს მამულში და ან სხვის მამულში, აგიყაროთ
ჩვენ და ისევ მოგცეთ და ვერცავინ ჩვენი სახლის-კაცი მოგესარჩლოს. თუ ამ
გლეხის მოდავე გამოჩნდეს ვინმე და მოგედაოს, პასუხი ჩვენ გავცეთ. არის
ამისი მოწამე ჩვენი აზნაურშეილი ჯავახის-შვილი ბეჟან, უკანბერიძე ბეჟან-
ხუცის-შეილი ხუცია, არღუთას-შვილი ფარსადანა, ბარათაშეილი შიომშ. მე სა-
ლაროს მუშრიბს დავითს დამიწერისა და მოწამეცა ვარ ამისი, ქორონიქონის
ტოტ, იანურის კბ დაიწერა. [] | []]

523. 1692 წ. სითარხნის განახლების წიგნი, მიცემული ერეკლე I-ის მიერ დავით გარეს-
ჯის წინამძ. ონოფრე მაჭუტაძისადმი. საბუთი დავით გარესჯის უდაბნოს მონასტრობისა,
№ 14. დედანი. დაზიანებული. 47×26,7 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული
ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი.
თარიღიად აქვს 1692 წ.—საქ. მუშ., № 89 Ad.

ქ. ჩვენ, იესიან - დავითიან - სოლომონიან - პატრიატიონმან შეფეთ-მეფემან
და თვით კელმწიფემან პატრონმან ჰერეკლემ და თანამეცხედრემან ჩვენმან დე-
ლოუალთ-დელოფალმან პატრონმან ანამ, პირმშომან და სასურველმან ძემან
ჩვენმან პატრონმან იმამყულიმ და პატრონმან კონსტანტინემ მას უამსა, რდეს
მოიწივნენ ულ-თონი ლეკნი საფლავსა და მონასტერსა წმიდისა დავითისასა,
წმიდანი მლელთ-მონაზონი და კრებული მოსრეს და ყოველნი სახმარი და
პურპელნი და სიგელნი მონასტრისანი იავარ ყუეს ძველთაგან მამა-პაპა ჩვენ-

თაგან და ბეღნიერთ კელმწიფეთაგან დადებულნი სითარხნისა. და საურისა და ლაშქარ-ნადირობისა და ყოვლისა საჩენოს გამოსალებისა და სამსახურისაგან და სამოურაოსაგანცა წმიდის დავითის ყმანი და მამული თარხანი და აზატნი იყუნენ და ყოფილიყუნენ. რადგან სიგლები ულთოთა და ქრისტეანეთ მტერთა ლექთაგან წახდებოდა, წინამძღვარი მაჭუტაძე ონოფრე მოდგა კარსა დარბაზისა ჩენისასა და დაგვეაჯა სიგლისა ამის გაახლებასა. ჩუენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება მისი და გაუახლეთ სიგელი ესე და დაუმტკიცეთ საფლავსა და მონასტერსა წმინდისა დავითისასა, როგორათაცა ძველად თარხანი და აზატნი ყოფილიყუნენ მამულნი და ყმანი წმიდისა დავითისანი, არა საჩენო გამოსალები და ბეგარი, არა საური, არა ლაშქარ-ნადირობა, არა სამოურავო და სამოხელო არას ნივთისა სათხოვრისა და გამოსალებისაგან წმინდის დავითის მამულსა ყმასა არა ეთხოვებოდეს რა თვინიერ თავის მონასტრის და წინამძღვრის სამსახურის მეტი კელი არავის ქონდეს, ჩუენცა ძველად ბეღნიერთა კელმწიფეთა პატრიონთა მამა-პაპა ჩუენთაგან გარიგებული სითარხნე და აზატობა ასრე დაუმტკიცეთ და განვიახლეთ სიგლითა ამით ჩვენდა და ძეთა და ასულთა ჩუენთა საღლეგრძელოდ და კეთილად წარსამართებლად და ცოდვათა ჩუენთა შესანდობლათ და ერთი სიგელი კიდევ სრულ ერთობილთ კახთა დარბაზისერთა და ებისკოპოსთა დაედვათ და დაემტკიცებინათ, ჩუენცა დაუმტკიცეთ სიგლითა ამით. დაიწერა სიგელი ესე ქორანიკონსა ტ. | | |

ქ. ჩვენ, მეფეთ-მეფემან და თვით კემწიფემან პატრიონმან იმამყულიხან ეს ბძანება ჩვენც ამ რიგათ დაგვიმტკიცებია და არავინ გვიბძანებია მულელად ამისალ. მთიბთვის გ დამდეგს, ქ[ორონი]კ[ონ]ს ტჲვ. | | |

ქ. ჩვენ, კახეთის მპურობელმან, ერევნის ბეგლარ-ბეგმან და შამშადილ-ყაზახის მქონებელმან მეფემან¹ კოსტანტინემ წიგნი და სიგელი ასე დაემტკიცეთ, რაგვარათაც უწინდელი კურთხეულის ხელმწიფების გარიგებული საფიცარი და სიგელი ესე იყო, ამავ წესით და რიგით ჩვენც ასე გაგვითავებია და დაგვიმტკიცებია ქ[ორონი]კ[ონ]ს უია. | | |²

524. 1696 წ. გარიგების წიგნი, მიცემული ოთარ და სხვა ჩოლაკაშვილების მიერ ერთობლივ ქაბალაურში დამსახლებელთადმი. დედანი. დაზიანებული თავში. 76 × 15,2 სმ, დაწერილი თეთრ ქალალის ორ ერთმანეთზე დაწებებულ კეფზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდევ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღად აქვს 1696 წ. საქ. მუხ., № 1856 ჩ.д.

... (ესე) ... და ხანთა გასათავებელი მტკიცე და უცვალებელი წიგნი და სიგელი გიბოძეთ თქუენ, ერთობილთ ვინც ქაბალაურში დასახლდეთ ჩვენ, ჩოლაკაშვილმან სახლთუხუცის-შვილებმა ოთარმა, რამაზამ, ქაიხოსრომ

¹ სწერია: მემფემან.

² სათაური: ქ. ეს სიგელი ლაშქარ-ნადირობის სითარხნისა არის.

და ზურაბ, ძმებმა ჩვენმან გიორგიმ, გივმა, შარმაზან და ბარამ: რად მანდ კაცი დასახლდეთ, ხუთ წელიწადს აზატობა მოვციცია. ხუთ წელიწადს უკან ვინც მსახურობა შაიძლოს, მსახური გვაალოს, ერთი ცხვარი წელიწადში მოგვართვას; ვინც მსახურობა ვერ შაიძლოს, წელიწადში ერთი ცალი ლვინო და ერთი ცხვარი მოგვართოს. სხვა ჩვენი გამოსავალი არა გეთხოვებოდეს-რა, არა ბეგარი, არა კოდის პური, არა კულუხი, არა საქორწილო, არა სალაპო, არა ძიძა, არა ტყვე მანდედამ არ გამოვიდეს; მანდაური ციხე, მთა და ბარი თქვენ გებარებოდეს. თუცა მანდაური მემკვიდრე ყოფილიყო და ამათაც ქონდა მოურაობა ამ ასათაშვილებისათვის(ს) გვიბოძებია. სამოურაო უწინ ბევრი გდებოდათ და ახლა ნაოკრობისათვის არცარა ჩვენის ყალნის დადებით ძალი გიყავით, არც სამოურაოთი. სამოურაო ეს გედვას: კომლზე სამი ჩაფი ტკბილი და ერთის ღლის მუშაობა მანდი მანდ საკანავი გამოვიდოდეს. ბოლოს საკანავი მოგცეთ . . . მე ჩოლაყაშვილს სახლთ-უხუცის ძეს ფილიპეს დამიწერია . . . დარწერა წიგნი ესე ქ[ორონი]ქ[ონ]ს ტპდ. | + ქაიხოსრო.

525. 1700 წ. ნოემბრის ნახევარს. სამართალი ამბა ალავერდელი ნიკოლოზ ჩოლაყაშვილისა და სხვ. კაკაბელთა და შიბლიანელთა მიწა-წყალზე სარჩელის საქმეზე. პირი, გადაწერილი უზენაეს მართგბლობის ბრძანებით XIX საუკ. დასაწყისს მხედრული ხელთ—საქ. ც.—არქ., ფ.—, № 52/56.

ესე წიგნი დავდევით ჩვენ, ამბა ალავერდელმა ჩოლაყაშვილმა ნიკოლოზ, კისიყის მოურავმა რევაზ, ყორჩიბაშმა ენდრონიკაშვილმა ზაალ, მოურავი-შვილმა პა[ა]ტამ, სალთხუცის-შვილმა ედიშერ; — ასე რომე კაკაბელი და შიბლიანელნი მიწა-წყალზედ შულლობდენ და მივედით და ენისელთ მოურავი ნოდარ და ენისელთ მოურავი-შვილი ზურაბ, ჯანდიერი-შვილი გივი მივიყვნეთ, ორნივ ვალაპარაკეთ, მთა და ბარი გაუსინჯეთ და ასე გაუყავით და შევარიგეთ: იორჩედ სახლთხუცის ობა რომ არის, ყოჯას პირდაპირ გზა რომ გამოვა, ის ჭალა შიბლიანელთ საწისევილოთ დაგანებეთ და წისქვილებს გარდა ჭალა სამშოთ კაკაბელთ დავანებეთ; იმას ქვემოთ ზარგრის ობას პირდაპირ პატარა თუთა არის, ერთი სამძღვარი ის არის; იმის სწორათ პირდაპირ დიდი გორა არის, იმაში ერთი პატარა [თქუთა¹] არის, ერთი სამძღვარი ის არის; იმის სწორათ სამზირლის წვერის სწორათ რომ შავის-ტყის მაღალი წევრი რომ წამოადგება, ერთი სამზღვარი ის არის; იმას იქით ტყე სწორათ ჭამონ, საერთოდ იყოს. ყანდაურიანი წყლითვე კაკაბელთ დარჩა. თუ შიბლიანელთ ბოლოს საძოვერი ბალახი კაკაბელთ არ დაუშალონ, კაკაბელთ შიბლიანელთ წყალი არ დაუშეირონ. თუ კარგიგენათ მეზობლურად შერიგდენ, ერთმანერთში კუნვა და თესვა არ დაუშალონ და თუ ვერ შერიგდენ მეზობლურად, თავთავისი სამძღვარი ამ წიგნში როგორც სწე-

¹ უკანასკნელი სიტყვა ტექსტში სწერია: ფუთა.

რია, იმ გვარათ თავისას კელი მოპკიდონ და იმ წვერის იქით. მთა ერთად ჭამონ. არის ამისი მოწამე თავად ლმერთი, კაცთაგან ბარამიშვილი ბერი ეპიფანე, ალავერდლის მელვინეთხუცესი სულხან, კაკაბეთის მოურავი ბაინდურა-შვილი ბეჭან, ბეჟანის-შვილი კაკაბეთის შეჩრმაზან, ნაცვალი ოთარი, შიბლიანელი ქმებიშვილი თამაზა, კიდემ ალაკას ქმება კიკაძე ქრისტესია, შიბლიანელი კიდემ ქმება მგელიტა და იქივ მლეთისია, კიდემ ალაკას ჯანგირა. და ეშმაკურა და მე მოურავის სახლთხუცეს დავითის დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაწერა გიორგობისთვის ნახევარს გასულს, ქორონიქონეს ტკც¹. ალავერდელი ნიკოლოზ.²

ადგილი ბეჭდისა	ადგილი ბეჭდისა	ადგილი ბეჭდისა	ადგილი ბეჭდისა
-------------------	-------------------	-------------------	-------------------

526. 1703—1722 წლ. ოქმი იმამყულიხანისა დარბაზ-ნაიბ მოურავ რევაზისადმი. დედანი. 22,5×14 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდნე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უზის: ეკუთვნის მეფის იმამყულიხანის დროს—1703—1722 წლებს—საქ. მუხ., № 2293 ჩ. 1.

ქ. მესტუმრეო, ჩვენ მაგიერ[ა]დ ჩვენსა დიდსა იმედსა, დიდად იმედად მის[ა]ჩენელ-მის[ა]ხედ[ა]ვსა, ჩვენსა ქ[ა]მყოველ საკეთილოდ საგულებელ სახსენებელ დ[ა]რბაზ-ნ[ა]იბს მოურავს ბატონს რევ[ა]ზს მრავალი მოკითხვა და ამოდ ყოფნის სიხ[ა]რული მოახსენეთ. მერმე ქ[ა]ხოსოსრო მაყაშვილისათვის ვეიბძანებია და სარქმად შეგვიქნია და ოქვენც ქომაგი უყავით: საკა ჭიაურელი კაცი იყოს, აყრევინეთ და კუპატ[ა]ნში და[ა]სახლებინეთ, ჭიაურთ მოურავს მიაბ[ა]-რეთ. მაგას ნუ იქთ, რომ იქ შენობა არ ჩა[ა]გდებინოთ.

შეფე იმა
მყულისან

527. 1703—1722 წლ. ოქმი მეფე იმამყულიხანისა ჭიაურთ მოურავი ქაიხოსროსადმი. დედანი. 12,7×13,7 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდნე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უზის: ეკუთვნის მეფის იმამყულიხანის დროს—1703—1722 წლებს. ამავე, საქმეს ეხება საბუთი 2293 ჩ. 1—საქ. მუხ., № 2651 ჩ. 1.

ქ. ჩვენი ბძანება [ა]რის³ ჭიაურთ მოურ[ა]ო ქ[ა]ხოსრო, მერმე არზა მოგეწერათ ჭიაურელთ იყრაზედ და კუპ[ა]ტ[ა]ნში აშენებაზედ. ახლა მოურავისათვის წიგნი მოგვიწერია და ქ[ა]ხოსროსთვის გვიბძანებია, თქვენც იახე-

¹ სწერია: ტპკ.

² ჩართული.

³ მინაწერები: ასლთან თანასწორ არს: სოვეტნიკი თავადი დიმიტრი თაბანოვ:

ასლი წერტილი მივიღე, თომა ანდრონიკოვმა.

⁴ სათაური სხვა ხელით: ქ. კუპატნის წიგნ მოსლი(?)

⁵ უკანასკნელი ორი სიტყვა ტექსტში სწერია: ბაძანებარის:

ლით და ს[ი]ცა ჭიაურელი ქ[ა]იცი ეს[ი]ხლოს, ააყრევინეთ და კუჭატიაქში და-
[ა]ს[ი]ხლეთ. შენც გვერც მოუდექი და კარგი შენობა ჩაწაგდევით.

მეცნ იმა
მყულიხან

528. 1703—1736 წლ. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული გიორგი გედავანიშვილის მიერ
აბელ მოურავისადმი. დედანი. დახული, დაკერებული. $18,2 \times 15$ სმ, დაწერილი თეთრ
ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმა-
რია ორ-ორი წერტილი. თარილი არ უნის. გიორგი გედავანიშვილი გვხვდება სა-
ბუთში 1703 წელს, აბელ მოურავი—1726, 1731 და 1736 წლებში—საქ. ც.—არქ., ფ.—,
№ 187.

ქ. ესე ნასყიდობის წიგნი მოგართვით თქვენ, მოურავს ბატონს აბელს
ჩვენ, ვედავანიშვილმან გიორგიმ, ძმამა ჩემ[მ]ა დათუამა, როსებ და ზა[ა]ლ;—
ასე რომე ჩვენის მემკუიდრის ყმის შვილი ბერინაშვილი ზუბია თქვენთან მო-
ვიდა. მოგვიდით, გიახელით, რითაც შეგჯერდებოდით, ფასი გვიბოძეთ და
მოგვიდეთ ჩვენი მსახური ზუბია ყოველის კაცის მოუდევრათ და უცილებლივ
გქონდესთ და გიბენიეროს ღმერთმან. ამას ვეღარც ჩვენ შემოგეცილოთ, ვერც
სხვა კაცი ბერინაშვილს ზუბიასა. იმის ძეგბს გარდაის მოგყიდეთ. არის ამისი
მოწამე სახლისხუცის-შვილი რევაზ, ვარდიაშვილი ასლამაზ, კაკიაშვილი ბასილი.



529. 1704 წ. აპრილის 12-ს. მამულისა და სახელოს. წყალობის წიგნი, მიცემული იმამყუ-
ლიხანის მიერ ბებურ ვაჩანაძისადმი. დედანი. $101 \times 42,5$ სმ, დაწერილი ქაღალდის ორ
ერთმანეთზე დაწებებულ კეფზე ლამაზი მრგვალი მხედრული ხელით. განკვეთილო-
ბის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. მუხ.,
№ 14.627 1id.

შასულთან უსეინის

ქ. ნებითა და შეწევნითა მღვ]თისითა ჩვენ, მღვ]თივ აღმატებულმან და
მღვ]თივ დამყარებულმან და მღვ]თივ ზეცით გვირგვინოსანმან იესიან-დავი-
თიან-სოლომონიან-პანკრატიონანმან მეფეთ-მეფემან და თვით კელმწიფემან დი-
დისა და ცათა სწორის ერანის კემწიფის ³ შვილურად გაზღილმან და მისგანვე
გაკაემწიფებულმან პატრიონმან იმამყულიხან და დედამან ჩვენმან დედოფალთ-
დედოფალმან პატრიონმან ანამ და სასურველმან დიდის კემწიფის შვილურად;
გაზღილმან ისპალენის ტარულამ ძმამ პატრიონმან მამალ-ყულიმ და პატრიონმან
თეიმურაზ ეს ამიერით უკუნისამდე უმოთა და კანთა გასათავებელი მტკიცე და
უცვალებელი სამქაიდროდ და საბოლო[ო]დ გამოსაღევი მამულისა და სახელოს
წიგნი და სიგელი გიბოძეთ თქუენ, ჩვენს ყმათ ვაჩანაძეს ბებურს და შვილსა

¹ სათური სხვა ხელით: № 17. ოქმი ჭიაურელის კაცების აყრაზედ.

² ცარიელი ადგილია დატოვებული ჩასწერად: „შაჰსულთან პურსეინის“.

თქუენსა ზურაბს და დურმიშხანს, გიორგის, ოთარს და თამაზს და გორგასპის, და შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა; — ასე რომე თქუენ, ბებურ, ისპა[ა]ნს ბატონს მეფეს ერანის ყულარალ[ა]ს მამა ჩვენს და ჩვენ თან გვახლდით და ბევრი გვექმისახურეთ თქუენით და თქუენის მოყვრით და რომელიც ჩვენს დოკოლა[ა]თს და საბოლოს უჯობდა, იმას ცდილობდით და ჩვენთან გასთათრდით და თქუენს მამა-პაპათ და ბიძის შენის თამაზ მოურავის ნაქონს გავაზს მამულსა და სახელოს დაგვეაჯენით; — მოკითხული ვქნით და ძველათაც თქუენი სამკეიდრო მამული და სახელო ყოფილიყ და უამთა ვითარებათაგან უბრალოთ წაგრძომეოდათ. ჩვენც ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და თქუენის ერდგულად მ[ო]დგომისა და სამს[ა]ხურის სამუქფოთ შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენი სამკეიდრო გავაზს ძველათ თქუენი ნაქონი მამული საყმოთ, რაც გვინიყოს და ახლა სუფრაჯეს გიორგის და დემეტრეს ყმათ სქერიყოს შენი კერძი ბიძის შენის თამაზის მოურავის ნაქონი გლეხები. ამ შენის მამულისაგან, ხუთი კომლი ზურაბ ენდრონიკაშვილისათვის ნასისხლათ რომ სუფრ[ა]ჯეს ფარემუზს მიეცა და ერთი კიდევ ამ[ა]თი განაყ[ა]რი ტალაშეილი ერასტისათვის შიეცა, ეს, რა ერთიც იყოს კომლი ან საკომლო, როგორაც ძველათ ყმათ გქონიყოსთ, ჩვენც იმ წესით დღეს რისაც მამულის მქონებელი იყვნენი (sic) თავის მართლის სამართლიანის სამძლევრით გვიბოძებია თქუენთვის საყმოთ, როგორათაც ბიძაშენს მოურავს თამაზს პქონია და კიდევ იქავ გავაზს რომ ჩვენი სახასო გლეხები არიან ოცდა ოთხი კომლი კაცი, როგორათაც ძველათ სახასონი ყოფილან, ახლა ჩვენც თავათის მამულით ისევ ჩვენთვის სახასოთ დაგვიკერია და თქუენთვის სამოურაოთ გვიბოძებია, როგორაც ძველათ ბიძაშენს თამაზს საოურაოთ პქონიყოს, იმ წესით და სარგოთ გვიბოძებია შენთვის სამოურაოთ ყოვლის კაცის მოუდევრად და უცილებლივ თქუენთვის და შვილთა თქუენთათვის სამკვიდროდ და საბოლოო[ო]დ გვიბოძებია. არაოდეს არა მოგეშალოსთ არა ჩვენგან და არცა შემდგომთა სხვათ ჩამამავალთა მეფეთა და მეპატრონეთაგან. გქონდეს და გიბედნიეროს ლმერ[უ]თმა[ნ] ჩვენსა ერდგულად სამსახურსა შინა. აწე გიბძანებთ კარის ჩვენის ვექილ-ვეზირნო და სხვანო მოსაქმენო, ვინ გინდა ვინ იყვნეთ და ანუ დღეის წალმა იქნებოდეთ, ეს ჩვენი ბძანება და ნიშანი თქუენც ასე გაუთავეთ და ნუ მოუშლით, როგორადაც ამ ჩვენგან ნაბოძებს ფარმაქენს შიგან ეწეროს. დაიწერა ბძანება და სიგელი ესე აპრილის იბ, ქ[ო]რონიკ[ო]ნის ტუბ კელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის თუმ[ა]ნის შეილის შიოშისითა.

მეფე იმამ ყულიხან	1
----------------------	---

ქ. ჩვენ, მეფეთ-მეფემან და თვით კელმწიფემან, ერანის ყულარალასმან პატრონმან ნაზარალიხან ეს წყალობა ჩვენც ამრიგათ დაგვიმტკიცებია და გვიბოძებია, როგორადაც ამ სიგელში სწერია და არავინ გვიბძანებია მშლელად² ამის.

მეფენა-
ზარალიხან

¹ ბეჭედი სპარსული წარწერით.

² სწერია: მშლად.

530. 1704 წ. სექტემბრის 19-ს. ნასყიდობის წიგნი, მიცემული ივანა ეგნატაშვილის მიერაბ ენდრონიკაშვილისადმი. დედანი. $57,2 \times 19,5$ სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. ც.—არქ., ფონდი—, № 1075.

ქ ეს უთუო, უთუმცაო, დრო-დაუდებელი და მიზეზ-შემოულებელი, ყოვლის ჩხუბისა და მიზეზისაგან გამოსული ჩვენის თავის ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგეცით ჩვენ, ეგნატაშვილმა (sic) სულინას შვილმა ივანამა, ძმამა ჩემშენამა და ესტატემა, შვილმან და მომავალმა ჩემშენატევენ, ენდრონიკაშვილს მერაბსა, ძმასა თქვენსა მანუჩარს, შვილთა ქაიხოსროს, ზა[ა]ლს, ბაინდურს და გიორგის, მომავალთა სახლისა თქვენისათა;—მას ჟამა-ოდეს ქალაქის ციხის მეთოფეეს (sic) ვალი გვემართა, დაგჭიჭირეს იქივ ქა-ლაქის ციხეშია და დაგვაბეს, გასასყიდლათ მივყვანდით, ლონე და ალაგი არ-საით გუქონდა, ჩვენმა ბატონმა პაპუნამ ვერ დაგუიხსნა და დასტური მოგუცა: ვისაც უნდოდეს დაგიხსნასო. აწე თქვენის ლოთის გულისათუინ თქვენ შემო-გეხვეწენით და დაგუიხსნით და ციხიდამ გამოგუიყვანეთ. ღმერთმან ასე მო-გახმაროს ჩვენი თავი, რაგ[ვ]არადაც სხვას მონასყიდესა, რათაც კელი გეწი-ფოდეს . . . არიან ამისი მოწამენი თუმანიშვილი მდივანი თთარი [], მდი-ვანი გივი [], ყაბულა იმანვერდი და ბახუტა [], ბუნიათიშვილი სახლთ-ხუცესი არდაშელ¹, ალექსიძე იოთამ¹, მალრაძე იესე¹. გვერწითელი ზაქარია¹, ჯულაბაშვილი ავთანდილ [], როსტევანაშვილი მამუკა¹, ტერტერაშვილი. სა[ა]კა¹, მე მდივანს ზურაბს დამიწერია და მოწამეცა ვარ. ქორონიკონ[ს] ტუბ, ენკენისთუის ით. + + +

ქ. ჩვენ, ციკიშვილმა პატრონმა პაპუნამა და ძმამან ჩვენმა სეხნიამა და დეტრემ ეს ჩვენი გლეხი ეგნატაშვილი სულინაშვილი ივანა, დათუნა და ტა-ტია ქალაქს ციხის მეთოფეს ტყვეთ ყვანდა, ვალი ემართა. ჩვენ ველარ დავიხ-სენით და თქვენ ოსინაშვილს დასტური მოგეცით და მერაბასა და მანუჩარს და თქვენ დაიხსენით. არც ჩვენა და არც სხვას კაცსა კელი არა ქონიდეს იმ ჩვენს კაცთანა. ქორონიკონ[ს] ტუბ, ენკენისთუის ით. | . . . |²

531. 1705 წ. მაისის 3-ს. ყმების ნასყიდობის წიგნი, მიცემული გორელი ოქრომეცდლის სულინას ძმა გაბუას მიერ მანუჩარ ენდრონიკას-შვილისადმი. საბუთი ნათლისმცემლის უდაბნოს მონასტრისა, № 132. დედანი. $61,2 \times 20,8$ სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. ასო-ნაკლები. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი, სამ-სამი ან თითო წერტილი—საქ. ც.—არქ., ფონდი 226, № 4114³.

ქ. ნებითა მღ[ს]თისითა შუამდგომლობითა დიდის და დიდებულისა სამას სამოცდა ხუთისა წმინდის გიორგისითა ეს ამიე-

¹ აქ ბეჭდის დასასმელად ცარიელი ადგილია დატოვებული.

² სათაური: ქ. სულინას-შვილების სიგელი.

³ წინა გვერდის მარჯვენა აშიაზე ამოფხეკილია ერთი სტრიქონი 35 სმ-ის მანძლზე.

რ[ი]თ ხანთა და უამთა გასქათავებელი მტკიცე და უცვალებელი ნასყიდობის სიგელი დაგიწერ[ე]თ და მოგეცით ჩვენ, გორელმა ოქრომშედელის სუხინის ძმამ გაბუამა და შვილმა ჩემ[მ]ა ბალდასარამან და შვილმან და მამავალმა [სახლისა] ჩემისამან თქვენ, ენდრონიკას-შვილს. მეითარ მანუჩარსა და ძმას[ა] თქვენსა გორის მამას[ა]ხლის მერაბასა და შვილთა თქვენთა ფეშქაშნივის ჭაიხოსროვსა და მესტუმრეთ-უხუცეს ზაქალსა და ძმის-წულთა თქვენთა ბაინდურს და გიორგის და მამავალთა სახლისა თქვენისას[ა]; —სე და ამა პირს[ა] ზედან რომე დაგვეჭირა და მოგყიდეთ ჩვენი ალალი ნასყიდი ყმა შაშვაძე ბერუა მისის ცოლითა და ოთხის ვაჟის შვილითა; ქვიან შვილებს: გიორგი, მლუჟითისია, დათუნა და ქიტუა, მამავალი სახლისა ამისი მოგყიდეთ თქვენ, მე[ი]თარს მანუჩარს და ავილეთ ფ[ა]სი სრული, რითაც ჩვენი გული შეჯერდებოდა. გყვანდეს და გიბედნიეროს ლ[მ]ერ[თ]მა[ნ], რაგვარადაც მრ[ი]ვალს ალალს ნასყიდს მართებდეს, გასყიდვითა, გამზითვითა, ს[ა]წინდრათა, რითაც ხელი გეწიფოდეს. ვერვინ ყე შემოგეცილოს თუინიერ ერთის მლუჟითის მეტი. თუ ვინმე მცილე გამომჩნდეს, პირისა და პასუხის გამცემი ჩვენ ვიყვ[ი]ნეთ . . . არიან ამისი დამხდური და მოწამენი თ[ა]გად ლ[მ]ერ[თ]ი, კაცთაგან თუმანის-შვილი ზაქარია [], ხითარას-შვილი ზურაბა +, ევანგულას-შვილი მელქუა და შვერუას-შვილი არუთენა [], თაყინა[ან]თ გაბრიელა [], ამირალა[ა]ნთ გაბრიელა¹ და შიოშა [] და ყანდინას-შვილი ესტატე +, სუნბატას-შვილი ფარასადანა [] და ფიბინას-შვილი სიმონა [], სუხინას-შვილი ესტატე¹, და მე თაყინას-შვილს ფეშანგის დამიწერია და მოწყვეც ვარ ამისი. დაიწერა. მაის[ის] გ გასულს, ქ[ორონი]ქ[ონ]ს ტეგ. + +

ქ: კიდევ ამისი მოწამე ფიბინ[აან]თ ნაზარა [] და კაქუას-შვილი არუთენა. +²

532. 1705 წ. ვენახის შეწირულობის წიგნი, მიცემული დავით აბაშიშვილის შეერ მაცხოვრის ხატისადმი. დედანი. 34,2×15,8 სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი ჭერტილი —საქ. მუხ., № 2506 ჩა.

ქ. ნებითა და შეწევნითა მღვთისათა, მეოხებითა ყოვლად წმინდისა მღვთის-მშობელისა და მარადის ქალწულის მარიამისათა, ძლიერებითა და ცხოველსმყოფელისა პატიოსნისა ჯვარისათა, წმინდათა ანგელოზთა და მთავარ-ანგელოზთა მიქელ და გაბრიელისათა და ყოველთა წმინდათა მღობლისათა, რო-


¹ აქ ბეჭდის დასამელად ცარიელი ადგილია დატოვებული.

² მიწერილია სხვა ხელით: დუსტ[ა]-შვილის[ა] არის აზალი სიგელი.

ქ: შაშვია ძისა არის.

ქ: დრუსტა-ბერუასი და იმის შვილების ქველი და აზალი სიგელი.

შელნიცა სათნო ეყუნეს¹ უფალსა ჩვენსა იესოს ქრისტესა და სათნო ყოფად არიან, ამათით თავდებობითა შემოგწირეთ ჩვენ, აბაშიშვილმა სუფრაჯემა და- ვით და ძმამან ჩვენმან სუფრაჯემა აბაშ, შვილმან ჩვენმან ნოდარ და მომავალთა სახლისა ჩვენისათა თქვენ, ყოვლად პატიოსანსა ხატსა მაცხოვრისასა ქვემო ვარსიძაშვილის ვენაკი, ესიტაშვილს რომ უჭირავს, იმას გარდა ნონიაშვილე- ბის ვენაკი საკულუხოთ, რომე ძეველითგანვე თქვენი ყოფილიყო. ასრე რომე აიწყოდეს ოთხი პატრონსა და მეხუთე საყდარს მოექმარებოდეს. ვენაკი კარგა შეინახოს რთვლამდი და რთველში იქ მდგომს კაცს უჩვენოს და თუ ავათ შეინახოს, სამართლიანის საქმით გარდა [ა]კლევინებდენ. არა მოგეშალოს ჩვენ- გან და არცა შემდგომთა მეპატრონეთა ჩვენთაგან. შეიწირე შენ, საშინელო ხატო მაცხოვრისათ მცირე ესე შესაწირავი და ნაცვლად გვაგე დღესა მას დიდა განკითხვისასა. ვინცა და რამანცა კაცმა ეს ჩვენგან შეწირული მოგიშალყოს, (sic). რისხავსმცა მამა ძე და სული წმინდა, ხოლო დამამტკიცებელი ამისი ღმერთმან აკურთხნეს. არის ამისი მოწამე სვეტის-ცხოვლის წინამდლვარი გაბა- შვილი ბატონი იოსებ, ჩვენი აზნაურშვილი ბლორძელი სალთხუცესი ზურაბ, კიდევ ჩვენი აზნაურშვილი ლამაზაშვილი პაპუა და ავთანდილი, მსახური ნეგუ- ლაშვილი ხოსია, ნინუა, სვიმანაშვილი დალაქი, კიდევ ჩვენი მსახური დურნუ- კელი რევაზაშვილი გიორგი, იმისი შვილი რევაზა, ანდრიელი ჩვენი მსახურო დონდარაშვილი პაპუა, იქივე ასატურაშვილი ჩვენი მსახური თამაზა, ალიაშვი- ლი ბანვერდი. მე მცხეთის კანდელაკიშვილს ათანასეს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. ქლორონიქონისა ტუგ.



533. 1710 წ. დავის გადაწყვეტილობის წიგნი, მიცემული ნიკოლოზ სამებელის მიერ ქრისტეფორე რუსთველისადმი. დედანი. დაზიანებული [დახეული]. 14,7×9,3 სმ, და- წერილი თეთრ ქადალდე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტ- ყვის შემდეგ ნახმარი თითო ან ორ-ორი წერტილი—საქ. მუზ., № 11.426 hd.

ქ. ეს წიგნი მოგართვი ჩვენ, სამებელმა ნიკოლოზ თქვენ; ბატონს რუს- თველს ქრისტეფორეს; — მაღალას-შვილის იოანეს ნაყმევი კაცი მესახლა; დი- დოხნის მოსული [ი]ყო. მყრელები რომ მოვიდნენ, კელი არა ქონდათ, არ ავაყრე- ვინე. ჩემის მალვით აყრილიყო და თავისი ნაბატონარს გაყოლოდა და თქვენის ძმისწულებისათვის მოეცათ. მე ისევ ავყარე და გამოვიყვანე. თქვენ მოინდო- მეთ. ისევ აგიყარეთ და მოგართვით ყოვლის კაცის უცილებლათ და მოუდვევა- რათ. დღეის წალმართ არას კაცს მაგ ყორანას იასესა და მაგის ცოლშვილთან

¹ სწერია: ეყოს.

² მიწერილია სხვა ხელით: ქ. მაცხოვრის წიგნი, აბაშის შვილებს რომ ვენაზი. შამოუ- წირავს.

კალი არა აქვს. თქვენისა მეტს კაცს ვერცავის თავის ნებით მიუვიდეს; თქვენ-
თვის მოგვირთმევია . . . ქორონიქონის ტეტ¹. სამებლი ნიკოლოზ².

534. 1711 წ. სექტემბრის 14. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ქაიხოსროვ
ვაჩნაძის მიერ პატარა ჯანდერის-შვილისადმი. დედანი. დაზიანებული (დახული, ნაწი-
ლობრივ ქალალდებ გადაკრული). 93x22,3 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდებ მხედრული
ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყრველი სიტყვის შემდეგ ნაშმარია თითო ან ორ-ორი
წერტილი—საქ. ც.—არქ., ფ.—, № 2922.

ქ . . . ესე უთუო და უთუმტაქო; დრო-დაუდებელი, მიზეზ-შემოულებე-
ლი, ყოვლის ჩხუბისა და ილეთისაგან გამოსული, დღეის სიკუდილამდინ ამი-
ერთ უამ და ხან გამოსული, სამკუილრო და საბოლოო [ო] გამოსული ნასყიდობის
წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩუენ, ვაჩნაძეს რამაზიქს შეიღმიან
ქაიხოსროვ, შეიღმიან ჩემ[მ]ა ასლ[ა]ნ და გურგენამ, სახლის[ა] მამავალმ[ა]ნ
ჩუენისამ ყოუქელმ[ა]ნ თქუენ, ჯანდიერის-შვილს მდივანბეგს პა[ა]ტ[ა]ს, შვილს[ა]
შენს[ა] ზურაბს, მამუკას, როსებს, ასლ[ა]ნს და ზაზ[ა]ს, შვილს[ა] და შვილის-
შვილსა შენს;—ასე და ამ პირს[ა] ზედან, მას უამს[ა] ოდენს დაგუჭირდა და
გასყიდუა მოვინდომეთ, მოვედით ჩუენ ჩუენის ნებაყოფლობით, მოყვიდეთ
ჩუენი [მ]ეკუიდრი მამული კალაურში ყმა ბიკიკის-შვილი ჯანო, ბიკიკის-შვილი
შერმ[ა]ზან, ლაშქარ[ა]ს-შვილი გიორგი ამ[ა]თის ძმით და შვილით და სახლის-
კაცით ჩუენის წილობითა, რით[ა]ც მქონებელი თ[ა]მაზ მოურჩ[ა]ვი, პაპა ჩუენი
ბებურ, მამა ჩემი რამ[ა]ზ და რომლის[ა]ც მამული გუჭირ[ო]დეს ან დღეს
გუეჭიროს, ჩემი წილი მესამეტი (sic) სახლით, სასაფლაოთი, ზურით, ხოდა-
ბუნით, მოით, ბარით, წყლით და წისქევილით, შესავალ-გამოს[ა]ვლით, ნაშენო-
ბით, უშენობით, საძებრით და უძებრით მიისის სამართლიანის საქმით მოგყი-
დეთ და გამოგართვით ფასი სრული ერთ პირათ, რით[ა]ც რომე ჩუენი გული
შეჯერდებოდა. აღარა დარჩა-რა ჩუენი თქუენს ხელთ სად[ა]ო და სალაპ[ა]რ[ა]-
კო არც ერთის იოტის ფასი ძმიბის და მოყურობის მეტი. გქონდეს და გი-
ბეღნიაროს ღ[მერთ]მან, როგორც მრ[ა]ვალს ალალს მონ[ა]სყიდეს მართებდეს,
გასყიდვათ და გა[მ]ზითუად, რათ[ა]ც მოს[ა]მშ[ა]რათ გინდოდეს, ვერ[ა]ვინ შე-
მოგეს[ა]რჩლოს და ან წამოგ[ე]დაოს ან დიდმან და ან პატ[ა]რამ და ჩემ[მ]ა
ნათეს[ა]ვმ[ა]ნ კაცმ[ა]ნ წამოგ[ე]დ[ა]ოს, პირისა და პასუხის გამცემი ჩუენ ვი-
ყოთ . . . არის ამის მოწამე თავათ ლმერთი . . . კაცო[ა]გ[ა]ნ სულ ერთო-
ბილნი კახნი ეფისკოპოზნი, დარბა]ისელნი და მე მუშრობს რამ[ა]ზს დამიწე-
რია, მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა ესე სიგელი ენკენისთვის ი, ქორონიქონის
ტეტ. ამ ბიკიკის-შვილებს გავაჩს რაც მამული აქვს, ის არ მამიყიდია.

ქაიხოსროვ

† †

¹ სწერია: ტეტ.

² ხვეულად.

ქ. ჩვენ, ჩოლოყაშვილი ამბა ალ[ა]ვერდელი რარ[ი]გ[ა]დაც ამ წიგნში
სწერია, მოწამე ვართ. ალავერდელი ნ[ი]კ[ოლო]ნ¹. +

ჩვენ, რუსთველ ეპისკოპოზი ნიკ[ოლო]ნ ამისი მოწამე და დამხლოში,
რუსთველი ნ[ი]კ[ოლო]ნ¹.

.....
სალთხუც
ესი ედიშერ

ქ. ჩვენ, ბოდბელ ეფისკოპოზი ზაქ[ა]რ[ი]ა მ[ო]წ[ა]მე და და[მ]ხდ[ო]მი
ამისი. ბოდბელი ზაქარია.¹ +

ქ. ჩვენ, ნინოწმინდელი მოწამე. ნინოწმინდელი იოსებ¹. +

პართენი ხარგაშნელი ამისი მოწამე.

ქ. ჩვენ, სამებელ მთავარეფისკოპოზი მოწამე ამისი.

.....
იოსებ
სამებელი

ქ. ჩვენ, ჭისიყის მოურ[ა]ვი რევ[ა]ზ ამის[ი] მოწამე.

.....

ქ. ჩვენ, მოურავი მერაბი ამისი მოწამე ვართ.

.....
მოურავი
მერაბ

ქ. მე, ბაზია[რ]თხუცე[ე]ს[ი] პაპუა ამისი მოწ[ა]მე ვარ.

ბაზიართ
ხუცესი
სულბან

ქ. მე, სახლთ-ხუცესი ნოდარ ამისი მოწამე.

.....
სახ
ლთხუ.....
.....

ქ. მე, ჩოლაყაშვილი თიანეთის მოურ[ა]ვი გარს[ე]ვ[ა]ნ მოწამე

ბანდა
გარსევ
ან

ქ. ამისი მოწამე ვარ მე, ავალის-შვილი ეშიკალ[ა]სბაში ზა[ა]ლ.

ზა[ა]ლ

ქ. მე, მღივანი გორჯასპი ამის: მოწამე.

.....
მღივანი
გორჯასპი

ქ. მე, ქ[ა]იხოსრო სახ[უ]ც[ი]შვილი ამისი მოწამე.

.....
.....

¹ უკანასკნელი სიტყვა ჩვეულად.

ქ. მე, ფილიპე სახლთხუცის შვილი ამისი მოწამე ფილიპე¹.

ქ. მე, გურამიშვილი ამისი მოწამე და დამკუდღური.

გურამი
შვილი

ქ. მე, გურამიშვილი ფარებული მოწამე.

სახუცე
ფარებული

ქ. ამისი მოწამე ლუარსაბ ვაჩნაძე.

ლუარ
საბ

ქ. მე, ენდრონიკას-შვილი ოთარ ამის მოწამე.

ბოქოულ
თხუცესი
ოთარ

ქ. მე, ოქილაოანთ (?) გასპარამ ამისი მოწ[ა]მე.

საჭარა

8 []²

ქ. მე, თუმანიშვილი მდივანი შიოშ ამისი დამხდური და მოწამე ვარ.

შიოშ
მდივანი

ქ. მე, ჩერქეზი ჯ[ა]ნ[ა]სლ[ა]ნ(?) ამისი მოწამე.

ჩერქეზი ჯ
ლა . . .

ქ. მე, თარჩანი ასლან ამისი მოწამე.

თალი
ზანი
ასლან

ქ. მე, ბოანათირი(?)-შვილი ზა[ა]ლ ამისი მოწამე.

. . . .

ქ. როგორათაც პა[ა]ტა მდივამბეგს კალაურში ვაჩნაძის ქაიხოსროს წილი მამული და კაცები ეყიდნოს, ჩვენ, დედოფალს ბატონს ანნას და ძესა ჩვენსა კახეთის განმეობელს ბატონის-შვილს თამარაზსაც ამ წესით დაგვიმტკიცებია. დაიწერა ლვინობისთვის თოთხმეტს, ქორონიკონის (ტუ)თ.

მონალ-საბა
ტონიშვილი
ი თეიმუ
[რაზ]

¹ ხვეულად.

² სპარსული წარწერა ასეთივე ბეჭდით.

ქ. როგორადაც ა
 თ მისცემია
 პა[ი]ტასა და მის
 მეფეთ მეფეს [დავითს]

 ეს ჩვენი ბძა[ნება]
 თს ქ[ორონი]ქ[ონ]ს უც.¹

535. 1711—1716 წლ. აღთქმის წიგნი, მიცემული კახეთის ჯანიშინის თეიმურაზ ბატონიშვილია და დედოფალ ანას მიერ ბოდბის ეკლესიისადმი. რეგესტი (ამონაწერი), შესრულებელი სინოდის განტორის ბრძანებით XIX საუკ. დასაწყისს. თარიღი არ უზის. თეიმურაზ ბატონიშვილი დედოფალ ანასთან ერთადგანაგებდა კახეთს 1711—1716 წლებში—საქ. ც.—არქ., ფ.—, № 2/14, ფურც. 2.

კახეთის ჯანიშანის ბატონის-შვილის თეიმურაზისა და დედისა მისისა დედოფლის ანნასაგან.

ეკლესიისადმი მირთმეული წერილი, რომლითაც იცხადების: ძველის გუჯრისამებრ ბოდბლის ყმათ რიგის ძროხა სდებიათ ეკლესიისა და უქმნიათ ბუნტი და აღარ მიუკიათ და უბრძანებია ბოდბლისათვის ხსენებულს ბატონის-შვილს ცოტა ხნობით დააცალოს გამორთმევა. მიუკია წერილი ბოდბელს დრომდინ უთხოვნელობისა, მაგრამ ბატონის-შვილის მამას არ უპატივებია, დაუჭერია მოჯანრენი და დაუსჯია წართმევითა ჯარიმისათა. რაც კიზიყს სდებია, ის ბოდბეს და ხეეს რიგის ძროხა. ალსთქამს ბატონის-შვილი: თუ ღ[მერ]-თი თავის ძმის მოსლვას ალირსებს, ის ისევ გაარიგებს და გარდაახდევინებს მათ. თუ წიგნი გამოჩნდება ბოდბლისა, ამ წერილით გაუუქმებია. როგორც გუჯარში სწერია, ისევ ისე გარიგებული უნდა იყოს და რაც ხიზიყს ედვას, ის ბოდბლის ყმას უნდა ედვას. სხედს ბეჭდები ქართული ბატონის-შვილის თეიმურაზისა და დედოფლის ანნასი.

536. 1711—1716 წლ. ბრძანების წიგნი, მიწერილი დავით III-ის (იმამყულიხანის) მიერ ისახებ სამეცნიერო სამეცნიერო სამსახურის მონასტრისა, №№ 86, 353, 54. დაზიანებული (მარცხენა აშიის ზევითა ნაწილში). $35,7 \times 15,2$ სმ, დაწერილი თეთრ ქალადზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანდ ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თაროზი წერილი. თარიღი არ უზის. მისი მიმცემი დავით მეფე იბსენიებს თავის დედას [დედოფალ ანას] და ძმას [თეიმურაზს]; ეს უკანასკნელი კახეთს განაცემნენ 1711 წლიდან. დედოფალი ანა გარდაიცვალა 1716 წელს. ამრიგად, საბუთი დაწერილი უნდა იყოს 1711—1716 წლებში—საქ. ც.—არქ., ფ.—, № 1172.

ქ. ჯვარის მტვირთელო, ჩვენ მაგიერათ ჩვენსა დიდსა იმედსა, დიდათ.

¹ დავით მეფის ეს დამტკიცება გადასულია, აღარ იკითხება.

იმედათ მისაჩენელ-მისახედავსა, არაოდეს არ დასაციშყარსა, კეთილად სახსენე-ბელ-საგონებარსა სამებელ ეფისკოპოზს ბატონს იოსებს მრავალი მოქითხვა და მაგათის მხთის მოყვარის თავის მაგიერი ამოდ ყოფნის სიხარული მოახსენეთ. მემრე ჩვენც თქვენი მწყალობელნი ამისთვის ვართ, რომე ბატონის დედის ჩვენისა და ჩვენის ძმის მა[ა]მებელნი და ერთგულნი იყვნეთ, მოუდგეთ და ერთგულათ იმსახუროთ და ჩვენის ბძანების მორჩილნი და მოსმინო იყოთ. აწე წელს კელმწიფემ ნავროზის ფეშაში ითხოვა და შიომუშბეგ მდივანი გამოვგზავნეთ და ტყვე და საური ორივ გვეთხოვნა, მაგ ქვეყანას დიღათ ძალი დაემართებოდა და ტყვე აღარავის გსთხოვეთ და მაგდენი ხარჯი მაგ ქვეყნით არ გამოვა, რომე ფეშაში გამომზადებულიყო და ყოველს ეფისკოპოზს წლევანდელი საური გსთხოვეთ და შენც ამდენი ერთგულობა და ჩვენი სამსახურის მდომი იყავ, რომე მაგის უარს ნურც შენ მოგვასენებ; წლევანდელი შენის ყმის საური შემოგვაწივე, ნურც ამის უარს იტყვი და ეს კი ნუ გჩიონია ანლა საკულადიოთლა ვითხოვთ] და ან ჩვენი წყალობა გუჯრები მოვშალო და წელს დიალ გვეჭირება, კიდეც შემოგვაწივე და ნურც უარს იტყვი. შენც ახლა გაკეთებული კაცი იყავ, არ უნდა გვეთხოვნა, მაგრამ წელს კი დაგვითმე, შემოვაწივე და შენც ჩვენის წყალობის მოიმედე იყავ.

ქ. ხალათი გვიბოძებია¹.

მონა ლოთისა
მეჭვ დავით
იმაშყულიზან

537. 1711—1716 წლ. ოქმი ანა დედოფლისა მუსტაფალისადმი. დედანი. $13,6 \times 12,6$ სმ,
დაწერილი თეთრ ქალალდებ მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტ-
ყეის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარილი არ უზის: მისი მიმცემი ანა დედო-
ფალი არის ერეკლე I-ის მეულე; ის თეიმურაზ ბატონიშვილთან ერთად განაგებს კა-
ხეთს 1711—1716 წლებში და საბუთიც ამ დროს ეკუთვნის—საქ. ც.—არქ., ფ.—, № 732.

ქ. ჩვენი ბძანება არის, მუსტაფალავ! ენისელთ მოურავის ალაგში ბაჯირ-
ვანალე[ლ]თ² ყიშლალზედ ბაიამთლოს ელი თუ დამდგარიყოს, ახყარე და გა-
[ა]ცალე. თუ შას[ვ]ლა ვინმე მოინდომოს, ნუ შაუშვებ, თორემ დიალ გვეწყი-
ნება, ეს იცოდე.


დედო-
ფალი
ანა

¹ მინაწერი სხვა ხელით: საურისა მეფის დავითის ნაბოძები.

² უკანასკნელი სიტყვა ტექსტში სწერია: ბაჯირვანალეთ; სოფელი ბაჯიროვანი სამია
ასერტაიჯანში (იხ. კავკასიის კალენდარი, 1911 წ.).

538. 1713 წ. თებერვლის 9-ს. საზღაურის წიგნი, მიცემული გიორგი შიოშის-შვილის მიერ დურმიშან გურამის-შვილისადმი. დედანი. დაკერძებული თავში. სმ, დაწერილი თეთრ ქალალდჲ მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი ან სამ-სამი წერტილი—საქ. მუხ., № 1236 1hd.

ქ. ნებითა მლ[უ]თისითა ესე წიგნი მოგეცი მე, გიორგიშა. (?) შიოშის-შვილმა თქვენ, ძმამა ჩემ[მ]ა ლაგარსაბ, ძმის-წულმა ჩემ[მ]ა მერაბ შენ, გურა-მის-შვილს დურმიშანს;—ასე რომე ჩემ ყმას თქვენი ცხენი მოეპარა და შე- [ა]ჩ[ნ]და. აწე ავდექით, სხვა საზღ[ა]ური ვერა იშოვნა, შვილი წავართვით, შენი საზღ[ა]ურში მოგეცით. არის ამისი გამრიგე და მოსამართლე ბატონი მეიტარი (sic) ფარსადა[ნ], დავითა დივანი, ქაიხოსროვა გულისაშვილი, ქუმის კობის-შვილი, მე ჰოქილოა[ნ]თ ბალდასარა[ს] დამიწერია და მოწარეცა ვარ ამისი. დაიწერა ესე წიგნი თებერვლის ცხრას, ქ[ორონი]ქ[ონ]ს უა.



539. 1714 წ. მაისის 6-ს. ბრძანების წიგნი, მიცემული იმამყულიხანის მიერ გიო ბოქოულთ-ხუცესისადმი. დედანი. 21,4×14,2 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდჲ მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარი-ლად აქვს 1714 წ.—საქ. მუხ., № 2415 1hd.

ქ. ჩვენი ბძანება არის ბოქოულთხუცესო გიო, მერმე როშაქიშვილის ზურაბისათვინ მანდ ბატონს დედოფალს დედა ჩვენსაც წყალობა ექნა და ჩვენც წყალობა გვიქნია. და ბაკურციხეს ჯალუკიშვილები და წინ-უბანი ესები გვიბოძებია დღეს რისაც მამულის მქონებელნი იყუნენ, ამისთვინ გვიბოძებია თავის მართლის სამართლიანის სამძლურით. ძუელათ პატონის (sic) პაბის ჩვე-ნის წიგნებიც აქუსთ საღმე და ჩვენც წყალობა გვიქნია. ამაზე ხელი აუმართე და ზუარაბს მოაბარე. ამას მსახურონ, სხუას კაცს კელი ნუ აქუსთ. მაისის დამ-დეგს 3 გასულს, ქ[ორონი]ქ[ონ]ს უბ. | |¹

540. 1716 წ. ახლო. პირობის წიგნი, მიცემული გიორგი კიჭურის მიერ ესიტა მიქაიშვი-ლისადმი. დედანი. დაზიანებული (თავი მასეული და დაკარგული). 16×12,2 სმ, დაწე-რილი მოთეთრო ქალალდჲ მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტ-ყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი ან სამ-სამი წერტილი. თარილი არ უნის. ესიტა მიქაი-შვილი თავის შვილი დაიუნაოთ უნდა იყოს ის ესიტა, შვილით დათუნათი, რომელიც გვხვდება საბუთებში, სახლდებორ: ესიტა—1716 წელს (საქ. სიძვ., I, № 342—418), ხო-ლო დათუნა—1719 წელს (იქვე, № 349—419); ამის მიზედვით ეს საბუთიც დაწერილი უნდა იყოს 1716 წლის ახლო—საქ. მუხ., № 14.919 1hd.

. 2 წიგნი მოგეც მე კიჭურმა. (?) გიორგიმ, შვილმა ჩემ[მ]ა აბრამამა

¹ ბეჭედი იმამყულიხანისა.

² საბუთის თავის დაზიანების გამო არა ჩანს რამდენი სტრიქონი აკლია.

შენ, მიქიაშვილს ესიტ[ა]სა, შვილსა შენს[ა] დათუნისა, მამ[ა]ვალსა სახლისა შენისასა ყოქლო[ა]ვე;—ასე და ამ[ა] პირსა ზედა, რომე შიმშილმა და სიღ[ა]-რიბემ ძალი მიყო. წ[ა]მოველ და შენ მოგიველ ასეთს დროს, რომ კოდი პური მარჩილ[ა]დ არ იშოებოდ[ა]. შემინწ[ა]ხე და მეც ეს პირობა დ[ა]გიდევ, რომ ვინც[ა]ვინ ჩემი მომდევარი გამოჩნდეს და წ[ა]მიყვანოს ერთის შვილის მამცემი ვიყო. არის ამისი თავდები¹ თ[ა]ვად ლთი და ყოველი მისი წმიდა[ნი]. არის ამისი მოწ[ა]მე გოგილ[ა]შვილი პაპუა, კიდევ ქ[ა]რუმიძე პაპუა, უჯ[ა]რმას მალ[ა]ლ[ა]შვილი მამუკა მე . . .

541. 1716 წ. ახლო ყმობის წიგნი, მიცემული ბერი ბეგიაშვილის მიერ ესიტა მიქიაშვილისადმი]. დედანი. 13,5×12,5 სმ, დაწერილი თეთრ ქადალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი ან სამ-სამი წერტილი. თარიღი არ უზის: დამწერლობით ის XVIII ს-ის დასწყისისაა. ესიტა ამ დროს გვხდება 1716 წლის საბუთში (საქ. სიძვ., I, № 348—418); ის გვარად არის მიქიაშვილი (იბ. აქვე, № 14.919 1hd); დათუნა ესიტაშვილი ჩანს საბუთში 1719 წლებს (საქ. სიძვ., I, 349—419). ეს საბუთიც დაწერილი უნდა იყოს 1716 წლის ახლო დროს—საქ. მუხ., № 14.970 1hd.

ქ. . . (ქ) ამთა[ა] და უკუნის[ა]მდე გას[ა]თ[ა]ვებელი და მიზეზ-[შემ]ოუდებელი წიგნი მომირიძევია მე, ბეგიაშვილს ბერისა და შვილსა ჩემსა ქ[ა]ხ[ა]რისა თქვენ, ესიტ[ა]სთვინ და შვილის თქვენის დათუნ[ა]სთვინ და ფ[ა]რსდანისთვინ, შვილიშვილის თქვენისთვინ;—მ[ო]გსლივ[ა]რ და გეჭმევ, კახეთში ჩემზე თქვენ მეტს (?) კელი არვის ქონდეს. თუ სამშე კახეთში წ[ა]სლა მოვინდომო, თქვენ ჩემზე კელი [გ]ქონდეს. არის ამისი მოწამე მათე მლდელი, ჩხეიძე მამუკა, თიანელიშვილი ბერი. +

542. 1716 წ. ავესტოს 12-ს. წყალობის წიგნი, მიცემული იმამყულიბანის მიერ შუამთის მონასტრის კელესისადმი. საბუთი აღნიშნული მონასტრისა, № 121. დედანი. 18,8×13,7 სმ, დაწერილი თეთრ ქადალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. ც.—არქ. ფ.—, № 2301.

ღ [მე რ] თ ო

ქ. ჩვენ, მეუეთ-მეფემან (sic) იმამყულინ (sic) მოკითხული გენით და გულ-გულას ხახულისა მლთის[ს]მშობლის გათ ტელათაც ქორი არა სდებოდათ, ამოკვეთილი ჰქონოდათ და ახლა მოძღვართ-მოძღვარმა ფილიბემ სახლთხუცი-შვილმა მოგვახსენა და ეს წიგნი უბოძეთ, რომ ამ გულგულელთ საჩვენო ქორი აღარ ეთხოებოდეს ჩვენგან. კარისა ჩვენისა მოხელენო და მოსაქმენო და ბაზი-

¹ სწერია: დავედები.

ერთხუცესო, ეს ჩვენი ბძანება თქუენც ასე გაუთავეთ და ნუ მოუშლით, რო-
გორადაც გვებძანოს. მარიამობისთვის იბ გასულს, ქორონი]კონ]სა უდ,—არც
არტოზნელთ.

მეფე იმა
მყულიხან

543. 1716—1750 წლ. პირობის წიგნი, მიცემული დურმიშხან ჯავახის მიერ დათუნა და
სხვა ესიტაშვილებისადმი. დედანი. $19,2 \times 12$ სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრუ-
ლი ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო, ორ-ორი
ან სამ-სამი წერტილი. თარიღი არ უზის; დათუნა, ზაალ და პაატა ესიტაშვილები
გვხვდება საბუთში 1716 წელს (საქ. სიძვ, I, № 65—84); მარტო დათუნა გვხვდება
ერთხელ 1719 წელს, მეორედ—თემიურაშ II-ის დროს (იქვე, №№ 349—419 და
350—419). საბუთი უნდა ეკუთვნიდეს 1716—1750 წლებს—საქ. მუზ., № 13.833 hd.

ქ. ესე წიგნი მოგეც მე, დურმიშხან ჯავახმა შენ, ესიტაშვილებსა დათუ-
ნასა, ზა[ა]ლსა, ესიტასა და პ[ა]ტასა;—ასრე რომე შენი (bis) ნასყიდი მუახლე
მოვაპარვინვე და თათარს მივყიდ[ე]ვ. ახლა ის მსყიდველი თათარი კელში გე-
ჭირა, ჯინჯილი ჩემის კელით ამილია იმ თათრისათვინ და გამიშვია. ის] შენი
მუახლე თავს მე დამიდევია. თუ ემ სამშაბათს არ მოგ[გ]ვარო, პასუხის მამცემი
მე ვიყო. ამაში აშა აღარ იქნების. ამისი მოწამე გარ[ა]ყანიძე დათუნა, ბერი-
შვილი ირემა, მორბედაძე სუხიტა. დაიწერა შაბათს, ნათლიმცემლობასა. + +

544. 1717 წ. თებერვლის 8-ს. ყმის შვილის ნასყიდობის წიგნი, მიცემული იოთამ მირიანა—
შვილის მიერ ალავერდა როსტომაშვილისადმი. დედანი. დაკერძული. $25,3 \times 24,2$ სმ.
დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტ-
ყის შემდეგ ნახმარია ორ-ორი ან სამ-სამი წერტილი—საქ. ც.—არქ., ფონდი 226,
№ 149.

ქ. . . ეს უთუო, უთუ[მ]ცაო დრო-დაუდებელი, მიზეზ-შემოღებული (sic),
ყოვლის ჩხუბისა და ილეთისაგან გამოსული წიგნი და სიგელი დაგიწერებ-
და მოგეცი მე, ქისიყის ანაგურელი მირიანაშვილი იოთამ, შვილმან ჩემ[მ]ან
შანშე, სახლისა მომავალმან ჩემ[მ]ან ყოველმავე შენ, როსტომაშვილს ალავერ-
დას, შვილსა შენს გიორგის, დანელასა, სახლის[ა] მომავალსა შენსა ყოველ-
თავე;—მას უამსა, როდეს დამეჭირა და მოგიდეგი კარსა შენსა, მოგყიდე ჩემი
ყმის შვილი გიოა, გამოგართვი ფასი სრული, რითაც ჩემი გული შესჯერდე-
ბოდა. არა დარჩა ჩემი თქუენს კელთ არც არა ერთი იოტის ფასი. მოგცეს
და გიბედნიაროს ღ[მერ]თ[მა]ნ, რარიგადაც მრავალს ალალს ნასყიდს მართებ-
დეს. არვინ შემოგეცილოს თუინიერ ერთის ღვთის შეტი. თუ ვინმე შემოგეცი-
ლოს, თუ, ან ჩემი განაყოფი, ან ჩემი სახლის კაცი, ან ამ ბიჭის მამა და ნა-
თესავი, პირისა და პასუხის გამცემი მე ვიყო . . . თუ ამ ბიჭი გიოას თავზე
შენ გიშავდეს რამე, ან წამოდავებით, ან გაპარვით, მე კობიაშვილი ზა[ა]ლ

პასუხი გაგცე. ორის ამისი მოწამე ასისთავი იაკოფ +, მარუთაშვილი აკოან-დილ +, იეზდანა[ან]თ ნასყიდა [], ათაბეგაშვილი მამოვა [], მე, გომ-შატალა[ა]ნთ საფარის დამიწერია, მოწამეცა ვარ. დაიწერა ესე წიგნი და მტკი-ცე სიგელი თებერვლის რვას გასულს, ქორონიქონის უ. +¹

545. 1719 წ. ივლისის „დამდეგს“. წისქვილის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ესაია მცედ-ლის-შვილის მიერ დავით-გარეჯის მონასტრის წინამძღვარ ონოფრესადმი; საბუთი დავით-გარეჯის მონასტრისა. დედანი. 45,5 × 12,6 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია თითო, ორ-ორი ან სამ-სამი წერტილი. თარიღად აქვს 1719 წ.—საქ. მუხ., № 478 Ad.

ქ. . . . ესე ნასყიდობის წიგნი დაგიწერე და მოგეც მე, მცედლის-შვილმა ესაიამა და მამა ჩემა რამაზამა და ჩემა ძმამა დემეტრემა თქვენ, ბატონს ჩემს შემიდის დავითის წინამძღვარს ონოფრეს და სულა ერთობით კრებულთა თქვენთა;— ასე რომე საქმე გამიშირდა და სხვა ილაჯი და ლონე ვერა ვჭენ და თქვენ შემოგეხვეწე და მოველ და წისქვილი მოგყიდე იორჩე ჩემი ნასყიდი და აშენებული და ჭირნახული ორი თვალი ღოლაბი, მოგყიდე და გამოგართვი ფასი სრული და უნაკლულო, რითაც ჩევნი გული შესჯერდებოდა და შიგავ იმ ჩემგან მოსყიდულს რუში ერთი წისქვილის წყალი რომ წამოვიყვანო, თქვენგან საყვედური არ იყოს და რუს ზემოთ რაც ერთი გუთანი გაიშლება განხე და წისქვილს წინ ივრამდი, რაც ის თავი და ბოლო გაიტანს და ვინც ამისი მოცილე და მოლაპარაკე გამოჩნდეს, პასუხის მიმცემი მე ვიყო. არიან ამისნი მოწამენი და დამჯასებელნი და შემრიგებელნი შემიდის ნინოს სახლთუხუცესი ბერი, ელიოზის-შვილი ოთარი, ამბრუაშვილი ბერი, აზარიაშვილი ქიტესა, მოძმანაშვილი მამისიმედი, ჩემი განაყოფები: გიორგი, იმისი შვილი პეტრე, კიდევ ჩემი განაყოფი დავითა და მე მგალობელს იაკობს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა ესე წიგნი მეათათვის დამდეგს, ქორონი]-ქონის უ. + + +²

546. 1722 წ. მაისის 24-ს. მამულისა და ყმის წყალობის წიგნი, მიცემული კოსტანტინე მეფის მიერ ალიყულიბეგ გარაყანიძისადმი. დედანი. დახეული, ნაწილობრივ დაკრებული. 101,5 × 27 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო, ორ-ორი, სამ-სამი წერტილი ან სამი წერტილი მძიმით—საქ. ც.—არქ., ფ.—, № 2327.

შაჲ სულ თან უსეინის აგან

ქ. . . . ჩემ ღუ|თივ-აღმატებულმან, ღუ|თივ-დამყარებულმან, სკიპტრო-სან-პორტიროსანმან, ღუ|თივ ზეცით გვირგვინოსანმან იესეან-დავითიან-სო-

¹ სათაური სხვა ხელით: ქ. ჩემი ყმა გიოას ნასყიდობის სიგელი არის. ქორონი]-ქონის უ.

² სათაური სხვა ხელით: იორზე წისქვილისა.

ლომონიან-პანკრატიონმან, დიდისა და ცათა სწორის ირანის ხელმწიფის¹ შვილურათ გაზღილმან და მათგანვე გახელმწიფებულმან კახეთის, შამშადილუსი და ყაზახის მპყრობელ-მქონებელმან მეფეთ-მეფემან და თვით ხელმწიფემან პატრონმან კოსტანტინემ და თანამემცხელრემან ჩვენმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან ფერიჯპან-ბეგუმ, ძმამან ჩვენმან საყვარელმან კახეთის ჯანიშინმან ბატონის-შვილმან პატრონმან (თამი)ურაზ, რიზაყულიმირზამ, მუსტაფაყულიმირზამ, ძმის წულმან ჩვენმან მაჭმალდმირზამ, ალიმირზამ და ერეკლემ ესე ამიერით უკუნისამდის უამთა და კანთა გასათავებელი, სამკვიდროთ და საბოლოო]თ გამოსადეგი მტკიცე და უცვალებელი წყალობისა წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩვენსა ერთგულსა და წესისებრ თავდადებით მრავალ გვარათ ნამსახურსა ყმასა გარაყანიძეს ალიყულიბეგს, ბიძას-შვილსა შენსა მანუჩარს, ძმასა შენსა გიორგის, შვილსა შენსა ქაიხოსროს და შამუქას, ძმის-წულსა შენსა ფარემუზს, ბიძაშვილსა შენსა ზურაბს და რევაზს;— ასე და ამა პირსა ზედან, რომე რადგან ალიყულიბეგ ბატონის მამის ჩვენის გაზღილი და დიდათ ნამსახური იყავ და ჩვენც დიალ ბევრიგათ გვემსახურე ისპა[ა]ნს თუ სხვაგან სადაც და მოგვიდეგით კარსა დარბაზისა ჩვენისასა და ერწოს თქუენს სამკვიდროს სოფელს გორანისა და თოლეჯის წყალობას დაგვიაჯვენით, ჩვენც ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, რადგან ძველათგანც სამკვიდრო თქუენი ყოფილიყო და გიბოძეთ ერწოს სოფელი თოლეჯი და გორანს ოთხი კვამლი, თოლეჯს გლეხი ბესალაშვილები ბერი კვამლი ერთი, ბესალაშვილი გამახარე კვამლი ერთი, ბესალაშვილი თანდილა კვამლი ერთი, ბესალაშვილი ოტია კვამლი ერთი, ბესალაშვილი გიორგი კვამლი ერთი, ბესალაშვილი ირემა კვამლი ერთი, პეტრიას-შვილი მანთური კვამლი ერთი, პეტრიაშვილი გიორგი კვამლი ერთი, გორანს შამაზას - შვილი ჯაბანა კვამლი ერთი, შამაზაშვილი გამიხარდი კელი ერთი, ხუცის-შვილი გამახარე კვამლი ერთი და მარიკას - შვილი პაპუნა კვამლი ერთი, ესენი მათის მთით, ბარით, წყლით, წისქვილით, საკავითა, ლკნა]ვით, ხოდაბუნით, ველითა, ვენაკითა, შეს[ა]ვლითა, გას[ა]ვლითა, ყოვლითა მისის სამართლიანის სამძღვით, დღეს რისაც მქონებელნი იყუნენ, გვიბოძებია თქუენთვის და შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათვის. გქონდესთ და გიბედნიაროსთ ლმერითმან ჩვენს სამს[ა]ხურსა და ერთგულობაში. არ მოგეშალოს ჩვენგან და არცა სხვათა მეფეთა და მეპატრონეთაგან. აწე გიბძანებთ, კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო და სხვ[ა]ნო მოსაქმენო, ვინგინდა ვინ იყუნეთ ინუ დღე]ის წალმა იქნებოდეთ, რაგვარათაც ამ ჩვენს ნაბოძებს ფარვანსა შიგან ეწეროს, თქუენც ასე დაუმტკიცეთ და ნუ მოუშლით. დაიწერა ბძანება და ნიშანი ესე ქორონი]ქონ]ს უი, თვესა მაისის კდ. კელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის დაეკითისითა.

შეფე კოსტანტინე

დედოფალიშვილერი ჯაჭან

¹ აქ ცარიელი ადგილია დატოვებული გამოთქმისათვის: შავ სულთან-უსეინისაგან.

ქ. ჩვენ, მეფე სრულიად საქართველოსა მეორე ირაკლი ვამტკიცებთ.
ივნისს ۵, ქ[ორონი]ქ[ონ]ს უნთ.

.
	1			
.

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა პატრიარქი მეფის ქე ანტონი ვამტკიცებთ სიგელსა ამას. ივნისს ۸, ქ[ორონი]ქ[ონ]ს უნთ. ქ[ათალიკო]ზ[ი].³

ქ. ჩვენ, საქართველოსა და კახეთის დედოფალთ-დედოფალი ბატონის დაბიანის ასული პატრონი დარეჯან ვამტკიცებთ. თიბათვის დ, ქ[ორონი]ქ[ონ]ს უნთ.

ვინარსმიზებ არს	შე
ბატონი	
	2
შე	შე
შე	მცდ უძასჭ ღებე

ქ. ჩვენ, ბატონის-შეილი გიორგი ამ ბატონების ბძანების თან[ა]-მოწ[ა]მე ვართ. ივნისის ۳, ქ[ორონი]ქ[ონ]ს უნთ.

მეფის ქე
გიორგი

ქ. ჩვენ, ბატონის - შეილი ლეონ ამ ბატონების ბძანების თანა-მოწამე ვართ. ივნისის ۳, ქ[ორონი]ქ[ონ]ს უნთ.

მრჩობლითა მეფე
ესა ქესა ლეონ
სახელად მეფესა

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოს ქ[ათალიკო]ზ - პატრიარქი მეფის ირაკლის ქე ანტონი წყალობის წერილსა ამას ვამტკიცებ. ნოენბერს კა, ქ[ორონი]-ქ[ონ]ს უჰვ. ქ[ათალიკო]ზ[ი].³

547. 1722 წ. შეწირულობის წიგნი, მიცემული ივანე და სეხნია ელიაშვილების მიერ ღვთაების ხატისადმი. პირი XIX საუკ. $35,4 \times 21,5$ სმ, გადაწერილი ერთ თაბაზ თეთრ ქალალდებ მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის — საქ. მუზ., № 14.255 ს. 1d.

პირი

ქ. . . . ესე ფიცი და პირი და შეწირულობის წიგნი მოგართვი მე, ელიაშვილმა ივანე და ბამა ჩემმა სეხნიამა და შეილმა ჩემმა პეტრე, კიდევ შეილმა ჩემმა იაკობ თქვენ, ცათა მობაძავსა ხატსა ღვთაებისასა და მის ტახტსა ზედა მჯდომარესა უფლისა და ქ[ოვლა]დ სანატრელისა მთავარეფისკოპოზის ბატონს ქრისტეფორეს; — ასე რომ კახეთს ვესახლე ჩოლაყაშვილის წყალობის ყმად და უამთა ვითარებისაგან კახეთი აოხრდა ლექთაგან და ავიყარე და მოველი და შემოგწირე თავი ძმით და შეილებითურთ და დაგვასახლა თავის სასულიეროთ ბატონმა მთავარეპისკოპოზმა თქვენ, პატიოსნის მონასტრისათვის

¹ ასო მთავრულით: ერეკლე.

² ასო მთავრულით: დარეჯან.

³ სემულად.

უკუნისამდე მოუშლელად და ვინც ჩემმა სახლის-კაცმა და ანუ შვილმა და მე ჩემს სიცოცხლეშია შენის ყმობისაგან გამომხობად აელჲოთ და ანუ სხუს მონასტერს ანუ ბერს ანუ ერს ვეყმოთ ჩვენის ნებით, თუ შენმა ეფისკოპოზშა უსამართლო არ გვიყოს და არ გაგვაგდოს და წაგივიდეთ საღმე, ჩვენ გამო-ვემხოთ სასუფეველისა ცათასაგან, პასუხი ჩვენ მოგცეთ დღესა მას დიდისა განკითხვისასა და შენც ტახტსა ზედ] მჯდომელსა ეფისკოპოზის წყევასა შეინ] იყოს უკუნისამდე ვინც ჩემმა სახლის კაცმა შენ გამოგეწიროს. ამინ. დაიწერა ხელითა მგალობლის იაკობისათა ქ[ორონი]ქ[ონ]ს უი.

548. 1724 წ. აგვისტოს 9-ს. აზატობის განახლების წიგნი, მიცემული კოსტანტინე მეფის მიერ ბიძინშ და სხვა ბოსტას-შეილებისადმი. დედანი. დაზიანებული თავში. 42,2×14 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდხე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტ-ყვის შემდეგ ნაბარია ორ-ორი წერტილი—საქ. ც.—არქ., ფ.—, № 2288.

ქ ჩვენ, ღ[უ]თივ-აღმარებულმან, ღ[უ]თივ-დამყარებულმან და ღ[უ]თივ ზეცით გუირგუინოსა[ნ]მან იესეან-დავითიან - სოლომონიან - პანკრატი-ონმან დიდისა და ცათა სწორისა ერანის ხელმწიფის შეილულებრ აღზრ-დილმან, მათგანვე გაკელმწიფებულმან ყარაბალისა შპყრობელმან, ყარაბალის ბეგლარეგმან, ზამშადინის და ყაზახის ხანმან, მეფეთ-მეფემან და ხელმწიფემან პატრონმან კოსტანტინემ და თანამემცხელრემან ჩვენმან დედოფალთ-დედო-ფალმან პატრონმან ფერიჯან-ბეგუმ და საუკარელმან ძმამან ჩვენმან ბატონის-შეილმან პატრონმან თეიმურაზ და სასურველმან ძმისწულმან ჩვენმან პატრონ-მან მამალ-მირზამ, ალი-მირზამ, ერეკლემ, დავით ესე ამიერით უკუნისამდე უამთა და ხანთა გასათავებელი, სამკვიდრო და საბოლოო[ო]დ გამოსაღევი წყა-ლობისა და აზატობის წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ, ჩვენს ერთგულს და მრავალფერად თავდადებით ნამსახურს ყმასა ჩვენსა კიზი(ყე)ლს ბოსტას-შეილს ბიძინას, ბერსა, ონანას, გიოს, პატარეკაცის და რევაზს, შეილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა;—ასე და ამა პირსა ზედან, რომე ძველთაგა-ნაც აზატინი ყოფილიყავით და წიგნები დაგვარგოდათ; აწე მოგვიდეგით კარსა დარბაზისა ჩვენისასა და აელახლა აზატობას გვეაჯენით; ვისმინეთ აჯა და შოსხენება თქვენი და [ა]სე გა[ა]ზატეთ, რომ არა ჩვენი გამოსაღები არა გეთ-ხოებოდეს, არა კოდისპური, არა ლეინ, არა რიგის საკლავი, არა საური და არაფერისთანა საჩვენო გამოსაღები არა გეთხოვებოდეს ლაშქარ-ნადირობისა და კარჩედ სამსახურის მეტი; გქონდეს და გიბედნიეროს ღ[მერ]თ[მა]ნ ჩვენს სამსახურსა და ერთგულობაშივან, არ მოგეშალოს ჩვენგან და არცა სხვათა მეფეთა და მებატრონეთაგან. აწე გიბძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო, კიზიყის მოურაო, ნაცვალო და ასითაო, რაგვარათაც ამ ჩვენს ნაბოძებს ფარ-ვანსა შიგან ეწეროს, თქვენც ასრე გაუთავეთ და ნუ მოუშლით. დაიწერა ბძა-

ნება და ნიშანი ესე მარიამობის თვეს თ, ქ[ორონი]კ[ონ]ს უიბ აელითა ქარისა ჩვენის მღივან-მწიგნობრის დავითისათა.

მეფე კოს
ტანტინე

ქ. ჩვენ, ყოვ[ლ]ისა (?) საქართველოს, ქართლისა და კახეთისა და სხვათა მეფე გიორგი ამ სითარხნის წიგნს ვამტკიცებთ. მაისის კე, ქ[ორონი]კ[ონ]ს უპვ.

გიორგი

549. 1725 წ. ივნისის 13-ს. ნასყიდობის წიგნი, მიცემული ავეტიკა დალაქის მიერ ქაიხოს-რო ჩოლაყაშვილისადმი. დედანი. $39,7 \times 16,5$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდებ მხელ-რული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. მუზ., № 1252 hd.

ქ. ნებითა და შეწევნითა მღეთისათა ესე ამიერითგან და ვიღრე უქუნი-ჭამდე უამთა და ხანთა გასათავებელი, სამკვიდროდ და საბოლოოდ გამოსა-დეგი, მტკიცე და უცვალებელი ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგაროვით ჩვენ, თავრიზელმა ავეტიკა დალაქმა და არექელას-შვილმა და და-ლაქის მასმალა[ს] შვილმა მურალხანმა თქვენ, ჩოლაყაშვილს ქაიხოსროსა და შვილსა თქვენსა გივსა და ედიშერს და გრიგოლსა და ძმისწულსა თქვენსა ქარიმანსა და ავთანდილს და მომავალთა სახლისა თქვენისათა;—ასე რომე თათრის ვალი გვემართა და ცოლშეილით გვატყვევებდა, მოვედით და შემო-გეხვეწენით, თქვენ თქვენის ლეთის გულისათვის დაგვიხსენ, დატყვესებას მო-გვარჩინე და ჩვენი თავი ნასყიდათ მოგაროვით. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან, ვითაც ალალს მონასყიდეს მართებდეს ჩვენი თავი და ცოლშეილი გასაზითვათ გინდოდეს, თუ რადაც გინდოდეს, კელი გეწიფოს და მოიკმარე. არიან ამისი მოწამენი და შუადამხდურნი და გარდამწყვეტელნი თავად ღმერთი და მერმე კაცთაგან იოსებ ქარუმიძე

•
•
•
•
•

ზა თურქისტანის-შვილი¹, გორის მამასახლისი ზალია

მონადთი
სამამასახლი
სიზალ . . .

შვილი ფარსადან ფარსადან, თაყინაშვილი გაბრიელ¹, ამირაშვილი ფარ-

•

სადანა¹; ხითარაშვილი ბაირამა [. . .] და მე ჯავახაშვილს დავითს დამი-წერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა ესე სიგელი თიბათვეს ცამეტს გასულს, ქ[ორონი]კ[ონ]სა უიგ. + +

¹ აქ ბეჭდის დასასმელად ცარიელი ადგილია დატოვებული.

ქ. ჩვენ, ბატონი ამილახორი გივი ამისი მოწამე, ვართ.

.....
ამილახო-
რი

550. 1725 წ. ნასყიდობის წიგნი, მიცემული ბეჭია, თანია და შიომს მიერ წინამძღვარ ონო-
ფრესადმი. საბუთი დავით-გარეჯის უდაბნოსი, № 67 დედანი. 21,3×14,3 სმ, დაწერი-
ლი თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემ-
დევ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღად აქვს 1725 წ.—საქ. მუხ., № 472 Ad.

ქ. . . . ესე ნასყიდობის წიგნი მოგართვით ჩვენ სამთა ძმათა: ბეჭიაშ,
თანიაშ და შიომს თქვენ, ბატონს წინამძღვარს ონოფრეს;—ასე რომე ვალი
გვემართა და ილაჯი არსაით გვ]ქონდა, ახლა მოვედით და შემოგეხვეწენით და
თქუენ დავვიხსენით და მოგყიდეთ ჩვენი თავი, ოთხი თუმანი და ექუსი მინალ-
თუნი გარდმიწყვიტეთ; ჩვენი ძმა თანია მსახურათ მიახლებია მე ბეჭიას და-
რაც შემეძლოს და ან ჩემს ცოლს-შვილს მოუარო და ჩავაცვა და ვასო და ვა-
ჭიმო, ისე ამის ცოლშვილს მოუარო ჩატმითა, სმითა და ჭამითა. რაც მოგვიხ-
სენებია, თუ ამაში გაგიმტყუნდეთ, თქვენი თეთრი სარგებლით მოგართვა,
თვეში თუმნის თავს აბაზი მოგართვა. არიან ამისნი მოწამენი სამ მალალაშვი-
ლი, დათუნა მგალობელი, კანდელაკი დავით, პეტრე დეკანოზი, კანდელაკის
შვილი იონე. მე პახუმს მდიგანთ-მწიგნობართ-უხუცესის შვილს დამიწერია და-
მოწამეცა ვარ. ქ[ორონი]ქ[ონ]სა უიგ. + + +²

551. 1736 წ. აპრილის 7-ს. ოქმი ალექსანდრე მეფისა ქისიყის მოურავ აბელისადმი. დე-
დანი. 19,7×16 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის
ნიშნად ყოველი სიტყვის შემდევ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. ც.—არქ., ფ.—>
№ 2295.

ქ. ჩვენ მაგიერად ქისიყის მოურავს აბელს და ნაზირს ისპეილას ასე უან-
ბეთ! მერმე გავაზხ რაც ენისელთ მოურავს ყმა ყოლია, ისევ იმისათვის გვი-
ბოდებია ისევ და თავისი ყმა ისევ ენისელთ მოურავს მიაბარეთ. როგორც
უმსახურებიათ, ისევ მსახურონ, სხვას კელი ნურავის აქვს. დაიწერა აპრილის
ზ, ქ[ორონი]ქ[ონ]ს უკდ.

ძირმოდე.
დავ. თავდ
ალექსანდრე
ვარსევინი

¹. სათაურები სხვა ხელით: ა. ქ. ჩოლაყა შვილსა.

ბ. ბისა წიგნი არის:

გ. პირთა, რომელთაც თავიანთ თავი უყმიათ ჩოლაყოვის-
თვის(?)

². სათაური სხვა ხელით: თანიას წიგნია.

552. 1736 წ. მაისის „ნახევარს“. ბიჭის „მირთმევის“ წიგნი, მიცემული როინ ჯავახის-შეილის მეუღლის ელექტრის მიერ ამბა-ალავერდელ ნიკოლაოზისადმი. საბუთი ალავერდის ეკლესიისა, № 60. დედანი. 37,5×32,3 სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი—საქ. ც.—არქ., ფონდი—, № 773.

ქ. . . . ესე უკუნისამდე უძმთა და ხანთა გასათავებელი წიგნი მოგართვით, თქვენ ბატონს ამბა-ალავერდელს ნიკოლაოზს ჩვენ, ჯავახის-შეილის როინის მეუღლემ მონაზონმა ელექტრი;—ასრუ რომ ჩემის ნასყიდის მუახლის ბუში ბიჭი ხუთის თვისა მე გავზარდე, ექვსის წლისა თქვენ ბატონს ალავერდელს მოგართვი. სიკუდილამდის თქვენთან იყოს. არავინ გეცილებოდეთ, არა ბატონი, არა ყმა. არას ჩემს შეილს შენთან კელი არა ქონდეს და არც ჩემის შეილების სახლის კაცებს. ცოცხალი და მკუდარი თქვენი იყოს. ვინც ამას თქვენ წამოგედაოსთ, რისხავს ლ[მერ]თი . . . არიან ამის მოწამენი წილქნელ მიტრაპოლიტი ქრისტეფორე¹, სამებელ ეპისკოპოზი იოანე¹, წინამდლვარი ამბაკომ¹, დოლოს წინამდლვარი სვიმონ¹, ჭრემელი დანიელ¹, ხარგაშნელი ზოსიმე¹, და მე მღუდელ-მონაზონს დომენტის დამზერია და მოწამეცა ვარ. მაისის ნახევარს, ქ[ორონი]კ[ონ]ს ულდ². მე დამი[წ]ე[რ]ი[ნ]გ[ე]ბია ყაბულიც. მაქ[ვს] ელის[ა]ბედას.

ქ. ჩვენ, ტფილელ მიტრაპოლიტი ათანასი ამისი მოწამე ვართ. []

ქ. ჩვენ, წილქნელი ამის მოწამე ვართ. ქრისტეფორე³.

ქ. მე, დეკანოზის-შეილი ოსე აშისი მოწამე ვარ. []

ოსე

ქ. ჩვენ, მთავარეფისკოპოზი კირილე ამის მოწამე ვართ. კირილე⁴.

553. 1736 წ. მაისის 20-ს. აზატობის განახლების წიგნი, მიცემული თეიმურას II-ისა მიერ-გიორგი პატიგას-შეილისადმი. დედანი. 37,3×29 სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო აზორ-ორი წერტილი—საქ. ც.—არქ., ფ.—, 2388.

ქ. . . . ჩვენ, ლ[უ]თივ-ალმატებულმან და ლ[უ]თივ-დამყარებულმან და-ლ[უ]თივ ზეცით გვირგვინოსანმან იესიან-დავითიან-სოლომონიან-პანკრატიონ-

¹ აქ ბეჭიდის დასასმელად ცარიელი ადგილია დატოვებული.

² ამის შემდეგ სხვა ხელით.

³ სეულად.

⁴ ბოლოზე სათაური და მინაწერები სხვადასხვა ხელით: ა. როინ ჯავახის-შეილის ცოლის ელექტრისაგან ბიჭის მირთმევის წიგნი. ბ. № 60. გ. ალავერდისა. დ. ბატონი თბილებული ბოჭ[ა]მე. ესეც ნასყიდობა არის.

მან მეფეთ-მეფემან და თვით კემწიფემან პატრონმან თეიმურაზ და თანამეგმან ცხედრებინ ჩვენმან ქართველთ მეფისა ასულმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან თამარმან და პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან ბატონის-შვილმან პატრონმან ერეკლემ ესე ამიერით უკუნისამდის უამთა და ხანთა გასა-თავებელი, სამკუიღროდ და საბოლოოდ გამოსადევი აზადობის წიგნი და სი-გელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ, ჩვენს ყმას თიანელს პაჭიჭას-შვილს გიორგის, ძმასა შენსა დარჩიას და ბიძას-შვილსა შენსა მარტიას და ტურიას, შვილთა და მომავალსა სახლისა შენისასა;—ასე და ამა პირსა ზედან, კურთხეულის პაპის ჩვენის წიგნიც [გ]ქონიდათ აზადობისა, რომ აზადნი ყოფილიყავით და ის წიგნი დაგქარგოდათ. მოხვედით კარსა დარბაზისა ჩვენისასა და კელ-ახლა აზადობას გვიაჯენით; ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და გაგვა]-ზატეთ, რომ არათერი საჩენო არა გეთხოებოდეს-რა, არა კოდისპური, არა რიგის-საკლავი, არა სა[ა]ზატო, არა ტიკი, არა ტომარა, არა ულაყი, არაფრისთანა საჩენო გამოსავალი არა გეთხოებოდეს-რა, ასე გაგვი-თარხნებისარ, ერთის ამის მეტი: კურთხეულს ბებიას ჩვენს წელიწადში წყალ-კურთხევის დღეს ერთს ცხვარს დაუკლავდე, ერთს ხუცეს აწირეინებდე, მე-აღაბეთ დაგვიყენებიხართ. ამის მეტი შენ აღარა გეთხოვებოდეს-რა, ასე გა-გვითავისუფლებისარ. ქონდეს და გიბედნიეროს ღ[მერ]თ[მა]ნ ჩვენს ერთგულო-ბაში და სამსახურში. არ მოგეშალოს ჩვენგან და არცა სხვათა შემდგომთა მე-ფეთა და მეპატრონეთაგან. აწე გიბძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო და თიანეთის მოურაო და ნაცვალო, როგორადაც ფარვანსა ამას შიგან ეწეროს, თქვენც ასე გაუთავეთ და ნუ მოუშენით. დაწერა ბძანება და ნიშანი ესე თვესა მაისს კ, კელითა მდივნის ოთარისათა, ქ[ორონი]კონის უკდ.

თეიმურაზ

ასულო ჩემო, დავით
მრქვა, შენ იყავ
ჩემი ამარი, ვახტანგ
მეფის ასული და დე-
დოფალი თამარი

554. 1736 წ. ივნისის „დამდეგს“. ყმების ნასყიდობის წიგნი, მიცემული კოსტანტილე რო-ბიტაშვილის მიერ კიზიყის მოურავ ახელისადმი. დედანი. დაზანებული თავში. 41×31 სმ. დაწერილი თეთრ ქალადზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. ც.—არქ., ფონდი 226, № 316.

ქ. ესე ნასყიდობის წიგნი და პირი მოგართვი ჩვენ, რობიტაშვილმა კოს-ტანტილემ და ჩემ[მ]ა ბიძაშვილმა ზურაბ თქვენ, კიზიყის მოურა[ვ]ს აბელს, თქვენ, ეშიეალაბაშ თამაზს და დავითს და ყოველს მომავალს ს[ა]ხლის[ა] თქვენისათ[ა];—ასე და ამა პირზედ, რომე ესე ამიერითგან უამთ[ა] და ხ[ა]ნთ[ა] გასათავებელი და მტკიცე და მიზეზ-დაუდებელი, უცილებელი ფიცი და პირი მოგეცით და დაგიმტკიცეთ ჩემი ყმა სულიაშვილი მახარას შეილები მოგყი-დეთ ბეჟან და მამუკა თავისის ცოლით და შეილით ორი ძმანი. მოგყიდეთ,

ავილევით ფასი სრული, რითაც ჩემი გული შეგჯერდებოდათ. არა ტარჩა-რა-ჩენი თქვენზედ ერთი იოტის ფასი. არის ამისი [მოწმე] თავად ღმერთი . . . მეც მომიცია და ჩემ სახლის-კაცსაც. ვინც ნათესავი გამოჩნდეს ვინმე, პირისა და პასუხის მიმცემი მე ვიყო. არის ამის მოწამე ერასტიშვილი დემეტრე [], ზურაბიშვილი დავით +, ოდიშაშვილი მახარობელი +, მე, ბარამიშვილი ედი-შერს დამიწერია + და მოწამეც ვარ ამისი. მთიბათვის დამდეგს, ქორონი-ქონეს უკდ. + +¹

555. 1736 წ. ოქმი ალექსანდრე მეფისა გიო ბებურის-შვილისადმი. დედანი. $19,6 \times 10,4$ სმ
დაწერილი თეთრ ქალალდებ მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი
სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. თარიღი არ უზის: ეკუთვნის ალექსანდრეს
მეფობის დროს—1736 წელს—საქ. მუხ., № 14.207 hd.

ქ. ჩენი ბძანება არის გიო ბებურის-შვილო! მერმე რადგან ეს სიყმა-
შვილები მაგ შენის მამულიდამე აკარეთ და ქიზიყს დავაყენეთ, რაც ამათი
წლევანდელი მოსავალი, ან პური, ან ქერი, ფეტვი, რაც იყოს, ნურას საქმი-
სათვის ნურასა სთხოვ და გაუშვი. თავიანთ მოსავალი თითონ აიღონ და ამას
აქათ შენს მამულში კელი აღარა აქვსთ. თუ გავიგონეთ ამათის (?) მოსაელისა.
გამოგერთმევინოსთ რამე, დიალ გიწყენთ იცოდეთ.

ძირმოდგმით
დავითიანი
ალექსანდრე
ვარ სვიანი

556. 1736 წ. ოქმი ალექსანდრე მეფისა საყდრიონის აზნაურთა და გლეხთადმი. დედანი.
დაზიანებული. გადაქრული ქალალდებ. $28,6 \times 18,3$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდებ
მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო-
წერტილი. თარიღი არ უზის: ეკუთვნის ალექსანდრეს მეფობის დროს—1736 წელს—
საქ. ც.—არქ., ც.—, № 348.

ქ. მეფე ალექსანდრე გიბძანებთ, საყდრიონის აზნაურ-გლეხნო! მერმე ეს
ამდენი ხანი არეულობა იყო, ხან ლექობა და ხან ურუმობა. არაოდეს თქვენ
ეგ ჩენი სასაფლაო არ და[ა]გდევით და მანდაურობას არ გაეცალეთ. აწე რა
ლ[მერ]თი გაგიწყრათ, რომ ეგ ადგილი ასე წა[ა]ხდენინეთი! სად უნდა წამს[ვ]-
ლიყავით, რეყში დამალვით როგორ იქნება? ახლა საყდრიონის ავისა და კარ-
გის საქმის გარიგება და თავობა² ბეჟან მგალობლის-შვილისათვის გვიბოძებია
და მანდ გამოვისტუმრეთ. ამას აქათ მანდაურს საქმესა და გარიგებას ამასა
ვკითხავთ. თუ რომ კარგად გაირჯებით და იმსახურებით, კარგს წყალობას:

¹ სათაური სხვა ხელით: ქ. რობიტაშვილი კო[ს]ტანტილი . . .

² სწერია: თვაობა.

იშოვნით, თუ არა და ხათრიჯამი იყავით, ცაში რომ ახვიდეთ, იქიც ვერ შოგვრჩებით, ლუ]თითა და ბერნიერის ხანის დოკუმენტის ძალით აელში ჩაგი-
ყრით და, თქვენ ხომ ღ[მერ]თმან და კაცმან გარდაგახდევინათ, მაგრამ რაც
დაგაქლდათ, ჩვენ გარდაგახდევინებთ. უბრალოდ ტყეშია კლდეში დავლა
თქვენ არას გამოგადგებათ, ისევ თქვენს ალაგს დაგროვდით და რაც სამსა-
ხური გიბძანოთ. გა[ა]რიგებდეთ და, ღ[უ]თის ძალით, ახლა შიში და ფიქრი
ალარ არის. როდისაც გინდათ, ჩამოდით, გვიახელით და გასარიგი საქმე
გქონდესთ, გაირიგეთ და ისევ წადით. რადგან თქვენი თავობა და უფროსობა
ბეჭან მგალობლის-შვილისათვის შიგვიცაა, იმის რიგსა და სიტყვას ნუ გარდა-
ხვალთ და იმითით გაირიგებდეთ საქმეს, ისე მოგვახსენებდეთ ხოლმე და, რაც
კაცნი ამას არ ითავებს, მწვედ გაუწყრებით და კიდეც გარდაგახდევინებთ.

ძირ მოდგმით
დავითიანი
ალექსანდრე
გარ სვიანი

557. 1737 წ. მარტის 6-ს. წყალობის წიგნი, მიცემული თეიმურაზ II-ის მიერ ერთობლივ
კარდანეხლთაღმი. დედანი. 37,6×29,5 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე შხედრული
ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყაველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—
საქ. ც.—არქ., ფონდი 226, № 3169.

ქ. . . . ჩვენ, ღვითივ-აღმატებულმან და ღვითივ ზეცით გვირგვინო-
სანმან იესიან-დავითიან-სოლომონიან[ნ]-პანკრატოვანმან მეფე[მა]ნ და
თვით კემშიფემან პატრონმან თეიმურაზ და თანამეცხელემან ჩვენმან ქარ-
თველთა მეფის ვახტანგის ასულმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმა თამარ
და ძმისწულმან ჩვენმან სასურველმან პატრონმან მეფე ალექსანდრემ და საყვა-
რელმან ძემან ჩვენმან ერეკლემ და ძმის-წულმან ბატონიშვილმან ნაზარალი-
მირზამ და ძემან ჩვენმან იოანემ და ძმის წულმან ჩვენმან ასან-მირზამ ესე ამი-
ერით უკუნისამდენ უამთა და ხანთა გასათავებელი, სამკვიდრო და საბოლოვლი
გამოსალევიშწყალობისა წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ, ჩვენს
ერდგულს და დიდათ ნამსახურს ყმასა ჩვენსა ერთობლივ კარდანეკელთ დიდისა
და პატარას;—ასე და პატა პირსა ზედან, რომე ძევლადგანაც სახასო და ჩვენი
ყმა ყოფილიყვენით და ძველი ჩვენის სახლის მეფეთა და მეპატრონეთაგან
წიგნი და საფიც[ა]რი გქონდათ და გაგჩჩირიკეთ, რომე ჩვენი სახასო ყოფი-
ლიყვენით და ფამთა ვითარების[ა]გან თავადიშვილებს მისცემოდა. ახლა ჩვენს
ძმის-წულს მეფე ალექსანდრეს მოკითხული ექნა დარბაზ[ა]ისელთა კითხულობით,
ძველი საფიცრებიც ენახა კიდემ, პელახლა სახასოდ დაედგენით. ახლა ჩვენც
მოკითხული ვქენით, სახასო[დ] დაგდევით. არას დროს ჩვენ არც გაგცეთ და
არც ეს ჩვენი] სიგელი მოგიშალოთ, როგორადაც სხვა სახასოს ყალანი გამო-
სალები ედვას და ან ახლა, თქვენ ისე იმსახურებოდეთ შეძლებით და ჩვენც
ძველის საფიცრის პირით დაგიმტკიცეთ. აწე გიბძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ-

ვეზირნო და კიზიყის მოურაო, ნაცვალო და ქვენც ასე დაუმტკი-
ცეთ და ნუ მოუშლით, რომ კიზიყზედ დაგვიდვია. ერთი მოურავი და ნაცვა-
ლი ერთი იქნებოდეს და ას . . თა[?] დაიწერა ბძანება და ნიშანი ესე მარტის
ვ, ქორონი]ქონ] უკვ პელითა მდიგან-მწიგნობრის ზურაბისათა.

ქ. ასულო ჩემო, დავით მრევა, შენ იყავ ჩემი ამარი, ვაზრანგ მეფისა ასული [და დე- დოფალი თამარი]
--

558. 1737 წ. მარტის 10-ს. მოურავის ნაცვლობისა და დალის გამოურთმევლობის წიგნი,
მიცემული ალექსანდრე მეფის მიერ დათუნა სუხიას-შვილისადმი. დედანი. $40,7 \times 24,5$ სმ,
დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტ-
ყის შემდეგ ნახმარია ორ-ორი ან სამ-სამი წერტილი—საქ. ც.—არქ., ფონდი 226,
№ 113.

ქ. . . ჩვენ ღ[უ]თივ-აღმატებულმან, ღ[უ]თივ-დამყარებულმან და ღ[უ]თივ
ჰეცით გვირგვინოსანმან იესიან-დავითიან-სოლომონიან და (sic) პანქრატიონმან
მეფეთ-მეფემან და თვით კემწიფემან პატრიონმან მეფემ ალექსანდრემ და თანა-
მემუტედრემან ჩვენმან დედოფალთ-დედოფალმან პატრიონმან მარიამ და სასურ-
ველმან და საყუარელმან ბიძას-შვილმან ჩვენმან, ბატონის-შვილმან პატრიონმან
ერეკლემ, პატრიონმან ბაგრატ-შირზამ და ძმის-წულმან ჩვენმან პატრიონმან ასან-
მირზამ ესე ამიერით უკუნისამდის უამთა და ხანთა გასათავებელი, სამკუიდროთ
და საბოლაოთ გამოსადევი წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ, ჩვენს ყმას
პანქისელს სუხიას-შვილს დათუნას, ძმასა შენსა გიორგის და შვილთა თქუენთა
დავითს და ზაზას, შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა;—ასე და ამა
პირსა ზედან, მოხვედით კარსა დარბაზისა ჩვენისასა და თქუენის მოურავის
ნაცვლობას და შენის მოკნულის ალონში ლალის გამოურთმელობას გვიაჯენით
და კურთხეულს მამა ჩვენსაც წიგნი ებოძებინა, რომ ალონში არას დროს
დალა არ გამოგერთოსო თქუენის ნაკავისა. ის წიგნიც მოგვართვით და გა-
გვაშინჯეთ; ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და გიბოძეთ შენის მოურავის
ნაცვლობა და შენის მოკნულის გამოსავალი ლალა არას დროს არ გამოგერ-
თოს არა ჩვენგან და არცა ჩვენთა შემდგომთა მეფეთა და მეპატრონეთაგან.
ქონდეს და გიბედნიაროს ღ[მერ]თ[მა]ნ ჩვენს ერთგულობასა და სამსახურსა
შიგან. აწე გიბძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო და სხვანო მოსაქმენო,
რარიგათაც ამ ჩვენს ნაბოძებს ფარგანსა შიგან ეწეროს, თქუენც ასე დაუმტ-
კიცეთ და ნუ მოუშლით. დაიწერა ბძანება და ნიშანი ესე მარტის ი კელითა
მდიგნის ოთარისათა ქ[ორონი]ქ[ონ] უკვ.

ალექსანდრე	მარიამ
• • •	• • •

ქ. ჩვენ, ს[რულია]დ საქართველოს დედოფალი დარეჯან წიგნსა ამას უამ-
ტყიცებთ. ოკლობრის ლ, ქ[ორონი]ქ[ონ] უპთ.

დედოფლ დარეჯან

559. 1737 წ. აგვისტოს 20-ს. აზატობის წიგნი, მიცემული ალექსანრე მეფის მიერ იო-რამ ქინქლაძისადმი. დედანი. დაზიანებული (თავში). 24,3×18,8 სმ, დაწერილი თეთრ ქალადზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმა-რია საზამი წერტილი. თარიღად აქვს 1737 წ.—საქ. მუზ., № 240 sd.

ქ. . . . ჩვენ, ლ[უ]თივ - ალმატებულმან, ლ[უ]თივ - დამყარებულმან და ლ[უ]თივ ზეცით გვირგვინსანიან იესიან-დავითიან-სოლომანიან-პანკრატიონ-მან მეფეთ-მეფემან და თვით კემწიფემან პატრონმან ალექსანდრემ და თანა-მემცხედრემან ჩვენმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან მარიამ და ბიძა-მან ჩვენმან ბატონმან თემიშრაზ და ბიძას-შვილმან ბატონის-შვილმან პატრონ-მან ერეკლემ და ბაგრატ-მირზამ და საყუარელმან ძმისწულმან ჩვენმან ბატო-ნის-შვილმან პატრონმან ასან-მირზამ და პატრონმან იოვანემ ესე ამიერით უკუნისამდის უამთა და ხანთა გასათავებელი, სამკუიდროთ და საბოლოოთ გა-მოსადეგი აზატობის და თარხნობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბო-ძეთ შენ, ჩვენს ყმას ერწოველს ქინქლაძეს შამაზას შვილს იორამს, ძმასა შენსა მათეს, ლთისავარს, პავლეს, ნიკოლოზს, პეტრეს და მარტიას, შვილთა და მომა-ვალსა სახლისა თქუენისასა;—ასე და ამა პირსა ზედან, მოხვედით კარსა დარ-ბაზისა ჩვენისასა და კურთხეულის პაპის ჩვენის საფიცარი მოგვაროვით და, რაგვარადაც წყალობა ექნა და ეაზატებინეთ, გაეშიჯეთ და ჩვენც იმრიგათ გაგვიაზატებიხართ, რომ არაფერი საჩვენო გამოსალები არა გეთხოვებოდეს, არა კულტი, არა კოდისპური, არა საკლავი, არა ულაყი, არა ტიკი და არა ტომარა, არაფერი საჩვენო გამოსალები არა გეთხოვებოდეს-რა, ასე გაგვითარხ-ნებიხარ, ერთის ლაშქარ-ნადირობის მეტი და კარზედ სამსახურის მეტი. არ მოგვშალოს ჩვენგან და არცა სხვათა შემდგომთა მეფეთა და მეპატრონეთა-გან. გქონდეს და გიბედნიაროს ლ-თნ ჩვენს ერთგულობასა და სამსახურსა შიგან. აწე გიბძანებ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო და ერწოს მოურაო, თქუენც ასე დაუმტკიცეთ და ნუ მოუშლით, რაგვარათაც ამ ჩვენს ნაბოძებს ფარვანსა ამას შიგან ეწეროს. დაიწერა ბძანება და ნიშანი ესე მარიანობის (sic) თვეს გასულს კ კელითა მდივნის ოთარისათა, ქ[ორონი]კ[ონ]ს უკე. |——|

560. 1737—1746 წლ. ბრძანების წიგნი, მიწერილი თემიშრაზ II-ის მეუღლის თამარ დედოფლის მიერ კიზიყის მოურავ გიო [ბებურის-შვილისადმი]. დედანი. 32,1×10,7 სმ, დაწერილი თეთრ ქალადზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტ-ყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარილი არ უზის: მისი მიმღები იგივე წინა საბუთის (იბ. აქვე, № 14.207 hd) მიმღები გიო ბებურის-შვილი უნდა იყოს; ეს საბუთი კიდეც იხსენიებს იმ წინა საბუთს და მის მიმცემ ალექსანდრე მეფეს; უკანასკ-ნელი მეფობდა 1736—1737 წ.-წ.; ცხადია, საბუთი ამ მეფის შემდეგ (1737 წლ. აქეთ) არის დაწერილი; მისი მიმცემი თამარ დედოფალი გარდაიცვალა 1746 წლს. მაშასა-დამე, საბუთი დაწერილია 1737—1746 წლებში—საქ. მუზ., № 2541 hd.

ქ. ჩვენ მაგიერად ჩვენსა დიდს იმედთ და დიდათ იმედათ მისაჩენელ-მი-სახედავს, აროდეს არ დასავიწყარს ნიადაგ უამ მათ საკადრისად მოსაგონარ-

სახსენებელს კიზიყის მოურავს გიოს მრავალი მოკითხვა და ამოდ ყოფნის სიხარული მოახსენეთ. მერმე წიგნი მოგეწერათ და რაც მოგეხსენებინათ, ყველა შევიტყევით. მაგაზედ ხათრი-ჯამი იყვენით, რომე თქვენი დასაკლისი და საზიანო ჩვენ არვის გაუგონოთ. მართალია სიყმაშვილმან თავისი მამულის და ბატონების წიგნი საფიცარი გვაჩვენა, დიდათაც შეესწუხდით, რომე ის საფიცრები მოგვიტანა. მერმე, როგორც რომე თქვენთვინ იმისი მამული მოეცა ალექსანდრე მეფეს, ისევ ძველს საფიცარზედ თითონ დამტკიცებინა და ჩვენ რა უნდა მექნა? მაგაზედ ხათრი ნუ დაგრჩებათ რამე, ჩვენ იმ საფიცარს ვერც მოვშლიდით, არც იქნებოდა. ღ[უ]თით, ჩვენც მანდ ჩამოვალთ ამ ცოტას ხანში და, რომელიც მუნასიბი არის, იმას ვიქთ. ღ[მერ]თ[მა]ნ იცის, რომე დიდათ მწყალობელი ვართ. ეგ არა და სხვასაც წყალობას გიზამთ, არც თქვენზე სიტყვას ვათქმევინებთ ვისმე.

ასულო ჩემ დავით მრეჭა შენ იყავ ჩემი (ვარი) ვახტანგ [მეფისა] ასული და დედოფალი თამარი]
--

561. 1738 წ. მარტის 6-ს, ნასყიდობის წიგნი, მიცემული იასე თულაშვილის მიერ თიანეთის მოურავ გრიგორიასადმი. დედანი. $31,8 \times 10,8$ სმ, დაწერილი თეთრ ქალადზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნამარია თითო ან ორ-ორი წერტილი. თარიღად აქვს 1738 წ.—საქ. მუხ., № 13027.

ქ. ესე ნასყიდობის წიგნი მოგეც მე, თულაშვილმა იასემ თქვენ, ბ[ა]ტონს სალთხუცეს ბ[ა]ტ[ო]ნს გივს, თქვენს ძმას თიანეთის მოურავს ბატონს გრიგოლს; — ასე რომე ალებ-მიცემობდი და თქვენგნითა ხუთი თუმანი თეთრი ავილე და წაველ ქალაქს სავაჭროთა. დამხდენ ლოჭინზედა, დამიკირეს, თეთრიც ლეკებმა წაიღეს და მეც დამიჭირეს და წამიყვანეს, ბელაქანში ჩამიყვანეს, ორი კვირა ბელაქანში ვყვანდი, მასუქან დალისტანში წამიყვანეს, იალალიდა[გ] გამოვებარე და მოველ და თქვენ თეთრს დამიწყევით თხოვნა და თამასუქიც ასეთი [გ]ერნდათ და პირობაც ასეთი მოგართვით, რომე თქვენი თეთრი არ დაიკარგებოდათ. მე ხომ არა მებადა-რა და ჩემი თავი ნასყიდათ მოგეცით ლა, თუ ღმერთმან შამაძლებინა და თქვენი ხუთი თუმანი მოგართვა, და მე ისევ თავი დამანებეთ თქვენს სადლეგძელოთ. რაც სარგებელს დაგპირდი, ის სარგებელიც მაპატივეთ. არის ამისი მოწამე ტუსი-შვილი ბოქოულთხუცესი გიორგი, მოსახლე ჭიქია, ყარაგოზის-შვილი გივი, ზურაბა ტუშური, დათუნა მათურელი, თაღა გუგუტაშვილი, თამაზა მარაული. მე სუფრაჯს გივს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა თვესა მარტსა ექვსს, ქ[ორონი]ქ[ონ]ს უკვ

| + |

ქ. ამ ნასყიდობის წიგნს გარდა ერთი ხმალი მიბოძეთ, რვა ძროხათ გაფყიდე, ორი ცხენი გამატანეთ და ისიც რვა ძროხათ გაფყიდე. სულ ხლმით და ცხენით და თეთრითა სულ თორმეტი თუმანია. არის თქვენი ჩვენზედ, უნდა რომ მოგართო მე იასე თულაშვილმა. არის ამისი მოწამე მოსახლე ხმ (?)

აბრამა ნაცვალი და მე ქრისტეფორე ანანიაშვილს მღვდელს დამიწერია ამ ია-
სეს თულაშვილის სიტყვით და მოწამეც ვარ. მყათათვის თ, ქ[ორონი]ქ[ონ]ს
ულთ. +

562. 1738 წ. ივნისის 23-ს. ოქმი თამარ დედოფლისა იასე ეშიკალასბაშისადმი. დედანი.
19,2×10,6 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად
ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. ც.—არქ., ფონდი 226,
№ 3524.

ქ. ჩვენი ბძანება [ა]რის¹ ეშიკალასბაშო იასე, მერმე რაც ენდრონიკაშვი-
ლის ყდა და მიმული მოურავს ეპიროს მელაწანში თუ შიბლიანში, ფხოველში,
ვეჯინ-გურჯა[ა]ნში ყდა ეპიროს, ყველაზედ აელი იუმართე და დემეტრეს მო-
ბარე. ამის სამკეიდრო მამული იყო, ამ[ა]ს წყალობა უყავით. მოურავს აბელს
კელი ნულარა აქვს. თიბათვის კგ, ქ[ორონი]ქ[ონ]ს უკვ. ძამიშრი (?) და ოტიას
ახო ხოდაბუნიც მოაბარეთ.

ასულო ჩემო
მრექა შენ იყავ
ჩემი ამარი ვაზტანგ
· · · · ·

563. 1738 წ. ნოემბრის 12-ს. სითარხის წიგნი. მიცემული თეიმურაზ II-ის მიერ მახა-
რობელ ჩალანთას-შვილისადმი. დედანი. დაზიანებული, დაკერებული. ზომა (დედონისა)
37,2×25,5 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად
ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი—საქ. ც.—არქ., ფ.—, № 2385.

ქ . . . ჩვენ. ლ[უ]თივ - აღმატებულმან, ლ[უ]თივ - დამყარებულმან და
ლ[უ]თივ ზეცით გვირგვინოსანმან იესიან-დავითიან-სოლლომნიან-პანქრატოვან-
მან მეფეთ-მეფემან და თვით კემწიფემან პატრონმან თეიმურაზ, თანამეცხედ-
რებან ჩვენმან ქართველი მეფეთ-მეფის ვაზტანგის ასულმან დედოფალთ-დე-
დოფალმან პატრონმან თამარმა, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან
პატრონმა ერეკლემ და იოვანემ და საყვარელმა ძმისწულმა ჩვენმა ასან-მირზამ
ესე ამიერით უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და უცვალე-
ბელი სამკვიდროთ და საბოლოო[ო]თ გამოსადეგი აზატობისა და სითარხნის
წყალობის წიგნი გიბოძეთ შენ, ჩვენს ერთგულს და დიდათ ნამსახურსა ყმასა
ჩენსა კარდან[ა]ქელს ჩალანთას-შვილს მახარობელს, ძმასა შენსა მუსას, კაციას,
ძმის-წულსა შენსა სეიმონს, გიორგის, შვილოა და მომავალთა სახლისა თქვე-
ნისათა; — ასე რომე შენ ჩვენ შვილს ერეკლესთან ყე[ე]ნის კარზე გაგ[გ]ზავნეთ;
ეს წყალობა გვიქნია, გაგვიაზატებითარ ასე, რომე არათვერი საჩვენია და სა-
კემწიფო გამოსალები არა გამოგერთოს რა, არა საძალო საქმე, არა კოდის-

¹ უკანასკნელი ორი სიტყვა ტექსტში სწორია: ბძანებარის.

² მინაწერი სხვა ხელით: ქ. ძამაურის და ოტიას აზოსი აქმია.

პური, არა ლვინო, არა ჩიგის საკლავი, არა ყალანი, არა ტიკი, არა ტომარია, არცა საბელი, არაფერი არა გამოგერითოს-რა ასე გაგვიაზატებიხარ. არა მოგე-შალოს ჩვენგან. არცა სხვათა შეფერთა და მეპატრონეთაგან. ქონდეს და გიბედ-ნიეროს ღ[მერ]თ[მა]ნ ჩვენსა და ჩვენის შვილის ერეკლეს ერთგულობასა და სამსახურში. აწე გიბძანებ კარისა ჩვენისა გეჭილ-გეზირნო და სხვანო ჩვენო მოსაქმენო, კიზიყის მოურაო, ნაცვალ-ასისთაო და ქევხებო, როგორათაც ამ ჩვენს ნაბოძებს ფარმანშიგან ეწეროს, თქვენც ასე დაუმტკიცეთ და ნუ მოუშ-ლით. დაიწერა ბძანება და ნიშანი ესა გიორგობისთვეს იბ კელითა მდინის-შვილის სოლომონისითა, ქ[ორონი]კ[ონ]ს უკვ.

ოფიმურაზ	ასულო . . . მრაქვა . . . : . . . : . . . : . . . : . . .		
----------	---	--	--

ქ. ჩვენ, ყოვლისა ზემოხსა საქართველოსა კახეთისა და სხუათა მეფე იჩაკლი მეორე ვამტკიცებთ ნეტარ-ხსენებულის ბატონის მამის ჩვენისაგან ბოძებულს სითარხნის წიგნსა ამას. ნოემბერს კზ, ქ[ორონი]კ[ონ]ს უპა.

.	:	ერეკლე ¹	:	.
-----------	---	----------	---	---

ქ. ჩვენ, ყოვლისა ზემოისა საქართველოსა და კახეთისა დედოფალი და-დიანის ასული პატრონი დარეჯან მის უმაღლესობის ბატონის ბძანებას ვამტ-კიცებთ. გიორგობის ლ, ქ[ორონი]კ[ონ]ს უპა.

დუღი
დარეჯან

ქ. ჩვენ, საქართველოს უფლის-წული მეფის ძე გიორგი ნეტარად ზენე-ბულის] ცხებულის მეფის ბატონის პაპის ჩვენისაგან ბოძებულს სითარხნის სიგელსა ამას ვამტკიცებთ. ივლისის კდ, ქ[ორონი]კ[ონ]ს უპა.

გიორგი

564. 1739 წ. წიგნი, მიცემული აბიბოს რუსიშვილის მიერ ელო ჩაბარუხისადმი. დედანი.

32×10,2 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი—საქ. ც.—არქ., ფონდი—, № 951.

ქ. ესე წიგნი მოგეც მე, რუსიშვილმა აბიბოს და ბიძაშვილმა ზაქ]ლ შენ, ჩაბარუხს ელოს და შვილსა შენსა ტურიას;—ასე რომე ლეკისაგან დასტუცვევდი და ახლა ვერა შამოგაწივე-რა, ორის დღის მიწ[ა] თენალში ტალიაშვილის მიწ[ა] მოგეცით გარღიგარდმო, თავში ტურიკაშვილის მიჯნამდი, აქათ უჭრის(?) წ[ა]რაფამდი, ზემოთ ცეცხლაშვილის მიჯნამდი, ქვემოთ ზუბიტაშვილის მიჯ-ნამდი. მოგეცით ყოვლის კაცის უცილებლათ, რომ ღთის მეტს კაცს კელრ არა ქონდეს. არის ამისი მოწამე თავათ ღმერთი . . . კაცთაგან სვიმანიშვილი

¹ ასომთავრულად.

პატარკაცი, შარმაზან მირიანაშვილი, გიორგი ბუშელაშვილი (?), ბასილა სალთ-ხუცესი, მკევლიშვილი მანაველი, ჩახტაური ნადირა. ამათის მოწმობით და თავდებობით მამიცა და შამიწირავს ნეკრესლის მღთიშობლისათვის. მე აბი-ბოს რუსიშვილს დამიწერია და ყაბულიცა მაქვს ამისი. დაიწერა ეს წიგნი ქ[ორონი]ქ[ონ]ს უკჲ. | | | |

565. 1740 წ. აგვისტოს 29-ს. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ბერი და ბაგრატ ჭა-ლავანდის-შვილების მიერ ბებურ და ომან ბებურის-შვილებისადმი. დედანი. 57×24,3 სმ, დაწერილი თეთრ ქალადზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტ-ყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი—საქ. მუზ., № 2560 1id.

ქ ესე ამიერითგან უკუნისამდე უამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და ყოვლის კაცის უცილებელი, შვილთა და შვილის-შვილთა გამოსა-დეგი ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, ფალავან-დის-შვილებმა ბაგრატის შვილმან ბერმან და ძმამან ჩემმან ბაგრატ თქვენ, ბებურის-შვილებს ბებურს, ძმასა თქვენსა ომანს, შვილთა¹ და მომავალთა სახ-ლისა თქვენისათა;—ასე და ამა პირსა ზედა, როდეს რომ ავის დროსაგან ქვე-ყანა აიყარა მტრის მიზეზით, მაშინ ჩვენი ალალი მემკვიდრე ბარათში გამო-ტანილი ყმა გოჩაბა თავის ცოლითა და შვილითა მარტო ესე თქვენში ჩამო-სულიყო და იქ დასახლებულიყო. რადგან არც თვითან მოინდომა² აყრა და წამოსულა, არც ჩვენ დავატანეთ ძალა და თქვენ მოგართვით ეს კაცი და რა-საც ჩვენი გული შეგჯრდათ, ფასი გამოგართვით. არავინ იყოს ამისი მოცილე, და მოდავე, არც ბატონი, არც ყმა, არა ჩვენის სახლის კაცი. თუ ვინმე ამ ჩვენგან გამოსყიდულს კაცს წამოგედაოს, პირისა და პასუხის გამცემნი ჩვენ. ვიყუნეთ. გყუანდეს და გიბელნიეროს ღმერჩითმა, შენს ერთგულად სამსახურში მოგაყაროს. არის ამისი მოწამეთ თავად ღმერჩით, კაცთაგან დამხდური და-გამრიგე მაჩაბელი ბარძიმ³, მოურავიშვილი ქაიხოსრო [], ჩემი სალთხუცესი-ზაზა ლაშეიშვილი⁴? მე, ჯვარის საყდრის დექანობს იოანეს დამიწერია ამათის-სიტყვითა და მოწამეცა ვარ. დაიწერა აგვისტოს კთ, ქ[ორონი]ქ[ონ]ს ულც.

ეს ჩემი კ[ე]ლ[ი]ა, ყაბული მ[ა]ქ ამ[ი]სი ბ[ე]რს⁵ [].

მე, ბაგრატის დამიწერია ეს. ყაბულიც მაქვ. []

ქ. ჩვენ, პატრონ მეფე ერაკლე ამრიგათ ვამტკიცებთ, რარიგათაც აშ ნასყიდობის სიგელსა შიგან სწერია. ეს ფალავანდის-შვილები და ბებურის-შვილს თავისის ნება-წადილით ჩვენ წინაშე ასე შერიგდენ. აგვისტოს ლა, ქ[ორონი]-ქ[ონ]ს ულც⁶ [ირაკლი]

¹ აქ სხვა ხელით დამატებულია სტრიქონს ზევით: ივანეს.

² აქ ბეჭდის დასასმელად ცარიელი ადგილია დატოვებული.

³ სხვა ხელით.

⁴ სწერია: ულც.

566. 1740 წ. სექტემბრის 22-ს. ყმისა და მამულის წყალობის წიგნი, მიცემული თეიმურაზ
II-ის მიერ დავით ავალიშვილისადმი. დედანი. $59,7 \times 29,4$ სმ, დაწერილი თეთრ ქა-
ლალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია
ორ-ორი წერტილი—საქ. ც.—არქ. ფ.—, № 1556.

ქ ჩვენ, იესიან-დავითიან-სოლომონიან-პ[ა]ნკრატოვანმან მეფეთ-
შეფემ და თვით აემწიფემან პატრონმან თეიმურაზ და თანამემცხელრემან ჩვენ-
მან საქართველოს მეფისა ასულმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან თა-
მარ და სასურველმან ძემან ჩვენმან ბატონიშვილმან პატრონმან ერეკლემ და
ძმისწულმან ჩვენმან ასან-მირზამ ესე ამიერით უკუნისამდენ უამთა და ხანთა
გასათავებელი წყალობის წიგნი და სიგელი ესე შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ,
ჩვენს ერთგულს და მრავალ-გვარად თავდადებით დიდათ ნამსახურს ყმათა
ჩვენთა ავალიშვილს ნაზირს დავითს, მილახეარს ასლანს და ძმასა შენსა დე-
მეტრეს და შვილთა თქვენსა გიორგის, ქაიხოსროს და არსენს და ყოველსავე
მომავალსა სახლსა შენისათა;— ასე და ამა პირსა ზედან, რომე ძველადგან დი-
დათ ნამსახურნი და ჭირნანახი იყვენით, მრავალგან გაჭირებასა ერდგულობაში
მამა-პაპათ თან ხლებოდით, ახლაც ჩვენს შვილს ერეკლეს ასლან მილახვარი
ინდოეთს შაპაჯანაბათ თან ხლებოდა, მრავალი ჭირი და გაჭირება გარდაეკადა
და კიდემ სინდეთსაც დიდს გაჭირებაში თან ახლდა ერდგულად ჩვენს შვილს.
ოდეს ღ[მერ]თ[მა]ნ კელი მოუმართა, იქიდამ დიდს კემწიფეს შაპნშას მურახასი
მოეცა და მშვიდობით ბატონ-ყმინი მოხვედით, მრავალი სამსახური და ერდ-
გულობა გარდაეკადათ. უწინდელი პაპის ჩვენის ძველი წიგნი, კურთხეულის
მამის ჩვენის წიგნიც კელთ ქონდათ, ჩვენის ძმისა და მეფის იმამყულიხანისა-
განაც და ჩვენგანაც წიგნი გეჭირა კელში და პ[ე]ლახლად წიგნითა ამით გა-
გიახლეთ ამ შენის სამსახურის სანუფქოდ: ჩუმლაყს ჩვენი სახასო გლეხები რაც
იყოს ნაშენი და უშენი თავის მიწა-წყლით, მთითა და ბარით, შესავლითა და
გასავლით წყალობა გვიქნია და გვიბოძებია თქვენთვის საყმოდ, როგორადაც
ძველს წიგნებში გეწეროს, იმავე რიგით ყოვლის კაცის უცილებლად. გიბედნი-
აროს ღ[მერ]თ[მა]ნ ჩვენს ერდგულობასა და სამსახურსა შიგან. არ მოგვშალოს
ჩვენგან და არა შემდგომთა მეფეთა და მებატრონეთაგან. აწე გიბძანებო კა-
რის[ა] ჩვენის[ა] ვექილ-ვეზირნო, თქვენცა ასე გაუთავედ (sic) და ნუ მოუშლით,
რა რიგადაც ფარმანს[ა] ამას[ა] შიგან ეწეროს. დაიწერა ბძანება და ნიშანი
ესე ენკვენისთვის კბ კელითა მდიქნის ზურაბისათა, ქ[ორონი]კ[ონ]ს უკვე¹.

სასჯელ	მე მეფეს
თეიმურაზ	
.	.
.	.
.	.

ასულო	ჩემო დავით
მრექვა	შენ იყავ
ჩემი	ამარი
.	.
.	.

ერეკლე	

¹ სწერია: უკვ.

? ამ ბეჭდის ჭარწერა სპარსულია.

567. 1741 წ. ოქტომბრის 12-ს. პირობის წიგნი, მიცემული გრიგოლ ჩოლაყაშვილის მიერ ერთობლივ ფშაველთადმი. პირი XIX საუკ. დასაწყისისა. 35,6×21,8 სმ, გადაწერილი ნახევრ თაბაზ თეთრ ღერბის ქალალზე მხედრული ხელით. საქ. ც.—არქ., ფ.—, პირი XIX საუკ., № 385.

ქ. ესე წიგნი მოგართვით ლაშარის ჯვარსა და იმის ყმათ ერთობილ ფშაველთ ჩენ, ჩოლაყაშვილმა სალთხუცესმა გრიგოლ, ოთარ და სარიდან, შვილთა და მომავალთა სახლისა ჩვენისათა;—ასე რომე ბატონმა ჩვენი წილი მამული მარილისში შემოგწირა. ახლა იმის თაობაზე ჩვენც თქვენი ბევრი საწყენი საქმე ვქენით და თქვენც გაგვიწყერით. საბატონოთ გახდა და თქვენს მოძმესთან ეილაპარაკეთ. რაც ბატონს შემოეწირა, ისევ ბატონმაც შემოგწირათ და ჩვენც ისევ შემოგწირეთ. ჯურუმი¹ დაგვეღვა და ჯურუმი² გარდავიხადეთ, ისევ შემოგრიგდით და ისევ მწყალობელი შეიქენით. თქვენი ყმანიც ისევ ერთგული შეიქნენ და ჩვენც მწყალობელი ვიყავით. ამას იქით აღარა ქსტულ რა შენზედ და არცარა დავაშაო. [ა]სათაშვილს დემეტრე[ს] ბევრი დანაშაული ჰქონდა ჩვენზედ და თქვენთვის გვიაბატივებია; თუ ამას იქით აღარა სტყუა რა ჩვენზედ, არცარა ჩვენ უსაყვედლუროთ რა ამას და არცარა შვილთა და მომავალთა ჩვენთა. ამ დანაშაულზე თუ ამას რამ გარდახდეს, ჯურაბის მომცემი ჩვენ ვიყცეთ და თუ სხვა რამ დააშავა, პასუხი თქვენც მისცეთ და ჩვენც გარდავახდევინოთ. არის ამისი მოწამე პირველად ღმერთი და ყოველნი მისნი წმიდანი: წმიდა გიორგი, კარისა მღვთის-მშობელი, ცხრაკართა ღვთის-მშობელი და ბატონის ჩემის შემცოლე ვიყვნეთ. არის ამისი დამხდური და მოწამე ჩოლაყაშვილი ჭიაურთ² მოურავი ომან, მღვდელი გრიგოლ კათაშვილი, მღვდელი ბარამ, თანგიაშვილი პაბუა, ნაცვალი კურსა, მოსახლე ჭიჭო. მე გარსევან მიწოდლიძეს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა ღვინობისთვის თორმეტს გასულს, ქორონიკონს უქთ.

ადგილი
ბეჭდისა

ქ. ჩვენ, მეფემ (sic) თეიმურაზ ასე ვამტკიცებთ.

ადგილი
ბეჭდისა

568. 1741 წ. ოქტომბრის 12-ს. პირობის წიგნი, მიცემული ერთობლივ ფშავლების მიერ სახლთუბუცეს გრიგოლ ჩოლაყაშვილისადმი. დედანი. 41,1×15,2 სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაზმარია ორ-ორი წერტილი—საქ. მუხ., № 2569 ჩ.დ.


ქ. ესე წიგნი მოგართვით ჩენ, სულ ერთობილთ ფშაველთ თქვენ, ბატონს ჩოლაყაშვილს სახლთუბუცეს გრიგოლს, ოთარსა, სარიდანს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა;—ასე რომე ბატონმა თქვენი მამული ლაშა-

¹ სწერია: კურუმი.

² სწერია: კურთ.

რის ჯვარს შემოსწირა შარილი[ს]ში თქვენი წილი. იმის თაობაზე თქვენც, გა-
გვიწყერით და ჩვენც ბევრი თქვენი საწყენი საქმე ვქენით. ახლა მოვედით და
ბატონთან სამართალში ჩავცივდით. ბატონში წყალობა გვიყო და ჩვენც
შევრიგდით. ჩვენზედ თქვენი გული მოიბრუნეთ; ჩვენცა როგორც მამა და პაპა
ყოფილა, ისე ერდგული და მოსამსახურე ვიყნეთ. თუ თქვენ ჩვენზე არა
სტყუოთ რა და ლაშარის ჯვარზე, ჩვენ თქვენზე არა ვსტყუოთ რა, ერთგუ-
ლიც ვიყუნეთ და ერთსულიცა. ამისად თავდებად მოგვიცია პირველად ღმერთი
და ყოველნი მისნი წმიდანი: კვირია, ლაშარის ჯვარი და კოპალე, რაც ფშავში
ღვთის-შეილი არის და ჩვენი სალოცავი. ბატონის ჩვენის შემცოდე ვიყოთ, თუ
ჩვენ თქვენზედ რაშ ვსტყუოთ; მტერზედ მტერი ვიყოთ და მოყვარეზედ მო-
ყვარე. არის ამისი დამხლური და მოწამე ჩოლაყაშვილი ჭიათურა მოურავი ომან,
მღლელი გრიგოლ კობიაშვილი, მღლელი ბარაბ თანგიაშვილი, პაპუა ნაცვალი,
კუსრა, მოსახლე ჭიკა ამ დროს კევის ბერი იყო, გამახარე ლომის-შეილი, გო-
დერძაული გოდერძა. მე გარსევან მიწობლიდეს დამიწერია და მოწამეცა ვარ.
დამწერა ღვინობის თვეს თორმეტს გასულს ქ[ორონი]კ[ონ]ს უკთ. ¹ + + +
+ + + +

ქ. ჩვენ, მეფემ თეიმურაზ ასე ვამტკიცებთ.



569. 1742 წ. დეკემბრის 20-ს. პირობის წიგნი, მიცემული დავით თარხნიშვილის მიერ
დავით და ქაიხოსრო გურამიშვილებისადმი. 15,7×9 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე
მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო
წერტილი. თარიღად აქვს 1742 წ.—საქ. მუხ., № 2713 ხდ.

ქ. ესე წიგნი მოგეც მე, თარხნიშვილმა დავით თქვენ, გურამიშვილს
დავითს და ქაიხოსროს;—ასე რომე ჩემი ყმა ოძელი ნინია თქვენს ქვეყანას
იყო და წლამდი ისევ თქვენთანვე იყოს, მაგასთან არას კაცს კალი არა ქონ-
დეს წლამდი და თებერვალში ჩემი კაცი ესევ მევე მომაბაროთ. მე ს ტეფანეს
დამიწერია, მოწამე ვარ. ქრისტისშობისთვის კ გასულს, ქ[ორონი]კ[ონ]ს ულ. ○
წლამდი ამას არაფერი ჭირი და გამოსალები არა ვსთხოვოთ რა. ○

570. 1742 წ. შეწირულობის წიგნი, მიცემული დემეტრე ბერიშვილის მიერ დავით გარე-
ჯის მონასტრისადმი. დედანი. 22×10,5 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული
ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი—
საქ. მუხ., № 427 ად.

ქ. . . . მე ბერიშვილს დემეტრეს შემიწირავ[ს] ჩემი თავი წმინდის და-

¹ აქ ადგილი დასვრილია მელნით.

² სათაური სხვა ხელით: ქ. ფშაველთ.

ვითისათვის ყოვლის კაცის მოუდევრად და უცილობლად, რომ არას ადამის მონათესევეს კაცს ჩემთან ხელი არა [ჰ]ქონდეს, ან მანამდის მე ვიყო, ან ჩემი შვილი და შვილის-შვილი; წმინდის დავითის საფლავის იქით არა ვიცოდე რა, ამისთვის რომ ერთი პატარა ობოლი მოველ თქვენს ხელში, ან თუ რომ მოვიგე და მაქვექს, სულ თქვენის მონასტრის ყმაში მოვიგე და სულ თქვენთვის შემომიწირავ[ს] ჩემი თავიცა და ჩემი მონაგებიცა და ლთს გარდა თქვენ[ნ]ს მეტი არა ვიცოდე რა, მას უამსა ოდეს ბძანდებოლა წინამძღვრად ენისელთ მოურავის ძე ყდ პატიოსანი იოვანე. არის ამისი მოწამე წმინდის დავითის მოხელე გარსიაშვილი პატარქაცი, წმინდის ნინ[ო]ს სალთხუცესი კუჭუაშვილი აღდგომელი, წმინდის დოდოს მოურავი დალბაშვილი¹ პეტრე და სულ წმინდის დავით[ი]ს ყმანი და მე დავით ბერს დამიწერია და მოწამეცა ვარ. ქორონი]ქ[ონ]ს ულ. +²

571. 1743 წ. მარტის „დამლევს“. ოქმი [თემურაზ II-ისა?] ვიღაც ყიასასადმი. პირი XIX საუკ., გადაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით—საქ. მუხ., № 7805 ჩდ.

... ქ. ჩენი ბრძანება არის ყიასავ! მერმე საღაც ეზმშიც(?) ყმა ჩამოსულიყოს, ახლავე აყარე და ცელშიგ მიაბარე, თორემ, იცოდე, გიშეუნთ. თუ სიტყვა ქონდეს, პირზედ მოიყვანეთ. დამლევს მარტს დაიწერა, ქ[ორონი]ქ[ონ]ს ულა. | |!³

572. 1744 წ. ივლისის 27-ს. ნასყიდობის წიგნი, მიცემული ვიღაც მუსას მიერ ბებურ ბებურიშვილისადმი. დედანი. 25,7×9,4 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაზმარია ორ-ორი წერტილი—საქ. ც.—არქ., ფონდი 2 6, № 186.

ქ. ესე ნასყიდობის წიგნი მოგართვი მე, მუსამა თქვენ, ბებურიშვილს ბატონს ბებურს;—ასე რომე ცოტა რამ თქვენი საწყენი დან[ა]შაული მქონდა და თქვენი პასუხის გაცემა ვერ შევიძლევი და თქვენც შემიბრალეთ და ჩემი დან[ა]შ[ა]ული მაპატივეთ და ამის პასუხათ ჩემი თავი ნასყიდობით მომრცია. ჩემთან არცავის სხვას კაცს კელი ქონდეს, არცავისთან საქმე მე მქონდეს და სანამდი ცოცხალი ვიყო, არც მოგშორდე და არც სხვა ბატონი მინდოდეს და არცარა დაგაშაო და არცარა შენი ნაღალატევი საქმე მინდოდეს და ერდგუ-

¹ დალაბაშვილი (?).

² სათაური სხვა ხელით: ქ. ეს წიგნი დემეტრა ბიჭის არის.

³ ბეჭდის წარწერის ამაკითხვით გადამწერი საბუთის სუბიექტის გამოცნობას არ ცდილა: მას მხოლოდ ოთხუთხედი მოუხაზავს.

ლათაც გემსახურო. არის ამისი მოწამე და გამრიგე თავად ღმერთი მისის
თავდებობა (sic) და, კაცთაგან ტურიაშვილი გიო, ტორაშვილი აბრამა, ჩახო-
შვილი თამაზა, გულაშვილი კაცური და მე წინამძღვრიშვილის (sic) მღ[ვ]დელს
ბარნაბეს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა ესე წიგნი მყათაოვეს ოც-
დაშვილს გასულსა, ქ[ორონი]კ[ონ]სა ულბ. + + + + +

573. 1744 წ. აგვისტოს 22-ს. ყმების ნასყიდობის წიგნი მიცემული ქაიხოსრო ციცის-შვილის მიერ ბებურ ბებურის-შვილისადმი. დედანი. დაზიანებული: მარჯვენა და მარცხენა გვერდები გამოამული აქვს. $42,3 \times 27,2$ სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი.— საჭ. მუზ., № 2436 ჩd.

ქ. ნებითა და შეწევნითა ლ[უ]თისათა . . . ესე ამიერის უკუნისამდე
უამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და უცვალებელი, ყოვლის [კაცისაგან
მო]უდეევარი, სამკვიდრო და საბოლოო ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგი-
წერე[თ] და მოგეცით ჩვენ, ქვემო ციცის-შვილმა სარდლის შვილმა ზაზას შვილ-
მა ქაიხოსრომ, მმამან ჩემმან ფარსადან და თეიმურაზ, თქვენ ბატონს ბებუ-
რის-შვილის ზურაბის შვილს ბებურს, ძმასა თქუნენსა ომანს და ყოველ[თა შვი]-
ლთა და მომავალთა სახლისა და მმობისა თქუნისათა;—ასრე და ამს პირ[სა]
ზედან, მას უამსა ოდენ დამეჭვირა და მოგყიდეთ ჩვენი მამა-პაპათ მემკვიდრე
ყურიოლლაშვილის მერაბაშვილი ფარემუზა და იმისი ძმა ბერა + და გოდერძა-
შვილი გიორგი თავიანთის ცოლითა, შვილითა და მომავლითა და [ა ვიღეთ]
თქვენგან ფასი სრული და უქლებელი, რითაც ჩვენი გული შეჯერდებოდათ.
შოკცესთ და გიბედნიეროსთ ლმერთმან და თუ ვინმე ჩემი ნათესავი კაცი ამ
ჩემს მოცემულს ქაცებს წამოგედაოს, პასუხის გამცემი ჩვენ ვიყოთ. (აწ არის)
ამისი მოწამე თავად ლმერთი . . . კაცთაგან ამისი გამრიგე და მოწამე ბიძა
ჩვენი ციცის-შვილი ქაიხოსრო, ქათალიკოზის მოლარეთ-ხუცესი გედევანიშვილი
პაატა [.], სახლთხუცესი მალალაშვილი გიორგი [.], თა-

ზისშ[ვილი] მგალობელი + მონა ღ[თისა], საყუარელიძე პაპუა, ჩვენი აზნაურ-
მგალობელი იოსებ

შვილი და კრიფე ჩვენი მსახური ალავერდა და მე კემწიფის კარის დეკანოზის
შვილს იოკიმეშვილის თეოდოტეს შვილს მღვდელს მიქელს დამიწერია და მო-
წამეცა ვარ ამისი. დაიწერა ესე წიგნი მარიამობისთვის ქბ, ქ[ორონი]კ[ონ]ს
ულბ. [.] [.] თეიმურაზ¹.

¹ ხვეულად.

ქ. ჩუენ, ლ[უ]თივ-უხებულთა მეფეთა შარავანდელი ყოვლისა საქართველოსა და აღმოსავლეთისა ქ[ათალიკო]ზ-პატრიაქი ძე მეფის იესესი ანტონი ვამტკიცებ სიგელსა ამას ნებითა ღრ' თისათა. ქ[ორონი]ქ[ონ]სა ულგ. ქ[ათალიკო]ზ[ი].¹

ქ. ჩვენ, სარდალი ქაიხოსრო ამისი მოწამე ვართ.



ქ. მე, ამილაზორი დიმიტრი ამისი მოწამე ვარ.



ქ. მე, თარხანი ამისი მოწამე ვარ

574. 1744 წ. სექტემბრის 24-ს. ოქმი ირაკლი II-ისა ღორის პატრონებისადმი დედანი. დახეული. 18×11 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. ც.—არქ. ფონდი 226, № 5533.

ქ. ჩვენი ბძანება არის! მერმე ვინც ენისელთ მოურავის მამულში არბუბ-ში (?) ღორი შეასათ საჭმელათ, დასტურს, რაც იყოს, საბალახეს მისცემდეთ ღორის პატრონები. ენკენისთვეს კდ, ქ[ორონი]ქ[ონ]ს ულბ. []

575. 1744—1750 წლ. მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული რამაზა წითლააშვილის მიერ დათუნა ახალშენაშვილისადმი. დედანი. 45×17 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი ან სამ-სამი წერტილი. თარიღი არ უზის: შინაგარსის მიხედვით საბუთი ეკუთვნის 1744—1750 წლებს, ხოლო დამატება მის შემდგომ დროს—საქ. ც.—არქ., ფ.—, № 5424.

ქ. . . . ესე უკუნისამდე უმთა გასათ[ა]ვებელი, ღრომოულევარი, სამკვიდრო და საბოლოო[ო] ნასყიდობის წიგნი და პირი მოგეცით ჩვენ, წითლააშვილმა რამ[ა]ზამა, ბიძაშვილმა ჩემ[მ]ა გ[ი]ვმა და გლახამა, შვილთა და მამავალთა სახლისა ჩვენისათა შენ, ახალშენაშვილს დათუნასა, შვილსა შენსა ბერსა და თამაზასა, შვილთა და მამ[ა]ვალთა ს[ა]ხლისა თქვენის[ა]თა;—მას უაშსა ოდეს ქართლი ურუმს ეჭირა და მერმე ყიზილბაშმა დაიჭირა, მაშინ დიალ სილარიბებ ძალი დაგვატანა. ავილევით და მოგყიდეთ მოწკვლაურის პარკაიას ნაქონი მამული სულ მთლათ იმისის ს[ა]ს[ა]ხლითა, სახნავითა, წყლითა და წისქვილითა, სასაფლაოთი, გზ[ი]თა და სასაჩითა², შესავლითა და გასავლითა ყოვლის კაცის უცილებლივ, რომ არას კაცს შენთან კელი არა ქონდეს. მოგ-

¹ ხვეულად.

² სწერა: ხასრითა.

ცესთ და გიბედნიეროს ღმთმან. ავილევით ჩვენ შენგან ფასი სრული და უქ-
ლებელი, რითაც ჩვენი გული შეგჯ[ე]რდებოდა . . . ქაცთაგან შუა კაცი მო-
წამე და დამტასებელი გრიგოლაშვილი დათუნა, პაპუა შუშანაშვილი, ყაყა-
შვილი ზაზა; მე ნაზირს ლაზ[ა]რეს დამიწერია და მ[ო]წ[ა]მეც[ა] ვარ ამისი.
ქ[ორონი]ქ[ონ]სა + + +

ქ.¹ მე, რ[ა]მაზა წითლიაშვილი წ[ა]მოგედევე შენ, ახ[ა]ლშენ[ა]შვილს თო-
მასა ჩემს მოსყიდულს მამულზე. ვიჩივლეთ ნეფე ერეკლეს ბძანებით მოლ[ა]-
რეთხუცესთან ელისბართან. ავილე ფ[ა]სი სრული და მოგეც. აღ[ა]რა დ[ა]რ-
ჩომილ[ა] რა ჩვენს შენი ძმობისა და მუს[ა]იბობის მეტი, რ[ა]ც რომ დ[ა]რ-
ჩომილი იყო. არის² ამისი მოწ[ა]მე იოთ[ა]მ შ[ა]ბურიშვილი, ავთანდილლა (sic!)
ბოქ[ო]ულთხუცესი, ს[ა]მ (?) მოურ[ა]ვი, თორელიშვილი ფილიპე, რევაზი ან-
დრიაშვილი: მე ნ[ა]ზირიშვილს დამიწერია და მოწ[ა]მეც[ა] ვარ. + + +

576. 1734—1744 წლ. ოქმი თეიმურაზ II-ისა საგარეჯოს მოურავ იორამისადმი. საბუთი
ნათლისმცემლის მონასტრისა, №№: 21, 95, 288. დედანი. 28,3×9,5 სმ, დაწერილი
თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანა ყოველი სიტყვის შემდეგ.
ნახმარია თითო წერტილი. თარიღი არ უზის: იორამ საგარეჯოს მოურავი გვხვდება სა-
ბუთებში 1741 და 1751 წლებში. ეს საბუთი თეიმურაზ II-ის მეფობის—1734—1744 წლებში.
უნდა ეკუთვნოდეს—, უფრო ახლო 1734 წელთან. საქ. ც.—არქ., ფ.—, № 1442.

ქ. ჩვენ მაგიარად ს[ა]გ[ა]რეჯოს მოურავს იორამს ასე უამბეთ! თემალის-
დროს რომ სანჯახობა და რიგები იყო, ის რიგები წავიდა და ალარ იქნების.
ახლა ასე გვიძებია: როგორც უწინ სამებლის ყმასთან და მიწა წყალთან
საგ[ა]რეჯოს მოურავებს აელი არა ქონებიათ რა, ნურცარა ახლა სამებლის.
ყმასთან შენ კელი გაქვს, ნურც დას[ა]რბევლ[ა]თ, ნურც ლაშქარს, ნურც ნადი-
რობ[ას], ნურც ზღვენზედ, ნურც სხვას გამორთმევ[ა]ზედ. თუ რამ ჩვენი სამსა-
ხური იქნების, სამებელს უბძ[ა]ნებთ და იმ ს[ა]ყდრის მოკელეს, როგორც უწინ
ყოფილა, იმ რიგ[ი]თ ჩვენ ვიმს[ა]ხურებთ. თქვენ ხელი აიღოთ და დღეის[ს] უკან
ნურც თქვენს კაცას და მოხელეს ასაქმებთ სამებლის ყმასა და მამულში, თო-
რემ გვეწყინება. საეპისკოპოზოს მამულში თავადიშვილს რა საქმე აქვს?

თეიმურაზ

¹ ამის ქვემოთ ტექსტი მიწერილია წინა და უკანა გვერდის მარჯვენა აშიაზე სხვა-
ხელით და სხვა მელნით.

² ეს სიტყვა ტექსტში განმეორებულია.

577. 1745 წ. მარტის 13-ს ყმების ნასყიდობის წიგნი, მიცემული ვახუშტი და სხვა გოს ტაზაბის-შვილების მიერ მამარიზა და სხვა ვაჩნაძეთადმი. დედანი. $32,2 \times 22,2$ სმ, და-წერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი—საქ. მუხ., № 14.162 hd.

ქ ესე მტკიცე და უცვალებელი ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, გოსტაშაბის-შვილმა ვახუშტიმ, პაპუამ და როსტომ და მომავალთა სახლისა ჩვენისათა თქვენ, ვაჩნაძეს ბებურის-შვილს მამარიზას და თამაზს, გიორგის, რამაზს, გორჯასპის, აიდემურს, რევაზს და მომავალთა სახლისა თქვენისათა;—ასრე და ამა პირსა ზედა, რომე მოგყიდე ჩვენი მემკვიდრე ამლიველი რევაზას-შვილი ლვინია, იმის ბიძაშვილი ნიკოლა, ლვინიაშვილი ლ[უ]თისია და მომავალნი სახლისა მისისანი; ავილე თქვენგან ფასი სრული და უნაკლულო, რითაც ჩემი გული შეგჯერდებოდა. ქონდეს და გიბედნიეროს ლ[მერ]თ[მა]ნ, არავინ იყოს მცილე და მოდავე ამისი, არა ჩვენი სახლის კაცი, არა ჩვენი ნათესავი. თუ ამას წამოგედავოს ვინმე, პასუხის გამცემი ჩვენ ვიყოთ. არიან ამისნი დამტუდურნი და მოწამენი ნამანგლელავის - შვილი ქაიხოსრო¹, გოსტაშაბის-შვილი დავით¹, კორკოტის-შვილი ლუარსაბ¹, აფულფათის-შვილი ლუარსაბ¹, ერასტი, ოხიანყორჩიშვილი [ბარამის- ზაზა] , ბარამის-

შვილი ელიშერ¹, ზაალ ბარამის-შვილი¹, აგათოს-შვილი ბეჟან¹, ავხაზის-შვილი დავით¹, მე, დემეტრე მლუდელს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაი-წერა წიგნი ესე მარტს ცამეტს, ქ[ორონი]ქ[ონ]ს ულგ. [ვახუშტი] [დანართი]

578. 1745 წ. ივნისის 24-ს. ყმების ნასყიდობის წიგნი, მიცემული პაპუნა როჭიკაშვილის მიერ გიჯიყრელისა და სხვებისადმი. დედანი. ძლიერ დაზიანებული (დახული, ნაწილობრივ დაერგებული). $42,6 \times 30,1$ სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი—საქ. მუხ., № 14.189 hd.

ქ ესე ამიერ უჯუნისამდე ხანთა და უამთა გასათავებელი, მტკიცე და უცვალებელი ნასყიდობის წიგნი მოგეცით ჩვენ, როჭიკაშვილმან პაპუნამ, შვილმან და მომავალმან სახლისა ჩვენისამან თქვენ, ბატონის პირის-მელინეს გიჯიყრელს და ბერს და ძმასა თქვენსა ქაიხოსროს და რევაზს, ძმისწულსა თქვენსა ზა[ა]ლს და მომავალსა სახლისა ფქვენისასა;—ასე რომე კემწიფის ხარჯისაგან გლეხი კაცები შელონდენ; მე ძალა დამადგა საკემწიფოს ხარჯის გასალებათ. გლეხის კაცის ჭირი მე გამომართვეს ოს[მალებ]მა. ვალიც მემარ-[თა], ავდექ და მოველ და შემოგეხვეწე და გამო[გა]რთვი ფასი სრული, რითაც

¹ აქ ბეჭდის დასასმელად ცარიელი ადგილია. დატოვებული.

ჩემი გული შეგჯერდებოდა. არა ლარჩომილა რა ერთის იოტის ფასი და მოგ ყიდე ჩემი ნასყიდი შეილი რევაზა და ბერუა, კიდემ მოგეც ჩემი ნასყიდი ყმა მელაძე გელიტაშვილი. მომიცია ყოვლის კაცის უცილებლათ. თუ ვინმე წამოგედეოს, პირისა და პასუხის გამცემი ჩვენ ვიყოთ . . . არიან (ამისი) (მოწამენი) ციციშვილი გიგი [] , და-
გივი []

ვითიშვილი ელიშერ [] , გურჯი რევაზიშვილი დურმიშხან [] , დურ
მურგანიშვილი შიოშ [] , დიასამიძე იოვანე. მე, გარსევანის-შვილს და-
მიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. ანდრია¹. დაიწერა თიბათვის კდ, ქ[ორონი]-
ქ[ონ]ს ულგ . . . []

ქ. მე, ელიზბარ თაქთაქის-შვილი ამისი მოწამე ვარ. [.]
[]
[]

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა და აღმოსავლეთისა ქ[ათალიკო]ზ-პატ-
რიარქი მეფის ძე ანტონი ამ სიგლის მოწამე ვართ. ქ[ათალიკო]ზ[ი].¹

ქ. ჩვენ სარდარი ქაიხოსრო ამისი მოწამე ვართ.

ქ. მე, ამილახვარი დიმიტრი ამისი მოწამე ვართ.

ქ. ჩვენ, აბაშიძე ვახუშტი ამისი მოწამე [ვართ]:

[]
[]

ქ. მე. ეშიკალ[ასი სულხ]ან აძისი მოწამე ვარ.

[]
[]

[ქ. მე, ა]მილა[ხვარი რევაზ] ამისი მოწამე ვარ.

[]
[]

ქ. მე, ქართველი ბატონის მორდალი [ამ]ის მოწამე,
ვარ. [.]

ქ. ჩვენ, სრულიად ქართლისა, ქახეთისა და სხვათა მეფე გიორგი ამ სი-
გელს ვამტკიცებთ. სეკდენბრის დ, ქ[ორონი]ქ[ონ]ს უპტ.

[]
+ მეფე სრულ
იად ქართლისა და
ქახეთის და სხ
ვათა გიორგი

¹ წევულად.

² ასომთავრულად.

ქ. ჩვენ, როჭიკაშვილმა ნაზირმა იოვანემ ამ კაცზედ დიდი ლაპარაკი გარდებით და, მაგრამ სამართალში ცერას შეუველ. მეფემ გიორგიმ დაუმტკიცა ეს სიგელი და ამის ბეჭედს [ვერ]ას მოუვლიდი. ვერც რუსის სამართალში [და ვე] რც ბ[ა]გრატიო(ნ)[თ?] სამარ]თალშია. ავდე[გ და] მეც აელი ავილ[ე. ღ[მერ]-თმა] მოგახმაროს ი და მეც დაგი(ბ)ეჭედ. []

579. 1746 წ. თებერვლის 20-ს. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული დავით და სხვა გოს-ტაშაბის-შვილების მიერ ზურაბ ჩოლაყაშვილისადმი. დედანი. $33,2 \times 24,3$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდებ მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ჩშირად ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღად აქვს 1746 წ.—საქ. მუზ., № 1748 Ad.

ქ. ესე უკუნისამდე უამთა ლა ხანთა გასათავებელი ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგეც მე, გოსტაშაბის-შვილმა დავით, პაატაშ და ბარამ და სახლისა ჩემისა მომავალთა თქვენ, ჩოლაყაშვილს ზურაბს, ძმასა შენსა ჯავდანს და დურმიშხანს;—ასე რომე დამეჭირა და მოგყიდე ჩემის ნება-ყოფლობით ჩემი ყმა, ბატონისაგან გასამყრელობში აღებული, დედის ჩემისაგან თავის ზითვით დასწილი მატიაშვილი თამაზა და დავითა, ავილე ფასი სრული და უნაკლულო, რითაც ჩემი გული შესჯერდებოდა და შენი ჩემზე არა დარჩე-შილა-რა არც ერთი იოტის ფასი. გქონდეს და გიბედნიეროს ლ-თნ, როგორც სხვას მონასყიდეს ქონილეს. არავინ იყოს ამისი მოცერლე და მოდავე თვინიერ ლ-თის მეტი. თუ ამაში წამოგედავოს ვინჩე, პირისა და პასუხის გამცემი მე ვიყო. არის ამისი მოწამე. კაცთაგან გერმანოზის-შვილი გუგუნა, უზბაში პაპუა, უზბაში საამ¹, იარალიშვილი იარალი [], იმისი ძმა ზაზა, ქავთარის-შვილი ნიკოლოზ (?)

თბილელის ყმა კვეზერელი ოთარა +, კიკუაშვილი გიორგი, გზირის-შვილი გიორგი.

მე, პავლეს მლდელს დამიწერია და მოწამეცა ვარ. დაიწერა თებერვალს ოცს, ქ[ორონი]კ[ონ]სა ულდ []².

580. 1746 წ. აპრილის 13-ს. ნასყიდობის წიგნი, მიცემული ოქროა და სხვა ლომიაშვილების მიერ ნეკრესელ მიტრ. და დავით გარეჯის უდაბნოს მამა იოვანესადმი. საბუთი დავით გარეჯის უდაბნოსი, № 86. დედანი. $43,4 \times 15,7$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდებ მხედ-რული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. თარიღად აქვს 1746 წ.—საქ. მუზ., № 413 Ad.

ქ. ესე წიგნი მოგართვით თქვენ, ნეკრესელ მიტრაპოლიტს და დავით-

¹ აქ ბეჭდის დასასმელად ცარიელი ადგილია დატოვებული.

² სათაური: ქ. მატიას-შვილის გასყიდულობის წიგნი. ზურაბსა და ჯარდანს ეყიდნათ, იმათ, მე მამცეს. ერთს ძმას თავი დავასნევინე, ერთი ისევ ჩემია.

ვარესჯის მამას იოვანეს ჩვენ, ლომიაშვილებმა ოქროამ, შერმაზან და ზაქარიამ და ბიძაშვილებმან ჩვენმან დათუნამ და მგელიამ, შვილთა და მომავალთა სახლისა ჩვენისათა;—ისრე რომე უწინ ჩვენი მამანი ბატონს ჩვენს წინამდლვარს ონოფრეს დაეხსნა, წმინდის დავითისათვის შეეწირა, ახლა ჩვენ იმათ შვილებსა აელმწიფის დროს საქმე გაგვიჭირდა ვალისაგან და გმოლებისაგან, სახელმწიფოს ხარჯისაგან; ახლა თქვენ დაგვიხსენით და ჩვენი ვალი თქვენ გარდასწყვიტეთ. მეორეთ ეს წიგნი მოგვირთმევია. არის ამისი მოწამე თავადღითი, კაცთავან ბატონი ალვერდელი ნიკოლაოზ [] , ქისიხის მოუგრავი თამზა, ენისელთ მოუგრავი დავით¹, სახლთხუცესი გრიგოლ, ნინოწმინდელი საბა¹, სამებელი იოვანე, ფირცულაშვილი ბერი.. მე დემეტრე მღუდელს დამიწერია და მოწამუცა ვარ. დაიწერა წიგნი ესე აპრილს იგ, ქ[ორონი]ქ[ონი]ს ულდ
+ + + + +²

581. 1746 წ. სექტემბრის 22-ს. წიგნი. მიცემული ერეკლე II-ის მიერ წმ. ნინოს ეკლესიისადმი. საბუთი აღნიშული ეკლესიისა, № 5. დედანი. 42, × 27,2 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდხე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახ-მარჩა ორ-ორი წერტილი—საქ. ც.—არქ., ფონდი—, № 1317.

ღ [მერ] თო.

ე. . . . ჩვენ, იესიან-დავითიან-სოლომონიან-ბაგრატიონმან ძემან ცხუ-ბულისა უფლისა ქართველთა მეფის თეიმურაზისამან მეფემან ქახთამან და თვით კამისიუმმან, პყრობელმან არაგეთა და ყოველთა მთიულთამან პატრიონმან ერეკლემ-და თანამემცხედრემან ჩვენმან დედოფალთ-დედოფალმან პატრიონმან ანნამ, პირმშომან და სასურაელმან ძემან ჩვენმან, ქართველთა და კახთა უფლისწულმან ბატონის-შვილმან ვახტანგ და ბიძის ძემან საყუარელმან ჩვენმან და სიკეთე-აღმატებულმან ბატონის-შვილმან როსტომ, ასან-მირზად კმობილმან, გვადრეთ და მოგახსენეთ შენ, დიდებულსა და ყოველისა საქართველოსა ემბაზსა დედასა ჩვენსა მოციქულსა წმინდას ნინოს და მოწამეთა შორის მთავარისა წმინდას გიორგის, ტაძარისა თქუენსა და საკეთ-მცყრობელსა და მჯდო-მარესა ხარისხსა ზედან ყოვლად სამღვდელოს ბოდბელ მიტრაპოლიტს ონოფ-რეს გიორგის მოუგრავის ძესა;—ვინათგან წმინდა ტაძარი თქუენი სულკურთ-ხეულთა კელმწიუეთა, ვითა ჯერ იყო, ეგრეთ ალემაღლენს და ედიღნეს, გარნა სოფელსა თქვენსა კევში დვალანი მეჯინიბენი სახლში ერთი კაცი უნდა ჩვენ გვმისახურებოდა და მეჯინიბენი ყოფილიყუნენ და თქვენს მამულზედ მსახლო-ბელნი იყნენ, მაშინ ოდეს პაპა ჩვენი სულკურთხეული მეფე ერეკლე რუს-თით მობანებულიყო, პირველიდ თაყუანისაცემელიდ წმინდისა საფლავისა შენისა შემოწირათ ეს კეური მეჯინიბენი და გუჯარი მოერთმივა, რომ რაც

¹ აქ ბეჭდის დასასმელად ცარიელი ადგილია დატოვებული.

² სათაური სხვა ხელით: ლომიაშვილებისა.

სხვას ბოდბლის ყმასთან კემწიფეთ კელი არა სდებოდეს, არც მათზედ უნდა სდებოდათ კელი, გარნა უამთაგან გუჯარი უგულებელსქმნილიყო და დაუმტკიცებელი იყო და მეჯინიბენი ჩვენვე გვემსახურებდენ, ხ[ოლო] ვინათაგან ნებითა ღვთისათა, მევე ვიქმენ, აღვ[ი]ძარ სურვილით შემკობად წმინდისა მოციქულისა ნინოსა და ვიხილე საშინელი გუჯარი, ჩვენც მეორეთ შ[ე]ვწირე ჩვენი მეჯინიბენი, რომ არას დროს ჩვენ კევიდამ მეჯინიბენი და არც ზინდარი არ ვიმსახუროთ; რა-გვარადაც სხვანი ჟაყდრის ყმანი გემსახურებოდენ, ამგვარად ბოდბელმან ნებისაებრ თვისისა იმსახუროს. ჩვენი ლაშქარნადირობისაგან კიდე კელი ალარა გვაქვს. შეიწირე წმინდაონ ნინო მოციქულო და ცვაფარვათა შენთა მიერ მომზლუდე და განაძლიერენ მეფობა ჩვენი და ნაცვლად მაგე მადლი შენი დღესა მას სიტყუის-გებისასა, ხ[ოლო] დამამტკიცებელნი ამისნი იყვნენ კურთხეულ. აწე ვგძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო, კიზიყის შოურაო და ჩვენი ახლოსარ (sic) მილახვარნო, რომ ბოდბლის ყმაში მეჯინიბეთ ზინდარს ნუ მოუწოდეთ და ჩვენი ეს შეწირულობა ამტკიცეთ. დაიწერა ბძანება და ნიშანი ესე თვესა სეკდენბერსა კმ, ინდიკტიონსა მეფობისა ჩვენისასა წელსა მესამესა, კელითა კარისა ჩვენისა მდიგნის ოთარისათა, ქ[ორონი]ქ[ონ]ს ულდ.

+ მე სისხლისა უ .	• • • •	• • •	• • • •
• • • ერეკლე	დელფალი	როსტიამ	• • • •

ქ. ჩვენ, მეფემან ქართველთამან და ცხებულმან უფლისამან პატრონმან მეფემ თეიმურაზ ძისა ჩვენისა ერეკლეს შეწირულობა დავამტკიცეთ ქ[ორონი]-ქ[ონ]ს ულდ, ოკლომბერს იბ.

• • • •	• •
• • • •	• •

ქ. ჩვენ, საქართველოს უფლისწული ბატონის-შვილი გიორგი ამ ბატონის ბძანების თანამოწმე ვართ. ნოემბერს 3, ქ[ორონი]ქ[ონ]ს უნთ. მეფის ქე გიორგი

¹

582. 1746 წ. ნოემბრის 14-ს. ოქმი რევაზ ამილახორის-შვილისა გიორგი ყაზარას-შვილისადმი. პირი, გადაწერილი უზენაეს მართებლობის ბრძანებით XIX საუკ. დასჭყისს მხედრული ხელით—საქ. ც.—არქ., ფ.—, № 11/30.

რევაზ ამილახორის-შვილის იმედო ყაზარას-შვილებო გიორგი, თქვენ სულხან ეშიკაღას-ბაშისათვის მიმიციხართ, ახლავ იყარენით და წინანდალს ჩადით, ეშ[ი]კაღაბაშს ემსახურენით. გიორგობის იდ, ქ[ორონი]ქ[ონ]ს ულდ.

ადგილი ბეჭდისა

³

¹ ასომთავრულად.

² სათაური: ქ. დოლაანთ გუჯარი აზალი მეფის ერეკლესი.

³ მინაწერები: ასლოთმ თანასწორ არის. სოვეტნიკი თავადი დიმიტრი თარხანოვი
Полковник князь Чавчавадзе.

583. 1747 წ. იანვრის 18-ს. განაჩენი ერეკლე II-ისა გრიგოლ სალთხუცის საქმეზე 33×20 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილიბის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღიად აქვს 1747 წ.—საქ. მუზ., № 2217 აბ.

ქ. ეს განაჩენი წიგნი დაგვიდვია ჩვენ, მეფე ერეკლეს;—ასე რომ გრიგოლ სალთხუცესი გავგზავნეთ ფშავს ჩვენი მომმის კარზე იყო და ფშაველთ სტუმარი იყო. წამოსელაში იმასთან გოდერძი იყო ასათაშვილი, დემეტრე ვედრაული, პაპა კუსრა ნაცვალი. გზაზე გოგოლაური ჩეშჯდომოდა, თოფი რომ უნდა დაეკრა, სასხვი მოსტუმოდა, ველარა ექნა რა. რადგან რომ მთის კაცსში სასტუმრო დადებული არის თექვსმეტი კარი, ეს ჯერ რომ იყო თავადიშვილი იყო, მეტა ჩემი გავგზავნილი და მომმის კარილამ წამოსული იყო. ახლა ჩვენ გაგვიპჭვია: სასტუმროც ის არის, ჩენიც ჯარიმაც შიგ არის,—თოთხმეტჯერ თექვსმეტი კარი უნდა მოსცეს და, თუ ის კაცი ჩვენ ჩავიგდევით, იმისი კიდემ ჩვენ ვიცით. ამ სალთხუცეს და [ა]მ კაცს სამართალს ჩვენ უზიშთ და თუ სიტყვა ქონდეს. . . . ჩვენ მოგვახსენოს იმ გოგოლაურმა. დაიწერა იანვარს იც, ქ[ორონი]კ[ონ]ს ულე. | |¹

584. 1747 წ. იანვრის 18-ს. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ვახუშტი ამირეჯიბის მიერ სკიმონ მდივნისადმი. დედანი. $43,2 \times 31,3$ სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილიბის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. თარიღიად აქვს 1747 წ.—საქ. მუზ., № 1086 აბ.

ქ. . . . ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგეცით ჩვენ, ამირეჯიბმა ვახუშტიმ თქვენ, სკიმონ მდივნას და ძმასა თქვენსა ონანას;—ასე და ამა პირსა ზედა, რომ საქმე გვიძირდა მოვედით და მოგყიდვთ ჩვენი ყმა ძმორას-შეილი სეხნია თავისის ცოლით და შვილით და მონაგრით, [გ]ქონდეს და გიბედნიეროს ღ[მერ]თმან, როგორც სხევას მონასყიდეს ქონია და გამოსდეგია, საბოლოო ისე თქვენ გამოგაყენოს და გამსახუროს ბედნიერობასა, სიცოცხლესა და დღეთა სიგრძესა შიგან. აწე ჩვენ ავიღევით და მოგვეცა ფასი სრული და უნაკლულო, რასაც ჩვენი გული შეგჯერდებოდა და ვინც ამას წამოგედავოს, ჩემი მონათე-სავე კაცი, პასუხის გამცემი მე ვიყო. არის ამისი მოწამე სალთხუცესი გრიგოლ | | და თუშ-მოურავი ჯამშერ | |, ენისელთ მოურავი დათუნა | |, ეშიკალაბაში სულხან | |, ლივანბეგი ბაპუა | |, ქართველთ ბატონის ნაზირი დავით | |, როჭივას-შეილი ოთარ², ციცის-შეილი ქაიხოს-რო. მე მთავარ-დიაკონს იოსებს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. დაიწერა ესე წიგნი თვესა იანვარსა თვრამეტსა, ქ[ორონი]კ[ონ]ს ულე. | |

¹ სათაური: ქ. ფშაველი; წიგნი.

² აქ ბეჭდის დასასმელად ცარიელი ადგილია დატოვებული.

ქ. ჩვენ, შეფე კახეთისა და არაგვის მეპატრონე ბატონი ერეკლე ვამტკი-
ცებ სიგელსა ამას, როგორადაც შერიგებულან. იანვარს კა, ქ[ორონი]ქ[ონ]ს
ულე. |_____|

ქ. მე, სა[ა]მ სა[ა]მის-შვილი ამისი მოწამე |_____|

ქ. მე, მდივანს სვიმონს ამ სიგლის თეთრი მომებარა, ამ კაცთან საქმე
აღარა მაქვს. მაისის კთ, ქ[ორონი]ქ[ონ]ს უდე. |_____|¹

585. 1747 წ. ოქტომბრის 10-ს. ნასყიდობის წიგნი, მიცემული ბერო წერეთელაშვილის
მიერ გიორგი მაყაშვილისადმი დედანი. $32,5 \times 13,7$ სმ, თაწერილი ოთხ ქალალდებ
მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ წამარია ორ-ორი
წერტილი, თარიღად აქვს 1747 წ.—საქ. მუხ., № 33 A:

ქ. ესე წიგნი [მოგართვი] მე, ხოვლელმა წერეთელაშვილმა ბერომ და
შვილმა ჩემა ესტატემ თქვენ, მაყაშვილს გიორგის და ძმასა თქვენსა ობანს და
შვილსა თქვენსა ლუარსაბს;—ასე რომე მოვალები მაღლნებდენ. მოველ ჩემის
ნებით, გეხვეწე და ვალი გადამიწყვიტე და ჩემი თავი მოგყიდე. არავინ იყოს
მოდავე მლთის მეტი. თუ ვინმე წიმოგედავოს, პირისა და პასუხის გამცემი მე
ვიყო. არის ამისი მოწამე ჭავჭავაძე კოზმან |_____|, ნახლცრის-შვილი ავთან-
დილ; მე, სიონის დეკანოზის შვილს დავითს |_____| დამიწერია და მოწამეცა
ვარ. დაიწერა ესე წიგნი ლვინობისთვის ათს გასულს, ქ[ორონი]ქ[ონ]ს ულე. ++

ქ. მე, სვიმონ მდივანი ამისი მოწამე. |_____|

ქ. მე, ეშიკალასი სულხან ამისი მოწამე. |_____|

ქ. მე, ასლან ეშიკიალაზ-ბაში ამისი მოწამე. |_____|


586. 1747 წ. ოქტომბრის 13-ს. ოქმი ერეკლე II-ისა ასლან ონანას-შვილისადმი. დედანი.
 $17,5 \times 10,2$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდებ მხედრული ხელით. ნაწერი მიმქრალია,
საქ. მუხ., № 2669 lid.

ქ. ჩვენ მაგიერად ჩვენგან დღე-ყოველ სიკეთით მოსაგონარს ბატონს ას-
ლან ონანას-შვილს მოკიტხვა მოეხსენოს, მერმე ეს რუსი[შვილი]ს კაცი ხატის
ყმა შინ შვილი შენთვის მოგვიბარებია, თვალი და ყური მიუგდევით,
უბრალოდ არავინ რა შესცოდოს, შენთვის მოგვიბარებია. დავით მორდალმა
თავისი ნასყიდი მამულიც ისევ უნდა მოსცეს ამ კაცს. ლვინობისთვის იგ, ქ[ორონი]

¹ მინაწერი: ქ. ამაში რომ სწერია, არადეთს დგას.


სათაური: ქ. ამირეჯიბის ნასყიდობის წიგნი.

რონი]კ[ონ]ს, ულე. დავით მორდალს თუ სიტყვა რამ ქონდეს, ჩვენ მოგვახ-
სენოს.




587. 1748 წ. იანვრის 13-ც(?) ღვთი ერეკლე II-ისა ქაიხოსრო ყარალას-შვილისადმი. დე-
დანი. დაზიანებული, დაკერებული. 16,1×9,4 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედ-
რული ხელით. ნაწერი მიმქრალია და ძლიერ ძნელად იკათხება. განკვეთილობის ნიშ-
ნად ადგილ-ადგილ ნახმარის თითო წერტილი—საქ. ც.—არქ., ფონდი—, № 836.

ქ. ჩვენი ბძანება [ა]რის, ქაიხოსრო ყარალას-შვილო, მერმე ვინც მანდ
შენს ციხეშინი ხიზანი კაცი გამოვიდეს, საყდრის ჯმის გარდა, თავადის-შვილისა
ქართული კაცი, ნურას კაცს ნუ და[ა]ნებებ. იანვარს (იგ?) ქ[ორონი]კ[ონ]ს
ულე სხვაგნებური ქართული კახურს გარდა. ღ[უ]თით,
იმედიანათ იყავ, ჩვენც მწყალობელი ვართ, კარგათ მაგრათ [იყავ] მაგ ციხეში.
ახლა ლეკი ხომ შემორიგებულია და რილის ფიქრი უნდა გქონდეს?



ქ. მე ამას კიდევ ვამტკიცებ ამისთვის, რომ ართანა ლეკის გზაზედ არის
და იმისი სიმტკიცე ქართლსაც არ[გ]ებს და კახ[ცოს]აც და ტყვე[ე][ბს]აც გა-
აყრევი[ნებს] იქ შევ[ლილ]ე[ლ]ეკებსა.



588. 1748 წ. თებერვლის 10-ს. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცენული რევაზ ზურაბის-შვი-
ლის მიერთვანდიერის-შვილისადმი. დედანი. 38,3×25,7 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე
მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ ნახმარის თითო ან ორ-ორი
წერტილი. თარიღდად აქვს 1748 წ.—საქ. მუხ., № 1596 ჩd.

ქ ესე ნასყიდობის წიგნი მოკეც მე, ზურაბის-შვილმა რევაზ
თქვენ, ჯანდიერის-შვილს ჯანდიერს, შეილსა და ხომავალსა თახლისა თქვენი-
სასა; — ასე რომე ჩემის ნება-წალილით მოველ და მოგყიდე ჩემის გამდლისაგან
ნასყიდი ხოციავანთ ანტონას-შვილი ელისო უმამულოდ; ავიდე ფასი სრული
და უნაკლულო, რითაც ჩემი გული შეგვერდებოდა; არვინ იყოს ამისი მცილე
და მოდავე არა ბატონი, არა ყმა და არა ჩემი სახლის-კაცი. თუ ვინმე წამო-
გედაოს, პასუხის გამცემი მე ვიყო. არის ამისი მოწამე გერმანოზის-შვილი
პაპუა |_____|, გერმანოზის-შვილი თათარი |_____|, ნანანგლელავის-შვილი და-
ვით¹, მელიქის-შვილი სულეიმან-ყული¹; მე, ოსეს-შვილს იესეს თვით რევაზის

¹ აქ ბეჭდის დასასმელად ცარიელი ადგილია დატოვებული.

პირით ნათხრობი დამიწერია და მოწამეცა ვარ |——|. დაიწერა ფეხერელის-ი, ქ[ორონი]კ[ონ]ს ულვ. ქ. მე, რევაზ ზურაბიშვილს ამ სიგლის ყაბული მაქვს.. |——|¹

589. 1748 წ. ივლისის 3-ს. ოქმი ერეკლე II-ისა ომან ჭიაურთ-მოურავისადმი. დედანი. 21,5×14,3 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. თარიღად აქვს 1748 წ. საქ. მუხ., № 8281 Ad.

ქ. ჩვენ მაგიერათ ჩვენს დიდათ იმედათ მისაჩენელს ჭიაურთ-მოურავს ბა-ტონს ომანს მრავალი მოკითხეა მოახსენეთ, საღამდინაც თუშთ-მოურავის ჯიმ-შერის მამული იყოს, სამნები ჩასხმულიყოს, ბატონიშვილს ასანმირზას ერთი-კაცი გამოართვი, იმ მამულზედ დაყენე, რაც იმ მამულში ბარა გამოვიდეს, აღებინე, თუშთმოურავს შეუნახე. დაიწერა მკათათვის გ, ქ[ორონი]კ[ონ]ს ულვ.² თუ სიტყვა ვისმე პქონდეს, სამართალში მოვიდნენ, თუ არა, ვისაც ედგას, ბარა აიღვ. |——|³

590. 1748 წ. დეკემბრის 12-ს. აზატობის წყალობის წიგნი, მიცემული თემიურაზ II-ისა მიერ პაატა ალადაშვილისადმი. დედანი. 33,5×31,5 სმ, დაწერილი მოთეთრო (აწ გა-ყვითლებულ) ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. თარიღად აქვს 1748 წ.—საქ. მუხ., № 533 Ad.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღ[უთ]ისათა ჩვენ, იესიან-დავითიან-სოლომონიან-პანკარანტიონმა მეფეთ-შეფეხმან და თვით კელმწიფემან საქართველოს მპყრობელმან პატრონმა თეიმურაზ და თანამემცხელრემან ჩვენმან დედოფალ-მან ანახანუმ, პირმშომა და სასურველმან ქემან ჩვენმან მეფემან კახეთისამან, ერეკლემ და ძმისწულმა ჩვენმან ასან-მირზამ და შვილმან ჩვენმან სოლომონ და ვახტანგ ესე ამიერითგან უკუნისამდე უამთა და ხანთა გასათვებელი, მტკიცე და უცვალებელი წყალობის წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ, ჩვენსა ერთ-გულსა და თავდადებით ნამსახურსა ალადაშვილს ფარეშს პატას, ძმასა პაპუას, ძმის-წულსა შენსა რევაზს და მუსას, ლოარსაბს, შვილთა და მომავალთა სახ-ლისა შენისათა;—ასე რომე ბედნიერის შან-შაას ბძნებით ერანში წამოვედით და თან გარდმოგვყევ და მრავალგვარად გემსახურეთ და ამაში ყოჩანს კემწი-ფეს ულალატეს და მოკლეს, მასუკან აღილშა გახემწიფდა, იმისი ბძნება და⁴

¹ სათაური: ანტონაშვილის ელისოს ნასყიდობის სიგელი.

² სწერია: ულვ.

³ სათაური: ქ. ბაზრიონისა არი[ს].

⁴ სწერია: და.

რაყამი მოგვივიდა და ხემწიფესთან წავედით. ყოჩანის ციხეს შემოაღვა და აილო და დაიმონა. ახლა კემწიფე ადრიბეჭანისაჟენ წამობძანდა და მასცა ძმამ ულალატა და დაუმარცხეს. ამაში ჩვენც განვიძნივენით და შენ ჩვენ გარდა-გვსხლტი, ჩვენ მაზანდარას წავედით და დიღის ჭირითა და ხრმლით ქუჯურის ციხეში მივედით და იქ შევმაგრდით. ახლა ბელნიერის შასულთან იბრეიმის რაყამი და ბძნება მოგვივიდა და წამოვედით და სოუხბულახს კემწიფესთან მივედით. და¹ შენ გილანს მისულიყავ. მერე, ჩვენის სიცოცხლის ანბავი რომ შეგიტყო, იმამწამ ხომალდში ჩამჯდარიყავ და ჩვენის სამსახურისა და ერთგუ-ლობისათვის მოგესწრაფა. ამაში ხომალდი დაგცევიყო და მრავლის ჭირით ძლივ ჩვენთან სული მოაწიე და ჩვენც, რა ენახეთ შენი ესეთი სამსახური და ერთგულობა, ამისა ნაცვლად შეგიწყალეთ და გიბოძეთ წიგნი ესე აზატობისა, რომელ არა გეთხოვებოდეს ჩვენგან არა საჩვენო სათხოვარი, არა კულუხი, არა კოდისპური, არა ბეგარი, არა სამასპინძლო, არა სალაპაო, არა სათათოო, არა ტიკი, არა ტომარა, არა სამაურაო, არა სანაცვლო არა გეთხოვებოდეს-რა. ლაშქარ-ნალირობის მეტი შემაწუხებელი შენს კარჩე სხვა არა მოღვეს-რა. გქონდეს და გიბედნიეროს ლმერომან ჩვენსა ერთგულობასა და სამსახურსა შინა. არა მოგეშალოს არას ჩვენგან და არცა სხვათა შემდგომთა. მეფეთა და მეპატრონეთაგან. აწე გიბძნებო კარისა ჩვენისა გამრიგენო და ვეზირ-ვექილნო, თქვენც ასე დაუმტკიცეთ ბძნება ჩვენი და ნუ მოუშლით თვინიერ შეწევნისა და თანაღომისა. დაიწერა წიგნი ესე ხელითა დავით დეკანზისათა დეკემ-ბერსა იბ, ქ[ორონი]ქ[ონ]ს ულვ.

ქ. ჩვენ, საქართველოს მეფეთ ცხებულის ძე მეფე ერეკლე ვამტკიცებთ წიგნსა ამას. რა გვარათაც ბატონს მამა ჩვენს წყალობა უქნია, ჩვენც ამ რი-გათ წყალობა გვიქნია და დაგვიმტკიცებია. ინდიკტიონსა მეფობისა ჩვენისასა. წელსა მეშვიდესა, თვეესა აპრილსა კა, ქ[ორონი]ქ[ონ]ს ულშ.²

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოსა ქართლისა, კახეთისა და სხვათა მეფე გიორგი ცხებულისა და კურთხეულის ბატონის პაპის ჩვენის მეფის თემურაზი-საგან ბოძებულს სიგელსა ამას ვამტკიცებთ, როგორადაც გაუთარენებია, ჩვენ-ცა ასრულე გაგვიაზატებია და სითარხნე მიგვიცია. მარტის ი, ქ[ორონი]ქ[ონ]ს უპჩ.³ | მეფე გიორგი |

591. 1749 წ. თებერვლის 21-ს. ყმების ნასყიდობის წიგნი, მიცემული ავთანდილ ჯავახის-შვილის მიერ ქაიხასრო ჩერქეზის-შვილისადმი. დედანი. დაზიანებული. 34,5×24,5 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღად აქვს 1749 წ.—საქ. შუბ., № 1865 ჩდ.

. . . . ეს ამიერით უკუნისამდე, უამთა და ხანთა გასათავებელი, სამ-

¹ სწერია: დაა.

² სხვა ხელით.

კვიდროთ და საბოლოო გამოსაღევი, მტკიცებული, ყოვლის ჩხუ-
ბისა და ილათილაშ გამოსული ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და
მოგეცით ჩვენ, ჯავახის-შვილმა ავთანდილ, შვილმა ჩვენმა მზეჭაბუქ, შვილ-
მან და მამავალმა სახლისა ჩვენისამა თქვენ, ჩერქეზის-შვილს მარტყოფის მოუ-
რავს ქაიხოსროს, შვილსა თქვენსა დემეტრეს, ზალს, მამავლსა სახლისა თქვე-
ნისათა; —ასე და ამა პირსა ზედა, რომ დამეჭირა და მოგყიდე ჩემი ქვეილი
ყმა საჯავახიანოელი ჭყობიას-შვილი აბრამაშისის შვილებითა და მომავალითა.
ავიღეთ (ფ)[ასი] სრული და უკლები, რითაც ჩვენი გული შეგჯერდებოდა. ჩვენი
არა დარჩა-რა მოყრობისა და ერთმანერთის სიკეთის მეტი; თუ ვინმე ამ ჩვენს
მოსყიდულს კაცს წამოგედაოს, [პირი]სა და პასუხის [მიმც]ემი ჩვენ[] და ჩვენი
შვილები ვყიყოთ . . . არის ამისი მოწამე . . . კაცთაგან ნოდარის-შვილი
ალექსანდრე, ჩხეიძე გორგასალ¹, [ა](ვ)ალიშვილი ზალ¹, [ცი]ციშვილი ფარ-
სადან [], ლუარსაბ, ბოქოულის-შვილი დავით. მე, მდივანს ბეგთაბეგს და-
მიწერია და მოწამეც ვარ. დაიწერა ქალაქსა თბილისისასა ფეხერვლის კა გა-
სულს, ქ[ორონი]ქ[ონ]ს [ულზ]¹.

ქ. მე, მდივანი ბეგთაბეგ ამ წიგნის დამწერი და მოწამე ვარ. []
. . . რით გორგასპი ამის . . .

ქ. მე, ყალოაშავილი პაპა ამისი მოწამე ვარა, ბეჭედი ჭრა მაქონდა (ეს
ჩემი ხელია). . . .

592. 1749 წ. ივნისის 1-ს. ოქმი თეიმურაზ II-ისა ერეკლე II-ისადმი. 22,2×14,5 სმ, და-
წერილი მოთეთორო ქალადზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სი-
ტყვის შემდეგ ნახმარია თითო ან ორ-ორი წერტილი. თანადად აქვს 1749 წ. საქ.
მუზ., № 14.063 hd.

ერეკლე

ქ. შენი ჭირი მამა თქვენს მეფეს თეიმურაზს, ჩემო აუარებელო ლ[უ]თის
წყალიბაჟ შვილო ბატონო მეფევე!² მრავალი კარგად ყოფა და აღრე შეუკრის
სიხარული მომიხსენებია. მერმე გრიგოლ სალთხუცეს თქვენთვის მოუხსენებია,
ავთანდილის ყმა გვინდაძე ბერი მამა თქვენმა მე მომცაო. ამის კაცს იმას რათ
მიუცემდით? ჩვენ ტყვილათ მოუფადილებივართ, ჩვენგან მიცემული არ არის.
სამართალი თქვენ უყავით. მთიბათვის ა, ქ[ორონი]ქ[ონ]ს ულზ.

593. 1749 წ.. ივლისის 5-ს. სამართალი სახლთხუცესი აშრაპისა და მდივანი ოთარისა
აბიბო და ზალ რუსის-შვილების დავაზე. დედანი. 32,3×18,1 სმ, დაწერილი თეთო
ქალადზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმა-
რია თითო წერტილი—საქ. ც.—არქ., ფ.—, № 1658.

ქ. ჩვენ, სახლთხუცესი აშრაპ და მდივანი ოთარ ბატონის მეფის ერეკ-

¹ ბეჭედი ამოხეულია.

² აქ ცარიელი ადგილია დატოვებული სიტყვისათვის: „ერეკლე“.

ლე', ბძანებით მოვედით შილდას და რუსის-შვილები აბიბო და ზა[ა]ლ ერთ-მანეროს მამულის გასყიდვას ედავებოდენ. ბატონმაც ამათი სამართალი ჩენ გვიბძანა. სულ შილდის უფროსი კაცნიც სამართალში დავიწარით, ბატონი ნეკრესელიც დავიწარით და მოურავი დავითიც. ჭალაპარაკეთ ესენი ორნივ და ამათი საჩივარი ყოვლითერი გასქინჯეთ. აბიბომ გუნას გასყიდულს ორს ტყვეზედ ედავებოდა და გუნას კიდეც ამისი წილი ყმის შვილები გე[ე]ყიდნა; მეორეს ლეკობაში ერთს ხოდაბუნის ნახევარს, რომ ამისი წილი გუნას გე[ე]-ყიდნა, ერთი ორის დღის მიწაც გუნას გე[ე]ყიდნა,—ამე[ე]ბს აბიბო გუნას შვილს თხოვდა. ეს გუნას შვილი ზა[ა]ლ აბიბოს თავის ზვარს თხოვდა, რომ აბიბოს გე[ე]ყიდნა; მალუჯათში გე[ე]ლო, ხუთი თუმანი ზა[ა]ლის წილის ყმის მაგიარ გე[ე]ლო და ხუთი თუმანი სულ საერთოს ყმის მაგიარად მალუჯათში მიეცა. კარპაულის ვალში გაღებული მამული აბიბოს საკუთრივ დავადევით. სხვა ამ გუნას ვასყიდული ტყვე[ე]ბიც ორი და რაც ხოდაბუნი და მიწები გე-[ე]ყიდნა, ესე[ე]ბი სულ ჩაუტარეთ, აბიბოს ხელი ავალებინეთ და ზა[ა]ლს იმ აბიბოს გასყიდულს ზვარზედ ხელი ავალებინეთ, ერთმანეროს გაუბარეთ. დღეის იქით მმობის მეტი და ერთმანეროს სიკეთის მდომის მეტი ხელი აღარ აქვთ. რაც ძელთაგან ბარათში ნარგები ყმები თუ მამულები ქონდათ, თავთავესი წილი დარჩათ. პატას წილი მამული საბატონოთ დარჩა. იხტიარი ბატონისა არის; ვისაც უნდა, ბატონი წყალობას უზაძეს. ამ რიგათ ესენი გაგაშველეთ. კათათვის ე, ქ[ორონი]კ[ონ]ს ულს.

ინგ

მოურავი
დავით

594. 1750 წ. ივლისის „დამდეგს“. თავშეწირულობის წიგნი, მიცემული ნასყიდა და თან მაზა მჭედლიდების მიერ დოდოს მონასტრის წინამძღვარ სეიმონისადმი. საბუთი და-ვით-გარეჯის უდაბნოსი, № 87. დედანი. 43,2×29,8 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღად აქვს 1750 წ.—საქ. მუზ., № 412 Ad.

ქ. . . ესე ამიერითგან და უკუნისამდე მტკიცე და უცილებელი, უამთა და ხანთა გასათავებელი წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგართვით ჩენ, მჭედლიდემ ნასყიდამა და ძმამან ჩემან თამაზამან, შვილთა და მომავალთა სახ-ლისა ჩენისათა;—ასე რომე დიასამიდე ვარამის ყმანი ვიყავით, ქალაქს ჩამო-ვედით ავის დროსათვის, დიდხანს ქალაქს დავყავით. წამოგვედევა ჩენი ბა-ტონი და აყრა მოინდომა ჩენი და ჩენ არ გავყავით, ქალაქი არ გაუშვით ადგა და ჩენის თავის სახსარი გამოგვართო და თავი დაგვასსნევინა თავითა, ცოლითა და შვილითა. ჩენთანა იმას საბატონებრივო კელი აღარ აქვს. რადგან იმას მოვრჩით, ახლა ჩენის ნება-წადილითა ეს თავშეწირულობის წიგნი მოგე-ცით თქვენ, წმინდის დოდოს წინამძღვარს სეიმონს და კრებულთა თქვენთა, ასე რომე თავი შეეცარეთ თქვენს მონასტერს წმინდას დოდოსა, ცოლითა და შვილითა შეეცარენით უკუნისამდე. ჩენს თავს იმ მონასტერს არავინ ეცილე-

ბოდეს. სახლის ალაგი თქუენ მოგვეცით, ბატონს რომ მონასტრისათვის სახლის ალაგი შეწირა მტკრის პირსა დავით გარეჯიანთ ს[ა]ს[ა]ხლესთანა. ვინც და რაც კაცი ჩვენს თავს შემოგვეცილოსთ და ჩვენი თავი იმ წმინდას მონასტერს გამოსწიროს და გამოახვას და ან ჩუენა და შვილთა ჩვენთა გამოწირვა თავისა და ცრუვება ღრთისა და მონასტრისა ვინებოთ, მასამც რისავს ღრთ. და მის წმინდანი უდაბნონი. არის ამისი მოწამენი სიონის დეკანოზის შეილი მღლელი ოსე¹, ანჩის კანდელაკი დოლენჯი¹, იოთამის-შვილი ერასტი [] მღლელი დავით¹, თოიას-შვილი ოქრომჭედლი დავით¹.

დავილევით მონასტრის ბეგრად სამსახური წელიწადში ერთი ლიტრა სანთელი, ერთი ჩარექი საკმელი და ერთი თუნგი ზეთი. ამას ყოველს წელიწადს მონასტერს მივართმევდეთ. დაიწერა მკათათვის დამდეგს ქ[ორონი]ქ[ონი]ს ულც. მე, ანჩის ხატის დეკანოზს პეტრეს დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. დაიწერა მეფობასა ღრთივ ცხებულის მეფეთ-მეფის თეიმურაზისა და ძისა მისისა კეთილ-მსახურის კახეთის მეფის ერეკლესა და პატრიარქობასა მეფის ძის უფლისა კ[ათალიკო]ზის ანტონისასა.

595. 1750 წ. ივლისის 6-ს. შერიგების წიგნი, მიცემული ფშავ-ხევსურთა მიერ მოურავ გრიგოლ ჩოლაყაშვილისადმი. 43,3×16,8 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. თარიღად აქვს 1750 წ.—საქ. მუხ., № 2942 ჩდ.

ქ. ესე წიგნი მოგართვი თქვენ, ფშავისა და კედურეთის და თიანეთის მოურავს ჩოლაყაშვილს ბატონს სახლთხუცეს გრიგოლს;—ასე რომე მე ჭინჭარაულმა იოსებ, ასათაშვილმა გიორგიმ, დავითმა, პეტრემ, გაბრიელ, მამიაურმა შალვამა, ჯოლაურმა (?) ლაგაზამა, თამარიძემა კევსურმა გაიდაურმა ჩვენის გეარისამ მთისამ და ბარისამა დემეტრე ასათაშვილი თავის დღით მომკდარიყო; მტრის ენით რმის სიკედილს მოწამლით თქვენ გედავებოდით, მეფე ერეკლე ქართლითა და კახეთით და ორსავე საერისთოთი თუშეთს ამობძანდა, სრულ ფშაველნი და კევსურნი იქ იყვნენ, ვილაპარაკეთ და იმის სიკედილზე სიმტკეუნე ვერა ვიპოვეთ რა. ამაში გავშველდით. ასე რომე თქვენთან სამსახურის მეტი საქმე არა გვქონდეს რა არას ჩემს გვარსა და ნათესავსა. ამისი დამსწრე და გამრიგე ლაშარს ჯვრის დეკანოზი ჩოელაშვილი ნადირა, ბედრაული პაპა, გოგოჭური მამისიმედი, გოგოლაური გამიხარდი, ჯუთუ დავითისა-შვილი, როსტევან წითელაური, კურდლელა მათურელი, თორლა ჭიჩოელი, კურდლელა გოდერძაული, ქავთარ თიანელი, მოსე განჯილაშვილი, ქამხაძე აბ-რამა, ივანეურის-შვილი გახუტელი. ამათ გაგვისამართლებია, რომე თქვენთან საქმე და სადავებელი აღარა ქონდესთ რა. არის ამისი მოწამე თუში საყურაიძე გორგი, ცისკარა, კახო, კლიტიური, კევსური ნათელიძე ომაშვილი, ლიქოკელი

¹ აქ ბეჭდის დასასმელად ცარიელი ადგილია დატოვებული.

იმედა, კისტნელი ცისკარა. მე, რამაზ ერასტის-შვილს ამ ზევით წერილთ ფშაველთ და კევსურეთის სიტყვით დამიწერია და მოწამეცა ვარ. მკათაფის ვ, ქ[ორონი]ქ[ონ]ს ულც ○ + + + + + + + + + + + + +

ქ. პატარკაცი ტუსის-შვილი ამისი მოწამე ვარ.

ქ. მე, ქსნის ერისთვის ბოქოლოთ-ხუცესი თექოუმან ამისი მოწამე ვარ. +

ქ. ზურაბ უურული ამისი მოწამე ვარ.

ქ. მე, ერისთავი ჯიმშერ ამ ფშაველთა და კევსურეთში დავესწარ და მოწამე ვარ. []

ქ. მე, ქისიყის მოურავი ამისი დამსწრე და მოწამე ვარ. თამზ. []

ქ. მე, ენისელთ მოურავი დათუნა მოწამე ვარ. []

ქ. ეშიკალადბაში სულხან ამისი მოწამე ვარ. []

ქ. მე, მარტყოფის მოურავი ქაიხოსრო მოწამე ვარ. ○

ქ. მე, რამაზ ყორჩიბაშის-შვილი ამისი მოწამე ვარ. რამაზ¹.

ქ. ზალ ბარამის-შვილი ამისი მოწამე ვარ. []

ქ. მე, მორდალი სოლომონ ამისი მოწამე ვარ. []

596. 1750 წ. აგვისტოს 29-ს. ყმების ნასყიდობის წიგნი, მიცემული ბერი და სხვა ფალავანდის-შვილების მიერ ბებურ და სხვა ბებურის-შვილებისადმი. დედანი. დახეული თავში. 57,5×24,6 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი—საჭ. № 2560 ჩძ.

ქ. ნებითა ღვთისათა და შეწევნითა ყოვლად წმიდისა ღვთისმშობელისა მარადის ქალწულისა მარიამისითა, ძლიერებითა პატიოსნისა და ცხოველს მყოფელისა ჯვარისათა, წმიდათა ზეცისა ძალთა ანგელოზთა და მთავარ-ანგელოზთა, წმიდისა წინასწარმეტყველისა წინამორბედისა და ნათლისმცემლისა იონესითა, მინდობითა და თავდებობითა ყოველთა წმიდათა ღვთისათა, რაოდენი სათნო ეყუნეს უფალსა ჩვენსა იქსო ქრისტესა და კვალადცა სათნო ყოფად არიან, ამათ ყოველთა წმიდათა ღვთისათა შუამდგომლობითა ესე ამიერითგან უკუნისამდე უამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და ყოვლის კაცის უცილებელი, შვილთა და შვილის-შვილთა გამოსაღები ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, ფალავანდის-შვილებმა ბაგრატის შვილმან ბერმან და ძმამან ჩემბან ბაგრატ თქვენ, ბებურის-შვილებს ბებურს, ძმასა თქვენსა ომანს, შვილთა ივანეს და მომავალთა სახლისა თქვენისათა;—ასე და ამა პირსა ზედა, როდეს რომ ავის დროსაგან ქვეყან[ა] იყარა მტრის მიზეზით, მაშინ ჩვენი ალალი მექვევიდრე ბარათში გამოტანილი ყმა გოჩა ბაჩაძე თავის ცოლითა და შვილითა მარტო ესე თქვენში ჩამოსულიყო და იქ დასახლებულიყო. რადგან არც თვითან მოინდომა აყრა და წამოსულა, არც ჩვენ დავატანეთ ძალა და

¹ ხევულად.

თქვენ მოგართვით ეს კაცი და, რასაც ჩვენი გული შეგაჯერდათ, ფასი გამო-
გართვით. არავინ იყოს ამისი მოყილე და მოდავე, არც ბატონი, არც ყმა,
არა ჩვენი სახლის-კაცი. თუ ვინმე ამ ჩვენგან გამოსყიდულს კაცს წამოგედაოს,
პირისა და პასუხის გამცემი ჩვენ ვიყუნეთ. გყუანდეს და გიბეღნიეროს ღმერ-
თ]მა, შენს ერთგულად სამსახურში მოგაკმაროს. არის ამისი მოწამე თავათ
ღმერ]თი. კაცაგან დამხდური და გამრიგე მაჩაბელი ბარძიმ, მოურავის-შვილი
ქაიხოსრო

მონა ლისა
მოურავი ზ
ვილი ქაიხოსრო

საყდრის დეკანზე იოანეს დამიწერია ამათის სიტყვითა და მოწამეცა ვარ..
დაიწერა აგვისტოს კ'ო, ქ[ორონი]კ[ონ]ს ულტ.

ეს ჩ[ე]მი კ[ე]ლ[ი]ა, ყაბული მ[ა]ქ[ვს] ამ[ი]სი ბ[ე]რს.

ბერი

მე, ბაგრატს დამიწერია ეს. ყაბული მაქვს].

ბაგრა
ტა +

ქ. ჩვენ, პატრონ[ი] მეფე¹ ერაკ[ლ]ე ამრიგათ ვამტკიცებთ, რა-რიგათაც
ამ ნასყიდობის სიგელსა შიგან სწერია ეს ფალავანდის-შვილები და ბებურის-
შვილს თავისის ნება-წალილით ჩვენ წინაშე ასე შერიგდენ. აგვისტოს ლ, ქ[ო-
რონი]კ[ონ]ს ულტ.²

•
: ერეკლე :
•

597. 1750 წ. ყმების ჩუქების წიგნი, მიცემული მდივანბეგი იოვანეს მიერ თავის ბებიდა-
შვილის ეშიკალაბაშ სულხან [ჭავჭავაძისადმი]. პირი, გადაწერილი უზენაეს მართებლო-
ბის ბრძანებით XIX საუკ. დასაწყისს მხედრული ხელით – საქ. ც.—არქ., ფ.—, № 11/21.

ესე წიგნი მოგართვი მდივანბეგმა იოვანემ თქვენ, ჩემს ბებიდაშვილს
ეშიკალასბაშს სულხანს; —ასე რომე ჩემი ნასყიდი ყმა სომხითის დელცნუტელი.
ახნაზარა და მელქუა, ეს ორი კომლი, თქვენთვის მამიცემია ყოვლის კაცისა-
გან უცილებლად, რომე არას კაცსა იმათთან კელი არა აქვს. ღ[მერ]თ[მა]ნ;
მოგახმაროსთ; როგორც ბატონ-ყმობის რიგია, ისრე იმსახურეთ. არაოდეს.
ჩემგან არ მოგეშალოს. მტკიცედ თქვენთვის მამიცემია. ქ[ორონი]კ[ონ]ს ულტ.

ადგილი
ბეჭდისა

¹ სწერია: მეუფე.


² სწერია: ულტ.

³ მინაწერები: ასლთან თანასწორ არის. სოვეტნიკა თ'ი დიმიტრი თარჩანოვ.
Полковник князь Чавчавадзе.

0 8 0 6 0 0 0

598. 1660 წ. ყმების წყალობის წიგნი, მიცემული შაპნავაზ მეფის მიერ ქაიხოსრო და პატა წერეთლებისადმი. დედანი. 35,5×21 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი—საქ. მუხ., № 2457 ხდ.

ქ. ნებითა და შეწევნითა ლ[უ]თივ-აღმატებულმან და ლ[უ]თივ-დამყარებულმან, ძლიერმან და უძლიერმან, ჩუენ, ლ[უ]თივ-გვირგვი-ნოსანმა მეფეთ-მეფემ ბატონმა შაპნავაზ და თანამეცხელრემან ჩუენმა დელო-ფალთ-დედოფალმან პატრონმა მარიამ და ძემან ჩუენმა პირმუობმან (sic) და სასურულმან პატრონმა არჩილ, გიორგიმ და ლევან ესე წყალობის საბო-ლო[ო]დ გასათავებელი სამკვიდრო წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბო-ძეთ თქუენ, წერეთლს ქაიხოს[როს] და პა[ა]ტასა და სხვათა თქუენთა შეილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე;—მას უამსა ოდეს მოგვადე-ქ[ი]თ კარსა და მამულის თხოვნასა დაგუეაჯენით და ჩუენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და შეგიწყალეთ და გიბოძეთ ქავთარაძე გიორგი და იონა-თამ მათის ცოლშვილითა და მამულითა სახლ-კარითა და ვენახითა, ჭურ-მარ-ნითა და ეკლესიათა და სასაფლაოთა, სახნავ-სათესითა, ტყითა და ველითა, მთითა და ბარითა, საძებრითა, უძებრითა და დღეს რისაც მამულისა და ალა-გის მქონებელი იყვნენ მართლის სამართლიანის საქმით სამკვიდროდ თქუენ-თვის გვიბოძებიათ და ამას გარეთ კიდევე შეგიწყალეთ და გიბოძეთ საკე-ლოდ ორი კვამლი კაცი სეხნია მწყერის-შეილი და კაცია ისპანის-შეილი. გვი-ბოძებია, გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩუენსა ერდგულობასა და სამ-სახურსა შიგან. ასრე რომე, თუ თქუენ ჩუენი ერდგული და ჩუენის სიტყვისა და ბრძანების მორჩილი ყმანი იყოთ, ესე ჩუენგან ბოძებული წიგნი და სიგე-ლი აღაროდეს აღარ მოგიშალოთ. გასათავებლად მოგვიცემიათ (sic) თავად ლ[მერ]თი . . . დაიწერა წიგნი და სიგელი ესე მეფობისა ჩუენითა (sic) ქ[ო-რონი]ქ[ონ]ს სამსა ორმოცდა რვასა კარისა ჩუენისა მდივან-მწიგნობარისა თა-ვაქარას-შეილისა ხუციას[ი]თა.



¹ სათაური სხვა ხელით: ეს წიგნი შაპნავაზ მეფის ბოძებული არის წერეთლებზედ ქავ-თარაძის გიორგისა და იონათამისა.

599. 1666 წ. ყმისა და მამულის წყალობის წიგნი, მიცემული ბაგრატ მეფის მიერ ქაიხოს-რი და სხვა წერეთლებისადმი. დედანი. დაზიანებული: თავი მოხულია და დაკარგული. $36 \times 14,6$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდხე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი—საქ. მუზ., № 2246 ჩ.д.

. . . . ჩვენ, ღ[უ]თივ-აღმატებულმა და ღ[უ]თივ-დამყარებულმა, ძლიერმა და უძლეველმა ღ[უ]თივ-გვირგვინოსანმა მეფეთ-მეფემ პატრონმა ბაგრატ და თანამეცხელრემა ჩვენმა დელოფალთ-დელოფალმა პატრონმა თამარ ესე საბოლოოდ გასათავებელი წყალობისა წიგნი და სიგელი შეგიწყალე და გიბოძე თქვენ, წერეთელს ქაიხოსროს და პარტას, თქვენსა შეილთა და მომავალთა ყოველთავე;—ასე და ამა პირსა ზედან, რომე დაგვიაჯენით და ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგიწყვ[ა]ლეთ და გიბოძეთ ძეგრს ერთი კვამლი კაცი გოჩია გიორგაძე მისის ცოლშვილითა, სახლკარითა, ტყითა, ველითა, ვენახითა, კურ-მარნითა, სასაფლაოს ეკლესი[ი]თა, დღეს რის[ა]ც მქონებელი იყოს, მართლის სამართლიანის ყოვლისფერითა; ასე რომე, ს[ა]ნადირო ჩვენი საკლავი, ღვინო, ღომი და ქათამი რომ მართებს, ის[ი]ც შენთვის მოგვიცემია და გყელ[ა]ნდეს და გიბედნიეროს ღ[მერ]თ[მა]ნ ჩვენსა ერდგულობასა და სამსახურსა შიგან; ასე რომე, თუ თქვენ ჩვენი ერდგული და ჩვენის სიტყვისა და ბრძ[ა]ნების მორჩილი ყმა იყოთ და ყოვლის ბატონისას ჩვენი გერჩიოს, ჩვენ ეს ჩვენი წყალობა გლეხი აროდეს მოგიშალოთ. ამისდა გასათავებლად თავდებად მოგვიცემია თავად ღ[მერ]თი . . . მოწამე და მაშუალი სახლითუხუცესი ბატონი სეხნია, გენათელი ბატონი გელევან და ნიუარაძე ბა[ა]დურ. ქ[ორონი]-კ[ონ]ს სამას ორმოცდა თოთხმეტსა კელითა¹ ჩვენის მდივან-მწიგნობრის თავა-ქარაშვილის ასლანისათა.

(მეფე ბაგრატ)

2

600. 1675—1685 წლ. სათავდებო წიგნი, მიცემული იორდანე მჭედლის-შვილისა და სხვების მიერ პატა აბაშიძისადმი. დედანი. $16,2 \times 11,4$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდხე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უზის: მიმღებ პაატა აბაშიძეს ვახუშტი იხსენიებს 1683—1685 წლებში² (ვახ., საქ. ცხ., მეორე გამ. ზ. კიკ., 318—320). საპუთი უნდა ეკუთვნოდეს 1675—1685 წლებს—საქ. მუზ., № 8914 ჩ.დ.

ქ. ესე სათავდებო წიგნი მოგეცით ჩვენ, მჭედლის-შვილმა იორდანემ,

¹ სწერია: კელისა.

² სათაური სხვა ხელით: ეს წიგნი ბაგრატ მეფის ბოძებული წერტილებზედ ძევრს გლეხის გოჩია გიორგაძისა [არის].

³ დათარილება ვერა საბოლოოდ დამაჯერებელი.

მჭედლის-შეილმა გოგიამა+¹, ბასაძე დათუნ[ა]მა, შარიქაძე ძალუაშა თქვენ, აბატონს აბაშიძე პ[ა]ტ[ა]სა, ასე რომა შარიქაძე ხახუტასი და გიგანასი შევა-ლი რომა მოგაბარა ბ[ა]ტონის-შეილმა არჩ[ი]ლმა, ეს ჩვენ გვითავდებია. როცა შენი ბძანება იყოს, მძევალი ისე მოგართვა. თუ შენ მძევალი ვერ მოგცეთ, ხუთასი მარჩ[ი]ლი მოგცეთ. არის ამისი მოწამე ნახუცრის-შეილი ბეჟანა, შა-ბერას-შეილი გ[ი]ორგაი. მე ბერუგას დამიწერია, მოწამეც ვარ. და[ი]წერა ქრისტი]შტობისთვ[ი]ს ი გასულსა. + + +

601. 1675—1685 წლ. მოსამართლეთა განაჩენი ხოლუაშეილების საჩივარზე. დედანი. 23×16,3 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდგე ნახმარია თითო წერტილი. თარიღი არ უზის: მასში მოხსე-ნებულია პატა აბაშიძე. უკანასკნელს ვახუშტი იხსენიებს 1683—1685 წლებში (ვახ., საქ. ცხ., მეორე გამ, ზ. ჭიჭ., 318—320); საბუთი დაწერილი უნდა იყოს 1675—1685 წლებ-ში—საქ. მუზ., № 8923 hd.

ქ. ხოლუაშეილები გ[ა]იყარენ, ბატ[ო]ნთ[ა]ნ იჩივლეს, ვალზედ დეობდეს და ხოსიკა აღარ მიუდგა, ასე უთხრა: „ჩემი და ქიოტიშეილს ყავსო და ჩემი კერძი ვალი იმ[ა]შიდ გამიბ[ა]რებია, ვალს აღ[ა]რ გად[ა]ვიხდი“. და ეს ბატონმა უწყინა ხოსიკ[ა]სა; ახლა ამ ძეგბმა უთხრეს ხოსიერა, მამუკამა და გიგიამა: ეს გოგო სწორეთ გამოვიყვანოთ დ[ა] ვალიც სწორეთ გაღ[ა]ვიხ[ა]დოთო და ხოსიკამ აღ[ა]რ ქნა: „ჩემ კერძს ვალშიდ ჩემი და მიმიცემია“. ახლა ხოსიკ[ა]ს უბძ[ა]ნ[ა] ბატონმა ბა[ა]ტ[ა] აბაშიძემ: „ცოდვა და მადლი შენი იყოს შენი დისა“. ახლა დაგეხედით ბატონის ბძ[ა]ნებით ქიშოტი სახუცესი, გიორგი ორ-თ[ა]ვა (?), ზურაბ ასისთ[ა]ვი, ხაენა (?) მამ[ა]სახლისი, გიორგი მღ[უ]დელი. ბატონის ბძანებით და ლ[უ]თითა ეს ასე გაგვისამ[ა]რთლებია: ვალი სამა[დ] გად[ა]ვახდევინეთ და მამული ოთხ[ა]თ გაგვიყვია; ახლა თანდილ[ა]მ უჩივლა: „ოცდა ცამეტი მარჩილი ჩემი ნაშოვარი დამიბ[ა]რჯ[ა]მს სახლსა და კარზედ, ამაშიდ არცარა სახლიყაცისა ურევია, არც[ა]რ[ა] ძმისა“. ახლა ჩვენ მოსამართ-ლე[ე]ბმა გავაშებინეთ თანდილ[ა]სა, ასე უთხ[ა]რით: „შეილიანი კაცი ხარ, კიდევ ღმერთი შეგაძლებინებს, ჩვენ. დაგვითმევი“; მ[ა]ინც თუ წამოგესოს ვინმე, ოცდა ცამეტი მარჩილი თანდილ[ა]ს უნდა მიეცეს. ჩვენ მოსამართლე-ე[ე]ბმ[ა] ეს ასე გავარიგეთ და ვინც ეს შეშალოს, ჯერ ღმერთმ[ა]ნ შეშ[ა]ლოს, მერმე ოთხმ[ა] პატრიაქმ[ა]. ახლ[ა] არის ამისი გამრიგეც დ[ა] დამწერიც დ[ა] მოწამეც ზურ[ა]ბ ასისთ[ა]ვი.

¹ უკანასკნელი სამი სიტყვა და ჯვარი დაწერილია წინა სტრიქონების მარჯვენა აშიაზე იმავე ხელით და იმავე მელით.

- 602.** 1678 წ. ყმისა და მამულის წყალობის წიგნი, მიცემული იმერთა მეფის ბაგრატის მიერ ყუდანათ წერეთლისადმი. დედანი. დაზიანებული (თავი მოხეულია და დაკარგული). $35,7 \times 14,5$ სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი. თარიღად აქვს 1678 წ. საქ. მუზ., № 14.781 ჩ. დ.

ქ. ჩვენ, მღ[უ]თივ - აღმატებულმან, მღ[უ]თივ - დამყარებულმან, ძლიერმან, უძლეველმან, ჩვენ მღლივ-გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემ ბატონმა ბაგრატ და თანამეცხელრემან ჩვენმან დედოფალთ-დედოფალმან ბატონმან თამარ და ძეთა ჩვენთა ესე წყალობის საბოლოო გასათავებელი სამკვიდრო წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენს ერდგულსა და თავდადებით მოსამსახურეს წერეთელს ყუდანათს და შენსა შეიოსა რამაზს და ფარსადანს, ნიკოლოზს, ოტიას, განგეს;—ასრე და ამა პირსა ზედან, რომე მამული-ვიწრო კაცი იყავით და რჩენას გვეხვეწებოდით და მერმე სამსახურზედ რუსის კემწიფესთან გაგაგზავნეთ და დაგვეაჯვენით და ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გიბოძეთ ორი გლეხი წირქვალს, ერთი კვამლი იორდანე ჭიტაძე, მისი ძმა გიორგი და გოჩოლა, მორე კვამლი მახათაძე შოშიტა და მისი ძმა გოჩა, კაცხს ერთო კომლი ზაქუტი კუპატაძე, საკურწეს ნასხილა გოგსაძე და დათუნა, ეს ოთხი გლეხი მათის ცოლშეილით, კარსახლით, ძმით, სახლკარით, ალაგით, ჭურ-მარნით, ტყით, ველით, ვენახით, საყანით, სათიბით, სასაძოვრეთი, მისის კერძის ეკლესია-სასაფლაოთი, საძებრით და უძებრით, რისაც მქონებელი იყონ, მათის მართლის საშართლიანის ყოვლის ფერით გვიბოძებია და გიბედნიეროს ღრთ მკვიდრად და მოუშლელად ჩვენსა ერდგულობასა და სამსახურსა შიგნ; თუ თქვენ ჩვენი ერდგული და ჩვენი სიტყვისა და ბრძანების ზორჩილი ყმანი იყოთ, ეს ჩვენგან ბოძებული წყალობა აღაროდეს აღარ მოგეშალოს. ორი გლეხის წყალობას დაკბირებივართ (sic), თუ ღმერთმა მწვიდობა გვიყოს და შენც ნამსახური მოგვიხვიდე, ის ორი გლეხი მაშინ გიბოძოთ. ამისად გასათავებლად თავდებად მოგვიცემია თავად ღრთ . . . დაიწერა წიგნი და სიგელი ესე მეზობისა ჩვენისა ქ[ორონი]ქ[ონ]ს სამას სამოცდა ექვსა კელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის თავაქარას-შვილის პატასითა. + | — | თამარ¹

- 603.** 1680 წ. ახლო. ყმების ნასყიდობის წიგნი, მიცემული გიორგი და სხვა იას-შვილების მიერ ქაიხოსრო წერეთლისადმი. დედანი. $19,6 \times 12,1$ სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი. თარიღი არ უზის. ქაიხოსრო წერეთელი თავის შვილებით: ბერანით, ქველით, პაპუნათი და ვახუშტით გვხვდება საბუთში 1680 წელს (საქ. მუზ., № № 2001 ჩ. და 2198, ჩ. დ. და სხვ.) და ეს საბუთიც იმავე წლის ახლო დროს უნდა ეკუთხნოდეს—საქ. მუზ., № 2239 ჩ. დ.

ქ ესე საბოლოო გასათავებელი ფიცი, პირი და წიგნი მოგეცით

¹ ხვეულად.

ჩვენ, იასშეილმან გიორგიმ, სოლომონ და კოკონამა თქვენ, წერეთელსა ქაიხოსროს, თქვენს შვილს ქველს, პაპუნას, ვახუშტის და ქაიხოსროს;—დაგვეჭირა და მოგყიდეთ არგვეთს ტაბატაძე ხუცესი შიო, კაცია მათის შვილითა და ცოლითა და ძმებითა, მათის ერთსახლითა, მიწითა, ვენახითა, სასაფლაოთა, ტყითა, წისქვილითა, საძებრითა, უძებრითა, დღეს რისაც მქონებელი იყოს, ყოვლისფერითა; გქონდეს და გიბელნიეროს ღრთნ. მამის ჩემის ნაკიდი და ნაქრთამი იყო, დაგვეჭირა და ჩვენ შენ მოგყიდეთ აბაშიძის მოწმულობითა (sic), ფასიც ასეთი მოგვეცით, როგორათაც გული შეგვჯერდებოდა. ვინც ამისი მოსარჩული (sic) მოგადგეს, პასუხი ჩვენ მიესცეთ . . . ამისი მაშუალი და მოწამე ზალია გოდაბრელიძე, მამუკა ბუში, კაცია იაშვილი და დათუნა ფოჩები. მე არქიმანდრეტს მაკარიოზს დამიწერია და მოწამეცა ვარ. + + +¹

604. 1680 წ. ახლო. სათავდებო წიგნი, მიცემული ლაზარე ბურძენიძის მიერ ქაიხოსრო წერეთლისადმი. დედანი. 12,5×16 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდე მხედრული ხელით. განვეტილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდევ ნახმარია სამ-სამი წერტილი თარიღი არ უზის. მისი მიმღები ქაიხოსრო წერეთელი ოხსნიერა 1680 წლის საბუთში (იხ. აქვე) —საქ. მუხ., № 2670 ჩ.

ქ. ესე ს[ა]თ[ა]ვდებო წიგნი მოგ[ა]რთვი მე, ლ[ა]ზ[ა]რე ბურძენიძემ თქვენ, ბ[ა]ტონს ქ[ა]იხოსრო წერეთელს და ბ[ა]ტონს ამილ[ა]ხორის ქალს;—თუ თქვენ ეს გიორგი ბურძენიძის შვილი პაპუნი ს[ა]დმე წ[ა]გვიდეს, ჩემი თ[ა]ვი და ჩემი ცოლი ლმერთმან გიალნოს ბ[ა]ტონის ჩემის ფარს[ა]ლ[ა]ნის მოწმობით, იესე აბდუშენიშვილის და უგემურის მოწმობით +. მე გომართელს თ[ა]მ[ა]-ზ[ა]ს დამიწერია, მოწ[ა]მეცა ვარ ამისი.

605. 1680 წ. ახლო. ყმების ნასყიდობის წიგნი, მიცემული ზაალ წერეთლის მიერ ქაიხოსრო წერეთლისადმი. დედანი. 22,6×18 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდე მხედრული ხელით. განვეტილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდევ ნახმარია სამ-სამი წერტილი—თარიღი არ უზის: მისი მიმღები იგივე წინა საბუთის მიმღები ქაიხოსრო წერეთელი არის და ეს საბუთიც იმავე 1680 წლის ახლო დროს უნდა ეკუთვნოდეს—საქ. მუხ., № 6172 ჩ.

ქ. . . . ესე ნასყიდობის საშვილო და ს[ა]ბოლო[ო] წიგნი და პირობა მოგეცით ჩვენ, წერეთელმა ზა[ა]ლ და ფარს[ა]ლან და შვილთა ჩვენთა² სახლის[ა] და მ[ო]მ[ა]ვალთა თქვენ, ბატონს ქაიხოსრო წერეთელსა;—ასრე და ამა პირსა ზედა, რომე გაგვიჭირდა მოვალე[ე]ბის[ა]გან და მოგყიდეთ ბურ-

¹ სხვა ხელით: არგვეთელი ტაბატაძის ნასყიდობის წიგნია.

² სწერია: ჩვენითა.

ძენიძე პა[ა]ტა და მისი ძმები მამუკა და შოშიტა მათის ცოლითა და შვილითა, მამულითა და ოლ[ა]გითა, ნასყიდითა და უსყიდითა, ჭურითა და ბარნითა, წყაროთი და წისქვილითა, სას[ა]ფლ[ა]ოთი და ექლესითა, მთითა და ბარითა, საძებრითა¹ და უძებრითა; გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმა სამკვიდროთ და საბოლო[ო]თ. ფასი გვიბოძეთ კარგი და დ[ა]უკლებელი, როგორაც ჩვენი გული შეგვიჯერდებოდა, იმგვარი. ამისი მოწ[ა]მე და მაშუალი იქსე ფარს[ა]-დანიშვილი, ბალურ აბაშიძე, კურცხ[ა]ლია ფირან, ულუმბელი² ბერი კილ[ა]ძე. მე, გომართელს თამაზ[ა]ს დამიწერია, მოწ[ა]მეც[ა] ვარ ამისი. + + .

606. 1680 წ. ახლო. სასახლის ნასყიდობის წიგნი, ნიცემული გიორგი ფალავანდიშვილის მიერ ქაიხოსრო წერეთლისადმი. დედანი. 29.5×17,7 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი. თარიღი არ უნის: ქაიხოსრო წერეთელი თავის შეილებით; ბეჟანით. ქველით, პატუნათი და ვახუშტით გვხვდება საბუთებში 1680 (საქ მუნ., №№ 2001 სპ და 2198 სპ) და ეს საბუთიც იმავე 1680 წლის ახლო დროს უნდა ეკუთვნოდეს—საქ. მუნ., № 2527 სპ.

ქ . . . ესე ნ[ა]სყიდობის წიგნი მოგეცით ჩვენ, ფალ[ა]ვანდიშვილმა გიორგიმ, შვილმა ჩემ[მ]ა შოშია თქვენ, წერეთელს ბატონს ქ[ა]იხოსროს, შეილს[ა] თქვენს[ა] ქველსა და პაბუნ[ა]სა და ვახუშტისა, ქ[ა]იხოსროსა; — დავტყველი ციხეშიდ, გამყიდეს, შემოგეხვეწეო, დაგვიხსნით. ჩემის თ[ა]ვის ს[ა]ხს-რ[ა]თ მოგეცით სარეკში სას[ა]ხლე მისის მიწითა და ადგილით, ხატითა, ჯვრით; — აბრ[ა]მიშვილი ს[ა]ბა მისისა ძმებით[ა], ცოლშვილით, დათუა ლაბაძე, მამუკა გოქს[ა]ძე, რისაც მქონებელი ყოფილიყოს ან დღეს იყოს. ჩ[ა]მოვიდა ბატონი აბაშიძე შუა, ზოგი იმას დავდევით (sic) პატივი, ზოგი ჩვენის სიბრ[ა]ლულის გულისთვის. ამათის მაგიერ[ა]თ ისევ დათუა ლ[ა]ბაძე მოგეცით, ზაბაზიძე პაპუნა და პა[ა]ტა, სუხა და გოჩა, ჯ[ა]ნიაშვილი პატია (?) მათის ცოლშვილით, რის[ა]ც მქონებელი იყონ, მამულო, ადვილით, მთით, ბარით, ეკლესიი[თ]; ამის[ა]თ გას[ა]თ[ა]ვებლ[ა]თ მამეცეს (?) თავად ღმერთი . . . ამისი მაშუვალი შედან წერეთელი, დათუნ[ა] ციმაკურიძე, პა[ა]ტა მაპ[ა]ვარიანი, ზ[ა]ლია გოდა-ბრელიძე, მე პაპუნას დამიწერია და მოწ[ა]მეც ვარ. + +³

607. 1680 წ. აზნაურისა და გლეხის წყალობის წიგნი, მიცემული ბაგრატ მეფის მიერ ქაიხოსრო წერეთლისადმი. დედანი. 42×16,2 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი—საქ. მუნ., № 2198 სპ.


ქ . . . ესე აუარებელი, საბოლოთ გასათავებელი წყალობის წიგნი [და]

¹ ეს სიტყვა გამეორებულია ტექსტში.

² სწერია: ულუბელი.

³ სათაური სხვა ხელით: გიორგი ფალავანდის-შვილისაგან გამოყიდული. სარეკის სასახლისა და გლეხების წიგნია. ოს.

სიგელი შეგიწყალე და გიბოძეთ ჩენ, მეფეთ-მეფემ ბატონმა ბაგრატ და ძემა ჩვენმა მეფემ ბატონმა გიორგიმ თქვენ, წერეთელს ქაიხოსროს, პა[ა]ტასა და შენსა შეიღსა ქველსა და, რომელიც შენი ძმა შენი მორჩილი იყოს, ბეჟანს, პაპუნასა და ვახუშტის;—ასრე და [ა]მა პირსა ზედან, რომე დაგურიაჯენით და ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ ფალავ[ა]ნდის-შუილი პაპუნა და მისი ძმა ფრიდ[ო]ნ მათის ცოლშვილითა, მისის მამულითა და გლეხებითა სა[სა]ფლაოთა და მთითა, ბარითა, დღეს რის[ა]ც მქონებელი იყოს, მართლის სამ[ა]რთლიანის საქმითა. აგრევე ერთი გლეხი გეგუთს მამუკა თვალიაშვილი მისის ცოლშვილითა, სახლკარითა, ალაგითა, დღეს რისაც მქონებელი იყოს, მართლის სამართლიანის ყოვლის ფერითა მოგვიცემია. გყვანდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩენსა ერდგულობასა და სამსახურს შიგან. ასრე რომე, [თუ] თქვენ ჩენი ერწლებული, ჩენის სიტყვისა და ბრძანების მორჩილი ყმანი იყოთ, ეს ჩენგან წყალობა აღარ მოგიშალოთ. ამისად გასა-თავებლად თავდებად მომიცემია თავად ლ[მერ]თი . . . დაიწერა ბრძანება, წიგნი, სიგელი ესე ქ[ორონი]კ[ონ]ს სამას სამოზდა (sic) რუსა მეფობისა ხე-ლითა¹ კარისა მდივან-მწიგნობარისა ბეჟიასათა².



აქ მიჰყვება ხეეულად ხელრთვა: გიორგი (?)


608. 1680 წ. ყმისა და მამულის წყალობის წიგნი, მიცემული ბაგრატ მეფის მიერ ქაიხოს-რო და სხვა წერეთლებისადმი. დედანი. დაზიანებული თავში. 27,3×16 სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული³ ხელით. ტექსტს თავში აკლია. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი—საქ. მუხ., № 2001 ბ.

უძლევერმა (sic) ჩენ, ღვთივ გვირგვინოსანმა მეფეთ-მეფემ ბატონმა ბაგრატ და თანამეცხედრემან ჩვენმა დედოფალთ-დედოფალმა თამარ და ძემან ჩვენმან და მომავალმან ესე წყალობის საბოლოენოთ გასათავებელი სამკვიდრო ფიცი, პირი, წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, წერეთელს ქაიხოსროს და თქვენს ძმას პატასა და თქვენს შეიღს ბეჟანს, ქველსა, პაპუნასა და ვახუშტის, სხვათა თქვენთა შეილთა და მომავალთა ყოველთავე;—ასრე და ამა პირისა ზედა, რომე შემოგვეხვეწეთ და გვეაჯენით და ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, ქრთამიც კარგი მოგვაროვით და შეგიწყალეთ და გიბოძეთ ია-შვილი კაცია, მისი ძმა გიორგი, დაუნა და ფაცია მათის ცოლშვილითა, სახლკარითა, ალაგითა, ჭურმარინითა, გარეთ გლეხითა, შინ კულითა, ტყითა, ველითა, ვენახითა, საყანითა, სათიბითა, ეკლესი[ი]თა, მთითა, ბარითა, წის-

¹ სწერია: ხელისა.

² სათაური, სხვა ხელით: ეს წიგნი ბაგრატ მეფის ბოძებული არის წერეთლებზედ პაპუნა და ფირიდონ(?) ფალავანდიშვილის და გეგუთს მამუკა თვალიაშვილის.

ქვილითა, მისის მამულითა, საძებრითა და უძებრითა და დღეს რისაც მქონე-ბელი იყოს, მის[ი]ს სამართლიანის საქმით და აწე ამას გარეთ საფალავანდიშვილო სანადირო მთაჭალელს აბაშიძის სამძღვარისა აქეთ და საუფლისწულოს სამძღვარს შუე მომიცემია, გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმა ჩვენს ერთგულობასა და სამსახურის შიგან. ასე რომე, თუ შენ ჩვენი ერთგული და სიტყვისა და ბრძანების მორჩილი ყმანი იყოთ, ეს ჩვენგან ბოძებული წიგნი და სიგელი არაოდეს აღარ მოგიშალოთ. ამისად გასათავებლად თავდებად მოგვიცემია თავად ღმერთი, ყოველნი მისნი წმინდანი ზეცისანი, ქვეყანისანი, ხორციელნი და უხორცონი. ამისი მოწამე და მაშვალი კათალიკოზი დავით, ერისთავი შოშიტა. დაიწერა ბრძანება, წიგნი, სიგელი ესე ქორონიკონსა სამას სამოცდარვაშა.



609. 1692 წ. მაისის „ნახევარი“. ნასყიდობის წიგნი, მიცემული იგანა ქურდაძის მიერ როსაბ მავარიანისადმი. დედანი. დაზიანებული (დაბეჭული). 41,8×28 სმ, დაწერილი მოვითალო ქალალდებ მხედრული ხელით. ასო—მეტ-ნაკლები. განვევთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი—საქ. მუხ., № 3199 ჩდ.

ქ ესე ნ[ა]სყიდობის წიგნი და სიგელი მოგართვით ჩვენ, ქურდაძე ივ[ა]ნამ და შვილმან და მამავ[ა]ლმ[ან] სახლი[სა] ჩემის[ა]მან თქვენ, ბატონს ჩვენს მაჭავ[ა]რიანს როსაბს, შვილს[ა] თქვენს[ა] ინანასა და რამაზს;— ასე რომ ჩემიძემ ქაიხოსრომ და თეიმურ[ა]ზ, სურამის ციხე თათრებს ეჭირა და მეციხო[ვ]ნათ იდგნენ, იმ ციხის თათრებს ერთი თ[ა]ვისი ყმის შვილ[ი] მისცეს. ყვ[ა]ნდათ. ის ტყვე გამოპაროდათ, ჩემ ს[ა]ხლში მოსულიყო, მოვედი და ვნახე, ვეღარ ულ[ა]ლ[ა]ტე, მეორეთ ვეღარ გავყიდე, ნათესავიც იყო, და[ვ]-მალე და ჯავ[ა]ხეთს წ[ა]ვიყვ[ა]ნე. მეზუთე წელიწადს მთხორბელი მოსლოდათ: ივ[ა]ნამ. და პაპუნამ ქურდაძე[ე]ბმა მოიყვ[ა]ნეს. გამამაჩნდა ის ტყვე, ვეღარსად დავიმალე. ამიყვ[ა]ნეს ცოლით, შვილით ორნი ძმანი მამულით და ალ[ა]გით. ჩვენ რომ ვერ იმიტომ მიგ[ვ]ცეს მამულით და [ა]ლ[ა]-გით¹, საზღ[ა]ური რომ ვერ შევიძელით, ციხეში ვყვ[ა]ნდით და-ტყვე[ე]ბული. წ[ა]ვედით, ისევ ჩვენს ბ[ა]ტონს შევეხვეწენით როსაბ მაჭავარიანს. — „მაინც ძევლთ[ა]განაც პაპი-თქვენის ნაწყ[ა]ლობელი ვიყ[ა]ვით ხემწითის[ა]გან“. ავდექით, თქვენ შემოგეხვეწენით ბატონს ჩვენს როსი[ა]ბს მაჭავ[ა]რიანს, ჩემი თავი თქვენ გამოიხსენით. თქვენი მხლებელი მიეცით, ოთხას[ი] მარჩილი დაიჭირეს, ასი მარჩილი თეთრი მიეცით, ერთი თასი. თქვენ გამოგვისენით ორნივ ძმან[ი] ცოლითა, შვილით[ა], მამულითა და ალ[ა]გით, შეს[ა]ვლით[ა] და გას[ა]ვლით, რის[ა]ც მქონე ვიყ[ა]ვით, ჩემი თავი თქვენთვის

¹ უკანასკნელი ორი სიტყვა ტექსტში სწერია: „დალგრი“.

მამირთმევია ყოვლის კაცის უცილობლ[ა]თ.¹ (გ)ქონდეს და გ]იზედნიაროს ღმერთმ[ა]ნ, როგორც სხვ[ა]ს მონ[ა]სყიდეს [ჰ]ყოლია. არის ამისი მოწმემე მურვ[ა]ნის-შვილი იასე +, აბ[ა]ზაძე +, ოლძლიშვილი +, არ[ა]ხჩიაშვილი, ბასილიშვილი +, ბებიაშვილი მღდელი იორამ დეკანზი +; მე სალთხუცეს საბას დამიწერია, მოწამეც გ[ა]რ ამისი. დაიწერა ეს[ე] წიგნი მაისის ნახევ[ა]რს, ქ[ორონი]ქ[ონ]ს ტპ.

ქ. ჩვენ, ბატონშა ჩხეიძემ ქ[ა]იხოსრომ და თეიმურაზ ასრე გავ[ა]რიგეთ, არას ჩვენს სახლის-კაცს სიტყვა არ[ა] აქ[ვ]ს ამ ორს კაცთან ქურდაძესთან და მინათაძესთან (?). ჩვენც ასე დაგვიმტკიცებია. | | | | | |

610. 1694 წ. წყალობის წიგნი, მიცემული თამარ დედოფლის მიერ წინამძღვარი მარკოზ წერეთლისადმი. დედანი. 24,7×14,5 სმ, დაწერილი თეთრ ქალადზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი—საქ. მუზ., № 2706 hd.

ქ. ჩვენ, მღ[ვ]თივ - აღმალლებულმან, მღ[ვ]თივ - დამყარებულმან და ცვა-ფარებათა მისთა შეედრებულმან დედოფალთ-დედოფალმან აბაშიძისა ასულმან პატრონმან თამარ ესე წყალობისა წიგნი და სიგელი გიბოძეთ თქვენ, წერე-თელს წინამძღვარსა მარკოზს;—ასრე და ამა პირსა ზედან, რომე თქვენი ყმა დოლმაზას მეცხვარის-შვილი დათუნა მისის ცოლშვილით წამოგივიდათ და ჩვენ შემოგვეხვეწათ (sic). ნასყიდი გყოლოდათ და თქვენ დაგვიწყეთ ხვეწნა და ქრთამიც მოგვართვით და ის შენი კაცი დათუნა მეცხვარე მისის ცოლ-შვილით შენვე გიბოძე და შემოგარიგე. გყავდეს და გიბელნიეროს ღმერთმან ჩვენს ერთგულობასა და სამსახურს შიგან. არას მეპატრონეს და არცა სხვას კაცს ამ დათუნას მეცხვარესა და მის ცოლშვილთან არა ხელი აქ. მისად გასა-თავებლად თავდებად მოგვიცემია თავად ღმერთი და ყოველი მისი წმინდანი ზეცისანი და ქვეყნისანი ხორციელი და უხორცონი. კაცთაგან ამისი მოწამე ნიუარაძე ბასილი, აბაშიძე რევაზ, მაჭავარიანი მამუკა; დაიწერა წიგნი და სი-გელი ბძანებითა ჩვენითა კარისა ჩვენისა მწიგნობარის მდინარეს გურგენის ხე-ლისათა ქ[ორონი]ქ[ონ]ს სამას ოთხმოცდა ორსა. + თამარ.²

611. XVII ს. მათხოვის დავთარი. დედანი. დახეული. 45,7×16,7 სმ, დაწერილი თეთრ ქალადზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმა-რია თითო ან ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უზის: დამწერლობით XVII ს—ს ეკუთ-ვნის—საქ. ც.—არქ., ფ.—, № 1512.

ქ. აზნეურშვილი იოსე რატიანი.

ქ. არის მათხოვს მეზროხე კაცი:

¹ უკანასკნელი სიტყვა ტექსტში სწერია: „უცილობელით“.

² ხვეულად.

- ქ. მამუკა ადამია,
 ქ. გიორგი ადამია,
 ქ. ლავით ადამია,
 ქ. კაცობა ადამია,
 ქ. მამუკელა ადამია,
 ქ. ბუხულია ადამია,
 ქ. სეიმონა ადამია, მახარობელი ადამია,
 ქ. შუშუა ფირცხალავა ახლად ამოკვათილი (sic),
 ქ. მახარა ფირცხალავა,
 ქ. მამისთვალი ბარაბაძე,
 ქ. მამუკა ბარაბაძე,
 ქ. გონიერი ბარაბაძე,
 ქ. კუტა ადამიას ნახევარი,
 ქ. ხახუტა ფიკვალია ძმითურთ,
 ქ. ეს აზატი კაცი. აწ ამას გარდა

მ ე ს ე ფ ე კ ა ც ი:

- ქ. მათე ბარაბაძე,
 ქ. ივანე ბარაბაძე,
 ქ. მამუკელა ბარაბაძე,
 ქ. კაცობელა ბარაბაძე,
 ქ. გიორგი ბარაბაძე,
 ქ. ივანე ღუბაძე,
 ქ. მუმუკაცა (?) ბარაბაძე,
 ქ. გონიერი ჩიმაგაძე,
 ქ. კაცობელა ფირცხავა,
 ქ. ხახუტა კარსანიძე (?),
 ქ. ჭუჭუა მელაძე,
 ქ. ჭუჭუა გვარამია,
 ქ. ბაჩუნია დოჭვირი,
 ქ. მამუკა დოჭვირი,
 ქ. ხახუტა ადამია,
 ქ. დათუნა ადამია,
 ქ. მამისთვალა ადამია,
 ქ. გიორგი ხუროძე,
 ქ. ბუჭუელა ხუროძე,
 ქ. საყვარელა ადამია,
 ქ. მამისთვალა დოჭვირი;

ე ს ე ნ ი ა რ ი ა ნ მ ე უ რ მ ე უ ლ ე:

- ქ. ახლა ურმეული ამოკვათხლი (sic):
 ქ. სტეფანე ბარაბაძე,

- ქ. გონიერი კარსანიძე;
- ქ. ამას გარდა ხატის კაცი:
- ქ. გიორგი ბარაბაძე,
ქ. მახარობელი მელაძე,
ქ. ორი კარსანიძე,
ქ. ოთხი ჩიმაგაძე,
ქ. და მეხუთე სვიმონ ჩიმაგაძე,
ქ. ერთი ჭყონიას კაცი,
ქ. ერთი სვიმონ ჩიმაგაძის კაცი,
ქ. მათხოვს ჩვენ ხელშესავალი კაცი.

არის მეთევზე:

- ქ. ორი ფირცხალავა,
ქ. ერთი კარსანიძე.¹

612. XVII ს. „კუპუხიძისა ბეგრისა ნუსხა“ დედანი. 41,6×15 სმ, დაწერილი თეთრ ქადალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაზმარია სამ-სამი წერტოლი. თარიღი არ უზის: დამწერლობით XVII ს-ს ეკუთვნის—საქ. ც.—არქ., ფ.—, № 1536.

ქ. შართებს ხატის ბეგარა უოფუასა ანდრიაძესა ლვინო კოკა ოცხ, თეთრი ათი.

შართებს ზაქარიასა კუპუხიძესა ოცი კოკა ლვინო, ათი თეთრი, სამ[ა]ჭ-რობო საკლავი ერთი, ქათამი ორი, ლვინო კოკა სამი, ლომი ნაოთხალი ორი.

შართებს მეორეს ზაქარიას კუპუხიძესა ლვინო კოკა ოცდაათი, თეთრი ათი, სამაჭრობა[ო] საკლავი ერთი, ქათამი ერთი, ნაოთხალი ლომი.

შართებს იოვანეს კუპუხიძესა ლვინო კოკა ათი, თეთრი ხუთი, სამარხო თეთრი ორი, ქათამი ერთი, ლომი ნაოთხალი ერთი.

შართებს ხახუტასა კუპუხიძესა ლვინო კოკა ათი, თეთრი ხუთი, სამარხო თეთრი ორი, ქათამი ერთი, ლომი ნაოთხალი ერთი.

შართებს წყალობასა კუპუხიძესა ლვინო კოკა ხუთი, თეთრი სამი, ქათამი ერთი, ლომი ნაოთხალი ერთი.

შართებს მახუასა კუპუხიძესა ლვინო კოკა ხუთი, თეთრი სამი, ქათამი ერთი, ლომი ნაოთხალი ერთი.

კუპუხიძისა ბეგრისა ნუსხა³.

¹ სათაური სხვა ხელით: ქ. მათხოვის დავთარი.

² ხევულად.

³ სხვა ხელით: ქ. დავთარი.

613. 1701—1730 წლ. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ეზია წერეთლის მიერ ახლედიანის ქალი მარებისადმი. დედანი. $25,8 \times 14,7$ სმ. დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი. თარიღი არ უზის. მასში მოხსენებული მოწამე შიომშ აბაშიძე გვხვდება 1707—1716 წლებში დაწერილ საბუთში (იხ. აქვე, № 6561 ჩid) და ეს საბუთი უნდა ეკუთვნოდეს დაახლ. 1701—1730 წლებს—საქ. მუხ., № 8268 ჩid.

ქ. . . . ესე ნასყიდობისა საფიცარი, ფიცი და პირი და წიგნი¹ მოგართვი ჩვენ წერეთელმან ეზიამ და ჩემა შვილმა ქველმა და ოტიამ თქვენ, ახლედიანის ქალს მარებს და თქვენსა შვილსა ბეჟანსა და ბერს, ნიკოლოზს, სხვათა თქვენთა შვილთა და მომავალთა ყოველთავე სახლისა თქვენისათა;—ასე და ამა პირსა ზედან, რომე დიალ გამიჭირდა და თქვენ შამოგეხვეწეთ, ვალი დამედვა სხვისი, მოგყიდე დათუა ჭილაძე, მისი შვილი შიო და გიორგი და პა[ი]ტა და თანდილა და მამუქა, მამუქასი შვილი ძალუა მათის ცოლშვილითა და სახლითა და კარითა, მიწა-ალაგითა, მათის მთითა და ბარითა, სასაფლაოთა და სათიფოთა (sic) და საწისქვილოთა მათის სამართლიანის საქმითა, დღეს რისაც მქონებელი იყოს, მათის ყოვლისფერითა; ფასიც სრული გვიბოძეთ, როგორც გული შეგვიჯურდებოდა. აწ [გ]ქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან მეციდრად და ყოვლის ქაცის უსარჩლავად და უცილებლად; ასე და ამა პირსა ზედან, რომე ჯერ ჩემი ძმები და მე გავიყავით და ეს ჭილაძე მე დამრჩა და მერმე კიდევ ჩემი შვილი შიომშ გამეყარა და მე და ჩემს შვილს ქველსა და ოტიას ბარათშიდ დაგვ[უ]რჩა. აწ თქვენთვის მოგვიყიდია, [გ]ქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან მეციდრად და უსარჩლავად და უცილებლად არის ამის მაშუალი და მიწამე შიომშ აბაშიძე, ბერის-შვილი ისხრაკა და მე და-მიწერია მათეს ჭიჭინაძეს და მოწამეცა ვარ ამისი.²

614. 1701—1730 წლ. ბატონიმობის წიგნი, მიცემული ვიღაც მღლისის მიერ [ახლედიანის ქალი] „ბატონ“ მარებისადმი. დედანი. 16×13 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი. თარიღი არ უზის. მისი მიმღები იგივე წინა საბუთის მიმღები [ახლედიანის ქალი] მარები უნდა იყოა და ეს საბუთიც იმავე 1701—1730 წლებს უნდა ეკუთვნოდეს,— საქ. მუხ., № 607 ა.დ.

ქ. მე, მღლისიამა მოგეც ესე წიგნი თქვენ, ბატონს მარებს. პაპუნა. ვალში შალვა ეწერა და მეთოთესა შალვა დაეჭირა და მეთოთემან შალვა წაიყვანა და ბატონმან ამილახორმან ჩემი შვილი წამართვა და თავისის ძმისწულის ვალისათვის და ჩემი შვილი მისცა მეთოთესა და მერმე ბატონმან მარებ ჩემი შვილი თათრისაგან დაიხსნა და სომეხთანაც წაველ და თავი ვაყმევ ჩემის შვი-

¹ სწერია: წიგუნი.

² სხვა ხელით: ეს წიგნი ეზია ქველი და ოტია წერეთლისგან გამოყიდულის კილაძე-გბის არის.

ლის გულისათვინ და ბევრი ჭირი გარდამედა და არ იქნა; ბატონშან მარებ თათრისაგან ჩემი¹ შეიღი იყიდა და მერმე მოველ და ბატონს მარებს ველშევ. არის ამისი მოწამე თავად ლმერთი სულა ბატონის ამილახორისა მსახურ-აზნაურშეილი და კოპაძე პაპუნა და ოთარა, დათუნა, პაპია, პა[ა]ტა და ლომინბ-შეილი გიორგი და ჩემი შეიღი ბატონმან მარებ მეთოვისაგან² იყიდა და შეილის გულისათვინ მეც ველშევ და უმღოთ კაცი ჩემს თავს არ ეცილების და მე,³ ლაშარეს დამიწერია და მოწამეცა ვარ. | | |

თვი[თ] მოწამე ამისი მურვან და ავთანდილ ვართ,—ნასყიდია.

615. 1703—1724 წლ. აქმი ვახტანგ VI-ისა ქაიხოსრო წერტლისადმი. დედანი. დაზიანებული, დაგლეჯილი (დაცხავებული). 18,2×13,7 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდევ მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უზის: ეკუთვნის ვახტანგ. VI-ის დროს—1703—1724 წლებს—საქ. მუხ., № 2810 1hd.

ქ. ჩეენი ბძანება არის, ქაიხოსრო] წერტელს რომე სურამის ჭალაში სოფელი უბოძეთ, ვინც იქ მსახლობარი გლეხი იყოს, [იმათთან] ნურას [კაცს] კელი ნუ აქვს და ვინც სხვას ქვეყნიდამე კიდევ გლეხი მოიყვანოს და იქ და-ასახლოს, ნურცა ვის იმასთან აქვს კელი და ნურცავინ აუყრის. თუ პასუხი ჰქონდეს ვისმე, ჩეენ მოგახასენოს, ვინც თავისი ნაყმევი კაცი მოუიდეს, ნურ-ცავის იმასთანა აქვს კელი. ვახტანგ⁴.

616. 1707—1716 წლ. პირობის წიგნი, მიცემული შიომშ აბაშიძის მიერ ქველი წერტლისადმი. დედანი. 19×12 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდევ მხედრული ხელით. ასო—მეტ-ნაკლები. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო ან ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უზის. მასში მოხსენებულია მეფე გიორგი, რომელიც გიორგი VI უნდა იყოს და საბუთიც მის დროს, სახელდღი 1707—1716 წლებს, უნდა ეკუთვ-ნოდეს—საქ. მუხ., № 6561 1hd.

ქ . . . ესე წიგნი მოგართვით ჩეენ, აბაშიძემ შიომშ . . . შენ, წერტელს ბატონ[ც]ს[?] ქველს; ასრე რ[ო]მე პა[ა]ტა აბრამ[ი]ს-შვ[ი]ლ[ი] დაი-კარგა და თქვენი ყმა იყო. ის აბრ[ა]მ[ი]ს-შვ[ი]ლ[ი] მე დავ[ი]ხსენი და ახლა იმ

¹ ტექსტში შეცომით სწერია: ჩემი.

² სწერია: მეთობისაგან.

³ უკანასკნელი ორი სიტყვა შეცომით მეორედაც არის დაწერილი.

⁴ ხვეულად.

სათაური სხვა ხელით: ეს წიგნი ვახტანგ მეფის ნაბოჭები სურამის ვალისა ქაიხოსრო წერტელზე. რჩვ.

პა[ა]ტ[ა]ს აბრ[ა]მ[ი]ს-შვ[ი]ლშიდ მ[ი]სი ქალი გვიბოძეთ და ის პა[ა]ტ[ა] აბრა-
მ[ი]ს-შვ[ი]ლი თქვენ მოგართვი და ახლა მე [ე]ს პირობა მომირთმევია, რომ
აბრ[ა]მ[ი]ს-შვ[ი]ლ[ი]ს ქ[ა]ლს თუ გ[ა]სყიდვით უშავდეს რამე, ჯ[ე]რ ვიყო
მლოცის შემცოდე და რერმე ბატონმან მეფე გიორგიმ მისათ ღალატათა მო[გ]-
კითხოს. +¹

617. 1707—1716 წლ. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული, გიორგი ციმაკურიძის მიერ
მღვიმის წინამდლვარ ნიკოლოზ წერეთლისადმი. პირი XIX ს-ის დასაწყისისა, მოთავსე-
ბული მღვიმის მონასტრის საბუთთა პირების კრებულში. 21,7×17,5 სმ, გადა-
წერილი ლურჯ ქალალდე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ადგილ-ადგილ
ნახმარის თითო წერტილი. თარიღი არ უზის: მისი მიღლები წინამდ. ნიკოლოზ წერე-
თლი გვხვდება გიორგი მეფის (VI) ხსენებული პირის ძმისა და თვით მისდამი მიცე-
ცემულ წიგნში და ეს საბუთიც ამ მეფის დროს, სახელდობრ 1707—1716 წლებს უნდა
ჰქონდოდეს—საქ. მუხ., № 1705 გვ. საგ—სად ჩ.

ქ . . . ესე უკუნისამდე უამთა და ხანთა გასათავებელი ნასყიდობის წიგ-
ნი მოგართვით ჩენ, ციმაკურიძემ გიორგიმ და რამაზამ თქვენ, წერეთელს ბა-
ტონს მღვიმის წინამდლვარს ნიკოლაოზს;—ასე რომ მოგყიდეთ გიორგი ხაკიანი
მისის კერძით მამულით და ალაგით, სახლით და კარით სამოსახლოთი, ჭურით
და მარნით, სახნავ-სათესით, ტყით და მიღვრით (sic) მთით და ბარით, წყა-
რო-წისქვილით, საყდრით და სასაფლაოთი, საძებრითა და უქებრითა და, დღეს
რისაც მქონებელი იყოს, მისის სამართლიანის საქმით. გქონდეს და გიბელნიე-
როს ღმ[ე]რთმან მკვიდრათ და სახამულოთ. უცილებელიც იქმნებით ჩვენგან და
ყოვლის კაცისაგან და ფასიც სრული მოგვეცით, როგორც გული შეგვჯერდე-
ბოდა და ვინც ამისი მოლაპარაკე კაცი წამოდგეს, პასუხის მიმცე]მი ჩენ ვი-
ყოთ . . . კაცთაგან ამისი მაშუალი და გამრიგე და მოწამენი გიორგი ტყაგ-
ძელიძე და რევაზ მაჭავარიანი და ვამიკ ციმაკურიძე და მე პაპუნას დამიწერია
და მოწმეც ვარ ამისი. + + + აქ ხელები ზის. მაშინდელი თარიღი არ იჯდა.
ახლა არის ჩყარ წელი მაისის დ-ს. ამისი პირველი ნაყ[ი]დობის წიგნი და აღ-
გ[ი]ლი ბრ[ე]გვაძე]ე]ბისათვის მიუკიათ წინამდლვრებს.

ხაკიანის ნასყიდობის წიგნის ნამდვილის პირი ჭეშმარიტი, უმეტ ნაკლო.

618. 1709—1744 წლ. ახლო. წიგნი ბერი წერეთლისა. დედანი. 12,5×7,2 სმ, დაწერილი
თეთრ ქალალდე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემსვებ
ნახმარის სამ-სამი წერტილი. თარიღი არ უზის: ბერი წერეთელი ზურაბ აბაშიძის თა-
ნამედროვე (ის. ავე. № 945 ჩმ); უკანასკნელი კი ცნობილია 1709—1744 წლებში.
საბუთიც. თუ აქ მოხსენებული აბაშიძე ზურაბია, ამ დროს — 1709—1744 წლებს — ეკუთვ-
ნის—საქ. მუხ., № 949 ჩმ.

ქ. ზედგინ აბაზ[ა]ძეს რომ აბაშიძემ გლეხი აუყარა, იმა კაცის ცოლში

¹ მინაწერი სხვა ხელით: შიომ აბაშიძის გამოლებული წიგნია პა[ა]ტ[ა] აბრამის-შვილზე.

გამივიდა მე, ბერ წერეთელს: ერთი კაი ფურ-ბეწვი (sic) ძროხა და თერთ-
მეტი მარჩილი თეთრი აბაშიძეს მივართვი და სამი მარჩილბ თამაზა ყიფიანს.
ორი მარჩილი ქ[ა]იხოსრო ყიფიანს. იმ ქალის ნათესავები შემამეხვეწა და ნა-
ფიცი ვიყავი და ჩემი სახელო კაცის ქალი სათათრეთ ვერ გავხადე და ღ[ა]-
ვისხენ.

619. 1709—1744 წლ. მამულის წყალობის წიგნი, მიცემული ზურაბ აბაშიძის მიერ გოგინა.
ქიოტიშვილისადმი. დედანი. დაზიანებული (მარჯვენა ნაპირ-დამწერი; განახლებული-
ძველადვე). $27 \times 13,7$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილი
ბის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი ან სამ-სამი წერტილი. თარი-
ლი არ უზის; მიმცემი ზურაბ აბაშიძე ცნობილია 1709—1744 წლებში (ვა. საქ. ც.—
არქ., ფ.—, № 5346).


ქ. ესე წიგნი და საფურარი მოგეც მე, ბატონმა აბაშიძემ ზურაბ და სვი-
მ[ო]ნ ამაზე, რომ პარტახ[ს] დაგპირდი] შენ, გოგინა ქიოტიშვილს და [მოგეც]
ლელოვანს ხახლას-სოული გ[ა]ლმოლმა ზორი გვერდი¹ მამულითა და ალ[ა]გით,
წყლითა, წისქვილით, ტყითა და საყანით, უძებრით და საძებრით; გვიბოძე-
ბ[ია], ღმერთმან ჩვენს ერდგულ[ობაში] მოგახმაროს; ვ[ი]ნც ეს წიგნი შეგიშა-
ლოს, ის[ი]მც შეიშლება ქვეისგან და გონებისგან . . . არის ამის გამრიგე და
მოწამე ეს[ი]ტა მაჭავარის[ა]ნი, მირის-შვილი ბეჟან, მაჭავარიანი დათუნა, გუ-
გუ[შ]ვილი ხახურა, ქიოტიშვილი მამუკა, ქიოტიშვილი სეხნია, ბიწაძე სეხნია,
კობალაძე ივანე, ტაბატაძე ამებ(?), დამწერი და მოწ[ა]მე გიორგი სანიშვილი-
[]

620. 1709—1744 წლ. სამართალი ოქროპირ წერეთლისა და გიორგი ორჯონიქიძის საქ-
მეზე. დედანი. $16,5 \times 11,4$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვე-
თილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. თარილი არ
უზის. გიორგი ორჯონიქიძე ზურაბ აბაშიძის თანმედროვეა (იხ. აქვ., № 945 hd). უკა-
ნასკნელი ცნობილია 1709—1744 წლებში. საბუთიც ამ დროს—1709—1744 წლებს—
ეკუთვნის—საქ. მუხ., № 946 hd.

ქ. ოქროპირ წერეთელი და გიორგი ორჯონიქიძე გავაძჭუეთ. ოქროპირმა
უჩივლა: „დამხდი შენ და შენი ყმა, თოვები ესროლეთ ჩემს ძმას, ჩემი ძმა დაი-
ჭირეთ, გაყიდეთ და ერთი ყმა“. ორჯონიქიძემ აშორო უთხრა. აწ ასე გავაჩი-
ნეთ: წამოდგეს ორჯონიქიძე, თერთმეტი თავისი ტოლი კაცი თან ჩაიტანოს,
თავათ იმან და ოცდა თექსმეტი გლეხი კაცი ასე შეაფიცოს: „შენ რომ ძმისა-

¹ უკანასკნელი სამი სიტყვა დაწერილია სტრიქონს ზემოთ საბუთის დაზიანებული ად-
გილის განმახლებლის ხელით.

და ყმის დახდომის მეწამები, არც ჩემის რჩევით და მონდობილობით დაჭირულიყოს, არც დაჭირული კაცი ჩემთან მოექანოს, არც ის კაცები, ვინც იმაში ერთა, ჩემად ყმად მყოლებოდეს, არც დღეს მყავდეს, არცარავისთვის შენის ძმის და ყმის გამოუშვებლობაში მე ქრთამი მიმეცეს“. თუ ასე იფიციას, არას ემართლება, თუ ვერ იფიციას ან ფიცმა ამტყუვნოს, ძმის სისხლი და ყმის ორის სისხლი მისცეს ერთი ორათ. თუ თვითან იფიციას და ყმა ვერ იფიციას, რომელიც ყმა რეოდეს, თუ შეიძლოს, სისხლი მისცეს, თვარამ ხელთმქნელი ცოლიან შეილანათ გაუყიდლობის პირობით, ამისი ნაცარცეი იმ დღეს რომ დადაკარგვია.



621. 1709—1744 წლ. საფიცრის წიგნი, მიცემული ზურაბ აბაშიძის მიერ ქველი წერეთ-ლისადმი. დედანი. $44,4 \times 15,2$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდეჲ მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი. თარიღი არ უხსის. ზურაბ აბაშიძე ცნობილი პირია: ის გვხვდება 1709—1744 წლებში და საბუთიც ამ დროს უნდა იყოს დაწერილი—საქ მუხ., № 2530 ჩ.დ.

ქ ეს უხერხხო და უტრელლო და მტკიცედ შეუცვალებელი, უტყუარი წიგნი და საფიცარი მოგეცით ჩვენ, ბატონმა აბაშიძე ზურაბ და ჩემ[მ]ა ძმამ სემონ და შვილმან ჩემ[მ]ან დავით და ქაიხოსრომ და ზა[ა]ლ თქვენ, წერეთელს ქველს და თქვენს შვილს პაპუნას და თქვენს ძმის-წულს ქაიხოსროს და ზურაბს და ზა[ა]ლს სულ ერთობით თქვენს სახლის კაცს;—ასე რომე, ჩვენის ყმით იყო თუ ჩენის თავით, ცოტა რამ სამღურავი ჩამოგვივარდა. აწ დღეს ყმას იქეთ თუ ან ჩვენ და ან ჩვენმა ყმამ უსამართლოთ რამე წაგართვასთ, ან წამოეჭიდოსკე, ორი ზომა რომ თქვენ წა[ა]რთვა და ან მოკლათ, ჩვენ არა გისაყველუროთ რა და, ვისაც თქვენ ვერ მოერიოთ და ჩვენ შეგვატყობინოთ, და შენც თან მოვიტანოთ და ჩვენ მოვებყროთ ავათ და არცარა ზემოთ თქვენს სახელოშიდ თქვენი უკითხავი ვქნათ და, რომელიც მამა ზეგვენს თქვენ სახელოთ ქონებოდეს, არც ის მოგიშალოთ. ამისად გასათავებელად თავდებათ მოვიცემია ჯერ თავად ღმერთი და მერმე ყოველი მისი წმიდანი ზეცისანი და ქვეყნისანი, ხორციელი და უხსორული. კაცთაგან ამისი მოწამე თამაზა ლექავა; ალფეზ წერეთელი. მე, მღივანს გვაჯასპის დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. +¹

622. 1709—1744 წლ. ყმისა და მამულის წყალობის წიგნი, მიცემული ზურაბ აბაშიძის მიერ ბერი წერეთლისადმი. დედანი. $44,6 \times 16,3$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდეჲ მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი. თარიღი არ უხსის. ზურაბ აბაშიძე ცნობილი პირია; ის გვხვდება 1709—1744 წლებში. საბუთიც ამ დროს ეკუთვნის—საქ. მუხ., № 14.192 ჩ.დ.

ქ ეს წყალობის წიგნი შეგიწყალე და გიბოძე ჩვენუ, აბ[ა]შიძე

¹ სათაური სხვა ხელით: ეს წიგნი ზურაბ აბაშიძის გამოცემული ბიძია ქველს წერეთელზე. რღო.

ბატონმა ზურაბ და ჩემ[მ]ა ძმამ სვიმონუ, ჩემ[მ]ა შეილმა დავით, სხვამა¹ ჩემ[მ]ა შეილმა და მომავალმა ყოველთავე შენუ, ჩემ[მ]ა ერდეულს ყმ[ა]ს ბერს წერე-თელს, შენსა შეილსა იესესა და პა[ა]ტ[ა]სა, სხვასა შენსა შეილსა და მომა-ვალსა;—ასე და ამა პირსა ზედა, რომე შემოგვეხვეწეთ და გლეხი გვთხოვთ და გიბოძეთ ბერი ლაბაძე და ივანე მათის ცოლშეილით, ალაგია და მამულით, საძებრითა და უძებრით, რისიც მქონე ის ორი ძმანი ლაბაძე იყოს, მისის ყოვ-ლისფერით გვიბოძებია. ქთამიც მოგვართუი, როგორათაც გული შეგვჯერდე-ბოდა. აწ გყვანდეს და გიბედნიეროს ლმერთმანუ ჩვენს ერდეულობასა და სამ-სახურშიგანუ. თუ შენუ ჩვენი ერდეული იქნე და სიტყვის ბძ[ა]ნების მორჩილი, შენუ ეს ჩვენგანუ ნაბოძები წყალობის წიგნი არ შეგიშალოთ . . . კაცთაგანუ. არის ამისი მოწამე და მაშუვალი მამუკა მგელხვადაძე, ქოჩუ ყიფიანი და ხო-ხონა ყიფიანი. მე დამიწერია მუსურიძეს მღივანს თამაზს და მოწამეც ვარ. ზურაბ².

623. 1709—1744 წლ. პირობის წიგნი, მიცემული გიორგი ორჯონიკიძის მიერ ბერი წე-რეთლისადმი. დედანი. დაზეული. $16,8 \times 11,4$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრუ-ლი ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერ-ტილი. თარიღი არ უზის: მასში მოხსენებულია ზურაბ აბაშიძე, რომელიც მიმღებია წინა საბუთში (იხ. აქვ, № 14,192 ჩ.დ) და ეს საბუთიც იმავე 1709—1744 წლებს ეკუთვ-ნის—საქ. მუზ., № 945 ჩ.დ.

ქ. ესე წიგნი (მოგეცი) მე, გიორგი ო[რ]ჯონიკიძემ შენ, ბერ წერეთელ-სა;—ოთიაშეილი დამახსნევინე შენ და ჩემი სიმავრი ქაიხოსრო თავდებ[ა]თ მოგეცი. თუ ამ ოთიაშეილმა ან ბატონს რამე აწყენიოს, ან შენი საწყენი რამე ქნას, ზურაბ აბაშიძის მოღ[ა]ლ[ა]ტე ვიქწები და ამ ჩემის სიმავრის მკლელი: ამისი თავდებიც და მოწ[ა]მე ქაიხოსრო ყიფიანი. თუ ეს კაცი რასმე და[ა]-შ[ა]ვებს რასმე, ან ბატონზედ, ან შენზედ, ის[ე]ვ ჩემ[მ]ა სიმ[ა]ვრმა უნდა მოგ[ა]-ბაროს. არის ამისი მოწამე მუსტ[ა]ფა ქიშკარიანი. +

624. 1720—1735 წლ. ფიცისა და პირის წიგნი, მიცემული ციხისთავ ზურაბ აბაშიძის მიერ პაპუნა წერეთლისადმი. დედანი. $41 \times 19,2$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამ წერტილი. თარიღი არ უზის: ზურაბ აბაშიძე და პაპუნა წერეთელი ცნობილი პირებია: შიორვე-ლი მათგანი გვხდება 1709—1744 წლებში, მეორე—1735 წელს; ამ წელს მო-ჰქონდეს იგი ვარციხს. საბუთი დაწერილი უნდა იყოს 1720—1735 წლებში—საქ. მუზ., 2528 ჩ.დ.

ქ. . . . უსე უხერხული, უტყუარი და საბოლო[ო]თ გასათავებელი ფი-

¹ უკანასკნელი სიტყვა. ტექსტში სწერია: სხვაგამა:

² ხვეულად.

ცი და პირი მოგეცით ჩვენ, ციხისთავ აბ[ა]შიძემ და ჩვენმა ძმამ ბოქ[ო]ულთ-
უხუცესმან სეიმონ და შვილმან ჩვენმან დავით თქვენ, ჩვენს სიძეს პაპუნა წე-
რეთელს;—ასრე და ამა პირსა ზედან, ძველათაც ხემწიფეთაგან ზემო-ქვეყანა
თქვენი სასარდლო და სახელო ყოფილა და ახლა ჩვენც ხელახლა პირობა გა-
გვიასლებია: ზემო-ქვეყანას ვინცავინ ან დარბაისელნი ან აზნ[ც]ურნი არიან,
თქვენდა სახელოთ გაგვიხდია ან აბაშიძენი, ან ქავთარაძენი, ან წერეთლები,
ვინც თქვენი ნება იყოს, იმსახურე და აღამვსე და ვინც თქვენი ნება არ იქნეს,
ავად მოეცყარი. ახალაძე მოგვირომევია, კიდევ მანამდისაც თქვენი ყოფილიყო.
ამისად გასათავებლათ და თავდებათ მოგვიცემია თავად დაუსრულებელი ღმერ-
თი. . . ამისი მოწამე და მაშუალი ქაჩუ ყიფიანი, ალფეს წერეთელი და გი-
ორგი აბდუშელიშვილი

მიკობენ ა
ბაშიძობით ზ
ურაბ ვარ სა
ხელდებული

625. 1720 – 1746 წლ. ყმის ნახტიდობის წიგნი, მიცემული ბეჭან] ჯაფარიძის მიერ ქველი
წერეთლისადმი. დედანი. დანიანებული (თავი მოხეულია და დაკარგული). 18,4×13,7 სმ,
დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ზელით. განკვეთილობის ჩიშნად ყოველი სიტ-
ყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი ან სამ-სამი წერტილი. თარიღი არ უზის: მიმცემი ჯა-
ფარ ჯაფარიძე და მიმღები ქველი წერეთელი ერთად გვხვდება საბუთში ალექსანდრე
V-ის დროს (საქ. მუხ., № 9317 ჩდ). გარდა ამისა ქველი წერეთელი თავის შეიღებით
ბეჭანით და დავითით გვხვდება საბუთში 1746 წელს (იქვე, № 5175 ჩდ). საბუთი და-
წერტილი უნდა იყოს 1720—1746 წლებში—საქ. მუხ., № 7668 ჩდ.

. ანი და მიზეზდაუდებელი საფიც[ა]რო მოგ[ა]როვით ჩვ[ე]ნ,
ჯ[ა]ფ[ა]რ[ი]ძემ ბეჟ[ან] და ჯ[ა]ფ[ა]რმა და სვიმო[ნ], ჩვენმ[ა]ნ ძმამ და შვ[ი]ლ-
მ[ა]ნ ჩვენმ[ა]ნ და მომავ[ა]ლმ[ა]ნ სახლ[ი]სა ჩვენის[ა]მ[ა]ნ თქვენ, წერეთელს
ქველსა და თქვენს შვ[ი]ლ ბეჟ[ა]ნს და ნიკოლოზს და დავითს და სხვ[ა]ს შვილ-
სა თქვენსა და მომავ[ა]ლსა სახლისა თქვენისათა;—ასრე რომე გოგია ომიაძე
და თამაზია აქ ველარ დადგა და მოგვიდეთ ომიაძე გოგია და მისი ძმა თამ[ა]-
ზა მ[ა]თის ცოლითა და მ[ა]თის შვილებით და ფ[ა]სიც სრული მოგვეცით, რო-
გორ[ა]თ[ა]ც გული შეგვჯერდებოდა და აწ გყვანდეს და გიბედნიეროს ღმერთ-
მ[ა] და უცილებელიმც იქნებით ჩვენგ[ა]ნ და ყოველს კაცის[ა]გ[ანა]ც და ვინც
ამ[ი]სი მოდევე კაცი გამოჩნდეს, პ[ა]სუხის გამცემი ჩვენ ეცყოთ და აწ ამ[ი]სათ
გ[ა]ს[ა]თ[ა]ცებლ[ა]თ და თ[ა]ვდებ[ა]თ მოგვიცემია თ[ა]ვ[ა]თ ღმერთი . . . კაც-
თაგ[ა]ნ არის ამისი მაშუალი. და მოწ[ა]მე ჯ[ა]ფ[ა]რ[ი]ძე შოშია + +

1 სათაური სხვა ზელით: ზურაბ აბაშიძის გამოცემული წიგნია პაპუნა წერეთელზე.
რაოდ.

626. 1720—1746 წლ. დავის გარდაწყვეტილობის წიგნი, მიცემული ხასან კოკორის-შეი-ლის მიერ ქველი წერეთლისადმი. დედანი. დაზიანებული თავში. $19,5 \times 11,8$ სმ, დაწერი-ლი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემ-დეგ ნახმარისა სამ-სამი წერტილი. თარიღი არ უზის: მასში მოხსენებულ ომიაძეთ ეხება წინა საბუთი (იხ. აქვე, № 7668 ჩd) და ეს საბუთიც იმისავე ახლო დროს, ე. ი. 1720—1746 წლებს ეკუთვნის—საქ. მუს., № 7674 ჩd.

ქ ესე გარდაწყვეტილობ[ი]ს საფიც[ა]რი მოგართვოთ ჩვენ, კოკო-რის-შეილმა ხასანმა და მისწულმან ჩემ[ე]ან ოტიამა და შაქარ[ა]მან და სხვა-მან შეილმა ჩვენმა და მომავალმან თქვენ, წერეთლს ბატონს ქველს და თქვენს შეილს ბეჭანსა და ნიკოლოზს და დავითს;—ასრე რომე ომიაძე გოგია[ს] და მის ძმას თამაზას გედევებოდი და მერმე ბატონმნ¹ მოგყიდათ ომიაძე გოგია და თამაზა მათის ცოლ[ი]თა და შეილ[ი]თა და მერმე ჩვენ ეს გარდაწყვეტი-ლობ[ი]ს წიგნი მოგართვით, რომე ამა ომიაძის საქმეზედ თქვენთან ხელი არა მქონდეს და არცარა გედეოთ, არც თქვენ და არც გოგია ომიაძესა და გყვან-დეს და გიბედნიეროს ლმერთმან. უცილებელიმც იქნებით ჩვენგან და ყოველს კაცისაგან და აწ ამისათ გასათავებლათ და თავდებათ მოგვიცემია თავათ ლმერთი . . . მაშუალი და მოწამე ამისი ფ[ი]ცია(?) ნოდარის-შეილი და მე თითვან შაქარის გამირიგებია. +

627. 1721—1732 წლ. განაჩენი ალექსანდრე V-ისა და ბრკეთა პაპუნა და ზაალ წერეთ-ლების დავის გამო. დედანი. $40,5 \times 31,5$ სმ, დაწერილი მოთეთრო ქაღალდზე მხედრუ-ლი ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარისა სამ-სამი წერტი-ლი. თარიღი არ უზის. მასში მოხსენებული ალექსანდრე მეფე არის ალექსანდრე V, ბეჟან დადიანი, ზურაბ აბაშიძე, პაპუნა წერეთელი და სხვანი—მისივე თანამედროვენი; საბუთი დაწერილ უნდა იყოს ბეჟან დადიანის იმერეთის მეფისადმი კეთილგანწყობი-ლების ხანში, რომელიც გახუშტით იყო 1721—1732 წლებში (იქვე, 350—353)—საქ. მუს., № 13.810 ჩd.

ქ. დავსხედით ჩვენ, ბრკენი და მოსამართლენი თავად ბატონი მეტე ალექსანდრე, დადიანი ბატონი ბეჟან, აბაშიძე ზურაბ, გენათელი გაბრიელი, სხვანი დარბაისელნი და საბატიოს-შეილნი სარჩიელსა პაპუნა წერეთლისასა და ზალისასა.

გიორგი აბდუშელის-შეილი ბატონს აბაშიძეს გურიელისაგან დაუხსნია და თუ არა სჯერან, ასე გავაჩინეთ: წამოდგეს პაპუნა და ხუთასს მარჩილს რომ ეკადრებოდეს იმდენი კაცი შეაფიცოს ზალს, რომ აბაშიძეს გორგიში ხუთასი მარჩილი მიერთმიოს გურიელისათვის. თუ ესე დაიფიცოს, ისიც აბაშიძისათვის იქნება და მეორე ძმა კიდე ომში დაურჩენიათ და ესეც აბაშიძისა არის და

¹ იგულისხმება ამ ყმების ბატონი ჯაფარიძე ბეჟან და სხვები (იხ. აქვე, № 7668 ჩd).

რომელიც დახსნასა და დარჩენას აქეთ ან ხელით მოეწიოს და ან შვილი შოგ-ნოდეს, აბაშიძისათვის იყოს და ვისაც მისცემს, მისი იქნება და რომელიც დახსნასა და დარჩენამდის ჰქონოდეს შვილიცა და მამულიც, საერთოდ იყოს და თუ ვერ დაიფიცოს, გიორგიც საერთოდ იყოს და დანარჩენი კაცი აბაშიძისათვის იქნება.

და ხოხონა უმაღლ ზურაბის დახსნილი ყოფილა, მაგრამ მერმედა ჭილინა-შვილის თავდები აბაშიძეს დასდგომია და თავდებობილგანაც გამტყუვნებულა და თავაღ ზურაბს მის თავდებობაში აბაშიძესათვის მოუცემია. აწ რომელიც ჭილინა-შვილმა აბაშიძეს აწყინა თავდებობას აქეთ, თუ ის აბაშიძეს გარდაუხა-დონ, ხოხონა ზურაბს დარჩეს, თვარა ხოხონა მისის კერძის მამულიანათ აბა-შიძეს დარჩეს და ვისაც მისცემს, მისი იქნება.

პატა აბდუშელის-შვილს აბაშიძის შინაყმა შემოჰკვდომია. ამაზედ დიდის შეხვეწით პაპუნას ოთხასი მარჩილი მიურთმევია და გარდუხდია. აწ გაესინ-ჯეთ და ამის მეტი ვერა მოვახდინეთ-რა: ის პატა მისის ცოლშვილით, მისის კერძის მამულით პაპუნას ჰყვანდეს და სხვა ძმები საერთოდ იყოს.

ქველაძენი იჩივლეს. მეფის კაცებს რომ ოუყრია, იმაზედ ყაფლანი დაკო-დილა. რომელიც იმ წერეთლის წანართმევი კაცი ყაფლანისათვის მიეცეს და ყაფლანს ხელში ჰყოლოდეს და პაპუნასათვის მიეცეს, ის პაპუნას დარჩეს და რომელიც შინ დარჩიომილიყოს, საერთოდ იყოს და თუ რამ პაპუნას ყაფლან გარდა]ა]ხდევია, პაპუნამ და მან იცოდეს.

პაპუნამ სამოცი მარჩილი ფირანს ვასესხეო და ცარციძე დამიწინდაო. ის კაცი პაპუნას დარჩეს თუ სხვის, თეთრი მაშინც პაპუნას გარდუხადონ ერთო-ბით.

პაპუნამ იჩივლა, რევაზისა და მისი ძმების სამას ოთხმოცი მარჩილი მივე-ციო. ზალი უპასუხებს,—არ ვიციო და ამისთვის აშორო პაპუნას დარჩა, რომ თუ არ იცოდა, რას უაშორებდა. აწ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს პაპუნამ სამი აზნოურის-შვილი. ზალის შეაფიცოს, რომ „ამდენი თეთრი გამეცეს“. თუ შეა-ფიცოს, გინდა კაცი შეერჩინონ პაპუნასა და გინდა თეთრი მისცენ და კაცი საერთოდ იყოს და თუ ვერ დაიფიცოს-და, საერთოდ იყოს:

პაპუნამ ბატონის აბაშიძის ქალის სათვისთაო შვიდი მტყვე იჩივლა: „იმა-ში გლეხი მომეცი“ და საფიცარიც მოიტანა ამისი. ზალ აშორო უთხრა და ერთის მტყვის დაბირებას გატყდა. აწ გაესინჯეთ. აშორო ზალის იყო. მაგრამ წიგნი და მოწამე რომ ჰყვანდა, ამისთვის აშორო პაპუნას დარჩა. ალექსიძეს ვერ იშორნის და სხვა მოწმები, რომელიც იყოს, ასე შეაფიცოს ზალს: „ეს წიგნი არც ნატყუარი იყოს და შენ მოგეცეს, რომელიც ამ წიგნში ეწეროს, კიდეც ისე გაერიგებულიყოთ“. თუ დაიფიცოს, ის გლეხი პაპუნას დარჩეს. თუ ვერ დაიფიცოს, რასაც მაშინ დაპირებოდეს, პაპუნას მისცეს და გლეხი საერ-თოდ იყოს.

ზალ ურ[ი]ის გარდასახადი უჩივლა. პაპუნამ აშორო უთხრა. აწ ასე გავა-ჩინეთ: როგორც იმ ურ[ი]ის მართებული იყოს, იმდენი კაცი ასე შეაფიცოს პაპუ-ნამ: „ამ ერთს მოსახლეს ურიაშიდ მამის ჩემის მეტს ხელი არა ჰქონდეს და არცარა ერიოს-რა“. თუ დაიფიცოს, არას ემართლება, პაპუნას ჰყვანდეს, თუ

ვერ, დაიფიცოს, საერთოდ იყოს და საერთოს ურიასათვის რომელიც გარდა-
ეხდევინებიოს, თუ ცოლზედ ზალს საერთო რამ დაეხარჯოს, გაუბაროს, თუ
არა, მისი კერძი რომელიც ერგოს, ზალს მისცეს.

ციმაკურიძისაგან პაპუნამ კაცის დახსნა იჩივლა. ზალ აშორო უთხრა. აწ
ასე გავაჩინეთ: ზალ ერთი აზნოურის-შვილი ასე შეაფიცოს: „შენ ის კაცი არც
დაგეხსნას და არც არა გამოგელოს-რა. იმაში თუ შეაფიცოს, ის კაცი საერთოდ
იყოს და თუ ვერ შეაფიცოს, პაპუნას ჰყენდეს.“

წამოდგა პაპუნა და: „თაობისად ზალა გუდაბრელიძე მამაჩემა სამას მარ-
ჩილად აბაშიძისაგან დაიხსნაო“. ზალ აშორო უთხრა. წამოდგეს ზალ, ასე დაუ-
ფიცოს: „რაც თავად მან არ დაიხსნა მისი თავი, მამის შენის ქველის საკუთა-
რი მაშიდ არა გაეცეს-რაო“. თუ დაიფიცოს, საერთოდ იყოს და თუ ვერ დაი-
ფიცოს, ქველის დახსნილი ყოფილა და მას ჰყვანდეს.

კიდე ქუთათისის იმშედ ოთია დაკარგულიყო, პაპუნამ ბოკერის-შვილი
მივეციო, მე დავიხსენიო. ზალ ასე უბასუხა: მართლა არ ვიცი და ბოკერის-
შვილის გაცემა ვერ იუარეს. აწ ასე გავაჩინეთ: წამოაყენოს პაპუნამ თავათ
ოთია და ერთი მისი ტოლი კაცი, ასე შეაფიცოს ზალს: ოთია კიდეც ბოკე-
რიათ დამეხსნეს და რაში დავადევი, იმაში საერთო არა რეოდეს-რა. თუ დაი-
ფიცოს, ოთია პაპუნას დარჩეს, თუ ვერ დაიფიცოს, საერთოდ იყოს.

სხვა მრავალი ერთმანერთში დაწამება და ფიცები იყო და ანაწერიც
მოიტანეს ერთმანერთში დანახარჯისა, მაგრამ გასინჯა ბატონმა მეფემ და ბა-
ტონმა დაღიანმა და აბაშიძემ ჯარმა და დარბაისელმა. ეგებ ბევრი მართალიც
იყოს და ბევრი ტყუვილი და ამდენი ფიცი უარესი იქნებოდა და ფიცები და
ერთმანერთში დანახარჯი გავარონიეთ. მუდარს (?) ხელად-მქმნელის შესაფარ-
დი მაგიერი მისცეს და ზალს დაჭირებისათვის საუბატიოთ ორასი მარჩილი
მოსცეს და მისი იარალიც უკლისად მოსცეს.¹

(ბეჭდები მეფის ალექსანდრესი და დადიანისა).
.

628. 1721—1740 წლ. სათავდებო წიგნი, მიცემული ონელი ებრაელების ოსო არონაშვი-
ლისა და სხვების მიერ ქაიხოსრო და სხვა წერეთლებისადმი. დედანი. 15×13 სმ, და-
წერილი თეთრ ქალაქზე მხედრული ხელით. განკვეთილების ნიშნად ყოველი სიტყვის
შემდეგ ნამარია სამ-სამი წერტილი. თარიღი არ უზის: მიმღებნი ქაიხოსრო, ქველი და
ნიკოლოზ წერეთლები და მოწამე ჯაფარ ჯაფარიძე გვხვდება ალექსანდრე V-ის დროს
დაწერილ უთარილო საბუთში (საქ. მუხ., № 9317 1hd) და ეს საბუთი ალექსანდრეს
მეფობის 1721—1740 წლებს უნდა ეკუთვნოდეს—საქ. მუხ., № 2800 1hd.

ქ. ეს სათავდებო წიგნი მოგაროვით ჩეენ, ონელმა ურიებმა ოსომ, იაყობ,
ბერმა არონაშვილებმა, იაყობ დავითაშვილმა, ელუამ იოსებიშვილმა თქვენ, წე-

¹ მინაწერი სხვა ხელით საბუთის მეორე გვერდზე, ტექსტის ძირს: ეს წიგნი ზარალ
წერეთლის წიგნი არის.

რეთელს ქაიხოსროს და ოქვენს ძმას ქველს, ნიკოლოზს ასე და ამა პირსა ზე-დან, რომე თქვენს ური[ი]ს შალელაშვილებს ბერსა და მარდახს გაუწყერით, და[ი]ჭირეთ ცოლიან-შვილიანათ. მერე ჩვენ შამოგეხვეწეთ, გასყიდვით ჩვენ გვაპატივეთ. თუ ეს შალელაშვილები საღმე წაგივიდესთ, ან ხუთი ქესა თე[ო]-რი მოგართვათ, ან ისევ ჩვენ მოვსძებნოთ და ხელ-შეკრული მოგართვათ. ამისი გამრიგე და მოწამე თავათ ბატონი ჯაფარ ჯაფარიძე, ბერი ბაქრაძე, რევაზ კაკილაშვილი, ბაქარი კაკილაშვილი. ○ ○ ○ ○ ○

629. 1722 წ. ნოემბრის 9. ყმების ნასყიდობის წიგნი, მიცემული ვალადებულ წერეთლის მიურ პაპუნა წერეთლისადმი. დედანი. 22,2×10,6 სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. ასო—მეტ-ნაკლები. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარის ორ-ორი წერტილი—საქ. მუზ., № 2759 ჩდ.

ქ. . . ესე ნასყიდობის წიგნი მოგეც მე, წერ[ე]თ[ე]ლმა ვალადებულ თქვენ, ბატონს წერეთ[ე]ლს პაპუნას;—ასე რომე ჩვენი ყმა ბასილ[ი]ძე ბახუტა და იმისი შვილ[ე]ბი დათუნა, ხუცა, ქართლს იყენენ წასულნი და ჩვენ ველარ მოვიყვანეთ. ახლა, რადგან ჩვენი ყმობა ალარ მოხდა იმათი, ჩვენც თქვენ მოგყიდეთ. ავიღეთ ფასი სრული, რითაც ჩვენი გული შეიჯერით. ახლა ის კაციც როცა მოიყვანოთ და იმისი მამულიც, რისაც მქონებელი იყოს ტყითა, მთითა, მამულითა, დელულითა, სახნავითა, უხნავითა, საძებრითა, უძებრითა და ყოვლის მისის საძიებლ[ი]თა გყავდესთ და გიბედნიეროს ღმერთმა ყოვლის კაცის უსარჩელად და მოუდეობლად . . . კაცთაგან მოწამე და მაშუალი გოდაბრელიძე ოთია, გოდაბრელიძე ბერი. მე წინამდლევარს სვ[ი]მონს დამიწერია და მოწმეცა ვარ ამისი. დაიწერა წიგნი ესე გიორგობის თვეს გასულს ცხრ[ა]ს, ქ[ორონი]ქ[ონ]ს უი¹. +

630. 1722—1738 წლ. გარდაწყვეტილობის წიგნი, მიცემული მამუკა წერეთლის მიურ პა-ჟუნა წერეთლისადმი. დედანი. 13,5×8,7 სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარის სამასმი წერტილი. თარილი არ უზის. მისი მიმღები იგივე წინა საბუთის მიმღები პაპუნა წერეთლი არის და ეს საბუთიც იმავე 1722—1738 წლებს ეკუთვნის—საქ. მუზ., № 2824 ჩდ.

ქ. ესე წიგნი მოგ[ა]რთვი მე, მამუკა წერეთელმ[ა] თქვენ, ბატონს პაპუნ[ა] წერეთელს;—ასე რომ მე და თქვენ რომ ჩემს კერძს მამულზე გ[ა]ვრიგდით ჩემის სიმ[ა]მრის პირით, მაშინ აზნურშვილს დამპირდით. ახლ[ა] თქვენ თუ-ნაძე ხოსია დაიჭირეთ, გასასყიდლ[ა]თ გინდოდათ. მე შემოგეხვეწეთ, მი-

¹ მიწერილია, სხვა ხელით: ეს წიგნი ბასილიძის არის.

ბოძეთ. ამის მაგიერ[ა]თ ის აზნაურშვილი მამირომევ[ი]ა. დღეს ამ[ა]ს იქით აღ[ა]რც რ[ა] ხელი მაქვს, აღ[ა]რც თ[ა]ვს გაწყენთ. ამისი მოწამე ოთა გოდაბრელიძე, ივანე ზეიადაძე, ძალლუა წერეთელი, პა[ა]ტა აბდუშერი-შვილი¹.

631. 1722—1738 წლ. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული ჩიქოვანის ქალის მარების მიერ პაპუნა წერეთლისადმი. დედანი. $45,2 \times 16,6$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით. განკვეთლობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი. თარიღი არ უზის. მისი მიმღები წინა საბუთის მიმღები პაპუნა წერეთელი არის და ეს საბუთიც იმავე 1722—1738 წლებს ეკუთვნის—საქ. მუხ., № 9254 ჩდ.

ქ. . . . ესე საბოლოო]დ გასათავებელი, მტკიცედ შეუცვალებელი უხერხო და უტრელო ნასყიდობის წიგნი მოგართვი მე, ჩიქოვანის ქალმა მარებ, ჩემ[მ]ა შვილმა პაპუნამ, პატარა ბერმა შენ, წერეთელს პაპუნას და შენს შვილს ბეჟანს, ქაიხოსროს და ქველს; ასე და ამა პირსა ზეჟან, რომე ჩემი მამული ჩემ[მ]ა სახლის კაცმა საქოამოთ გამიხადა და ვიქთამე და ვალი დამეღვა. გა-მიჭირდა. ვალი ვეღარ გარდავიხადე, თქვენ შამოგეხვეწე და ჩვენი ვალი თქვენ გარდიხადე და მოგეცი გიორგი გომართელი და მისი შვილი საზერელი და სვიმონ, შოშიტა და თამაზა მათის ცოლშვილით, სახვარით, მამულით და ალა-გით, რისაც მქონებელი დღეს იყოს მისი სამართლიანის საქმით. ქონდეს და გიბედნიეროს ლმერთმან ჩვენგან და ყოველის კაცის უცილებლად. ვინც ამისი მოდევე კაცი გამოჩდეს, პასუხის გამცემი ჩვენ ვიყოთ. ამისათ გასათავებლად თავდებათ მოგვიცემია თავად დამბადებელი ლმერთი . . . კაცთაგან ამისი მო-წამე და გამრიგე ძალლუა მაჭივარიანი, გიორგი აბდუშელიშვილი, ოთა გო-დაბრელიძე, ხოხონა აბდუშელიშვილი. მე მდივანს გვაჯასპის დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. + + +

ამისი მოწამე კიდევ გიორგი გივიშვილი და ვალადა წერეთელი².

632. 1722—1738 წლ. წიგნი, მიცემული დავით წერეთლის მიერ თავის ძმა პაპუნა წე-რეთლისადმი]. დედანი. $9 \times 11,5$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი. თარიღი არ უზის. მისი მიმღები არის წინა საბუთის მიმღები პაპუნა წერეთელი და ეს საბუთიც იმავე 1722—1738 წლებს ეკუთვნის—საქ. მუხ., № 10.035 ჩდ.

ქ. ესე წიგნი მოგ[ა]რთვი მე, დავით წერეთელმა თქვენ, ბატონს ჩემს

¹ სათაური სხვა ხელით: ეს წიგნი მამუკა წერეთლის მოცემული არის. რკ.

² სათაური სხვა ხელით: ესე წერილი ჩიქოვანის ქალის მოცემული არის.

ქმას¹;—ასე ამა პირსა ზედა: ვალი დამედვა და სეიმონაშვილი დავხ[ა]რჯუ, ახლა იმისდა სანიაცლოთ ოთინიკი მამირთმევ[ი]ა მისის ყოვლისფერით, დღეს რისაც მქონებული იყოს მისის ყოვლისფერით. არის ამისი მოწამე ოთია გო-დაბრელიძე + ყობია შალელიშვილი².

633. 1722—1738 წლ. მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული გიორგი კაპანაძის მიერ პა-ჟუნა წერეთლისადმი. დედანი. 15x15 სმ, დაწერილი მოთეთორ ქალალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდევ ნახმარია სამ-სამი წერტილი. თარიღი არ უზის. მისი მიმღები წინა საბუთის მიმღები პაპუნა წერეთელი არის. და ეს საბუთიც იმავე 1722—1738 წლებს ეკუთვნის—საქ. მუზ., № 13.815 ჩ.დ.

ქ. ესე ნასყიდობის წიგნი მოგაროვი მე, გიორგი კაპანაძემ და ჩემა შეილმა სეხნიამ და ივანემ თქვენ, ბატონს წერეთელს პაპუნას;—ასე რომ დავიკარგე და დამიხსენი და თეთრი ველარ გიშოვნე და ჩემი თავის საქსერათ მომირთმევია პარტახი ხეტისოული. ნახევარი ჩემი იყო და ნახევარი ჩემი განაყოფის და ჩემი კერძი მომირთმევია მისი მიწა-ალაგით, ტყით, ველით, საწისქვილოთი და სა-საფლაოს ეკლესიათი, რასაც მქონებელი იყოს ყოლისფერით. კაცთაგან ამისი მოწამე ქავთარაძე გიორგი, გოდაბრელიძე ოთია, კურცხალია ფირან, მაჭავა-რიანი ფირან; მე მდივანს გვაჯასპის დამიწერია და მოწამე[ცა] ვარ ამისი. სარ-დალი მაჭავარიანი, გოგალაძე ხელოსანი, შათორიშვილი შიო. + +³

634. 1722—1738 წლ. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული მამუკა წერეთლის მიერ პაპუნა წერეთლისადმი, დედანი. 21,2x12,3 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხე-ლით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდევ ნახმარია სამ-სამი წერტილი. თარიღი არ უზის. მიმღები არის წინა საბუთის მიმღები პაპუნა წერეთელი და ეს სა-ბუთიც იმავე 1722—1738 წლებს ეკუთვნის—საქ. მუზ., № 2472 ჩ.დ.

ქ. . . ესე ნასყიდობის წიგნი მოგაროვი მე, მამუკა წერეთელმა თქვენ, ბატონს პაპუნა წერეთელს ასე და ამა პირსა ზედან, რომ თეთრი დამჭირდა და თქვენგან ავილე და ჩენ მოგაროვით ივანე ყიფიანი და მამუკა მისი ძმა მისი ცოლშეილითა და მათის სახლ-კარითა, მამულითა და ალაგითა ტყითა და სა-ყანითა, სასაფლაოთა, წყლითა და წისქვილითა (sic) და საძებრითა და უძებ-

¹ იგულისხმება პაპუნა წერეთელი (იხ: საბ. საქ. მუზ., 3783 ჩ.დ.).

² სათაური: დაცით წერეთლისაგან გამოცემული წიგნია.

³ სათაურები სხვა ხელით: გიორგი კაპანაძე.

სეხნია კაპანაძის წიგნი.

ჩითა. თქვენც იმგვარი ფასი მოგვეცით, რომ გული შეგვჯერდებოდა და ჩვენც ასე სრულიად მოგვირთმოვია (sic) და გიბედნიეროს ღ[მერ]თ[მა]ნ . . . ამისი მოწამე ოთია გოდაბრელიძე და ფარემუზ მაჭავარიანი, გიორგი თოდაძე და ყობია ურია შალელაშვილი. +

635. 1722—1738 წლ. გარიგების წიგნი, მიცემული ზაზუტა ავალიანის შიერ პაპუნა წერთლისადმი. დედანი. 22,5×11,3 სმ, დაწერილი თეთრ ქაღლდზე მხედრული ხელით განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი. თარიღი არ უზის. მისი მიმღები წინა საბუთის მიმღები პაპუნა წერეთელი არის და ეს საბუთიც იმავე 1722—1738 წლებს უნდა ეკუთვნოდეს—საქ. მუხ., № 7684 ჩ.

ქ . . . ესე წიგნი მოგართვი ჩვენ, ავალიანმა ზაზუტამ და ჩვენმა შვილმა და მომავალმა თქვენ, წერეთელს პაპუნას;—ასე და ამა პირსა ზედან, რომე ბურძენიძებზედ სადეო საქმე გვქონდა. მერმე დავლაპარაკდით და გაერიგდით და შოშიტა ბურძენიძე და მამუკა და სეხნია და მათი ცოლშვილით მამულით ალაგით¹, რისაც მქონებელი დღეს არის, მისის სამართლიანის საქმით თქვენ დაგრჩა. გყავდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენგან და ყოვლის კაცის უცილებლად . . . ამისი მოწამე გიორგი წერეთელი, გიორგი აბდუშელიშვილი, ავთანდილ აბდუშელიშვილი, იესე აბდუშელიშვილი. მე გვაჯასასის დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. ² +

636. 1722—1738 წლ. ნასყიდობის წიგნი, მიცემული სვიმონ ერასტიშვილის [აბაშიძის] შიერ პაპუნა წერეთლისადმი. დედანი. დაზიანებული თავში. 33×12,2 სმ, დაწერილი მოთეთრო ქაღლდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი. თარიღი არ უზის: მისი მიმღები წინა საბუთის მიმღები პაპუნა წერეთელი არის (იხ. აქვე, № 7684 ჩ.), და ეს საბუთიც იმავე 1722—1738 წლებს ეკუთვნის—საქ. მუხ., № 1188 ჩ.

[ქ] . . . [ესე წიგნი] მოგართვით ჩვენ, ერასტიშვილმა სვიმონ ბერმა და ჩემა ძმა[მ] [ლევან?]¹ და ჩემა ბიძაშვილმა მამ[უკამ] თქვენ], წერეთელს ბატონს პა[პუნ]ას;—ასე და ამა პირსა ზედან, [რომე დადია]ნი მოგვიხდა და ჩემი ძმა და ბძძაშვილი თათარმა იშოვნა და შამოგეხვეწერ და თქვენ[ე]ნ ამოიყვანეთ და ახლა ის თეთრი დიალ ბევრი შეიქნა და ველარაფერით ვეღარ შევიძელით იმ თეთრის გარდახდა და ჩვენი თავი მოგვიცემია. სანამდის სული

¹ უკანასკნელი სიტყვა ტექსტში განმეორებულია.

² მიწერილია სხვა ხელით: ქ. ზაზუტა ავალიანის პაპუნა წერეთელზე ბურძენიძების ჰორვილას.

გვედგას და ცოცხალი ვიყოთ, ჩვენ თქვენი ერდგული ვიყოთ და არცარა. თქვენზედ ვიმტყუნოთ. მტრისათვის თქვენის მტერი ვიყოთ და მოცემისათვის ერდგული, რათიც შეძლება [გვ]ერთდეს. თუ, ვინ იცის, ან ვიხერხოთ რამე თქვენზედ, ან ვიმტყუნოთ რამე, ან შენი ორგული შევიქნეთ, ან შენს იქედამე ვიცოდეთ რამე, შენი სისხლიც დაგვადევ და თქვენი თეთრიც ისევე გარდა-გვახდევინეთ. კაცთაგან ამისი მოწამე ვიორგი ქავთარაძე, გიორგი ლოლაძე, ძალლუ მაჭავარიანი, თამაზა ნაღირაძე. მე მდივანს გვარჯასპის დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. + +

637. 1722—1738 წლ. ყმის გირავნობის წიგნი, მიცემული ქაიხოსრო, ზაალ და ვალადა წერეთლების მიერ პაპუნა წერეთლისადმი. დედანი. $32 \times 16,5$ სმ, დაწერილი თეთრ ქა-ლალზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი. თარიღი არ უზის. მისი მიმღები წინა საბუთის მიმღები პაპუნა წერეთელი არის და ეს საბუთიც იმავე 1722—1738 წლებს ეკუთვნას — საქ. მუზ. № 510 sd.

ქ. ეს წიგნი მოგართვი ჩვენ, ქაიხოსრომ ზა[ა]ლის შვილმა, ძმის-წულმა ჩემა ზა[ა]ლ და ვალადამ თქვენ, ბატონს პაპუნას წერეთელს; — ასე რომ თქვენი თეთრი გვემართა ას ორმოცი მარჩილი. დაგვიწყეთ თხ[ო]ვნა თეთრს და ვერ გიშოვნეთ. ახლა მოგართვით ამ ას ორმოცის მარჩილის გირაოთ წლამდი მერ-ჯეს მზ[ა]რ[ო]ულის-შვილი სეხნია, კაპანაძე კაცია, გიგია მათის ცოლით, შვი-ლით, მამულით, ალაგით, ბეგარ-ყალანით. თუ წლამდი თქვენი თეთრი მოგარ-თვათ, ჩვენი გლეხი ჩვენთვინ იყოს, თუ [ა]რა და წლამდინ ეს ას ორმოცი მარ-ჩილი ვერ გიშოვნენოთ, ამ კაპანაძეზედ ხელი აგვიღია. ლმერთმან მოგახმაროს ამისი თავი, მამული, ალაგი, ბეგარა და ყალანი. ჩვენ სხვეფ მოვინდომეთ ამ კაცის საქმე, მაგრამ ხატის ყმა იყო და გასასყიდლათ არას გვარგებდა და თქვენ თეთრშიდ იმ[ი]ტომ მოგართვით. არის ამ[ი]სი გამრიგე და მოწამე ძალ-ლუ[ა] მაჭ[ა]ვარიანი, პა[ა]ტა ფალავანდის-შვილი, ჩვენი აზნ[ო]ურ-შვილი ბერი გოდაბრ[ე]ლიძე, ყობია შალას-შვილი¹. მდივანი გოჯასპის დამიწერია და მო-წამეც ვარ. + + +².

638. 1722—1738 წლ. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული დავით წერეთლის მიერ თავის ძმა პაპუნა წერეთლისადმი. დედანი. $24,4 \times 15,7$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალზე მხედ-რული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უზის. მისი მიმღები არის წინა საბუთის მიმღები პაპუნა წერეთელი და ეს საბუთიც იმავე 1722—1738 წლებს ეკუთვნის — საქ. მუზ., № 2750 ჩამ.

ქ. ესე ნასყიდობის წიგნი მოგართვი მე, წერეთელმა. დავით შენ, ჩემს ძმას

¹ ბალელაშვილი⁽¹⁾.

² სხვა ხელით: ზაალ და ვალადა წერეთლის მოცემული.

წერეთელს პაპუნას და ოქვენს შვილს ბეჟანს და ქაიხოსროს და ქველს, ნიკოლოზს;—ასე რომე ბატონიშვილმა ოთხმოც მარჩილათ თავდებათ დამაყენა და მამტყუნა. ახლა მერჯევს ჩემი კერძი გოგალაძე მომიცემია მისის ცოლშეილით, მამულით, ალაგით, მთითა და ბარით, წყარო-წისქერილით და სასაფლაოს ექლესიათი. არის ამის მოწამე სეიმონ უორუოლაძე, მღდელი სეხნია კურცხალია. შე მდივანს გვაჯასპის დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. +

639. 1722—1738 წლ. ყმების ნასყიდობის წიგნი, მიცემული ქაიხოსრო წერეთლის მიერ პაპუნა წერეთლისადმი. დედანი. $17,8 \times 10,5$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდე მხედრულით ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი. თარიღი არ უზის. მისი მიმღები არის წინა საბუთის მიმღები პაპუნა წერეთელი (იხ. აქვე, № 14760 ხდ) და ეს საბუთიც იმავე 1722—1738 წლებს ეკუთვნის—საქ. მუზ., № 14.743 ხდ.

ქ: ესე ნასყიდობის წიგნი მოგართვი მე, ქაიხოსრო წერეთელმა და შვილმა ჩემა ვახუშტიმ თქვენ, წერეთელს პაპუნას;—ასე რომე მოგყიდე ქორბოულს მამუკა გოგალაძე მისი ძმები და ნათესავი, რაც ან ქართლით იყოს და ან იმერეთს, მათის ცოლშეილით, მამულით, ალაგით, ტყით, ველით და საწისქერილოთი და სასაფლაოს ეკლესიათი, სახებრით და უძებრით; ახლა კიდევ ამას ჩამოლმა გომატიშვილი მამუკა და მისი ძმები და ნათესავი, რაც ქართლს არის და ან იმერეთს, გიორგი ხუცესი კაპანაძე, გიორგი მაჭარაშვილი მათის ძმებით, ნათესავით, ცოლშეილით, სახლეარით, ჭურმარნით, ტყით, ველით და მამულით და საწისქერილოთი და სასაფლაოს ეკლესიათი, სახებრით და უძებრით. ქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენგან და ყოვლის კაცის უცილებლად . . . ამისი მოწამე ძალლუ მაჭარიანი +, ოთია გოდაბრელიძე. შე გვაჯასპის დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი.

640. 1722—1738 წლ. ყმების ნასყიდობის წიგნი, მიცემული გიორგი ლომქაციშვილის მიერ პაპუნა წერეთლისადმი. დედანი. დაზიანებული (თავი მოხეულია და დაკარგული). $27,5 \times 8,6$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი. თარიღი არ უზის. მისი მიმღები არის წინა საბუთის მიმღები პაპუნა წერეთელი (იხ. აქვე, № 14.760 ხდ) და ეს საბუთიც იმავე 1722—1738 წლებს ეკუთვნის—საქ. მუზ., № 14.747 ხდ.

[ქ] . . . [ესე] (წიგნი და პირი) მოგეცი მე, გიორგი ლომქაციშვილმა თქვენ, პაპუნა წერეთელს და შვილს თქვენსა ბეჟანს;—ასე და ამა პირსა ზედან, რომე საქმე გიმიჭირდა, რაც გლეხი მყვანდა, ყველა ქართლს წამივიდა.

შერე თქვენ შამოგეხვეწე, სარჩოც გვიბოძე და ფასიც გვიბოძე, როგორათაც გული შეგვიჯერდებოდა და ახლა სასახლეც. რაც გლეხი იყოს ჩემი, მომირთ- მევია. ვი[ნ]ც ამისი მოდევე კაცი მოგადგეს, პასუხის გამცემი მე ვიყო . . . კაცთაგან ამისი მოწამე და მაშუალი დათუა გამყრელიძე, ოთია გოდაბრელიძე / და გიორგი ავდუშელიშვილი. +

641. 1722—1738 წლ. სისხლის ანაზღაურების წიგნი, მიცემული ალექსანდრე V-ის მიერ პაპუნა წერეთლისადმი. პირი XIX ს-ის დასაწყისისა. $35,5 \times 22$ სმ, გადაწერილი ერთ თაბაზ თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანი ნახმარი არ არის. თარიღი არ უზის. მისი მიმღები არის წინა საბუთის მიმღები პაპუნა წერეთელი და ეს საბუთიც იმავე 1722—1738 წლებს უნდა ეკუთვნოდეს. ესა და ამის შემდგომ და- ბეჭდილი საბუთი, № 14.760 ჩ. ერთსა და იმავე საქმეს ეხება—საქ. მუზ., № 14.761 ჩ.

ესე წყალობის საბოლოოდ გასათავებელი წიგნი და პირობა მოგეციო ჩენ, მეფემ ბატონმა ალექსანდრემ შენ, წერეთელს პაპუნას და შენს შვილსა და მომავალს;—ასე და ამა პირსა ზედან, რომე ჩენს ყმას მამუჯას ზუ- რაბიშვილს¹ შენი ყმა აზნოურიშვილი შემოაკეტა². გეიბჭეო და სისხლი და- ედვა. მან გარდასახადი ვერ შეიძლო და ის მამუკა, მისი ძმა და რისაც მქონე- ბელი იყოს, გლეხის თუ მიწა-ალაგის ყოვლის ფერით თქვენი კაცის სისხლშიდ მოგვიცემია. ასე რომ, თუ შენის კაცის სისხლი ჩენ მოგცეთ, ეს მამუკა და მისი ძმა ისევე ჩენ მოგვეციოთ, თვრამ გარდახთამდინ ის შენთვის იყოს. არის ამისი მოწამე ჭლოდიდელი გაბრიელი, ბერი ბერეკაშვილი. მე მდივანს გურგენს დამიწერია და მოწამე ეპრ ამისი. მეფე ალექსანდრე.

642. 1722—1738 წლ. ქმების წყალობის წიგნი, მიცემული ალექსანდრე V-ის მიერ პაპუნა წერეთლისადმი. დედანი. $33,2 \times 15,6$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხე- ლით. განკვეთილობის ნიშან ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი. თარიღი არ უზის. მისი მიმღები არის წინა საბუთის მიმღები პაპუნა წერეთელი და ეს საბუთიც იმავე 1722—1738 წლებს ეკუთვნის—საქ. მუზ., № 2182 ჩ.

ქ. ჩენ მღთივ - აღმაღლებულმან და მღთივ - დამყარებულმან, ძლიერმან, უძლეველმან ჩენ მღთის გვირგვინოსანმა მეფეთ-მეფემ ბატონმა ალექსანდრემ. ესე წყალობის საბოლოოდ გასათავებელი სამკვიდრო წიგნი შეგიწყალეთ და გი- ბოძეთ შენ, ჩენს ერდგულს ყმას წერეთელს პაპუნას და შენს შეილს ბეჟანს, ქაიხოსროს და ქველს, სხვათა თქენთა შვილთა და მომავალთა ყოველთავე;—

¹ მომდევნო საბუთში (№ 14.760 ჩ.) ეს პირი მოხსენებულია მამუკა აბაშიძედ.

² იმავე საბუთით ეს პირი არის: ლევან აბდუშელიშვილი.

ასრე და ამა პირსა ზედან, რომე იაკობიძეს გიორგის შენი თეთრი რთხმოცდა [ა]თი მარჩილი დაედვა. შემოგვეხვეწეთ და ქრთამიც მოგვაროვით და ის გიორგი იაკობიძე და მისი შვილი ესტატე და თამაზა და გოლერძი ესენი მათის ცოლშვილითა, სასლკარითა, ჭურ-მარნით, სასაფლაო-ეკლესიათა მისის სამართლიანის საქმით ყოვლისფერით თქვენთვის გვიბოძებია. ასრე რომე, თუ თქვენ ჩვენი ერდგული და ჩვენი სიტყვისა და ბძანების მორჩილი ყმა შეიქნათ და ყოვლის ბატონისას ჩვენი გერჩიოს, ეს ჩვენგან ბოძებული წყალობის წიგნი აღარასოდეს მოგიშალოთ. კაცოაგან ამისი მოწამე იაშვილი ქაიხოსრო, კიკიანი ასანბაშა. დაიწერა ბძანებითა ჩვენითა მდივნის გურგენის ხელისათა 1 (sic).

+ ლუ]თით გიქმენ მეფედ მ ე მონ სახელად ა ლექსანდრე [1720]
--

643. 1724 წ. მარტის 10-ს. სათავდებო წიგნი, მიცემული დავით ცუცქირიძისა და მგელია ძინძიბაძის მიერ პაპუნა წერეთლისადმი. დედანი. 21×10,3 სმ, დაწერილი თეთრ ქალდან მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. მუხ., № 2767 11d.

ქ. ნებითა და შეწევნითა მღვ]თისათა, ესე სათ[ა]ვდებო წიგნი მოგარ-
თვით ჩვენ, დავით ცუცქირიძემ და ძინძიბაძემ მგელიამა თქვენ, ბატონს წერე-
თექლს პაპუნას;—რომე თქვენი ყმა აბრამას-შვილი სეხნია და კვირია აგვია-
რია]თ და ქართლს წავიდა. ახლა ისევ იშოვეთ ქართველს ბატონისაგან და
ისევა მოიყვანეთ. უთავდებოთ ვერ ენდევით. ახლა. თუ ეს აბრამას-შვილი სეხ-
ნია და კვირია წაგივიდეს საღმე, პასუხის და პირის გამცემი ჩვენ ვიყოთ. ცო-
ლისათვის ცოლი, შვილისათვის შვილი, საქონლისათვის საქონელი, თავათ ამთ-
თვის თავი. არის ამისი მოწამე თავად ღმერთი და კაცოაგან მაქავარიანი
ძალლუა, გოდაბრელიძე ოთია, შალელს-შვილი ყობია. დაიწერა წიგნი ესე
მარტს ათს გასულს, ქ[ორონი]ქ[ონ]სა უიბ. + +²

644. 1724—1735 წლ. ყანის ნასყიდობის წიგნი, მიცემული თუთა ჩეიძის ქალის მიერ პე-
ური კილლაძისადმი. დედანი. დაზიანებული. 13×9,2 სმ, დაწერილი თეთრ ქალდან
მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო
ან ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უზის. მასში მოხსენებული მოწამე ძალლუა წერე-
თელი გვხედება 1724—1735 წლებში დაწერილ საბუთში (იხ. აქვე, № 2824 11d) და ეს
საბუთიც ამ დროს უნდა ეკუთვნიდეს—საქ. მუხ., № 2873 11d.

ქ. ნებითა და შეწევნითა მღვთისათა ესე წიგნი მოგეცი მე, თუთა ჩეიძი-

¹ სათაურები სხვა ხელით: ეს წიგნი იაკობიძის წყალობის წიგნი არის. გიორგი იაკო-
ბიძის.

² სათაური სხვა ხელით: აბრამის-შვილის სეხნია სათავდებო წიგნია.

ძის ქალმა, შეილმა ჩემ[ქ]ა მამუკამ, ლევან და ბახუტამ შენ, ჭილლაძე ბეჟიას;— ასე რომე გამიჭირდა, შეილი დავისენი ლევან და მოგყიდე ბერთაული ყანა ჩეენი კერძი დონოურის ძირს აქეთ. ფასი სრული აგართვით: ერთი კარგი ხარი,— თორმეტი მარჩილათ თათარმა გამოითხოვა,—, ერთი ოქრო თეთრი მოგეცით დ მოგაბმაროს ღმერთიან ყოვლის კაცის უდეოთ. არის ამისი მოწამე და გამ რიგე ძალუა წერეთელი, შიოკა (?) ჭილლაძე, მარებ დიკუნიშვილის ქალი. + +

645. 1727 წ. ახლო. ნასყიდობის წიგნი, მიცემული ლუარსაბ და გვაჯასპი აბაშიძეების. მიერ პაპუნა წერეთლისადმი. დედანი. დაზიანებული (დახეული). $23 \times 14,3$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდხე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარისა სამ-სამი წერტილი. თარილი არ უზის. მისი ერთ-ერთი მიმცემთაგანი გვაჯასპი აბაშიძე უნდა იყრა, ცნობილი მდივანი გვაჯასპი, რომლის მიერაც დაწერილი მრავალი უთარილ საბუთი; იგი საბუთის მიმღებ პაპუნა წერეთლთან ერთად გვხდება საბუთში 1727 წელს (საქ. მუხ., № 8944 hd) და ეს საბუთიც ამავე 1727 წლის ახლო დროს უნდა ეკუთვნოდეს—საქ. მუხ., № 1824 hd.

ქ [ესე] ნასყიდობის წიგნი მოგართვ[ით] ჩეენ, აბაშიძემ ლუარსაბ და გვაჯასპიმ თქვენ, ბატონს წერეთელს პაპუნას, თქვენს შვრლს ბეჟანს, სხეა-თა თქვენთა შეილთა და მომავალთა; მოგყიდე ქალუათას გიგია მგელაშვილი(?) მისის ცოლშეილით, მამულით, ალაგით და სქაფლაოთი, ტყითა და ველით, საძებრითა და უძებრით. მოგცეს და გიბედნიეროს ღმერთმან მისის ყოვლის-ფერით, წყლითა, წისქეილითა, სასაფლოთი, სანადიროთი, ყოვლისფერით. ამისი მაშუალი¹ ძალუა მაჭავარიანი და ივანე ზეიადაძე. ამისათ გასათავებლად მო-მიცემია თავად ღმერთი და ყოველი მისი წმიდანი ზეცისანი და ქვეყნისანი ხორციელი და უხორული. + +²

646. 1727 წ. ახლო. გაყიდულ ყმებში სანაცვლო ყმისა და მამულის მიცემულობის წიგნი, მიცემული მამუკა წერეთლის მიერ პაპუნა წერეთლისადმი. დედანი. $45 \times 11,2$ სმ, და-წერილი თეთრ ქალალდხე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარისა სამ-სამი წერტილი. თარილი არ უზის. მიმღები პაპუნა წერეთელი და დამწერი გვაჯასპი მდივანი გვხდება საბუთში ერთად 1727 წელს (საქ. მუხ., № 8944 hd). საბუთიც ამ წლის ახლო უნდა იყოს დაწერილი—საქ. მუხ., № 2787 hd.

ქ . . ესე უხერხო, უტყუარი წიგნი და საფიცარი მოგართვი მე, წერეთელმა მამუკამ თქვენ, წერეთელს პაპუნას და შენს შეილს ბეჟანს და ქაიხოსროს;— ასე რომე,

¹ სწერია მაშული.

² სათაური სხვა ხელით: ეს წიგნი მგელაშვილის ნაყიდობის არის.

შენი ნასყიდი კაცი თოდაძე ცხრა სული დაგიყიდე, მერმე თქვენ დიალ იწყინე-
მერმე ქართლს ჩემს მოყვერებს ფალავანდიშვილებს შევეხვეწე და ჩემი მოყვარე-
ვახტანგ ფალავანდიშვილი მოგაყენე და დიდისა შამოხვეწით ყობა შარელაშვილ
მისი ცოლშვილით და, რისაც მქონებელი არის, ყოველსფერითა მომირომევია,
მერჯევს შამანაძე მამუა და მისი [ძ]მისწული ლეკლია და მათიც ცოლშვილით
და სახეარით და მამულით და ალაგით, რისაც მქონებელი იყოს, ის[ი]ც მომირ-
თმევია. რაზედაც ის ჩემი იყრილი თოდაძე ესახლა, იმისი მამული და ალაგიც
მომირომევია. ამისათ თავდებათ მოგვიცემია თავად დამბადებელი ლერთი და-
ყოველი მისი წმინდანი ზეცისანი ხორციელი და უხორციელო. კაცთაგან ამისი-
მაშუალი და გამრიგე ფალავანდიშვილი ვახტანგ, აბაშიძე ბერი, გოდაბრელიძე:
ოთია, ფალავანდიშვილის აზნოურიშვილი სამაღანიშვილი სამარან, შალიბა-
შვილი და მე მდივანს გვაჯასპის დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. +

647. 1727 წ. აბლო. ზარალის ანაზღაურების წიგნი, მიცემული ზაალ და გიორგი წერეთ-
ლების მიერ აბაშიძის ქალი ქეთევანისადმი. დედანი. 38,5×14 სმ, დაწერილი თეთრ-
ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმა-
რია სამ-სამი წერტილი. თარიღი არ უზის. მისი დამწერი გვაჯასპი მდივანი გვხვდება
საბუთში 1727 წელს (საქ. მუზ., № 8944 hd) და ეს საბუთიც იმავე 1727 წლის აბლო
დროს ეკუთვნის—საქ. მუზ., № 2747 hd.

ქ. . . ესე წიგნი მოგართვი მე წერეთელმა ზა[ა]ლ, ჩემა ძმამ გიორგიმ
დქვენ, აბაშიძის ქალს ქეთევანს და თქვენს შეილს ბეჟანს;—ასე და ამა პირს-
ზედან, რომე თქვენს კაცს გოგალაძეს მოუხედი და შეიდი მტყვე წავართვი და
ორი კაცი დაუკოდე. მერმე სამართალშიდ ჩავცინდით და თეთრის გარდახდა
ველარ შევიძელით და კოლბოულს ნინია მაჭარაშვილი და მისი ძმა საქურა მათის
ძმისწულებით, მათისა ცოლშვილით, სახეარით, მამულით, ჭ[უ]რ-მარნით, ტყით,
ველით, საწისქვილოთი და სასაფლაოს ეკლესიათი, რისაც მქონებელი იყოს,
საძებრით და უძებრით, მისი სამართლიანის საქმით ქონდეს და გიბედნიეროს
ლერთმან ყოვლის კაცის უცილებლათ. ვინც ამისი მოღვევე კაცი მოგადგეს,
პასუხის გამცემი ჩვენ ვიყოთ . . . კაცთაგან ამის მაშუალი და გამრიგე და
მოწამე იოთამ ალექსიძე, ძალუა მაჭარიანი, ხოხონა აბდუშელიშვილი. მე
მდივანს გვარჯასპის დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი.¹ +

648. 1727 წ. აბლო. ყმების ნასყიდობის წიგნი, მიცემული გოზაძე წერეთლის მიერ ქველი-
წერეთლისადმი. დედანი. 32×11,2 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით.
განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი ან სამ-სამი წერტი-
ლი. თარიღი არ უზის. მისი მიმღები არის წინა საბუთის მიმღები ქველი წერეთელი
(იხ. აქვე, № 1179 sd) და ეს საბუთიც იმავე 1727 წლის აბლო დროს ეკუთვნის—საქ.
მუზ., № 7672 hd.

ქ. . . ესე უკუნ[ი]ს შ[ა]მთა და ხ[ა]ნთა გ[ა]სათ[ა]ვებელი, უხერხური (sic).

¹ სხვა ხელით: ზაქალ წერეთლისაგან გამოცემული წიგნია ქეთევან აბაშიძის ქალზედ.

და უტრელო, მტკიცე და შეუცვალებელი ნასყიდობის წიგნი მოგართვით ჩვენ, წერეთელმან გოშაძემ და შვილმა ჩემ[მ]ან ქაიხოსრომ და ზა[ა]ლ და გიორგიმ თქვენ, წერეთელს ბატონს ქველს და შვილსა თქვენსა ბეჭანსა და დავითს;— ასრე რომე მოგყიდეთ კალუათას იაკობიძე შოშიტა მისის ცოლ[ი]თა და შვილითა, მისი შვილი გიორგი და სეხნია მათვ[ა]ლი და ნ[ა]სხიდა მათ[ი]ს ცოლ[ი]თა და შვილითა და მამულითა და ალაგითა სახნავ-სათესითა, ჭურითა და მარნითა, ტყითა და მინდორითა, საყდრითა და სასაფლ[ა]ოთი, საძებრითა და უძებრითა, დღეს რისაც მქონებელი იყოს, მისის ყოვლ[ი]სფერითა და ფ[ა]სიც სრული მოგვეცით, როგორ[ა]თაც გული შეგვიჯერდებოდა. გყვანდეს და გიბედნიეროს ღმერთმან მკვიდრათ და საბოლოოთ. უცილებელიმც იქნებით ჩვენგან და ყოველს კაცისაგან. აშ ამისათ გას[ა]თ[ა]ვებლათ მოგვიცემია თავათ ღმერთი . . . არის ამ[ი]სი მოწ[ა]მე ზა[ა]ლ გოდაბრელიძე და პაპუნა გოშაძეს ბუში. + + +

649. 1727 წ. ახლო. ყმების ნასყიდობის წიგნი, მიცემული პაპუნა აბაშიძის მიერ ქაიხოსრო წერეთლისადმი. დედანი. 33,3×13,8 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი. თარილი არ უზის. მისი მიმღები არის წინა საბუთის მიმცემი ქაიხოსრო წერეთლი და ეს საბუთიც იმავე 1727 წლის ახლო დროს უნდა ეკუთვნოდეს—საქ. მუზ., № 2379 1id.

ქ. . . ესე მტკიცე და შეუცვალებელი ნაყიდობის წიგნი მოგართვით მე, პაპუნა აბაშიძემ, შვილმა ჩემა ერასტიმ . . . თქვენ, წერეთელს ქაიხოსროს, თქვენს ძმას ნიკოლოზს, შვილთა თქვენთა და მამავალთა;— ასე რომე გაგვიჭირდა¹ და მოგყიდეთ ჩიხას ცუხიშვილი ბერი, მამუკა, პაპუნა მათის ცოლშვილით, სახკარით, მამულ-ალაგით, სასაფლაოთი, წყარო-წისქერილით, დღეს რისიც მქონე იყოს ყოვლისფერის სამართლიანის საქმით. გყავდეს და გიბედნიეროს ღმერთმა ჩვენგან და ყოვლის კაცის უცილებლათ. კაცთაგან არის ამისი გამრიგე იესე აბაშიძე, მღდელი ბუჭუა აბაშიძე, თამაზა წერეთელი, ქაიხოსრო იაშვილი. მე ქ[ა]იხოსრო აბაშიძეს დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. + + +²

650. 1727 წ. ახლო. ყმის წყალობის წიგნი, მიცემული სვიმონ აბაშიძის მიერ შიომშ წერეთლისადმი. დედანი. 44,7×26,8 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი. თარილი არ უზის. მასში მოხსენებული მოწამე თამაზა წერეთელი გვხვდება 1727 წლის ახლო დაწერილ საბუთში (იხ. აქვე, № 2379 1id) და ეს საბუთიც იმავე დროს ეკუთვნის—საქ. მუზ., № 2628 1id.

ქ. . . ესე აუარებელი, საბოლო[ო]თ დღეთა ჩვენთა სიკ[ვ]დილამდის გა-

¹ სწერია: გაგვიჭირთა.

² სხვა ხელით: ბერი სუხიშვილის ნასყიდობის წიგნია,

სათავებელი წყალობის ფიცი და წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ, ბო-
ქოულთ-უხუცესმან ბატონმან აბაშიძემ სვიმონ შენ, წერეთელს ნაბერალს შიო-
შის (?);—ასრე და ამა პირსა ზედან, რომ შემოგვეხვეწეთ და ქთამიც მოგვარ-
თვით, როგორათაც გული შეგვჯერდებოდა, გ[ვ]თხომეთ (sic) და გიბოძეთ
ხუცესი კაპანაძე მახარობელი, მისი შვილი იგანე მათის ცოლშვილითა და ალა-
გითა, მამულითა, მიწა-წყლითა, ტყითა, სასაფლაოთი, საწისევილოთი და, დღეს
რისაც მქონებელი იყოს, მისის ყოვლისფერითა. მოგვიცემია და, გიბედნიეროს;
ჩვენს ერდგულობაშიდ და მოგვიცემია ამისდა გასათავებლათ და თავდებათ თა-
ვად ღმერთი . . . ამისი მაშუალი და მოწამე თამაზა წერეთელი, ხოხონა ყი-
ფიანი. მე ჩხეიძეს ხუცის დამიწერია და მოწამეც ვარ ამისი. []

651. 1727 წ. ახლო. ყმის დაგირავების წიგნი, მიცემული კაცია ქართველიშვილის მიერ
შალვა ბაქრაძისადმი. დედანი. 28,5×17,3 სმ, დაწერილი მოთეთრო ქალალდჲე მხედრული
ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-სამი წერტილი.
თარილი არ უხსის. მასში მოხსენებული მოწამე სენია ქურციკიძე გვხვდება გვაჯასპი
მდივნის მიერ 1727 წლის ახლო დაწერილ საბუთში (იბ. აქვე, № 1179 sd) და ეს
საბუთიც იმავე დროს ეკუთვნის—საქ. მუზ., № 1191 sd.

. . . ესე საბოლო[ო]დ გასათავებელი წიგნი და პირი მოგეცი მე, კა-
ცია ქართველიშვილმა თქვენ, შალვა ბაქრაძეს, შენს შეილთა და მომავალ[თა];—
ცოლის მოყვანაზე გამიჭირდა, ევიღე სამოცდა თექ[ვ]სმეტი და ნახევარი მარ-
ჩილი. გლეხი დაგიწინდე მახარობელი კოჩაძე, თეთრიც მისი ხელით (ევ)[იღ]ე.
თუ მოგცე ამ გიორგობის თვეში შენი თეთრი, თვარი გლეხიც ღმერთმა მო-
გახმაროს . . . შამამიხვიდე გარ მი
ვიყო . . . ამისი მოწამე პაპუჩი ქართველიშვილი, სენია ქურციკიძე. +¹

652. 1727 წ. ახლო. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული მაშუკა წერეთლის მიერ აბაშიძის,
ქალის ქეთევანისადმი. დედანი. 24,5×11,1 სმ, დაწერილი თეთრ ქალალდჲე მხედრული
ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი.
თარილი არ უხსის. მისი დამწერი გვაჯასპი მდივანი არის და ეს საბუთიც იმავე.
1727 წლის ახლო დროს შეიძლება ეკუთვნიდეს—საქ. მუზ., № 6415 hd.

ქ. ესე ნასყიდობის წიგნი მოგართვი მე, წერეთელმა მაშუკაშ თქვენ, აბა-
შიძის ქალს ბატონს ქეთევანს;—ასე რომე გამიჭირდა და მოგყიდე კოლბოურს
შათირიშვილი კაცია მისის ცოლით, შვილით, სახურით, მამულით, ალაგით,

¹ ჯვარი დაწერილია ცალკე პატარა ნახევ ქალალდჲე და ისეა დაკრული საბუთის.
ბოლოს.

ჭურითა და მარნით, მთითა და ბარით, რისაც მქონებელი იყოს, მისის სამართლიანის საქმით. ქონდეს ჩვენგან და ყოვლის კაცის უცილებლად. ვინც ამისი მოდევე კაცი გამოჩდეს, პასუხის გამცემი მე ვიყო. კაცთაგან ამისი მოწამე და მაშუალი სეიმონ ბერი, ოთია გოდაბრელიძე. მე მდივანს გვაჯასპის დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. +

ზათირიშვილის ნასყიდობის წიგნი.

653. 1727 წ. ახლო. ნასყიდობის წიგნი, მიცემული ვახუშტი წერეთლის მიერ ქაიხოსრო და სხვა წერეთლებისადმი. დედანი. $31 \times 11,8$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უზის: მისი დამწერი იგივე წინა საბუთის დამწერი გვაჯასპი მდივანი არის და ეს საბუთიც იმავე 1727 წლის ახლო დროს უნდა ეკუთვნოდეს—საქ. მუხ., № 1179 sd.

ქ. . . . ესე ნასყიდობის წიგნი მოგართვი შე, ვახუშტი წერეთელმა ზა[ა]ლიშვილმა და დედა ჩემა ჩიჯავაძის ქალმა თქვენ, წერეთელს ქაიხოსროს, თქვენს ძმას ქველს და ნიკოლოზს და ბატონს დედა თქვენს აბაშიძის ქალ ქეთევანს;—ასე და ამა პირსა ზელან, რომე მამისა და პაპის და ბიძის და ძმების დიდი ვალი დამრჩა, მარჩობდენ. ორიოდე ცოლქმარა კაცი მყავდა, ორჯელ სამჯერ ამიყარეს, ხარი არ შემარჩინეს, ძროხა არ შემარჩინეს, ორას ორმოცი მარჩილი სულა რაჭველების მემართა, სხვა კიდევ სა[ა]ბაშიონ კაცის ბევრი მემართა. ახლა თქვენ შამოვეხვეწე, სხვა კაცმა არ გამიკითხა და ჩემი თავი და ჩემი გაღარიბებული მამული, მიწა-ალაგი, მთა და ბარი, საძებარი და უძებარი ყველა თქვენთვის მომირთმევია. ეს ვალები ყველა თქვენ გარდამიხადეთ, ლმერთს დაბადლე, თვარამ ვერც მამულით, ვერც მიწა ალაგით, ვერც ჩემის გასყიდვით ვერ აუგილოდით. აწ ჩენი თავი და ჩენი მამული ნასყიდობით თქვენთვის მოგვირთმევია. ვინც ამისი მოდევე კაცი (?) ან ბატონი, ან ყმა გამოჩდეს, პასუხის გამცემი ჩვენ ვიყოთ . . . კაცთაგან ამისი მოწამე ლიპარი-შვილი ქაიხოსრო, ბაქრაძე ბახუტა, სეხნია კურცხალია, ვამ[ე]ყა ციმაკურიძე, ბაჭუა გოდაბრელიძე. მე, მდივანს გვაჯასპის დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. +

654. 1727 წ. ახლო. ყმის ნასყიდობის წიგნი, მიცემული მანუჩარ ქავთარაძის მიერ ქველი [წერეთლისადმი]. დედანი. $31,6 \times 10,1$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშანად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უზის: მასში მოხსენებულია ვახუშტი აბაშიძე, რომელიც ცნობილი პირია; ის გვხვდება 1712—1745 წლ. (ვახ., ქრონ., 384 და თ. უორტ., ქრონ., II, 535); მომები ქველი წერეთელი და საბუთში მოხსენებული ბეჭა, იგივე ბეჭან აკარაძე გვხვდებიან ერთად 1727 წლ. ახლო დაწერილ საბუთში (იხ. აქვე, № 9848 hd) და ეს საბუთიც ამ წლის ახლო დროსვე ეკუთვნის—საქ. მუხ., 2650 hd.

ჭ. ნებითა და შეწევნითა მღ[უ]თისათა, ესე ნასყიდობის წიგნი მოგარ-

თვით ჩეენ, ქავთარაძემ მანუჩარ და ბიძამ ჩემ[მ]ა პაპუნამ თქვენ, ბატონს ქველს, ქუთათურის ჯანშას-შეილის ტყვე წავიყვნე და ის ტყვე ავალის-შეილმა-ალიყოლიმ წამართვა. ახლა ილაპარაკა იმ ჯაშაშეილმა და დავად ვახუშტი აბაშიძე დაუსვა აბაშიძემ მოსამართლეთ და ას [ს]ამოცი მარჩილი დამედვა. ახლა იმ საქმეზედ თქვენ შემოგეხვეწეთ და ის ას. [ს]ამოცი მარჩილი თქვენ გარდაგვიხადეთ. ახლა ამისად ფასად მოგყიდეთ უპარაძე ბეჭია და მისი შეილი პაპუნა, შეილითა და მაშვალითა მისის მამულითა, სახნავითა, უხნავითა, სა-ძებრითა, უძებრითა, მთითა და ბარითა, რისაც მქონებელი იყოს დღეს. აწე გყვანდეს და გიბედნიეროს ღმერთმა ყოვლის კაცის უცილებლად. არის ამისი მოწამე დავად (sic) ღმერთი და ყოველი მისი წმიდანი . . . კაცთაგან მოწამე და მაშუალი ოქრომჭედლის-შეილი პაპუჩა, აკარაძე ბერი თავდებიც ვარ და მოწამეც. + +¹.

655. 1727 წ. ახლო. ყმისა და მამულის ნასყიდობის წიგნი, მიცემული პაპუნა ქავთარაძის მიერ ქველი წერეთლისადმი. დედანი. დაზიანებული. 26,5×9,4 სმ, დაწერილი თეთრ ქადალდეზ ჩედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმა-რია ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უზის. მისი მიმღები არის წინა საბუთის მიმღები ქველი წერეთელი (იხ. აქვე, № 1179. sd) და ეს საბუთიც იმავე 1727 წლის ახლო დროს ეკუთვნის—საქ. მუხ., № 9848 1hd.

ქ. . . . ქსე უხერხო და უტრელო, მტკიცე და შეუცვალებელი ნასყი-დობის წიგნი და საფიცარი შოგართვით ჩეენ, ქავთ[ა]რ[ა]ძემ პაპუნ[ა]მიან და ქმისწულმან ჩემ[მ]ან მანუჩარ და შეილმან ჩემ[მ]ან ოტიამ და ქმისწულმან ჩემ[მ]ან შოშია და სხვამა შეილმან ჩენნმან და მომავალმან სახლისა ჩენისამან თქვენ, წერეთელს ბატონს ქველს და შეილსა თქვენსა ბეჭანსა (?) და დავითს, სხვასა შეილსა თქვენსა და მომავალსა;—ასრე და ამა პირსა ზედა, რომე ჩენი ყმა ბეჟიტა აჭ[ა]რ[ა]ძე აგვეყარა და ქართლითი (sic) წაგიდა და ჩეენ ბევრი ვეცადეთ და ვეღარ მოგიყვანეთ და მეორე გაგეიჭირდა საქმე, ჩენნვე შემოგე-ხევწენით და მოგყიდეთ ბეჟიტა აჭარ[ა]ძე მისის ცოლითა და შეილითა და მისისა ქმის პატარა კერძითა მამულითა და ალაგით და მისის მამულით და ალაგით ტყითა და მინდრვითა, სახნავი-სათესითა, წყარო-წისქვილითა, ჭურითა და მარნითა, სასაფლაოთი და ეკლესითა, საძებრითა და უძებრითა, დღეს რი-საც მქონებელი ყოფილიყოს, ყოვლისფერით; გყვანდეს და გიმედნიეროს ღმერთ-მან ჩენნგან და ყოველს კაცისაგან და ფასიც სრული მოგვეცით, როგორათაც გული შეგვიჯერდებოდა. აწა ამისდა გასათავებლათ მოგვიცემია თავათ ღმერთი და ყოველი მისნი წმინდანი ზეცისანი და ქვეყნისანი ხორციელი და უხორ-ცონი. კაცთაგან (გამრიგე) და მოწამე ზალის-შეილი² ოთია და აბრამაშეილი ოთია და ივანე ბურდულაძე. + +

¹ სათაური სხვა ხელით: ეს წიგნი ბეჭია აკარაძის ნაყიდობა არის.

² შდრ. საბ-ბი № 13810 1hd და 2527 1hd.

656. 1727 წ. ოქტომბრის 25-ს. ვალის გარდაწყვეტილობის წიგნი, მიცემული დავით წერეთლის მიერ თავის ძმა პაპუნა წერეთლისადმი. დედანი. 26,6 × 14 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განვევთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ. ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღდა აქვს 1727 წ.—საქ. მუხ., № 3783 hd.

ქ. . . ესე წიგნი მოგც მე, შენმა ძმამ დავით თქვენ, ჩემს ძმას პაპუნას;—ასე რომე ჩვენ საერთო ვალი გვებარა ორას ორმოცდაშვიდი¹ მარჩილი. ახლა ის საერთო თეთრი შენ გარდაიხადე შენით. სარგებელი ბევრი იქნებოდა, მაგრამ ჩვენის ძმობისათვის გაუშვი. ახლა იმ თეთრში ჩემათ კერძათ გძელის-შეილი მჭედელი მომიცემია მისის ძმითა, ცოლშვილითა² და მამულითა. გყავანდეს და გიბედნიეროს ლმერთმან ყოვლის³ კაცის უსარჩიელოდ . . . კაცთაგან ამისი მოწამე მურძაყან ლაშხის-შვილი, ოთია გოდაბრელიძე, კაქა ფალავანდის-შვილი. დაიწერა წიგნი ესე ოქნდობერს ოცდა ხუთს გასულს, ქ[ორონი]ქ[ონ]სა უიე.⁴

657. 1727—1730 წლ. ახლო. თავდებობის წიგნი, მიცემული სვიმონ ერასტიშვილის [აბაშიძეს] მიერ პაპუნა წერეთლისადმი. დედანი. 38,7 × 11,3 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განვევთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. თარიღი არ უზის. მისი მიმღები პაპუნა წერეთელი და დამწერი გვაჯასპი მდივანი გვხვდება საბუთში 1727 წელს (საქ. მუხ., № 8944 hd), ბოლო მიმცემი სვიმონ ერასტიშვილი [აბაშიძე] მიმღებ პაპუნა წერეთელთან ერთად—1730 წელს (იქვე, 1673 hd) და ეს საბუთიც ამ 1727—1730 წლების ახლო დროს კვათვნის—საქ. მუხ., № 2649 hd.

ქ. ნებითა და შეწევნითა ლუთისათა, ესე წიგნი მოგართვი მე, სვიმონ ერასტიშვილმა თქვენ, წერეთელს ბატონს პაპუნას;—ასე და ამდე პირსა ზედან, რომე დადიანი მოგვიხდა და სულ ცოლითა და შვილით ჩემი ძმა დაიკარგა. მერმე თქვენ დაიხსენით ალა ფაჩუაშვილისაგან. ზოგიერთი ერთი მოგართვით და, რაც დარჩა, ბევრი თეთრი შეიქნა. ჩვენ თეთრის გარდასახადი ვერ შევიძელით და ჩემი ძმა ლევან და ჩემი ბიძაშვილი მამუკა მომირთმევია. სანამდის თქვენს თეთრს მოგართვემდეთ, ამათ გემისახუროს და მე თავდებათ დაგდგრძივარ. ეს ჩემი ძმა და ბიძაშვილი არსად წაგივიდეს. როდისაც ლმერთმან გვიშველოს და ან ბატონი გაგვიკეთდეს, ან ჩვენით შევიძლოთ და თქვენი თეთრი მოგართვათ, ეს ჩვენი ძმა და ბიძაშვილი ისევ ჩვენთვის იყოს. კაცთაგან არის ამისი მოწამე გიორგი ლოლაძე, ბერი აბაშიძე, ძალუა მაჭავარიანი, ზურაბა ნალირაძე, ლონენა ნალირაძე, სულ სავანელი კაცი. მე მდივანს გვაჯასპის დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი. + +⁵

¹ სწერია: ორმოცდაშვაიდი.

² სწერია: ცოლშვაილითა.

³ სწერია: ყოვალის.

⁴ სხვა ხელით: ეს წიგნი დავით წერეთლის მოცემული არის.

⁵ სათაური სხვა ხელით: ეს წიგნი სვიმონ ერასტის-შვილისაგან გამოცემული პაპუნა წერეთელზე. რმა.

658. 1730 წ. გლეხების დაგირავების წიგნი, მიცემული სვიმონ და სხვა აბაშიძეების მიერ პაპუნა და დავით წერეთლებისადმი. დედანი. $12,6 \times 16$ სმ, დაწერილი თეთრ ქალალდეზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამსამი წერტილი—საქ. მუხ., № 7673 ჩ. 1

